ქართული საბავშვო ლიტერატურა

ქრესტომათია

წიგნი პირველი

შედგენილი:
ანა ლვინიაშვილის
მიერ

საქართველოს სსრ განათლების საშინისტრო
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
1ე თბილისი 55

რედაქტორები

მ. მურკოლავე
გრ. ამაშაძე
გრ. მარაბიძე

წინამდებარე ქართული საბავშვო ლიტერატურის ქრესტომათია გამიზნულია კლასგარეშე საკითხავად საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის. იგი გამოდის ორ წიგნად. პირველ წიგნში შესულია ზეპირი ხალხური სიტყვიერების რჩეული ნიმუშები და იმ მწერალთა საბავშვო ნაწარმოებები, რომლებიც მოღვაწეობდნენ XX საუკუნის დამდეგამდე. მეორეში კი წარმოდგენილი იქნება ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა. ქრესტომათიაში შევიდა აგრეთვე ზოგიერთი არასაბავშვო ნაწარმოებიც, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოზარდი თაობისათვის.

ქრესტომათიაში მასალა დალაგებულია ავტორთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ნაწარმოებთა უმრავლესობა წარმოდგენილია მთლიანი სახით. მწერალთა ბიოგრაფიებში მოკლედ გადმოცემულია [illegible]ი ღვაწლი და დამსახურება ქართული საბავშვო [illegible]ერატურის განვითარებაში.

ხალხური

სიტყვიერება

ორი მზე

მზეო, ნუ სტირი, ილიჩი
შეგვიმოსევი სხივებით;
შენი მეგობრის ცხედარი,
მოჰფინე მარგალიტებით.
ცრემლები დაღვრილიც კმარა,
ვერ იტევს ოკეანები,
შენ მაინც შემოგვცინევი
ტირილით ნუ გვებანები.
ვით გკადრო, მაგრამ
თქვენს ორში,
დიდია განსხვავებაი;
შენ მარტო დღისით გვინათებ,
ეს კი ღამითაც მზე არი.
კარგია შენი სხივები,
მაგრამ ის გულსა ვერ სწვდება,
გარეგან სახეს გვიბრწყინებს
და ისევ უკან ბრუნდება.
ლენინის სხივნი კი გულის
და სულის სიღრმეს სწვდებიან,
მოყვარეს განსაკურნავად,
მტერს ლახვარივით ხვდებიან.
ლენინის მოვლინებამდე
ნარტო შენ გვყავდი ნუგეში,
ყველასგან მოძულებულნი,
ვთბებოდით ჩვენ შენს უბეში.
მაგრამ თბებოდა სხეული,
სული კვლავ იყინებოდა,
ვინ ჩამოსთვალოს, რამდენი
მუშა უმწეოდ კვდებოდა.
ირგვლივ წყვდიადის გაქრობა,
მზეე, ორვეს ერთგვარ გჩვევიათ;
თქვენგან გაბრწყინდნენ ყოველნი,
გარშემო ვინც გახვევიათ.
როცა, მზეე, სახეს გვარიდებ,
— მზე ჩავიდაო; — ჰგოდებენ.
დღეს კი ლენინის შესახებ
ვითომ მოკვდაო, ამბობენ.
ვერ დავიჯერებ, თქვენ ორში
ლენინი უწინ მოკვდესა.
ის კაცი, ვინც მსოფლიოში

თავისუფლება დათესა,
გააქრო ძალმომრეობა,
მტარვალთა გული აკვნესა.
პირველად თანასწორობა,
ამ ქვეყნად ვინც დააწესა.
ორივე მზე ხართ ბრწყინვალე,
სიცოცხლის ამყვავებელი,
არ არის ქვეყნად ძალაი,
თქვენთა სხივთ ჩამაქრობელი
ორივე მზე ხართ ცხოველი,
მსოფლიოს მანათობელი.

დიდ სტალინს

რკინის გმირი ხარ, ბელადო, —
ფოლადი გაუტეხელი,
წინ მიუძღვები ქვეყანას —
სარდალი შეუდრეკელი.

მსოფლიოს დედამიწაზე
შენებრი არვინ არ არი —
მაგარი, მტკიცე, ურყევი,
როგორც მთა — დიდი მყინვარი...

და მთვარე — ღამის მნათობი,
ცის მოგზაური მცინარი,
ცისკარი გაბრწყინებული,
რიჟრაჟზე ამომდინარი.

მზესთან ვადარებ შენს სახელს,
კიდეც ხარ მისი ტოლია,
ჯერ შენისთანა ბელადი
მშრომელ ხალხს არა ჰყოლია.

გზების ასეთი მკაფავი
დაჩაგრულს წინ არ სძღოლია,
ლენინთან ერთად შენ აგვხსენ
უღელ, კისერზე მწოლია.

შენ თხუთმეტ წლისამ დაიწყე
გაძღოლა ჩაგრულ ხალხისა,
ძველი სამყაროს დანგრევა
და აშენება ახლისა.

გაფრინდი, როგორც არწივი,
ქუხილით გადაიარე,
დაჩაგრულების გულისთვის
ხმელეთი შამოიარე.

ოქტომბრის ქარი ასტეხე,
მსოფლიო შააზანზარე,
რისხვა დაეცი მჩაგვრელებს,
მეხი და ცეცხლი აყარე.

შენ შეჰქმენ წითელ არმია,
დაჩაგრულების დამხმარე,
ლენინთან ერთად იბრძოდი
მუშა-გლეხების გამხარე;

ააფრიალე დროშები,
თანაც მზე ამოიყვანე,
ლაფში ჩაფლული ქვეყანა
სხივებზე ამოიტანე;

ზღვას იქით გადახიზნული
ზღვას აქეთ გადმოიყვანე,
დროშაი გამარჯვებისა
სიმაღლით ცად აიტანე.

და ააყვავე ქვეყანა,
გარდაჰქმენ ოქროს ფერადა,
არასდროს არა ყოფილა
ის ასე მშვენიერადა.

შენ აგვიშენე სამშობლოს
ციხე-კოშკები სვიანი,
თან გალავანიც მაავლე
მაგარი, ფოლადიანი.

გამართე ბაღი, წალკოტი,
ჰყვავის ვარდი და იანი,
მაგრა სდგას ჩვენი ქვეყანა
მუზარად-ჯავშანიანი!

მტერი ვერაფერს დაგვაკლებს,
მუხთალი, გულეკლიანი,
თუ ომი გამოგვიცხადეს,
ჩვენთვის ისურვეს ზიანი, —

მზადა ვართ ჩვენაც გავიდეთ
გმირები მხარბეჭიანი,
გავიდეთ, დავდგეთ მთებურად
თოფიან-ზარბაზნიანი.

მტერს შიშის ზარი დაეცეს,
დაიწყოს კივილ-ღრიალი, —
კვლავ დავუბრუნდეთ სამშობლოს
გმირთ-გმირნი სახელიანი.

შენც გასახელოთ, სტალინო,
ბრძენი ბელადი მზიანი,
შენ და ჩვენ ერთად დავსძახოთ
სიმღერა ალერსიანი.

შენ გიყვარს ქვეყნის გმირები,
მხნე და გამრჯელი მშრომელი,
შენა ხარ ხალხის დედ-მამა,
მისთვის კეთილის მდომელი.

აშენებ დიად ცხოვრებას,
ერთობის გზაზე მდგომელი,
ლენინის ანდერძს ასრულებ,
ხარ იმის საქმის მგრძობელი.

რკინა ხარ, დიდო ბელადო,
რკინა, ფოლადად დებული;
ვერ შეგაშინებს ვერავინ,
ხ�ალი გაქვს ამოღებული.

წინდაწინ მიხვალ ვეფხვურად
ბრძოლისკენ აჩქარებული,
და მიჰქრის შენი მერანი,
ვით ორბი გაქანებული.

მას მიაგელვებ ამაყად,
გრიგალებს დაჭიდებული,
მიაფრიალებ, სტალინო,
წინ დროშას გამარჯვებული,

გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს,
შენით ვარ გახარებული!

კოლმეურნის სიმღერა

დღეები იკრიბებოდა,
მტანჯავდა ოფლის ღვარები,
სიცხეში ჩრდილი ქრებოდა,
რომ დაყრილიყვნენ ხარები.

ჩავჩერებოდი მიწასა,
ანკი რა მოსაგონია,
საწყალი კაცის მიზანსა
თურმე ნაყოფი ჰქონია...

გამოიცვალა ბუნება,
მთაში ნაღმები ჰკივიან,
ბარიდან სიტყვა ბრუნდება,
მოგბაძავთ კოლექტივია.
გულდადებული შრომითა
ვამარცხებთ კლდეს და ხეობას,
გადასცქერიან ღელიანს,
შორსა სჭვრეტს მათი თვალები,
მოდიან, მოიმღერიან —
კოლექტიველი ქალები...
ამოიყარა მიჯნები,
სხვადასხვაობის არშია,
ძალგულოვანი ბიჭები
დავალთ მთასა და ბარშია,
გადასძახიან ღელიანს,
შორსა სჭვრეტს მათი თვალები,
მოდიან, მოიმღერიან
კოლექტიველი ქალები...
დღეს გამარჯვების ალამი
გვეზიდავს როგორც ვარდია,
კოლმეურნული სალამი
ლენინ-სტალინის პარტიას!

როგორც აყვავდა ქალაქი

(ხალხური)

როგორც აყვავდა ქალაქი,
ისე სოფელი ყვავიპო,
იზრდება შრომის ბარაქა,
ბეღელი ხორბლით გაივსო.

ყველგან აშუქებს სინათლე
დიდი სტალინის სხივისა,
ასი ათასად იზრდება
დოვლათი კოლექტივისა.

ქალაქში გრგვინავს ქარხანა,
სოფლად ტრაქტორი კივისა,
„მადლობა ბელადს სტალინსა“,
მუდამ მთქმელი ვართ ამისა.

მან ააყვავა ქვეყანა,
სხივ დაგვაყენა მზისაო,
წინ მიგვიძღვება, გვასწავლის,
მანათობელი გზისაო.

დღეს ხარობს ჩვენი ქვეყანა,
მზის შუქით განათებული,
იზრდება ყოველნაირად
ცხოვრება აყვავებული.

ზეზვა

მთებს იქით ილესებოდა
ომში ნაცადი მახვილი,
ბახტრიონს აზანზარებდა
შიშის დამცემი ძახილი.
შეაკრთოლებდა თათრებსა
შენი ელვარე ხმალია,
ალვნის მინდორზე მფრინავი —
შენი ლურჯაი მალია,
შორს რომ ისმოდა თქარუნი,
შუქს რომ მოჰფენდა ნალია;
ეგ შენი გული მედგარი —
ბუდედ რომ ჰქონდა რვალია.
შენ სისხლით მორწყულ მიწაზე
შენი შვილები ხარობენ,
არ ეშინიათ მტრებისა,
გულდამშვიდებით ბარობენ.[1]
არ ეშინიათ მტრებისა,
აქვთ ბედნიერი ცხოვრება,
შენი ღვაწლი და ამაგი
სულ მუდამ ემახსოვრებათ.

აფრასიონ მერკვილაძე

აფრასიონ მერკვილაძეს
თავი უკვდავი ეგონა,
ოცი ტყვია მოახვედრეს,
ფეტვის კაკალი ეგონა.
ჩაფრები რომ შემოერტყნენ,
კოლო-ბუზები ეგონა,
რაზმელების შეძახება
ტკბილი სიმღერა ეგონა.

[1] მთიდან ბარში ჩადიან.

მკერდს სისხლი გადმომდინარე
წითელი ვარდი ეგონა,
გულგანგმირული მოძმენი
დაძინებული ეგონა.
ვეფხვივით დანავარდობდა,
მტრები ჩიტები ეგონა,
ნათელი რომ დაუბნელდა,
მას დაღამება ეგონა.
ხევში უსულოდ მწოლარეს
თავი მინდორში ეგონა,
ხაფლავში რომ ჩაასვენეს,
თავი საფარში ეგონა.
მდუღარე ცრემლებს ვაფრქვევდი,
ეუქუნა წვიმა ეგონა.

კიდევაც დაიზრდებიან

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი;
ისე არ ამოსწყდებიან —
ჯავრი შესჭამონ მტრისანი.
თქვენი ჯერია, ბიჭებო,
ხელი დაიდოთ ხმალზედა,
თორემ ყორნები ძღებიან.
წინაპართ ნაომარზედა.
ვაჟკაცნი, მთაში ნაზარდნი,
ომშიაც კი ნახვენ ლხინსა,
მტერსა მტრულად დახვდებიან,
მოკეთეს მოსჭამენ ჭირსა.

მოჯამაგირე

სხვისა მოჯამაგირობას
ადვილად იტყვის ენაო,
დილიდან საღამომდისინ
არ მქონდა მოსვენებაო.

დილით ძროხაში გამგზავნეს,
საღამოს ღორისკენაო,
თან მწევრები გამატანეს,
იქ ინადირე შენაო.
თუ კურდღელი დაიჭირო,
ხორცი ჩვენ, ტყავი შენაო,
და თუ მელა დაიჭირო,
ტყავი ჩვენ, ხორცი შენაო!

გლეხის შვილი

სოფლელი გლეხის შვილი ვარ,
მჭადითა გამოზრდილია,
უქუდო, ჩოხის ამარა,
ქალამნებდაცვეთილია.
ობოლი დავრჩი დედ-მამას,
დროც მადგა გასაჭირია,
სადაცა ვარდსა დავეძებ,
იქ შემხვდა ეკლის ძირია.
მე ვინ მომაცლის იმდენსა,
გლეხმა ვისწავლო ანბანი,
დავჯდე და წიგნი ვიკითხო,
გავიგო ქვეყნის ამბავი.

საბრალო დედაბერი

საბრალო დედაბრისასა თაგვნი ყანასა მკიანო,
ლომნი უგრეხენ ულოსა და ვეფხვნი შეუკვრიანო;
დევნი ურემსა აბიან, ირემნი ძნასა ჰყრიანო;
შველნი კევრებში შებმულან, კალოს გარს დაურბიანო;
ზედ ანგელოზნი უსხედან, წვრილ ხმაზედ დასძახიანო;
ჭინკები მარდად უქცევენ, ყანასა გაჰფოცხიანო;
ტახნი მისწევენ კალოსა, მელები კუდით ჰგვიანო;
წერონი ანიავებენ და ბატნი დაჰკაზმიანო;
დათვებს ჰკიდიათ ტომრები, ორმოში პურსა ჰყრიანო;
მგლები წისქვილში გაგზავნეს, პურს მალე დაუფქვიანო;
შაშვი ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰზელს, კაჭკაჭნი ამოჰქნიანო;
მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა და გვრიტნი ამოჰყრიანო;

ვარიები ამზადებენ, იხვნი სუფრასა შლიანო;
ზეცას ტოროლა გაგზავნეს, ფრინველნი მოჰკრიბიანო;
შენს მადლსა, ჩხიკვნი ნუ გინდა, სუფრასა აგვიშლიანო;
სილამაზითა ხოხობი შუაში ჩაისვიანო;
ბულბული გალობისათვის სულ თავსა დაისვიანო;
საწყალი ბერი ქედანი ბოლოში მოიგდიანო.
ერთად სმენ, სვამენ, ლხინობენ, ჰარალეს დასძახიანო.

ხალხური სიმღერა

მოდი ვნახო ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;
მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი ვნახო თხაო, რამ შეჭამა თხაო;
მიველ, ვნახე თხაო, მგელმა ჭამა თხაო.
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო მგელი, რამ შეჭამა მგელი;
მიველ, ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი.
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო თოფი, რამ შეჭამა თოფი;
მიველ, ვნახე თოფი, ჟანგმა ჭამა თოფი.
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო ჟანგი, რამ შეჭამა ჟანგი;
მიველ, ვნახე ჟანგი, მიწამ ჭამა ჟანგი.
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო მიწა, რამ შეჭამა მიწა;
მიველ. ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო თაგვი, რამ შეჭამა თაგვი;
მიველ, ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი.
კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

ორმოში ფეტვი ჩავყარე

ორმოში ფეტვი ჩავყარე შესანახათაო,
შიგ წვიმა ჩამოსულიყო დასალპობათაო,
ამოვიღე და გავფინე გასაშრობათაო.
ღობეზედ ჩიტი შემოჯდა ასაკენკათაო,
ჩიტსა ჯოხი წამოვკარი მოსაკლავათაო.
ჩიტი ბატონთან წავიდა საჩივლელათაო,
თან გზირები მოიყოლა დასარბევათაო,
დიდი ქვევრი ამიხადეს დასალევათაო.

კურდღლის სიზმარი

კურდღელმა სთქვა ჩირგვში ვზივარ, ვერვინ ნოვა ჩემზედაო.
გავიხედე ტერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო,
თან მეძებრები მოუძღვის, დაგეშილი ჩემზედაო,
ალმართშია მე ვაჯობე, დალმართშია იმათაო,
ერთმა წუწკმა მეძებარმა კბილი გამკრა გვერდზედაო,
მეჯინიბეს მიმაბარეს, „შემოიკარ ცხენზედაო“,
მზარეულსა მიმაბარეს, „ეს აგვიგე ჩხირზედაო“.
ცალი გვერდი ცეცხლმა დამწვა, ცალი ერბოს ცხებამაო.
დახედე ამ თავადებსა, რა ლხინი აქვთ ჩემზედაო,
კრახა-კრუხი აუდინეს ამ კვრიხინა თავზედაო.

მ ე ლ ა

საწყალი მელა ჩიოდა: არ მომივიდა ძილია,
ერთსა საქათმეს მივადექ, გამოვუთხარე ძირია.
იხვსა, ბატსა და ქათამსა, ყველას გავკარი კბილია.
უკუვიხედე, მამდევდა პატრონი გზირიშვილია,
მხარზე გეედო კომბალი, გათლილი შვინდის ძირია.
გადმამკრა, გადმამიშხივლა, გადმამადინა ტვინია,
მაგრამ ტვინს ვიღა ჩიოდა, ცოლ-შვილი დამრჩა ქვრივია,
ცოლიც მალე გათხოვდება, ობლები დამრჩნენ წვრილია,
ობლებიც დაიზრდებიან, თავი დავკარგე გმირია.

დათვის სიზმარი

დათვმა სთქვა: სიზმარი ვნახე,
რაც რო თავ გადამხდებოდა,
სიმინდი ბევრი შავჭამე,
ვსვლიპე, ვინ მიმიხვდებოდა?
მეღორის ტყეში წაველი,
იქ ღორი მეგულებოდა,
ერთი ბურვაკი შავჭამე,
ვიცოდი არ შემრჩებოდა.
სოფლი ბოლოს რო ჩამოველ,
სოფელი ჩოჩქოლდებოდა,
ლამაზ-ლამაზი მწევრები
ფეხის ფრჩხილებზე დგებოდა,
ლამაზ-ლამაზი ბიჭები
თოფ-იარაღში სხდებოდა.
გამიგდეს ისეთ მინდორზე,
თვალიც ვერ გაუწვდებოდა,
ჩამაგდეს ისეთ ხევ-ხუვში,
ქორიც ვერ ჩაფრინდებოდა,
დამაზილეს ბევრი ტყვია,
სიკვდილიც მამწყურდებოდა,
შიგ დადგა სისხლის მორევი
ზედ ნავი მოცურდებოდა.
მოფრინდნენ ყვავი-ყორანი,
სვამდენ და არ ილეოდა,
ყვავებმა გამინაწილეს,
ლეშით სვავ-სვუვი ძღებოდა.

ამირანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი მონადირე, სახელად სულ-კალმახი. სახლი ედგა ისეთი უდაბური ტყის მახლობლად, რომ ხის წვეროები ცას ებჯინებოდნენ. შინ ჰყავდა ცოლი დარეჯანი და ორი პატარა ვაჟი — ბადრი და უსუპი. ერთი უფროსი ვაჟი შორეულ ქვეყანაში ჰყავდა გადახვეწილი.

ერთ დღეს სულ-კალმახს ნადირობაში შემოაღამდა. ბინად მიაშურა ერთ მაღალ კლდეს, სადაც გამოქვაბული ეგულებოდა.

ეს წვრილი და მაღალი კლდე კოშკივით იყო ამართული და ზემოთ და ქვემოთ გამოქვაბულები ჰქონდა გამოკვეთილი. ქვემო გამოქვაბულში სულ-კალმახს უწინაც ბევრჯერ შეუფარებია თავი. ახლაც ამას მიაშურა.

ღამე მშვიდობიანად გაათია, მაგრამ განთიადისას რაღაც კივილი შემოესმა: ქალის ხმას ჰგავდა. წამოიჭრა ზეზე, გამოვარდა გარეთ და აშკარად შენიშნა, რომ ხმა ზემოთ გამოქვაბულიდან ჩამოდიოდა. დაა-პირა ასვლა, მაგრამ გამოქვაბული ისე მაღლა იყო, რომ თვალიც ძლივსა სწვდებოდა, ასავალი კი არსაიდან ჰქონდა.

დაბრუნდა სახლში. ცოლს უბრძანა: ხვალისთვის საგზალი დამიმ-ზადეო, და თვითონ გასწია მეზედელთან, რომელსაც ერთი რკინის ხვედა და ერთი გუდა სატეხი შეუკვეთა. მეორე დღეს აიკიდა საგზალი და გუდა და გასწია კლდისაკენ. მივიდა კლდის ძირში და დაუწყო სატე-ხებს კლდეზე მიჭედვა: რამდენ სატეხსაც მიაჭედდა, იმდენ საფეხურს აკეთებდა და სულ ზევით-ზევით მიდიოდა, ბოლოს, როცა სატეხები გამოელია და ხვედა გაუცვდა, — გამოქვაბულსაც მიაღწია, შევიდა შიგ და გაოცებული დარჩა.

გამოქვაბულში ნადირობის ქალღმერთი დალი იწვა. ტანთ არაფე-რი ეცვა და მზესავით ნათელ სახეს ოქროს მოკლე თმები უმშვენებდა: ეტყობოდა, თმები დაჭრილი ჰქონდა, რადგან ისეთივე ოქროს გრძელი ნაწნავები იქვე ეყარა. ქალი საშინლად კიოდა და აქეთ-იქით აწყდე-ბოდა. მოხუცი მონადირე რომ დაინახა, თვალები გაუბრწყინდა და

კივილი შესწყვიტა. მონადირე მოწიწებით მიუახლოვდა, თაყვანი სცა და ჰკითხა: ხომ არაფერს მიბრძანებო?

ქალმა თავი დაუქნია და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით შემდეგი უამბო: ჩემი საყვარელი ბინა ეს გამოქვაბულია, ჩემი საყვარელი სანადირო ეს ტყეა; მთელი ჩემი ღონე ჩემს ქალწულობაში და ამ ოქროს ნაწნავებში იყო, მაგრამ ახლა აღარც ერთი აღარა მაქვს და ჩემი აღსასრულიც მოახლოებულიაო. ერთ ღამეს, ღრმა ძილში რომ ვიყავი, აქ ვიღაც მონადირე შემოპარულიყო, ოქროს ნაწნავები ჩემი ოქროს მაკრატლით წაეჭრა და გვერდში მონწოლოდა; რომ გამომეღვიძა, წინააღმდეგობა ვეღარ შევძელი და შემაცდინაო. ახლა ჩემი სათხოვარი ეს არის: რადგან სიკვდილი არ ამცდება, ამ ცოდვის შვილს მაინც ნუღარ ჩამატან საფლავში; აიღე ჩემი ჯაყვა, გამჭერი მუცელზე და ბავშვი გამოიღეო; თუ ვაჟი იყოს, ამირანი დაარქვი, თუ ქალი იყოს, რაც გინდა, ის დაარქვიო. ჩემი შვილი გმირი გამოვა. მას რომ მუცელში დრომდე დასცლოდა, ისეთი იქნებოდა, თვით ღმერთს შეებმებოდა. ახლა კი ნაკლები იქნებაო. როცა მუცლიდან გამოიღო, სამს თვეს დეკეულის ფაშვში შეინახე და შემდეგში კიდევ სამ თვეს — კუროს ფაშვში, რომ, რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოსო.

შეწუხდა მონადირე, გაჭრაზე უარი სთქვა, მაგრამ ქალი არ მოეშვა და ძალაუნებურად უნდა დათანხმებულიყო: გაუჭრა ხელების კანკალით მუცელი და იქიდან მზის მსგავსი ვაჟი გამოვარდა. აიხუტა ბავშვი გულზე მონადირემ, დაუყვა რკინის საფეხურებს და დაბრუნდა სახლში. ცოლის დახმარებით იქ სუყველაფერი ისე შეასრულა, როგორც ქალისაგან ჰქონდა დაბარებული; ბავშვი საოცარი სიჩქარით იზრდებოდა: ერთი დღისა ერთი კვირისას ჰგავდა, ერთი კვირისა — ერთი თვისას და ერთი თვისა, — ერთი წლისას. დარეჯანს ისე შეუყვარდა პატარა ამირანი, რომ თავის შვილებს ერჩივნა, და ამიტომ ამირანს „დარეჯანის შვილს“ ეძახდნენ.

რადგან სულ-კალმახი ხანში შესული იყო და დღე-დღეზე სიკვდილს მოელოდა, გადასწყვიტა ამირანი მდიდარი კაცისათვის მოენათვლინებინა: „როცა მოვკვდები, ამირანს ნათლია წაიყვანს და გაზრდისო“. მართლაც, დაჰპატიჟეს ნათლიად მდიდარი კაცი, მაგრამ ნათლობის დღეს სულ-კალმახის სახლში გლახად ჩაცმულმა ქრისტე-ღმერთმა ჩამოიარა და სთხოვა მასპინძელს: ამირანი მე მომანათვლინეთო. სულ-კალმახმა უარი ვეღარ უთხრა და მოანათვლინა. ქრისტე-ღმერთმა ამირანს დაანათლა: გაქანებული ზვავის სიმარდე, თორმეტი უღელი ხარკამეჩის ღონე და მგლის მუხლი, ბალღობით სისაწყლე და სიბეჩავე, ვაჟკაცობაში ომი და ჭირსახდელი.

დიდხანს არ გაუვლია, მოკვდა სულ-კალმახი; მალე დარეჯანიც თან მიჰყვა. დარჩნენ ობლები მარტოდმარტო. ამით ისარგებლეს სულ-კალმახის ძველმა მტრებმა — დევებმა, დაეცნენ ობლების სახლ-კარს და სულ ცეცხლის ალი ადინეს. ააოხრეს და გადაბუგეს. დევების დაშინებული ძმები გადაიკარგნენ, სადღაც ჩაბალხეთში ჩაიხვეწნენ და დღედაღამე ცის ქვეშ ეყარნენ. კერა-ნაცარი უნატრებოდათ.

ბადრი, უსუპი, ამირან ობლები დავიყარენით;
დევების დაშინებულნი ჩაბალხეთს ჩავიყარენით;
ღველფ არ გვინახავს, კერაი, საჩალეს მოვიზარდენით.

II

გავიდა ხანი. დაიზარდნენ ობლები. დავაჟკაცდა ამირანი და ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უმძიმდა მისი ტარება. საოცარი ხმა-ჭამა იცოდა. თვალები საცრის ოდენა ედგა და ერთი კბილი ოქროსი ჰქონდა. უსუპი და ბადრი მშვენიერები იყვნენ.

ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმა-ჭამა ეყოფა:
სადილად ბუღა კამეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა.
ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარად გამზადებულსა,
უსუპი ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა.
ამირან — შავსა ღრუბელსა, საავდროდ დამზადებულსა.

ერთხელ ამირანი და მისი ძმები სანადიროდ გავიდნენ. ერთ ირემს დაეედევნენ და ერთ მიყრუებულ მთაში „ბროლის კოშკს“ წაადგნენ. შიგ ბადრისა და უსუპის ძმისწული გმირი ცამცუმი ესვენა და თავზე ცოლი და დედა დასტიროდნენ.

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი.
გადაიარეს ცხრა მთანი, მეათენი ალგეთისნი.
მინდორს კვალნი გაუკელიეს, დანაკლიკნი ეშმაკისნი.
მთას ირემი წამოუხტათ, ოქრო იყო რქანი მისნი.

უცხო მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბროლის ქვისი.
გაუარეს გარეგურგველად, ვერ იპოვნეს კარი მისი.
სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა მუხლი მგლისი, —
კოშკმა პირი იქ გააღო, იქ შეიბა კარი მისი.

კოშკში ლომი წოლილიყო, გამძრეე არვინ იყო მისი.
იმას თავით რაში ება, ტოტით მიწას სთხრიდა ისი,
მარცხნივ რომ შუბი ეყუდა, წვერი ცასა ხვედა მისი;
მარჯვნივ ედო თავის ხმალი, პირი ჰქონდა ალმასისი;
ერთ კუთხეში ოქრო-ვერცხლი, ნაგრეევები ცამცუმისი.

გვერდით ეჯდა თავის დედა, ცრემლად დასტიროდა შვილსა,
თავით ერთი ქალი ეჯდა, ზღვას ერევა ცრემლი მისი,
თითებსა და თითებს შუა წიგნი ჰქონდა ქაღალდისი.
წაიკითხეს, შიგ ეწერა, „ძმისწული ვარ უსუპისი.
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შეეპამე ჯავრი სხვისი.
მოკვედი, მხოლოდ ჯავრი გამყვა ერთი დევის ბაყბაყისი.
ვინაც მოჰკლავს ბაყბაყანსა, ჩემი შური ალალ მისი;
ვინც მახარობლად მომივა, ჩემი ხმალიც ალალ მისი;
ვინც დედ-მამას დამიმარხავს, ჩემი ფული ალალ მისი;
ვინც რომ დებსა გამითხოვებს, ოქრო-ვერცხლი ალალ მისი;
ვინც მე მომივლის, დამმარხავს, ცოლიც, რაშიც ალალ მისი!“

ეს რომ ძმებმა წაიკითხეს, სახეზე მწუხარება დაეტყოთ, რადგანაც ცამცუმი მათი ნათესავი გამოდგა. ამირანმა ურჩია: აქ რაღას ვდგეგვართ? იმ ბაყბაყ-დევს ხომ მოვკლავთ და მოვკლავთ!.. მიცვალებული, როგორც წესია, დავმარხოთ, ავიღოთ ის ფულები, ქალი და რაში წავიყვანოთ და წავიდეთო; ანდერძიც ხომ ასეაო. ძმებმა დაუშალეს: სირცხვილია, ვინ რას იტყვისო!

ნუ, ამირან, ძმათა მზესა, ნურა გინდა ნურავისი,
ოორემ გმირნი დაგძრახავენ: მკვდარი გაუცარცავს სხვისი.

მკვდარს მოუარეს, დამარხეს, კოშკის კარი გამოხურეს და წავიდნენ ბაყბაყ-დევის საძებნელად. მართლაც, გზაზე ბაყბაყ-დევი შემოხვდათ: გაეგო, ცამცუმი მომკვდარაო, და შესაშველად მოდიოდა. ამირანმა შეუტია:

— სად მიდიხარ, შე აყროლებულო, საითკენ მიეჩქარებიო?

— უსუპის ძმისწული, ცამცუმი მომკვდარა და იმის მძოვრის საშველად მივალო! — უპასუხა.

ამირან, დევი-ბაყბაყი ჩასაუბრობენ მტრულადა,
ხმალზე ხელი აქვს ამირანს, ცხარე ომი აქვს გულადა.

— შენ ქრისტიან კაცს არავინ შეგაშმევსო, — უთხრა ამირანმა, — ტყუილად მიხვალ და მიეხეტებიო!

— მაშ შენ დამიშერ გზასაო?! — უპასუხა დევმა დაცინვით და ეძგერნენ ერთმანეთს.

ამირან, დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი;
ამირანმა დევი დასცა, ადგილი შეხვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი.

დევი შეშინდა და შეეხვეწა:

— ნუ მომკლავ, დარეჯანის ძევ, ხელი გაფიცო ხმლიანი,
მანდ ლი დედიშენისა, თაკლია ოქროიანი;
ზღვას გაღმა ქალი გასწავლო, სახელად ყამარ ჰქვიანი;
საყამაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი;
შვიდკვირეული საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი;
წასვლა ადვილი იქნება, მოსვლა გახდება გვიანი;
მოყვარული ხარ ომისა, გზა იქ გექნება მტრიანი,
თან შიკრიკს გამოგაყოლებ, ვაქია ღალატიანი!

ამირანს უნდოდა დევი ცოცხალი გაეშვა, მაგრამ ძმებმა უთხრეს: „თუ არ მოჰკლავ, ცუდ საქმეს გიზამს; დევი არ დაიზავებაო“.

ბაყბაყ-დევი სამთავა იყო. ამირანმა უსმინა ძმებს: ორი თავი მოსჭრა და, მესამესაც, რომ დაუწყო ჭრა, ბაყბაყ-დევმა სთხოვა:

— ხომ მკლავ და მკლავ, ეს მაინც ამისრულე: ჩემი თავებიდან სამი ჭია ამოძვრება და იმათ ნუ დახოცავო.

მოსჭრა ამირანმა მესამე თავიც. ბაყბაყ-დევის თავებიდან მართლა სამი ჭია ამოძვრა. უსუპმა უთხრა ამირანს:

— რაკი ერთი ჭირი მოიშორე თავიდან, ბარემ მეორეც თან გააყოლე: ეგ ჭიები სასიკეთოდ არ ამოძვრნენ დევის თავებიდან, ეგენიც დახოცეო!

— რას ამბობო, უპასუხა ამირანმა: დევმა რა მიყო, ჭიები რას მიზამენო? ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო? ერთი თხოვნა ხომ შენ აგისრულე, ეს ერთიც დევისათვის ამისრულებიაო. არ დახოცა ჭიები, გაანება თავი.

რაკი ბაყბაყ-დევი მოიშორეს, ამირანმა უთხრა ბაყბაყის მოცემულ შიკრიკს: აბა, შიკრიკო, გვასწავლე გზა ყამარისკენ სავალიო. გაჩქარდი, ფეხი ააჩქარეო.

გაუძღვათ წინ შიკრიკი და გასწიეს.

III

ბევრი დღე და ღამე იარეს, მაგრამ გზას დასასრული აღარ უჩანდა. შიკრიკი ერთ გზაზე რომ გაატარებდა ძმებსა, სხვა გზით დააბრუნებდა და იმაზედვე წაიყვანდა. უნდოდა მათთვის გზა აერია და დაეხოცა. უსუპმა შეატყო შიკრიკს და გავლისას ერთ კუნძს ისარი დაჰკრა. მართლაც მეორე დღეს შიკრიკმა ძმები იმავე გზაზე გამოატარა. უსუპმა თავისი ისარი იცნო, აემღვრა სისხლი, გაუშვირა ხელი ამირანს კუნძისაკენ და უთხრა:

ვერ გაგიგია, ამირან, არ გამარჯვების ნიშანი?
მესამედ იქვე მოვედით, გუშინ რომ დავკარ ისარი!

ამირანი გაჯავრდა და შიკრიკს შეუტია:

შიკრიკო, გზანი გაიხვენ, თუ არ ხარ თავის მისანი,
თორე აგიღე, გაგთალე, რო საკიდობნე ფიცარი!

გაუძღვა შიკრიკი ძმებს და გაიყვანა ერთს ტრიალ მინდორზედ. გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ის სამი ჭია, ბაყბაყის თავებიდან რომ ამოცოცდნენ, ვეშაპებად ქცეულიყვნენ: ერთი თეთრი იყო, ერთი წითელი და ერთი შავი; მიდიოდნენ და მიიმღეროდნენ:

მინდორში სამნი ჭიანი მიდიან, მიიმღერიან.
თვალს უცემს დარეჯანის ძე: „მაგათთან ომი მწადიან!"

— აბა, ძმებო, მეტი ღონე არ არის, მაგ ვეშაპებს უნდა შევებათო! ბაგრამ ბადრმა და უსუპმა ძლიერ შორს დაიჭირეს:

— აკი გირჩიეთ და არ დაგვიჯერე!.. ახლა, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი:

შენის ცოლის გულისათვის სულ ძმები დავილიენითო.

მაშინ ამირანი თავის აბჯარს მიუბრუნდა და უთხრა:

ჩემო ხმალო და აბჯარო, საძალედ მომეშველენითო!

და დაუწყო ვეშაპებს სასტიკი ომი. მოჰკლა თეთრი, მოჰკლა წითელიც და შავსა შეება მაშვრალი.

მაგრამ შავმა ვეშაპმა ჩაყლაპა დაღალული და თავის დედას (ზღვას) მიაშურა:

შავმა აიღო, ჩაყლაპა, შავის ზღვისაკენ გასწია.

ეს რომ ძმებმა დაინახეს, გული მოუბრუნდათ ამირანზე და გამოუდგნენ შავ ვეშაპს. უსუპმა სტყორცნა ისარი და ცხრა ადლი კუდი მოსწყვიტა. ვეშაპს ერთი რკინის ბოძი ჰქონდა; როცა ვისმე ჩაჰყლაპავდა, მივიდოდა, ამ ბოძს შემოეხვეოდა, დაამტვრევდა და მოინელებდა. ახლაც ამ ბოძს მიაშურა, შემოეხვია, მაგრამ კუდი პირში აღარ მოსწვდა, რადგან მიწყვეტილი ჰქონდა, — და გადარჩა ამირანი დამტვრევას.

ვეშაპმა დედას შესჩივლა: მუცელსა მგვრემს, თითქოს ცეცხლი მეკიდებაო.

— ვაიმე, შვილო, თუ დარეჯანიანი ჩაყლაპე ვინმე, იმათ კაცს შენ ვერ მოინელებო! რა კაცი იყო, რა ფერი ჰქონდაო?

— საცერივით თვალები ჰქონდა და ერთი ოქროს კბილი ედგაო.

— ამირანი ყოფილა, შვილო, დარეჯანის ძე, და შენი შველა აღარ ეგებაო.

მართლაც, ამირანს ჩექმის ყელში ალმასის დანა ედო: ამოიღო, გამოსჭრა ვეშაპს მუცელი და გამოვიდა.

ძმები ისევ წავიდნენ ყამარ-ქალის საძებრად. ათასი თავგადასავალი გადახდათ. ათასგან იომეს და ჰღვარეს სისხლი. ბოლოს მიადგნენ ცხრა ძმა დევის კარს. ეს დევები ძალიან გახვეულებული იყვნენ: ერთი უზარმაზარი ოჯახი ჰქონდათ, უთვალავი ქალი და რძალი ჰყავდათ, ბალღები და მოხუცებულები. მუდამ დღე აუღებელი სუფრა ედგათ, არცა მუშაობდნენ და სულ უქმად ეყარნენ. ამირანი მივიდა დევების კარზე; გაივლის და გამოივლის და უყურებს დევების კარებს. ერთმა ქალმა დაინახა ამირანი, შევიდა და უთხრა დევებს: აქ ვიღაც კაცი მოსულა, კარებზე დასეირნობს და აინუნშიაც არ იგდებს, რომ აქ ხართო. დევებმა სთქვეს: ის თუ იქნება, დარეჯანის ძე იქნება. სხვა აქ არავინ მოვიდოდაო. გამოგზავნეს ერთი ქალი და უთხრეს: გადი, გაუარ-გამოუარე, გაუცინე და ეგები იმანაც გაგიცინოსო; თუ ოქროს კბილი გამოუჩნდა, შემოდი, შეგვატყობინე: თავდარიგი უნდა დავიჭიროთო, თორემ დარეჯანის ძე ადვილი სასტუმრო არ არისო. გამოვიდა დევის ქალი, გაუვლის და გამოუვლის ამირანს, გაუვლის და გაუცინებს. ამირანმა უთხრა:

> რას იცინი, დევის ქალო, რას მიელვი თეთრსა კბილსა?
> გამივლი და გამომივლი, გამისინჯავ ბაგე-კბილსა!
> სომეხი ვარ, ტანტრე მქვიან, დავკარგე და ვეძებ ვირსა;
> დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვნი, ჩემი ბედიც ასე ჭრისა!

ქალი შინ შევიდა და მოახსენა დევებს: ოქროს კბილი და საცრის ოდენა თვალები აქვს იმ კაცს, ვირები დაუკარგავს და დაეძებსო.

სანამ ქალი ლაპარაკს გაათავებდა და დევები იარაღს აისხამდნენ, ამირანი შეუვარდება დევებს და წაიკაფიავებს.

> ვაჟიკაცო გულოვანო, ღვინის ფერო, მცინარეო!
> ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი წინარეო!

დაერია დევებს თავის მოკლე ხმლით და სულ ერთიან ამოჟლიტა. დევების სისხლით სახლი თავამდე აივსო. სისხლის გუბე ყელამდე მოადგა ამირანს, შეიკრა, შეკუთდა და დააღრჩობდა კიდეც, რომ ბედისაგან განწირული ყოფილიყო. ბედად სისხლში ერთი დაჭრილი დევი ფართხალობდა ამირანის ახლოს. ამირანი დასწვდა დევს, ესროლა სახლის კარებს და გაამტვრია. სისხლმა ერთი დაიჭექა, დაიგრიალა და

ბურთივით გავარდა კარში. რაკი სისხლი მოშორდა, ამირანმა მხრები გაიწია, გაიბერტყა და თავისუფლად ამოისუნთქა. გაწმინდეს ძმებმა სახლი, მიალაგ-მოალაგეს, მოაწყვეს და დაიწყეს შიგ ცხოვრება.

IV

მაგრამ ამირანს დიდხანს არ დაუდგა გული სახლში: ცხადადაც და სიზმარშიც თავისი ყამარი აგონდებოდა. ბადრს თეთრონი სთხოვა: უნდა მათხოვო შენი თეთრონი, ყამარის წამოსაყვანად მივდივარ და, თუ იმოდენა სიკეთეს მიზამთ, თქვენც წამოხვალთ, ეგ ხომ ყველაფერს ემჯობინებაო:

ბადრო, მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნგრევითა,
გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი მზე ვითა,
თან ყურძენ გამოვაყოლო, ტკბილია დედის რძე ვითა!

ათხოვა ბადრმა თეთრონი, ძმებიც გაჰყვნენ და წავიდნენ ყამარის მოსაყვანად.

ამირანმა ძმები ზღვის გამოღმა დასტოვა, თვითონ კი თეთრონზე შეჯდა და შევიდა ზღვაში. გააპო ზღვა, გავიდა გაღმა და გააშურა ცხენი ყამარისაკენ. ყამარს დედ-მამა ცაში ჰყავდა და მისი კოშკიც ცაზე იყო ჯაჭვით ჩამოკიდებული. ამირანმა ჰკრა დეზი თავის ცხენს, შეატუნა მაღლა, მისწვდა ჯაჭვს თავისი ხმლით, გასწყვიტა და კოშკი მიწაზე ჩამოვარდა. მიაგდო ამირანმა ცხენი ფანჯარასთან და შესძახა:

— ჩამოდი, ყამარო, ჩვენსა წავიდეთო!..

ყამარი ჯამ-ჭურჭელს რეცხდა და არ ეცალა. ჩამოსძახა: ამოდი, ცოტა შეისვენე, მეც ჯამ-ჭურჭელს დავრეცხ და მერე წავიდეთო.

ამირანმა დაბა რაში ძირს და თვითონ ყამართან წავიდა. ყამარმა დარეცხა ჯამები და ამირანს უთხრა: შენ კი დააწყვეო, ფრთხილად დაალაგე, არაფერი გასტეხოვო.

აწყობს ამირანი ჯამებს და ერთი ჯამი, რამდენჯერაც ამირანი პირქვე დასდგამს, იმდენჯერ გადმობრუნდება გულაღმა. გაბრაზდა ამირანი, დასცა წიხლი ურჩს ჯამს და დაამსხვრია. გატყდა თუ არა ჯამი, მთელმა მთელს უთხრა, ნატეხმა ნატეხს, დადგა ერთი ერიამული და ხმაურობა. აიშალა ჭურჭელი და სულ ერთიანად გასწია ცისაკენ, ყამარის მამისაკენ: ყამარი მოიტაცეს, მიეშველენით, დაგვეკარგა, მდევარიო!

ყამარმა უთხრა ამირანს: ის ჭურჭელი ჩვენ კარგს არ დაგვაყრის: მამაჩემი გამოგვიდგება და ადვილად ვერ გადავურჩებით, თუ ჩქარა არ წავედითო. შემოისვა თეთრონზე ყამარი ამირანმა და გაქსულა.

ცოტა გზა რომ გაიარეს, საშინელი ქარი ამოვარდა, ბრიგალი ასტყდა. ამირანმა აიხედა მაღლა და სთქვა: ამ ცაში კი არაფერი ნიშნებია და

ამ მიწის პირზე რაღა ამბავიაო. კარგა გზა გაიარეს და დაუშვა წვიმა-მაც. ამირანმა კიდევ აიხედა ცაში დ სთქვა: დიდება შენთვის, ღმერთო! წეღან ცა ვათვალიერე, საავდრო ჰაერი არ იყო და ახლა საით მოვიდა წვიმაო!

— ეგ ქარი მამიჩემის ლაშქარის ფეხის მტვერიაო, — უპასუხა ყამარმა: ეს წვიმა კიდევ დედიჩემის ცრემლია, ჩემს დაკარგვასა სჩივიანო. აჩქარდი, ამირანო, აჩქარდი! — დააჩქარა ყამარმა:

ამირან, გვალე-გვალესა, მუხლად გაქებენ მალესა,
ამბრნი, უმბრნი და არაბნი ცხენს შესხდებიან ჩქარესა,
მალედვე მოგეწევიან, ომს გაგიწევენ ცხარესა!

ამირანმა შეაგულიანა ყამარი: ამოდ იარეო!

ამოდ იარე, ყამარო, გზათა ვერ დაჰლევ ბრძოლითა.
არცა ვარ ტყისა ხოხობი, მომინადირონ ქორითა:
არცა ვარ ჭალის კურდღელი, რომ დამიჭირონ მწევრითა;
არცა ვარ ხისა ფურცელი, გადამიტანონ ქარითა;
მოვლენ და მეც აქ დავხვდები ამ ჩემის გორდა ხმალითა;
უსუპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა;
სუყველას თავებს დაგიჭრი საპურყველია დანითა;
იმ მამიშენის ლაშქარსა, გაუმაძღარსა ღომითა,
მარტო გავუხდი ჩხუბადა, მარტო ვეყოფი ომითა!

გამოვიდა ამირანი ზღვას, გამოიყვანა ყამარიც. მოდგა და მოდგა მდევარი ჯარიც ყამარის მამისა ხომალდებით. გაიქცა ზღვის მიდამო.

ბადრს უთხრა ამირანმა: შეკაზმე, ძმაო, შენი თეთრონი, შეჯე, ჩადი და, აბა, რამდენი ხანი დაგელევა ლაშქრის შემოვლაშია. ბადრის თეთრონი ისეთი იყო, რომ ერთის წლის სავალს ერთს საათში გაირბენდა; ზღვა და ხმელი იმისთვის ერთი იყო. ადგა ბადრი, შეკაზმა თავისი თეთრონი, შეჯდა და ჩავიდა. დაარჭო ერთს ადგილს ისარი, რომ იქვე მოსულიყო, საითაც წინა-წინ გააქცია ცხენი. ჩაარჭო ისარი, გააქცია ცხენიც, მაგრამ ეშმაკებმა მოგლიჯეს ისარი და უკან გამოუდგნენ ბადრს (ყამარის მამის ლაშქარი სულ ქაჯებისა და ეშმაკებისაგან იყო შემდგარი). არბენინა ბადრმა დიდხანს თავისი თეთრონი, მაგრამ ისართან მაინც ვერ მივიდა. ბოლოს დაბრუნდა ამირანთან და უთხრა: ტყუილად ვირბინეო!

ცხრა დღე მივლია, ცხრა ღამე, გარსა ვერ მამირბენია,
ამ ჩემი თეთრონისთვინა ოფლი არ შემიშრენია,
ამ ჩემი მათრახისათვის ფოჩი არ შემირჩენია!

მერე შეჯდა ამირანი და ჩავიდა ჯარის დასათვალიერებლად. დაარჭო ისარი და გააფრინა თეთრონი. მოცვივდნენ ეშმაკები, დაებღაუჭნენ დარეჯანის ძის დასმულ ისარს, მაგრამ ვერ ამოაძრეს. შემოურბინა

ამირანმა ლაშქარს ერთ წამიერა ხანს და მოვიდა ძმებთან. უსუპს უთხრა: ჩადი, უსუპო, იომე, მერე ჩვენც მოგეშველებითო!

ჩავიდა ვაჟი უსუპი, ჩავიდა სახელიანი, ჩავიდა და ჩაზომა სალაშქრო გზები, შეუტია ჯარს, იომა, იბრძოლა, გაანახევრა ჯარი, მაგრამ თვითონაც იქ დადვა ვაჟკაცურად თავი. მოჰკლეს უსუპი, ამირანს გულმა გაუგო, უსუპის თავს ჭირიაო, და ბადრს უთხრა:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ, ან გამილესე ხმალია;
ჩავალ და ვეღარც ამოვალ, ვაიმე შენი ბრალია!

ამირანის წესი იყო: სადაც ომში ჩავიდოდა, ან გაიმარჯვებდა და ან მოკვდებოდა: სირცხვილიანის შინ მისელას სიკვდილი სჯობს სახელოვანიო, — იტყოდა ხოლმე ამირანი.

შეჯდა ახლა ბადრი და ჩავიდა ძირს ხისხლის საძებრად. იომა ბადრმაც, მაგრამ მოკლეს ისიც. მაშინ ყამარმა უთხრა ამირანს: შენი აბჯარი მე მომეც, მე ჩავალ საომრადაო. — რას ამბობო, გაუჯავრდა ამირანი: დედაკაცებს თავისი საქმე ნუ გავიწყდებათ! რა შენი საქმეა ხმალი? ხმალიანი მე ვარ, მე ჩავალო. ეგ რა ნამუსია ან სახელი ჩემთვის, რომ შენ იომო და მე აქით გიცქეროდეო!

მაშ, თუ ჩახვალო, უთხრა ყამარმა: არ დაიშალო, ეს მაინც ამისრულეო: ომშით რო გამოდიოდე, ხმალს ნუ ჩააგებ, ჩემთან ხმლიანი ამოდიო. ჩავიდა ამირანი საომრად, გაუსვა და გამოუსვა სიმამრის ლაშქარს, სჭრა ცხვრებსავით თავები, გასწყვიტა მთელი ლაშქარი და შეხვდა ბოლოს პირისპირ სიმამრს. შეუტიეს ერთმანეთს ამირანმა და ყამარის მამამ. სცეს ერთურთს ხმალი, ფარი უფარეს. ორივეს ბექთრები ეცვა: ვერც ერთის ხმალი ვერა სჭრიდა ჯაჭვს. ამირანის ხმალი ყამარის მამის მუზარადს რომ მოხვდებოდა, ნაპერწკლის ცეცხლი ენთებოდა: ყამარის მამის ხმალი ამირანის ბექთარს რომ მოხვდებოდა, ჯაჭვი გველივით წიოდა. უცქეროდა ყამარიც დიდხანს ამირანისა და მამის უნაყოფობას; ჰხედავდა, რომ ამირანს გაუჭირდებოდა და უჭირდა კიდეც ქაჯთ ბატონის მოკვლა; შეუშფოთდა გული ყამარს და შეჰგმო ამირანი.

ამირან, ცოლ-დედა მკვდარო, ომი ვერ იცი კილოსა,
მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა:
დააწყდებიან ძარღვები, დაეცემიან ძიროსა;
ბოძნი რო დაეკრებიან, დარბაზნი დაეცემიან!

გაიგონა ქალის სიტყვები ყამარის მამამ: მამისად ღალატი, ქმრისად მხრისჭერა; გული აემღვრა და დაუძახა ყამარს ყვედრებით:

უყურეთ კახპა ქალასა, ქმარი ირჩია მამასა!
ქმარი ხეს ასხა ფოთლადა, მამას ვინ მისცემს საწყალსა?!
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწოებდა ძუძუსა, გირწევდა აკვანასა!

დედაშენს რო შობამდისვე გასწყალებიყავ მუცელში, ან ძაღლი ეშობა და გაეზარდა შენს მაგიერ, ისა სჯობდა შენს გაჩენასა და შენს გაზრდას, ის უფრო ნამუსი და სახელი იქნებოდა, ძაღლი უფრო ერთგული იქნებოდაო!

ყამარმა უპასუხა:

არცრა გამზარდა დედამა, არცრას მეტყოდა ნანასა;
მიმაგდის სახლის ყურეში, თაგვების ანაბარასა...
არცარას მათირებდოდით, არცრას მეტყოდით ნანასა,
დამსოდით დავიწყებული, მაღირებდოდით დანასა.

მაგას გაზრდას ეძახით, რო ერთხელაც არ მიბრუნებდით თავს, ტირილით რომ მომკვდარვიყავიო?

ამირანმა გაიგონა ცოლის სიტყვები, შემოჰკრა ქაჯთ ბატონს ფეხებში ხმალი და დასჭრა. მოჰკლა სიმამრი, გასწყვიტა იმის ლაშქარი და გამარჯვებული და გახარებული მიდიოდა ყამართან. წინ ერთი ქალი შეხვდა. ნახა ხმალამოღებული ამირანი და უთხრა:

ნეტა ხმლიანი სად მიხვალ, ამირან თარაქამაო?
გასწყვიტე ცოლეურები, ვინ გითხრა ბარაქალაო?

შენ თუ კაცი იყო, ხმალს ჩააგებდი და წახვიდოდი ძმების საძებნელადო.

მოაგონდა უსუპის სიტყვა ამირანს: შენი ცოლის გულისათვის სუ ძმები დავილიენითო. დაავიწყდა ყამარიც, თავის თავიც და გამარჯვებაც. იმის გულში მარტო ძმების საგონარს ჰქონდა ადგილი. მაშ, თქვენი ცოდვის მზიდველი ვიყო, თუ არ გიპოვნოთ, მკვდრები იქნებით თუ ცოცხლებიო, — გაივლო გულში ამირანმა: ცოცხლები იქნებით, მეც თქვენთან გავიხარებ, მკვდრები და—მეც თქვენთან გავითხრი სამარეს და თქვენთან მოვკვდებიო. ესა სთქვა ამირანმა და გავიდა მკვდრებით მოფენილს ველზე ძმების საძებნელად. თვალგადაუწვდენელი მინდორი დახოცილი ლეშით იყო შერთული და შეფარული. ყვავი და ყორანი ხარობდა მტრების მძოვრზედ. ცალკე ნადირნი ხარობდნენ უპატრონო მკვდრებზედ და ცალკე ცის ფრინველნი. სისხლი რუებად მიდიოდა. ეძებდა ამირანი თავის დახოცილ ძმებს მკვდართა შორის, მაგრამ იმოდენა დუნიას მკვდრებში ეგრე ადვილად როგორ იპოვნიდა? ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა მკვდარი უსუპი, აიღო ხელში ამირანმა და წავიდა ახლა ბადრის საძებნელად. დიდის ძებნის შემდეგ იპოვნა

ბადრიც, ისიც მკვდარი. დააწყო ერთად მკვდარი ძმები ამირანმა, დაჯდა თვითონაც იმათთან და ერთხელ კიდევ ჩასძახა მკვდარს ძმებს: ძმებო, ნუ დამემდურებით, მეც თქვენთან წამოვალო! — და დაიცა გულში თავის მოკლე ხმალი: უნდოდა იმათთან ერთად სიკვდილი, მაგრამ ხმალმა არ გასჭრა: ამირანი არ მოკვდებოდა, თუ ნეკა-თითს არ მოიჭრიდა. დაჯდა ამირანი მკვდარ ძმებთან და დაიწყო ტირილი: სიკვდილიც აღარ მეღირსა თქვენთანაო, ღმერთი სიკვდილსაც კი იშურებს ჩემთვისაო.

ზის ამირანი და გარს ორად ნაკაფი ქაჯები ჰყრია. წამოიწევს ერთი მკვდარი ქაჯი და გადასძახებს მეორე მკვდარს ქაჯს: ადე! ადე! რა მოვიხილე: ამირანს თავის მოკვლა უნდოდა, ხმალი დაიცა გულში, მაგრამ არ მოკვდაო. იმან რომ ნეკა-თითი მოიჭრას, მეტიც არ უნდაო! გაათავა ეს სიტყვები მკვდარმა ქაჯმა, მიდვა თავი და ისევ მიწვა. დადგა ისევ სიჩუმე და სიკვდილი. გაიგონა ამირანმაც იმათი ლაპარაკი, ამოიღო ხმალი და მოიჭრა ნეკა-თითი. უდინა სისხლმა და მიწვა იგიც ძმებთან.

> ყამარო, დამსხენ ძუძუნი, შენც ჩემთან დასთმე თავიო,
> ცოცხალსა სიარსამულსა მე გირჩევნივარ მკვდარიო!

ეს სიტყვები კიდევ მოასწრო და მიაბარა სული.

> ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა ალგეთის ჭალა გაექნა;
> უძმოსა, უმამისძმოსა ამირანს თავი მოეკლა.

მივარდა ყამარიც ცრემლის შლით, დასტირა და დაჰგლოვა ამირანს, მაგრამ ვინ იყო იმის მეშველი!

ზის და ტირის ყამარი. იმისი ცრემლები ზღვას ერთვიან, მისი ცოდვით ხეებს ფოთლები სცვივა; ამირანი კი გდია უმეშველო... უცებ გამოძვრება ერთი თაგვი და დაუწყებს ამირანის სისხლს ლოკვას. მოუვა გული ყამარს, გაიძრობს ქოშს ფეხიდან, დაჰკრავს თავში თაგვს და იქვე მოჰკლავს. თაგვის სიკვდილზე გამოვარდება იმის დედა და დაუწყებს ჩხუბს და ლანძღვას ყამარს: შე კახპავ, შენა! შენის გულისათვის შენმა მამამ მოიკლა თავი; შენი ქმარ-მაზლები წინ გიწყვია მკვდრები; ამდენი ჯარი გაწყდა და შენ კი არ შეგრცხვა! იქნება ისა გგონია, რომ მეც არ მენანებოდეს ჩემი შვილი, როგორც შენ შენი მამა და ქმარ-მაზლები! ბრალი შენი, შენ რას უზამ მაგდენ მკვდრებს, თორემ მე ჩემს შვილს მალე გავაცოცხლებო! ეს სთქვა თაგვმა, გაიქცა, მიირბინ-მოირბინა, იპოვნა რაღაც ერთი ბალახი, მოიტანა, წაუსვა შვილს, გააცოცხლა და კისერში კინწის-ცემით გააქანა სოროში. ადგა ყამარიც, მოძებნა იგივე ბალახი, იპოვნა, მოიტანა, წაუსვა ამირანს და

გააცოცხლა. ადგა ამირანი, მოიფშვნიტა თვალები და სთქვა: ოჰ, რა ბევრი ძილიბიაო! ბევრი მაშინ გეძინებოდაო, — უთხრა ყამარმა, — რომ თაგვი არ გამოგვჩენიყოვო. მერე მოჰყვა ქალი ყველაფერს და უამბო, რაც საქმე გადახდა. გააცოცხლეს ბადრიც, უსუპიც და ოთხივე წავიდნენ სახლში.

ნეტავი ძმათა მრავალთა, ცხარე მზე ამოუხდება,
ვერც ვინ წაართომს დიაცსა, ვერც ვინ შინ შემოუხდება!

V

გავიდა კარგა ხანი. ამირანმა ბევრი რამ გადაჰყარა, ბევრს დევს დაუბნელა წუთისოფელი. ბევრი გველ-ვეშაპი გამოასალმა ქვეყანას. ამირანს თავის მომრევი არავინ ეგონა ქვეყანაზე. ერთ დროს იქამდის მიიყვანა საქმე, რომ დედამიწაზე მარტო სამი დევი, სამი გარეული ლორი და სამი მუხა დასტოვა. თავის სიცოცხლეში ღმერთსაც ბევრი აწყენინა, მაგრამ უკანასკნელი დანაშაული ყველას აღემატებოდა: გაამაყებულმა ამირანმა სთქვა: ის ჩემი ნათლია, ღონე რო მომცა, ნეტაი ერთი მაჭიდა, მეცადა რა ვაჟკაცია. ერთხელ მართლაც, წინ ქრისტე ღმერთი შეხვდა. ამირანმა უთხრა: ნათლიავ, შენ იმდენი ღონე მომეცი, რომ ქვეყანაზედ ვეღარავინ მიწონს, და მოდი- რაც იქნება — იქნება, ერთი შეჭიდეო.

— ამირანო, ფილაფოზი კაცი ხარ და მაგდენი როგორ არ იცი, რო ნათლიას არ უნდა ეჭიდოვო? — უთხრა ქრისტე-ღმერთმა.

— არა, უნდა მეჭიდოვო, — დაიჟინა ამირანმა.

— მაშ, კარგიო, — უთხრა ქრისტე-ღმერთმა: მე ამ ჯოხს, ხელში რო მიჭერია, დავარჭობ და, თუ ამოიღებ, გამარჯვებული იქნებიო.

კარგიო, უთხრა ამირანმა: მაგრამ ეგ ჯოხი თუნდა ამომიძვრია, თუნდ არაო.

დაარჭო ქრისტე-ღმერთმა ჯოხი. მივიდა ამირანი, დაეჭიდა და ადვილად ამოიღო. დაარჭო მეორედ ჯოხი ქრისტე-ღმერთმა და ამირანმა კიდევ ამოსწია და ისევ ადვილად ამოიღო.

— ეჰ, რას მეთამაშებიო! უთხრა ქრისტე-ღმერთსა: თუ გინდა, მეჭიდე, თუ არა და — თავი დამანებეო.

მაშინ აიღო ქრისტე-ღმერთმა თავისი ჯოხი, დაარჭო და უბრძანა, ისეთი ფეხვები გაედგა, რომ მთელ ქვეყანას სარტყელივით შემორტყმოდა. მერე უბრძანა ამირანს: ამოსწიეო!

დაეზიდა ამირანი ჯოხს, მაგრამ ტყუილად, ძვრაც ვერ უყო.

მაშინ დასწყევლა ღმერთმა ამირანი, კავკასიონის ქედზე უზარმაზარი რკინის პალო ჩასო და ზედ დიდი ჯაჭვით მიაბა. ამირანთან მიაჯაჭვა. ღმერთმა ყურშა-ძაღლიც, რომელსაც ბევრი ღვთის საყვარელი

ჯიხვი გაეწყვიტა. ეს ყურშა ყორნის ნაშობი იყო და ზურგზე ორი ფრთა ესხა; ამიტომაც არა-ნადირი არ გაეცდებოდა, ვერ წაუვიდოდა. ამირანს დღეში ერთი პური და ერთი ჭიქა ღვინო აქვს გაჩენილი, რომელსაც ყოველდღე ყორანი უზიდავს. წლის განმავლობაში ამირანი და ყურშა სჭიმავენ რკინის ჯაჭვს და პალოს ზევ-ზევით სწევენ, იქამდე მიიყვანენ, რომ ეს-ეს არის ამოძვრება მიწიდანო. მაგრამ ამ დროს ღვთის განგებით ბოლოქანქალა ჩიტი მოფრინდება და პალოს დააჯდება. ამირანმა იცის, ვინ არის ეს ჩიტი, გულმოსული მოუქნევს რკინის უროს, ჩიტი აფრენას მოასწრობს, ურო პალოს მოხვდება და ისევ ძირამდის ჩაარჯობს. ასეა მუდამ წელს. რკინის ჯაჭვი ცვდება, თხელდება, თხელდება უფრო მისგან, რომ ყურშა ძაღლი განიადაგებით ლოკავს და ათხელებს; წელიწადში ერთხელ ჯაჭვიც მიდგება ხოლმე გაწყვეტაზე, მაგრამ ქვეყნის მჭედლები დიდ ხუთშაბათ დღეს გრდემლზე კვერს დაჰკრავენ ხოლმე (ასეთია მათი ადათი) და გასაწყვეტად დამზადებული ამირანის ჯაჭვი ისევ სქელდება; იქვე ახლოს უძევს თავისი მოკლე ხმალი ამირანს, მაგრამ ვეღარცარას ის არგია: ისიც ჟანგისა და მიწის შეჭმულია. ასეთ ყოფაში არიან: ამირანი, მისი ერთგული ყურშა და იარაღი. „ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ამირანს აეწყვიტოს, თორემ მთელს ქვეყანაზე საშინელებას დაატრიალებდაო", — ამბობს ქართველი კაცი: ყველაზე უწინ მჭედლებს დაერეოდაო და მერე, თვით ღმერთზე გულაყრილი, მთელ ქვეყნიერებასაც დააქცევდაო.

ჰირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსა და გამგონებელსა ღმერთი გვწყალობდეს ყველასა.
მთას ურემი ავიტანე, წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით დაგვიძეხით, საიქიოს — ცხონებითა.

ნაცარქექია

ერთი ნაცარქექია იყო ყოვლად უღონო, არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მხოლოდ ოჯდა კერასთან და სადგისით ნაცარს ქექავდა. მოეწყინათ ძმებს მისი მუქთად რჩენა და გააგდეს გარეთ; ზურგზე ერთი გუდა ნაცარი მოჰკიდეს, ხელში სადგისი მისცეს, კალთაში ჭყინტი ყველი გამოუხვიეს საგზლად და გაისტუმრეს.

„დაიკარგე ამ ჩვენის ქვეყნიდანაო!" —.უთხრეს.

ტირილით დაადგა გზას საბრალო ნაცარქექია.

ცოტა იარა თუ ბევრი იარა, მიადგა ერთ მდინარეს, ვეღარ გაბედა წყალში გასვლა და დაჯდა კიდეზე. საღამომდე იქ იცადა. საღამოს ნახა,

რომ ერთი უზარმაზარი დევი მოადგა წყალს გაღმით და დაუწყო ხვრეპა.

„ჰეი! რომელი ხარ შენ მანდ? აქ მოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, თორემ მე თვითონ მეზარება ფეხის დასველებაო“, — გაჯ-ძახა დევს დიდგული ნაცარქექიამ.

დევმა გამოხედა და გაკვირვებით ჰკითხა:

„ვინ ხარ და რა სულიერი ხარ, რომ მაგას მიბედავო!“

„ჰმ, მე შენ გიჩვენებდი ვინცა ვარ, რომ არ მებრალებოდე, შე ბრიყვო, შენა; იცოდე, სამჯერ გაპატიებ შეცდომას და მერე კი ველარ გადამირჩები ცოცხალი, — უპასუხა ნაცარქექიამ, — შენ ჩემი ამბავი არ გაგიგონია? მე ვერმიცანი მქვიან!.. ვერ გამიმეტებია, თორემ დედა-მიწას რომ ხელი მოვავლო და ზეცას შევტყორცნო, ქვეყანა დაიქცევა. გინდა ახლავე გიჩვენო ჩემი ძალა? აბა, შენ მანდ აიღე ერთი ქვა, მეც აქ დავწყდები მეორეს, მოვუჭიროთ ხელი და, ვინც წვენს გამოადენს, კაციც ის იქნება და წვერ-ულვაშიც იმას ესხმისო!“

აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და დაფშვნა.

დაიხარა ძირს ნაცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო კალთიდან ყველი, მოუჭირა ხელი და სულ წურწკურ-წურწკურით გაადინა წვენი.

გაუკვირდა დევს, ეს რა არისო?

„აბა ერთი გავიქცეთ რიყეზე და, ვინ უფრო მეტს ბდღვირს აადენს ჩვენს ორში, ბიჭიც ის იქნებაო“, — კიდევ უთხრა ნაცარქექიამ.

აძუნძულდა გაღმით რიყეზე დევი და სულ ლაწალუწი დააწყებინა სიპ ქვებს.

გაკუნკულდა გამოღმა ნაცარქექია, უჩხვლიტა და უჩხვლიტა გუდას სადგისი, გამოვიდა ნაცარი და ისეთი მტვერი ადგა, რომ თვალით აღარ იხედებოდა-რა.

შეშინდა დევი; დაღუნა თავი და ეახლა მორჩილად ნაცარქექიას და შეასვა მხარზე.

შუამდინ რომ შევიდნენ წყალში, დევმა ჰკითხა:

„ბატონო ვერმიცანავ, როგორღაც მემჩატებითო!“

„გემჩატებიო? ჰმ, შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მაგას აღარ წამოროშავდი. ახლა უჩინარის ბაწრით ცაზე რომ არ ვიყო მიბ-მული და იქ არ მიჭერდნენ, ქვესკნელში ჩაგიტანდი. აბა ვნახოთ, ერთი ცოტათი შემიშვან ხელიო!“ — სთქვა ნაცარქექიამ. ამოიღო უბიდან სადგისი და დაჭირა კისერზე.

„ვაიმე!.. ვაიმე!.. ნუ!.. ნუ, შენი ჭირიმე! უბრძანე, რომ ისევ აგწიო-ნო“, — შეეხვეწა დევი და ნაცარქექიამაც ამოაძრო სადგისი.

დარწმუნდა დევი, რომ ეს ნაცარქექია მართლა საშინელი სულიერი რამ ყოფილაო, და მიიწვია თავის სახლში; დიდი პატივი სცა და ვახშმის

მზადებას შეუდგა: მოზილა პური, ჩააკრა კეცში და მიუფიცხა ცეცხლს. თვითონ სანადიროდ წავიდა ვახშმისათვის ნანადირევის მოსატანად და სტუმარს დაუბარა:

„თუ უკაცრავად არ გახლდეთ, ყური უგდეთ პურს, რომ არ დაიწვასო!“

პურს რომ ცალი გვერდი შეებრაწა, ნაცარქექიამ კეცის მობრუნება ვერ ინდომა, დაუწყო საკეცით ჩხუკური; წამოიქცა კეცი, დაეცა ნაცარქექიას და მოიმწყვდია ქვეშ.

დევი რომ დაბრუნდა, ნაცარქექია კეცქვეშ სულზე მიგდებული ნახა, აღარც ფერი ჰქონდა და აღარც ხორცი.

„რა დაგმართნიაო?“ — ჰკითხა.

„რა უნდა დამმართნოდეს? მუცელი ამტკივდა და ზედ ცხელი კეცი დავიდე. ახლა კი გადამიარა, აღარა მიჭირს-რა. მოდი, ამაცალე ეს კეცი!“

დევმა დაუჯერა და მოწიწებით აუსრულა ბრძანება.

ვახშმად რომ დასხდნენ, დევმა უცებ დააცხიკინა და სტუმარი სხვენზე შეაგდო. ნაცარქექიამ დირეს დაუწყო ბღაუკი.

„მანდ რას შვრებიო?“ — ჰკითხა დევმა.

„როგორთუ რას ვშვრები? ვისთან გაბედე შენ ცხვირის დაცემინება? ამ ჩხირს ავიღებ, დაგკრავ და თავ-თხლეს გადაგადენო!..“

დევმა იფიქრა: ე რა მოუსვენარი და გულბილწი რამ ყოფილა! მე ძლივს, გაჭირვებით გაუდევი და ეს კი ჩხირს ეძახის ამ დიდ, უშველებელ დირეს? ერთხელაც იქნება არ შემარჩენს და მის მიზეზიანობას ნე ვეღარ გადავურჩებიო!..“

დაჰკრა ფეხი, გავარდა კარში და ცხრა მთას იქით გადაიკარგა. დევის სახლ-კარი კი მისი მოწყობილობით ამ ნაცარქექიას დარჩა.

ისიც წავიდა, მოიყვანა ძმები, თავისთან დააყენა და უთხრა:

„ხომ გაგიგონიათ: ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო!“

წიქარა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, ჰყავდათ ერთი ვაჟი. კაცი მალე დაქვრივდა. ვაჟიც დაობლდა, დარჩა პატარა. სახლისა და შვილის მოსავლელად ვაჟის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ვაჟი დედინაცვლის ხელში ჩავარდა. უდიერი დედინაცვალი ჰყავდა, მუდამ სცემდა პატარა ვაჟს და აყენებდა ცეცხლის კალოში.

დედინაცვალს მეგობარი ჰყავდა, ქმარმა კი არ იცოდა; ვაჟმა იცოდა და დედინაცვალსაც გულით იმიტომ უნდოდა ვაჟის მოშორება.

კაცს ერთი ხარი ჰყავდა — წიქარა. ვაჟს და წიქარას ერთმანეთი საშინლად უყვარდათ. მუდამ დადიოდა წიქარასთან, აძოებდა იმასაც და თვითონაც ერთობოდა.

დედინაცვალი კი დროს ელოდა, რომ ვაჟი თავიდან როგორმე მოეშორებინა. ერთხელ მოიავადა თავი და დაიწყო ტყუილად კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა: რა გიშველისო? ცოლმა უთხრა: შენის შვილის გულ-ღვიძლის მეტი ვერაფერი მიშველისო. მამა ცოტა შეწუხდა ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ, რომ მეტი ღონეც არა ჰქონდა! ცოლი ირჩია შვილსა და დაკვლა დაუპირა.

მეორე დილაზე ვაჟი ჰხედავს, რომ მამა დანებსა ჰლესავს.

— რად გინდა, მამა, ეგ დანა, რო ლესავ? — ჰკითხა ვაჟმა.

— წაიყვანე, შვილო, — ეტყვის მამა ვაჟს, — წიქარას წყალი დააალევინე, უნდა დავკლათო.

წაიყვანა ვაჟმა წიქარა წყალზედ. ასმევს წყალს და ტირის, ტირის, რომ იმის ცრემლები წყალთ ეწევიან.

— რა გატირებს, ჩემო მეგობარო? — ჰკითხავს წიქარა: რაზედ ითხრი თვალებს, შემოგევლოს შენი წიქარა თავს!

— დაკვლას გიპირებენ, დაკვლას! — ეტყვის ვაჟი.

დაღონებული წიქარა ამოიდგამს ენას და ეტყვის ვაჟს: მე კი არა მკვლენ, შენ გიპირებენ ყელის გამოჭრასო. წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი, შემჯექ და წავიდეთო.

წავა ვაჟი, მოიტანს ყველაფერს, რაც წიქარამ უთხრა, და მოვა. შეჯდება ვაჟი წიქარაზედ და გაქუსლავს.

გაიგო ვაჟის მამამ შვილის წასვლა, შეჯდა ერთს წყეულ ღორზედ და გამოუდგა. მირბის წიქარა, მიარბენს პატარა მეგობარს, მისდევს მამაც, ღორზე მჯდომი, დალესილი დანებით; მისდევს და ის არის, უნდა დაეწიოს.

წიქარამ უთხრა ვაჟს: რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგა, გადაღვარე წყალიო! გადააქცევს წყალს ვაჟი, გაჩნდება საშინელი ზღვა. ჰღელავს შავად ზღვა, გაბრაზებულია, ტალღები სიკვდილს უქადიან ყველას, მაგრამ ღორი არ უდრკება ზვირთების ცემას და მისცურავს. სანამ ღორი ზღვას გადაცურდება, წიქარა და მისი მეგობარი კარგა გზას გაივლიან. ბოლოს გამოვა ღორიც. წიქარა ეტყვის ვაჟს: თავი მიიბრუნე, აბა, მოდის თუ არაო? მიიბრუნებს ვაჟი თავს; შორს ბუზივით რაღაც მორბის და მოფრინავს. წიქარას ეტყვის: ბუზის ტოლად კი ჩანს რაღაცაო!

— ეგ ღორია და ზედ მამაშენი ზისო, ეტყვის წიქარა და გაეშურება: წავიდეთ, მეგობარო, გავექცნეთ უსამართლობას, როდესაც იმის წინაალმდეგ ფარი არა გვაქვსო.

მირბის წიქარა და მიაქროლებს პატარა ვაჟს; მორბის ღორი და მოაელვებს ვაჟის მამა დააფთრებულ დანებს... ცოტა კიდევ და ღორი დაეწევა წიქარას!

— გადააგდე სავარცხელიო! — შესძახა ვაჟს წიქარამ.

გადააგდო ვაჟმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი ხშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. სჭრა კბილით ღორმა, სჭრა და გავიდა. წიქარა და ვაჟი მირბიან.

კარგა გზა აქვთ გავლილი. მოიხედავს ვაჟი: შორს ბუზივით რაღაც მოჩანს. — ღორი მოგვდევსო! ეტყვის წიქარა... ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ღორი წიქარას დაეწევა, მაგრამ გადააგდებს ვაჟი სალესავს და აიმართება საშინელი თვალუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. სჭრის ღორი, სჭრის, რაც ძალი და ღონე აქვს, აკეთებს კლდეში საკიბურებს და ადის ზევით. შუა ადგილში რომ მივიდა ღორი, ჩააჭრა კლდის ფხას ფეხი და თავის მხედრით უფსკრულში კი ჩაინთქა... წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც! ვაჟსა და წიქარას ხსნის იმედი მოეცათ.

იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ გაიყვანა ვაჟი ერთს ტრიალს მინდორზე. იქ ერთი ალვის ხე იდგა, რომ იმის წვერი ცასა ჰხევდა. შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი საჭირო, ერთი სალხინო და უთხრა: მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრებზე, ვძოვ, დავირჩენ თავსა, შენ აქ იჯექ: გაგიჭირდეს, დაუკარ საჭირო სალამური და მე მაშინვე აქ დავიბადები; გილხინდეს, დაუკარ სალხინო სალამური, საქმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაც. გამოეთხოვა და წავიდა წიქარა.

ვაჟი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს. გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, საშინლად მოეწონა და გადაწყვიტა იმისი შოვნა. მიჰყვა სალამურის ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ნახა, რომ ბიჭი სალხინო სალამურს უკრავს, პეპლები კი მოგროვილან იმასთან და სალამურის ხმაზედ თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით თვალები გადმოუბრუნდა. ვაჟს დაუძახა: ჩამოდი ძირს, სალამური მაჩვენე, რისაა გაკეთებულიო. მაგრამ ვაჟი არ ჩამოვიდა: წიქარასაგან ჰქონდა ნათქვამი, რომ ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ვაჟმა არ გაუგონა მეცხვარეს და არ ჩავიდა.

ადგება შურიანი მეცხვარე და წავა ხემწიფესთან. ხემწიფეს მოახსენა: ამა და ამ ადგილას ერთი ვაჟი ზის ალვის ხეზედ და ისე უკრავს

სალამურს, რომ იმისი დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობსო .ხემწიფემ მაშინვე დაიბარა თავის ნაზირ-ვეზირები და უთხრა: ან თქვენ უნდა მოიყვანოთ ის ვაჟი და ან უნდა იშოვნოთ იმის მომყვანიო.

ნაზირ-ვეზირებმა ხემწიფესთან ერთი ბებერი მოიყვანეს. ბებერმა უთხრა: მე მოვიყვან იმ ვაჟსო. ადგება ბებერი, წაიყვანს ერთს თხას, ერთს სადგისს წაიღებს და მივა ალვის ხის ძირში. ვაჟი ზის ალვის ხეზე და უკრავს სალხინო სალამურს. ბებერი ალვის ხის ძირში დგას, ჩხვლეტავს სადგისით თხას და აჩხავლებს. ვაჟი დაინახავს, რომ ბებერი თხას აჩხავლებს, და დაუძახებს: რასა ჰშვრები, დედილო, რად აჩხავლებ მაგ თხასაო?

— დაკვლა მინდა და ვერ დამიკლავს. ამდენი სიკეთე მიყავ, ჩამოდი, დამიკალიო!

ვაჟი რას მოიფიქრებდა, თუ ბებერს ღალატი ედვა გულში! ჩავიდა ძირს, ბებერმა დაათრო და დააძინა.

წაიყვანეს ხემწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში. ვაჟს გამოეღვიძა, ნახა თავის-თავი დატყვევებული და დაღონდა. დაიწყო ტირილი, ინატრა თავის სალამურები, მაგრამ იმის სალამურები ალვის ხეზედ იყვნენ ოხრად დარჩენილები. ვაჟი ფანჯარასთან იჯდა და გაჰცქეროდა ცასა. ცხრაკლიტულს ყვავმა გაუარა გვერდზედ. დაინახა ვაჟმა და შეესძახა: ყვაო, ყვაო, სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი, შენი შვილების მზეს, მინდორთ რო ალვის ხე დგას, იქ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანეო!

— მე რომ ლეშსა ვჭამდი და შენ კი ქვებს მესროდი, აღარ გახსოვსო? — უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზას.

გააყოლა თვალი ვაჟმა და ჩამოჰყარა ცრემლები.

გაუარა ყორანმა.

— ყორანო! ყორანო! წადი, შენის შვილების მზეს, ალვის ხეზე სალამურები დამრჩა და აქ მომიტანეო. გასძახა ვაჟმა ახლა ყორანს.

— მე რო წიქარას ლეში გთხოვე და არ მომეცი, სალამურს რად მოგიტანო! — ჩამოსძახა ყორანმა, გასცილდა და თავის სიშავით უფრო გააშავა ისეც შავი და მწარე დღე პატარა ტყვისა.

გადაუარა არწივმა.

— არწივო, არწივო, მხარკვერიანო! — გასძახა ვაჟმა: ფრინველთ მეფე ხარ; სადაც მაღალი კლდე არის და ხე, შენი საბუდარია. მაშ წადი და მინდორთ ალვის ხე იდგა, იქ სალამურები დამრჩა და მომიტანე.

— მე ჩემი საქმე მაქვს: შენგან კრავი როდის მიმიღია საჩუქრად, რო მე სალამური მოგიტანო. — უპასუხა არწივმა და მხრების შხლარტუნით გასცდა.

გადმოიფრინა ჩიტმა, ამასაც შეესძახა ვაჟმა: ჩიტო, ჩიტო, შენის ბარტყების გაზრდას, მინდორთ სალამურები დამრჩა და მომიტანე!

— შენ რომ მახეს გვიგებდი და ბუდეს გვიშლიდი! მე ვერ მოგიტან, სხვას სთხოვეო, — უთხრა ჩიტმა და გასცდა ჟივილ-ხივილით.

გააყოლა თვალები ვაჟმა და ჩამოსცვივდა ცრემლები.

ბოლოს მერცხალი დაინახა; ვაჟმა შესტირა:

— მერცხალო, მერცხალო, გაზაფხულის მახარობელო! მინდორთ სალამურები დამრჩა, წადი და მომიტანეო.

— საით მიფრინავ, მერცხალო,
საითკენ მიეშურები?
მინდვრად რომ ალვის ხე ხარობს,
ციანი წყარონიც დიანო,
იქ პეპელები სხდებიან,
ტურფად კრელ მხრებსა შლიანო;
შაიყრებიან ჩიტებიც,
ყვავილნიც შეკრბებიანო:
წიქარაც იმათთან მოდის,
იქ დაინახავ, ხვთიანო!
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დალპებიანო,
გაფრინდი, აქ მომიტანე,
ჩემო ლამაზო მხრიანო!

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები.

დაუკრა საჭირო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა სალამურის ხმა და გაეშურა ვაჟისაკენ. გააფთრებული ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი გასატეხი ჰქონდა და მოსტყდა ერთი რქა. დაღონდა წიქარა. ისე თავის რქას არა სჩიოდა, როგორც თავის მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა.

ერთი თაგვი გამოძვრა და წიქარას უთხრა: რას მომცემ, რომ რქა მოგაბაო? შენს ლეშს ხო მაჭმევო?

— გაჭმევო, — უთხრა წიქარამ. თაგვმა გაუმთელა რქა: ეცა წიქარა და შელეწა მეცხრე კარიც. შევიდა ვაჟთან, შეისვა ზურგზედ მეგობარი და გაეშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ვაჟი ალვის ხეზედ და თვითონ კი ისევ მინდორში წავიდა.

არის ვაჟი ალვის ხეზედ, უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა. ბოლოს მოაგონდება წიქარა, მოუნდება იმისი ნახვა, დაუკრავს საჭირო სალამურს, დაუკრავს, მაგრამ არსად არის წიქარა. ელის ვაჟი წიქარას, მაგრამ არსად ჩანს წიქარა. დაღონდა ვაჟი, ჩამოვიდა ძირს, დაუკრა საჭირო სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა. იმის ცოდვით

ბალახნი ტიროდნენ, პეპლებიც აღარა ფრინავდნენ და ცრემლებსა ღვრიდნენ, ხეებიც აღარ ინძრეოდნენ. უკრავდა სალამურს და ცივ კლდეებსაც ცხელი ცრემლები სდიოდათ. უკრავდა სალამურს და შავი ყორანი კი ნალეშარით საითღაც მიეშურებოდა. წავიდა ვაჟი. ეძება წიქარა და ბოლოს მინდორში მკვდარი იპოვა: შავს ყორანსა და უგვარო სვავ-ყაჟირებს თვალები გამოეთხარათ, ყვავ-კაჭკაჭებს გამოეხრათ. დასტირა ვაჟმა წიქარას, დასტირა ცხარედ: აღარც სალხინო და აღარც საჭირო სალამური არ დაუკრავს, შეძვრა წიქარას გვამში და მოკვდა იმასთან.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსაც
ღმერთი გწყალობდეთ ყველასა.

რწყილი და ჭიანჭველა

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. მიადგნენ ერთს რუსა.

რწყილმა უთხრა ჭიანჭველასა:

მე გადავხტები და შენ რაღა გეშველებაო?

განა მე კი ვერ გადმოვხტებიო, — უთხრა ჭიანჭველამ.

რწყილმა ისკუპა, გადახტა; ჭიანჭველამ ისკუპა, წყალში ჩავარდა. შეეხვეწა რწყილსა:

ძმობილო, მიშველე რამე, ნუ დამარჩობო.

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა:

ღორო, მომე ჯაგარი,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

ღორმა უთხრა:

შენ რომ ჩემთვის რკო მოგიტანიაო!?

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და სთხოვა:

მუხავ, მომე რკო,
რკოს მივუტან ღორსა,

ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა.
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

მუხამ უთხრა:
შენ რომ ჩემთვის ყვავი მოგიშორებიაო!.
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ყვავთან და სთხოვა:

ყვავო, ეხსენ მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავუგდებ. ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

ყვავმა უთხრა:
შენ რომ ჩემთვის წიწილა მოგიყვანიაო!?
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და სთხოვა:

კრუხო, მომე წიწილა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

კრუხმა უთხრა:
შენ რომ ჩემთვის ფეტვი მოგიტანიაო!?
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან და სთხოვა:

ორმოვ, მომე ფეტვი,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

ორმომ უთხრა:
შენ რომ ჩემთვის თაგვი მოგიშორებიაო!?
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა თაგვთან და სთხოვა:

თაგვო, ეხსენ ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

თაგვმა უთხრა:
შენ რომ ჩემთვის კატა მოგიშორებიაო!?
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა:

კატავ, ეხსენ თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

კატამ უთხრა:
შენ რომ ჩემთვის რძე მოგიტანიაო!?
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა:

ძროხავ, მომე რძე,
რძეს მივუტან კატასა,
კატა დასთმობს თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,

კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

ძროხამ უთხრა:

შენ რომ ჩემთვის ბალახი მოგიტანიაო!?

რწყილი წავიდა, დაგლიჯა მინდორში ბალახი და ძროხას მიუტანა.

ძროხამ მისცა რძე, რძე მიუტანა კატასა, კატა დაეხსნა თაგვსა, თაგვი მოშორდა ორმოსა, ორმომ მისცა ფეტვი, ფეტვი მიუტანა კრუხსა, კრუხმა მისცა წიწილა, წიწილა მიჰგვარა ყვავსა, ყვავი დაეხსნა მუხასა, მუხამ მისცა რკო, რკო მიუტანა ღორსა და ღორმა ჯაგარი უთავაზა.

ჯაგრის ბაწარი დაგრიხა რწყილმა და ჩაუგდო წყალში ჭიანჭველასა, რომელიც ბალახს მოსჭიდებოდა.

ჭიანჭველა ბაწარზედ შეჯდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, ჭიანჭველა ნაპირს გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა, — მერე ისევ ძმურად გაუდგნენ გზასა.

ანდაზები

ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.
ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ მოეწევა მწევარიო.
ადრე ამდგომსა ყმაწვილსა დედა უმზადებს სადილსა.
ათჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერო.
ერთი კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო.
ერთხელაც იქნება მელას მინდორში გაუთენდებაო.
ვისაც სახლი არ აუგია, ჰგონია, ბოძები თავისთავად ამოსულანო.
თავდაბლობამ ცანი მოდრეკიანო.
თივაში ცეცხლი არ დაიმალება.
კარგი მეზობელი მზის უწინარეს დასანახავიაო.
კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსი.
ლომი ფრჩხილებით იცნობებაო.
მუცელი ჩემს ქვეით არის, ჩემს ზეით არ არისო.
რასაც დასთეს, იმას მომკიო.
სხვის ამარ ფართო ლოგინს ნუ დაიგებო.
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.
ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა.
ტკბილი ენა გველს ხვრელიდან გამოიყვანს.
ტყუილს მოკლე ფეხები აბია.
ქოთანმა თქვა: ოქროს ფსკერი მაქვსო. კოვზმა უთხრა, მე შიგ
დავცურავ და შენ მე მასწავლიო?
ყვავსაც თავის ბახალა მოსწონს.
ყველა ციცინათელას მისდევსო.
ყველი და პური — კარგი გულიო.
ყმაწვილის ენა დედას ესმის.
შაშვმა თქვა: თორმეტნაირი გალობა ვიცოდიო, ერთმა ალალმა
დამიტიაო და სულ დამავიწყდაო.
შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა.

გამოცანები

ხია, ხია, ხია ბალი, ზედ ასხია მწარე ბალი,
არც ისმევა, არც იკმევა, არცა ზედა გაისვლება.

თავს მოვკრი, გულს ამოვიღებ,
სასმელს მივცემ და ილაპარაკებს.

შავია შაშვი არ არის, თეთრია, ყველი არ არის,
კუდი აქვს, თაგვი არ არის.

ობლი ბობლი
ვერცხლის ტახტი,
მზით ავიღე,
მთვარით დავდგი.

ბევრჯერ მნატრობენ,
გულით მელიან,
როცა მოვალ-კი
იმალებიან.

დამაცადე ყიყო,
ობა შენ რა გიყო,
პერანგი ჩამოგახიო,
თავი ცეცხლში გიყო.

ერთსა სულიერსა ამბობენ;
უჩინარსა და ხმიანსა,
ზღვასა და ხმელეთს დაივლის
და შინ მოიტანს გრიალსა.

ქ ა რ თ უ ლ ი
კ ლ ა ს ი კ უ რ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა
დ ა
რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ დ ე ლ ი
მ წ ე რ ლ ო ბ ა

შოთა რუსთაველი

გენიოსი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები არ შოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ ის ცხოვრობდა თამარ მეფის დროს, XII საუკუნეში. შ. რუსთაველმა თავისი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი" თამარ მეფეს მიუძღვნა, როშლის დროსაც ქართული მწერლობა, ხელოვნება და ფილოსოფია დიდად იყო განვითარებული.

ვეფხისტყაოსანი

ტარიელისაგან თავის ამბის მბოძება ავთანდილთანა

„ისმენდი, მოეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა,
საუბართა და საქმეთა, ვითა ძლივ ვათქმევ ენასა;
იგი, ვინ ხელ-მქნა, მოველი მისგან აროდეს ლხენასა,
ვისგან შევუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა.

„ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი;
ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი,
უხვი, მდაბალი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი,
ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი.

„მამა ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი;
ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი;
ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუფარავი.

„ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები;
თქვა: «წამიღია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები,
ყოვლგნით გამისხმან, მორჭმით ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები»;
ბრძანა: «წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები».

„ფარსადანს წინა დაასკვნა გაგზავნა მოციქულისა;
შესთვალა: «შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა,
აწ მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,
სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა».

„ფარსადან შეექმნა ზეიმი ამა ამბისა მცნობელმან;
შესთვალა: «ღმერთსა მადლობა შევსწირე ხმელთა მფლობელმან,
რათგან ეგე ჰქმენ მეფემან, ჩემებრ ინდოეთს მჯდომელმან;
აწ მოდი, ასრე პატივ გცე, ვითა ძმამან და მშობელმან».

„ერთი საბეფო, საკარგყმო, უბოძა ამირბარობა, —
თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპასალარობა;
მეფე რა დაჯდა, არა სჭირს ხელისა მიუმცთარობა;
სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა.

„თვით მეფემან მამა ჩემი დაიჭირა სწორად თავსა;
თქვა: «ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისცა ჰყავსა!»
ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლევდიან მტერნი ზავსა;
მას არა ვჰგავ ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა.

„ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა,
ჭმუნვა ჰქონდა, ჟამი იყო, მით აეხვნეს სპანი ზარსა;
ვა, კრულია დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა!
მეფემ ბრძანა: «შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა».

„მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად;
მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად.

„ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა;
ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა;
ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა, მართ ვითა სირისა;
არა ჰგაოდის ფარსადანს მისი არა სმა შვილისა.

„ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერ-მიხდილისა,
მზესა მე ვსჯობდი შვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა;
იტყოდეს ჩემნი მნახავნი: «მსგავსია ედემს ზრდილისა».
აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა.

„მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი“, —
ესე რა თქვა, ყმამან სულთქნა, ცრემლით ბრძანა: „შობა ქალი“;
დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი;
თქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი!

„წიგნი წიგნსა ეწეოდა, დედოფალი ოდეს შობდა,
მოციქული — მოციქულსა, ინდოეთი სრულად სცნობდა;
მზე და მთვარე განცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა;
ყოვლი არსად შემოსრული მხიარული თამაშობდა.

„ქება არ ითქმის ენითა, აწ ჩემგან ნაუბარითა;
ფარსადან დაჯდა ხარებად ზეიმითა და ზარითა;
ყოვლგნით მოვიდეს მეფენი ნიჭითა მრავალ-გვარითა;
საჭურჭლე გასცეს, აივსნეს ლაშქარნი საბოძვარითა.

„საშობელი გაიყარა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა;
მართ მაშინვე ჰგვანდა იგი მზისა შუქთა ნასამალსა;
ვუყვარდით და სწორად ვუჩნდით მეფესა და დედოფალსა;
აწ ვახსენებ, ვისგან ჩემი დაუდაგავს გული ალსა!“

„მას ქალსა ნესტან-დარეჯან იყო სახელად ხმობილი;
შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი,
მთვარისა მსგავსი, შვენებით მზისაგან ვერ შეფრობილი;
მისსა ვით გასძლებს გაყრასა გული ალმასი, წთობილი!

„იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესლვა ომსა;
მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწთომსა,
მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა;
ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა.

„მეფემან კოშკი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა;
ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა;
კარზედა ბაღჩა, საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა;
იგი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი ალისა!

„დღე და ღამე მუჯამრითა ეკმეოდის ალვა თლილი;
ზოგჯერ კოშკს ჯდის, ზოგჯერ ბაღჩას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი,
დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი,
მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი.

„სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა;
ვერვინ ვხედევდით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა;
ასმათ და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა;
მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს განაზარდითა.

„თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა;
დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა;
ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა,
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.

„მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან;
მერმე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან;
შევიდი, შევქმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან;
აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ-ბადახშეულმან!

„მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა;
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისა და ნიშისა;
მათ გაეხარნეს, ვის ზარი დალევდის მისგან შიშისა;
ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა — ხსენება იშისა.

„მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთრო-გაცუდებული,
დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან სულ-დაღებული;
გაყვანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული,
ებრძანა: «შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებული.

«ჩვენ უფრო გვტკივის იგი, ვინ დაგვაკლდა სწორად თავისა»;
ასი ებოძა საჭურჭლე, ებრძანა ახდა შავისა,
ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა:
«შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა».

„ავენთი, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტობელთა;
უკუნით გამომიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა;
გამოსლვისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მფლობელთა,
შორს მომეგებნეს, მაკოცეს პატივით ვითა მშობელთა.

„მათ საჯდომთა ახლოს დამსვეს, პატივს მცემდეს ძისა დარად,
მის ხელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წყნარად;
ურჩ ვექმენ და მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად;
არ მომეშვნეს, დავჰმორჩილდი, თაყვანი-ვეც ამირბარად.

„აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წელია;
გიამბო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია!
ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია,
მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცეს ხანგრძლად მწველია“.

ნასლვა ავთანდილისაგან

ფრიდონისასა

(შემოკლებით)

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გაქირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმა მისწვდების ცათამდის,
იტყვის, თუ: „ღვარი სისხლისა კვლაცა მდენია, კვლაცა მდის,—
აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა დაცამდის, —
კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“.

ველს მაშინ მხეცნი ძღებოდეს სისხლითა მუნ ნატირითა;
ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა;
კვლა თინათინის გონება ავსებს უფროვე ჭირითა;
ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა.

ვარდი ჭნებოდა, ღრეებოდა, აღვისა შტო ირხეოდა;
ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა;
გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმხნეოდ ა;
იტყვის, თუ: „ბნელი რას მიკვირს, რათგან დაგაგდე, მზეო, და!“

მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის ღაწვთა დარად,
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათობთ მთა და ბარად;
ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამად გიჭვრეტ არ დამცთარად,
მაგრა ჩემი რად დაგაგდე გული ცივად, გაუმთბარად?

„თუ ერთისა მოშორვება მზისა ზამთარს გაგვიმციენებს;
მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს?
მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ იმტკივნებს;
წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს, ანუ გაამსივნებს“.

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, ღმერთო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!

„მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ [ვწვლდები;
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ რაგვარ ვბნდები,
მიდი, უთხარ ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები.

„აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან;
მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან“.

აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია,
რას გარგებს მოკლვა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია;
მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია,
მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!

„თუ დავრჩეო, ესე მიჯობს, — სიცოცხლისა იტყვის თუსა, —
ნუთუ მომხვდეს ნახვა მზისა, ნუ ვიზახი მიწყივ უსა“.
მიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ დასწყვედდის ცრემლთა რუსა,
მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა.

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით [მფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.

სულხან-საბა ორბელიანი

1658—1725



დიდი ქართველი მეიგავე და ლექსიკოგრაფი სულხან ორბელიანი დაიბადა 1658 წლის 4 ნოემბერს (ახ. სტ.) სოფ. ტანძიაში (ბოლნისის რ.). ს. ორბელიანმა შესაფერისი განათლება მიიღო. ზედმიწევნით იცოდა სხვადასხვა მეცნიერება, განსაკუთრებით ფილოსოფია. ს. ორბელიანი 1698 წელს ბერად აღიკვეცა და საბად იწოდა. ს. ორბელიანის კალამს ეკუთვნის ცნობილი იგავ-არაკების წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“, ლექსიკონი „სიტყვის კონა“. მონაწილეობა მიიღო იგავ-არაკთა წიგნის „ქილილა და დამანას“ სპარსულიდან ქართულად თარგმნაში.

სულხან-საბა-ორბელიანი გარდაიცვალა 1725 წელს, ქ. მოსკოვს.

ს. ორბელიანის იგავ-არაკებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ძალა ერთობისა

მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყავდა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თავისთა, მოაღებინა ოცდაათი ღ'სარი, შეკრა მაგრად და მოიზიდა, რათა გატეხოს, და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოიზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა თვისთა: „თუცა ერთად ხართ და ერთსა პირ'სა ზედა დგეხართ, მტერი ეგრედ ვერ გაგტეხთ, ვითა წეღან მე შეკრული ისარი ვერ გავტეხე, თუ გაიყარენით, ესრედ თითო-თითოდ დაგლეწოთ მტერმან, თვითცა მოგთხაროთ და მოყვარეცა“.

უტკბესი და უმწარესი

ერთმან მეფემან უბრძანა თვისსა ვეზირსა: „წადი, ასეთი საჭმელი მომიტანე, რომ ხმელზედ მის უტკბესი არ იყოსო და არც ზღვასა შინა იპოვებოდესო!“ წავიდა ვეზირი, ენა უყიდა; მოიტანა, შეწვა, აჭამა. მოეწონა. მეორედ უბრძანა: „წადი, ასეთი მომიტანე, მის უმწარესი არ იპოვებოდესო ქვეყანაზე!“ წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა.

უბძანა მეფემან: „მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე, კიდევ ენაო“. მოახსენა ვეზირმან: „თავმან შენმან, არცარა ენის უტკბესი იქნებისო და არცარა ენის უმწარესიო პირსა ყოვლისა ქვეყნისასა“.

მეფე და მხატვარი

მეფე იყო ლავდიკისა ცალ თვალი. ყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზს ეძებდა მის მხატვრისასა. უბძანა: „მიხმს, ჩემი მსგავსი სახე დამიხატო!“ თქვა გულხა შინა მხატვარმან: „აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისა! თუ ბრმა დავხატო, მომკლავს, „ვით მკადრეო“, თუცა ორ თვალი, მომკვეთს თავს, „როდის არს მსგავსი ჩემიო?“ მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი, მეფეს ხელთა თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმით მიზეზი ვერა პოვა, და ძორჩა მხატვარი იგი.

ამაო სიმდიდრე

ერთმა კაცმან დიდძალი ოქრო მიწასა დაფლა. დღე ყოველ მივიდის, ადგილი იგი ნახის. შეამცნივა ერთმა სხვა კაცმა და თქვა: „მივიდე, ადგილი იგი მოვთხარო, რომელსა კაცი იგი ხშირად ნახავს, და ვნახო, რა უძსო?“ მივიდა ღამე, მოთხარა ოქრო; იგი წაიღო, მის წილ ლოდი დამარხა. მოუნდა კაცსა მას ნახვა ოქროსი: მოთხარა, ნახა, ოქროსა ნაცვლად ლოდი იდვა. დაიწყო ტირილი და ვაება. მივიდა კაცი იგი მომპარავი, კითხა: „რას სტირიო?“ მან უთხრა: „ოქრო დავფალი, დახარჯვა არ მენება, იგი მოუპარავთ და ლოდი დაუფლავთო“, უთხრა მან კაცმან: „ვაი შენდა! რად სტირი? მაგ მიწაში თუნდა ოქრო იდვას, თუნდა ქვაო, თუცა არ დახარჯევდიო!“

ორმოში ჩაგდებული მეფე

ორნი მეფენი შეიბნენ. ერთმან მეორეს სძლო, შეიპყრა და ორმოში ჩააგდო. გამოხდა ხანი. მივიდა ერთი მეცნიერი კაცი, ენება ამოყვანება და გაპარება მისი. ჩასძახა ორმოსა შიგან და უთხრა: „კარგად არა ვიქმ, რომ გაგაპაროო?“ მან მეფემ მადლი უბძანა. თოკით ამოზიდა და ამოიყვანა. კიდევ უთხრა: „კარგად არა ვქენ, რომ ამოგიყვანეო?“ მეფემ კიდევ მადლი უბძანა. მესამედ კიდევ უთხრა: „კარგად ვქმენო?“ ეწყინა მეფესა და დაიძახა: „ვინა ხართ, ამ კაცმა გამაპარაო!“ მოვიდენ მცველები, შეიპყრეს ორნივე. კითხეს მეფესა: „რად გაამღლავნე და არ გაიპარეო?“ მან თქვა: „ვირემ ამომიყვანდა, საყვედურით ამაგსო; თუ შინ მიმეწია, კიდეც დამარჩობდა, აქავ ყოფნა ვირჩივეო“.

დავით გურამიშვილი

1705—1792

დავით გიორგის ძე გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს. ქართლში ლეკების თარეშის გამო გურამიშვილის ოჯახი გაიხიზნა ქსნის ხეობაში, სოფ. ლამისყანაში. მაგრამ ლეკების თარეშს ვერც ლამისყანა გადურჩა. ახალგაზრდა პოეტი ჰერის მკის დროს წყაროზე ჩასულა პირის დასაბანად და ამ დროს გაუტაცნიათ ლეკებს 1728 წელს და დაღესტანში წაუყვანიათ. დ. გურამიშვილი რამდენჯერმე გაიპარა ტყვეობიდან, ბოლოს, დიდი წვალების შემდეგ შეუერთდა რუსეთში მეფე ვახტანგ VI ამალას. დ. გურამიშვილი რუსეთში ჩაირიცხა ქართულ „ჰუსართა პოლკში". ამგვარად პოეტი გახდა სამხედრო პირი. დ. გურამიშვილი მონაწილეობდა მრავალ ომში, იბრძოდა რუსეთის მეომრებთან ერთად შვიდწლიან ომში პრუსიელების წინააღმდეგ, საბოლოოდ დასახლდა უკრაინაში, რომელიც პოეტისათვის მეორე სამშობლოდ იქცა.

დ. გურამიშვილი გარდაიცვალა 1792 წელს, ქ. ჰირგოროდში. უკრაინელი ხალხი დიდ პატივს სცემს ქართველ პოეტს.

დ. გურამიშვილის ნაწარმოებების კრებულს ეწოდება „დავითიანი", სადაც მოთხრობილია, როგორც თვით პოეტის დუხჭირი ცხოვრება, ისე საქართველოს იმდროინდელი ვითარება.

ცალკე აღსანიშნავია გურამიშვილის ლექსი: „სწავლა ძოსწავლეთა", რომელიც საგანგებოდ ახალგაზრდობისათვის არის დაწერილი.

სწავლა მოსწავლეთა

ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა;
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობია, ბოლოქამ დანანებასა, —
ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი;
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების,
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

ვით უსაჭურვლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს, —
ეგრეთ ჭკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

ვსძებნე და ვერა ჰვპოე რა მჯობნი ამ სწავლა-მცნებისა.
ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა.
ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა.

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა;
მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნელი ოფლითა ცხელითა,
გლახა კარის-კარ თხოვნითა; — შენა გწადს აწ რომელითა?

ვით ძნიად წნორი ბერ-ფუყი დაიგრიხების წნელადა,
ეგრეთვე კაცი მხცოვანი განისწავლების ინელადა,
ვით ახალ მორჩი ვაზისა ხელს მიყვეს საფურჩნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს — გასაწვრთნელადა.

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?
ვინცა ქმნა თივა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო?
და ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს ულაგმო და უსადაო?

უნდა ქალმან და ყმაწვილმან დაჰხუროს ბაგე კბილოსა.
ფეხი არ ახსნას საბლითა და ენა შებორკილოსა:
არ მისცეს ნება შეძვრისა წარბს, წამწამს, თვალის კილოსა
და არცავინ თვით სხვა გაკილოს, არც სხვისგან გაიკილოსა.

ილია ჭავჭავაძე

1837—1907

ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური დიდი ქართველი მწერალი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 27 ოქტომბერს სოფ. უვარელში (კახეთი). 8 წლისას შინ დააწყებინეს სწავლა. 1848 წელს სწავლობდა თბილისის ჰაკეს პანსიონში, შემდეგ გადაიყვანეს ვაჟთა გიმნაზიაში. 1857 წელს გაემგზავრა პეტერბურგს უმაღლესი განათლების მისაღებად.

ილ. ჭავჭავაძემ რუსეთში შეითვისა მოწინავე ინტელიგენციის იდეები და ფრიად განათლებული დაბრუნდა თავის სამშობლოში.

ი. ჭავჭავაძე რუსეთის მეფის ჯაშუშთა მიერ მოკლულ იქნა 1907 წელს.

ი. ჭავჭავაძე წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს და პუბლიცისტურ წერილებს იმდროის ყველა საჭირბოროტო საკითხებზე.

ილ. ჭავჭავაძემ ცნობილი ლექსი „ბაზალეთის ტბა“ დაწერა 1883 წელს, მხოლოდ პირველად დაბეჭდა საბავშვო ჟურ. „ჯეჯილი“-ს პირველ ნომერში 1890 წელს.

გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები!

ნანა

ნანა, შვილო, ნანინა!
ნეტა რამ შეგაშინა?
რაზედ შეჰკრთი, მტირალნი
რისთვის მომაპყარ თვალნი?
ჯერეთ ხომ შენი ბედი,
გრძნობა წინამორბედი
არ უხატავს მაგ შენს თვალს
ქართველთადმი ღვთიურს ვალს!..

მაშ რაღამ შეგაშინა?
ნანა, შვილო, ნანინა!

ჯერ მინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ დრო მოგესწრება,
ისწრაფე, შვილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,

მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ გაგეცვლება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

გაიგებ მამულისას,
ბედ-ქვეშ დაჩაგრულისას,
კვნესის ხმასა მწუხარეს,
შველის ძახილს მმუდარეს;
დალოცვილსა ჩემგანა
გული აგიღელდება,
შვილო, დედისა ნანა
ხმლის ელერად შეგეცვლება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

ჰნახავ ჩვენ ბედშაობას,
ძველს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს...
აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი შეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

დედათა გული ჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოჰკვდება!
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!
მე ისე არ წავხდები,
ნანა, შვილო, ნანები!

ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისი სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!..
შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანები!

იცოდე, ეგ სიკვდილი
მეტი დიდი რამ არი!
უკვდავი არის შვილი,
მამულისთვის მომკვდარი!
მამულს მიგცა ზეცამა
და, თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ-იცეს დედამა,
რომ კაცი კაცად ჰკვდები.
ნუგეშს ვიცემ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

სიკვდილის წამში მამულს,
შვილო, შენ გაუღიმებ,
რომ სისხლს, მისგან მოცემულს.
მასვე გმირებ უბრუნებ.
აღსრულდები ღიმილით —
რომ მამულს არ უმტყუნე,
და შენ შენის სიკვდილით
მის სიკვდილი დასთრგუნე.
გაიხარებ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე,
რაც მე სიტყვა გითხარი —
შენ საქმით აღმისრულე!
ნანა, მამულის მსხვერპლო,
პაწაწინა ქართველო!

ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე უცხო წალკოტი ჰყვავისო.
მწვანეა მუდამ წალკოტი, არასდროს თურმე არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში მუდამ გაზაფხული არი.
წალკოტის შუაგულშია ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა არავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი იმ აკვანს გარს ახვევიან,
მარტო იგინი, გრძნეულნი, დასტრფიან და დამღერიან...
ამბობენ, თამარ დედოფალს ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი აღარ ამბობენ, — აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი ზედ ტბად რისთვის დაადინა...
იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე და ღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი?

თუ ესე არის, ნეტა მას ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის თვის ძუძუს, მადლით ცხებულსა!

რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ

(ნაწყვეტი)

მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მომაშორა;
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლ-კარიდგან გამაგდეს შორა.

ჯერ-კი დავღონდი, დაჩაგრდა გული,
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა...
სხვები ლხინობდნენ და მე კი ლული
ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა.

პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემს გულჩვილობას იქ დასცინოდნენ,
დაჰვიწყებოდათ თავის დარდები,
როცა ისინიც ჩემებრ ატიროდნენ!..

მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა, —
ჩემს ამხანაგებს გავექცეოდი,
მივუჯდებოდი ერთ ბუჩქის ძირსა
და იქ მარტოკა დიდხანს ვტიროდი.

მაგრამ ღრუბელმა გადაიარა,
თან გადიტანა ჩემი ნაღველი;
პატარა გულმა გამოიდარა
და შეეუბრუნე ნაღველსა ხელი.

ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე,
კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი;
ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე
აღარ ვფიქრობდი, არ ვღონდებოდი.

ძამო! რა ტკბილად, რა უდარდელად
ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ!
არარა მქონდა იქ საფიქრელად
ჩემი მოძმენი არ მაძალებდნენ.

ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა,
გავიზიარეთ ყველამა საქმე,
და რიგ-რიგადა, ყველა ძმურადა
ვყარაულობდით ძროხასა ღამე.

რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა,
და გაეკვროდა ვარსკვლავი ცასა,
გაშლილი ძროხა მოგროვდებოდა
და დავიწყებდით ყველანი თვლასა.

და დავაბამდით რაკი ძროხასა,
ტყის პირს ერთს დიდს ცეცხლს გავაჩაღებდით
და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალსა,
ცეცხლსა გარშემო მოვუსხდებოდით.

ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი
ხეზედა მძინარს ფრინველს აფრთხობდა;
მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა.

რაკი მტრედის ფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა,
ბეძროხე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფრთხობდა.

ავიშლებოდით და ჩვენის ხმითა
მკვდარი მთა-ბარი გაცოცხლდებოდა,
და თავისს ძროხას ყველა ზლაზვნითა
ასაშვებადა მიესეოდა.

ზოგი აქ მოდის თექამოსხმული
და მოიფშვნეტავს ზარმაცად თვალსა;
სხვა იქ მიიმღერს დაღონებული
და ერეკება თავის ძროხასა.

და ერთს წუთს უკან ძროხა ბღავილით
გაიშლებოდა ფართო მინდორზედ,
და ჩვენ კი ხტომით, მღერით, ძახილით
მოვგროვდებოდით მთის ციკვს წყაროზედ.

პირს დავიბანდით, ძილს დავიფრთხობდით,
მთის წყაროს წყლითა გავგრილდებოდით,
ვხტოდით, ვიძახდით, ვლაზღანდარობდით
და ზეზეურად დავნაყრდებოდით...

მერე ვმართავდით თამაშობასა:
ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მაღლა
და შუადღისა გოლვისა ჟამსა
ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა;

ალაზანშია ვყრიდით ძროხასა,
თან ჩავყვებოდით უკანაც ჩვენა...
ბევრიც სხვა ახსოვს ჩემს ბიჭობასა,
მაგრამ სად არის ახლა ის ლხენა?!

საღამოს ჟამზედ ისევ იმრიგად
ცეცხლსა ანთებულს მოვუსხდებოდით
და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად
თითოს მაინცა ყველა ვიტყოდით.

ის ზღაპრები მე გულს მიღონებდა
და აქამდინა ჩამრჩნენ ხსოვნაში,
ძველებურს დროსა შემაყვარებდა
იმ ჩემ მხიარულ ყმაწვილობაში.

ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა
ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომალხენდა, ხან მაღონებდა...

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.

ეგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილღღიანი
და არსენობა მენატრებოდა.

ეგრეთ მინდორზედ, ძმაო, ვყვაოდი
ჩემს ბიჭობაში შეუპოვარი,
ჩემს სახლ-კარზედა არა ვდარდობდი,
შინაურობის არ მქონდა ჯავრი!

მე ჯერეთ ვიყავ პაწაწკინტელა
და მადლიერი ჩემ კეთილ ღღისა;
ისე მეგონა, რომ ჩემებრ ყველა
მადლიერია თავის ბედისა...

ს ა რ ჩ ო ბ ე ლ ა ზ ე დ

პატარა ამბავი

I

შუა ზაფხული იყო. მინდვრები და ქედები გოლვას სულ მთლად გადაეჭკნო და ფერი ეცვლევინებინა. იმ დღეს, რა დღიდამაც ვიწყებთ ჩვენს ამბავს, ასეთი ცხარე მზე სწვავდა ქვეყანასა, ასეთი პაპანაქება იდგა, რომ დედამიწას ბუღი ასდიოდა, თითქო გახურებული თონეაო. კაცი სიცხისაგან დაოსებული ძლივს სულს იქცევდა. ამისთანა დღეს საქონელ-გამოშვებულნი ღვინის ურმები იდგნენ მწკვრივად ლოკინის ხევის პირს. ხევში წყალი გოლვისაგან ისე მილეულიყო, რომ ძლივსღა მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ .საცოდავი მეურმეები, ქანცგაწყვეტილნი სიცხისაგან, გულდალმა გაშოტვილიყვნენ კონკილაზედ აყენებულ ურმებ-ქვეშ. ყველას ეძინა, — მარტო ორიოდე ბიჭი, კალთებ-აწეულნი, იდგნენ გუბის პირას და ხის ჯამებით ასხამდნენ წყალს პირდაღებულს, დასიცხულს კამეჩებსა, რომელნიც გუბეში ეყარნენ. აქეთ, პატარა მოშორებით, თავი მოეყარათ ხარებსა, ჩამდგარიყვნენ გუბის პირას, თვალებ-დახუჭვილნი იცოხნებოდნენ და კუდით იგერიებდნენ მოუსვენარ ბუზებსა.

მზე გადიხარა; თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო. იმ ენაჩავარდნილმა ადგილმა გაიხმაურა. აიშალნენ მეურმეები თვალების ფშვნეტითა; პირზედ წყალი შეისხეს და შესაბმელად მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის გატეხაზედ მინდვრად გასულიყო და სცოხნიდა გოლვისაგან გამხმარს ბალახსა. „ჰოოო, ხიო, პატრონ-ძაღლო, " და სხვა ამისთანა და ამაზედ უარესიც ისმოდა მეურმეების ხმაურობაში. როცა შეაბეს და წინა-მეურმემ შოლტი გამართა, რომ ხარებს გაუტყლაშუნოს და დასძრას ურემი, მაშინ უეცრად ხევის ყურიდამ ორი ყმაწვილი გამოვიდა გზაზედ. ორივეს ტანზედ სალდათის მაუდის „კურტკები" ეცვათ. ერთს მათგანს თავზედ ეხურა უშველებელი ჩერქეზული ქუდი. ქუდი ისე ჩამოფხატოდა თავზედ, რომ ცხადი იყო, ქუდის პატრონი სხვა ყოფილა და მხმარებელი სხვაა. მეორეს ეხურა სალდათური უწინდებური უკაზიროკო ქუდი.

ჩერქეზულ-ქუდიანი თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა იქნებოდა, მეორე ან თოთხმეტისა, ან ხუთმეტისა. უფროსის სახე არ იყო ძალიან მარი-

ლიანი: იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული. მეორე, უმცროსი, — უფროსსა ჰგვანდა კიდეც და არცა ჰგვანდა: ჰგვანდა ზოგიერთ სახის ასოს მოყვანილობაში, მაგრამ უფრო მარილიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ. წარბშეკრული იყო და გულდახურული, თითქო რაღაცას ითმენსო და თავისთავს ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო. პირველი იმისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზედ წავიდოდა, — შესამჩნევი არა იქნებოდა-რა, ავის კაცის კვალზედ დადგებოდა, — ქურდ-ბაცაცობის შეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა. მეორეს კი სხვა ნიშან-წყალი ჰქონდა.

— გამარჯვება თქვენი, — უთხრა მეურმეებს უფროსმა.

— აი, გაგიმარჯოთ, — მისცეს პასუხი.

— თქვენ უთუოდ ქალაქს მიდიხართ.

— გამოცანა გერგება, — დაუძახა დაცინებით ერთმა მეურმემ.

უფროსმა ღიმილით ჩამოართვა ეს დაცინება და ლაქუციოთაც. უმცროსმა უფრო წარბი შეიკრა და რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზედ, მაგრამ თავი მალე შეიკავა. ეტყობოდა, რომ გულის მოძრაობას მოერია.

— აი, დალახვრა ღმერთმა ავი კაცი! — წამოიძახა უფროსმა: — ჩვენ თუქურმიშის შკოლაში ვიყავით, ჩვენ ორნივ ძმები ვართ, თავადიშვილები...

— ბეჟან! — დატუქსვის ხმით დაუძახა უმცროსმა თავის ძმას და ისეთის თვალით შეხედა, რომ სიტყვა გააწყვეტინა. ეტყობოდა, რომ უმცროსს რაღაც სიტყვა თავისის ძმისა არ მოეწონა და გაწყრა. ბეჟანმა, თუმცა პირველში სიტყვა გაწყვიტა, მაგრამ მალე მოუტრიალდა გაწყვეტილ ამბავს და ძმას ყური აღარ ათხოვა.

— ჩვენ ორნივ ძმები ვართ, თავადიშვილები, — განაგრძო ბეჟანმა, — მამა-ჩვენმა ქალაქიდამ ერთი თუმანი გამოგვიგზავნა, — როცა დაგითხოვონო, ერთი რუსის პოვოსკა დაიჭირეთ და წამოდითო. ჩვენც, — აი, ამოაგდო ღმერთმა ავი-კაცის ქოქი, — ერთს რუსს გავურიგდით, რვა მანეთი მივეცით, რომ ქალაქში ჩავეყვანეთ. წამოგვიყვანა, გზაზედ დუქანში დაგვეთრო, გადმოგვყარა პოვოსკიდამ, თითონ შინ დაბრუნდა და ჩვენ ასე გამოგვისტუმრა. ჩვენი ბარგი და რვა მანეთი ფული თან გაიყოლა იმ სულძაღლმა.

უმცროსი მთლად ირია. მიტრიალდა, ზურგი მეურმეებს და თავის ძმას შეაქცია, დაიწყო უაზროდ ყურება და მერე დაჟინებით დააცქერდა ჩამავალს მზეს.

— ერთი ასეთი ბუზმენტიანი ჩოხა გაიყოლია თან ჩემი, რომ ხუთ

თუმნადა ღირდა, — დაიწყო ისევ უფროსმა, — ჩოხას ჯანი გავარდეს, ის ძველი და სხვა ახალი: მამა-ჩვენი შემძლებელი კაცია...

უმცროსი მოუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად.

— ბეჟან, გეყოფა, კარგი!.. — უთხრა უმცროსმა, თითქო წყრომითაც და ვედრებითაც.

ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა და მოჰყვა ისევ თავისებურად:

— ორის დღის უქმელები ვართ. ცუდი საქმე დაგვმართა იმ ოჯახდაქცეულმა. აბა ეხლა რა უნდა ვქნათ ამ უცხო ქვეყანაში?

— ვაი ჩემს გამჩენს! — უპასუხა ერთმა დროულმა მეურმემ. — უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია, სათათრეთში იყვნეთ!.. ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. პურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევინებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევინებთ. ვაი ავ-კაცს, რომ თქვენი ცოდვა აუღია, თორემ თქვენ რა გიჭირთ? ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთ.

უმცროსს წარბი გაეხსნა, მოღრუბლულს სახეზედ რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა. ერთობ მისის სახის მეტყველებამ განცვიფრებული სიხარული გამოსთქვა, თითქო ადამიანის გულკეთილობას პირველად შეხვდაო და უკვირსო.

იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე — მეორესა და ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა პატარა ტიკპორიდამ.

— ვაი შენს პეტრეს! — დაიწყო იმავ დროულმა. — ჩვენ დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლეკვიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ? შეექეცით, შვილო! ეხლა კი ამ მშრალს პურს პურად-ძვიროობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს.

პეტრემ დაისო ორნივე თავის ურემზედ; წასვლა უთხრეს წინამეურმესა. დაიძრა ქარავანი ურმებისა. ამტვერდა მშრალი გზა.

იმავე დღეს, გლეხის ვახშმობის დროს, ამ მეურმეებმა ქალაქის პირში გამოუშვეს ურმები, რადგანაც ღამე იყო, და ქალაქში ღამის ხარჯს საქონლისას მოერიდნენ. მეურმეებმა თითო-თითო ღერი შეშისა, შორიდამ წამოღებული, გადმოიღეს ურმებიდამ და ცეცხლი დაანთეს. პეტრემ შესწო მწვადი თავის პატარა ხტუმრებისათვის და როგორც შეეძლო გაუმასპინძლდა. ვახშამი სჭამეს. დაღალულნი მეურმეები დაეყარნენ და ძილს მიეცნენ. საქონელი მინდორზედ საძოვნელად გაიშალა; ღამის მეხრეები ბვერდით ედგნენ ყარაულად. პეტრემ ყმაწვილებს ქვეშ გაუშალა თავისი ნაბადი და უთხრა:

— თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მიწაზედ გდებას ვერ აიტანთ.

ყმაწვილები დაწვნენ, პეტრეც შორი-ახლო მიეგდო და მკვდარსავით დაეძინა.

გათენდა მტრედისფრად. მეურმეები აიშალნენ, მაგრამ ჩვენმა პეტრემ თავისი სტუმრები თავის ადგილას ვეღარა ნახა. მიიხედ-მოიხედა და თვალი ვეღარსად ვერ მოჰკრა.

— ვაი შენ ჩემო თავო! — დაიძახა ბებერმა პეტრემ, რაკი გული დაუჯერა, რომ ყმაწვილები გაპარულან, — აკი არ მომატყუეს ეს დროული კაცი! გაპარულან!.. წაიღებდნენ რასმეს!..

იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი და ორივე მოჭრილი ჰქონდა. კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიცინა:

— აკი იმ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი! — სთქვა ღიმილით და თაკილითაც პეტრემ. — ჩემზედ ახია: ისე როგორ დავიძინე, რომ ვერც კი გავიგე. აი, დალახვრა ღმერთმა სიბერე! არა, შვილო, ეხლა ჩემი შვილდი უნდა ძირს დავდო. ტყუილად კი არ მეუბნებოდა ჩემი უფროსი შვილი: მამი, — დაჰბერდი, შორს გზაზედ მეურმეობაში ვეღარ გამოდგებიო. აკი ვეღარ გამოვდეგ, მე კი მეგონა აღზევანსაც წავალ-მეთქი კიდევ მარილზედ. ჰაი ტა, ტა, ტა... დაბერდი, დაჩაჩანაკდი... სირცხვილით შინ როგორღა მივიდე. მეურმე კაცი, ქალაქს მიმავალი ღვინის ურმით, გამქურდეს! მერე ვინა? ძუძუთა ბავშვებმა... ჯიბე მომჭრეს, ჯიბე. ვაი შენ, ჩემო თავო!

— ბევრი წაიღეს? — ჰკითხა ვიღაცამ.

— სამი და ათი შაური, — მიუგო პეტრემ, — აქ შვილო, სავალალო ეგ კი არ არი, მაგას ვინა სჩივის. ეს სირცხვილი როგორა ვქამო, როგორ! უსუსურმა ბავშვმა გამქურდა. ვისაც ვეტყვი, დამცინებს, ჯალაბსაც კი სიცილად არ ვეყოფი, მეზობლები ჯავრით გამხეთქენ. ბიჭო, მძინარეს ჯიბეები დამაჭრეს!.. არა, შვილო, რაკი ქართველმა რუსული შლაპკა დაიხურა, იმის საქმე წასულია. ფუ, ეშმაკს! მერე ვინა? ჯერ ტუჩებზედ დედის რძე არა ჰქონდათ შემშრალი... ეს დროული კაცი... აი ტაი, ტაი, ტაი! ღმერთმა იმათ კი შეარგოთ და მე კი ეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც.

გაიქნივა თავი ისეთის ღიმილით, თითქო ხუმრობაში ატარებსო ამ საქმეს, მაგრამ გულში კი მართლაც სცხვენოდა.

II

გავიდა ოთხი წელიწადი. გაზაფხულის პირი იყო. პეტრე, უწინდელზედ უფრო მიბერებული, ქალაქს მოდიოდა, წისქვილის ქვები უნდა ეყიდნა. მაგრამ როგორ მოდიოდა? იმავე თავმოწონებით, როგორც უწინ, ხოლო ეხლა სხვა მიზეზი ჰქონდა თავმოწონებისა. მას აქეთ, რაც

ის ხიფათი შეემთხვა, ხელი აიღო მეურმეობაზედ — ვხედავ, აღარ ვარგივარო, ეუბნებოდა ხოლმე თავის შვილს გულის ტკენითა. ეხლა ამის ღვინის ურემზედ მისი უფროსი შვილი უჯდა და ხარ-კამეჩს ისა ჰხმარობდა. თითონ კი გადაებოტნა უშველებელ საკსე რუმბზედ და ყეინსავით გამოჭიმული იჯდა. გზის მამალი [1] ამის შვილის ურემზედ დაესვათ, პირველობაც ურმის ქარავანში ამის შვილისათვის მიეცათ. პეტრეს ეს ამისთანა პატივი შვილისა და ტოლებში თავგამოსაჩენი ამბავი ძალიან უხაროდა და თავი მოსწონდა. უხაროდა და ჰფიქრობდა: შინ რომ მივალ, ჩემს ბებრუცანა ჯალაბსაც ვახარებო ჩვენის შვილის გაპატიოსნებასაო.

პეტრეს ქალაქში ერთი ორიოდ დღე მოუგვიანდა. ქარავანიც დაბრკოლდა რაღაც საქმეზედ და ჯერ არ აპირობდა ქალაქიდამ დაძვრას. ბოლოს სთქვეს: დღეს საღამოზედ, მზე რომ გადიხრება, უნდა ქარავანი დაიძრასო. პეტრემ ნაყიდი წისქვილის ქვები დაუდო ურემზედ და ბაკში მიიტანა, საცა ქარავანი იყო გამოშვებული. შუადღეც მოტანებული იყო და იმ საღამოს გასვლას აპირობდნენ. პეტრემ სთქვა: მაინც საქმე არა მაქვს-რაო, მოდი, ერთი ავლაბრის მოედანზედ გავალ, ქვეყანაა, შევიტყობ რასმესო. მოედანზედ ხალხი ირეოდა როგორც ყოველთვის. ბევრგან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ჟღრიამული და ყაყანი გაჰქონდათ. პეტრეც ერთს ამ ჯგუფში გაერია, ერთი შევიტყო, რას ყაყანებენო. აქ გაიგო, რომ ზარბაზანი გავარდება თუ არა, მახათაზედ ერთს კაცს ჩამოარჩობენო. პეტრეს თავის დღეში არ ენახა ეს ამბავი. გულმა ძალიან გაუწივა იქით.

„ბევრი ვაი-ვაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეშიო, — სთქვა გულში, — მოდი, ერთი ესეცა ვნახოო“.

სთქვა და გაჰყვა ხალხს, მახათაზედ მიმავალს. მახათაზედ ბუზსავით ხალხი ირეოდა. იქ თავში, ერთს განაპირებულს ადგილს, სარჩობელა გაემართათ და გარშემო ჯარი ედგა. წინ ფართო მოედანი ხალვათად იყო, არავის არ უშვებდნენ ახლო. პეტრემ მიიხედ-მოიხედა, ნახა ამოდენა ხალხი, კაცი თუ დედაკაცი, და გაუკვირდა.

„ვთქვათ, კაცები ჩემსავით თამაშად მოსულანო, ამ დედაკაცებს რაღა ღმერთი გასწყრომიათო, ეგრე თავი მოუყრიათ! რა მაგათი საქმეაო“.

---

[1] ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყივილმა გათენება შეატყობინოს ქარავანსა. მეურმეების საათი გზაზედ — მამალია. უფრო ხშირად, ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, მამალიც იმას უზის ხოლმე. ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი წინა-ურმის მეურმობა, გლეხობაში სასახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას.

ავტორის შენიშვნა.

ბოლოს ამაზედ დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისაო.

„არც ეგ არის ურიგოო, — სთქვა გულში პეტრემ, — ეგ უფრო კარგიც იქნება, თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა აბა რა სანახავიაო? კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჭიდო; რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია. კიდეც იმიტომ ამოდენა მანდილსანს თავი აქ მოუყრია. დედაკაცის თვალი მსუნაგია თვალთმაქცობაზედ... ახლა იმ სომეხმა რომ მომატყუა, კაცს არჩობენო, რა გაიტანა? აქაო და სოფელია, მალე მოტყუვდებაო. ვთქვათ, რომ მოვტყუვდი, მითამ რაო? თამაშას ხომ ვნახავ... ღვთის წინაშე კი, იქავ რომ მცოდნოდა თვალთმაქცობას ითამაშებდნენ, იქნება არც წამოვსულიყავ, აი! ჰაი, ჰაი, კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერსავით კი გამომიწია და!.. ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს“.

ბევრს რაღაცაებს მოსთქვამდა გულში ჩვენი უსაქმო პეტრე, სრულად დარწმუნებული, რომ აქ თვალთმაქცობა რამ იქნება, თორემ დედაკაცებს აქ ან რა ხელი აქვთო, ან ვინ მოუშვებდაო.

ბოლოს ვიღაცამ გაიხმაურა: „მოჰყავთ, მოჰყავთო“. მიიხედა პეტრემ, ნახა, რომ სალდათებს ერთი ვიღაცა რუსულ ფარაჯაში გახვეული კაცი მოჰყავთ.

— ჰა, პეტრეე!.. — არიგებდა პეტრე თავისთავს, — არ გაბრიყვდე, ეშმაკმა არ გაცდინოს, მართალი არ გეგონოს!.. ეგ სულ მაცდურობაა, დაგცინებენ, იტყვიან, სოფელია და მოტყუვდაო.

მაინც კი გაიწია, რომ ახლო ნახოს. იმდენი მიძვრა-მოძვრა ხალხში, რომ გაინაპირა თავი. სალდათებმა ზედ გვერდზედ ჩამოუარეს და ჩამოუტარეს ფარაჯაში გახვეული კაცი.

— აი, დალახვრათ ღმერთმა! — სთქვა თავისთავად პეტრემ. — მართლა სალდათებს არა ჰგვანან, ე! რა-რიგ ჩაუცმევიათ! ი თოფების ჭერაც რომ უსწავლიათ!.. რას არ მოიგონებენ ე ქალაქის ბიჭები! დახე, სულ რუსის ბიჭებსაც რომ ჰგვანან.

ამ ლაპარაკში რომ იყო, თვალი მოჰკრა ფარაჯაში გახვეულს. ის იყო ოცისა თუ ოც-და-ერთის წლის ყმაწვილი ბიჭი. წვერ-ულვაში ახლად გამოშვებული ჰქონდა და ლეკურად დაყენებული. სახეზედ ზაფრანის ფერი ედო. პეტრეს რაღაც ფიქრმა გაურბინა გულში.

— რა ვქნა! ეს ბიჭი მეცნობა. ღმერთო, მომაგონე: სად უნდა მენახოს? — ჰკითხა ამაოდ თავისთავსა, ამაოდ იმიტომ, რომ ვერ მოეგონა, სად ენახა.

— ეჰ, ქალაქის ბიჭი იქნება ვინმეო, — სთქვა ბოლოს. — ბაკებში დღეში ათასი კაცი შემოდის და გადის, იქნება იქ მენახოს და გულში

ჩამრჩენოდეს, ვინ იცის? არა, რა-რიგად გაფითრებულა, მითამ და მართლა არჩობენ. ჯამბაზი თითონ ეს იქნება სწორედ. არა, შვილოს, ვერ მომატყუებთ!..

— ვუი, ვუი შენს დედას!.. — იძახოდნენ მანდილოსნები, — რა ახალგაზრდა ბიჭი ყოფილა!..

პეტრეს გაუკვირდა ეს ძახილი.

— აი, დედაკაცები არ არიან, თმაგრძელი და ჭკუამოკლე! — სთქვა თავისთავად პეტრემ,—რა მალე მოტყუვდნენ. ხომ თითონაც სუყველანი თვალთმაქცები და კუდიანები არიან, მაგრამ აჰა... ეგენიც კი ტყუვდებიან. მაგრამ იქნება ამათ ჩემი გაბრიყვება უნდათ, სოფლელიაო. ჰა, პეტრევ!.. თავს გაუფრთხილდი, არ გაბრიყვდე!.. არ შერცხვე ეს დროული კაცი; ამოდენა ჯარ-ჯამაათის სასაცილოდ არ გაიხადო თავი. დასწყევლოს ღმერთმა ეს ქალაქელები, კაცი თუ ქალი, რა მალე შეგვატყობენ ხოლმე სოფლელ კაცს, თითქო შუბლზედ გვეწეროს.

— რა გენაღვლებოდა, შე უბედურის დღისავ! — ამბობდა ერთი დედაკაცი ჩადრში გახვეული, — შენთვის ყოფილიყავ და ამ დღეში არ ჩავარდნილიყავ. ვაი შენს დედასა, შე საცოდავის შვილო!

— დიაღ, მოჰყევ ენაჭარტლობას, — ამბობდა გულში პეტრე, — სწორედ დაგიჯერე, აი. არა, აქაო და სოფლელი ვარ, არ გამაბრიყვო კი, თუ ღმერთი გწამს...

— ეგა სთქვი, ეგა და! მაგრამ კაცის წერა რაც იქნება, ის არის, — უპასუხა მეორე დედაკაცმა, — საცოდავი წერას აუტანია. მაგრამ ეგ ხომ მოკვდება და წავა, ვაი მაგის შშობლების ბრალი, რა ცეცხლში ჩაცვივიან! ღმერთო, დაიხსენ ყველა ქრისტიანი.

— ბიჭოს! — სთქვა გულში პეტრემ, — პირობა შეუკრავთ, თუ რა ღმერთი გასწყრომიათ. აქედამ მოვშორდე, თორემ ერთს სირცხვილს მაჭმევენ ეგ კუდიანები, მე და ჩემმა ღმერთმა.

სთქვა და ადგილი გადინაცვლა.

მივიდა და ჩადგა ახლა სულ სხვა ჯგუფა ხალხში. აქაც დედაკაცები ბლომად იყვნენ. ერთი გული ეუბნებოდა, მოდი ვკითხავ, რა ამბავია, მეორე კი ეუბნებოდა, სირცხვილია, დამცინებენო.

— რა ახალგაზრდაა ეგ უბედურის შვილი! — სთქვა ერთმა დედაკაცმა, — ჯერ დღე სწორედაც არ გასთენებია და ეგრე ადრე და მალე კი უნდა მზე დაუბნელდეს.

— რა თონეში უნდა იწოდეს ახლა ამისი დედის გული, ღმერთო, მაგისთანა დღეს ნუ შემასწრობ! — დაუმატა მეორემ და ჩაიკრა გულში ხელი.

— აბაიმე, აბაიმე!.. — სთქვა გულში პეტრემ, ეხლა კი ცოტა წყენითა, — ჩემზედ მოიცალა ამოდენა ხალხმა, თუ რა ამბავია ჩემს თავს.

ესე მალე როგორ შეკრა ყველამ პირობა!.. ახა ღმერთო ჩემო! კარგია, არა ვკითხე. აბა კიჟინას დამცემდნენ, აი! ჰა, პეტრე, გაფრთხილდი, არ გაგაბრიყვონ, სასაცილოდ არ გაიხადო თავი. აი უსაქმურ ხალხს რომ იტყვიან, ეს ქალაქელები არიან: დასწყევლოთ ღმერთმა, ყველამ ჩემზედ არ მოიცალა!

ამბობდა ამას თავის გულში პეტრე და ეგონა, რომ მართლა-და ეს ხალხი ამისათვის არის მოცლილი, სოფელია და გავაბრიყვოთო. ამა-თაც გაექცა და ხელახლად გადინაცვლა ადგილი. ძნელი რამ არის, როცა გუნება თავში გამწევ ცხენსავით დაღოჯავს ჭკუის ლაგამს და ცალ-მხრივ გაიწევს.

III

ამასობაში ის ფარაჯაში გახვეული ბიჭი მიიყვანეს და სარჩობელას ქვეშ დააყენეს. ცალმხრივ მღვდელი მოუდგა, მეორე მხრივ ვიღაცა ჩი-ნოვნიკი. წითელპერანგა ჯალათი უკან ედგა.

— ე მღვდელი რაღას გაუგიჟებია, — ეუბნებოდა თავისთავს პეტ-რე, — ტერტერა იქნება, თორემ მართალი მღვდელი ამას რად იკადრებ-და. ის წითელპერანგა ვინ უნდა იყოს? იქნება თავი-და- თავი ჯამბაზი ეს იყოს.

ჩინოვნიკმა ქაღალდი ამოიღო და წაიკითხა.

— ეს თილისმის ლოცვა იქნება, — სთქვა პეტრემ თავისთავად, — უთუოდ ჯადოს იქმონენ, თორემ აი ვნახოთ. მაშ კაი ამბავი იქნება.

მერე მღვდელი რაღასაც ეუბნა ფარაჯაში გახვეულს. პეტრემ თუმ-ცა ყურები აცქვიტა, ფეხის თითებზედაც შედგა, მაგრამ შორს იყო და ვერა გაიგო-რა.

ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირის-სახე აღარ უჩანდა. წითელპერანგა ჯალათმა გაასწორა სარჩობელაზედ ყულფი, მერე კიბე მიადგა სარჩო-ბელის ბოძს. მოუბრუნდა უბედურს, ხელისკვრით წინ წაიგდო, აიყვანა კიბეზედ, მოსწია ყულფი, რომ თავი გააყოფინოს. ხალხს ხმა ჩაუწყდა, თითქო სული შეეხუთაო, თითქო ამოდენა ხალხის გულის ძგერა შედგაო.

ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა, ისე, როგორც ამოიქშენს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავგადასხმული.

უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა, ქანაობა დაიწყო და ფორთ-ხალი. დიდხანს იქნივა საწყალმა ფეხები.

— დილამდი რომ სულ ეგრე იქნივო ფეხები, მაინც არ დაგიჯე-რებ, — ამბობდა თავისთავად პეტრე.

ხალხი, წუთის წინათ სულგანაბული, ეხლა მხიარულად ჰყაყანებდა და ლაზღანდარობდა კიდეც. დაირღვა ხალხის გროვა, დაიშალა და გაიშალა მინდორზედ. ყველამ თავის სახლისაკენ გასწია, სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრზენი თამაშა ნახა. პეტრემ მიიხედ-მოიხედა და ნახა, რომ აღარავინ რჩება აქ. ჯარიც წამოვიდა, მარტო ორი ყარაული-ღა დარჩა სარჩობელასთან. იმ წითელპერანგა კაცმაც გადიცვა რაღაც სხვა ტანისამოსი და გამოსწია. სარჩობელაზედ დარჩა უძრავად დაკიდებული ის უბედურის შვილი. პეტრე გაოცდა.

— ბიჭოს, ეს იყო! — სთქვა თავისთავად, — ვერაფერი თამაშა იყო. იქნება თვალთმაქცობა იმაში იყო, რომ შეცვალეს, კაცის მაგიერ ტომარა ჩამოჰკიდეს, ფეხებს რომ იქნევდა?.. მართულებს ვერ გაუკეთებდნენ თუ!.. მართულებით თუნდ ლეკურსაც ათამაშებენ. მაინც ვერაფერი ამბავია, ტყუილად მოვცდი. აი, აქ კი მოვტყუვდი. აბა ვგდებულიყავ ჩემთვის ბაკში, ერთი ლაზათიანად გამომეძინა, ის არა სჯობდა? მე ვთქვათ ჰო, ეს ამოდენა ხალხი რაზედ გაბრიყვდა? ბიჭო და, იქნება მართლა ჩამოარჩეს!.. ნეტავი მეკითხნა. ეჰ, დამცინებდნენ... ჰა, ვინ იცის? ე ხალხი რომ ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და ბიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები, ერთს ცვარს ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ. რაც უნდა იყოს ღვთის-კერძო ადამიანია, კაცა ხომ არ არი. მაგრამ ე დედაკაცობას რომ სულ ერთიანად თავი აქ მოეყარა!..

გულში დიდი ეჭვი ჩაუვარდა. ეხლა მარტო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო — რაში ტყუვდება: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობაა. სწორედ გითხრათ, პირველში მოტყუებას უფრო ჰთაკილობდა მისი გული: აბა თვალთმაქცობამ ტყუილი მართლად როგორ უნდა მაჩვენოს ამ დროულ კაცსაო. და მართალი კი რომ ტყუილი გამომდგარიყო, ეგ არაფერი; მაგას როგორღაც უფრო ადვილად ჰყაბულდებოდა ჩვენი პეტრე. მაინც კი ძალიან უნდოდა შეეტყო მართალი.

ბევრჯელ გაუწია გულმა, მოდი დავეწევი ვისმე და ვკითხავო; ბევრჯელ მივიდა კიდეც და უნდოდა ეკითხნა თუ არა, შეფერხებულა: — არა, შვილოსა, დამცინებენო, ისევ ჩემს ჭკუას ავყვე, ისა სჯობიაო.

ამ ფიქრებში გართული მიბარბაცებდა ჩვენი პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ. გზაზედ დუქანი დაინახა. დუქნიდამ ხალხის ჟრიამული გამოდიოდა. — მოდი, შევალ, ერთი ვნახოთ, რას იტყვიან დღევანდელ ამბავისასო. იფიქრა: თანაც ცოტად დავნაყრდები, დილას აქეთ არა მიჭამიარო. შევიდა, მოითხოვა ნახევარ ჩარეკი ღვინო, მოათლევინა გამხმარი ზურგიელი, მიჯდა კუთხეში და ქეიფს მიეცა. დაჯდა თუ არა, თითქო ფეხ-და-ფეხ მოჰყვაო, შემოვიდა ერთი ნაბადში გახვეული ყმაწვილი

კაცი. ამ ახლად მოსულმა მოითხოვა საწერ-კალამი, ქაღალდი ,დაეყრდნო დაზგას და წერა დაიწყო. ჩვენი პეტრე ხელახლად დააცქერდა ახალს სტუმარს. რა ვქნა, სად მინახავს ეს ბიჭიო, იძახდა გულში. თითონ ბიჭი თავაუღებლად სწერდა წიგნსა. ამ ყოფაში კარგა ხანმა გაიარა, პეტრეს დაგვიანება აინუნშიაც არ მოსდიოდა და .იმ ბიჭის ცქერაში ისე ნელა ილოღნებოდა, რომ საღამომდისაც თავია საუზმეს ვერ გაათავებდა. მისი ფიქრი სულ ის ბიჭი იყო: რა ვქნა, მეცნობა და რატომ არ მაგონდებაო, წამ-და-უწუმ ეკითხებოდა თავისთავს და თვალს არ აშორებდა. მზემ კარგა გადიხარა ჩასავალისაკენ და პეტრე კი იმ ბიჭის ვინაობით გაკვირვებული არ იძროდა ადგილიდამ. ბოლოს, რომ მეტი გზა აღარ იყო, პეტრე წამოდგა და, იმ ბიჭის უამბობით წყურვილმოუკვლელი მივიდა, მედუქნეს გაუსწორდა, ერთი კიდევ გადაავლო თვალი იმ ბიჭს და ფუსფუსით გაექანა ავლაბრისაკენ. ჯერ ბაკებამდე კიდევ კარგა მანძილი იყო, რომ უეცრად უკანიდამ ვიღაცამ მხარზედ ხელი დაჰკრა. პეტრე ბობრუნდა. დაინახა ისევ ის ნაბადში გახვეული ტანად მაღალი ყმაწვილი ბიჭი, თვალებზედ ქუდჩამოფხატული.

— აჰა, ჩამომართვი ეს წიგნი, — უთხრა ყმაწვილმა ბიჭმა და მიაჩეჩა ხელში ქაღალდი, — თუ შენ კითხვა არ იცი, წააკითხე ვისმე და ყური კარგად დაუგდე. დღევანდელს ამბავს ამ წიგნიდამ შეიტყობ.

სთქვა ესა თუ არა, მაშინვე გამობრუნდა ყმაწვილი ბიჭი და, თუმცა ნაბიჯით წამოვიდა, მაგრამ ისე ჩქარა კი, რომ ჩვენი პეტრე სირბილითაც ვერ დაეწეოდა. პეტრემ, გაოცებულმა, მარტო ესღა მოასწრო ეკითხნა წარმავალისათვის:

— ბიჭო, ვინა ხარ? სახელს მაინც მეტყოდი.

— წიგნი გეტყვის, წიგნი, — დაუძახა ნაბდიანმა და გასწია ისე, რომ უკან აღარ მოუხედნია.

ეხლა მოაგონდა პეტრეს, რომ წეღან სარჩობელაზედ ერთი ნაბდიანი ბიჭი სულ გვერდთ აეტუზებოდა ხოლმე, საითაც კი წავიდოდა.

— განა არა, — სთქვა თავისთავად, — მაშინვე მივხვდი, რალაც ამბავია. როგორც კრუხი წიწილას, ისე გარს დამტრიალებდა. ნაბდიანი იყო, მაგასავით თვალებზედ ქუდი ჩამოეფხატა. სწორედ ისევ ის ბიჭია, თუნდა დაგენაძლიო.

ვის ენაძლევებოდა, ეგ არ ვიცი, ხოლო ეგ კი იყო, რომ წიგნი აიღოდაიღო, გადაატრიალ-გადმოატრიალა, ჩაიდო ჯიბეში და სთქვა ნატვრითა:

— ახ, ნეტავი წიგნი კი ვიცოდე და! დღევანდელს ამბავს ამ წიგნიდამ შეიტყობო. იქნება მატყუებს კიდეც, მაგრამ რაო? თავისთავს მოატყუებს, მე რა? თითონ წავიდა, ხომ ვერ დამცინებს.

IV

უფრო გამალებული წავიდა პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ. გული არ უთმენდა, უნდოდა მალე გაეგო რა ეწერა წიგნში. ამის შვილმა წიგნი კარგად იცოდა. მღვდელთან იყო ნასწავლი. პეტრე მიდიოდა, მაგრამ გული ფეხს უსწრობდა.

— რა-რიგ გაგრძელდა ეს ოხერი გზაო, — ამბობდა გულში, — მივდივარ და ვეღარ მივსულვარო.

ბოლოს, როგორც იყო მივიდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და სულს ძლივს იბრუნებდა დაღალულობისაგან. მითვალ-მოთვალიერა იქაურობა, ნახა, რომ არავინ არის. მეურმეები დაქსაქსულიყვნენ, ბაზარში გასულიყვნენ. ზოგს რა უნდა ეყიდნა საშინაოდ, ზოგს რა. პეტრეს იამა, რომ არავინ იყო ბაკში, იამა უფრო იმიტომ, რომ ამისი შვილი მარტოკა აქ სადმე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქალაქში იმას არაფერი საქმე ჰქონდა. მართლადაც, იქავ დერეფნის გრილოში იპოვნა შვილი; მიწოლილიყო გრილოში და ეძინა. გააღვიძა.

— ერთი ადეგ, ეს წიგნი წამიკითხე, — უთხრა პეტრემ და მიაწოდა წიგნი.

შვილმა თვალები მოიფშვნიტა, გაიზმორა და წიგნი ჩამოართვა.

— სად გიპოვნია, მამი? — ჰკითხა შვილმა.

— მიპოვნია კი არა! მოვდიოდი და ხელში მომაჩეჩეს, — უპასუხა პეტრემ. სხვა რამის დამატება მეტი ეგონა.

შვილმა წიგნი გახსნა, გადაშალა და ასიგნაციები გადმოცვივდა. გაოცდნენ შვილი და მამა, ეს რა ამბავიაო. შვილს ფულის დათვლა უნდოდა, მამა გუწყრა და ტუქსვით უთხრა მოთმინება-დაკარგულმა:

— რა დროს ეგ არის! ერთი წაიკითხე-მეთქი, რა სწერია. ლამის გული ბუდიდამ ამომვარდეს, ვეღარ მომითმენია.

შვილმა დაიწყო კითხვა:

„დღეს რომ ყმაწვილი ბიჭი დაარჩვეს, ჩემი ძმა იყო“...

— რაო? — გააწყვეტინა კითხვა ზარდაცემულმა პეტრემ და ელდისაგან გაფითრდა. — ჩამოარჩესო!.. მაშ მართალი იყო ის ამბავი!.. მაშ ხალხი რაღას ჰხარხარებდა მერე!.. წაიკითხე, წაიკითხე. ნეტა არ მენახა.

— მამი, რას ამბობ? — ჰკითხა გაოცებულმა შვილმა. — რატომ ეგრე დამთხვევით და გადარეულად ლაპარაკობ!

— წაიკითხე-მეთქი, მე ვიცი რასაც ვლაპარაკობ, — უთხრა პეტრემ წყრომით და გულის აღელვებით. საწყალი ბერიკაცი სულ თრთოდა, თითქო ციება აცახცახებსო.

შვილმა გაიქნივ-გამოიქნივა თავი, — მამა-ჩემს ეს რა დამართვიაო, და დაიწყო ისევ კითხვა:

„მამა-ჩვენი ერთი ღარიბი აზნაურიშვილი იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორნი ძმანი პატარები დავრჩით, დედა მალე გაგვითხოვდა, შეირთო ერთი ვიღაც აზნაურშვილი, ქალაქში მსახურობდა. რაც მამისაგან დედულ-მამული გვქონდა, — ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუკმის ილაჯი გვექნებოდა — სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზედ დაგვსვა. მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვეყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. ზაშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შინა-მოსამსახურე, ჩვენ გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა, ყველანი შინაურები, ვისაც კი შეეძლო, გვიტყაპუნებდნენ თავში. ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყო. ბოლოს, რომ ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდამ, მიგვაბარა სალდათის შკოლაში თუქურმიშაზედ, ვაიდამ ვუიში ჩაგვაგდო. აგვიყროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული ცემა-ტყეპითა. ვითმინეთ და ვეღარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეცით. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველის სახლიდამ ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი. გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა — რომ თვალნათლივ გვძარცავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადვუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდდება.

...გახსოვს, ამ ოთხის წლის წინათ ლოჭინის ხევის პირს რომ ურმები გამოშვებული გქონდათ? გახსოვს, ორი ყმაწვილი რომ მოგადგათ? ისინი ჩვენ ვიყავით, ორის დღის უპმელები. საწყალმა ჩემმა ძმამ, ბეჟანს რომ ვეძახოდი, ბევრი ტყუილი ილაპარაკა მაშინ... მე მწყინდა ეგ, მე მაგას ვთაკილობდი, მაგრამ ვერა გავაწყე-რა. ჩემი საცოდავი ძმა უჯათი იყო, თვითრჯული, და ვაი რომ ამასთანავე გულნამცეცაც იყო. ღმერთ-

მა მიპატიოს ის ერთად-ერთი სული, ის ერთად-ერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთად-ერთი ძმა-კაცი, ის ერთად-ერთი ადამიანი ჩემი კეთილის-მყოფელი, ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული. დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ კატასავით დამირჩეს!.. განა ამას შევარჩენ ქვეყანასა, მინამ კაცი მქვიან, მინამ თავზედ ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიდგა!

„შენ მაშინ გულის-ტკივილით დაგვიურვე. შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელს გულამდე, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა. მთელი ღამე არა მძინებია, გამიკრთა მაშინ ძილი, თუმცა ძალიან დაღალული ვიყავ. როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალხზედ შემიდგა. მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე. გაწყდეს, საცა წვრილია-მეთქი!.. ეგეც ჩემი მძარცველია, ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე არ გამაძარცვინებდა-მეთქი.

„გაგჭურდეთ და ჩამოვედით ქალაქს. აქ ცოდვაც და მადლიც უფრო ხალვათად დადის. ორივეს დიდი შარა-გზა აქვს. მას აქეთ დღე არ გამოსულა, რომ არავინ არ გაგვეძარცვოს. ჩვენი დანაკარგი, ვინც შეგვხვდა, ვაზღვევინეთ. ამით ვირჩენდით თავსა, ამითვე ვიფხანდით ისარნაკრავს, გამწარებულს და გაბოროტებულს გულსა. გული მაინც არ დაგვიცხრა, რაღაცას ლამოდა, საითღაც იწევდა. ვერ დავაამეთ და ვერა...

„ამ ორის წლის წინათ ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა მიგვიყვანა მამინაცვლის სახლშიო. დედა-ჩვენი მაშინ შინ არ იყო, სოფელში გაესტუმრებინა ქმარს. შევუცვივდით ღამე ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკლო იქაურობა და ვეღარ მოვასწარით. შეგვიტყვეს, პოლიცია თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილისმყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია მართალი ვარ თუ მტყუანი, არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი

ტოტი, უკანასკნელ ძაფზედღა დაკიდებული. მშვიდობით!.. თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის.

„არ ვიცი რად და ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ წინ გადაშლილიყო. — აჰა, გადაგიშალე და ლოდი ამეცალა.

„შენს სამს და ათ შაურს ერთი ათად გიბრუნებ. შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება, ვიცი. განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

შვილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა.

— მე რა შუაში ვარო! — დაიძახა კვნესით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა.

მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...

ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი

საახალწლო მოთხრობა

I

მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულის ფანცქალით ვნატრობდი, წინა-ღამე ახალის წლისა მალე გათენდეს-მეთქი. მე მახსოვს ეს წინა-ღამე, ეს წინა-ღამე ახალის წლისა ჩვენს პატარა სოფელში, საცა ბღარტებსავით გარს ვეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი. იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი. თვალი და გული ხვალისაკენ მიგვირბოდა, ხვალეს ველოდით. ხვალე გვეხსოვდა, ხვალეს ვნატრობდით. გარეთ რა გვინდოდა, როცა შინ იმოდენა ხილ-ხული და ტკბილეულობა გვეგულებოდა. შინ ოთახებში დავფუსფუსებდით: იქ იყო, რაც იყო. აქ ალვახაზსა ჰზელდნენ, იქ ნუშს და ნიგოზს არჩევდნენ გოზინაყისათვის, აქეთ უცეცხლო თაფლი თითს გვიქნევდა, მოდით პირი ჩაიტკბარუნეთო, ეჭით დედა-ჩვენი ბუხარში თაფლს ადნობდა და თაფლი თითქო გვეუბნებოდა: დაიცადეთ ხვალამდე, დღეს მე თქვენთვის ვდნებიო. ჩვენ თვალებ-დაჭყეტილები ამაებ-შორის დავძვრებოდით და ბედნიერები ვიყავით, თუ როგორმე მოვასწრობდით და თითს ამოვავლებდით თაფლს. სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ ტყუილად ჯავრობას ბოლო არა

ჰქონდა. ჩვენც ვიცოდით, რომ არც დედა, არც მამა გულით არ გვიჯავრდებოდნენ და ხელებს ვაფაცურებდით, აცა რამ მოვიცხოთო სალოკავად. ყველაზედ უფროსი ჩვენში თორმეტს წელს არ იყო გადაცილებული.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა, გაღიმეცალა ერთი დაცა. დავრჩით ამ ქვეყნიერობაზედ მარტო ორნი და-ძმანი. ეხლა ერთსაცა და მეორესაც თმაში ჭაღარა გვარევია, და როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს ჩვენს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებ შორის. ვხედავ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშვურის სიხარულითა დედას, მამას. მესმის ტრედიკით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედი-ჩემისა, მამი-ჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ეხლა გული შეწვის, გული მედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და. და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ესე იგი, იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში არ მომიბრუნდება.

წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანაირ ტკივილისა, რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადამიანი სიხარულზედაც არ გასცვლის ხოლმე. ტკბილია კვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა. აქ კვნესა ნიავსავით აგრილებს გულის-წვასა და ცრემლი ჰნამავს გადამწკნარ გულსა გამოსაცოცხლებლად. ვიღაცამა სთქვა: დატკბობა საამური ტკივილიაო, და სწორედ ამისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა.

ყველაზედ მეტად დამახსოვდა ერთის ახალის წლის წინა-ღამე. ჩვენ, პატარებს, არ ვიცი, ხვალის ლოდინისაგან, თუ მეტის-მეტ გართობისაგან, ძილი აღარ მოგვეკიდა. არა ერთხელ და ორჯელ გვიბრძანა დედამ: წადით, შვილებო, დაიძინეთო, და ჩვენ კი თითით ყელს ვუშვებდით და ისე ვეხვეწებოდით: დედას ჭირიმე, ნუ გაგვრეკავ, არ გვეძინებაო. ოდა გოზინაყებისა და ალვახაზის სამზადისში გართული იყო, გარს ჯამები, ბადიები და ტაბაკები ედგა ნუშით, ნიგოზით და თაფლითა. მამა-ჩვენი კი ბოლთასა სცემდა ოთახში ჩიბუხით ხელში. ჩვენმა პატარა დამ, რო დაცუცუნებდა ჯამებსა და ტაბაკებს შორის, როგორღაც ფეხი წამოჰკრა ერთს უშველებელს ბადიას და შიგ ყოფილი თაფლი კი პირქვე წამოაქცია. დედას ძალიან ეწყინა და არ იყო რომ გაჯავრებით უთხრა მამას: ერთი თავიდამ მომაშორე, ღვთის გულისათვის, ეს ბაჯაჯღა-

ნები!.. გაასხი იქით ოთახში, ზღაპარი რამე უამბე, იქნებ დაეძინოთ და მომასვენონო.

მამა-ჩემმა ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა და ჩვენც ძალიან გვიყვარდა ყურის-გდება ზღაპრისა. გვიამა, რომ დედამ დაავალა მამას ზღაპარი ეთქვა. მივცვივდით ჩვენც, ზოგი ხელზე ჩამოვებობღენით, ზოგი ახალუხის კალთაზედ.

— შენი პირიმე, მამილო, ზღაპარი გვითხარი, — შევბღავლეთ აქეთ-იქიდამ, — დედა აქედამ გვერეკება და შენ ზღაპარი მაინც გვითხარ, არ გვეძინება.

— ბატონი ხართ. აბა, წავიდეთ.

მამა გავიდა მეორე ოთახში და ჩვენც გავყევით. ოთახში ბუხარს ერთი ამბავი გაჰქონდა აპრიალებულის ცეცხლისაგან. ბუხრის პირდაპირ ერთი გრძელი ტახტი იდგა, ავიდა მამა-ჩვენი, ტახტზედ მოიკეცა, ჩვენც გარშემო შემოვუსხედით. ჩვენი პატარა და გულდაღმა წამოუწვა მამას, იდაყვებზედ დაებჯინა, თავისი პატარა თავი ხელებზედ დაანდო და ისე შეაჭყიტა მაყვალსავით შავი თვალები, თითქო მართლა ზღაპრის მოსმენა უნდოდა. ის კი არა თუ, როგორც იმას, ისეც იმაზედ მომდევარს მესამე ძმას, ეაშინვე ჩაეძინებოდათ ხოლმე ორიოდე სიტყვის შემდეგ.

მამამ დაიწყო:

„მე ადრევაც მიამბნია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ თათრები. მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ხან აქედამ, ხან იქიდამ მოგვესეოდნენ ხოლმე. ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით, ვიომებოდით. ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გაითქვა თავისის ვაჟკაცობითა და ქვეყნისათვის თავდადებით. აი, ერთი ამისთანა ვაჟკაცის ამბავს გეტყვით და კარგად დაიხსომეთ.

II

ერთს დროს ჩვენა გვყოლია ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. იმის დროს ყიზილბაშების ყეენად დაჯდა შაჰ-სულთან-უსეინ. ამ ყეენმა გამოჰგზავნა დიდის ჯარით თავისი სარდალი, რომ საქართველო აიკლოს და თავისად დაიპიროს. დაიძახეს ჩვენშიაც ჯარიანობა და თავი მოიყარეს ქართველებმა მტრის დასახვედრად. შეიყარა ორი ერთმანეთზედ სამტროდ გამართული ჯარი საომრად. ერთს მხარეს დაეწყვნენ ყიზილბაშნი, მეორე მხარეს ქართველები. გაიმართა ომი. რით გათავდა ეს ომი, ამის ამბავი გრძელია. მე მარტო ერთს რასმე გიამბობთ, რაც ეს

ომში მოხდა. როცა გაცხარდა ბრძოლა, მაშინ გამოჰქუსლა ერთმა ყიზილბაშმა ცხენი და გამოვარდა მოედანზედ რაზმიდამ. გაუქროლ-გამოუქროლა ჩვენებს წინ ცხენი, თითქო ჯირითშია და არა ომშია. ეწყინა ქართველ ყმაწვილობას ასე თამამად და გაბედულად ნავარდობა ყიზილბაშისა, — დახე, როგორ გვბრიყვობს?! კაცად აღარ გვაგდებს თუ, რა ამბავია, რომ ასე უშიშრად გაგვირბის და გამოგვირბისო, იძახდნენ.

ჰკრა ერთმა მოსხეპილმა ყვაწვილ-კაცმა ცხენს ქუსლი და ზედ მიაგდო ყიზილბაშს. ყიზილბაშმა ჰკრა შიგ გულის-ფიცარში შუბი და საბრალო ვაჟკაცი ჯერ ჩამოეკიდა ცხენს და მერე უსულოდ დაეცა დედამიწაზედ.

— აი, ქუდიც არა მხურებია, აი, დედის ძუძუც არ შემრგებია, თუ მაგის სისხლი შეგარჩინოვო, — დაიძახა ახლა სხვამ და მიაგდო ცხენი ყიზილბაშს. ყიზილბაშმა ესეც ჩამოაგდო ცხენიდამ და უფრო გახალისებულმა გამარჯვებით გაათამაშ-გამოათამაშა ცხენი მოედანზედ. გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე და ყველას ცალკე ოგივე დღე დააყენა თათარმა. ასეთი ყმაწვილი კაცები დაჰხოცა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. შეწუხდა ქართველობა: ეს სირცხვილი როგორა ვქამოთთ, შინ რა სახელით-ღა მივიდეთო. არ იცოდნენ, რა ექნათ. ყველას შიში და ფიქრი მიეცა. ვეღარავინ ჰბედავდა გასვლას. ის ყიზილბაში კი ათამაშებდა მოედანზედ ცხენს, თითქო ყაბახობაზე გამოსულა და ამოდენა ქართველობა აინუნშიაც არ მოსდისო.

— ნიკოლოოზ სად არის, ნიკოლოოზ! — დაიძახეს ქართველებმა: — ის თუ გვიშველის, თორემ ლამის ამ ურჯულო თათარმა დედაკაცის ლეჩაქი თავზე დაგვხუროს და ისე გაგვისტუმროს შინაო.

— ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილო, ნიკოლოოზ! — გაჰკივლეს აქეთ-იქიდამ ჩვენებმა.

გოსტაშაბიშვილი თურმე გაცხარებულ ომში იყო და ამ კივილზე ომიდამ გამოვიდა. ჩოხის კალთით გასისხლიანებულ ხმალსა სწმენდავდა, როცა მისცვივდნენ ჩვენები და თავისი სირცხვილი უამბეს. გოსტაშაბიშვილი, მართალია, ძალიან გათქმული და სახელოვანი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მაშინ სიბერე მორეული ჰქონდა და უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა, აღარც მუხლი.

— სად შემიძლიან მე ეხლა დაბერებულსა და დაჩაჩანაკებულს იმასთან ომის გასწორება, — უთხრა ყმაწვილებს გოსტაშაბიშვილმა, — ვერა ჰხედავთ, ახლად ულვაშ-აშლილი ვაჟკაცია, კაცი ლომსა ჰგავს.

— ხუთი ვაჟკაცი მოგვიკლა, იმათ სისხლს ნუ შეარჩენ. იმ ურჯულოსაგან სირცხვილს ნუ გვაჭმევ, — შეევედრნენ ჩვენები.

გოსტაშაბიშვილმა ახსენა ღმერთი, აუკრიბა სადავე ცხენს და ჰკრა

ქუსლი. ცხენმა ერთი ორიოდე კამარა შეჰკრა, ისკუპა და თვალის დახამხამების უმალ ვაჟკაცი ვაჟკაცს წინ დაუდგა. ყიზილბაშმა წამოუღერა თავისი შუბი. გოსტაშაბიშვილმა ხელი აუკრა და აიცდინა. ეს ისე მარჯვედ მოუვიდა, რომ ქების კიჟინა დასცეს. მინამ ყიზილბაში მეორედ შეუტევდა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენ-და-ცხენ ეცა, წაწვდა, ერთი-ორი ღონივრად შეჰბღერტა და ცხენიდამ ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდამ გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

— ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგკვლი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცეს.

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანო, — უპასუხა ყიზილბაშმა, ხალამი ბესცა და წავიდა".

აკაკი წერეთელი

1840—1915

*დიდი პოეტი აკაკი რონტოლის ძე წერეთელი დაიბადა 1840 წლის 9 (21) ივნისს, სოფ. სხვიტორში (ზემო იმერეთი, ხარხეულის რ.). ძველი წყვეულების ძისე

თავგანწირულსა მუშასა
ვერ შეაშინებს ვერავინ,
ვერც ცეცხლი, წყალი, ვერც
ტყვია...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ვ.

ვით მაღლით ჩაგონებული,
საქმეს რომ მისდგე, აღეგზენ,
რომ ნაშრომს დასდო ბეჭედი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ზ.

სხვებიცა შენის მიხედვით
გამრავლდებიან თანდათან,
მამულის წყლულის მკურნალად...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: თ.

მიჰბაძე იმას, ვისაცა
თავს ედგა ეკლის გვირგვინი,
გვირგვინი ახლის აღთქმისა...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ი.

წინ სწორედ წადი, რომ კვალი
მრუდედ არ დარჩეს შენს უკან!..
მაშ გახდი ჯერ სწორმხედველი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: კ.

ეცადე სოფლის ბრუნვამა
ეგ შენი გული არ მოჰკლას!..
გამაგრდი, როგორც სამსონი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ლ.

რომ ვეღარ შესძლოს მტარვლობა
სუსტის მჩაგვრელმა ძალამან,
შესძარი სვეტი ბომონის...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: მ.

ვით დიოგენი, კეთილ კაცს
ეძებდე, გეპყრას ფანარი,
რა ნახო, დაეძმობილე...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ნ.

რომ შენით შენმა მოძმებმა
ცოტა რამ შვება იპოვონ;
სხვას რაღას ეძებ ამ ქვეყნად...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ო.

და მაშინ შენი სახელი
იბრწყინებს, ვითა ლამპარი,
მარადის გაუქრობელი...
მაგრამ ისწავლე ჯერ: პ.

ზღაპრად ხომ იცი, მტრის ღალატს
არ შეუშინდა არც ბეჟან,
თუ შეგხვდეს, ნურც შენ
შეკრთები...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ჟ.

ჭირში და ლხინში ყოველთვის
შენს მოძმეებზედ იფიქრე,
რომ არ გიკვირდეს არც ერთი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: რ.

რა სჯობს, რომ შენსა ნაღვაწსა
ჩანგზედ დამღერდეს მგოსანი
და იმ ხმით სძგერდენ გულები...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ს.

ვისაც ეს წილად რგებია,
ბედისგან ის არს ნეტარი,
სახარბი, სამაგალითო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ტ.

და ვაი კაცსა ურგებსა:
მას ბნელი ადევს უკუნი
და წყევა საშვილიშვილო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: უ.

მას ვეღარ იხსნის წყევისგან
ვერცა დიპლომი, ვერც ფარი,
ვერც მოჭედილი საყელო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ფ.

ხალხის მართლ-განჩინებასა
ხელს ვერ შეუშლის მანქანი,
მანქანი ხრიკით ნაქედი...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ძ.

ნურც დაივიწყებ ნურც იმას,
რაც ზემოთ გითხარ მე წელან,
თავიდან გაიმეორე...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ღ.

რაც წაიკითხო, იფიქრე,
ბეჯითად გული მიაპყარ,
და მერე კიდევ განვაგრძოთ...
შემდეგი ასო არის: ქ.

თუ დაიღალე, მითხარი,
ხვალამდინ გაგიშვებ შენ შინ,
და ხვალ რომ მოხვალ, შეიტყობ,
რომ ყარის შემდეგ არის: შ.

რა ამდენს ასოს ისწავლი,
მერე არ გინდა ჩიჩინი:
შენ უჩემოდაც მიხვდები,
თუ რა ასოა ის: ჩ.

ხომ ხედავ, გაგიადვილდა,
ჩინი უჩემოდ გამოსცან!
თუ სცანი, კიდეც მოშორდი
და გაიკვეთე ეხლა: ცვ.

შენს გაზრდას, თუ მოგეწყინოს,
ან მოგივიდეს აწ ძილი,
კითხვა ხვალამდე გადავსდოთ;
მაშინ ვისწავლოთ ეს: ძ.

მაგრამ არ გირჩევ, რადგანაც
მცირეღა დაგვრჩა ნაწილი
ამ ჩვენის „ანა-ბანისა“...
მაშ წაიკითხე აწ: წ.

გამოიფხიზლე, ადუღდი,
გაცხარდი, როგორც მაჭარი,
და უფრო მკვირცხლად ისწავლი,
თუ რა ასოა ეს: ჭ.

თუ დაიღალე, მითხარი,
სჯობს შეისვენო ხანდახან,
რომ მერე შესვენებულზედ
უფრო გამოსცნო შენ ეს: ხ.

ხვალ ამოსაღებს დაიწყებ,
რადგან გემატა დღეს ჯანი
მთლად „ანა-ბანის“ დასწავლით,
მაგრამ, ოჰ, დაგვრჩა ეს: ჯ.

და ვინც სულ არასა სწავლობს,
მათ უნდა ვუთხრათ ხომ „ჰაი“,
რადგანაც გამოუცნობი
დარჩებათ იმათ ეს: ჰ.

ყმაწვილი და პეპელა

ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იმა...
მას მიეპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და იმა...

ალერსით უთხრა: „პეპელა,
თავს რითი ირჩენ შენაო?
როგორ არ გღალავს მთელი დღე
მოუსვენარი ფრენაო?“

პეპელამ უთხრა: „მინდორში
ვცხოვრობ მე უზრუნველადო...
იქ ყვავილები გაშლილან
ჩემს საზრდოდ, საწოწნელადო.

რაც დღე მაქვს — ტკბილად
ვატარებ,
ჩემს ნებაზედაც დავფრენო,
ბაგრამ დღეგრძელი არა ვარ...
გამიშვი... ნუღა მაცდენო!“

ყმაწვილმა ხელი გაუშვა,
გაფრინდა ნაზი პეპელა...
და, თითქოს ნიშნად მადლობის,
თავს ევლებოდა ნელ-ნელა.

ვაშლი და შაქარა

მაღლა ფოთლებში ელვარებს
ვაშლი სისხლივით წითელი,
მას აქეთ-იქით აქანებს
სიო საამო და ნელი.

დიდი ხანია შესაქერის
მაღლა ვაშლს ცელქი შაქარა,
ოჰ, ნეტავ ერთი მოსწყდესო,
ამბობს თვის გულში პატარა.

თითქო ქარმაო უსმინა,
ხე შეარხია გრიალით,
ყუნწში მოსწყვიტა ნაყოფი,
ძირს მოდის ბზრიალ-ტრიალით.

ყმაწვილმა ხელი დასტაცა,
ქარს მადლი უძღვნა გულითა
და შინისაკენ მოკურცხლა
აღვსილმა სიხარულითა.

გაზაფხული

გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია;
ჩვენ სალხენად კოკობ ვარდსაც
ეშხით გული გაუღია.

ხავერდივით მწვანე ბალახს
აბიბინებს სიო ნაზად,
თითქო უნდა დაეფინოს
იმ ყვავილებს ფიანდაზად.

მაღლა მთიდან წმინდა წყარო
მოცქრიალებს ჩუხჩუხითა,
თითქო ნანას ეუბნება
ძუძუმწოვრებს ტკბილი ხმითა.

ხის ტოტებზედ ჩიტუნები
ფრთხიალობენ, სრიალობენ;
იშენებენ მაღლა ბუდეს,
დაჰხარიან და გალობენ.

და მახლობლად იქვე თავი
მოუყრიათ ყმაწვილებსა,
იმღერიან და თან ჰკრეფენ
სხვადასხვაფერ ყვავილებსა.

ბანთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობამორეკვით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო.
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუეყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამეხარეო!..

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო!“

სიზმარი

ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში,
ქართველ ქალთა ვნახე კრება!
გეფიცებით, მისი ნახვა
ახლაც ისევ მენატრება!

ტახტზე იჯდა თამარ მეფე.
მომხიბლავი, ეშხიანი!..
მარცხნით უდგა თინათინი,
მარჯვნით — ნესტან-დარეჯანი.

გარს ეხვიენ სხვა ქალებიც,
როგორც მთვარეს ვარსკვლავთ
კრება,
ცალ-ცალკე და ყველა ერთად
სიცოცხლე და ნეტარება!..

შემოვიდა რუსთაველი,
ის სულმნათი და მგოსანი,
ხელში ეპყრა მოწიწებით
მისი «ვეფხის-ტყაოსანი».

თაყვანი სცა სწორუპოვარს;
მის-წინ მუხლი მოიყარა...
გაიღიმა ტახტზე მჯდომმა
და ცრემლები გადმოჰღვარა!..

მზის ჭიატის დარი იყო
უცნაური ის ღიმილი,
და თვით გრძნობის ორჭოფობაც
ცრემლში იყო ჩალესილი:

მასაც მგოსნის თანაგრძნობა
გულში ედვა, როგორც ქალსა,
მაგრამ უნდა დაეჭირა
თავი, როგორც დედოფალსა!

ბრძანა: «გმადლობ, ვერ გადვიხდი,
როგორც მეფე, დღეს შენს
ვალსა, —
უკვდავების მოსახვეჭად
მოგაპირებ მომავალსა!..»

მიუბრუნდა ჭერე იქ მდგომ
ნესტანსა და თინათინსა:
«თქვენ გილოცავთ ამქვეყნიურ
სიყვარულს და შვება-ლხინსა!

«გიანდერძებთ საქმროდ ყველას
ტარიელს და ავთანდილსა,
რომ ქართველი ქართველ გმირად
გამოზრდიდეს შვილიშვილსა!»

ეს რომ ბრძანა, ნათლის სვეტად
გადმოეშვა ცისარტყელა...
აიტაცა შუქმა შუქი
და მას გაჰყვა თანვე ყველა!..

მე-კი დავრჩი... შემეშინდა!..
მიმოვავლე გარს თვალები,
და რა ვნახე იმათ ნაცვლად?!
სხვა ხალხი და სხვა ქალები!

არც თამარი, არც თინათინ,
აღარც ნესტან-დარეჯანი!..
აღარც ერთს არ ეტყობოდა
ქართველობის რამ ნიშანი!

გული დამწყდა!.. გამეღვიძა,
ნაღვლიანად გამეცინა!..
ვთქვი: „ნეტავი არ მენახა,
საუკუნოდ დამეძინა!“

ნათელას სიმღერა

ჩონგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელა-ნელაო,
შევუხმატებილე ერთმანეთს,
ოდელა-დელა-დელაო!

ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელაო!
ბნელში რა სასიმღეროა,
ოდელა-დელა-დელაო!

თავ-თავის ჰანგზე, თავის
ხმით
წკრიალობს ერთად ყველაო,
ერთი-მეორის თანხმობით,
ოდელა-დელა-დელაო!

ერთი მათგანიც რომ
გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური,
ოდელა-დელა-დელაო!

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები,
ოდელა-დელა-დელაო!

მწერიც კი ცხოვრობს
თანხმობით,
ფუტკარი... ჭიანჭველაო!
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-
ცალკე,
ოდელა-დელა-დელაო!

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის — სახრჩობელაო!
მტრებს „ვაი დედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: დელა-დელაო!

კმარა! ამდენმა ცრემლებმა
სიმები დამისველაო!
ვერც ვუკრავ, ველარცა ვმღერი,
ოდელა-დელა-დელაო!

ს უ ლ ი კ ო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე!.. დაკარგულიყო!..
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“

ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო;
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებად დაჰყარა.

სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქო სთქვა: „დიახ, დიახო!“

დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შევეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:

..ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!

სამად დაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავად, ბულბულ,
ვარდადო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამ ქვეყნად შეგიყვარდათო".

მენიშნა!.. აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას,
აღარ ვღვრი ცრემლებს
მდუღარეს!..

ბულბულს ყურს ვუგდებ,
ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა,
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!

ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდე რომ მწარედ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი სადა ხარ,
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!

ციცინათელა

ჩემო ციცინათელა!
რად მიჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა!

ანათებ და კარგი ხარ,
მე თუმც არას შარგიხარ!..
ჩემი იყო, ის მინდა,
შენ-კი სხვისი ბარგი ხარ!..

აბრეშუმის პეპელა,
ფუტკარი და წურბელა,
შენზედ სარგებლიანი
შენ გენაცვალოს ყველა!..

წურბელა მკურნალია,
მაგრამ ცოტა მყრალია...
მშიერი — სისხლის მტერი,
რომ გაძღება — მთვრალია!..

მაშ რად მინდა წურბელა?
მან გული დამიბნელა!
ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო ციცინათელა!..

მეორე თაფლს და სინათლეს
გვიკეთებს და სარგებელს
მით გვაძლევს, მაგრამ კბენით
გვისივებს ცხვირ-პირს და ხელს!..

მაშ რად მინდა ფუტკარი,
მკბენარი, მოისარი?
ისევ ციცინათელა,
უწყინარი ის არი!

მესამე ტანს გვიმოსავს,
წუნარია და არ იქმს ავს,
მაგრამ უგნურობითა
პარკში იღრჩობს თავის თავს!

მაშ რად მინდა პეპელი,
უგნურად თავის მკვლელი,
და როგორ არ მერჩიოს
მასაც ციცინათელი?

ჩემო ციცინათელა,
საით ჰფრენ ნელა-ნელა?
მე ვარ შენი ერთგული,
სხვა მოგატყუებს ყველა.

მებრალები, კარგი ხარ!
და ვაი! სხვის ბარგი ხარ!
სხვებს ბნელშიაც უნათებ,
მე-კი დღეც არ მარგიხარ.

ნეტავ რისა გაქვს რიდი?
ჩემსკენაც გამოფრინდი,
ნათელი მომაფინე,
ცა გამინათე ბინდი!

კმა, რაც დღემდის ვიწამე;
აწ საყვარლად მიწამე,
და მაშინ შენ სიყვარულს
დამავიწყებს მიწა მე!..

ჩემო ციცინათელა,
სადღა ჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორ-შორ ნათებამ
უდროოდ დამანელა!..

პატარა ტარიელი

საყმაწვილო მოთხრობა

დიდი ხანია ჩვენს გიმნაზიებში მისთანა გულისყურიანი არავინ ყოფილა, როგორიც პატარა დიტო ცალქალამანიძე გამოდგა; ნიჭს გარდა ზნეკეთილს, სწავლის ხალისიც დიდი ჰქონდა; დიდსა და პატარას, ვინც კი იცნობდა, ყველას უყვარდა და სულში იძვრენდა; როგორც პირველი მოწაფე, კლასიდან კლასში საჩუქრებით გადადიოდა. მეოთხე კლასამდის ტოლი არ ჰყოლია, მაგრამ აქ-კი რაღაც ალალმა დაუქროლა: გუნება შეეცვალა, სწავლაზე გული აიყარა, ახირებულობას მისცა თავი და ადრინდელი დიტოსი ნიშანწყალიც აღარ შერჩენია, თითქოს თვალი ჰკრეს და გაღალესო — აღერღილი დადიოდა!.. სხვებრ კი გარეგნად ავადმყოფობისა არა ეტყობოდა-რა; ფერ-ხორცად კარგად იყო და არც სიმსუქნე ჰკლებია, მხოლოდ საულვაშის ძირზე კი აქეთ და იქით ცერცვის ოდენა სიწითლე დაჯდომოდა და ხმაც ადრინდულად აღარ უკრიალებდა, მკვეხად გაბოხებოდა, ცოტა ნაძალადეობაც ეტყობოდა. შინაურები მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ: „არაფერია, მოზარდია, ამ ხანში ასე იციხო; სანამ ამისთანა დარებია, ტყე და ველსა ჰყავს წატყუებული, თავის ნებაზე ვეღარ ისვენებს და მისი ბრალიაო; ზამთარი რომ შინ შემოსდენის, მაშინ ისევ ისე ძველ კალაპოტში ჩადგებაო“. ასე ფიქრობდნენ, მაგრამ გაუცუდდათ იმედი; ზამთარში უფროც გაჭირვეულდა ყმაწვილი; ნადირობის ჟინმა აიტაცა და დილიდან საღამომდე, რალაი კი სასწავლებელს თავს დაანებებდა, სულ გარეთ იყო. იმ პატარა ჩიტუნიებს, ადრე რომ ისე უყვარდა და ებრალებოდა, ახლა, სადაც კი შეიგულებდა, მოსისხარ მტერივით მუსრს ადენდა! ერთხელ ახირხლა თავის ნანადირევი, დაიჭირა ხელში და გასწია მეზობლისაკენ. იქ, ერისთვის ოჯახში, პატარა ათი წლის მეგობარი — თინა ეგულებოდა და იმასთან მიჰქონდა ძღვნად. პირდაპირ შეევიდა ოთახში, მაგრამ ვერავინ დაინახა, თუმცა აქეთ-იქით კი თავმომწონედ იყურებოდა. უცბად ფარდა შეირხა, გამოჰყო თავი დამალულმა თინამ და „ჭიტაო“ მიაძახა. ჯერ გაეცინა დიტოს, მაგრამ ბოლოს მოიჭმუხნა სახე, უეცრად დაეშვა ძირს და გაინართხა გულშეწუხებული. თინამ დაიკივლა. მის კივილზე უფროსები შემოცვივდნენ და, გულშეწუხებული ბავშვი რომ ნახეს, მისცვივდნენ, ბევრი უსრისეს ცხვირი და ყურები, წყალიც ბევრ-

ჯელ გადაასხეს თავზე, მაგრამ არა ეშველა-რა... მართალია, ყოველთვის, როცა კი ცივი წყალი ესხურებოდა ხოლმე, შემკრთალი თვალებს ახელდა, მაგრამ ისევ ისე ხუჭავდა და ნაბავდა. ბევრი მეცადინეობის შემდეგ, რომ ვეღარა მოუხერხეს-რა, ერისთავიანნი იძულებული შეიქნენ შინ გაეგზავნათ ხელში აყვანილი ყმაწვილი. ახლა კი გამოაჭყიტეს დიტოს სახლში თვალები, შეიცხადეს და ერთმანეთს დაუწყეს საყვედური: „არა, შენი ბრალია, და არა, შენიო". ცოლი ქმარს ამტყუნებდა: „შენ მომიკალი შვილი, შენი ბრალიაო! იძახოდი, არა უშავს-რა, გაივლისო და მე, მზებნელმა, დაგიჯერეო". — „ჩემი კი არა, შენი ბრალიაო!" — პასუხს აძლევდა ქმარი. — „მიგიშვია მის ნებაზე თითის სიგრძე ბავშვი, დარბის აქეთ-იქით ამ დიდ თოვლში, ჩიტების დევნაში ამოდის სული და ვეღარას გებულობსო, — გაცივდებოდა აბა რა მოუვიდოდაო!" ბევრი იწუწუნეს, ბევრი ითავცემეს და ბოლოს, გული რომ ოჯერეს, აფრინეს აქეთ-იქით კაცი ექიმზე. ექიმებიც მოვიდნენ, გასინჯეს ყმაწვილი, ხან მუცელზე დაადვეს ყური, ხან გულ-მკერდზე, ხან ზურგზე, ხან სად და ხან სად. ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ყველამ კი სულ სხვადასხვაგვარად გამოიკვლია; ერთმა თქვა: „ჟია მორევიაო", მეორე ამტკიცებდა: „ჩუმი, ჩაყოლილი ციების ბრალიაო", მესამემ გულის სისუსტეს მიაწერა, მეოთხემ კუჭს და ამგვარად ყველამ თავისებური რეცეპტი დასწერა და მითი გათავდა საქმე; ავადმყოფს თვალის დასანახავადაც არ მიუკარებია მათი წამალი და დედ-მამას მხოლოდ იმას ეხვეწებოდა: „სისხლი გამართვითო". უკვირდათ მისი ახირებული ჟინიანობა და აღარ იცოდნენ რა ექნათ. საშმლის მადა კარგი ჰქონდა ბავშვს, სიცხეც არ ეტყობოდა, მხოლოდ სუსტად იყო მიგდებული და წამდაუწუმ ოხრავდა. ხანდახან, როცა იმასთან აღარავინ იყო ხოლმე, წამოჯდებოდა და რაღაც შეფერებული ღიმილით ბუტბუტებდა: „სევდა რამე შემომყრია, სამკურნალო არა მჭირს-რაო".

ნაცნობებმა დრო იშოვნეს, მიდიოდნენ ავადმყოფის სანახავად და მთელი დღით რჩებოდნენ, რომ გამწარებული დედა ენუგეშებიათ. სადაც კი გაეგონათ რომელიმე სოფლის ექიმის სახელი, ყველაზე უთითებდნენ და არწმუნებდნენ: „ვიცით, რომ ის მოგირჩენსო"; მარჩიელთანაც კი მიასწავლეს. ამასობაში რამდენიმე დღემ გაიარა და დიტოს კი მაინც არა ეტყობოდა-რა.

ერთ კვირა საღამოს ერისთვის ცოლი შემობრძანდა სანახავად და პატარა თინაც თან მოჰყვა. შემოდგა თუ არა ოთახში ფეხი, ავადმყოფმა მოიხედა და გამოცოცხლდა. „ღმერთმა ნუ მომაკლოს შენი იმედი და ნუგეში!.. დიდი ოჯახის შვილი ბრძანდები, დიდი ბედნიერი და ფეხიც ბედნიერი გაქვსო: სწორედ შენ ფეხზე მოიხედა და გამომიბრუნდა შვილიო!" ეუბნებოდა მასპინძელი სტუმარს, და, მართლაც, დიტო წა-

მოდგა ზეზე, ხელ-პირი დაიბანა, ტანთ ჩაიცვა და მარჯვედაც გაიარ-გამოიარა. მთელი ის საღამო ერთად გაატარეს იმან და პატარა თინამ. ის იყო და ის, — იმ დღიდან იმას აღარა სტკენია-რა, მხოლოდ უჩვეულო ახირებულობა კი თანდათან უფრო ეტყობოდა. რა იყო მიზეზი? რა და „ვეფხისტყაოსანი“!

დიტო ახალი გადასული იყო მეოთხე კლასში, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჩაუვარდა ხელში და მისმა მომხიბლავმა შინაარსმა, უფრო ზღაპრულმა მხარემ, ისე გაიტაცა, რომ მეორე დღემდე თავი აღარ აუღია. აღარც ჭამა მოჰგონებია, აღარც სმა და აღარც ძილი. იმ დღიდან თავსა და გულში სულ „ვეფხისტყაოსანის“ გმირები უტრიალებ-დნენ. — „ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ ერთ დროს მეც ტარიელი არ გავხდეო! განა მე კი ვერ მოვახერხებ გმირობასაო?“ — ამბობდა თავისთვის დიტო. ამ სურვილმა ისე წაიტყუა, რომ ერთი თვის შემდეგ თავი მართლა ტარიელად წარმოიდგინა: ულვაშებს იპუწკნიდა, ხმას ძალას ატანდა, სიარულის დროს ფეხს მძიმედ, დინჯად ადგამდა და ყოველგვარ თავის ქცევას ტარიელისას უტოლებდა გუნებაში. დარწმუნდა, დარწმუნდა, რომ მართლა ტარიელი იყო! ახლა საჭირო იყო მხოლოდ, რომ სადმე სამეგობროდ შეჰყროდა ავთანდილ-ფრიდონს და ნესტან-დარეჯანიც გამოსჩენოდა. შემთხვევამ ხელი მოუმართა: ერთ დილას, ადრე, როცა გიმნაზიაში მიდიოდა, დაინახა, რომ მეორე მხრით პატარა ქალებიც სასწავლებელში მიდიოდნენ. წინა ღამის ნაავდრევი იყო და შუა ქუჩაში ნიაღვარი იდგა. პატარა მოწაფეები გაღმა გასასვლელად ქვიდან ქვაზე ადგამდნენ ფეხს, რომ მშრალად ევლოთ; ზოგიერთებს უსხლტებოდათ ფეხი, ჩაჰკრავდნენ ხოლმე წყალში და მაშინ სხვების სიცილს ბოლო აღარა ჰქონდა. იმათში ერთი პატარა, ათი წლის, ლამაზი გოგონა ერია; იმას კი ორივე ფეხები აუსხლტა და ჩავარდა წყალში; ამხანაგებმა სიცილი დაატანეს, მაგრამ პატარა დიტომ კი უცბად გასტყორცა განზე წიგნებით გატენილი ჩანთა და მიაშურა. წყალი კოჭებამდის თუ შესწვდებოდა, მაგრამ დიტომ მაინც მღელვარე ზღვად წარმოიდგინა, ჩაწვა შიგ და ხელებსა და ფეხებს აპარტყუნებდა, ვითომ ვცურავო. მაყურებლებს ეგონათ, თუ ისიც წაიქცაო, და მოუმატეს სიცილ-ხითხითს; მცურავს მათთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, სულ მუცლის ხოხვით მივიდა წყალში ჩამჯდარ პატარა ქალამდის, მოჰკიდა ხელი და გამოიყვანა გამოღმა, მერე წიგნები და კალოშები ამოუღო წყლიდან, ურჩია შინისკენვე დაბრუნება და თვითონაც, როგორც მხსნელი და მფარველი, თან გაჰყვა.

პატარა გოგო გამოდგა ერისთვის ქალი — თინა. ერისთვისას გაწუმპული ბავშვი რომ ნახეს და მიზეზიც შეიტყვეს, ქალს ტანისამოსი გამოუცვალეს, დიტოსაც გაუმშრალეს, მადლობა უთხრეს და გაისტუმრეს.

ამ დღიდან დაიწყო მათი ნაცნობობა და ხშირადაც ხედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. „ესეც ხომ შენი ნესტან-დარეჯანი!“ ფიქრობდა დიტო და სიხარულით თავს ზეცას აჭერდა. თავის აზრი და რწმენა ნელ-ნელა პატარა მეგობარსაც შეატყობინა; წაუკითხა „ვეფხისტყაოსანი“ და იმდენი ეჩიჩინა, რომ გულში ძალაუნებურად შეჰგვარა ნესტან-დარეჯნობა. იმ სახლშივე მცხოვრებ მესარეცხის პატარა გოგოსაც ასმათობა აკისრებინეს; გიმნაზიაშიაც დიტომ ერთი ამხანაგი გაიავთანდილა, ფრიდონიც უმცროს კლასში გაიჩინა და გაიმართა პატარა მეგობრებს შუა ნამდვილი ნესტან-ტარიელობა!.. დიტო ისე გატაცებული იყო სურვილით, რომ „ტარიელი დამიძახეთო“ — ეუბნებოდა თავის ახლო მეგობრებს.

ჩიტები რომ ძღვნად მიიტანა, იმ დღიდან მაინც იჭვი აღარ ჰქონდა თავის ტარიელობაზე. — „ჩვენი ორივეს თავგადასავალი ერთი და იგივეაო“ — ამბობდა. მოუმატა თავგასულობას და მეზობლებს თავს აბეზრებდა. იმ უბანში, სადაც ცალქალამანიძის ოჯახი იყო, მოსვენება აღარავის ჰქონდა მისგან; კატა არსად გაეცდებოდა: ვისიც უნდა ყოფილიყო, თვალს მოჰკრავდა თუ არა, გამოუდგებოდა, დაიჭერდა, ხან ჰკოცნიდა და ხან კედელს ახლიდა, ვითომდა ტარიელის ვეფხვ-ლომებიაო. პატარა ლეკვებსაც აწვალებდა, დიდ ძაღლებს კი შორიდან ესროდა ხოლმე ქვებს; პატარა ბიჭებს, რომელსაც კი დაიბრიყვებდა, უმიზეზოდ და უწყალოდ ანარცხებდა მიწაზე; დიდებს ერიდებოდა, მაგრამ გულში მაინც ამბობდა: „ნეტავი ერთი ხელს ბომკიდებდნენ, რომ ისინი ყირაზე გადვიყვანო, გადავაბრუნო, დაბლა ზურგით მტვერი ვახვეტინო და მაღლა ვარსკვლავები ვათვლევინო...“ ამას დატრაბახებით კი არ ამბობდა, მართლა ეგონა! იჭიმებოდა, იბერებოდა და სწავლაში კი თანდათან იჩუტებოდა.

ამ ხანებში თინამაც აიკრუა გული სწავლაზე. მისმა მასწავლებელმა ქალმა შესჩივლა ერისთვის კნეინას: „თქვენი ქალი აღარ სწავლობს და ეს სულ დიტოს ბრალიაო: მეტად ხშირად მოდის თქვენსა, თამაშობენ, ცელქობენ და ვეღარას ასწრებენო“.

კნეინამ იუცხოვა: — „ჩემი ბრალია, რათ მივეცი ნება, რომ ვიღაც ცალქალამანიძის შვილს ჩემ ქალთან ტოლ-ამხანაგობა დაეჭირაო!“ დაიკრა მუხლებზე ხელი და ბრძანა დიტოს დათხოვა. დიტომ რომ გაიგო, მწარე ცრემლები დაღვარა, მაგრამ თავი მაინც მალე ინუგეშა მით, რომ, რადგანაც ტარიელი ვარ, მისი ჭირიც უნდა ვიტვირთო და უბედურება ავიტანოო. დაემორჩილა შავ ბედს და წამდაუწუმ ბუტბუტებდა: „შორით ბნედა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით ალვაო“...

ამასობაში ერთმა-ორმა თვემ გაიარა; მეგობრებს ერთმანეთი აღარ უნახავთ, თუმცა პატარა თინა მის გუვერნანტს ხშირად დაჰყავდა ხოლმე

საღამოობით აქეთ-იქით ბაღებში, უფრო ხშირად კი ვერისაკენ — სასაფლაოზე. მოთმინებიდან გამოსულმა თინამ აცნობა დიტოს: „თუ რა დაგვიწყებივარ, ვერის სასაფლაოზე გამოდი ხოლმე საღამოობით და, ერთხელაც იქნება, იქ მნახავო“. ეს იყო პირველი წერილი, თინასაგან მინაწერი, თუმცა რუსულად, მაგრამ მაინც მისი ხელით დაწერილი. კინაღამ გაგიჟდა სიხარულით დიტო! გულზე დაიდვა უსტარი და ზედ სიხარულის ცრემლები დაჰღვარა. წამდაუწუმ საათს დასჩერებოდა; წამი საათად ეჩვენებოდა და საათი დღედ. ძლივს მოესწრო საღამოს და გასწია სასაფლაოსაკენ. იქ მართლა დაინახა თინა, მისი გუვერნანტი და ერთი ვიღაც უცხო ახალგაზრდა და წინ შეეფეთა, ვითომ უცაბედად. პატარებს იამათ ერთმანეთის ნახვა. ქალმა უთხრა ბავშვებს: „თქვენ აქ დარჩით, ითამაშეთ, ჩვენ კი ქვევითკენ წავალთ სასაფლაოს ქვების დასათვალიერებლადო“, გამოუყარა ხელი მკლავში ახალგაზრდა ვაჟს და გადაუხვიეს განზე. დარჩნენ პატარები მარტო. ერთხანს შეჩერდნენ ხმაამოუღებლად, მერე ხელი მისცეს ერთმანეთს და აკოცეს, დასხდნენ იქვე საფლავის ქვაზე და დაიწყეს საუბარი. დიდი ხნის უნახავებს ბევრი ჰქონდათ სათქმელი და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს. იმდენი იტიტინეს, რომ დაღამებამ მოატანა და უფროსები კი ჯერ მაინც არსად ჩანდნენ. თინას გულში შიში შეეპარა, გამოუტყდა დიტოს და უთხრა: „წავიდეთ, ჩვენები მოვძებნოთ, დავუძახოთო!“ დიტომ მედიდურად გადაიქნია თავი და უსაყვედურა:

— ჰაი, ჰაი, რისა გეშინია? მე აქ არა ვარ?! მთელი ჯოჯოხეთიც გარს რომ მოგვადგეს, მაინც გავუმკლავდები, მოვიგერებ და შენ კი არას გაგიჭირვებო!

ჯოჯოხეთის ხსენებაზე თინა უფრო შეკრთა და დიტოსაც თვალები გაუდიდდა... ერთი კიდეც მოიხედა უცბად უკან. პატარა ქალი მაინც არ მოეშვა და დააპირეს წასვლა. წასვლისა და გამოთხოვების წინეთ ფიცი დასდვეს: „ერთმანეთს არ ვუღალატოთ და ჩვენც ნესტან-დარეჯანსა და ტარიელსავით ჭირი და განსაცდელი ავიტანოთო“.

— ვინც გასტეხს ფიცს — თქვა დიტომ — იმას მოხვდეს შიგ გულში ცხელი ტყვიაო!..

— აგრე იყოს — გაიმეორა თინამ — ცხელი ტყვიაო!

ეს რომ თქვეს და გაათავეს, ზედ ბეჭდის დასმაც მოინდომეს და მიიწიეს ერთმანეთთან საკოცნელად. სწორედ ამ დროს საფლავიდან ამოიძახა ვიღაცამ: „ტყვიაო!“ ბავშვები შეკრთენ, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, ვერავინ დაინახეს, იფიქრეს: „მოგვეჩვენაო“, მაგრამ კიდევ გამოისმა ხმა სამარიდან სამჯერ ზედიზედ: „ტყვია, ტყვია, ტყვიაო!“ ახლა კი ფერი ეცვალათ პატარა გმირებს. თინას გული შეუწუხდა, დიტო დაფრთხა, იკადრა ტარიელობაზე ხელის აღება, დაავიწყდა მისი ნესტან-

დარეჯანი, მიატოვა და მოჰკურცხლა ყვირილით: „გვიშველეთ, მკვდრები გაცოცხლდენო!“ მის ყვირილზე მოიჭრენ სასაფლაოს მცველი, ფრანცუზის ქალი, ახალგაზრდა კაცი და ერთი-ორი კიდევ სხვაც, იქ ახლოს მყოფი. მოასურსუმალეს გულშემოყრილი თინა, დაამშვიდეს დიტო და მერე გამოჰკითხეს: „რა ამბავია, რამ შეგაშინათო“. ბავშვები ხმის კანკალით ძლივს იმეორებდნენ: „მკვდარი გაცოცხლდაო“. გაუკვირდათ. სასაფლაოს მცველმა თქვა: „აგერ ორი კვირაა, რაც ეს მკვდარი აქ დამარხეს და ახლა მოაგონდა გაცოცხლებაო?“ ახალგაზრდა კაცმა უპასუხა: „შეიძლება საღათას ძილით იყო შეპყრობილი და ახლა გამოიღვიძაო“. გადააბრუნეს საფლავის ქვა და რა ნახეს? თვალგამოკუსული ბაყაყი წამოცუცქულიყო ქვას ქვეშ და იძახოდა: „ყვია“–ო. დიდებმა სიცილი აიტეხეს, მაგრამ პატარებს კი ძვირად დაუჯდათ ეს შემთხვევა: თინას იმ ღამეს სიცხე მისცა, კინაღამ ანთებად გადაექცა, და გათენებამდე აბოდებდა ტარიელს, ლომებს, დიტოს, ბაყაყს და სხვებს. დიტოს, გარდა სირცხვილისა, არა დამართნია-რა, მაგრამ ერჩია კი, რომ ავადაც გამხდარიყო და კიდეც მომკვდარიყო. „რაღა ვარ ახლა და რა სახსენებელიო? ჩემი თავი გმირთაგმირი მეგონა, ტარიელობას ვჩემობდი და ნაცარქექია კი გამოვდექიო!.. რას იტყვის თინა და რაღა პირით შევხედო, რომ მთელი ჯოჯოხეთის მოგერებას ვპირდებოდი და ერთ ბაყაყს კი შევუშინდი, მივატოვე გულშეწუხებული მეგობარი და გავიქეცი!“ ისეთ მწუხარებაში ჩავარდა, რომ სირცხვილით თავს ვეღარსად ჰყოფდა. ამ პირს ზედ კიდევ უარესიც დაერთო: ავთანდილმა უღალატა და გამოამჟღავნა ტოლ-ამხანაგებში მისი საკუდაბზიკო თავგადასავალი. ამხანაგებმა აიგდეს საცინლად, აიბუეს და მოსვენებას აღარ აძლევდნენ: — „ბატონ ტარიელს გაუმარჯოსო“ — ეტყოდა ხოლმე ერთი; — „რასა იქმს თქვენი ნესტან-დარეჯანიო?“ — ეკითხებოდა მეორე; — „სულ გაწყვიტე ლომ-ვეფხები, თუ კიდევ დარჩენო?“ — დასცინოდა მესამე. საბრალოს სირცხვილით პირი უშრებოდა, ნერწყვს ვეღარ ჰყლაპავდა და იყო თავისთვის ჩუმად. ისეთ სინანულში ჩავარდა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა; თავრეტი ესხმოდა, კლასში ტყუილა იჯდა, აღარაფერისა აღარა გაეგებოდა-რა... დარჩა იმ წელიწადს მეოთხეშივე. — „მადლობა ღმერთს — ჰფიქრობდა — ეს უსიამო ამხანაგები მაინც მომშორდნენ და ეგებ მოვისვენოო“. გაუცრუვდა იმედი: ახლებმა უარესი დღე დააყენეს. აუტანელი იყო მისი მდგომარეობა: სახლში შინაურები უჯავრდებოდნენ, კლასში ტოლები იგდებდნენ სასაცილოდ და მასწავლებლებიც ისე უყურებდნენ, როგორც ფუჭსა და გამოუსადეგარ ახალგაზრდას. განიზრახა თავის მოკვლა, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანობდა, არ იცოდა, რა გზა აერჩია: ხეზე ჩამოეხრჩო თავი, თუ წყალში გადავარდნილიყო!..

სადაც დიტო სწავლობდა, იმ გიმნაზიაში ერთი ახალგაზრდა ქართველი მასწავლებელი იყო, რომელიც სხვებს არა ჰგავდა. ის მიტომ კი არ მსახურებდა, რომ ჯამაგირი აეღო და უფროსების გული მოეგო, — თავის პირდაპირ მოვალეობად სთვლიდა, რომ ნორჩი მოწაფეების გულში კეთილი სურვილი აეძრა და ახალგაზრდობა სწორ გზაზე დაეყენებია. ის ძალიან აკვირდებოდა საბრალო დიტოს ყოფაქცევას და, სხვებს რომ აბუებული ჰყავდათ, ის სიამტკბილობით და მამაშვილურად ექცეოდა. დიტო აფასებდა მის ყურადღებას, სულითა და გულით უყვარდა მხოლოდ ის ერთადერთი კაცი და, რომ გადაეხადა რითიმე მისი სიკეთე, მის საგანს საუცხოოდ სწავლობდა, მაშინ როდესაც სხვებისას ყურადღებასაც აღარ აქცევდა. ბევრჯელ საკმაო იყო ხოლმე იმ მასწავლებლის ერთადერთი ალერსიანი სიტყვა, რომ გაბოროტებული დიტო კარგ გუნებაზე დაეყენებია. ერთ საღამოს დაიბარა სახლში; დიტოც, რასაკვირველია, სიხარულით მივიდა მასთან. მასწავლებელი ისე კი არ დაუხვდა პატარა სტუმარს, როგორც უფროსი უმცროსს, — ამხანაგურად მიიღო, მოისვა გვერდით და იმდენი ელაპარაკა სხვადასხვა საქმეებზე, რომ სულ დაავიწყდა ბავშვს თავისი ვინაობა. პატარა სტუმარმა წარმოიდგინა, რომ ჩემ ტოლ-მეგობარს ვუზივარ გვერდითო, გაიხსნა ნელ-ნელა გული და თითო კაკალად უამბო თავისი თავგადასავალი. მასწავლებელი გულდაგულ უსმენდა, ერთხელაც არ მოჰსვლია ღიმილი მის კუდაბზიკობაზე და, რომ გაათავა თვალცრემლიანმა ბავშვმა თავისი მწარე ამბავი, ჰკითხა: — „მერე რა არის მანდ სასირცხო და სასინანულო? „ძალიან კარგი სურვილები გქონია და კიდევაც ეცადე, რომ შენი განზრახვა შეასრულოო! ის ახალგაზრდა, რომელსაც ტარიელი არ მოსწონს, არ ცდილობს, რომ მას მიჰბაძოს, ჩალადაც არა ღირს და მისგან სახეიროც არა გამოვა-რაო. ტარიელ-ავთანდილობა რა დასაძრახისია? შენ მხოლოდ შემცდარხარ, სხვა გზით წასულხარ, თვარა კარგის მეტი არა ჩაგიდენია-რაო“. გაოცებულ დიტოს ეგონა, რომ ესეც დამცინისო და მიაპყიტა თვალები. — „ჩემო პატარა მეგობარო — განაგრძო მასპინძელმა — ტარიელ და ავთანდილები ყოველთვის და ყოველგან ყოფილან და არიან კიდეც საჭირო. ის ხალხი, რომელიც ტარიელ-ავთანდილებს ვერ წარმოშობს და ვერ გამოზრდის, ხალხადაც აღარ იხსენება, უბედურია და გაჰქრება დედამიწის ზურგზე; ჩვენს ქვეყანას ღმერთმა აშოროს ეს ხვედრი! ვყოფილვართ და კიდეც უნდა ვიყოთ. ერთი საუკუნე მეორეს აღარა ჰგავს, დრო სხვადასხვა არის და ამიტომაც გმირები თავ-თავის შესაფერი ჰყავთ. ადრინდელი, რუსთველის დრო სხვა იყო და ახლანდელი, ჩვენი, კიდევ სულ სხვაა, ერთმანეთს აღარ ჰგვანან ფერშეცვლილობით; მაშინ ფიზიკურ ძალაზე იყო ყველაფერი დამყარებული: მახვილ-იარაღით შემოესეოდა ქვეყანას

მტერი და, თუ დამხვდურად ტარიელ-ავთანდილები ვერ მიეგებებოდნენ ფარ-ხმალით, რაღა გადაარჩენდა ქვეყანას? მაშინ ვაჟკაცობა და მკლავის ძალა საჭირო იყო, — მტაცებლობისა და სისხლის ღვრის დრო იყო; დღეს კი სწავლა-მეცნიერებაზეა ყოველიფერი დამოკიდებული, მკლავის ძალა გრძნობა-გონების ძლიერებად შეიცვალა, ფარ-ხმალის ადგილი ენამ დაიჭირა და მშვილდ-ისრისა — საწერკალამმა.

— მაშ დღეს ტარიელები აღარ არიან საჭირო? — დაეკითხა ცოტა გულდაწყვეტილი დიტო.

— უფროც! უფროც! — უპასუხა საჩქაროდ მასწავლებელმა — მართალია, დღეს გარეშე მტრები აღარ გვესევიან, ვეღარც ქაჯებსა ვხედავთ და ვეღარც ხატაველებს, მაგრამ ის უგუნურება და უმეცრება, რომელიც ჩვენს ხალხს გარს არტყია, იგივე ქაჯები და ხატაველები არ არიან? ქვეყნის ბედნიერება, თავისუფლება, ეს ყოველი ერის „წმიდა-თაწმიდა“, უგუნურებასა და უმეცრებას რომ ჩაუგდია ხელში, იგივე ნესტან-დარეჯანი არ არის, ქაჯეთის ციხეში ჩამწყვდეული? გამოხსნა უნდა და, თუ ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონები არ გვეყოლებიან, ვინ უნდა გამოიხსნას? დიახ, ჩემო კარგო, როგორც ტარიელი იმ დროს ბურთაობით, ცხენოსნობით და ნადირობით იწვრთნიდა, იდიდებდა და იმაგრებდა ძალ-ღონეს, სანამ არ დავაჟკაცდა, და მერე გამოვიდა ბრძოლის ველზე, ისე თქვენც დღესვე, ამ თავითვე უნდა ავარჯიშოთ ჭკუა-გონება სატარიელოდ. თქვენი სანადირო ტყე-ველი, თქვენი საბურთაო მოედანი სასწავლებელია. როგორც პატარა ტარიელი იჭერდა და ერეოდა სხვადასხვა მხეცებს, ისე თქვენც უნდა დაიჭიროთ ხოლმე ხელში და სძლიოთ, მოერიოთ სხვადასხვა სამეცნიერო წიგნებს, გაიმტკიცოთ, გაიმაგროთ გრძნობა-გონება და მერე გამოხვიდეთ ქვეყანაში სავარჯიშოდ, საგმიროდ. მაგრამ უნდა გახსოვდეთ კი, რომ, როგორც ტარიელი ვერას გახდა მარტო, სხვების დაუხმარებლად, ისე ვერც არას თქვენ გახდებით. ჩვენი ქვეყნის შზე და მთვარე მარტო ქართლ-კახეთში კი არ ამოდის: მრავალკუთხიანია საქართველო. უნდა გამონახოთ ყოველგან ავთანდილ-ფრიდონები, დაიმეგობროთ და შეთანხმებული სურვილით, შეერთებული ძალით იმოქმედოთ, რომ მათი თანაგრძნობით ჭირი ოდვილად მოიქარვოთ და ლხინში თავი დაიჭიროთ.

— არიან კი ჩვენში მაგისთანა ქალები? — კიდევ ჰკითხა დიტომ.

— ჯერ არა! ახლა უფრო ფატმანების დროა. ეს დიდი შეცდომაა, მაგრამ ბრალი არ ედებათ ჩვენს ქალებს: ის დღევანდელი უკეთესი გაზრდის ბრალია! მრუდე გზით მიჰყავთ და თქვენი ვალია, რომ დაუხვდეთ ხოლმე გზაში, შეაჩეროთ და სწორედ გადაახვევინოთ.

— ჩვენ?.. მაშ შეიძლება, რომ პატარა ერისთვის ქალიც გათიბთინდეს?

— უეჭველია! ჩვენში, როგორც ერისთვის, ისე ცალქალამანიძის ქალებიც, ყველა ერთგვარად თინათინ-ნესტანებად არიან გაჩენილი, მაგრამ დრო აუკუღმართებთ და აფატმანებთ.

— შეიძლება, ეს ყველაფერი, რაც ბრძანეთ, გადავცე სხვებსაც?

— ერისთვის ქალს?.. რატომ არა, მაგრამ ჯერ კი ნება არა გაქვთ. როდესაც შენ თვითონ სწორ, სატარიელო გზაზე დადგები და ბაყაყით შეშინებულ ნაცარქექიას აღარ ემგვანები, მაშინ გადაეცი და ისიც უფრო დაგიჯერებს.

პატარა მოწაფე აღტაცებით ისმენდა მოძღვრის სიტყვებს და ტანში რაღაც უჩვეულო, სანეტარო ჟრუანტელი უვლიდა. ბივარდა უცბად და მოუნდომა თვალცრემლიანმა ხელებზე კოცნა, მაგრამ უფროსმა აღარ აცალა, მიიკრა გულში მტირალი ბავშვი და ტკბილად მომღიმარი, თავზე უსვამდა ხელს. ამ ერთმა წამმა შესცვალა სამარადისოდ დიტოს ბედი. სასიკვდილოდ თავგადადებული ბავშვი გამობრუნდა, გამოცოცხლდა და გაუსვა სწავლას ხელი. ბევრ ხანს აღარ გაუვლია, რომ დაკარგული პირველობა დაიბრუნა; უკვირდა ყველას და მიზეზი ვერ გაეგოთ; იცოდა მხოლოდ ორმა ამ მიზეზის საიდუმლო — დიტომ და მისმა საყვარელმა მოძღვარმა.

დიტომ ოქროს მედლით გაათავა გიმნაზია და გაიგზავნა უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით.

ერისთვის ქალი რაღა იქნა? იმანაც გაათავა საქალებო გიმნაზია, მაგრამ მერეც სწავლისათვის თავი არ დაუნებებია. თავის სამშობლოს დაუდვა გრძნობა-გონება და, რომ მისი ქვეყნის წარსული და მომავალი უკეთ გაეთვალისწინებია, შეისწავლა დედაენა, ისტორია, რამდენიც კი შესაძლო იყო, ლიტერატურა და სხვანი. სულ იმის გამოკვლევაში იყო, თუ რას აკეთებდნენ ჩვენი ძველი დედები, რა ხელსაქნარი იცოდნენ და როგორ სცხოვრობდნენ, რომ მათი მიბაძვით ახალი დროის შესაფერად ისიც მათ კვალში ჩამდგარიყო. სახელი გაითქვა. გამოუჩნდნენ საქმროები — ჯინჯილებიანი გვარისშვილები, მაგრამ თინა უარზე იდგა: „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო“, — ამბობდა გუნებაში და თანვე მოიგონებდა ხოლმე ცალქალამანიძეს: „იმისმან მზემან, უმისოსა არვის მიხვდეს მთვარე მისიო“...

რაფიელ ერისთავი

1821—1901

რაფიელ დავითის ძე ერისთავი დაიბადა 1824 წელს სოფ. ქასტაურში (კახეთი). შვიდი წლისას დედამ შეასწავლა წერა-კითხვა. 1834 წელს რ. ერისთავი მიაბარეს თელავის სამაზრო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს შუამთის მონასტრის სკოლაში, 1839 წლიდან რაფიელი სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1845 წელს დაამთავრა.

1846 წლიდან რ. ერისთავმა დაიწყო სამსახური სხვადასხვა დაწესებულებაში. დიდხანს იყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სასამართლოში თარჯიმნად.

რ. ერისთავი გარდაიცვალა 1901 წელს თავის სოფელ ქასტაურში, სადაც ბოლო წლებში ცხოვრობდა.

სოფლებში სამსახურის დროს რ. ერისთავი ასლო გაეცნო გლეხის შრომას, მის ჭირ-ვარამს, რაც თავის ლექსებში გამოხატა.

რ. ერისთავი აგროვებდა ხალხურ პოეზიას. მან შეადგინა ბოტანიკური ლექსიკონი; თარგმნიდა კრილოვის იგავ-არაკებს.

რ. ერისთავი წერდა სბავშვო ლექსებს და ბეჭდავდა იმდროინდელ სბავშვო ჟურნალებში. მისი ცნობილი ლექსი „მიპატიჟება სასწავლებელში“ დაიბეჭდა სბავშვო ჟურნალში „ნობათი“ 1883 წელს.

მიპატიჟება სასწავლებელში

წამოდექით, ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცვით საჩქაროზედ;
აბა, თავი მოიყარეთ სწავლისათვის თავის დროზედ.
რა ხანია მამლაყინწამ იყივლა და გაათენა,
მერცხალმაც კი იჭიკჭიკა, კვლავ გვასმინა ტკბილი ენა!
აგერ, ტყემაც გაიღვიძა, შრიალებს, რაღასაც ხარობს,
კოდალა ხეს უკაკუნებს და ტოროლა ცაში გალობს.
მინდორი და ველი ჰყვავის, ნამი ბზინავს ათასფერად,
მზემაც თვალი გააჭყიტა, ამოვიდა მათ სამზერად.

ჭინჭველები ველს მოედვნენ, თითქოს რაღაც ჯოგიაო,
მოლაღურიც გაიძახის მაღლა: „ბიჭო გოგიაო!“
ჭიაღუაც სარჩოს ზიდავს, რომ გაავსოს თავის ბინა,
და ფუტკარიც მიზუზუნებს ყვავილისკენ თაფლისთვინა.
კაცი, მხეცი და ჩიტები, — ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა,
მეთევზეცა ბადესა ჰშლის და მუშა კი იქნევს ცელსა.
წამოდექით, ყმაწვილებო, თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი;
ზარმაცები ღმერთს არ უყვარს, წიგნს მოჰკიდეთ, აბა, ხელი.

სამშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, — ჩემი სამშობლო ის არი.
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!
მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარით გადმოჰქუხს ბროლიწყლიანი,
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!
ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხარის.
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმშარის!..
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გაიცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!
ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!
სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა....
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!

მერცხალი

ეს რა ჩიტი მოფრენილა, საიდან და სადაური,
თეთრგულა და ყელწითელა, შავზურგა და უცნაური?
— ვიცნობ, ვიცნობ მაგ შავთვალას, ზამთარშია უცხოური;
ახლა სტუმრად ჩვენ გვეწვია, ზაფხულშია აქაური.

ეგ სირი ხომ მერცხალია ჭიაღუის დიდი მტერი,
ბუზებს იჭერს კამარაში, არ წაუვა არსად მწერი;
უმანკო და ტურფა, ნაზი, სულ არ არის დასაჭერი,
მაგას უნდა ვუთავაზოთ ბუდისათვის სახლის ჭერი.

დახე, ცაში როგორ მარდად ნავარდობს და თითქოს ცურავს,
ხან მიწის პირს ისარივით მიფრინავს და ფრთასა სწურავს;
ჭიკჭიკობს და შეექცევა, საქმეს არ იქმს დასამდურავს,
თიხას ზიდავს ნისკარტითა და ბუმბულით ბუდეს ჰბურავს...

აგერ, ვხედავ, შემომჯდარა... რას ყღურტულებ ნეტა, ჩიტო!
„ბერი ცხონდა, ბერი ცხონდა, ამბობს ყმაწვილები ყლიტო!“
— რისთვის? — რადგან ბუდეს უშლით... აღარ დაუშალო, ტიტო!
ასე უთხარ: არას გერჩით, ჩვენო მტრედო, ჩვენო გვრიტო!

ზამთარი

(ყმაწვილის მოგონება)

ვხედავ, ვხედავ, დაგვიზამთრდა, მომაგონდა მე ზამთარი,
მომაგონდა პაწიობა, მომაგონდა მე სახლ-კარი.
მახსოვს, როცა ბალღი ვიყავ, მიხაროდა თოვლის მოსვლა,
თოვლის გუნდის გაკეთება, სროლა თავში, გორვა, მოსვრა.

შვილდ-ისარით შაშვსა ვდევდით, ჩიტს ვუდგამდით კაკანათსა,
ლასტს ვუგებდით ბეღურაებს, ვერ გვხედავდნენ მუხანათსა.
შევებმოდი მე ციგაში და ზედ მიჯდა გოგიელა,
გადაბრუნდის ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა!

ბიჭები თავს შევიყრიდით, ვხტოდით, ვჭიდაობდით ყველა.
ხან ერთი ძირს, ხან მეორე — ჰერი, ბიჭო, კოტრიელა!..
დაღალულნი, გათოშილნი მივდიოდით ღამე შინა,
მაგრამ ყინვამ და სიცივემ ვერც ერთი ვერ შეგვაშინა...
მეორე დღეს ყინულზედა ვცურაობდით ნელა-ნელა...
უკან კოპი, შუბლზე კოპი, კოტრიელა, კოტრიელა!..

გაზაფხული

გაზაფხული გაგვიფრინდა, გაითოხნა სიმინდები,
თივა დადგეს, ანეულსაც დასდგომია ამინდები...
აგერ, აგერ ყანებშია „ჰოოპუნას“ იძახიან,
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან...

მტრედი, გვრიტი და ქედანი იქ ირევა ნამჯაშია,
მაგრამ მომკლებს ვინ აჯობებს მღერასა და გარჯაშია!
შახე იმ ერთს, გულგაღეღილს, თავზე ქუდი არა ჰხურავს,
ხელსახოცი შუბლს წაუკრავს, დასძახის და ოფლში ცურავს!

შახე ერთი მეთაურსა, შახე იმის ნამგლის ტრიალს;
ყური უგდე მუშის გუგუნს, ყური უგდე იმათ გრიალს...
ჭინჭველივით ირევიან, სიცხეა და პაპანება...
აბა შახე, რა ერთგულად ყველა ყანას ეტანება!

რიგი მიაქვთ საძნე ურმით, რიგსა ჰლეწვენ სოფელშია;
წვრილფეხობა კვერზე უდგა, ხარი ხვნეშის უღელშია...
ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს...
ვაშა, ვაშა მუშა ხალხსა! ღმერთმა იმას გაუმარჯოს!..

რთველი

ყურძენი დამწიფებულა, დახე, როგორ წითლად ღუის,
ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ კოღო, ბუზი თავს დაჰბზუის!
შეიკრიბნენ მკრეფავები, ამოუდგნენ თითო ვაზსა,
ყურძენს ჰკრეფენ, იცინიან და მოაბეს მხარი მხარსა.

მტევნებს ჰკრეფენ, ჰგლეჯენ, სჭრიან, გაჰკრეს, გაჰკრეს ვენახს ხელი,
კალათები იტვირთება და შეიქმნა ხშირი რთველი!..
საურმეზე გოდრები დგას, კალათს სცლიან ზედიზედა...
აბა, ბიჭო, მარნისაკენ, თორემ ძლიერ გაიჭედა!..

იკიდებენ მძიმე გოდრებს სიცილით და ღიღინითა,
ურმით მიაქვთ საწნახლისკენ ნება-ნება, ჭრიჭინითა!..
აბა, გიგო, ქრჩხა თუ გინდა, ან ჯაკანი, ან აკიდო,
შენი წილი ზამთრისათვის მოდი ზურგზე წამოგკიდო...

ჩვეულება ესრეთი გვაქვს, ხილს ვინახავთ საზამთროსა,
ყურძენი სჯობს შესანახად ნესვებსა და საზამთროსა.
მზე ჩავიდა, საწნახლიდან მოწანწკარებს ტკბილი წყარო,
აბა, ბიჭო, შეადექით, ახლა წურვას მოვუჩქაროთ!..

ბიჭებმა ფეხთ დაიბანეს, შემოადგნენ საწნახელსა,
გადიან და გამოდიან, უმადლიან ყურძნის რთველსა.
აგერ, ტკბილმაც მოიმატა, ძლივსღა იტევს ვიწრო ღარი,
ჩქაფაჩქუფით მოჩქრიალებს, ქვევრი დახვდა უმაძღარი!..

დაილოცა ღვთის ნაკურთხი, ჩვენი ოფლით მონაგარი,
მაშ, პირველად ღვთისთვის იყოს ზედაშე და კელეპტერი!..

ღამის მეხრე

ღამის მეხრე ვარ, ტლუ ბიჭი, ნაბადში გახვეულია,
გუთნის ხარ-კამეჩს ვდარაჯობ, უნდა ვხნა ანეულია;
მზე რაკი ჩავა, გუთნეულს გამოვაყოლებ ჭალასა,
თუ მგელი ამოგვედევნა, ავად ავუშლი ბალანსა!
რომ დაღამდება, ყურს ვუგდებ, არ ისმის ჩამიჩუმია!
მარტოკა მშიერს ხარ-კამეჩს გაუდის ხრამახრუმია!
ხანდისხან ჭოტის ხმა ისმის და გულს მიღონებს წყეული;
ისე საბრალოდ გასძახის, როგორც თიკანი ეული.
ჯეჯილის სანაპიროზე სძოვს და სძოვს გუთნეულია,
იმათ ცოხნაზე მალი-მალ მომეკიდება რულია.
ვმაგრობ და ვფხიზლობ, თავს ვიჭერ, თან დავღიღინებ წყნარადა...

შევხედე, ხარი-პარიამ ლამაზად გამოანათა!
მერმე აღარა მიჭირს რა, გატყდება ღამე და ძილი;
ჭრავალიც გადექანება, დიდი არ რჩება მანძილი.
მას უკან დილის რიჟრაჟი ცას გაანათლებს და გულსა,
ტოროლაც შეინავარდებს, ძირს ველარ ვნახავ ნაბულსა;
მზე ყურს ამოჰყოფს, გუთნეულს დავირეკ შესაბმელათა,
ორი დღის ალო მერგება, გადამიხნავენ ხელათა.

ჯერ შრომა, მერე ხტომა

აწავლობს გიგლა ტიტინა,
მზემ შემოუჭვრიტინა:
„გიგლავ, გეყოფა სწავლა,
ახლა კარგია გავლა;
გამო, შეითამაშე,
არვინ ეტყვის მამაშენს“.

„არა, მზეო, მზექალავ,
ჯერ გავათავო სწავლა“.
გიგლამ დაიწყო წერა,
ჩიტმა დაუწყო მღერა:
„გიგლავ, გეყოფა სწავლა,
ახლა კარგია გავლა,
გამო, შეითამაშე,
არვინ ეტყვის მამაშენს“.

„არა, ჩიტო მზეწვია,
მე ოსტატი მეწვია.
შენ თუ მორჩი მღერასა,
მაშ, მეც მოვრჩე წერასა“.

გიგლა სწავლობს გაკვეთილს,
არ უყურებს ბაღში ხილს,
ბაღიდან ალუბალი
ცდილობს მოსტაცოს თვალი:
„გიგლავ, გეყოფა სწავლა,
ახლა კარგია გავლა,
გამო, შეითამაშე,
არვინ ეტყვის მამაშენს“.

მორჩა სწავლას პატარა,
სწავლამ ის არ დაღალა,
გამოვიდა გარეთა,
შესძახა მოყვარეთა:
„ვინ მეძახდა წეღანა?
აქ მობრძანდით ხუყველა!“

მზე უცინის გიგლასა,
ჩიტი უმღერის მასა,
ალუბალი დარცხვენით
აწვდის დიდ კუნწულასა.

იაკობ გოგებაშვილი

1840—1912

დიდი პედაგოგი, ნახალი ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული საბავშვო ლიტერატურის პირველი კრიტიკოსი იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი დაიბადა 1840 წელს 15 (27) ოქტომბერს, სოფ. ვარიანში (გორის რ.).

8 წლის იაკობი მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1855 წელს დაამთავრა. ამის შემდეგ შევიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დასრულა 1861 წელს. ამავე წელს გაემგზავრა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც მუყაითად მეცადინეობდა, მაგრამ ორი წლის შემდეგ ძმიმე ავადმყოფობის გამო დაბრუნდა სამშობლოში.

იაკ. გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებელში ასწავლიდა გეოგრაფიასა და არითმეტიკას. მასწავლებლობის გარდა ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, წერდა განსაკუთრებით სწავლა-აღზრდისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე.

იაკ. გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წელს.

იაკ. გოგებაშვილის ცნობილი სახელმძღვანელო: „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ პირველად გამოვიდა 1865 წელს, ხოლო 1876 წელს მის „დედა-ენა“ I და II კლასებისათვის, რომლის საფუძველზე აგებულია დღევანდელი „დედა-ენა“.

იაკ. გოგებაშვილი ბევრს წერდა საბუნებისმეტყველო და სააღმზრდელო ხასიათის პატარა მოთხრობებს. მის ნაწერებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისტორიულ მოთხრობებს.

ჩვენი სოფელი

ჩვენს სოფელს ვარიანი ჰქვიან. მცხოვრებნი სულ გლეხები არიან. ეს კომლამდე იქნებიან. ახლო-ახლო ცხოვრობენ. ქვითკირის შენობა მხოლოდ ზოგიერთს უდგა. სხვები ცხოვრობენ ან მიწურში, ან ქვა-ტალახა სახლებში. სახლებისვე გვერდით გაკეთებული აქვთ ბოსლები

და ბაკები. ამის გამო სოფელს სისუფთავე აკლია. რადგანაც სოფელი მჭიდროდ არის დასახლებული, ამის გამო პატარა ადგილი უჭირავს.

შიგ შუა სოფელში აშენებულია ქვითკირის საყდარი ღვთისმშობლის სახელობაზე. საყდრის ზეით და ქვეით ამოჩუხჩუხებს მიწიდან ორი ვეებერთელა წყარო. ეს წყაროები ქვემოთ ერთდება და აჩენს მოზრდილს ფშანსა. ამ ფშანში ბევრი თევზი ბუდობს, მათ შორის კალმახიც, ყველა თევზზე გემრიელი.

ვარიანს ირგვლივ შემორტყმული აქვს ვენახები. ეს ვენახები სავსეა ვაზებითა, ხილი კი მათში ნაკლებად არის დარგული. ვენახების აქეთ-იქით იწყება სახნავ-სათესი მიწები. ამ მიწებმა და ვენახებმა ჩინებული მოსავალი იციან. ეს იმიტომ, რომ მიწა ნაყოფიერია და უხვად ირწყვება რუების წყლითა. ეს რუები გამოყვანილია მდინარე ლიახვიდან, რომელიც აღმოსავლეთის მხრივ ჩამოუდის ვარიანსა. ვარიანელებს მოჰყავთ პური და სიმინდი. სხვა მცენარეს იშვიათად სთესავენ. ღვინის მოყვანასაც ერთგულად მისდევენ. ზამთარი ვარიანში მეტად ცივი იცის. ეს უფრო იმიტომ, რომ ჩრდილოეთიდან ზედ დაჰყურებს კავკასიონის მაღალი მთები, ზამთარ-ზაფხულ თოვლით შემოსილი. რადგან ვაზი ვერ იტანს ზამთრის ყინვასა და ხმება, ამიტომ ვარიანელები შემოდგომაზე ვენახს სარს უყრიან და ვაზებს მიწაში ფლავენ, რასაც ისინი ვაზის დამარხვას ეძახიან. გაზაფხულზე კი ისევ აყენებენ ხოლმე ვაზებსა და სარებს უდგამენ.

სამხრეთით ვარიანს მოზრდილი ჭაობი უძევს. ამ ჭაობს მეტად ცუდი სუნი ასდის, რომელიც სწამლავს ჰაერსა და აჩენს ავს ციებას ზაფხულობით. ბედად, ვარიანში თითქმის ყოველდღე ქარი ჰქრის და ჰფანტავს ამ მოშხამულს ჰაერსა, თორემ უარესი დაემართებოდათ ვარიანელებსა.

ვარიანელები ზამთრობით არსად მიდიან საქმეზე და შინაც დროს უქმად ატარებენ. სახნავ-სათესი მიწაც ნაკლებად აქვთ და ისიც საღალო. ამის გამო ღარიბნი არიან და ვალი ბევრი მართებთ სხვადასხვა ფულიანი მოქალაქეებისა.

პატარაა და ღარიბი ვარიანი; მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარს. მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიხილე სინათლე მზისა, იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემის ბავშვობისა, იქა ვტკბებოდი მშობლების, ძმების და დების სიყვარულით, იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი, იქ მწვანე ტყეველს აღტაცებაში მოვყავდი, იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშრომელი ხალხი. იქვე, სასაფლაოზე, მარხიან ჩემი ძვირფასი დედ-მამა, ძმები, ნათესავები.

ვანო და ფრინველები

ერთს პატარა ქალაქში სკოლა იყო გამართული. იმ სკოლაში სწავლობდა სოფლელი პატარა ვანო. ერთხელ ვანომ ღამის ძილში მეტად საამური სიზმარი ნახა: ვითომც დილით ადრე მიირბინა მდინარის ნაპირზე, რომელიც ქალაქს გვერდით ჩაუდიოდა, და პირის ბანა დაიწყო. უცებ დედა მოაგონდა და ძლიერ დაღონდა. თვალ-ცრემლიანმა ყურება დაიწყო თავისი სოფლისაკენ. ერთიც ვნახოთ, დაინახა იქიდან მომფრინავი ჩიტები. ვანომ ჩიტებს შესძახა:

ჰე, ჩიტებო, ჩიორებო, მალხაზო და ნაცარებო!
სად ჰყოფილხართ, რა გინახავთ, დედა ჩემი არ გინახავთ?

ჩიტებმა მხიარულად ჩამოსჭყიტლეს:

დედა შენი ამ დილაზედ ბანზედ იყო გადმომდგარი
და ჭრელს წინდებს ვანოსათვის ჰქსოდა ტკბილად მომღიმარი.

მერე მოფრინდა მერცხალი. ვანომ იმასაც შესძახა:

მერცხალო კუდ-მაკრატელა, მოკიკკიკე, მონავარდე!
სად ჰყოფილხარ, დედა ჩემი არ გინახავს, თუ გიყვარდე?

მერცხალმა ალერსიანად ჩამოსჭიკჭიკა:

თქვენის სახლის ერთ კუთხეში ბუდე მქონდა ანაშენი,
და ყოველთვის თვალ-წინ მედგა მხნე, გამრჯელი დედა შენი.
ახალოხს რო უკერავდა ვანოს დიდი სიამითა.
მე მაღლიდან დავმღეროდი, ვეიკეიკობდი ტკბილი ხმითა.

ბოლოს მოფრინდა ბულბული. ვანომ ამასაც შესძახა:

შენ, ბულბულო, მგალობელო, ყველანად სწორი რომ არა გყავს,
სად ჰყოფილხარ, სიდგან მოხვალ, დედა ჩემი არ გინახავს?

ბულბულმა მშვენივრად ჩამოუსტვინა:

დედა შენი? როგორ არა! ბაღში ვნახე მე ამ ხანად,
ლოყა-წითელს ვაშლებს ჰკრეფდა ვანოსათვის გასაგზავნად.

ამ საამურმა სიზმარმა ისე ძალიან გაახარა ვანო, რომ გამოეღვიძა. გათენებულიყო კიდეც. ადგა საჩქაროდ, პირი დაიბანა, ისაუზმა, წიგ-

ნები ხელში აიღო და მხიარულად მიირბინა სკოლაში. ვანო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და დედისაგან მოელოდა ჭრელს წინდებსა, ლამაზს ახალოხსა და წითელ ვაშლებსა. თვითონაც სცდილობდა კარგად ესწავლა და საყვარელი დედა გაეხარებინა.

სირცხვილის აშორება

შუა დღე იყო. დიდი სიცხე იდგა. მინდვრიდან სახლში მიდიოდა პატარა სანდრო. სიმშილიც ძლიერ აწუხებდა და წყურვილიცა. გზაზე მეზობლის ვენახში ღობესთან დაინახა წითლად დაკუნწლული ვაშლი. თვალი ზედ დარჩა, პირში ნერწყვი მოუვიდა და კბილებმა კაწკაწი დაუწყო. ვაშლები თითქო უცინოდნენ სანდროსა, იწვევდნენ და ეუბნებოდნენ: ამოხტი, მოგვგლიჯე, ჩაგვკბიჩე და პირი ჩაიტკბარუნეო.

სანდრო ყოყმანობდა, სხვისი ვაშლის ქურდულად მოკრეფა ეძნელებოდა, ეთაკილებოდა: თავის დღეში ქურდობა არ ექნა. ბოლოს ვეღარ მოითმინა, სულმა წასძლია, ახტა ღობეზე, მოიწია ტოტი და ოთხი წითლად დაბრაწული ვაშლი მოგლიჯა.

მიდის შინისაკენ სანდრო, სჭამს ვაშლსა და თანაც რაღაცა ჯავრსა გრძნობს, თითქოს გულში ვიღაც უზის და ეუბნება: ეგ ხომ ქურდობა ჩაიდინეო. შხამად ეჩვენება ვაშლი საწყალს ბავშვსა, სწუხს თავის სულწასულობაზე; მაგრამ რაღა ჰქნას? ვაშლებს ხომ ვეღარ მიაბამს ხეზე.

მიდის ასე შეწუხებული. უცებ სანდრო გაჩერდა, რაღაც აზრი მოუვიდა, სახე გაუნათლდა. იქნება წამალი უპოვნა თავის სირცხვილსა?

სანდრომ მოჰკურცხლა ვენახის პატრონის სახლისკენ, მიირბინა კარებზე და დაიძახა:

— ნათლიდედ, ერთი გარეთ გამობრძანდი.

შენა ხარ, სანდრო? რა გინდა, ჩემო კარგო? — ჰკითხა შინიდანვე დიასახლისმა.

— ნათლიდედ, გეთაყვა, ნუ გეწყინება: თქვენს ვენახში განაპირა ხეხილზე ოთხი ვაშლი მოვგლიჯე პირის გასასველებლად და სამაგიერო სიკეთეს გადაგიხდი.

— შეგარგოს ღმერთმა, — უთხრა კეთილმა დიასახლისმა.

სანდრო დაბრუნდა შინ სვინიდის დამშვიდებული და ტკბილად შეირგო წითელი ვაშლები.

თავის გაწირვა

ორი ყმაწვილი გადამტერებული იყო ერთმანეთზე. სადაც კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, უთუოდ ჩხუბი უნდა მოსვლოდათ. ერთხელ მდინარის პირს წაიკიდნენ და დაიტაკნენ. ბევრი იბრძოლეს, თავბრუ დაესხათ, ვეღარა გაიგეს რა და ერთი მათგანი მდინარეში გადავარდა. წყალმა ბავშვი წაიღო და იხრჩობოდა. დიდთაგანი ახლომახლო არავინ შეესწრო, ყმაწვილები კი იყვნენ იქა, ზოგმა ცურვაც იცოდა, მაგრამ წყალს ვერავინ შებედა, ყველას ეშინოდა. მდინარე ადიდებული მიქუხავდა და მიშველება მეტად სახიფათო იყო. წყალწაღებულ ყმაწვილს უსათუოდ დაღუპვა მოელოდა.

მაგრამ მას მხსნელად აღმოუჩნდა ის, ვისგანაც ამას სრულიად არავინ არ მოელოდა. ნაპირზე დარჩენილი ყმაწვილი თავისი პატარა მტრის სიბრალულით აივსო, მაღალმა წადილმა გაიტაცა და ადიდებულ მდინარეს არ შეუშინდა: იძრო სწრაფად ტანისამოსი, ახსენა ღმერთი და გადაეშვა წყალში. ცურვა ჩინებული იცოდა და თავის-თავის იმედი ჰქონდა.

ჩახტა თუ არა ყმაწვილი წყალში, მდინარემ იმ წამსვე დააპროწიალა და ჩააყურჭუმელავა. „ვაიმე, ამასაც დაახრჩობს ეს წყეული მდინარე!“ — შეჰკივლეს ბავშვებმა. მაგრამ მამაცმა ბავშვმა მალე ისევ ამოიყურჭუმელავა, წყალს ზეით მოექცა და სწრაფი ცურვით გაექანა წყალწაღებული ბავშვისაკენ. ბოლოს, როგორც იყო, მიუახლოვდა დაბნედილ ბავშვსა. ცალი ხელი მაგრა ჩასჭიდა და მეორე ხელით და ფეხებით იწყო ცურვა ნაპირისაკენ.

საქმე ახლა უფრო გაძნელდა. წყალმა არა ერთხელ გამოსტაცა ხელიდან ბავშვი, არა ერთხელ აუვსო პირი და შეუგუბა სული; მაგრამ უშიშარი და თავგანწირული ყმაწვილი ბოლოს მაინც ეწია თავის სასიქადულო გულის წადილსა: გადაარჩინა თავისი პატარა მტერი დახრჩობასა და ცოცხალი გამოიყვანა ნაპირზე.

იქ მყოფი ბავშვები, აღტაცებულნი ასეთი სამაგალითო საქციელით, მისცვივდნენ ყმაწვილს, გადაეხვივნენ და მხურვალე გადაკოცნით დააგვილდოვეს.

ამ დღიდან წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქმნენ გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ სიკვდილამდე.

სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს

ერთს სკოლაში სწავლობდა სანდრო. ისეთი ზარმაცი იყო, რომ ყველასათვის თითით საჩვენებელი შეიქმნა. სკოლაში სწავლის დროს სულ ეშმაკობდა, მასწავლებელს ყურს არ უგდებდა, თავის ამხანაგებსაც ხელს უშლიდა. შინ ხომ წიგნი თვალის დასანახავად ეჯავრებოდა და სულ თამაშობასა და ეშმაკობაში იყო გართული. ბევრი ღონისძიება იხმარეს მასწავლებლებმა და მშობლებმა, მაგრამ ვერას გახდნენ, ჭკუაზე ვერ მოიყვანეს, სწავლა ვერ შეაყვარეს. საქმე იქამდინ მივიდა, რომ დღეს თუ ხვალ სკოლიდან უნდა გამოერიცხათ.

ერთხელ სანდროს სახლთან მივიდა ერთი სრულიად უცნობი მათხოვარა. სანდრო თუმცა ზარმაცი იყო, მაგრამ გული კი კეთილი ჰქონდა. სანდრომ მთხოვარას მაშინვე პური გამოურბენინა და რამდენიმე ფულიც აჩუქა, თან კიდეც გამოელაპარაკა.

— ბიძია, განა სხვებსავით მუშაობა არ შეგიძლიან? ხელი არ გაკლია და ფეხი; სიბერე შენზე ჯერ შორს არის და ჯანითაც არა გიშავს რა. რად წანწალებ და რად დათხოულობ? — ჰკითხა სანდრომ მათხოვარასა.

— რადგანაც მოწყალება უხვად გაიმეტე, მართალს გეტყვი, — უპასუხა მთხოვარამა. მეც პატარაობისას შენსავით სკოლაში ვსწავლობდი; ჩემი დედ-მამა არას იშურებდა, რომ სწავლა გამეთავებინა და კარგი კაცი გამოვსულიყავ. მაგრამ ჩამოჯდა თავში რაღაცა ეშმაკი და სწავლაზე გული ამაცრუებინა, ჯაფა შემაძულა, ეშმაკობა და ცუდაობა შემაყვარა. საშინელი სიზარმაცე ჩვეულებად და სენად გადამექცა და ბოლოს სკოლიდანაც გამომრიცხეს. მალე დედ-მამაც დამეხოცა და დავრჩი ობლად. სკოლაში სიზარმაცეს მიჩვეულს, ხელის განძრევაც მეძნელებოდა, გარჯილობა მძულდა, ვერა საქმეს ვეღარ მოვეკიდე. დავვარდი, დავუძლურდი და ლუკმა პური მენატრებოდა. ავდექ, დავიწყე მათხოვრობა და იმ დღიდან აქამომდე ძაღლსავით დავწანწალებ და მოწყალებით ვცხოვრობ, — სთქვა ეს ბლახამ და სწრაფად გაშორდა სანდროსა.

ბლახის სიტყვები სანდროს გულს ელდასავით ეცა და ეს ელდა უებარ წამლად გაუხდა მის სიზარმაცესა. ამ დღიდან სანდრო სრულიად სხვა ბავშვად გადაიქცა. სიზარმაცე, უსაქმობა და ეშმაკობა ჭირივით შეიძულა, ბეჯითობა კი სულითა და გულით შეიყვარა. დღე და ღამ სულ სწავლაში იყო გართული და ძილშიაც კი გაკვეთილებს იმეორებდა. დედ-მამა ძალისძალად გაურევდა ხოლმე მოთამაშე ყმაწვილებში, რომ მეტი მეცადინეობით ავად არ გამხდარიყო.

სანდრომ ბოლოს სწავლა ჩინებულად დაამთავრა და ცხოვრებაში დაიმსახურა მხნე და სასარგებლო მოღვაწის სახელი.

ნამი

— კეკე, მითხარი, გეთაყვა, საიდან მოდის ნამი? — ჰკითხა კოტემ თავის უფროს დას.

— ნამი ზეციდან ცვივა, — უთხრა კეკემ.

კოტე მიუბრუნდა მამას და ჰკითხა:

— მართლა, ნამი ზეციდან ცვივა, მამილო?

მამას გაეცინა.

— არა, შვილო, ტყუილია. ნამი აი როგორა ჩნდება. დღისით, როცა თბილა, მიწიდან და მცენარეებიდან ჰაერში ორთქლი ბლომად ადის. თუ ღამით ბევრად უფრო ცივა, ვიდრე დღისით, მაშინ ხეები და სხვა მცენარეები ბევრს სითბოს ჰკარგავს და ცივდება; ჰაერი კი ამ დროს უფრო თბილია. როცა ჰაერი ამგვარს ცივს საგნებს შეეხება, გაცივდება და იმაში მყოფი ორთქლი იკუმშება, წყლის ცვარებად გარდაიქცევა და ეს ცვარები ამ ცივს საგნებზე დაეცემა. მაგრამ ყველა საგანი ღამე თანაბრად არა ცივდება. ბალახი, მიწა, ქვიშა ღამით სითბოს ბევრსა ჰკარგავს და ამიტომ ნამით შეიფინება-ხოლმე. ბამბა, მატყლი და მეტადრე ლითონი ბევრად უფრო ნაკლებად ცივდება და ამიტომ ამ საგნებზე დილ-დილით ნამი ან სულ არ არის, ან ძალიან ცოტაა. რასაკვირველია, რაც უფრო ბევრი ორთქლი ურევია ჰაერში, იმდენად უფრო ხშირი ნამი ჩნდება; საცა ჰაერი ორთქლით ღარიბია, იქ თხელი ნამი იცის. ამიტომ ზღვის მახლობლად ხშირი ნამი ჩნდება, ზღვის მოშორებით კი თხელი. უბრალო მაგალითით ადვილია ნამის გაჩენის ახსნა: ზამთარში რომ ჭიქა ყინულით აავსო და თბილს ოთახში შეიტანო, ჭიქას მაშინვე ოფლს დაასხამს. საიდან გაჩნდა ეს ოფლი? იქიდან, რომ ჭიქამ გააცივა ჰაერი, რომელიც იმის ცივს გვერდებს გარშემო ეხვია; ამ ჰაერის ორთქლი შეიკუმშა, ნამებად გარდაიქცა და ეს ნამი ჭიქას მიეკრა. მეორე მაგალითი: ზამთარში ფანჯრის მინებს შიგნიდან ოფლს დაასხამს-ხოლმე. საიდან ჩნდება ეს ოფლი? ოთახის თბილს ჰაერში ორთქლი ბევრი ურევია; ეს ორთქლი ზოგი ადამიანის სუნთქვას ამოსდევს, ზოგი მდულარე ქვაბიდან, სამოვრიდან ადის და სახლის ჰაერში ერევა. ფანჯრების ცივს მინებს რომ ჰაერი ეხება, ცივდება, იკუმშება, ორთქლის ნაწილები ერთმანეთს უახლოვდება, ერთმანეთს უერთდება, ცვარებად იქცევა და ფანჯარას ეკვრება. გარეთა ჰაერის ორთქლიც სწორედ ამ სახითვე გარდაიქცევა-ხოლმე ნამად ცივი მცენარეებისა და მიწისაგან.

— მაშ, თუ აგრეა, რატომ ნამს ყოველ დილას არა ვხედავთ? — ჰკითხა კეკემ თავის მამასა.

— ეგ იმიტომ, შვილო, რომ ყოველ ღამეს ერთნაირად არა ცივა; ზაფხულის ღამეში ნამი მხოლოდ მაშინ გაჩნდება ხოლმე, როცა დღისით ძლიერ თბილა და ღამით კი მეტად გრილა.

— ზოგჯერ თბილი დღის შემდეგ ღამე ძალიან გრილი ქარი ჰქრის, მაგრამ მეორე დილაზე ჩვენ ნამს ვერა ვხედავთ, ეს რისგან ხდება? — ჰკითხა მამას სანდრომ.

— ეს სწორედ შეგინიშნავს, — უთხრა მამამ, — მართალია, თუ ღამე ღონიერი ქარი ჰქრის, ნამი არა ჩნდება. აქედან ჩანს, რომ ქარი უშლის ნამის გაჩენას. როგორ და რა გზით? ქარი ცივ საგნებთან ერთსა და იმავე ჰაერს ერთს წამსაც არ აყენებს, განუწყვეტლივ სხვადასხვა ჰაერი მოაქვს; ხეებისა და ბალახების გარშემო ამისთანა ამინდში ჰაერი მუდამ იცვლება და ახლდება. ამიტომ ეს ცივი საგნები ვერ ასწრობს, რომ ჰაერი გააციოს და იმაში მყოფი ორთქლი ნამად გარდააქციოს. აი რის გამო ხდება, რომ ქარიანი ღამის შემდეგ ნამს არ დააგდებს ხოლმე. ნამი ჩნდება მხოლოდ დაწყნარებული ამინდის დროსა.

— მამა, ხან დაწყნარებული ღამე ყოფილა, მაგრამ მეორე დილაზე ნამი კი არ მინახავს! — წამოიძახა კეკემ.

— ჰო, შვილო, ეგეც მოხდება-ხოლმე, თუ ჩუმს ღამეში ცას ღრუბელი ახვევია, მაშინ ნამი არა ჩნდება.

— რატომ, მამილო? — ალერსით ჰკითხა ისევ კეკემ.

— იმიტომ, შვილო, რომ ღრუბელი მიწის სითბოს ზევით არ უშვებს, ისევ უკანვე აბრუნებს და ამის გამო ღრუბლიანს ღამეს თბილა. ამ დროს საკმაოდ არ ცივდება არც ხეები, არც ბალახი და არც სხვა საგნები, ამიტომაც ჰაერსაც სითბო არ აკლდება და ნამიც ამისთვის არა ჩნდება. როცა კი მოწმენდილი ღამეა, მაშინ მიწის სითბო მაღლა ცაში ადის, იქ იფანტება და უკან აღარ ბრუნდება. ამ დროს მიწა ბევრს სითბოსა ჰკარგავს, ცივდება და ნამიც იმიტომ გაჩნდება-ხოლმე.

სამასი თავდადებული ბლეხი

ასის წლის წინად ქართ-კახეთში მეფობდა მეფე ერეკლე. სპარსეთის ხელმწიფემ მოსთხოვა მას ეცნო ის მეფეთა-მეფედ და ხარჯი ეძლია. მეფე ერეკლემ ცივი უარი შეუთვალა. სპარსეთის ხელმწიფემ შეჰკრიბა დიდძალი ჯარი და სწრაფად მოადგა თბილისსა. მეფე ერეკლემ მხოლოდ მცირეოდენი ჯარის შეგროვება მოასწრო. სპარსე-

ლები ერთი-ოცად მეტნი იყვნენ ქართველებზე. ქართველ ჯარში ერია ერთი რაზმი, რომელიც შესდგებოდა სამასი ფშავ-ხევსურ და არაგვის-პირელი გლეხისაგან.

ომის დაწყების წინ ამ რაზმის მეომართ შეჰფიცეს ერთმანეთს: თუ ბედმა გვიღალატა და ვერ დავსძლიეთ მტრის ძალა, შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენგანი ცოცხალი თავით შინ დაბრუნდესო; ან გამარჯვება, ან სიკვდილი ბრძოლის ველზე! ეს ვაჟკაცური ფიცი ვაჟკაცურადვე შეასრულეს ჩვენმა რაზმელებმა. როცა აუარებელმა სპარსელებმა სძლიეს პატარა ქართველ ჯარსა, არც ერთმა რაზმელმა მტერს ზურგი არ უჩვენა, არც ერთი არ შეუშინდა სიკვდილსა, ყველანი ებრძოდნენ მტერს უკანასკნელის სისხლის წვეთამდის და თავისი გმირული სული ყველამ ბრძოლის ველზე დალია, თბილისის ქვემოდ, კრწანისის ველზე.

ეს თავდადებულობა სამასი გლეხისა მშვენივრად გამოხატა გრიგოლ ორბელიანმა შემდეგს ლექსში:

„აი, სამასი გმირები, დუშეთით თბილისს მოსულნი,
მეფის შეწევნად და მის წინ მისთვისვე შეფიცებულნი:
„თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა გავსდევნეთ მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი“.
და გარდიწერეს პირჯვარი, ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს
და შავარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სამრაველს.
შესძრეს, გაფანტეს, მაგრამ ზედ თავი თვისიც დაკლეს,
ფიცი ვაჟკაცთა წმინდა არს, მათცა სიკვდილით შემოწმეს.

ცხრა ძმანი ხერხეულიძენი

თბილისის სამხრეთით, ორმოცის ვერსის მანძილზე სძევს მოზრდილი სოფელი მარაბდა. სამასის წლის წინათ ამ სოფელში სცხოვრობდა მოხუცი აზნაური ხერხეულიძე, რომელიც გადასახლებული იყო ზემო-ქართლიდან და რომელსაც ცხრა ვაჟი ჰყავდა. მამა ამ ცხრა ვაჟისა იყო ერთგული მოყვარე თავისი ქვეყნისა და მხურვალე მამულიშვილი; ცოლადაც მას ჰყავდა ყოვლად ღირსეული ქართველი მანდილოსანი. ამის გამო ცხრა ძმანი ერთიერთმანეთზე უკეთესი ვაჟები და მამული-შვილები დადგნენ.

იმ ჟამად სპარსეთში მეფეობდა შაჰი აბაზი, მეტად აბეზარი მეომარი. მას ჰყავდა მრავალი ჯარი, გაწვრთნილი და გამოცდილი ლაშქრო-

ბაში. შაჰბაზმა დაიპყრო ბევრი ქვეყანა და ბოლოს საქართველოშიც შემოიჭრა. ქართველი ჯარი მას გადაეღობა გზაზე თბილისს ქვეით, მარაბდის სამხრეთით. გაჩნდა საშინელი ბრძოლა. სამი დღის განმავლობაში სისხლი შეუწყვეტელ ნაკადულებად მიდიოდა. თუმცა სპარსელები ერთი-ათად მეტნი იყვნენ, მაგრამ მათ სამის დღის განმავლობაში ქართველს ჯარს ფეხი ვერ მოაცვლევინეს, რადგანაც ქართველნი მოემარნი თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს დაცვისათვის. მეტადრე საოცარს უშიშრობას, სამაგალითო ვაჟკაცობას და საარაკო თავდადებულობას იჩენდნენ ცხრა ძმანი ხერხეულიძენი, რომელნიც ერთად, მხარდამხარ ებრძოდნენ მტერსა. მათ არა ერთი იერიში სპარსელებისა უკუაქციეს, არა ერთხელ აქნევინეს ზურგი მტერსა; მაგრამ მეოთხე დღეს სპარსელებს ახალი ჯარი მოეშველათ და დაღალულ დაქანცულმა ქართველმა ლაშქარმა ვეღარ შეიკავა მტერი. ამ საშინელის წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამც თუ არ შედრკნენ, არამედ ლომებად გადაიქცნენ და უფრო მომეტებული თავის განწირვით იბრძოდნენ. მათ, ზემოთ მოხსენებული სამასი გლეხივით, გადაწყვეტილი ჰქონდათ: ან გაემარჯვნათ, ან ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ ყველანი. და რადგანაც ქართველმა ჯარმა ვერ გაიმარჯვა, თავდადებულნი ძმანი ერთიერთმანეთზე ზედ შეაკვდნენ მტერსა და თვისი გმირული სული დალიეს ბრძოლის ველზე.

ხალხის თქმულებით, მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნევებდა მათ და, როცა ერთს მის ვაჟს, სასიკვდილოდ დაჭრილს, ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ აიღო დროშა და მეორე თავის შვილს მისცა ხელში.

მადლიერმა ქართველებმა ეს ცხრა ძმა იპოვნეს ბრძოლის ველზე მკვდართა შორის, თვითეული დიდი მოწიწებით დამარხეს ცალ-ცალკე მწკრივად და დაადვეს ცხრა დიდ-დიდი საფლავის ქვა, რომელიც დღემდის დაცულია.

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი

ერეკლე მეფეს ომი ჰქონდა ჭარის ლეკებთან და ძლიერ დაამარცხა ისინი. გამარჯვების შემდეგ თავისი ჯარით უკან გამობრუნდა. მეფე, ორმოცდაათი წლის ვაჟკაცი, მშვენიერ ბედაურზე იჯდა და წინ მიუძღოდა ჯარს. ჯარი, გრძლად და ლამაზად დამწკრივებული, ფეხდაფეხ მისდევდა მეფეს. გზა საინგილოზე მოდიოდა. ერეკლე შემოვიდა

ერთს განიერს ორღობეში, რომლის აქეთ-იქით ჩამწკრივებული იყო დიდრონი ვენახები და ბაღები, დამკრახული და დაბრაწული ხილით სავსე.

უცებ მეფეს თავზე ვიღაცამ გადმოაყარა ზემოდან მთელი ბღუჯა ქლიავი. გაოცებულმა მეფემ თავისი ბედაური შეაყენა, გაჩერდა ჯარიც. მიიხედ-მოიხედეს და იქვე ვენახის ღობესთან დაინახეს ვეებერთელა ქლიავის ხეზე თორმეტიოდე წლის ინგილო გოგონა, რომელსაც ქლიავი ესროლნა მეფისათვის [1].

მეფის მხლებელნი წამსვე ჩამოიჭრნენ ცხენებიდან, აცვივდნენ ღობეზე და შეჰყვირეს პატარა ქალს: „შე ბრიყვო, შე საძაგელო, ეს რა ჰქენი? მეფე ერეკლეს ქლიავის თავზე გადმოყრა როგორ გაუბედე? ჩამო ეხლავე ხიდან და ბოდიში მოითხოვე მეფის წინაშე, თორემ შავი დღე დაგადგება!“

— რაო? მეფე ერეკლეო? — განცვიფრებით ჩამოსძახა ზევიდან გოგონამ. — რას ამბობთ? ეგ რომ ჩვენი სახელოვანი მეფე ერეკლე იყოს, განა სპარსულს ქუდს თავზე დაიხურავდა? არა, ეგ ტყუილია. მე ქლიავი თავზე გადმოვაყარე სპარსელს თათარს, ჩვენს მოსისხლე მტერსა და არა მეფე ერეკლეს, რომელიც ყველა ქართველს ღმერთივით გვიყვარს! თქვენ სულ ტყუილად მემუქრებით, არც ძირს ჩამოვალ და არც ბოდიშს მოვიხდი! — და უფრო მაღლა წავიდა ხეზე.

ეს პასუხი გაიგონა მეფე ერეკლემ, გულიანად გადიხარხარა, ამოიხადა სპარსული ქუდი, რომლის ტარებას დაეჩვია ყმაწვილობაში, სპარსეთში მყოფობის დროს, დაანახვა თავისი მშვენივრად მოყვანილი ქართული თავი და შესძახა პატარა ქალს: „ყოჩაღ, ქალო! სრულიად მართალი ხარ. სპარსული ქუდი სწორედ რომ არ უნდა მეხუროს მე. ქართველი მეფე გარეგნობითაც, ტანისამოსითაც ქართველი უნდა იყოს. კარგი, ჩინებული დარიგება მომეცი შენ მაგ ქლიავის სროლით. ბარაქალა შენს ქართველ ქალობას!“

ამასთან ერეკლემ იკრა ჯიბეს ხელი, ამოიღო მთელი ბღუჯა თეთრი ფული, მისცა თავის მხლებელს და უბრძანა: საჩუქრად მიეცი ეს მაგ სამაგალითო ქართველ გოგოცუნასო.

გოგო ახლა კი მიხვდა თავის შეცდომას და შეწუხდა ძლიერ. საჩუქარი შორს დაიჭირა, ცივს უარზე დადგა, მაგრამ მხლებელმა უთხრა მოსარბილებლად: „განა მეორედაც გინდა აწყენინო მეფეს? მეფის

---

[1] ეს ამბავი, ქლიავის სროლისა, ჩვენი მოგონილი არ არის, ხალხის თქმულებას შეადგენს.

წყალობაზე უარის თქმა ვის გაუგონია! თუ გსურს შენი შეცდომა გაასწორო და ერეკლე მეფეს აამო, ეს ფული მიიღე საჩუქრად“.

მაშინ კი გოგო დაეთანხმა, ზევიდან ქვემო ტოტზე ჩამოვიდა, ჩაჰოსწვდა ძირს, გამოართვა ფული და ჯიბეში ჩაიჩხრიალა, მერე შურდულივით ავარდა ქლიავის კენწეროზე, კარგად გამოჩნდა, გასწორდა ტოტზე, მეფეს დაბლა დაუკრა თავი და წკრიალა ხმით გადმოსძახა: „მეფე ერეკლეს გაუმარჯოს!“

— „ქართველ ქალსაც გაუმარჯოს“, — შესძახა მამობრივი ხმით მეფე ერეკლემ, დასძრა თავისი ბედაური და ჯერ კიდევ თავმოხდილი გაუძღვა ჯარს. ჯარი, ამაყი თავისი მამაცი მეფით და თავისი ვაჟკაცობით, უკან მისდევდა მწყობრად და თანაც აგუგუნებდა მშვენიერს ქართულს სიმღერას. პატარა ქალი კი იდგა ამართული ქლიავის კენწეროზე, თვალს არ აშორებდა მიმავალ მეფესა და მის ჯარს და, როცა შეწყდებოდა ხოლმე ჯარის სიმღერა, ჰაერში გაისმოდა გოგონას ზარივით ხმა: „მეფე ერეკლეს გაუმარჯოს, ქართველს ჯარს გაუმარჯოს!“ ამ სახით იდგა პატარა ქალი დიდხანს და გრძნობდა იმისთანა სიხარულს, იმისთანა ნეტარებას, რომელიც წინათ სიზმრადაც არ მოსჩვენებია. ქალს უზომოდ ახარებდა ნახვა სანატრელი მეფისა, მასთან საუბარი, მისი მამობრივი ქება, მისი მეფური საჩუქარი. ქალი, სიხარულით დამთვრალი, ჩამოვიდა ქლიავის ხიდან მხოლოდ მაშინ, როდესაც შორეულმა ნისლმა დაჰფარა მეფეც და მისი ჯარიც

მაგრამ ამ ადგილიდან ქალს წასვლა აღარ უნდოდა. ის სიყვარულით შესცქეროდა ხან იმ ადგილს, სადაც მეფე ერეკლე იდგა და ელაპარაკებოდა, და ხან ქლიავის ხეს, რომელთანაც იმ დღიდან შეერთდა, შეხორცდა მის გონებაში ბედნიერი წამი, უტკბილესი შეთხვევა. ერთი საათის წინათ უბრალო ხეხილი ახლა ამ პატარა ქალის თვალში გადაიქცა გულითად მეგობრად, ქვირფას მოკეთედ, თითქმის კეთილ სულიერად, გადაიქცა სამუდამოდ, საუკუნოდ.

ბოლოს გოგოცუნა გამოფხიზლდა ჭარბი სიხარულიდან, მოაგონდა თავისი დედ-მამა და მოჰკურცხლა შინისაკენ, რათა ეხარებინა მათთვის თავისი საარაკო ბედნიერება.

II

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთს ინგილო გლეხს თავის დარბაზში ქორწილი ჰქონდა გაჩაღებული. დედოფლად იყო ჩვენი ნაცნობი ინგილო ქალი, ახლად შეღერებული და ისეთი ეშხიანი, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებდა. მის ჰკვიანსა და მიმზიდველს სახეზე თამა-

შობდა, ბრწყინავდა სხივი პირველის ქალწულებრივის სიყვარულისა. ეს სიყვარული აენთო უმანკო ქალის გულში ერთს საუკეთესო ინგილო ვაჟკაცს, რომელიც მას გვერდს უმშვენებდა. ამასაც პირისახეზე ცხადად ჰქონდა აღბეჭდილი ნეტარება პირველის უმანკო სიყვარულისა. პირველს წმინდა სიყვარულს უმანკო ქალისას პასუხს უგებდა, ბანს აძლევდა პირველი და წმინდა სიყვარული უმანკო ვაჟისა. „ფერი ფერსა, შადლი ღმერთსა", — ფიქრობდა და ამბობდა ყველა, ვინც კი ამ მეფე-დედოფალს ერთად ჰხედავდა.

დაიწყო თუ არა საქორწილო ლხინი, თამადამ ბრძანების კილოთი წარმოსთქვა ხმამაღლა: „სმენა იყოს და გაგონება! ეს ღმერთმა აცოცხლოს და ადღეგრძელოს ჩვენი გმირი მეფე ერეკლე, გამარჯობა ნუ მოაკლოს ლეკებზე, სპარსელებზე, ოსმალებზე, სამხრეთზე და ჩრდილოეთზე!" „ადღეგრძელოს, ადღეგრძელოს!" — შესძახეს ისეთის აღტაცებით ყველა სტუმრებმა, რომ კაცს შეეშინდებოდა, ჭერი არ ჩამოინგრესო.

სწორედ ამ წუთს უცებ გაიღო დარბაზის კარები, შევიდა ერთი უცხო ვაჟკაცი, მშვენიერს ტანისამოსში გამოწყობილი, და სალამი მისცა: „აგაშენოთ ღმერთმა და აბედნიეროს მეფე-დედოფალი". მერე სთქვა: „რა ჩინებულს დროს მოვედი. მე გამომგზავნა მეფე ერეკლემ და მიბრძანა: ეს საჩუქარი მიართვი იმ ინგილო ქალს, რომელმაც რამდენისამე წლის წინათ მთელი მუჭა ქლიავი უთავაზა ჩემს სპარსულს ქუდსაო, — და გადასცა დედოფალს ვეებერთელა ქისა, სავსე ბაჯაღლო ოქროებით. მზითევიც გამომატანა და აი კიდეც მოაქვთო, და ამ დროს კარზე მოადგათ რამდენიმე ურემი, დატვირთული მშვენიერი მზითევის ნივთეულობითა.

დატრიალდა ისეთი სიხარული, ასტყდა ისეთი ქება და დიდება ერეკლესი, მისი კაცთმოყვარეობისა, რომ არც ენით ითქმის და არც კალმით აიწერება სავსებით. არ დარჩა არც ერთი ლექსი იმ მრავალ სადიდებელ ლექსთაგანი, რომელნიც ერეკლეზე იყო გამოთქმულნი, რომ არ ემღერნათ სტუმრებს უსაზღვრო აღტაცებით. მღეროდნენ კაცნიც, ქალნიც, დიდნიც და პატარანიც და ადიდებდნენ მეფე ერეკლეს. მეტადრე დედოფალი სწორედ სამოთხის ნეტარებას გრძნობდა. ისე მზითევი არ ახარებდა, როგორც ყურადღება სათაყვანო მეფისა.

გავარდა ფიცხლავ ეს ხმა მთელს საინგილოში და ყველა ინგილო, ქალი თუ კაცი, მზითვის გაგზავნას მეფისაგან საკუთარ, პირად ჯილდოდ სთვლიდა, მთელი საინგილოს დასაჩუქრებად მიაჩნდა. და ეს განაპირა კუთხე საქართველოსი მთლად აივსო მხურვალე მადლობით და უზომო ერთგულებით მეფისადმი.

ამის შემდეგ განვლო კიდევ ოცდახუთმა წელმა, კრწანისის ველზე თბილისის პირში საშინელი ომი იყო. ხუთი ათასი ქართველი ებრძოდა სამშობლოს დასაცავად სამოცდაათი ათას სპარსელს. ოთხმოცი წლის ერეკლე მეფე, ჯერ კიდევ მხნე და გულადი, ლომივით იბრძოდა და თავს სრულიად არ ზოგავდა. მისი სიცოცხლე ყოველ წამს საფრთხეში იყო. ხან მის ახლო, ხან მის გვერდით, ხან მის წინ იბრძოდნენ, სხვათა შორის, ორნი ნორჩნი ვაჟკაცნი, რომელნიც თავისი საოცარი სიმამაცით, თავისი თავგანწირულებით მეფისათვის, ყველას ყურადღებას იპყრობდნენ, ყველას აკვირვებდნენ. არა ერთხელ აქციეს მათ უკან მეფეზე მოსული მტერი, არა ერთხელ მიუშვირეს მათ საკუთარი მკერდი მტრის ტყვიასა და ხმალს, მეფისათვის დამიზნებულს, არა ერთს სპარსელს დაუბნელეს მზე. მაგრამ თავისი სიცოცხლე კი შესწირეს მეფესა და საქართველოს. ეს ორივენი დაიხოცნენ კრწანისის ველზე გმირულის სიკვდილით მეფე ერეკლეს თვალსწინ.

ვინ იყვნენ ეს ნორჩი ვაჟკაცნი?

იგინი იყვნენ უფროსი ვაჟიშვილები ჩვენი ნაცნობი ინგილო ქალისა და ნათლულნი თვით მეფე ერეკლესი.

დედას მალე მიუვიდა საინგილოში ამბავი: შენმა შვილებმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს; არა ერთხელ გადაარჩინეს სიკვდილს თავისი ნათლია მეფე, მრავალს სპარსელს დაუბნელეს მზე და თავი შესწირეს მეფესა და საქართველოსაო.

„ვმადლობ, მსურვალედ ვმადლობ უფალსა, რომ მან აღირსა ჩემს შვილებს გმირული სიკვდილი, სახელოვანი სიკვდილი მამულიშვილებისა“, — წარმოსთქვა დედამ იმისთანა ხმით, რომელშიაც დიდ ნუგეშთან უღრმესი და უმწარესი დედობრივი სიმწუხარე ცხადად ისმოდა. „ტყუილად კი არ მძულდნენ პატარაობიდანვე სპარსელები ისე ძლიერ, რომ მზად ვიყავი ყოველს მათს დანახვაზე ზედ შევკდომოდი. გული თითქო მაშინვე მეუბნებოდა, რომ ეს მტარვალები შენცა და შენს საყვარელს საქართველოსაც დიდს უბედურებას მიაყენებენო. და, აჰა, წინაგრძნობა გულისა მთლად ამიცხადდა“.

„მაგრამ ნუ გაუხარდებათ მტრებს“, — განაგრძო სამაგალითო დედამ: „ღვთის წყალობით, მე კიდევ მყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი. მე მათ დავზრდი უფრო უკეთეს, უფრო გულმხურვალე მამულიშვილებად და ისინი სხვა ქართველ დედების აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად გადუხდიან მტერს სამაგიეროს და ჩვენს საქართველოს დააყენებენ ბედნიერს გზაზე“.

ჩიტის ბუდის ფასი

სოფლის სკოლის მასწავლებელი დასეირნობდა ერთხელ სადილს უკან და დაინახა, რომ ერთი მისი მოწაფე ბაღში ხის ძირში იჯდა, თავის წინ დადებულს ქუდში იხედებოდა და რაღაცას ეალერსებოდა. მას ოავს დასტრიალებდა ორი ჩიტი და საცოდავად ჭყიოდა. „უთუოდ ბუდე გამოუშლია“ — იფიქრა მასწავლებელმა და გადაუხვია გზასა. როცა ბავშვთან მივიდა, დაინახა, რომ მას ქუდში უჯდა ხუთი პატარა ბარტყი, რომელნიც ხის ფუღუროში გაკეთებული ბუდიდან ამოესხა. „რა გიქნია ეგ, კოტე? — უთხრა მასწავლებელმა ბავშვსა. — განა აქამდის არ იცი, რომ ჩიტის ბარტყების გამოსხმა ცოდოა და ძლიერ მავნებელი ადამიანისათვის? ახლავე ჩასხი ისევ უკან ბარტყები და ისე ფრთხილად, რომ არაფერი დაუშაო“. ბავშვმა გაუგონა მასწავლებელს და ბარტყები ისევ ჩასხა ბუდეში.

მეორე დღეს მასწავლებელი რომ მივიდა სასწავლებელში, მთელი საათი მოსწავლეებს ელაპარაკა გუშინდელს შემთხვევაზე. „გუშინ კოტეს მოვასწარი ბაღში, ჩიტის ბარტყები ბუდიდან ამოესხა. ეს ჩვეულება სხვებისათვისაც შემიმჩნევია და ამიტომ დღეს უნდა აგიხსნათ, თუ რა უგუნურობაა ამგვარი მოქმედება. რა გამოსადეგნი იყვნენ ჩიტის ბარტყები კოტესათვის? საჭმელად ისინი არ ვარგოდნენ და თუნდა ვარგებულიყვნენ, ისეთი პაწაწინები იყვნენ, რომ გაბდღვნად და შეწვად არ ღირდა. შინ გაჩვევა იმათი არ შეიძლებოდა, ფასი იმათ არა სძევს და არავინ იყიდდა. კოტე მხოლოდ რამდენსამე საათს ათამაშებდა

მაგრამ ყველაზე ცუდი იქნებოდა ის, რომ კოტე ბაღებს დიდს ზარალს მისცემდა: თითო ბარტყი დღეში სჭამს, საშუალო რიცხვით, ორმოცდათ მატლსა ან ჭიასა; ამ ჭია-მატლებს დედ-მამა ხეებზე და მცენარეებზე კრეფავს და მიაქვს შვილებთან. მაშასადამე, ხუთი ბარტყი დღეში ორას ორმოცდაათ ჭიას გაასაღებდა. ბარტყის ზრდა ბუდეში გრძელდება ერთ თვემდინ. მაშასადამე, ჩვენი ბარტყები დაფრენამდის ხეებს მოაშორებდნენ შვიდი ათას ხუთას ჭიასა. თითო ჭია ყოველდღე თქვლეფავს თავის წონა ფოთოლს და ყვავილსა. გაზრდა ჭიისა გრძელდება მთელს თვესა; აქედან სჩანს, რამდენი ფოთოლი და ყვავილი უნდა გაოხროს თითო ჭიამა. გაზრდის შემდეგ ჭია სჭამს დღეში თითო გამოსახულ კოკორსა, რომელიც ნაყოფად გადაიქცევა ხოლმე. კოტეს რომ უკანვე არ ჩაესხა ბუდეში ჩიტის ხუთი ბარტყი, მათ ბაღსა და მეზობლის ბაღებს დააკლდებოდა წლეულს ორას ოცდახუთი ათასი ნაყოფი.

ახლა ხომ იცით ჩიტის ბუდის ფასი? მოინდომებთ კიდევ ამის შემდგომ ბუდის გამოშლას და ბარტყების ამოსხმასა?

მოსწავლეებმა ერთხმად აღუთქვეს მასწავლებელსა, რომ ისინი თავის დღეში აღარ გაბედვენ ჩიტის ბუდის გამოშლასა და ეცდებიან, რომ სხვებსაც დაუშალონ ხოლმე ამგვარი უგუნური და მავნე მოქმედება.

იავნანამ რა ჰქმნა?

სამშობლო ღვინისა

თბილისიდან რომ აღმოსავლეთისაკენ წახვიდე, ერთის დღის მოგზაურობის შემდეგ მიადგები ერთს გრძელს მთასა, რომელსაც ჰქვიან ცივი. ამ ცივის მთაზე რომ ახვიდე და იქით, აღმოსავლეთისაკენ გადაიხედო, შენ თვალწინ ქვემოთ გადაიქმნება ვეებერთელა ვაკე, რომელსაც ჰფარავს მთელი მწვანე ზღვა ვენახებისა და ზვრებისა. ამ ვაკის ზედ შუა წელზე დაინახავ გრძელ ლაპლაპა ზოლსა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გაგლებულს. ეს სწორი ვაკე არის კახეთის ველი, ლაპლაპა ზოლი კი მდინარე ალაზანი, რომელიც კახეთს ჰყოფს ორს თითქმის თანასწორ ნაწილად; აქეთა ნახევარსა ჰქვიან გამოღმა მხარი, იქითას — გაღმა მხარი. გაღმა მხარს საზღვრად უძევს აღმოსავლეთით დიდი და მაღალი მთები და ესენი ჰყოფენ კახეთს დაღისტნისაგან, რომელიც იწყება ამ მთებს იქით.

თუ გაღმა მხარისაკენ თვალს დააკვირვებ, ერთს ადგილას მთის ძირში გაარჩევ დიდს ღელეს, ღრმად შევარდნილს მთაში. ეს ღელე ახლა სახნავ-სათესი ადგილია. მაგრამ რომ ახლო მიხვიდე და კარგად გასინჯო, მიწების მიჯნებზე და განაპირას ადვილად შეამჩნევ ქვიტკირის ნაშთებს. ეს ნაშთები უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ეს ადგილი ნასოფლარია.

სოფელი ვაშლოვანი

დიახ, ძველს დროში სწორედ ამ ადგილას ჰყვაოდა კარგა მოზრდილი სოფელი, რომელსაც ვაშლოვანი ერქვა. დასავლეთით ამ სოფელს ერტყა ზვრები და ვენახები, ხოლო აღმოსავლეთის მხრივ ის თითქმის ეხებოდა ხშირსა და აყრილს ტყესა, რომლითაც შეფენილი იყო მთა. ამ ხშირს ტყის წყალობით შიგ შუაგულს სოფელში მიწიდან შადრევანივით ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელი სოფლისა. შენობანი სოფლისა სულ ქვიტკირისანი იყვნენ და მოწმობდნენ, რომ სოფელი შეძლებული იყო. მართლაც, მაშინ ვაშლოვანმა და მთელმა კახეთმა არ იცოდა, რა იყო ვაჭრის ვალი, რომელშიაც ახლა კახეთი ჩაფლულია.

ვაშლოვანის ნაპირას, აღმოსავლეთით, ტყის ახლო იდგა მშვენიერი ორსართულიანი სასახლე, ირგვლივ შემკული ლამაზი მოაჯირებით. ეს

სასახლე ეკუთვნოდა თავად ზურაბ ქართველაძეს, რომელიც განთქმული იყო მთელს კახეთში თავისი სიმდიდრითა და პურადობით. ცოლად მას ჰყავდა ქართლიდან, სწორედ ოქროს გულის პატრონი. მათს სახლში ყოველდღე იმდენი საჭმელი კეთდებოდა, რომ ორ-სამს სახლობას ეყოფოდა, მაგრამ ხშირად დააკლდებოდა ხოლმე საჭმელი და გაუმაძღარნი რჩებოდნენ. ამის მიზეზი იყო მეტად კაცთმოყვარე გული მაგდანისა. ის უხვად უგზავნიდა თავის სახლიდან სანოვაგეს ყოველს ავადმყოფსა, ღარიბსა და გაჭირვებულს. ამასთან მაგდანს ჰქონდა საოცარი ხმა და განთქმული იყო მთელს იმ მხარეში თავისი მშვენიერი სიმღერით. მისი ხმა და სიმღერა ისე ღრმად მიდიოდა კაცის გულში, ისეთი სიამოვნების ჟრუანტელს დაასხამდა, რომ ვინც კი მას მოისმენდა, თავის სიცოცხლეში აღარ დაავიწყდებოდა. ზურაბმაც მშვენიერად იცოდა თარზე დაკვრა. როცა ქმარი უკრავდა თარზე და ცოლი დამღეროდა, ყური ამაზე უკეთესს ვერას გაიგონებდა.

ზურაბი და მაგდანი სულ ხუთი-ექვსი წლის ჯვარდაწერილნი იყვნენ. შვილად ჰყავდათ ერთადერთი ქალი — ქეთო, რომელიც მესამე წელიწადში იდგა. მეტად საყვარელი ბავშვი იყო ქეთო: ლამაზი, თეთრი, ბამბის ქულასავით, ცქრიალა, მხიარული, დაუღალავი მოტიკტიკე. ამასთან ქეთოს საშინლად უყვარდა თავისი დედის სიმღერა, ხშირადაც ამღერებდა და სულგანაბული ყურს უგდებდა მთელი საათობით. კაცს სწორედ ჩასაყლაპავად მოუნდებოდა ეს ბავშვი. დედ-მამას მასზე ამოდიოდა მზე და გაგიჟებით უყვარდათ.

ლეკები კახეთში

ვაშლოვანში და საზოგადოდ კახეთში მაშინდელს დროში ხშირად დაიარებოდნენ ლეკები. ძველის დროიდან დაღისტანსა და საქართველოს შორის ტკბილი განწყობილება არსებობდა, დიდი მეგობრობა სუფევდა. ყოველს საქართველოს მტერს დაღისტანი მტრობას უწევდა, ყოველს საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა. არავის არ ახსოვდა, რომ ლეკები როდისმე საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხნათ ქართველებისათვის. ლეკები მტრად გაუხდნენ ქართველებს შემდეგში, როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და საქართველომ მართლმადიდებელის რუსეთისაკენ გაიწია. ძველ დროში კი დიდის პატივისცემისა და გულითადის მეგობრობის მეტი ქართველებს არა მოაგონდებოდათ რა. ამ მეგობრული მეზობლობის გამო ლეკები თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ კახეთში, უმეტეს წილად სავაჭროდ. გასასყიდათ გადმოჰქონდათ უფრო ნაბდეულობა და იარაღეულობა, რომლის კეთებაშიც განთქმულნი იყვნენ.

სოფელ ვაშლოვანში დაიარებოდა კაი ხნიდან სავაჭროდ ორი ბაჯაჯგუნა ლეკი. ესენი ისე წყალწაღებულები იყვნენ, რომ თვითონ ლეკებსაც აბუჩად ჰყავდათ აგდებული. ამიტომ მათგან ცუდი საქმის გაბედვას არავინ არ მოელოდა, მაგრამ მალე მათ გაამართლეს ქართული ანდაზა: თავჩაღუნული კუდგაბზეკილიაო...

ერთხელ ერთმა ამ ლეკთაგანმა თავის ამხანაგს უთხრა:

— იცი, რა აზრი მომივიდა! რამდენი ხანია, რაც ჩვენ სავაჭროდ დავიარებით, მაგრამ რა გამოვიდა? ისევ ისეთივე ღატაკები ვართ, როგორც ვიყავით, ისევ ისეთივე ძაღლური ცხოვრება გვაქვს, როგორიცა გვქონდა. სხვაფრივ კი რომ მოვიქცეთ, ერთბაშად გავმდიდრდებით და მოვრჩებით ამდენ ვაივაგლახსა და ლაწლაწსა.

— როგორ? — ჰკითხა ამხანაგმა.

— ზურაბ ქართველაძე ხომ ძლიერ მდიდარია? — ჰკითხა ამან.

— ჰო, მდიდარია, მაგრამ რას გვარგებს ჩვენ იმის სიმდიდრე? — უპასუხა იმან.

— გვარგებს, თუ ჭკუით მოვიქცევით. ამ მდიდარ კაცს ხომ გაგიგებით უყვარს თავისი ერთადერთი ქალი?

— უყვარს, მაგრამ რა გამოვიდა მანდედან?

— ის გამოვიდა, რომ თუ ჩვენ იმ ბავშვს როგორმე მოვიტაცებთ და ტყვედ წავიყვანთ დაღისტანში, როგორ გგონია, ქართველაძე განა თავის შეძლებას დაიშურებს, რომ ტყვეობიდან დაიხსნას შვილი? ჰაი, ჰაი, რომ არ დაიშურებს.

ამხანაგსაც მოეწონა ეს აზრი და გადასწყვიტეს, რომ თვალი ადევნონ და რა წამს იგდონ ხელში მოხერხებული დრო, მოსტაცონ ჩუმად ქართველაძეს ქეთო და ტყვედ წაიყვანონ დაღისტანში.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სოფელს ვაშლოვანს აღმოსავლეთით ეკრა დიდი, ატეხილი ტყე. ამ ტყის პირას ხშირად სეირნობდა ხოლმე ქართველაძის სახლობა, რადგანაც სახლი იქვე ახლო ედგათ. ერთხელ ქეთოს გამდელმა საღამო ჟამს ამ ტყისკენ გამოისეირნა და თან ჰყავდა პატარა ქეთოც. ტყეს რომ მიუახლოვდნენ, ბავშვმა ხის ქვეშ ჩიტი დაინახა და გაექანა; ჩიტმა ისკუპა და იქით ხეებში გადაფრთხიალდა. ბავშვიც უკან დაედევნა. ამასობაში ქეთო კარგა შორს წავიდა ტყეში. გამდელიც უკან მისდევდა. უცებ საიდანღაც გაჩნდა ლეკი, მივარდა ქეთოს, სტაცა ხელი, მეორე ხელი პირზე დააფარა და გაიტაცა. გამდელმა დაყვირება ვერ მოასწრო, რადგან ამ დროს მეორე ლეკმა თავში კეტი დაარტყა და უსულდგმულოდ დასცა მიწაზე. გაიტაცეს ქეთო და წაიყვანეს.

მდევარი

ქეთოს დედ-მამას ფიქრი არაფრისა ჰქონდათ. ეგონათ მეზობლებში იქნებიან ჩვენი ქალი და გამდელი და თავის დროზე მოვლენო. როდესაც დაღამდა და გამდელი ბავშვით არსად იყო, შეფიქრიანდნენ და მეზობლებში გაგზავნეს მოსაკითხად; მაგრამ აბა რას იპოვნიდნენ. ყველგან უთხრეს, რომ დღეს არც-კი გვინახავს ისინიო. მაშინ შეშინებულმა დედ-მამამ ჩირაღდნებით დაუწყო ძებნა სოფლის გარემოში, დიდხანს ეძებეს და ბოლოს თავს წაადგნენ ტყეში გამდელს, რომელიც ნკვდარივით ეგდო ხის ძირას. ღამის სიგრილემ და ხმაურობამ გონში ჩააგდო გამდელი და გამოაცოცხლა. ჯერ ხეირიანად არ გამორკვეულიყო, რომ შეშფოთებულმა და გაფითრებულმა მაგდანამ მიაძახა: „ქეთო სადღა არის?“ გამდელმა სუსტი ხმით და შესვენებით უპასუხა, როგორ მოიტაცეს ლეკებმა ქეთო. ამის გაგონება და მაგდანის გულის წასვლა ერთი იყო. ზურაბსაც საშინელი თავზარი დაეცა, მაგრამ ვაჟკაცურად თავი შეიმაგრა, მწუხარებას სძლია და დაიძახა: არიქა მდევარიო!

მაშინდელს დროში ყველა ვაჟკაცს სრული თოფ-იარაღი ჰქონდა სახლში და გამოცდილი მეომარი იყო, რადგანაც გაჭირვების დროს საქართველოს მეფე ქუდზე კაცს დაიბარებდა ხოლმე. ამიტომ ზურაბის დაძახების შემდეგ ერთი საათი არ გასულიყო, რომ მისი სახლის წინ იდგა ოცამდის ვაჟკაცი, თავით ფეხებამდის შეიარაღებული... სწრაფად გამოვიდა იარაღშივე ჩამჯდარი ზურაბი, მიესალმა და გაუძღვა წინ.

ღამე ღრუბლიანი და ძლიერ ბნელი იყო. მას უკან, რაც ლეკებმა ქეთო გაიტაცეს, კარგა ხანმა განვლო. დაღისტნისაკენ ტყეებსა და მთებში მისდევდა მხოლოდ ვიწრო ბილიკები და მთაზე სიარული ბნელ ღამეში ძლიერ ძნელი იყო ხამი კაცისათვის. ქეთოს მომტაცებელმა ლეკებმა ისე იცოდნენ ეს ბილიკები, რომ თვალდახუჭულსაც შეეძლოთ მთაზე სიარული. ზურაბსა და იმის რაზმს-კი აქეთ თითქმის არ ევლოთ. ამიტომ ლეკებმა მთელი ღამე განუწყვეტლივ და დაუბრკოლებლივ იარეს, დიდს მანძილზე გაუსწრეს მდევარს და მოტაცებული ქეთო მეორე დღესვე გადაიყვანეს დაღისტანში. ზურაბ ქართველაძე თავისი ამალით იძულებული შეიქმნა ხელცარიელი და საშინლად დაღონებული უკანვე დაბრუნებულიყო.

ქეთოს ნაიბი ყიდულობს

ლეკებმა პირველად ქეთო გაატარეს ერთს დიდს დაღისტნის სოფელზე, რომელიც იდო აქეთ ნაპირას, კახეთის საზღვრის ახლო. ამ სოფელში სცხოვრობდა ერთი მდიდარი ნაიბი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი დასავლეთის მხარე დაღისტნისა. მას ჰყავდა ცოლად

ლეკისავე ქალი, შემკული ერთსა და იმავე დროს ვაჟკაცურის გამბედაობით და მეტად ნაზი გულით. ესენი იყვნენ დიდი ხნის ნაქორწილავნი, მაგრამ შვილი კი არა ჰყავდათ, და გადაწყვეტილი ჰქონდათ ვისიმე ბავშვი ეშვილათ.

საღამო ჟამი იყო, როცა იმათ სახლის წინ ლეკებმა ქეთო გაატარეს. ნაიბი და იმისი ცოლი კარაპანში ისხდნენ. მათ დაინახეს მიმავალი ორი ლეკი და ერთ მათგანს შეამჩნიეს ზურგზე გუდა, რომლიდანაც ბავშვის თავი და სახე სჩანდა. დაუძახეს თავისთან. ლეკები მოწიწებით მივიდნენ და თავი დაბლა დაუკრეს, როგორც თავის ბატონს, მბრძანებელს. ლეკებს ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხეს. ამათ დატუქსვისა ეშინოდათ და ამიტომ მართალი დაუმალეს, — უთხრეს, რომ ეს ბავშვი გზაზე ტყეში ვიპოვნეთ და წამოვიყვანეთო.

პატარა ქეთო ცალკე დიდი ხნის მგზავრობისაგან და ცალკე შიმშილისაგან ძლიერ მისუსტებული იყო და ძლივს-ღა ახელდა თვალებს. მაგრამ ეს სისუსტე კიდევ უფრო საყვარელს ბავშვად ხდიდა მას. რაწამს ნაიბმა და მისმა ცოლმა ეს ბავშვი დაინახეს, მაშინვე გული ზედ შეუვარდათ. ნაიბის ცოლმა ჰკითხა ლეკებს: რა მოგცეთ, რომ ეს ბავშვი ჩვენ დაგვითმოთო? — რა უნდა გვიბოძო, ქალბატონო, თუ გნებავთ, ფეშქაში გახლდეთო. ნაიბი ადგა, შევიდა სახლში, გამოუტანა ვეებერთელა ქილა, ოქროებით სავსე, და მისცა ლეკებსა. ქეთო გამოართვა ლეკს ნაიბის ცოლმა და მაშინვე გულში ჩაიკონა. ლეკებმა მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

დედობრივმა ალერსმა მალე მოასულიერა მიბნედილი ბავშვი. მას თუმცა ყველაფერი ეუცხოვა, მაგრამ, იმოდენა წვალების შემდეგ ბრიყვის ლეკების ხელში, ნაიბის ცოლის მისაყვარლება და ზრუნვა სწორედ შვებად ეჩვენა. პირველს ხანებში მაინც ქეთო ყველაფერზე გულცივად იყო და ხშირად სტიროდა, როცა თავის დედ-მამას, ხვა შინაურებს და თავის სოფელს მოიგონებდა. მაგრამ ნაიბის ცოლი და იმისი ქმარი ისეთი სიყვარულით, მოფერებითა და ალერსით ეექცეოდნენ ქეთოს, რომ მალე დაავიწყებინეს წინანდელი ყველაფერი.

ქეთო ლეკ-ქალად იქცევა

ბავშვი აწმდგომით სცხოვრობს, ის შეუწყვეტლივ ყოველდღე იზრდება, სულითა და ხორცით წინ მიდის, მატულობს, გრძნობს ამ თავის ზრდასა, წინსვლას და ბედნიერია ამ გრძნობით. ის სრული სიხარულით შეჰხარის ცასა და დედამიწას, ბუნებას და ადამიანს. რადგან ბედნიერია აწმდგომით, ბავშვი არ ფიქრობს არც წარსულზე და არც მომავალზე,

ამის გამო წარსულის ნაშთი, ხსოვნა, მოგონება მის გულსა და გონებაში მალე სუსტდება, მკრთალდება და თითქო სრულიათ იშლება. აწმდგომი კი სრული ძალით მოქმედებს მასზე და იჭერს წარსულის ადგილს მთლად, განუყოფელად.

ქეთოსაც ეს დაემართა. ნაიბმა და იმისმა ცოლმა ისე შეაყვარეს ქეთოს თავი, რომ თანდათან ჩააქრეს მის სახსოვარში ღვიძლი დედ-მამის სიყვარული, მოგონება, სახე. ორი-სამი წლის შემდეგ ქეთოს თავის ნამდვილ მშობლად მიაჩნდა ნაიბი და მისი ცოლი: იმათით სცოცხლობდა, იმათით ჰხარობდა. ღვიძლი დედ-მამის კვალი თითქო მთლად წაიშალა მის ბუნებაში. ლეკურმა ენამ ცოტა-ცოტაობით, დღითი-დღე შეასუსტა ქართული ენა ქეთოში, დაიჭირა მისი ადგილი და ჩააქრო იგი. ლეკურმა სოფელმა ვაშლოვანის სახსენებელი ამოაგდო მისი გულიდან. ქეთო დიდხანს ჰგრძნობდა მხოლოდ ერთს დანაკლისს: მაგდანის მშვენიერი ხმა, დამატკბობელი სიმღერა ქეთოს ყურს აღარ ასიამოვნებდა. მაგრამ ესეც დაივიწყა, თუმცა ყველაზე გვიან. ერთი სიტყვით, აწმდგომი გამეფდა ქეთოს სულში და წარსული ჯერედ მკრთალი გახდა და მერე სრულიად გააქრო. ქართველი ქალი გადაიქცა ლეკ-ქალად, კახეთის შვილი — დაღისტნის შვილად.

ამ სრულ გალეკებას ქეთოსას იმანაც მოუწყო ხელი, რომ ნაიბმა სასტიკი ბრძანება გასცა სოფელში: არამც და არამც არავინ არ გაბედოს და ქეთოს ყურს არ გააგონოს, რომ ნაშვილარია და არა ჩვენი ღვიძლი შვილიო.

ამაო ცდა ქეთოს მამისა

რას ფიქრობდა და რას სჩადიოდა იმ დროს ქეთოს დედ-მამა? დიდხანს მათ არ იცოდნენ, რა უყვეს ლეკებმა ბავშვს. ზურაბს თავისი ქალი უფრო შუა დაღისტანში ეგულებოდა და იქ აძებნინებდა, რადგანაც მომტაცი ლეკები იქიდან იყვნენ. ამასობაში გავიდა სამი, ოთხი წელიწადი. ბოლოს ერთმა ნაცნობმა ლეკმა მოუტანა ამბავი, რომ ამა და ამ ნაიბს შენი ქალი ხელში ჩაუგდია, უშვილებია და ზრდის, როგორც საკუთარ ქალსაო. ზურაბმა შეუთვალა ნაიბს, რომ ეგ ქალი ჩემი შვილია, მოტაცებულია ჩუმად და ოღონდ დამიბრუნე უკან და რასაც მთხოვ მომცემი ვარო. ნაიბმა შემოუთვალა პასუხად, რომ თუ თავდაპირველად მცოდნოდა, რომ ეს ბავშვი შენი ქალია, მე თვითონ დაგიბრუნებდი, მაგრამ ახლა გვიანღა არისო. მეც და ჩემ ცოლსაც მზე ამ ბავშვზე ამოგვდის, მასაც ძლიერ უყვარვართ, აქაურობაში გაჩვეულია, თქვენ სრულიად დავიწყებული ჰყევხართ, და ამიტომ ქეთოს ვერ დაგიბრუნებ, თუნდ მთელი კახეთის სიმდიდრე კარზე დამიგროვოო.

ამისთანა პასუხის შემდეგ ზურაბს შეეძლო თავისი ქალი დაეხსნა მხოლოდ ძალით, ან რაიმე ხერხით. დარჩენა კი ქეთოსი დაღისტანში აუტანელი იყო მისი დედ-მამისათვის, მით უმეტეს, რომ მაგდანს ქეთოს შემდეგ შვილი აღარ ეძლეოდა. ქართველაძე ბევრჯერ გაემგზავრა დაღისტნისაკენ ოციოდე შეიარაღებული ვაჟკაცით ქეთოს მოსატაცებლად, მაგრამ ტყუილად. ნაიბმა კარგა იცოდა წადილი და მეცადინეობა მისი და ამიტომ ყოველთვის გზაში დაახვედრებდა ხოლმე ჩასაფრებულ ლეკებს იმისთანა ადგილას, სადაც ერთი ჩასაფრებული ოცსა და ორმოც ვაჟკაცს გზას შეუკრავდა. სიმრავლეც ქართველების რაზმისა აძნელებდა შეუჩეევლად მიახლოვებას ნაიბის სოფლამდის.

როცა ამ გზით ვერაფერს გახდა, ზურაბმა ხერხს მიჰმართა: ხმა გააგდო, რომ გულიდან ამოვიღე ჩემი ქალი და აღარ მწადია მოვტაცო დედობილსა და მამობილსაო. ეს ხმა მივიდა ნაიბამდისაც და მან ჯერ თუმცა ეჭვის თვალით შეხედა, მაგრამ მერე-კი დაიჯერა, რადგან მთელი ორი წლის განმავლობაში ქართველაძის მხრივ ჩამიჩუმიც არ ისმოდა. აქამდის ქეთოს დიდი სიფრთხილით უშვებდნენ კარში, ახლა კი, მაშინდელი დროის ლეკების სხვა ქალებივით, თავისუფლად დადიოდა ერთის უბნიდან მეორე უბანში თავის ნაცნობებთან. ეს ყველაფერი ზურაბმა კარგად შეიტყო ნაცნობი ლეკების შუამავლობით და თადარიგს სხვანაირად შეუდგა.

ქეთოს მამა იტაცებს

დადგა სწორედ მეათე გაზაფხული მასუკან, რაც ქეთო მოიტაცეს ლეკებმა. ტყე ხშირად იყო შეფოთლილი და აადვილებდა შეუმჩნევლად მისვლას ნაიბის სოფლამდის. ზურაბმა მოიხმო ერთი იქაური ლეკი, დიდი ხნის ნაცნობი და პურმარილით დავალებული, გაიმძღვარა წინ და თან წაიყვანა მხოლოდ ათი შეიარაღებული ვაჟკაცი. მთელი მანძილი ისე ფრთხილად გაიარეს, რომ ერთი ლეკი არ დახვედრიათ გზაზე. მეორე დღეს საღამოს ჟამს მივიდნენ ნაიბის სოფლის პირად და ტყეში მოხერხებულ ადგილას დაბინავდნენ. ლეკი ჩუმად წავიდა იმ ღამეს თავის სოფელში, ყველაფერი გაიგო და დილასისხამზე მეტად საამო ანბავი მოუტანა. ქეთო, თურმე ყოველ დილით ტყის პირად აივლიდა ხოლმე ერთი თავისი მეგობარი ქალის სანახავად. ეს ქალი იყო შვილი წინანდელი მოხუცებული ნაიბისა, რომელიც ამასწინათ გადაცვლილიყო. ყმაწვილი ქალი ძლიერ მწუხარე იყო მამაზე და ამიტომ ქეთო ყოველდღე დადიოდა იმის სანუგეშებლად.

ამოვიდა თუ არა მზე, ზურაბ ქართველაძე მივიდა გზის პირად, ამოეფარა ხეების ჯგუფსა და დაიწყო ცქერა იქითკენ, საიდანაც ქეთოს უნდა გამოეევლო. ქართველაძის პირდაპირ გზის იქით ამართული იყო დიდი სერი, რომელიც იმ სოფელს ჰყოფდა ორად, ქვემო და ზემო უბნად. ქეთოს ქვემო უბნიდან უნდა ამოევლო ამ სერსა და ტყეს შუა და ასულიყო ზემო უბანში. ლოდინში კარგა ხანმა გაიარა, ასე რომ ზურაბმა იფიქრა, ვაი თუ დღეს ქეთო სულაც არ ფიქრობდეს ზემო უბანში ასვლასო. მაგრამ აგერ შორს გამოჩნდა ქალი, ახლად შეღერებული, თამამად მომავალი და ლეკურად ჩაცმული. ზურაბი თვალებად გადაიქცა და გულის ცემამ მოუმატა. ქალი თანდათან მოუახლოვდა და ზურაბი ისე შეაცქერდა, თითქო თავისი მშიერი თვალით მისი შეჭმა უნდოდა. ქეთოს ცოტა იერი შესცვლოდა, გაზრდილიყო ბევრად დიდი თავის ხანზე, მაგრამ ფერი და პირისახე სულ პატარაობისაევე, უწინდებური შერჩენოდა. მამის გული უზომო სიხარულით აივსო, როცა თავისი ქეთო ისევ ქართველ ქალად იცნო. ქეთომ შიატანა იმ ხეებს, რომელთაც ზურაბი ამოჰფარებოდა. ამან იდროვა და წინ გადაუდგა ფრთხილად, რომ არ შეეშინებინა. ქეთო შეკრთა, დაფრთხა და შველივით განზე გახტა.

— ნუ გეშინიან, შვილო, შენი მამა ვარ, მოვედი აქა, რომ დედასთან წაგიყვანო, წავიდეთ შინა, — უთხრა ზურაბმა ტკბილი მამობრივი ხმით. ქეთო შიშით ისმენდა უცნაურს სიტყვებსა და ვერ გაეგო, რა უნდოდა მისგან ამ უცხო კაცსა. ზურაბმა იფიქრა, თუ ლაპარაკში დრო დავკარგე, ვინმე მოგვასწრებს და საქმე წახდებაო; ამიტომ სწრაფად მივიდა ქეთოსთან, ფრთხილად დაავლო ხელი და გაიტაცა ტყისაკენ. ქეთომ შექმნა საშინელი წივილ-კივილი. სოფელში გაიგონეს ეს წივილ-კივილი მაგრამ ვისი იყო ან საიდან მოდიოდა, პირველ ხანებში ვერ შეიტყვეს. სოფელი შეჩოჩქოლდა და რამდენიმე კაცი წავიდა ნაიბთან. ის სხვაგან იყო და ამიტომ დროზე ვერ შეატყობინეს. როცა უთხრეს ეს ამბავი, საშინლად შეწუხდა და სთქვა: უთუოდ ქალი მომტაცა ქართველაძემაო, და მდევარი დაიბარა. ფიცხლავ შეიკრიბა ოცდაათი შეიარაღებული ვაჟკაცი. ვაშლოვანისაკენ სამი გზა მიდიოდა. მდევარნი ნაიბმა სამად გაჰყო. ათი ვაჟკაცი გაგზავნა ერთს გზაზე, ათი მეორეზე და ათიც თვითონ გაიდევნა მესამე გზაზე. სამივე რიგმა მდევარმა თითქმის ვაშლოვანამდე უწია, მაგრამ ზურაბისა და ქეთოს კვალი ვერ მიაგნეს; ისინი თითქოს მიწაში ჩაძვრნენ და გაჰქრნენ. საქმე ის იყო, რომ ზურაბმა თავისი ქალი ვაშლოვანისაკენ როდი წამოიყვანა, რადგანაც იცოდა კარგად, რომ მდევარი აქეთკენ დაედევნებოდა. ის დაადგა ჩრდილოეთის გზას, რომელიც კახეთის ზემო სოფლებისაკენ მიდიოდა. შორს მოვლა არჩია, რომ შინ მშვიდობით მისულიყო, მაგრამ ვაი ამ მშვიდობას.

რომ პირველ ხანებში ქეთო ვერც იცნობდა თავის მამას და მწუხარე იქნებოდა, ამის ფიქრი ჰქონდა ზურაბს. ხოლო ამასთან დარწმუნებული იყო, რომ ქეთო მალე მოვიდოდა გონსა, იცნობდა ჯერ თავის მამას, მერე დედასა, თავის ბავშვობა მოაგონდებოდა და მოიმხიარულებდა, მაგრამ საშინლად მოტყუვდა. ქეთოს მწუხარებას მთელის მგზავრობის დროს საზღვარი არა ჰქონდა. მას განუწყვეტლივ ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები თვალებიდან და ისე ოხრავდა, თითქოს ლამობს გულ-ღვიძლი თან ამოატანოსო. მამა საშინლად იტანჯებოდა თავის ქალის ამისთანა მდგომარეობით; ცდილობდა როგორმე გაექარვებინა მისი ნაღველი, მაგრამ ტყუილად. ყოველი მისი ალერსი ქეთოს მწუხარებას უფრო უმატებდა. ის უყურებდა ზურაბს, როგორც თავის მოსისხლე მტერს, რომელმაც მოაშორა საყვარელს დედ-მამას, სანატრელს სამშობლოს და სადღაც მიჰყავს ტყვედ. ამიტომ ყოველი მისი ტკბილი სიტყვა და თანაგრძნობა ლახვარივით ესობოდა გულში. ზურაბს ისღა ანუგეშებდა, რომ ეგება შინ მისვლამ მოიყვანოს ქეთო გონს, იცნოს დედა, თავის კარმიდამო, სოფელი და ჩვენსკენ მოუბრუნდეს გულიო.

ამ აზრით იყო ზურაბი დაიმედებული, როცა თავის სახლის კარები შეაღო, შეიყვანა შიგ ქეთო და თავის ცოლს მხიარულად უთხრა: „აი, მაგდან, მოგიყვანე შენი ქეთო!“ სიხარულისაგან გატაცებული მაგდანი გაექანა შვილისაკენ, მაგრამ სიმხიარულე სიმწუხარედ გადაექცა, როცა დააცქერდა თავისი შვილის სახეს, რომელზედაც გამოუთქმელი ტანჯვა იხატებოდა. მაგდანმა მხიარულად ჩაიკრა გულში ქეთო, უნდოდა გაექარვებინა მისი მწუხარება, მაგრამ ამაოდ. ქეთო ყინულივით ცივად, ქვასავით უგრძნობლად იყო და არავითარი გავლენა არ იქონია მასზე მაგდანის მხურვალე დედობრივმა მიგებებამ და ალერსმა. არა, იქონია, მაგრამ სრულიად წინააღმდეგი მოსალოდნელისა. მაგდანის ალერსმა ცოცხლად თვალწინ წარმოუდგინა ქეთოს მისი დედობილის, ნაიბის ცოლის სახე და ალერსი, ვარამი უფრო კიდევ გაუძლიერდა და მდუღარე ცრემლის ნაკადული გადმოსკდა თვალებიდან.

— შენი მშობელი დედა ვარ, შვილო! ესეც შენი ღვიძლი მამაა, — ეუბნებოდა მაგდანი ქეთოს. — აი სახლი, რომელშიაც შენ დაიბადე, დაცუცუნებდი პატარაობის დროს, აი შენი პატარა აკვანი, რომელშიაც იწექი, აი შენი საყვარელი ბახჩა, რომელშიაც დილიდგან საღამომდის იჯექი.

მაგრამ ქეთოს აქაურობისათვის არც თვალი ჰქონდა და არც ყური. მისი გრძნობა და გონება მთლად, განუწყვეტლივ, შეპყრობილი იყო უღრმესი დარდითა და ვარამითა. მაგდანი მაინც იმედს არა ჰკარგავდა,

რომ ქეთო დღეს თუ ხვალ მოიგონებდა თავის პატარაობას, იცნობდა მშობლებს და დაუბრუნდებოდა მათ.

გავიდა რამდენიმე კვირა, და ეს იმედი დედ-მამას არ აუსრულდა. ქეთო თითქმის არას სჭამდა, სმითაც ცოტას სვამდა, ღრმად ოხრავდა, ხშირად სტიროდა და ღამითაც ძილი, მოსვენება არა ჰქონდა. ჩამოხმა, გაყვითლდა და მომაკვდავს დაემსგავსა. ის იჯდა ტახტზე ჩუმად, უმეტეს ნაწილად თვალებდახუჭული, და მისი გონება ფრინავდა იქ, დაღისტანში, ნაიბთან და იმის ცოლთან, თავის ტოლ-ამხანაგებთან და იქაურ სოფელთან. რაც გარშემო ერტყა, ყველა ეუცხოებოდა, ყველას ითვალწუნებდა, ყველა თავის მტრად მიაჩნდა, ყველა ეჯავრებოდა, სძულდა. ბევრგვარი ხერხი იხმარეს, რომ მოეგონებინათ როგორმე პატარაობა. დედამ რამდენჯერმე მიიყვანა ტყეში სწორედ იმ ადგილას, სადაც მოიტაცეს, მიიყვანა საღამოს იმ ჟამს, როდესაც მოიტაცეს, მიიყვანა წყაროს თავზე, სადაც ქეთო ხშირად იჯდა ხოლმე თავის გამდელთან და უყურებდა, როცა სოფლის დედაკაცები კოკებს ავსებდნენ, იკიდებდნენ მხარზე და მიჰქონდათ, აჩვენა ყველა მეზობლის ქალები, ქეთოს ტოლები, რომლებთანაც ის პატარაობისას ხშირად თამაშობდა, დაიბარა მისი გამდელი სხვა სოფლიდან, რომ ეგები ის მაინც ეცნო. აჩვენა მისი დედოფლები, რომლებიც ყუთში მთლად შენახული ჰქონდა, რამდენჯერმე მიაქცია ქეთოს ყურადღება ეკლესიის ზარის რეკვასა, რომელსაც პატარაობისას ქეთო ტაშის კვრას აყოლებდა, მაგრამ ვერც ერთმა ღონემ ვერ გასჭრა.

დედ-მამამ ქეთოს შეუკერა ისეთი მშვენიერი ქართული ტანისამოსი, რომ ყველა ყმაწვილ ქალს თვალი ზედ დარჩებოდა, მაგრამ ქეთომ ახლოც არ მიიკარა და კიდევ უფრო შეუყვარდა ამის შემდეგ თავისი ლეკური ტანისამოსი...

ბოლოს ერთმა მეზობელმა უთხრა მაგდანს: ქეთო შენ ძლიერ გგავს, სულ პირწავარდნილი დედაა. დადექ თქვენი დიდი სარკის წინ და დაიყენე გვერდით ქეთო. ის ჩაიხედავს სარკეში, შეადარებს ორს სახეს, თავისა და შენს სახეში დიდ მსგავსებას ნახავს და იქნება მაშინ გეშველოთო. მაგდანმა ესეც სცადა, მაგრამ ამან ქეთო უფრო გააოცა, როგორც უცნაურმა ქცევამ მაგდანისამ. სახეებს ხეირიანადაც არ შეხედა და მსგავსებას ხომ სრულიადაც ვერ შეამჩნევდა.

ყმაწვილი ქალი დედ-მამას ხელიდან ეცლებოდა, უავადმყოფოდ ჰკნებოდა, დნებოდა და სიკვდილამდე პატარა მანძილი-ღა ედო.

— არა, მე ვეღარ ვუცქერი ამ ბავშვის ამდენ ტანჯვას და წვალებას: თუ რამდენისამე დღის განმავლობაში პირი ჩვენსკენ არ იბრუნა, შევსვამ ცხენზე და ჩემი ხელით აუყვან ნაიბსა და იმის ცოლს. ეტყობა ღირსეული ადამიანები ყოფილან, რომ აგრე შეუყვარებიათ თავი

ჩვენი ღვიძლი შვილისათვის, — უთხრა ზურაბმა თავის ცოლს მაგდანსა.

ხოლო მაგდანი ესე ადვილად ვერ დასთმობდა ქეთოსა და მზად იყო ისევ თავის ახლო დაემარხა თავისი ერთადერთი შვილი, ვიდრე გაეგზავნა ხელმეორედ და სამუდამოდ დაღისტანში.

იავნანამ რა ჰქმნა?

ამასობაში გავიდა აპრილი და დადგა მშვენიერი მაისი. პირველსავ რიცხვში ზაფხულურად მოიღრუბლა და გაჩნდა ჰექა-ქუხილი. საღამოდის იდინა ხშირმა და გამაცოცხლებელმა წვიმამ, საღამოზე კი ისე მოიწმინდა ცა, რომ ერთი ნაფლეთი ღრუბელიც არსად იყო. კამარა მთლად ბრწყინვალე ვარსკვლავებით მოიჭედა. დატრიალდა მეტად შეზავებული ჰაერი. უთუოდ ეს იყო მიზეზი, რომ ქეთოს იმ ღამეს მშვიდობიანად ეძინა. მეორე დღეს ადგა ცოტა მოღონიერებული.

შეუდარებელი დილა იყო: არემარეს კაშკაშა მზისაგან თავს დასდიოდა მთელი შადრევანი ბრწყინვალე სინათლისა და ამ სინათლეს მცენარეებზე ათასფრად აებრჭყვიალებინა დილის ნამი. ტყე სავსე იყო ფრინველების გამაცოცხლებელი ჟივილ-ხივილით. ქართველაძიანთ ბაღში ვარდის კოკრები საამურად გადაშლილიყო და გარშემო მოეფინა გულწარმტაცი სუნელება. ამ ვარდების მახლობლად ტკბილად დასძახოდა ბულბული, რომელიც იქავე ხეზე მოთავსებულიყო. ბუნება ხარობდა, დღესასწაულობდა, თითქოს ათას ბედნიერს ქორწილს ერთად იხდისო.

ბუნება შეუდარებელი მკურნალია კაცის ვარამისა და დარდისა. შვება მისცა მან ქეთოს ნაღვლიან გულსაცა, და სახეზე მას აშკარად დაეტყო შემცირება იმ საშინელის მწუხარებისა, რომელიც აქამდის მაჯლაჯუნასავით აწვა მის გულსა და გონებას და ნებას არ აძლევდა გარემოცულ ცხოვრებაზე დაფიქრებულიყო. ამასთან ქეთომ პირველად დაიწყო ფიქრი იმაზე, რისთვის და რად მიჩვენებენ ამდენ სიყვარულს უცხო ადამიანები და რადა სწუხან ჩემს მწუხარებაზედაო.

დედამ ადვილად შეამჩნია ქეთოს ეს სანუგეშო ცვლილება. იმედი მიეცა. ცალკე ამ იმედმა და ცალკე მშვენიერმა დილამ კარგ გუნებაზე მოიყვანა მაგდანი და მან, სრულიად უნებურად, თავისთვის დაიწყო ღიღინი იავნანისა. რაც ქეთო დაჰკარგა, მას შემდეგ მაგდანის სიმღერის ხმა აღარავის გაუგონია. ეს პირველი სიმღერა იყო ათის წლის დუმილის შემდეგ. მაგდანი ფანჯარასთან იჯდა, ქეთო იყო მოთავსებული პატარა ტახტზე ოთახის კუთხეში. იავნანას მაგდანი ჯერ დაბალი ხმით, ღიღინით ამბობდა, მერე კი თავის ხმის სიმშვენიერემ გაიტაცა და თავისებურად დამღერა, მაღლა აუწია. პატარა ხანს უკან, ისე

უნებლიეთ, გაიხედა ქეთოსკენ და გაოცდა. ქეთოს აშკარად ეტყობოდა სახეზე აღელვება. ცხადი იყო, რომ რაღაცას იგონებდა და ვერ-კი მოეგონებინა გარკვევით. მის ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ-კი გამოეღვიძა. გონების ძირიდან რაღაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქასა, მაგრამ ზევიდან კეცკეცად აწვნენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მაღლა ამოსვლასა. მაგდანმა ეს კარგად შეამჩნია და თავის ხმას მისცა საოცარი მეტყველება და მიმზიდველობა. უწინ ამგვარი სიმღერით და ამავე ხმით ყოველ დღე უტკბობდა მაგდანი თავის ქეთოს სიპატარავის დღეებს. მაგდანის ხმამ უწია ქეთოს ბუნების სიღრმემდის, შესძრა ის ძირიანად და გააცოცხლა იქ დამარხული ბავშვობის სანატრელი ნაშთნი, საგონებელნი. მაგდანი თან ხმას აძლევდა მომხიბლავს ძალას და თან ქეთოს შესცქეროდა უსაზღვრო დედობრივი სიყვარულით. ქეთოც თითქმის სჭამდა თვალით დედის პირისახესა და მღელვარებით ცდილობდა ამ სახეზე ამოეკითხა რაღაც დიდი საიდუმლო და კიდეც ამოიკითხა. ქეთოს აღელვებული სახე თანდათან დაწყნარდა, პირისახიდან მთლად გადაეყარა შავი ღრუბელი. განსაზღვრული სხივის ნათელი მოფინა სახეზე და სიხარულის სხივმა დაუწყო მასზე ელვარება. უცებ წამოვარდა ქეთო ტახტიდან, დაიძახა სანატრელის ხმით: „დედავ!“ სწრაფლ მივარდა მაგდანთან, მოეხვია ორივე ხელით და მხურვალედ დაუწყო კოცნა. დედასა და შვილს თქრიალით მოსდიოდათ ცრემლი, მაგრამ ეს ცრემლი იყო სიხარულისა, შვებისა, ლხენისა. პატარა ხანს უკან ზურაბმაც შემოაღო კარები, ქეთო განთავისუფლდა დედის ხვევნიდან, მიეგება შემოსულს, დაიძახა „მამა“ და მოეხვია.

შემდეგ გაბრუნდა დედისაკენ, წაავლო ხელი, გაიყვანა მეორე ოთახში, დაიყენა თავის გვერდით დიდი სარკის წინ, სიყვარულით გადაავლო თვალი, მაგრამ რაღაცამ აზრი შეუშალა. სწრაფად მოშორდა სარკეს, შეირბინა მეორე ოთახში, გააღო ყუთი, ამოიღო თავისი ახალი ჭართული ტანისამოსი და ლეკურის მაგივრად ჩაიცვა. შემდეგ ისევ მიიყვანა გაოცებული დედა სარკესთან, დაუდგა გვერდით, შეადარა სახეები, აშკარად დაინახა რამდენად ჰგავდა დედას, მიუბრუნდა მას, ჩამოეკიდა ყელზე და ხელახლა დაუწყო კოცნა. უწინ ამისთანავე მოქმედებამ მაგდანისამ გააოცა, ახლა კი იგივე მოქმედება თვითონ ჩაიდინა. მერე დედას აახდევინა დედოფლების ყუთი და სიყვარულით მიეალერსა თავის უწინდელს მეგობრებს.

ერთმა მოგონებამ მეორე გამოიწვია, მეორემ მესამე, მესამემ მეოთხე, და ქეთოს სარკესავით გადაეშალა თვალწინ თავისი სიპატარავის დრო. აქამდის ის დაჰყავდა დედას აქეთ-იქით ძალაუნებურად, ახლა კი თვითონ ქეთო მოსვენებას აღარ აძლევდა დედასა და მიჰყავდა ხან

ბალჩაში, წყაროს თავზე, ხან ტყეში და სოფლის არემარე სულ შემოიარა. მოიგონა ქართული ენაც, თუმცა სიტყვები ბლომად აკლდა, ლაპარაკის დროს ჩერდებოდა, ან ლეკურს სიტყვებს ურევდა და ამ დროს დედა ქართულს სიტყვებს ასწავლიდა.

აღმოჩნდა, რომ პირველი წლების შთაბეჭდილებანი და ჩასახულებანი კი არ გამქრალიყვნენ და არ წაშლილიყვნენ ქეთოს გონებაში, თურმე, ღრმად ეძინათ, დამარხულნი იყვნენ მისი სახსოვრის სიღრმეში, ძირში როგორც მცენარის თესლია დამარხული მიწაში, და ზევიდან მათ ეფარათ მთელის ათის წლის ნანახი და ნაცადი დაღისტანში ყოფნის დროს. ამ ჩასახულებათა დაძვრა და გამოღვიძება შეეძლო მხოლოდ რომელსამე ძლიერსა და ღრმა შთაბეჭდილებას სწორედ ისე, როგორც მცენარის თესლს ზევით ამოიყვანს ხოლმე გამაცოცხლებელი მზის სითბო-სინათლე. ამისთანა მზეებრივი შთაბეჭდილების მოხდენა ქეთოს გონებაში შესძლო მხოლოდ სამშობლო ხმამ, საბავშვო სიმღერამ „იავნანამ“, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად ჰქონდა ქეთოს ძვალსა და რბილში გამჯდარი.

ყოველი ვაშლოვანელი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, გახარებული იყო ქეთოს გონზე მოსვლით, მოდიოდნენ და ულოცავდნენ მაგდანსა და მის ქმარსა და შეჰხაროდნენ ქეთოსა. ქართველაძის სახლში სიხარული ტრიალებდა. ამ ძლიერს სიმხიარულეს სწორედ შეჰფეროდა და ბანს აძლევდა ხშირი სიმღერა მაგდანისა. როგორც დიდხანს უწყლოდ ყოფილი შველი ხარბად ეწაფება წმინდა წყალსა და გაძღომა ძალე არ ეკიდება, ისე ქეთო, მთელს ათს წელიწადს მოკლებული თავის უსაყვარლეს სიამოვნებას, გაუმაძღრად ეწაფებოდა დედის სიმღერას და მაგდანს მოსვენებას არ აძლევდა. ერთს ხმას რომ გაათავებდა მაგდანი, ახლა მეორეს ათქმევინებდა, მერე მესამეს, მეოთხეს, ხშირად მაგდანი ეტყოდა ხოლმე: გენაცვა, შვილო, ცოტა დამასვენე, თორემ არაქათი ალარ მაქვსო. მაგრამ ქეთომ უებარი წამალი იცოდა ამ დაღალულობისა: მხურვალე ხვევნა და კოცნა დედისა. ქეთო თანა სტკბებოდა დედის მშვენიერი სიმღერით და თან თვითონაცა სწავლობდა სიმღერასა.

ქეთო და მისი დედოგილ-მამოგილი

ერთხელ, როდესაც ქეთომ გული იჯერა ახალი ცხოვრებით, ჰკითხა დედას: „დედილო, გენაცვა, არ შეიძლება, რომ დაღესტანში მოკითხვა ვისმე პირით შევთვალო?“

მაგდანს ეს სიტყვა არ ესიამოვნა და შეკრთა.

— ფიქრი ნუ გაქვს, დედა! — შვილებრივი სიყვარულით უთხრა ქეთომ. — შენ და მამაჩემი მიყვარხართ, როგორც ღვიძლი მშობელნი,

იმათ კი პატივსა ვცემ, როგორც ჩემს მოამაგეთ და ჩემს აღმზრდელთ. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, ვის ხელში ჩავვარდნილიყავ და რა მომსვლოდა.

მოკითხვა შეუთვალეს ნაიბს და მის ცოლს საგანგებოდ გაგზავნილი კაცების პირით და ძღვნადაც გაუგზავნეს ჩინებული კახური ღვინო, რომელსაც მაშინდელი ლეკები კახელებზე ნაკლებად არ ეწყობოდნენ.

ზაფხული გადიოდა. დედა ატყობდა, რომ ქეთოს ძლიერ უნდოდა ნახვა თავის დედობილ-მამობილისა, მაგრამ არ კი ამბობდა ამასა. ერთხელ მაგდანმა უთხრა ქეთოსა: „იცი, ჩემო კარგო, რა აზრი მომივიდა? ახლა რთველი ახლოვდება, დაღესტანში ვენახები არ არის და რთველი იქ არ იცის. მოდი, რთველში მოვიწვიოთ შენი დედობილ-მამობილი და ვასიამოვნოთ, სიკეთეს გადახდა უნდა". მადლობის ნიშნად ქეთო დედას მხურვალედ გადაეხვია.

ნაიბსა და იმის ცოლს ძლიერ უნდოდათ ქეთოს ნახვა, ამიტომ რთველში მოწვევამ გაახარა და დანიშნულ დროზე ეწვივნენ თავის შვილობილის დედ-მამას. დედ-მამის ნებადართვით ქეთო თავის დედობილ-მამობილს ლეკური ტანისამოსით მიეგება. ქეთოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ერთად ხედავდა ოთხ ძვირფას თავისიანს, რომელნიც გულითა და სულით უყვარდა.

ზურაბი და ნაიბი დამეგობრდნენ, მაგდანმაც გულით შეიყვარა ნაიბის ცოლი და ამიტომ ყოველ შემოდგომაზე მათი რთველში მოწვევა წესად დასდეს. ეს წესი არ შეცვლილა მასუკანაც, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ქეთო გათხოვდა დედის სამშობლოში და ჯვარი დაიწერა ერთს ღირსეულ ქართელს ვაჟკაცზე. ყოველს ენკენისთვეში ქართველაძეს ქართლიდან ეწვეოდნენ ხოლმე ქალი და სიძე, დაღისტნიდან ნაიბი ცოლით და ამალით. არა გვგონია, რომ ვისმე თავის სიცოცხლეში რთველი ისეთი სიამოვნებითა და ბედნიერებით ეტარებინოს, როგორც ატარებდა ქეთო.

ქეთოს ბედნიერება

მაგრამ განა მარტო რთველობის დროს იყო ქეთო შვებითა და ლხენითა? არა, სხვა დროსაც.

ბრძენნი ამბობდნენ და ამბობენ, რომ საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულია, ძლიერი, წმინდა სიყვარული მოყვასისადმი თვით მოსიყვარულესაც უტკბობს სიცოცხლესა და მოყვასსაცაო. სიმდიდრეც შეიძლება ადვილად დაჰკარგოს ადამიანმა, სიმრთელესა და სილამაზესაც მოაკლდეს, ნათესავებიც შეიძლება

უდროოდ დამარხოს, მაგრამ მოსიყვარულე გული კი ათბობს და ანა-თებს მის სიცოცხლეს თვით სამარის კარამდისაო.

ქეთოს დედისგან დაჰყვა მეტად მოსიყვარულე გული, და ამ გულს ძლიერ მოუხდა იშვიათი მისი თავგადასავალი. ამ თავგადასავალმა ძლიერნი მოძრაობანი გამოაცდევინა ქეთოს გულსა და ავარჯიშა იგი. ღრმა გრძნობანი გულისა ჯერ დედ-მამის სიყვარულზე აღიზარდნენ, მერე ძლიერ ჯავრზე, რომელიც გამოაცდევინა მას მოტაცებამ ლე-კების მიერ, შემდეგ დედობილ-მამობილის სიყვარულზე, მასუკან ფრიად ღრმასა და ხანგრძლივს ნაღველზე, რომელიც მოჰყვა მამისაგან მოტაცებასა, მას შემდეგ სიყვარული ღვიძლი დედ-მამისა და დედო-ბილ-მამობილისა ერთად შეერთდა ქეთოს გულში, ბოლოს ამას დაემატა ღირსეული ქმრისა და შვილების სიყვარული, და ამ სახით ქეთოს გული გახდა დაუშრობელი წყარო კაცმოყვარეობისა, გაუქრობელი ლამპარი სიყვარულისა მოყვასისადმი. ქეთოს, გამომცდელს ცხოვრებაში დიდი ნაღველისაცა და ძლიერი სიხარულისაც, ყოველთვის და ყოველგან ჰქონდა ტკბილი ალერსი ყველა ბავშვისათვის, ცრემლი უბედურთათვის, ნუგეში დაჩაგრულთათვის, შემწეობა გაჭირვებულთათვის, მოწყალება გლახაკთათვის. მას თავისიანად მიაჩნდა ქართველებიც და ლეკებიც, საქართველოც და დაღისტანიც, და რადგან სიყვარული შობს სიყვა-რულსა, ამიტომ ქართველები და ლეკები თითქო ეჯიბრებოდნენ ერთმანეთსა, ვინ უფრო მეტ პატივისცემას, მეტს ხათრსა და მეტს სიყვარულს უჩვენებდა ქეთოს. ქეთო თავისი მოსიყვარულე გულით გარშემო ჰფენდა ლხენასა და შვებასა, როგორც ვარდის აყვავებული ბუჩქი ჰფენს თავის გარშემო საამურს სუნელებასა, და როგორც ამ ბუჩქს ყველა შეჰხარის, ყველას უყვარს, ისე ყველა შეჰხარობდა და ყველას უყვარდა ქეთო, რომელიც ერთსა და იმავე დროს სტკბებოდა თავისი სიყვარულით მოყვასისადმი და მოყვასთა სიყვარულით თავი-სადმი. უკეთესი-ღა ბედნიერება განა იქნება ამ ქვეყანაზე?

გიორგი ქოჩაკიძე (ჭალადიდელი)

1847—1898

გიორგი მაქსიმეს ძე ქოჩაკიძე (ჭალადიდელი) დაიბადა 1847 წელს სოფ. ფერსათს (იმერეთი). მამა მისი დიამბეგად იყო სამეგრელოში. გიორგი მიაბარეს ქუთაისის გიმნაზიაში, პანსიონში 1870 წელს, რომელიც დაამთავრა 1869 წელს. 1870 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში; მონაწილეობა მიიღო რუსეთ-ოსმალოს ომში.

გიორგი ქოჩაკიძე (ჭალადიდელი) გარდაიცვალა 1898 წელს ქ. მინსკში. ჰოეტის ცხედარი გადმოასვენეს ჭალადიდში.

მისი ლექსი: „მოგონება“ (მახსოვს პირველად სასწავლებელში) პირველად „სასოფლო გაზეთში“ დაიბეჭდა 1869 წელს, ხოლო „ფაცხა“ გაზ. „დროებაში“ 1870 წელს, იაკ. გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებში შეტანით აღნიშნული ლექსები სამართლიანად მიაკუთვნა ქართულ საბავშვო ლიტერატურას.

მოგონება

I

მახსოვს, პირველად სასწავლებელში
წასაყვანად რომ მე გამამზადეს,
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შინაურად მე გამომცადეს.

II

ვხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
ნაჩვევ ბაღებსაც ვეთხოვებოდი,—
დაღონებული მწარედ ვსტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი...

მხოლოდ ეს მახსოვს, — გადმომყვა დედა
და მითხრა: „შვილო, კმარა, ნუ სტირი,
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?
გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება, —
შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა
სამშობლოს რადმე გამოადგება...

III

„ეცადე ძლიერ და გქონდეს სმენა, —
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა, —
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,
არ დაივიწყო სამშობლო ენა:
მერწმუნე, რომა გამოცდილია, —
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია!
გეზარებოდეს ყველასთან შური
და, როცა შეგხვდეს კაცი უძლური,
იცოდე, რომ ის შენი ძმა არი, —
არ დაუკავო ღვინო და პური...

IV

„გიყვარდეს შენი მოძმე კეთილი
და მისთვის მუდამ გეწოდეს გული, —
შენს მოძმეთ შორის და შენს მიწაზე
გერჩიოს იყო შენ დამარხული:
ტანი უსულო და უგრძნობარე
თუ გინდ შინ იყოს და თუნდა გარე,
მაგრამ როგორღაც დედაშვილობამ,
სანატრელია სამშობლო მხარე“...

V

ამ სიტყვებითა დედაც მომშორდა,
და ეს მას აქეთ დამამახსოვრდა, —
რომ ის ამ სიტყვებს გრძნობით ამბობდა,
თვალთაგან ცრემლებს ფრქვევა გაჰქონდა.

ფაცხა

(შემოკლებით)

მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
მთა-კორტოხზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილის წკნელით ჩახლართული!

ჩემ ფაცხაში კი საწყალი
იდგა ერთი დაჩაგრული,
მაგრამ გული იმას ჰქონდა
კეთილი და მასპინძლური.

მიტომ ფაცხა არმორთული
მიყვარს, მთაზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილის წკნელით ჩახლართული.

ვიცი სახლი ჩინებული,
გამოშალაშინებული,
ეზო, კარი და მიდამო
ირგვლივ შემოკავებული.

იქ ყმაწვილები ჩაცმულნი,
უცხო გვარად მოკაზმულნი,
იცინოდნენ, თამაშობდნენ
და იყვნენ გახარებულნი...

მაგრამ ფაცხიდან ყმაწვილი,
ტიტველა და უფერული,
დედას ხან ეთამაშება,
ხან ჰყავს გულში ჩახუტული.

და ამრიგად გამოზრდილი
პაწაწინა უსუსური:
მამულ-დედულის და შრომის
მრწამს დარჩება მოყვარული.

ამიტომაც მიყვარს ფაცხა
ღარიბული, არ მდიდრული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილის წკნელით ჩახლართული.

და მისი ვარ მეც ერთგული,
მორჩილი და მოყვარული,
ვისაც უყვარს ჩვენი ფაცხა,
წვრილის წკნელით ჩახლართული!

სიმღერა გარდახვეწილისა

ვზივარ მარტო, მოწყენილი,
მსურს ფიქრით ვივსებოდე,
აბ ჩემს ოთახს, მარტოხელს,
შუადამ არ ვშორდებოდე, —
ჩემს სამშობლოს ვიგონებ,
ნახვას ვეღირსებოდე...
ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,
მალმალ გავფრინდებოდე!

იქაურსა მწვანეზე
ნეტამც რასმე ვჯდებოდე,
ნორჩ ყვავილსა, ბუჩქებზე
ბავშვურადა ვცელქობდე,
დას ძმურად ხელს ვართმევდე,
ძნებს ყელზე ვეხვეოდე...
ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,
ნეტამც გავფრინდებოდე!

ჩემს ტოლს, მოძმეს, ამხანაგს
ნუთუ ვაგონდებოდე
იმ დროს, ოდეს მე მარტო
ჯავრით აქ ვხელდებოდე...
ღმერთო, ისე ნუ მომკლავ,
ძმას ძმურად არ ვრგებოდე...
ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,
ნათკენ გავფრინდებოდე!

ოდეს მამულს, კეთილო,
მარად ვეკარგებოდე,
მომკალ, ნუ გეცოდები, —
არ მსურს გენაღვლებოდე!..

გამაცოცხლე, მანატრე,
თუნდ საფლავში ვდნებოდე,
აყვავებულ სამშობლოს
თუკი მოვესწრებოდე!

მოიფიქრე, კეთილო,
თუ ძნელად არ ვცხოვრობდე
მაშინ, ოდეს ტურფასა
აქედან ვეტრფობოდე, —
სამძიმოა, მერწმუნე,
თუნდ ეშხით ვივსებოდე...
მაშ ფრთა მინდა, ფრთა მომეცით,
თქვენსკენ გავფრინდებოდე!

ალექსანდრე ყაზბეგი

1848—1893

ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი დაიბადა 1848 წლის 8 (21) იანვარს, ხევში, სოფ. ყაზბეგში (ყოფილი სტეფანწმინდა). დაწყებითი სწავლა ალექსანდრეს ოჯახში მიაღებინეს საგანგებოდ მოწვეული მასწავლებლების ხელმძღვანელობით. 11 წლის ალექსანდრე თბილისში გადაიყვანეს ჯერ კერძო პანსიონში, ხოლო შემდეგ გიმნაზიაში; გიმნაზიაში სხვა საგნების გარდა, მუყაითად სწავლობდა რუსულ, ფრანგულ ენებს, მუსიკას და ცეკვას. ალექსანდრე გიმნაზიიდან გაიყვანეს 1865 წელს. ორი წლის შემდეგ კი დაქვრივებულმა დედამ მოსკოვში გაგზავნა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. ის ერთ ხანობას სწავლობდა სამეურნეო აკადემიაში, მაგრამ არ დაუმთავრებია. სამშობლოში დაბრუნებული ყაზბეგი ერთ ხანობას მწყემსად იყო, რასაც იგონებს თავის მოთხრობაში: „ნამწყემსარის მოგონებანი". 1879 წლიდან ყაზბეგი გადმოსახლდა თბილისში. პირველი მისი წერილი „მოხევეები და მათი ცხოვრება" დაიბეჭდა 1880 წელს გაზ. „დროებაში", ხოლო 1883 წელს საბავშვო ჟურ. „ნობათი-"ს პირველ ნომერში მოათავსა მოთხრობა „მტრედი" — მოჩხუბარიძის ფსევდონიმით.

ალ. ყაზბეგი თავის ცნობილ რომანებთან ერთად, სწერდა საბავშვო მოთხრობებსა და ზღაპრებს, რომლებსაც ბეჭდავდა იმდროინდელ საბავშვო ჟურნალებში.

მტრედი

I

თქვენ იცით, ჩემო პატარა მკითხველებო, კოშკი რა არის? ზოგს იქნება გენახოსთ და ზოგს კი უეჭველია არ გინახავსთ და ამისთვის აგიხსნით.

უწინ, როდესაც უფრო მომეტებული შიშიანობა იყო ხოლმე, როდესაც ხალხი ერთმანეთთან ისე მშვიდობიანად ვერა ჰსცხოვრობდა, როგორც ეხლა, საჭიროდ ხედავდნენ ისეთი შენობა გაეკეთებინათ, სადაც ძრიელის მტრებისაგან თავის დაფარვა შესძლებოდათ.

ამისთვის იკეთებდნენ ხვრელებს, ხვრეტდნენ კლდეებს, აშენებდნენ გალავნებს და სხვა.

კოშკებიც ერთი ამგვარ შენობათაგანი არის და აკეთებენ მაღალს, ძალიან მაღალს — ან რგვლად მოყვანილს, ან ოთხკუთხა შენობას.

უწინ, აი, ამისთანა შენობაში მტერს ემალებოდა ხალხი; მაგრამ ეხლა კი კოშკების უმეტესი წილი ცარიელები ყრია და შიგ სხვადასხვა ფრინველები ბუდეებს იკეთებენ.

ჩვენს სოფელშიაც ერთი ამისთანა კოშკი იდგა, რომელშიაც ხალხი აღარ სცხოვრობდა.

მხოლოდ განთიადის დროს, რაწამს ალიონი აიწევდა, მოისმოდა წუნარი, ტკბილი და ალერსიანი ღუღუნი და, ცოტა ხანს შემდეგ, გამოჰფრინდებოდნენ ლამაზი, სხვადასხვაფერის მტრედები. ზოგი მათგანი გაეშურებოდა საჭმლის მოსანახად და პირით მოჰქონდა თავისის ბარტყებისთვის, ზოგსაც პირითვე მოჰქონდათ წიწკები, ჩხირები და თივა, რადგანაც ისინი ჯერ ახლად იყვნენ დაფრენილები და ბუდის გაკეთება ეპირვებოდათ. ზოგნიც ნაზად ეალერსებოდნენ თავიანთ საყვარელს ბარტყებს, ერთმანერთს კისერ გადახვეულნი ნაზად ჩაღუღუნებდნენ.

აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ, მათ მშვიდობიანობას ვერვინ არღვევდა და სიხარულით ეგებებოდნენ მზის მბრწყინვალე სხივებს.

ზოგს კიდევ გაეშალათ ფრთები და მაღლა, მაღლა აფრენილიყვნენ, სადაც დაჰფრინავდნენ და ნავარდობდნენ, ერთი მეორეს მისდევდნენ და ზოგნიც მალაყს გადადიოდნენ. ხანდისხან, როდესაც ფრენის აჩქარება უნდოდათ, ისე ძალზედ იქნევდნენ ფრთებს, რომ ერთმანერთს ხვდებოდა და ტაშის ცემის ხმა გამოისმოდა. მერე ბურთსავით შეიკვრებოდნენ და ფრთაშეკრებილნი შურდულსავით წამოვიდოდნენ თავქვე თავის კოშკისკენ, რომელსაც დაუახლოვდებოდნენ თუ არა, ერთბაშად რამდენჯერმე გაშლილის ფრთებით ჰაერში იმგვარად მოუსვამდნენ, რომ ჩქარა სიარული შეეყენებინათ და კოშკს მაგრად არ მოხვედროდნენ.

კოშკის კარები ხალხს ამოექოლა, რადგანაც ამ მშვენიერს ფრინველებს თავი იქამდის შეეყვარებინათ, რომ მათს აღშფოთებას დიდს ცოდვად ჰსთვლიდნენ; პატარა ბავშვებს კი თვალი სულ იმათკენ ეპირათ და გულით უნდოდათ მათი წვალება, რომელსაც ისინი ალერსს ეძახდნენ.

მტრედები ამათგანაც დაცული იყვნენ, რადგანაც, როგორც ზევითა ვსთქვით, კოშკის კარები ამოქოლილი იყო და სხვაფრივ მათთან შესვლა სრულიად შეუძლებელი ხდებოდა.

მართალია, ამ ნაზს და საყვარელს ფრინველებს ქორი, მათი დაუძინარი მტერი, გამოერეოდა ხოლმე, მაგრამ ბევრს ვერას აკლებდა, რადგანაც მტრედებიც მარდები იყვნენ და ქორს ზეიდგან მოექცეოდნენ და ისე მაღლა წავიდოდნენ, რომ მათი მტერი იმ სიმაღლეზედ ვერ ასულიყო და შერცხვენილი უნდა გაბრუნებულიყო საითკენმე, ან არა და, თავიანთ კოშკში ჩაემალებოდნენ და, სანამ განსაცდელი ასცდებოდათ, იქ ისხდნენ.

მაგრამ ეს იყო ზაფხული,როდესაც მთელი ბუნება ხარობს, როდესაც მიწას ზურმუხტის მსგავსი მწვანე საფენი ეფინება და ათასგვარ ფერადოვანის, კეკლუცის და სურნელიანის ყვავილებით იმკობა; ის დრო, როდესაც ყველა მცენარე, ყველა სულდგმული ხარობს, იცინის, ხურდება და წყნარის ნიავით სულს იბრუნებს და რაღაც სიხარულით გულს უთამამებს, ულაღებს. საერთო მხიარულება და ხარხარი, საერთო დროს გატარება შეიცვალა, რადგანაც მოწმენდილი ცა შეიბმუხნა, მზის სხივებს მოაკლდა სითბოება და ჩქარ-ჩქარად ღრუბელში მალვა დაიწყეს. ყოველ დღე ჰაერი ირეოდა და მთის წვერებს შავი, სქელი ნისლი ნაღვლიანად ჩამოაბნელებდა. ბალახმა ფერი იცვალა და მხიარულის მწვანეს მაგიერ დანაღლულსავით გაყვითლდა, გახმა და მოიფშვნიტა. ლაზათით სავსე შემოსილს ხეებს ფოთლები ჩამოჰცვივდა და გაშიშვლებულნი მტრისგან გაცარცულს დაემსგავსნენ. დაჰბერა ჩრდილოეთის ცივმა ქარმა და ყოველისფერი მოაყინულა. ბუნების საერთო სურათმა ფერი იცვალა: კაცის თვალის დამყვავებელი სევდის მომცველად შეიქნა; სიტყვით — ზამთარი ახლოვდებოდა. ყველა ფრინველები, გარდა „ჭკებისა“ [1], რომელნიც ავდრის წინამორბედნი არიან და ჰაერის არევასთან ერთად ისენიც ირევიან და უსიამოვნოს ჩხავილით, ისეც სევდიანს გულს, მომეტებულს სევდას ახვევდნენ.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ ცა ტყვიისფრად მოიქცა და ხანგამოშვებით ჟონვა დაიწყო. ქარი უბერავდა ძალზედ, სტვენით და ზუზუნით, თითქოს რაღაცაც ემუქრებოდა, უბედურებას ექადდა.

ერთბაშად ქარი შესწყდა... ჩამოთბა... ჩამოვარდა თოვლის ფერფლი... მოჰყვა მეორე, მესამე და დაიწყო თოვლის გუნდგუნდად სროლა. რამდენიმე წამში მთელს დედამიწას — მთას, ბარს და ხეებს — თეთრი ზეწარი გადაეფარა. რამდენადაც თოვლის მოსვლის წინა დღეები მთაში საძაგელია, იმდენად სასიხარულო და სასიამოვნოა პირველი თოვლი

---

[1] ჭკა მიემსგავსება ყვავს, თუმცა იმაზედ ცოტათი პატარაა; ფეხები და ნისკარტი წითელი აქვს, სისხლისფერი და ხმა უფრო წვრილი, უსიამოვნო და ძლიერი. ავტორის შენიშვნა.

რომელიც ურიცხვს „ყურვილებს“ [1], კაკბებს, შურთხებს და ჯიხვებს ჩამორეკს ხოლმე მთის წვერებიდან.

ბალღები დარბიან, ყვირიან, ესვრიან ერთმანერთს შეკუმშვილს თოვლს, ხარხარით გორაობენ, მთლად გალურჯებულნი არიან, მაგრამ შინ წასვლას მაინც არ ჰფიქრობენ.

ბალღებმა გამართეს მახეები, გადაშალეს თოვლი და ისე ჩადგეს, რომ ჩიტები ადვილად მოტყუებულიყვნენ. ზედ ცოტა სასუქიც მოაყარეს, რომ იმის სიმხურვალეს თოვლი გაედნო და შავად დარჩენილს ადგილს ჩიტები მიეზიდა და დაეწყოთ ჩვეულებისამებრ ქექა, რომ შიგ უფრო ადვილად გაბმულიყვნენ.

გაიარა ცოტა ხანმა და მოტყუებული ჩიტები ასობით მიეხვივნენ იმ ადგილს, სადაც შავად მოჩანდა. ჩაერივნენ ჭკები, მტრედები, ყურვილები და მსუნაგად დაიწყეს ქექა. ერთს წამს შემდეგ გაფრთხნენ, მაგრამ რამდენიმე ყურვილა და ერთი მტრედი იმავ ადგილს დარჩნენ, რადგანაც მახეში გაბმული ფეხები ვეღარ გამოეხსნათ და იმათი მოცადინება მარტო ფთხრიალით თავდებოდა.

— დილილმე! — სიხარულით წამოიძახა ერთმა პატარა ბიჭმა და გაექანა მტრედს. — დავიჭირე, დავიჭირე!

იმას გამოუდგნენ სხვა ბიჭები.

გიგლა — ასე ეძახდნენ მახის პატრონს — მივიდა, გამოხსნა მტრედი და ალერსიანად დაუწყო კოცნა და ხელის დასმა.

— გვაჩვენე, გვაჩვენე! — ეხვეწებოდნენ მტრედის პატრონს სხვა ბიჭები, მაგრამ გიგლა პატიოსანს ფრინველს ვერა სთმობდა და სიყვარულით ხან ყელში იკრავდა, ხან ლოყაზედ. საწყალ მტრედს კი შეშინებოდა და გული ძალზედ უფართხალებდა.

— უი, საწყალი!.. გული როგორ უცემს — წარმოსთქვა გიგლამ, რომელმაც მკერდზე ყური დაადო მტრედს.

— მაჩვენე, მაჩვენე, რაია?

— აჰა!.. არ გაგიფრინდეს — კი!

— არა, ბეჩავ!.. განა პატარაი ვარ!..

მტრედმა გადაცემის დროს გაიბრძოლა, მაგრამ გიგლამ ძალზედ მოუჭირა ხელები და იმედგადაწყვეტილი, შეშინებული მტრედი „გაჩქურდა“ [2].

გიგლამ წაიყვანა მტრედი, ჩასვა კალათაში და მთელი ზამთარი ისე ჰყვანდა.

---

[1] ყურვილა — ბელურასოდენი ჩიტია. ავტორის შენიშვნა.

[2] გაჩქურება ხევურად ნიშნავს — განაბას, თუმცა ამ სიტყვასაც ხმარობენ. ავტორის შენიშვნა.

გაიარა ცივმა და ყინულიანმა ზამთარმა, თოვლი წყლად იქცა და მთებიდგან ჩამოიწურა. მზემ ისევ მხიარულად გამოიხედა, გადმოჰფინა თბილი სხივი და ზამთარში მიძინებული, დასუსტებული მცენარენი გამოაღვიძა. ჰაერში დატრიალდა ზაფხულის სუნი და ბუნებამ გაიღვიძა. ამწვანდა ისევ, ყვავილები ისევ გადიშალა, შეხამდა სხვადასხვაფერად და კეკლუცად, ნაზად, თითქოს რიღასიცა რცხვენოდათ, კეკლუცად თავები მოეხარათ...

ყველაფერი ხმაურობდა, ყველგან რაღაცა მხიარულება, სიცოცხლით სავსე ხმაურობა ისმოდა. ჩიტები ჟღივჟღივებდნენ, გალობდნენ, უსტვენდნენ, თითქოს ბუნების ძალას ქებას ასხამდნენ. ყვავილები ცხოვრების საერთო სიცოცხლეს უკან არ ჩამორჩებოდნენ — თავიანთის სურნელებით გუნდრუკს უკმევდნენ.

კოშკშიაც ისევ ტკბილი ღუღუნი გაისმა ღა მტრედები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ, რომ ბუნების მშვენიერებით დამტკბარიყვნენ.

მარტოკა ერთი მტრედი არ იღებდა სხვების მხიარულებაში მონაწილეობას. ის გაცალკევებულიყო, გასულიყო მარტოდ და დაღონებული, მობუზული კოშკის ნაპირაზედ დამჯდარიყო. იმისთვის არც ამხანაგი, არც ტოლი, არც მხიარული ღუღუნი და სხვა მტრედთან შეალერსება, თითქოს იმ თაბუნს სრულიადაც არ ეკუთნოდა, არა ჰქონდა მათთან საქმე და თავის საკუთარი ვარამი გასჩენოდა: დაჯდებოდა მოჰბუზული, აიბურძგნიდა ბუმბულს, აიშვერდა ერთს ფეხს და თვალებდახუჭული მთელის საათობით გაუნძრევლად რჩებოდა.

თუ აფრინდებოდა, იმის მოძრაობა იყო წყნარი, დადუნებული და მხოლოდ საკვების მოსანახად. ის არც მაღლა წავიდოდა, არც ნავარდობდა სხვა მტრედებსავით, არც შორს მიდიოდა: თითქოს ყველაფერი მოჰსწყენოდა. მივიდოდა წყლის დასალევად და ისევ მაშინვე მოჰფრინდებოდა, რომ არჩეულს ადგილზედ დამჯდარიყო და მისცემოდა ჩვეულებრივს განსვენებას.

ერთს დღეს გიგლამ თავის სახლის ბანზედ გამოიყვანა იმ ზამთარს დაჭერილი მტრედი, შეაბა თოკი ფეხზედ, მეორე წვერი მოაბა ბუხარს და, მთელი ზამთრის ტყვეობის შემდეგ, ასე დააგდო ჰაერზედ. მტრედმა რამდენჯერმე გაშალა ფრთები, შეიბერტყა და გახარებულმა გაფრენა დააპირა, მაგრამ იმაეწამს ისევ ჩამოვარდა, რადგანაც თოკმა არ გაუშვა. ჩამოვარდა და დაღონებით დაიწყო წყნარად სიარული.

კოშკი, რომელშიაც მტრედები ბუდობდნენ, ძალიან მაღალი იყო და მთელს სოფელს თავს დაჰსცქეროდა.

ერთბაშად კოშკზედ მყოფი მტრედი შეინძრა, საჩქაროდ გადმოეშვა

სიმაღლიდგან, რამდენჯერმე ფრთა ფრთას შემოჰკრა და წუთზედ იმ ბანზედ მოვარდა, რომელზედაც დაბმული მტრედი იყო.

უეჭველია, იმათ იცნეს ერთმანერთი, რადგანაც პირველსავე შეყრაზე ერთმანეთს ტკბილად შეუღუღუნეს, და ნისკარტებით ერთმანერთს მიუახლოვდნენ. აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი, დიდი ხნის უნახავობის შემდეგ, ხელახლად შეყრას ხარობდნენ. ახალმოსული მტრედი ტრიალებდა, იბრუნებდა კისერს, როგორღაც სხვანაირად ღუღუნებდა და ამ დროს ღაბები ებერებოდა.

კარგა ალერსის შემდეგ ახლადმოსული მტრედი აფრინდა, მაგრამ სრულიად სხვა რიგად, სანამ უწინ. ეხლა იმას ძალა, იმედი, სიხარული ეტყობოდა.

დაბმულმა მტრედმაც გაყოლა მოინდომა, მაგრამ თოკმა ისევ დაიჭირა და უკან ჩამოაგდო. ახლადმოსული მტრედი ისევ მობრუნდა, ისევ დაუწყო ალერსი და ღუღუნი, თითქო გასაქცევად აქეზებდა.

დაბმულმა მტრედმა რამდენჯერმე ჰსცადა გაფრენა, მაგრამ ეს მოცადინეობა მუდამ ამაოდ რჩებოდა, რადგანაც თოკი არ უშვებდა.

მტრედმა უკანასკნელად სცადა აფრენა, მაგრამ დაკვლაჭილი თოკი როგორღაც მოედო კისერზედ და წაუჭირა ყელში.

მტრედმა ფართხალი დაიწყო და ყოველ განძრევაზედ თოკი უფრო ეჭირებოდა, სუნთქვას უშლიდა.

თავისუფლად მყოფი მტრედი გაექანებოდა, თითქოს შველა უნდოდა, მაგრამ მეორე მტრედის ფართხალი აშინებდა და უკან იწევდა.

ცოტა ხანმაც გაიარა და თოკმა ისე წაუჭირა მტრედს ყელში, რომ საწყალი გაჟრჟოლდა, რამდენჯერმე გაახილა დახუჭული თვალები, თითქოს უკანასკნელად უნდა დამტკბარიყო თავის მეგობრის ხილვით, რამდენჯერმე გააღო პირი და სული დალია.

მეორე მტრედმა ბევრი ღუღუნა, ბევრი უარა გარს, რამდენჯერმე ნისკარტით მისი აყენებაც კი ჰსცადა, მაგრამ ამაოდ.

ამ დროს ამოვიდა გიგლა, ნახა თავისი მტრედი დამხვრჩალიყო და ტირილით ჰსურდა მოებრუნებინა, მაგრამ ტყუილად.

ამ დღის აქეთ ხელახლად დაობლებული მტრედი იმ ადგილს აღარ შორდებოდა, სადაც მისმა მეგობარმა სული დალია. ეხლა ეს მტრედი უფრო დაღონებულიყო, უფრო დაზარმაცებულიყო და თითქოს სიცოცხლეც კი მოსწყენოდა.

საჭმელ-სასმელი არ აკლდა, რადგანაც ზაფხული იყო, მაგრამ იმას არა ემატებოდა რა და დღითი დღე სუსტდებოდა, სდნებოდა და ილეოდა. ყოველი იმისი მოძრაობა თითქოს ძალდატანებული იყო.

ასე ატარებდა თავის სიცოცხლეს იმ დღემდის, სანამ ბედმა არ შეიბრალა და მწუხარება სიკვდილით არ მოუსპო.

ნამწყემსარის მოგონებანი

(ნაწყვეტი)

18... წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშითა და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თანა სდევს.

მე თვითონ, როგორც მთის კაცს, მყავდა რაოდენიმე ცხვარი, ცოტაოდენი კიდევ ზოგიერთს მიწებში გაცვლით მოვაგროვე, მივუმატე ჩემს ფარას, ავიღე ჯოხი და თოფი და ამგვარად შევიქენ მეცხვარე.

რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი ყველამ, განურჩევლად ყველამ მასხარად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს, უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო. მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი, და ეს იქამდის ძლიერი იყო, რომ არავითარს რჩევას ყური არ ვუგდე; მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემს თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს, და რაღა დამაყენებდა შინ! მივაღწიე ჩემს მიზანს: დავუახლოვდი, გავიცან ისინი, ვისი გაცნობა და დაახლოებაც ისე გულით მსურდა (თუ როგორ — ჩემი ნაწერების მკითხველებზე მივაგდებ). აქ კი მინდა გიამბოთ ზოგიერთი ეპიზოდი ჩემი მეცხვარეობიდან, და მგონია რომ ეს რამდენსამე ინტერესს მოკლებული არ იქნება.

ჯერ კიდევ ზაფხული იყო. ცხვარი არ გაგვეშრო და დედალ ცხვარს მივსდგომოდით მოსაწველად. გზაში შემომხვდა ორი მოხევე, რომლებიც სრულიად არ მიცნობდნენ და ჩაცმულობაზე კი ვერ გამარჩევდნენ, უბრალო მწყემსი ვიყავ, თუ მათში სახელიანი კაცის შვილი.

— ბარაქა შენს ცხორსა! — წამოიძახეს იმათ, რაწამს გამისწორდნენ.

— უფალმა გილხინასთ! — ვუპასუხე მე.

— ვისია ეგ ცხორი? — მკითხეს.

მე დავუსახელე ჩემი გვარი.

— ბეჩაო ჩემო თავო, მართლა იმათი სერია... დამღაც იმათ მეტს არავისა აქვს, — წარმოსთქვა ერთმა და დაუმატა: — შენ ვიღას ბალღი ხარ?

— მე არახვეთელი გახლავარ, შენი კვნესამე, — მოვუქციე მთიულურად, — ბურდულიანთ იაკობასი.

— მოჯამაგირედა ხარ, თუ ცხორი გყავს დაზიარებული? — კიდევა მკითხეს.

— ცხორი, შენი კვნესამე, — მივეც პასუხად.

ჩემი თანამგზავრები მომიდგნენ გვერდს და მშველოდნენ ცხვრის გამორეკას.

— ბალღო, რაი გქვიან?

— მამუკა, შენი კვნესამე.

— მართლა, შენი აღა თავად დადის ცხორში?

— დადის, ლომისის მადლმა! — ვუპასუხე მე.

— თავად დადის? — გაიკვირვეს იმათ.

— ჰო.

— საკვირველია, ღვთის მადლმა!

— რისთვი? — ვკითხე მე და გულის ძგერით დავუწყე ყურის გდება.

— აბა, როგორ საკვირველი არაა, ხელმწიფის სწორი კაცის შვილია და ცხორს ასდევნებია, აჰუ! — ჩაიქნია ხელი უცნობმა.

— მერე, მანდ ცუდი რა არის? ცხორი ჰყავს და თვითონ დასდევს.

— ცუდი? ხევის ბატონის შვილი და უბრალო მეცხორე! — გაიკამათა იმანვე.

— მაგის მამა-პაპასაც ჰყოლია ცხორი, მაგრამ თვითონ არ უვლიათ, არა, ღვთის მადლმა, — დაუმატა მეორემ.

— აბა, ძალიან იკადრებდნენ მეცხორობას! სულ ჩინებით სავსე ჰქონიათ ყელ-გული.

— მაშინ სხვა დრო იყო და ეხლა სხვა, — ვცადე თავის მართლება.

— ცხო დრო კი არა, უხეირო ყოფილა, თორემ ქვეშეს პრისტავად იქნებოდა.

მეტად მატკინა გული ამ სიტყვებმა, რომ კიდევ ლაპარაკი გამეგრძელებინა; წამოვუარე ცხვარს და შევფინე მთებზე, სადაც კიდევ რაოდენიმე ხანი მინდოდა მეძოვებინა, რადგანაც მოსაწველად მირეკა ჯერ ადრე იყო.

ჩემი უცნობები გამომეთხოვნენ. მე კი დავრჩი იმათი სჯით დაღონებული და ფიქრებმა გამიტაცეს.

წამოვიდა ნისლი და დაიწყო ჟონვა. მეც წამოვისხი ყისინა, ბაშლუყა წამოვიგდე თავზე და ცხვარს დავუდეგ წინ, რათა წინები შემეყენებინა და გაუმაძღრად სირბილის გამო მადიან ძოვნას არ მოჰკლებოდნენ.

არ გაიარა რამდენიმე ხანმა, როდესაც შევამჩნიე, რომ ორი ვიღაცა კაცი, წვერიანები და შტაცკურ ტანისამოსში, მოდიოდა ჩემკენ. მე გაკვირვებით დავუწყე იმათ ცქერა, რადგანაც, თუ მგზავრები იყვნენ,

მაშინ იმათი გზა გაღმაზე უნდა ყოფილიყო და იმ მხარეს ვერ მოხვდებოდნენ, საითკენაც მე ვიყავი.

ისინი მოვიდნენ ახლოს და მოიმარჯვეს ჯოხები, რადგანაც ჩემი ბასარა ყეფით გაექანა იმათკენ, მაგრამ მე დავუძახე ძაღლს, და ისიც კუდის ქნევით მოვიდა ჩემთან. უცნობებმა ღიმილი დაიწყეს და დამტვრეული რუსული ენით ლაპარაკი დამიწყეს:

— Собак, собак... Нет кусай.

— Нет кусай, — ვუპასუხე მეც ამგვარადვე.

— Баран, баран... — დაიწყო ერთმა, ვეღარ გაათავა, რადგანაც რუსული არ იცოდა, და მიუბრუნდა ამხანაგს ფრანსიულად: — როგორ უნდა ვკითხო, მატყლს სადა ჰყიდიან?

— მეც არ ვიცი, — ფრანსიულადვე უპასუხა მეორემ.

ბოლოს იმათ გააბეს ლაპარაკი მატყლის სიკეთეზე და უკვირდათ, ამოდენა ფარას მთაში როგორ ვათავსებდით. ბოლოს კიდევ მოიწადინეს შეტყობა, სადა ვყიდით მატყლს და რამდენი ფუთის მოგროვება შეიძლება მთაში.

მე ვლაპარაკობდი ფრანსიულს. გულმა ვეღარ გამიძლო და ამისათვის ვუპასუხე:

— მთაში ძალიან ბევრია ცხვარი, ხალხი თითქმის ამით ცხოვრობს, მატყლს კი აქვე ყიდულობენ სომეხი ვაჭრები.

წარმოიდგინეთ იმათი გაშტერება, როდესაც რაღაცა უცნაურ და ველურ მთებს შორის, სადაც იმათი შეხედულებით ბარბაროსები ცხოვრობენ, რომელთაც ათზე მეტი თვლაც კი არ იციან, ერთბაშად უბრალო მეცხვარე, მთის უბრალო კაცი, ფრანსიულად ელაპარაკება!

— როგორ! თქვენ ლაპარაკობთ ფრანსიულად?! — გაშტერებით წამოიძახეს ორთავემ ერთად.

— დიაღ, ცოტაოდენს.

— რას ამბობთ, სად გისწავლიათ? არა, ეგ შეუძლებელია!

მე მომწადდა მათთან ხუმრობა და ამისათვის ვუპასუხე:

— ჩვენში მწყემსები თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ფრანსიულად... მე სხვა ადგილებში ვიყავ მოჯამაგირედ და კიდევ გადამავიწყდა, თორემ სხვებს ვერც კი გამოარჩევთ ფრანსიელებისაგან.

— რას ამბობთ?! — აი გასაშტერებელი საქმე! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს: — ჩვენ კი ველურ ხალხად მიგვაჩნია ეს ხალხი!

კარგა ლაპარაკის შემდეგ, როდესაც ისინი მოიღალნენ და მეც თავი მომაწყინეს უბედობით, იმათ მთხოვეს საღამოზე ყაზბეგის სტანციაში, სადაც ღამის გატარებას აპირებდნენ, მივსულიყავ და მეამბნა ჩვენი ხალხის ცხოვრება, ჩვეულება და ხასიათი. ბოლოს მკითხეს:

— შენ იცი ინგლისი ან საფრანგეთი?

— ვიცი, — თავის დაქნევით ვუპასუხე.

— აი, ეს ფრანგია, მე ინგლისელი, — მიჩვენა ერთმა და დაუმატა — და რასაც შენ გვიამბობ, ჩვენს ქვეყანაში წიგნებში ჩავწერთ და ყველანი წაიკითხავენ... მოდი უთუოდ, — დაუმატეს იმათ, — ფულსაც გაჩუქებთ.

— მადლობელი ვარ, გეახლებით, — ვუპასუხე.

ფრანგმა გაიკლო ჯიბეს ხელი, ამოიღო მანეთიანი და გამომიშვირა:

— აჰა ეს ბეითა გქონდეს საღამომდის და საღამოზე კიდევ გაჩუქებთ.

— გმადლობთ, — ვუთხარ დარცხვენით და გავწითლდი, — საღამოზე გიახლებით და მაშინ მიბოძეთ.

— გამომართვი, ნუ გრცხვენიან.

— საღამოზე, ბატონო.

— მაშ, კარგი, საღამოზე იყოს, — მიპასუხა იმან და ორნივ გამომესალმნენ, მეც გავიბრუნე ცხვარი ჩვენი სოფლისკენ და წყნარ-წყნარად გავრეკე.

საღამოზე ჩემი ამხანაგი მწყემსი „ჩამომიდგა", რადგანაც ის დაბრუნებულიყო მთიდან, სადაც „მშრალ ცხვარს" მარილი წაუღო. იმას მოსდევდა მეორე ბიჭი, რომელიც ყოველღამ საყარაულოდ ჩამოგვეშველებოდა ხოლმე.

— მოხვედით მშვიდობით, — მივესალმე მოსულებს.

— მშვიდობა მოგცეს უფალმა.

— ცხორი როგორ არის? — ვკითხე მთიდან ჩამოსულს.

— აბა, რაი უჭირს! ბატკანი ყოველდღე ყინვარზე გაჰყავთ მწყემსებსა და ეგრე თამაშობენ, რომ რაღა გითხრა... ძალუმ გაკეთებულა.

— ბალახი როგორიღაა?

— უჰ! — მოწონების ნიშნად წამოიძახა იმან. — ბალახს რაიღა კითხვა უნდა, ცხორი კიტრივით დაურგვალებია... მართლა, ქალბატონმა შემოგითვალა: ერთს წუთს აქ ამოდიო, სტუმრები მოგვივიდაო, — დაუმატა იმან.

— ვინ სტუმრებია? — ვკითხე მე.

— აბა, რაი ვიცი, ქალაქიდან მოვიდნენ, აფიცრებია რაიმე.

— ქალებიც არიან?

— არიან.

— აბა, მაშ მე წავალ და, როგორც თქვენი იმედი მქონდეს, კარგა ყური უგდეთ, ცხორი არ დაგსხლტესთ.

— ფიქრი ნუ გაქვს, ცხორს არას გავუჭირებთ.

მე გამოვესალმე, გადაუსვი ხელი ჩემს ერთგულს ძაღლს, რომელიც ცხვარს ისე შესჩვეოდა, რომ მოშორება ვერ მოეხერხებინა, და გავსწიე შინისაკენ.

რადგანაც საღამო ჩინებული იყო და მთვარიანი, ყველანი პატარა ბაღჩაში გამოსულიყვნენ და ჩაის მიირთმევდნენ. მხიარულს სიცილზე და ლაპარაკზე შევატყვე, რომ ისინი სასიამოვნო სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ და რამდენიმე ფეხის გადადგმის შემდეგ ხმაზე გავარჩიე, რომ ერთი ჩემი ახლო ნათესავი ერია იმათში. მე ავჩქარდი იმათ ნახვას, რადგანაც დიდი ხანი იყო, რაც არ მენახა, და მოხუცი ნათესავი კი მამიჩემის მეგობარი გახლდათ. მინდოდა ტანისამოსი გამომეცვალა და ისე მივსულიყავ სტუმრებთან, მაგრამ იმათ თვალი შემკრეს და დამიწყეს ძახილი. მე ბოდიში მოვიხადე და მივედი: მართლაც, რა მოსარიდი იყო ტანისამოსი ნათესავებთან? მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ასვლის უმალ ჩემი მოხუცი ნათესავი დამხვდა შემდეგის სიტყვებით:

— იფ, იფ... დამიხედეთ მთის მებატონის შვილს!..

მე გაშვერილი ხელი ისე დამრჩა და მოხუცს გაშტერებით დავუწყე ყურება. ჩემი ყმაწვილი ნათესაობაც იქვე ახლოს მიკუნჭულიყვნენ და ჩუმად იცინოდნენ.

— არა გრცხვენიან? ნამუსი აღარა გაქვს? — მეუბნებოდა გაცხარებული მოხუცი.

— რადა მლანძღავთ, ბატონო! რა დამიშავებია? — ძლივს მოვახერხე სიტყვა.

— კიდეც რომ კითხულობს? ბიჭო, მამაშენი მეცხვარედა გზრდიდა? მაგისთვის დახარჯა შენი წონა ფული? თუ მეცხვარეობა გინდოდა, შე ჩემი ცოდვით სავსე, ან რუსეთს რაღად მიდიოდი, ან ფულს რაღად ხარჯავდი? მიებარებოდი ჩემს სარქალს და ასეთს მეცხვარეობას გასწავლიდა, რომ უკეთესი აღარ იქნება!

— მამაჩემი ცხოვრობდა ისე, როგორც თვითონ ესიამოვნებოდა, და მეც ჩემს სიამოვნებაზე მინდა ვიცხოვრო, — წყენით ვუპასუხე და შევატყვე ჩემს თავს, რომ მთლად ავინთე.

— ხალხში გავიდა, მათთან დაახლოება უნდა, კნიაზო! — წამოტყვრა ერთი ყმაწვილი ოფიცერი და გაიღიმა.

— ხალხში მინდა გარევა და დაახლოება თუ არა, ეგ თქვენს ჭკუას არ ეკითხება, — ვუპასუხე მე და დავუმატე: — მაგრამ იმას კი გეტყვით, სიტყვების რახარუხს მე მეცხვარეობა მირჩევნიან, საქმე მაინც არის.

მე გავბრუნდი შინისკენ და, სანამ ოთახში შევიდოდი, მესმოდა გაშმაგებული მოხუცის ყვირილი და ყმაწვილი ხალხის სიცილი; მოხუცი ყვიროდა:

— რის ხალხში გასვლა, რის ხალხის დაახლოება! ისა ბრძანოთ, რომ ახლანდელი ხალხი გამოუდეგარნი არიან, არაფრისათვის ვარგა, ვერაფერს ვერ გააკეთებს.

ოფიცერი კი ჭიჭინებდა:

— მაგას რად ბრძანებთ? მარტო ერთის მაგალითით რად ადგენთ სხვებზედაც აზრს?.. ჩვენმა ნათესავმა მხოლოდ იმიტომ დაიწყო მეცხვარეობა, რომ თავის გამოჩენა უნდა, სხვებიც ხომ აგრე არ არიან?

— დიდი თავის გამოსაჩენია მეცხვარეობა, სწორედ მოგახსენოთ... — უკანასკნელად გავიგონე მოხუცის სიტყვები და შევიხურე კარი.

ერთი მხრით, ლანძღვა იმიტომ, რომ იმათ გაკვეთილს ბილიკზე არ მივდიოდი და მიზნად არ გამეხადა „ჩინი და პატივი", მეორე მხრით, ლანძღვა იმისთვის, რომ განუწყვეტელი ჭრიჭინის მაგივრად ძნელი საქმისათვის მომეკიდა ხელი და მესამე მხრიდანაც — უნდობლობა, რადგანაც იმ ხალხს, ვისაც გულით ველტოდი, ვერ წარმოედგინა კაცი, რომელსაც იმათი ძარცვა შეეძლო და ძარცვის მაგივრად იმათთან ერთად მუშაობას და ძმობას აპირებდა!

ასე დაიწყო ჩემი ხელობის დებიუტი, რა ხელობაშიაც შვიდი წელიწადი გახლდით, და რაც ვნახე, გავიგონე და ვიგრძნე, შემდეგიდან დაინახავთ.

II

მოვიდა შემოდგომა. მწყემსებმა და დანარჩენმა ხალხმა ნახეს, რომ მთელი ზაფხული მთაში ცხვართან გავატარე, ნახეს, რომ არც სახლი, არც კარი შქონია იქ და, როგორც უმეტესობა მოელოდა, არც შაქარივით დავმდნარვარ, არც მომწყენია და არც ავად გავმხდარვარ, თუმცა კი ბევრი შხაპუნა წვიმა დამდენია თავზე. ყველანი წყნარ-წყნარად დარწმუნდნენ, რომ გულით გამოვეკიდე ამ საქმეს და ადვილად თავს არ დავანებებდი. ამ ხნის განმავლობაში მე დავუმეგობრდი რამდენსამე მეცხვარეს და ყველაზე მომეტებულად ერთს, სტეფანწმინდის მცხოვრებს სვიმონა გიგაურს, რომელიც პირველსავე შეხვედრის შემდეგ მაკვირვებდა თავის მოსაზრებით და ჭკუის გამჭრიახობით.

სვიმონა სწორედ წარმომადგენელი იყო ნამდვილი მთის მეცხვარეებისა. მარდი, გონიერი, სამართლიანი, რომელიც უბრალოდ ჭიასაც არ აწყენინებდა, მაგრამ თუ უსამართლობას ნახავდა, იმის გული აიმღვრეოდა ჯავრით და ყოველ ლონისძიებას ხმარობდა, გადასახდელად საშუალება ეპოვნა.

ლამაზი, ტანადი, სამართლიანი და ყმაწვილი სვიმონა ყველასათვის საყვარელი იყო. ყველას ჰსურდა იმისი „ნამგალობა" და, რასაკვირვე-

ლია, ასეთი კაცი ჩემთვის სხვაზე მეტად ფასობდა; იმის გამოცდილება და ცხვრის ხელის შეწყობა ხომ ხევში სამაგალითოდ იყო გამხდარი.

როგორც ზევითა ვთქვი, მოვიდა შემოდგომა, მაგრამ მე ნამგალა ვერ ავიჩინე! სწორედ უნდობლობა იყო მიზეზი, და გადავწყვიტე მარტოდ ჩემის მწყემსებით წავსულიყავ ჩეჩენში, სადაც ზამთრობით მთის ცხვარი იკვებება; და რამდენად ძნელია იმ აუარებელი რიცხვის ყაზახის სტანიცების გავლა მარტო ერთის ფარისათვის და ხუთიოდ-ექვსის კაცისთვის — იმას თვითონ ჩვენის მოგზაურობიდან შეიტყობთ.

ერთ საღამოს, ის იყო ცხვარი საძოვრიდან მოვრეკეთ ბინაში და ანთებულ ცეცხლს გარშემო ვუსხედით, როდესაც ძაღლი წამოვარდა და ყეფით გაექანა ბეგისკენ; ყმაწვილი ბიჭი, რომელიც იქვე იჯდა, გამოეკიდა ძაღლს, რათა მოეშორებინა ჩვენკენ მომავლის კაცისათვის.

— საღამო მშვიდობისა! — მოსვლის უმალ წამოიძახა მოსულმა.

მწყემსები მოსულს, როგორც სტუმარს, ჩვეულებისამებრ წამოუდგნენ ფეხზე და მიესალმნენ.

— მოხველ მშვიდობით, სვიმონაუ! — თითქმის ყველამ ერთად ვუპასუხეთ და მოვიწვიე ჩემს გვერდით დამჯდარიყო მთაში სახელგანთქმული მწყემსი. როდესაც ყველანი დავსხედით, შევჭამეთ ცოტაოდენი პური, სვიმონამ დაიწყო:

— მე შენთან მოვედ.

— რაი ამბავია?

— ნამგალაობა გვწადიან შენთან.

მე გაკვირვებით შევხედე, რადგანაც მე თვითონ ვეძებდი ნამგალებს და ვერ მეშოვა.

— რაისთვი არა, მე თავად ვეძებდი ნამგალებს, — ვუპასუხე გახარებულმა: — მაგრამ რაისთვი დაიგვიანეთ, რაისთვი აქამდინ არ შემატყობინეთ, ხომ იცოდით, რომ მე თავადაც ვეძებდი ნამგალებს?

— ჰაი-ჰაი ვიცოდით, მაგრამ ჩვენ არ გვჯეროდა, რომ მართლა ხელს მოჰკიდებდი მეცხვარეობას... მე წინათვე მინდოდა შენთან მოსვლა, მაგრამ ამხანაგები არ შვრებოდნენ და იმათ კი ვეღარ ვუღალატებდი.

— შენ ამბობ, რომ ამხანაგებს არ ვუღალატებდიო და დაბეზღე კი, ახლა მე რომ გადავეკიდო იმათ?

— აუ! ახლა შენ ჩვენი ნამგალა ხარ, შენთან დამალვა ღვთისაც საწყენია და კაცისაც... ამხანაგმა ყველა უნდა იცოდეს, ყველა, სპარსანგელოზის მადლმა!

— შენ რაღად გინდოდა ჩემი დაახლოება?

— რადა? იმად, რომ შენ მწიგნობარი ხარ.

— მერე?

— მერე ის, რომ ყაზახები შარიანები არიან და შენისთანა კაცი კი თავს გაიტანს იმათთან.

— ძალიან გაწუხებენ ყაზახები?

— ძალიან, წმინდა გიორგის მადლმა!

ამ სიტყვებით გავათავეთ ჩვენი ლაპარაკი და ყველამ ავიღეთ ნაბდები, გავედით თეოზე და მივწექით დასაძინებლად.

მხოლოდ არ ეძინა სამს მორიგ ყარაულს, რომელნიც გარს უვლიდნენ ცხვრებს და უფრთხილდებოდნენ, რომ არ გაპაროდნენ.

მეორე დილით, ალიონის აწევასთან ერთად, მოპირდაპირე მთიდან მზე ჯერ ამოიბეჟუტა, მერე ამოიწვერა სხივებით და ჩქარა იქაურობა დაჰფერა ოქროსფრად.

ღამის ნამს გამაცოცხლებლად ემოქმედა ხავერდის მსგავს ბალახსა და ყვავილებზე, რომელთაც ფერი დასწმენდოდათ, სასიამოვნოდ გადაშლილიყვნენ, თითქო მზის სხივები უნდოდათ დაეტკბოთ თავიანთი მშვენიერებით.

მწყემსები წამოდგნენ და დაიბანეს პირი.

ცხვარი გავიდა საძოვარზე, მე და სვიმონა კი ბინაში დავრჩით, რადგანაც მოლაპარაკება გვინდოდა ჩვენს მომავალს მგზავრობაზე და შესაერთებლად დღის დანიშვნა.

— თავი სარქალი შენ უნდა იქნე, — დაიწყო იმან.

პირველში მე უარი ვუთხარი, რადგანაც ხამი ვიყავ, მწყემსების ჩვეულება და წესები არც ვიცოდი, მაგრამ სვიმონა იქამდის გადამეკიდა, რომ აღარ ვიცოდი, უარი რაგვარად მომეხერხებინა.

— რად ითხოვ, რომ სარქლობა ვიკისრო, როდესაც ბევრი ჩემზე გამოცდილი და დაჩვეული მწყემსი არის?

— იმადა, — მიპასუხა იმან, — რომ შენ ყველგან მისვლა-მოსვლა შეგიძლია: შენ, თუ გაჭირდა, თავსაც გაიტან და ჩვენ კი ბედშავები ვართ... თუ შენისთანა კაცი კრიჭაში არ ჩაუდგა ყაზახებს, ჩვენი კაცი, ეჰა, რაის გახდების?

როგორც ხედავთ, ყველასა სწამდა ყაზახებისაგან შეწუხება მწყემსებისა, რომელთაც თავი ჰქონდათ მოძულებული ამ მშვიდობიანობისათვის დასახლებულებისაგან.

— მამასახლის-პრისტავიც ველარ გვაწვალებს, — დაუმატა სვიმონამ.

— განა ისინიც გვაწვალებენ? ყაზახები რაღად?

— ღმერთმა ნუ იცის იმათი თავი! — წამოიძახა გულდაწყვეტით: — სანამ ბილეთს მოგცემენ, კაცს სული ყელში მოებჯინების... ქვემოთკენ (ჩეჩენში) თუ არ პრისტავის ბილეთი, არ გამოდგების, და პრისტავი კი მამასახლისის მოწმობასა გვთხოვს...

— ეგ რა გასაჭირია, წელიწადში ერთხელ გინდათ ბილეთი.

— ერთხელ? — ჩაიცინა იმან: — ერთხელ უნდა, მაგრამ ვაი იმ ერთ აღებას!

— როგორ?

— აი, როგორ: ჯერ ერთი — ბილეთი საერთოდ ფარას თავის მწყემსებით უნდა; მეორე — სამ კაცს თითო-თითო ბილეთი...

— სამ კაცს რისთვისღა?

— იმისთვის, რომ ზოგი „ჯერისათვის“ იგზავნების, ზოგი თივისთვის, ზოგსაც საქმე გაუჩნდების რამე... მერე საქონლისათვის ბილეთი. ჩემი მტერი ჩავარდეს მაგათ ხელში! ახლა რაი გიამბო, გაიცან ცოტა ჩვენი ცხოვრება და მაშინ გაიგებ, რაიც დღე მწყემსებს ადგას.

— შენ, უთუოდ, გაგაჯავრეს რაზედმე და იმიტომ ლაპარაკობ მაგრე.

— ჰაი-ჰაი რომ გამაჯავრეს! შარშან,— დაიწყო სვიმონმა, — ასინსკაში ცხორი მედგა და მე კი შინ მოვედი, ჯალაბი მომიკვდა, დამარხვა უნდოდა... შუაგული ზამთარი იყო, როდესაც კაცი მოვიდა ცხორიდან და შემატყობინა, რომ ჩვენს ფარეხს ცეცხლი მოჰკიდებოდა... შენს მტერს შეექმნას აგეთი გული, როგორიც მე შემექნა. გამოვიქეცი მამასახლისთან ბილეთისათვის. იმან პრისტავზე გამიღირა ხელი და პრისტავი კი ქვეშეში დგას; აქედან ქვეშემდე სამოცი ვერსი იქნება. წინ და უკან ას ოცი ვერსის გავლა ხუმრობა არაა, მერე ზამთარში, და მთაზე გადასვლ-გადმოსვლა ხომ რაიღა გითხრა! მაგრამ მეტი ღონე რა იყო? ვთხოვე მოწმობა; იმ ურჯულომ მანამ არ მომცა, სანამ ბეჭდის ფული ხუთი მანეთი არ გამომართვა. წავედ, ღმერთმა ხელი მომიმართა, მთას გადავრჩი, მშვიდობიანად გადაველ, მაგრამ პრისტავს რაიმე საქმე გასჩენოდა, თუ საქეიფოდ წასულიყო ქალაქში, შინ არ დამხვდა. იასაულებმა კი მითხრეს: ერთს თვეზე აღრე არ დაბრუნდებისო. რაიღა უნდა მეთქვა? გული სისხლით ივსებოდა; ჩემი სარჩო-საბადებელი ცხორი იყო, ფარეხს ცეცხლი მოჰკიდებოდა, და მე კი დაბეჯითებით არ ვიცოდი— სულ დაიწვა ცხორი, თუ გადარჩა რამე... ვიოხრე, ვიჯავრე და დაღონებული გამოვბრუნდი, გზაში ამიდგა ბუქი და კინალამ თოვლმა დამახრჩო... შინ რომ ამოველ, ვიფიქრე, ვიფიქრე და გულმა ვეღარ გამიძლო: უბილეთოდ წაველ. ვიფიქრე: ჩემ შავ დღეს შევატყობინებ. თავს შევაბრალებ და გამიშვებს-მეთქი. მაგრამ დარიალს ყაზახები დამბჟდენენ, მთხოვეს ბილეთი და საით მოუტანდი, რაიც არ მქონდა? დამიჭირეს, გამიკრეს ხელები და ძაუგს ჩამიყვანეს, იქ ორი კვირა ვიყავი დაჭერილი, მემრე გამატანეს ეტაპს და ორი კვირა მომინდა, სანამ დუშეთს ჩავიდოდი. გული კი სივდებოდა ოა სივდებოდა! იქაც ერთი კვირა მომაგვიანეს და მემრე გამომიშვეს... მადლი უფალს, ცხორი გადარჩე-

ნილიყო, მაგრამ ან რაიღა გული უნდა მქონდეს ამის შემდეგ მაგათზე, ან რაი შემიძლია, რითი გადაუხადო?

იმისმა ლაპარაკმა მეც დამაფიქრა და მწუხარებით წარმომადგენინა ის უბედური დრო, როდესაც პატიოსანს მუშას შემწეობა და დახმარება ეჭირება პატიოსანი შრომისათვის! დამაფიქრა იმ ხალხის მდგომარეობამ, რომელთ ბედ-იღბალი ჩავარდნიათ ხელში სხვადასხვა უთავო მეთაურებს და მართვენ თავიანთ გემოვნებაზე, სდებენ თავიანთაგან გამოგონილს წესებს, ჰკრებენ ჯილდოებს.

მეფის რაში

ზღაპარი

იყო და არა იყო-რა, იყო ერთი შეძლებული კაცი, რომელსაც სამი მარგალიტივით ლამაზი ქალი ჰყავდა.

მამას უყვარდა თავისი შვილები და ისინიც თავის ვალს არ ივიწყებდნენ: ისე უვლიდნენ მოხუცს, რომ ცივს ნიავს არ აკარებდნენ.

მათ შემოეჩვიათ ერთი ქვრივი, რომელიც ხშირად დადიოდა ამ სახლში და შველოდა ხოლმე ქალებსა.

ეს დედაკაცი ისე იქცეოდა, ისე ირჯებოდა მოხუცის შეძლებულის კაცის აახლში, რომ ჭიას არ აწყენინებდა. დღეს, ხვალ, ასე მიდიოდა იმათი ცხოვრება მშვიდობიანად და ტკბილად.

ცოტა ხნის შემდეგ კაცმა რაღაცაზე დაფიქრება დაიწყო, მერე დადარდიანდა და ბოლოს გამოაცხადა, რომ ამ დედაკაცს ირთავდა. ყველას გაუხარდა ეს ამბავი, რადგანაც ქვრივმა ყველას შეაყვარა თავი, იცოდა, ვის როგორ მოჰქცეოდა და ვისთვის რა ესამოვნებინა.

ქორწილი გააჩაღეს, ხალხი მოიწვიეს და ჯვარი გადაიწერეს.

ამ დღიდან ყოველისფერი გამოიცვალა: დედინაცვალმა თვალის დასანახად შეიძულა ქალები, ქმარი ჩაიგდო ხელში და მთელს სახლობას გენია შეუკეთა.

აშკარად აღმოჩნდა, რომ ის უწინ თვალთმაქცობდა და გულკეთილად იმისთვის თურმე იქცეოდა, რომ დიდი ოჯახი ხელში ჩაეგდო და მერე თუთურები აეშვა.

ეს დედაკაცი იქამდის გადაეკიდა თავის გერებს, რომ მათი მოშორება განიზრახა, თუნდა ამისათვის ქალების დახოცვაც დასჭირებოდა.

ოჯახობა დაამხო, რადგანაც არც თითონ უვლიდა და არც სხვას

აკარებდა. ქმარს საქვეყნოდ ქუდი მოხადა და შერცხვენილს სიცოცხლე გაუჭირა; ყოველდღე ჩასჩიჩინებდა: „შენი გომბიოები მომაშორეო!“ და დაქალაჩუნებული კაცი, დამონებული ყაჩაღანის დედაკაცისაგან ისმენდა უღმერთოს და შეუწყალებელს ლაპარაკს.

ისა ხედავდა, რომ ოჯახი პირქვე დაემხო, მისი ნაზად და ნებიერად აღზრდილი ქალები ეხლა ძონძებში გახვეულნი დადიოდნენ; მუდამ დაღონებულნი, თვალცრემლიანები იყვნენ და ყოველ წუთს დედინაცვლისაგან გალანძღულნი, ნაცემ-ნაგლეჯნი და ქვეყანაში მოყივნებული რჩებოდნენ.

ძალა-მოკლებულმა მამამ ჯერ ღონება დაიწყო, მერე უნდოდა დარდი სმაში განექარვებინა და ლოთობას მოჰყვა, მაგრამ ვერა ღონისძიებით საოჯახო ცეცხლი ვერ მოიშორა.

ცოლი დაუსვენებლივ ჩასძახოდა: „მომაშორე შენი გასაჟეჟი ქალები, თორემ კეტით დავხოცამ!“ და ქმარმაც დაინახა, რომ დედინაცვალი გერებს აღარ ინდობდა. იფიქრა, იფიქრა და გადასწყვიტა, რომ თავის ქალებიც და თავის თავიც სიკვდილით გარდაერჩინა ჯოჯოხეთურ ცეცხლისაგან. აიღო ერთი თოხი, ერთიც ნიჩაბი და წავიდა ტყეში. მივიდა ერთს თურაშაულს ვაშლთან, რომელიც წითლად ღვიოდა და ღაჟღაჟებდა. ერთს მხარეს მოსთხარა ღრმა ორმო, ზედ დააწყო წვრილი წკეპლები და ფარდაგი გადააფარა. ბოლოს ავიდა ხეზე, დაბერტყა ვაშლი და ორმოზე დაფარებულს ფარდაგზე შეაგროვა. მხოლოდ აარჩია სამი ვაშლი, რომელნიც ყველაზე ლამაზი და კაცის თვალის მისაზიდნი იყვნენ. ერთი ჩაიდო ზურგთ უკან, მეორე მარჯვენა და მესამე მარცხენა პაჭიჭებში. როდესაც ეს ყველა გაათავა, გამობრუნდა შინისკენ და სახლში შემოსვლისთანავე თავის ქალებს დაუძახა.

— მოდით, შვილო, ზურგი მომფხანეთ. — ქალი მივიდა და ზურგში ხელის-ჩაყოფისთანავე სიხარულით დაიყვირა. მან ამოიღო ვაშლი და რა დაინახა მისი მშვენიერება აღტაცებულმა დაუწყო კოცნა და ალერსი.

დიდი ხანი იყო, რომ ქალებს ეს სიტკბოება აღარ ენახათ. მათთვის აღარავინ ზრუნავდა და მამისაგან ვაშლის მოტანამ წარსული ცხოვრება მოაგონა.

— მეც მომეც, მეცა! — მისცვივდნენ სხვა დები თავის დას, მაგრამ მამამ შეაყენა.

— მოდი, შვილო, შენც პაჭიჭი გამხადე, — გაუშვირა შუათანა ქალსა.

ქალი მივიდა და პაჭიჭის გახდისთანავე წამოგორდა პირველზე უფრო დიდი და მასზე უფრო დაწითლებული ვაშლი. შუათანა ქალმა შორს გარდასტყორცნა პაჭიჭი, გახარებული დასწვდა ვაშლს, ჩაიკრა გულში და ხტუნაობა დაიწყო.

— მე, მე კი აღარ მინდოდა? — გულნატკენად წამოიძახა უმცროსმა.

— მოდი, შენც ეს პაჭიჭი გამხადე. — გაუშვირა მამამ მარცხენა ფეხი.

მარცხენა პაჭიჭის გახდაზე კიდევ გამოგორდა. ვაშლი!.. ვაშლი, ძაგრამ, რა ვაშლი?! ისა სჯობდა ორივე პირველებს, რომლებიც უფროსმა დებმა დაიტაცეს. ამ ვაშლს ერთი გვერდი ჰქონდა მოწითალო და მეორე კი ქარვისფერი, წმინდა სანთლისაგან ჩამოსხმულს ემსგავსებოდა. სადაც ყვითელი მხარე წითელფერს უერთდებოდა, იქ ვარდისფერს მხარეს ძაფსავით წვნიანი ხაზები ჩაეშვა და ყვითლად მომღვიეს ნიადაგში იკლაკნებოდა! რამდენადაც ეს წვნიანი ძარღვები ყვითელს უფრო უახლოვდებოდა, იმდენად ფერს ცვლილობდა და ეს ცვლილება ისე ხელოვნურად ხდებოდა, რომ კაცი ვერ შეამჩნევდა, ერთი ფერი სადა სწყდებოდა და მეორე სად იწყებოდა. უმცროსი ქალი დააკვდა და დაეწაფა ამ ვაშლსა.

აქ შეიქმნა ბუნების ხელოვნურ ფერთა ბაასი; ქალი და ვაშლი შებრძოლდნენ, შაეჯიბრნენ ერთმანეთს და კაცი უპირატესობას ვერ მისცემდა ვერც ერთს მათგანს.

მამამ შეხედა თავის ქალს, გული აუდუღდა და ცრემლები გარდმოსცვივდა. მას მოაგონდა, რომ ცოტა ხანს შემდეგ შვილებს სამუდამოდ უნდა გამოსალმებოდა მისთვის, რომ თავის შვილების სიტკბოებით შენახვა აღარ შეეძლო. ის დასძლია ცოლმა, წაართვა ყოველივე მოსვენება და თავისუფალი მოქმედების უფლება და მთელს ოჯახობას ცეცხლში ატარებდა. მამა შეჰყურებდა შვილებს, მათ გახარებულ სახეებს და ფიქრობდა, ფიქრობდა ისე, როგორც სანთელი ცეცხლზე.

როდესაც ქალებმა მოიკლეს სურვილი, მამას დაეკითხნენ:

— სად იშოვე, მამავ, ეს ვაშლები, სადა?

— ტყეში, შვილებო.

— წაგვიყვანე, მამავ, შენი ჭირიმე!.. ჩვენც წაგვიყვანე, — მიეხვიენ მამას ხვეწნით და კოცნით.

— კარგი, კარგი... წაგიყვანთ, ხვალ დილით წაგიყვანთ! — ყრუდ უპასუხა მამამ და ცრემლები გარდმოსცვივდა.

ქალებმა რაკი გაიგეს, რომ მამას ტყეში მიჰყვანდა, აღარ იცოდნენ სიხარულით რა ექნათ. ისინი მეტისმეტად გამხიარულდნენ და მამას თავ-განწირულებით ხვევნა და კოცნა პოუხშირეს. ამ დროს... გაეღო კარი და როგორც ელვა-მეხმა იქექა და იქუხა დედინაცვალმა.

— აი შე უსირცხვილოვ! — დაჰკივლა ქმარს; წაავლო ხელი იქავ კედელთან მიგდებულს თოხის ტარსა და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი... ერთსა თუ მეორეს, ერთსა თუ მეორესა.

დედაკაცი გააშრებული და გალექებული, თმაგაწეწილი და ცეცხლისმფრქვევი თვალებით ტრიალებდა დაწიოკებულს ოჯახობაში და უშვერის პირით ილანძღებოდა. შავი, ჩამურული, ლაშდაშვებული და თვალებდაჭყეტილი ეს დედაკაცი ჯოჯოხეთიდან გამოვარდნილა ემსგავსებოდა.

მალე შემოიფანტა იმან თავ-პირ დამტვრეული ქმარი და გერები და როგორც ბრძოლის ველზე გამარჯვებით დაკმაყოფილებული გმირი, დოინჯშემოყრილი თოხის ტარით ჯოჯოხეთის მაშხალასავით გამოიჭიმა.

იმ ღამეს დაბნეული ქალები მეზობლიანთსა შეეფარნენ, ქმარი დუქანში წავიდა. ლოთობით გულის გაგრილება უნდოდა და დედინაცვალმა კი სტუმრები მოიწვია, გაუკეთა ვახშამი, მოხადა საზედაშე ღვინოს და სტუმრებს ჭერში ქუდი აკვრევინა.

მეორე დღეს კვირა გათენდა. მახლობელ ეკლესიაში ზარებს დაუწყეს რეკა და სოფელი წირვის მოსმენად მიეშურებოდა.

აკლებულის ოჯახის დიასახლისიც მოირთო-მოიკაზმა, სახეზე იკრა პიშუსტაკი, ფერით ამოიკვერა ლოყები და ჭყატანა ბაღდადმოხვეულმა კარგახანს სარკის წინ ტრიალს შემდეგ გასწია საყდრისკენ.

იმის გასვლისთანავე ოთახში სიფრთხილით შემოვიდა ქმარი. მას სახე ჰქონდა გაყვითლებული, თვალის ძირები ჩალურჯებული, ჩაცვინული და თვალებს როგორღაც აფეთებდა. საზოგადოდ მოუსვენრად იყო და ყოველ წუთსა კრთებოდა.

დიდმა ხანმა არ გამოიარა, რომ მისი სამი ქალიც მოვიდნენ და წყნარად და ჩუმად შეშინებულები შემოიპარნენ სახლში.

— ძლივს! — დაიძახა მამამ და თვალებში რაღაცა სიბოროტის ცეცხლმა უელვა.

— აქა ხარ, მამავ? — ჰკითხა ერთმა და სხვა ვეღარა მოახერხარა.

— აქა ვარ, აქ! — ბუზღუნით შეუტია იმან და დაუმატა — თქვენ რაღად მოხვედით, რა გინდოდათ აქა?..

ქალებმა შეხედეს ერთმანეთს, შეშინდნენ და ერთად კუთხეში მიიკუნჭნენ.

— არ გესმით! რა გინდოდათ-მეთქი? — აიმაღლა მამამ ხმა და ბოლოს გაბრაზებით დაუმატა: — უნდა მგელს პირში თავადვე ჩაუცვივდეთ?.. შეგჭამთ მგელი, შეგჭამთ!.. არ დაგინდობსთ, მოგკლავსთ!..

ამ სიტყვებით წამოავლო მან ხელი ცულსა და გაექანა ქალებისკენ, რომელნიც ცოცხალ-მკვდარსავით გაწამებულნი ერთს კუნჭულს მიჰკროდნენ და სუნთქვასაც-კი ვეღარ ბედავდნენ.

— მოკვდით, მოკვდით! — იძახდა გაბრაზებული კაცი და პირიდან ქაფს ცოფიანსავით ჰყრიდა.

— მამავ! — შესწივლა უმცროსმა ქალმა.

— ჰა! — დაიძახა კაცმა და გაშტერებული გაშეშდა. კარგა ხანს იდგა ასე, გონს ვერ მოსულიყო. ყოველისფერს რაღაც სამარისებული სახე ედო. ჰაერიც კი თითქოს აღარ მოძრაობდა. ისმოდა მხოლოდ შეშინებული ქალების გულის ცემა, რომელიც თითქოს მკერდიდან ამოვარდნას აპირებდა.

— ჰა, ჰა, ჰა! — გადაიხარხარა ერთბაშად მოხუცმა და ხმაში ხრინწი მოერია, შორს გარდასტყორცნა ცული და უსიამოვნო, დაღლილი, გაბრაზებული ხმა შეეცვალა ტკბილს, მოალერსეს და გრძნობით აღსავსე ხმად.

— შეგაშინეთ!.. მოგიკვდესთ მამა!.. და თქვენც დაიჯერეთ, თქვენ, რომელზედაც მზე და მთვარე ამომდის, რომ მოგკლავდით!..

მოხუცმა რამდენჯერმე ამოისუნთქა და აქეთ-იქით მიიცქირა, თითქოს ოთახში მყოფი ჰაერი სასუნთქველად არა ჰყოფნიდა და სხვას კიდევ ეძებდა.

— არა, შვილებო!.. არა... — ტკბილად დაიწყო იმან, ჩამოჯდა იქავ მდგომს სკამზე. და ცრემლები გადმოედინა. — მოდით, შვილებო... მომეხვიენით... მაკოცეთ, მაპატიეთ... მე გამოგპერით ყელები, მე დაგღუპეთ, მე ვარ ჩასაქოლი.

— მამავ! მამავ! — მიეხვივნენ შვილები და დაუწყეს კოცნა და ალერსი.

შვილების ალერსმა კაცი უფრო მოალბო, უფრო დაასუსტა: შეუთამაშა თვალმა, თრთოლა დაუწყო ტუჩებმა და სასულესთან ძარღვებმა ფეთქა ასტეხეს.

— მაკოცე, შვილო... მაკოცე შენცა... შენცა... კიდევ, კიდევ! — ეუბნებოდა მიხრწნილის ხმით — მაკოცეთ, მაკოცეთ... მე ვაშლებზე წაგიყვანთ, გუშინ რომ დაგპირდით.

ამ დროს მოისმა ზარის ხმა და კაცი შეკრთა, წამოვარდა და სახე უსიამოვნოდ დაეპრანჭა...

— წავიდეთ, წავიდეთ! — ერთბაშად დაიძახა მან და წყნარად დაუმატა: — წავიდეთ, თორემ მოგვასწრობს და გაგვამწარებს.

ქალებმა წამოავლეს შალებს ხელი და ემზადებოდნენ, მაგრამ როგორც ყოველთვის არის ხოლმე აჩქარების დროს, ავიწყდებოდათ, რომ შალები ხელში ეჭირათ და კიდევ შალებს ეძებდნენ. კაცს ეტყობოდა, რომ ცოლის მოსწრებისა ეშინოდა და როგორც ციებაში მყოფი, ისრე აცახცახებდა.

— ჩქარა, ჩქარა! — იძახოდა კაცი და თან ხელში საბელს იმარჯვებდა.

— მზათა ვართ, მამავ! — უთხრეს ქალებმა და ყველამ ტყისაკენ ჩქარის ნაბიჯით გასწიეს.

კარგა ხანს სიარულის შემდეგ შევიდნენ ტყეში, სადაც წმინდა ჰაერმა და სასიამოვნო გრილომ ქალები თანდათან აღტაცებაში შეიყვანა. ყმაწვილობის ბუნებამ გაიღვიძა და გული შეუფრიალდათ მოჭიკჭიკე ჩიტებსავით.

მაგიერ მამა მათი დაღვრემილი, ჩაფიქრებული და ფერმიხდილი იყო, დროგამოშვებით, გაუგებრად რაღაცას ბუტბუტებდა. სახე მისი წამდაწამ იცვლებოდა: ხან ჭარხალსავით წამოწითლდებოდა, ნაბიჯს მოუმატებდა და მოუსვენრად ქშინავდა; ხანაც ფერმიხდილი, სულშეხუთული მომაკვდავს მიემსგავსებოდა, რამდენადაც ისინი ტყეში შედიოდნენ, იმდენად მოხუცს მღელვარება და აღშფოთება ემატებოდა.

კარგმა ხანმა გამოიარა ამ სიარულში.ბოლოს კაცი ერთბაშად შესდგა, სწვდა ერთის ხელით გულსა და მეორე ხელი ისე გაიშვირა, თითქოს ქალების განსაცდელისაგან გაფრთხილება უნდოდა.

ყმაწვილი ქალები შესდგნენ და მამას ყურება დაუწყეს, რომელიც ისე ცახცახებდა, როგორც ციება მოკიდებული და სახე საოცრად დაჰპრანჭოდა.

— მამავ, რა არის? რა მოგვიდა? — მისცვივდნენ ქალები, რომელთაც დაინახეს, რომ მოხუცმა წაიბარბაცა.

— არაფერი, არაფერი! — ხელის გაქნევით და თავშემაგრებით წამოიძახა კაცმა და ერთ ადგილს გაშტერდა. ქალებიც იმ ადგილზე გაქვავებულივით შეჰყურებდნენ.

მოხუცი იდგა და გაუგებელს სიტყვებს იძახოდა:

— გათავდა... მოვედით... გაწყდა!.. — წამოიძახა მან და მწარე დაყვირებასთან ერთად ხმა შეუწყდა.

ქალები შეკრთნენ წუთით და გაწამდნენ. ცოტა სიჩუმის შემდეგ კაცმა ამოიხვნეშა ისე, თითქოს გული თან ამოატანაო და საჯოჯოხეთოს ხმით ხარხარი დაიწყო.

— დასაკლავს ხარს რაღა ყურება უნდა? — დაიძახა იმან და თავათვე, დაუმატა: — რასაკვირველია, რომ არა... შვილებო, შვილებო! — ერთბაშად წამოიძახა და ქალებს უკანასკნელი ძალა დაეკარგათ. მათ წივილი შექნეს და გაქცევა განიზრახეს, მაგრამ მამა წინ გარდაუდგა და უფრო დამშვიდებით უთხრა:

— სად გარბით? რისთვის?.. მაშ ვაშლები აღარ გინდათ? — ქალები შესდგნენ და შეშინებულის, ურწმუნო თვალით ცქერა დაიწყეს. მოხუცი მივიდა ბუჩქებთან, გადასწია ფოთლებს და უთხრა:

— აბა შეხედეთ.

ქალებმა შეხედეს და სიხარულით შეჰკივლეს:

— ვაშლები, ვაშლები!

მათ დაინახეს პატარა მინდორი, რომლის იქითაც ერთი ხე განცალკევებით იდგა და ქვეშ ფარდაგზე მთელი ხროვა ვაშლებისა მზის შუქზე ბზინავდა.

პირველმა მოულოდნელობამ შეაკრთო ქალები, მაგრამ წუთს შემდეგ გახარებულის ყიჟინით გაქანდნენ მიმზიდავად და მიმპატიჟეთ მომღვივს ვაშლებისკენ. მათ გაქცევაზე კაცმა თავზე ხელი შემოიკრა, სახე დაეპრანჭა და შეშინებულის ხმით დაიძახა:

— შესდექით, მოიცადეთ... ორმოა! — მაგრამ გაფრთხილება გვიანღა იყო. ქალები შეცვივდნენ ფარდაგზე, წკეპლებმა ვერ გაუძლეს მათ სიმძიმეს და ვაშლებთან ერთად ორმოში ჩაცვივდნენ!..

მოხუცი გაქანდა მათკენ, მიიკრა ღრმა ორმოს ნაპირზე და ჩახედა ორმოს, რომელშიაც მხოლოდ ბნელი უფსკრულიღა მოჩანდა.

— შვილებო, შვილებო! — გულის გამგმირავად დაიძახა მოხუცმა და მასთან ერთად ყოველისფერი შესწყდა,გაყუჩდა და სიჩუმე ჩამოვარდა.

მოხუცი დაეცა მიწაზე, დაიწყო დაჭრილს ლომსავით მიწის ბრდღვნა და ღრიალი, იცემდა თავში, პირში, ტიროდა მდუღარეთ და ტანისამოსი მთლად შემოიგლიჯა. დიდხანს ივაგლახა, დიდხანს აწყდებოდა აქეთ-იქით, დიდხანს სცემდა თავს ქვაზე, მას აღარავინ უშველა, შვილები აღარავინ დაუბრუნა. ერთბაშად მოხუცი წამოჯდა, გაჩუმდა და ერთს ადგილს მიაჩერა თვალები. მისი სახე დამახინჯებული და დაპრანჭულიყო გულის შემწველის ცეცხლისაგან. ეტყობოდა, რომ მისთვის გონებას ეღალატებინა, გაებრუებინა და ჭკუიდან შეეშალა.

— რა უნდა მექნა? — წყნარად წარმოსთქვა იმან და დაფიქრდა. — ვაშლი, ვაშლი... წყნარად გაიმეორა... ეს საბელი რაღად მინდა... — დახედა თოკს, რომელიც ხელში ეპირა და ერთბაშად დაკივლებასთან ერთად ზე წამოიკრა.

— ვიცი, ვიცი! — დაიღრიალა იმან გულის გამგმირის ხმით, გაექანა ვაშლის ხესთან, საჩქაროდ ავიდა ერთს ტოტზე, მოაბა საბელი და ბოლოში ქამანდად გაკეთებულს თოკში თავი გაჰყო.

— არ მინდა, არა!.. მეშინიან! — გაცახცახდა უბედური, შეჰკივლა და რამდენსამე წუთს შემდეგ თოკზე ჩამოკიდებულმა სული დალია.

ამგვარად დაიხრჩო უბედურმა თავი და შვილებიც ისეთს ჯურღმულში ჩაჰყარა, საიდანაც ქვეყნად ხმა ძე ხორციელს ვერ ამოსწვდებოდა. წვალებულს ქალებს თუნდა ხმა ორმოს პირისთვისაც მოეწვდინათ, მაინც ვერავინ გაიგონებდა, რადგანაც ეს ადგილი უდაბური და დაბურული ტყე იყო და კაცის ფეხი არა ხვდებოდა.

კარგა ხანმა გაიარა. ჩამოხრჩობილი შეჭამეს ყვავ-ყორანმა და ჭიაღუამ; საბელი ავდრისაგან დალპა და ჩამოწყდა, კაცის ძვლები მგლებმა და ტურებმა ტყეში გაფანტეს და სოფელშიაც ბევრის ძებნის შემდეგ ყველამ დაივიწყეს.

საცოდავი ქალები ისხდნენ თავიანთ ჯურღმულში, რომელიც ქვეშ დიდს დარბაზად იყო გაკეთებული. შეეძლოთ ეარათ, ფეხზე მდგარიყვნენ, დაწოლილიყვნენ, მაგრამ მზის შუქი არა სწვდებოდა და მუდამ ძალზე ბნელოდა...

მათდა საბედნიეროდ, ღვთის განგებით ვაშლი შეიქნა ისეთი ნოყიერი, რომ დღეში თითო ვაშლი სამსავე დას ჰყოფნიდა და ასაზრდოებდა.

* * *

კაცის სიალალმართლე დიდია და არ იკარგება; მათაც მოხედა განგებამ.

ერთი ფრიად შეძლებული მეფე იყო, რომელსაც ერთი რაში ჰყავდა და შვილსავით უყვარდა. რაშს ეს ხელმწიფე რამდენჯერმე სიკვდილისაგან გადაერჩინა და ამისთვის ისე უყვარდა და უფრთხილდებოდა პატრონი, როგორც თავის თავს.

რაში იყო ჭკვიანი, მოაზრებული და თითქოს ადამიანის ლაპარაკი და გულის პასუხი ესმოდა. ამასთანავე ისეთი ჩქარი და ისეთი ფეხმალი იყო, რომ ხალხი ნიავქარს ეძახდა. ყოველ დილით, რა წამსაც კი მეფე გაიღვიძებდა, მაშინვე რაშს მოიკითხავდა. მოუყვანდნენ ჭკვიანს ცხენსა; მეფე ორივე თვალებში აკოცებდა, აჭმევდა ნუშსა და ქიშმიშსა და შემდეგ სხვა საქმეებს მიჰყოფდა ხელსა.

მეფე ყმაწვილი იყო, ახლად აშლოდა წვერ-ულვაში და ნადირობა უყვარდა.

ერთ დღეს მას ეწვია დიდძალი საპატიო ხალხი, რომელთაც უნდოდათ ქვეყნის მფლობელი დაეთანხმებინათ, რომ ცოლი შეერთო.

მეფემ მიიღო ისინი ჯეროვანის პატივით, გაუმართა მეჯლისი, მაგრამ ცოლის შერთვაზე კი უარი უთხრა.

შესწუხდნენ ყველანი, რადგანაც სამეფოს მემკვიდრე არა რჩებოდა და მის გარდაცვალების შემდეგ უეჭველად არეულობა მოხდებოდა. ამისთვის ხელმწიფეს კიდევ მიუგზავნეს კაცები და ევედრებოდნენ, რომ ხალხი ასე უნუგეშოდ არ დაეყარა. მათმა მფლობელმა უპასუხა:

— ხვალ სანადიროთ მივდივარ და მაგ საქმისათვის არა მცალიანო. ხოლო როცა დავბრუნდები, მაშინ მოვიფიქრებ და გარდაწყვეტილს პასუხს მოგცემთო.

როგორც ბრძანა, ისეც აღასრულა: მეორე დღეს გაიმართა დიდი ნადირობა. იმ დღეს იმოდენა მშველი, ირემი და ჯეირანი დახოცეს,

რომ მნახველნი იძახდნენ: მთელს დედამიწაზე მცხოვრებ ხალხს საკვებად ერთ წელიწადს ეყოფოდაო".

საღამოზე დაანთეს ცეცხლები, შეიკრიბნენ მონადირეები და მთელი ღამე ლხინსა და ქეიფში გაატარეს.

როდესაც გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ სხივით მოჰფინა იქაური არემარე, მეფემ ჩვეულებისამებრ თავისი რაში მოიკითხა. წავიდა ერთი მხლებელთაგანი ბრძანების აღსასრულებლად, მაგრამ კარგა დრომ გაიარა და რაშისთვის წასული აღარ დაბრუნდა, მეფე აღშფოთდა და კიდევ რამდენიმე კაცი გაგზავნა, მაგრამ ამაოდ; ვინც მიდიოდა, აღარ ბრუნდებოდა!

ამ დროს მეფემ დაინახა, რომ იქ მყოფ მონადირეთა შორის რაღაცა არეულობა და ჩოჩქოლი იყო, ეტყობოდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო. გულმა ვეღარ გაუძლო და ჩქარის სიარულით ხალხში მიიჭრა.

— რა ამბავია? — განრისხებულმა მეფემ იკითხა. ხალხი გაჩუმდა, ხმა ვეღარავინ ამოიღო.

— რა ამბავია-მეთქი? — განრისხებით დაუყვირა მან იქ მდგომებს და ხმალს ხელი გაიკრა.

— მოგახსენებთ, დიდებულო ხელმწიფევ! — წარმოსთქვა ერთმა ფრიად მოხუცმა და საპატიო კაცმა. მივიდა მეფის წინ და დაჩოქილმა თავი ჩაჰკიდა.

— მითხარ, რა მოხდა?

— მოგვიტევე დიდო მეფეო, — დაიწყო მოხუცმა წყნარად. — თუ აქამდისინ ვერა ვბედავდით თქვენთან გხლებოდით, ამის მიზეზი იყო, რომ გვეშინოდა თქვენის შეწუხებისა და განრისხებისა!

— ახ, ღმერთო! — მოუთმენლად წამოიძახა ხელმწიფემ. — საქმე მითხარ!

— დიახ, მოგახსენებ, ჩემო მწყალობელო და მრავალჯერ დამხსნელო გაჭირვებიდან.

— თავი მომაბეზრა! — ჩაიქნია მეფემ ხელი, — დაანებე მაგ მადლობას თავი... გამაგებინე-მეთქი რა მოხდა?

— იმას არ მოგახსენებთ... — დაიწყო ისევ გამოყეყეჩებულმა და განაგრძო: — თქვენს გაჯავრებას ვერიდებოდი-მეთქი.

— ღმერთო დამიხსენ! — შეჰკივლა მოთმინება დაკარგულმა მბრძანებელმა და მთლად აინთო: — მე რას გარდამეკიდე, რა გინდა ჩემგან?

— ისა, შენი ჭირიმე რომა...

— არ მეტყვი? — მისწვდა საყელოში მეფე, რომელსაც სიბრაზემ მოაზრებაც კი დააკარგვინა.

— ვიტყვი, ვიტყვი! — ზეზე წამოვარდა მოხუცი.

— სთქვი და რაღა!

— გაცოფდა! — ერთბაშად წამოიძახა მოხუცმა.

— რა, რაო? — იკითხა ხელმწიფემ.

— გაცოფდა, გაცოფდა, შენი რისხვა არა მაქვს! — იძახდა შეშინებული ბებერი.

— რას ამბობს? ვინ გაცოფდა? სად გაცოფდა...

— თქვენი რაში, დიდებულო მეფევ! თქვენი რაში!..

— რას ამბობს, თქვენი ჭირიმე!?..

— თქვენი რისხვა არა მაქვს, გაცოფდა!

— როგორ თუ გაცოფდა? — გაოცებით იკითხა შეწუხებულმა მეფემ.

— დარბის, ჭიხვინებს, ტოტებს მიწასა სცემს, ტლინკებს იქნევს. — ზედიზედ მიაყარა შიშისაგან დაბნეულმა მოხუცმა.

— მე როგორცა ვხედავ, შენა ხარ გაცოფებული და გამოჩერჩეტებული! — უთხრა მეფემ და სხვებს მიუბრუნდა: — ერთი სწორე გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ! მართლა გაცოფდა?

— კი არ გაცოფდა... — წამოიძახა ისევ პირველმა მსაუბრემ.

— შენ არ გელაპარაკები! — გააწყვეტინა მეფემ, მაგრამ ენამასწარი მოხუცი მაინც არ ჩუმდებოდა:

— არ გაცოფებულა, შენი ჭირიმე და რა ვქნა!

— მა რა მოუვიდა?

— გაგიჟდა.

— ეს უკეთესი! — დაიძახა მეფემ და მთლად აენთო.

— კი არ გაგიჟდა, შენი ჭირიმე, — წამოდგა მეორე: — წუხელი მთელი ღამე ჭიხვინებდა.

— გაგიჟდით თუ რა მოგსვლიათ!?!.. მერე რა მოხდა?

— დღეს დილით... — დაიწყო იმავე მეორემ...

— მომშორდი, თუ ღმერთი გწამს! — გააწყვეტინა იმასაც და მიუბრუნდა მესამეს. — თუ ღმერთი გწამს შენ მაინც მიამბე, რა მოხდა?

— რა მოხდა და შენი ჭირიმე...

— ახა, ღმერთო! ჩემს ჭირს რას გადაეკიდეთ?.. რა გინდათ ჩემის ჭირისაგან? — ოითქმის ხვეწნითა ჰკითხა შეწუხებულმა მეფემ.

— მე მოგახსენებთ, ბატონო! — ხალხიდან გამოვიდა ერთი მოწიფული ბიჭი.

— არიქა შენს მზეს, გამაგებინე, თორემ დამტანჯეს ამ უღმერთოებმა.

— აი ტყეში ერთი ვაშლი დგას და იმის ძირში ერთი ღრმა ორმო გახლავსთ...

— მერე? ჩემი რაში შიგ ჩავარდა? — ჰკითხა მეფემ და მთლად გაფითრდა.

— არა, ბატონო!

— მადლობა ღმერთს! — თავისუფლად ამოისუნთქა მბრძანებელმა. — მერე?

— მერე და შენი ჭირიმე!..

— ახ, ღმერთო! ჭირს თავი დაანებე თუ ღმერთი გწამს.

— თქვენი რაში იმ ორმოს პირზედა დგას, დახვიხვინებს და არავის ეპერინება.

— მაშ ეგ არის მხოლოდ?

— ეგ არის, შენი ჭირ... — გასწყვიტა ერთბაშად მოსაუბრემ, გადააფურთხა: — ფუი აი დაგლახვრა ჩემმა ეშმაკმა, კიდევ, კიდევ არ წამომცდა უბედურს. — და ენაც ჩაუვარდა.

— კარგი, კარგი! ეხლა ყველაფერი მესმის. — ბრძანა მეფემ და დაუმატა: — გამიძეღ, სად არის ის ორმო?

— სად მიბრძანდებით? — წაიბუტბუტა იმ მოხუცმა, რომელმაც პირველში თავი მოაძულა.

მბრძანებელი შესდგა და ეღარ მოახერხარა, მხრები აიწია.

— მომაშორეთ თავიდან ეგ ტვინ-გამოცლილი, თუ ღმერთი გწამსთ! — წარმოსთქვა მან და გზას გაუდგა. მას მიჰყვა იქ მყოფი ხალხი და იქ დარჩა მხოლოდ ის მოუსვენარი მოხუცი, რომელიც მეფეს უკანასკნელად დაელაპარაკა. ის იდგა თავისათვის და დუდუნებდა:

— მიბრძანდი, რა?.. მე რა მენაღვლება?.. ისეთი დაბურული ტყეა, ისეთი ღორღიანი, ისეთი ოღროჩოღრო ხევები, რომ სადმე გადაიჩეხები... თორემ მე რა?.. მე აგერ ნუნუას მივუჯდები.

მივიდა დოქთან, მოეწაფა და, სანამ გონება მიხდილი იქავ არ გაგორდა, არ მოეხსნა.

წუთს შემდეგ მოხუცი ისე ხვრინავდა, თითქოს მთელს წელიწადს არა ძინებიაო.

* * *

როცა იქნა, მეფემ თავის ამალით იმ მინდორს მიაღწია, სადაც ვაშლი იდგა და საოცნებო ორმოს რაში დასჭიხვინებდა.

ხელმწიფემ დაშტვინა, რაშმა მოიხედა და თავის პატრონი რომ დაინახა, წამოვიდა მისკენ ხვიხვინით და ხტუნაობითა.

მეფემ უალერსა, წაუსვა შუბლზე ხელი, აკოცა ორივე თვალებში და უბრძანა კაცებს ნუში და ქიშმიში მოეტანათ.

ამ ბრძანების გაგონებაზე ცხენი აიფხორა, დააცქვიტა ყურები და ტოტების მიწაზე ცემით ფრუტუნი დაიწყო.

მეფეს გაუკვირდა ცხენის საქციელი და წამოიძახა:

— უეჭველია ორმოში რაღაცა უნდა იყოს! — ამ სიტყვებით ისევ ალერსი დაუწყო რაშსა და უთხრა: — იქ ორმოსკენ წავიდეთ?

ცხენმა სიამოვნებით დაიხვიხვინა და თითქმის მიხვდა პატრონის კითხვას, გაბრუნდა ორმოსაკენ, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა, მოიხედა უკან და რა დაინახა რომ მას მისდევენ, გასწორდა, გაიჭიმა და თავის ქნევით, წყნარად გასწია დანიშნულს ადგილისკენ.

ყველანი გაშტერებით უყურებდნენ ცხენსა და უკან მისდევდნენ. რაში მიუახლოვდა ორმოს, დაიცქვიტა ყურები და ისე გაჩერდა, თითქოს მთლად სმენად გარდაიქცაო. როდესაც მიუახლოვდა მეფე და მისი მხლებლები, რაშმა ფეხით ცემა დაუწყო ორმოს ნაპირს.

— ეჭვი არ არის, რომ ამ ორმოში რაღაც უნდა იყოს!

ხელმწიფემ განკარგულება მოახდინა, რომ რამდენიმე კაცი ჩასულიყო და გაესინჯათ ორმო.

მოიტანეს თოკები, აანთეს ჩირაღდნები და რამდენიმე კაცი შიგ ჩაუშვეს.

ორმო მეტად ღრმა იყო და კაცების ჩაშვებას კარგა ხანს მოუნდნენ. ჩასვლის უმალ მათ დაანძრიეს თოკები, ზემოდან ამოსწიეს. რამდენიმე წუთს შემდეგ ორმოს პირიდან ამოჩნდა ჯერ ერთი ქალი, ყმაწვილი და წარმოუდგენელის სილამაზისა; მას შემდეგ ამოჰყვა მეორე, პირველზე კიდევ უფრო ლამაზი და მას შემდეგ ორმოს თითქოს შუქი შემოადგა... გამოიარა წუთმაც და გამოჩნდა პირველებზე უფრო ყმაწვილი ქალი, მათზე ლამაზი, კეკლუცი და სხივმფენელის მომხიბლავის სახისა.

გაოცებული ხალხი შესცქეროდა მათ და ადიდებდა ღვთის სახელს, რომელმაც ქვეყნის დასამშვენებლად ისეთი მშვენიერებანი გააჩინა. თვით მეფეც გაოცებული იდგა, შესცქეროდა მათ და ხმა ველარ ამოეღო.

— კეკლუცნო ქვეყნისანო! — ძლივს მოახერხა მეფემ, როდესაც ოცნებიდან გამოვიდა. — დიდება თქვენს სახელს!.. მითხარით ვინა ხართ, ან საიდან ჩაცვივდით მაგ ორმოში?

ქალებმა უამბეს თავიანთი თავგადასავალი, შეატყობინეს, რომ აქამდის იმ ვაშლებითა სცხოვრობდნენ, რომელიც თან ჩაჰყვათ და ლოცავდნენ იმ გულკეთილ კაცს, რომელიც ღმერთმა აგულისხმიერა და მათ დასახსნელად ამ ადგილს მოიყვანა.

— მე ნუ მეუბნებით მადლობას, — უთხრა მეფემ და დაუმატა: — თქვენის პოვნით ღმერთმა მეც დამასაჩუქრა და გამახარა; მე თითონაც ვალდებული ვარ, რომ თქვენის გადარჩენისათვის მადლობა ვუთხრა... — ამ სიტყვებით მეფემ ტაში დაჰკრა, ხალხის ჯგუფი გაიპო და მათ წინ მოვიდა რაში, რომელსაც სიხარულით თვალები გაბრწყინებოდა.

— აი, ამან გადაგარჩინათ, ამ რაშმა, ჩემმა ერთგულმა და დაუფასებელმა... მადლობის ნიშნად მე მის წინ ვიხრი მუხლსა და ქედსა...

მეფემ დაიჩოქა ცალ-მუხლზე, ხოლო ცხენი მივიდა, შუბლით და ტუჩებით წყნარად შეეხო მეფეს და თან ფრთხილად და ნაზად შესთამაშ-შეხაროდა. ამის შემდეგ მეფე წამოდგა და ისევ ქალებს მიუბრუნდა:

— მე თუ მუხლი მოვიდრიკე ჩემის რაშის წინაშე, თქვენც ვალდებული ხართ, კეკლუცნო, თვალებში კოცნით გარდაუხადოთ ამ პირუტყვს, რომელსაც ბევრს კაცზე მომეტებული თავგანწირულება, ერთგულება, სიყვარული და პატიოსნება აქვს... დაგიხსნათ განსაცდელისაგან და მუშაკი ღირსია სასყიდლისა.

ამ სიტყვებზე სამივე ქალი მისცვივდნენ რაშსა და ლოშნა დაუწყეს. პატიოსანი პირუტყვი იდგა მათ შორის წყნარად, მშვიდობიანად და უფრთხილდებოდა მოულოდნელის მოძრაობით ნაზ ქმნილებათათვის არა ევნორა.

მეფე შეჰყურებდა დიდებით და მშვენიერებით აუწერელს სურათს, თვალები სიხარულის და გრძნობის ცეცხლით გაბრწყინებოდა და სრულიად სტკბებოდა დღევანდელის შემთხვევით. ამ წუთებში მოაგონდა თავის გამოყრუებული მოხუცი, რომელმაც ძველ ბინაში მითრობა და მიგდება ურჩია, ვიდრე ტყეში ხეტიალობა. მოაგონდა და გადიხარხარა:

— არა, ბატონებო! ვინ უფრო გიჟი და რეტიანია: ჩემი რაში, თუ ჩვენი გამოყეყეჩებული მსაჯული?

ხალხმა სიცილით მისცა პასუხი და დიდხანს ხმაურობა ვეღარ შესწყვიტეს. ბოლოს მეფე მიუბრუნდა ქალებს და უთხრა:

— ღვთის განგებით და უზენაესის შთაგონებით დღეს თქვენთან შეხვედრა შემემთხვა. მობრძანდით ჩემს სასახლეში და ჩვენ ჩვენს თავს ვალადა ვხდით ვიზრუნოთ თქვენს მომავალზე.

ქალებმა მდაბლად თავი დაუკრეს. მსახურთ მოამზადეს ტრახტევანები და ყველამ გასწია სასახლისაკენ.

* * *

ერთ დღეს, როდესაც რაოდენმა ხანმა გაიარა, ხალხი შეიყარა და მეფეს შუაკაცები მიუგზავნა. ხალხი სთხოვდა ეზრუნა მემკვიდრეზე და ცოლის შერთვის თაობაზე, დაპირებისამებრ პასუხი ებრძანებინა. მასთანვე ერთად შუაკაცებს ისიც მიანდვეს, რომ სიტყვა გაეტარებინათ ორმოში ნაპოვნს ქალების შესახებ, რომელნიც მათის აზრით, ღვთის

განგებამ შეჰყარა მირონცხებულს და უნდა ეთხოვნა კარზე მიმდგარი ბედი, თვით ზეციერის მამისაგან დედოფლად დანიშნული არ უკუ ეგდო.

როდესაც შუაკაცები მივიდნენ, თავის ბატონს სალამი მისცეს და თაყვანი სცეს, გამოუცხადეს ხალხის ქვეშევრდომობის ერთგულება, გაუბედეს მოეგონებინათ, რომ მეფის დაპირების თანახმად ხალხი პასუხს ელოდა.

მეფეს ეამა ამ საგანზე ლაპარაკის დაწყობა, რადგანაც ახლად ნაპოვნის ქალების ხილვის შემდეგ მასაც ძილი დაჰკარგოდა და მათში ერთ-ერთთან შეერთების ფიქრით ხშირად ოცნებობდა. მეფე თავათვე აპირებდა ამ საგანზე ხალხის შეყრას და მოლაპარაკებას, მაგრამ, რადგანაც ნაპოვნი ქალები კეთილშობილთ შთამომავალნი არ იყვნენ, ამისთვის ხალხის უკმაყოფილებისა ეშინოდა და ხელის შეშწყობს შემთხვევას მოელოდა.

— თუმცა ჯერ ყმაწვილი ვარ,— ბრძანა მეფემ, — და ცოლ-შვილიანობა ჩემთვის ცოტა ადრეა, მაგრამ, როგორც მეფე, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი... აღსრულდეს ხალხის ნება და სურვილი!

— სცოცხლობდეს მეფე, სცოცხლობდეს მრავალჟამიერ! — ერთხმად შესძახა ხალხმა.

— გყავთ ვინმე ამორჩეული? — იკითხა მეფემ და გულმა კანკალი დაუწყო: მას ეშინოდა, ხალხს ისეთი ვინმე არ დაესახელებინა, რომლისაკენაც მისი გული არ მიიბრძოდა.

— დიდებულო მეფევ! — მოახსენა ერთმა შუაკაცთაგანმა. — თქვენ ხართ არჩეული თვით ზეცისაგან... თქვენს აზრს და გონებას ხელმძღვანელობს მეუფე, თქვენი ფიქრები და აზრი ითვლება თვით ზეცის შთაგონებად. თვალნი თქვენნი უკეთ განიხილავდნენ ყველა თქვენს ქვეშევრდომებზე, უკეთესად გამოარჩევდნენ ღირსეულს დედოფალს, ღირსეულს მშობელს მემკვიდრისას და ღირსეულს თქვენს დიდებულებასთან შეკავშირებისა!.. მაგრამ ჰო, დიდებულო!.. ყეენთა ყეენო, შახთა შახო და მეფეთა მეფეო!.. ნუ გულისა წყრომითა მისცემ სმენასა ვედრებასა შენისა ფეხისა მტვერთასა!.. ისმინე ვედრება და მუდარა მათი... ხმა შენის ერისა არის, რომ თვით ზეცამ დაგინიშნა სადედოფლოდ ასარჩევი! სამი ობოლი მარგალიტი შენს ხელთ არიან, მათს სადარს ვარდს ფეროვნებით ვერ იხილავ ედემის წალკოტშიაც კი... მათს გონებრივ სჯას თვით სოლომონ მსაჯული ყურს მიაპყრობდა, მათს ხმას ბულბული დაენატრება და მათის კამკამით შემკრთალი მთვარე ღრუბელს მოეფარება!.. ნუ უგულისხმოდ ჰყოფ, მეფეო მირონ-ცხებულო! აჯასა შენთა მონათა, შენთვის თავგანწირულთა.

ამ სიტყვებით გაათავა შუაკაცმა, დაიკრიფა გულხელი და დაჩოქილმა შეწყალების მთხოვნელსავით თავი ჩაჰკიდა.

— კურთხეულიმც იქნება ერი და ხალხი, — წარმოსთქვა გახარებულმა მეფემ, რომელსაც სხვა არაფერი უნდოდა, როგორც ამ ერთ-ერთის მზეთუნახავის შეუღლება.

სოფრომ მგალობლიშვილი

1851—1925

სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი დაიბადა 1851 წელს, სოფ. დირბში (გორის ძაზრა). ბავშვობა ს. მგალობლიშვილმა სოფელში გაატარა და ბავშვობიდანვე გაეცნო გლეხობის მძიმე შრომასა და გაჭირვებულ მდგომარეობას. 9 წლის სოფრომი ჯერ მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1867 წელს დაასრულა შემდეგ კი გადაიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1873 წელს. ამის შემდეგ დაიწყო მასწავლებლობა გორშივე. ს. მგალობლიშვილი ჩაება ხალხოსანთა საქმიანობაში და დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა.

ს. მგალობლიშვილმა წერა სემინარიაშივე დაიწყო. პირველი მისი მოთხრობა: „რა მიზეზია“ მოათავსა სემინარიის ხელნაწერ ჟურნალში 1872 წელს, ხოლო 1881 წელს „რა მიზეზია“ გადაკეთებული სახით „დედა-მაიას“ სათაურით ჟურ. „იკერიაში“ დაბეჭდა.

ს. მგალობლიშვილი სწერდა საბავშვო მოთხრობებსაც. მისი საბავშვო მოთხრობა: „ყაყიტას ქურდი“ პირველად დაიბეჭდა საბავშვო ჟურნალ „ნობათში“ 1884 წელს.

ყაყიტას ქურდი

I

მდინარე ფრონის პირზე ყაყიტას სიმინდი ჰქონდა დათესილი. მკათათვის გასული იდგა; სიმინდი დატაროებული იყო, საამურად გაჰქონდა მას ღაღანი და შრიალი. ყაყიტას ისე გამოეწმინდა სიმინდი თოხით, რომ ადამიანი სათითაოდ დასთვლიდა ყოველ სიმინდის ღეროს, რომელიც გალაღებულიყო, თავი მაღლა აეღო, ტარო უხვად დაესხა და ოქროს ქოჩორს ცელქს ნიავს აბურძგვნინებდა. ამ გაფუფუნებულს ყაყიტას სიმინდს მარჯვნივ წისქვილის რუ ჩამოუდიოდა, რუს გაღმით ვენახი მდებარეობდა; მარცხნივ, მდინარის მახლობლად, იდგა უზარმაზარი კაკლის ხე, რომლის ჩრდილი ოდნავ ჰხვდებოდა სიმინდს. ხე მდინარეს

გადასცქეროდა; ერთი მისი ტოტი ფრონის ზვირთებს ელამუნებოდა, ქარი სდევდა ტოტს და წყალი ეშხაპუნებოდა; წინწკლებით შემოპკურებული ფოთლები მარგალიტივით ნაკერს სახეს მოგაგონებდა. ფრონე თავის პატარა, მაგრამ გიჟმაჟ წყალს უშხაპუნებდა იმ კედელს, რომლის გვერდით ამართული იყო კაკალი; კაკლის ძირში ტრიალებდა წყალი, გაეკეთებინა მორევი, რომელიც სოფლის ბავშვებს საბანაოდ ამოერჩიათ.

— ნათლი ყაყიტავ, ვერ გაათავე ე ხიმინდის რწყვაი? — გადმოსძახა ვენახიდან მეზობელმა.

ყაყიტამ შუბლზე ხელი მიიჩრდილა და გვერდზე გადახედა.

— აი, საცაა ბოლოში გავა! — უთხრა ყაყიტამ.

— გუშინ ჩაუგდე და აქნობამდინ რა დაგემართა ნათლი? ძნელი სარწყავი თუა?

— რა სათქმელია! — დაეყუდა ყაყიტა ბარზე და უთხრა მეზობელს: — ძნელი არ არის ნათლია-შვილობამ, მაგრამ ჯანი აღარ მომდევს; სიბერე ძნელი ყოფილა. შენოდნობისას ემოტოლა მიწა ერთს წამს პირქარათაც არ გამიხდებოდა, მაგრამ რა გაეწყობა, — თქვა ბერიკაცმა თავის ქნევით.

— კარგა დაგიბუებუეებია! ოჰ შენი მადლის კი ჭირიმე! არ აღელვებულა ე დალოცვილი, ესა! ღვთის თვალი ტრიალებს, ნათლი, ღვთისა, ამ შენს სიმინდში.

ყაყიტას სიამოვნების ერუანტელმა გაურბინა და სიხარულით გული აუტოკდა; მოუნაკადლა წყალი, აიმართა და აღერსით გადახედა მოღალანე სიმინდს.

— აქ კიდევ რა არის! — სთქვა გულ-გაკეთებულმა ყაყიტამ: — აბა, აი, კაკლისკენ წაიარე; ნაკორდალია, წრეულს გადავბარე, ასეთი სიმინდია, რომ ცხენიან კაცს გაუძნელდება გავლა, სულ მაჯის სისხო ტარო აყრია.

— იცი, ნათლი? მე მივუნაკადლებ ბოლოში... აღარა ჰკლებია რა და მერე მე ჩავუგდებ ჩემს სიმინდში. ერთი კვირაა, თან დავდევ მერუეებსა.

— წაიყვანე, შვილო, მე რა დამშლელი ვარ; წყალი ქვეყნისაა.

ყაყიტას ნათლობის სახელი სხვა იყო, მაგრამ სოფელს ერთხელვე ეს სახელი დაერქმია. მისი ნათლობის სახელი აღარც კი ვინმემ იცოდა, სულ „ყაყიტას“ ეძახდნენ და თითონაც კი არ იცოდნენ, თუ რად ეძახდნენ. ყაყიტა მოხუცი იყო, ესე სამოცის წლისა; სახლში ჰყავდა ოთხი გოშბილი, როგორც თითონ ეძახდა-ხოლმე. ოთხივ ერთი-ერთმანეთზე მომდევნოი, თითქმის ოთხივ მზა, გასათხოვრად მოწიფული ქალი.

ყაყიტა იყო შუათანა ტანისა, წელში ერთობ მოხრილი, თითქო რკალიაო. სახე ჰქონდა მშვენიერი: პირი მუდამ სუფთად გაპარსული, რომელზედაც გადაჰფენოდა თეთრი და განიერი ულვაშები. თმა მუდამ სუფთად ჰქონდა გადავარცხნილი. ეს თეთრი და გრძელი თმა ჩაფენილი ჰქონდა კისერში და ზედ შავი ჩითის თავშალი ერტყა. შუა ალაგას სიმინდში, მაღლა სარზე თავისი ძველი შავი ქუდი ჩამოეცვა და ზედ ფარა-ფარად ნაქცევი ლურჯი ლეინის პერანგი ჩამოეკიდა. ვენახის პირისპირ ედგა ორჩოფეხებზე შემდგარი ქოხი, რომელიც სიმინდს ზედ დაჰყურებდა.

ყაყიტამ რწყვა გაათავა, ჩაჯდა რუს პირას, თავიდან თავშალი წაიხსნა, პირი რუში ჩაიბანა და სველი სავარცხლით ქოჩორი გადივარცხნა. შემდეგ ავიდა ქოხში, რომელსაც ცალფეხი კიბე ჰქონდა მიდგმული. ზის ყაყიტა ქოხში, ჯამზე ცივი წყაროს წყალი დაუსხამს, რომელიც იქვე კაკლის მახლობლად გამოჩხრიალებდა, ჩაუგდია შიგ სიცხისაგან გამომხმარი პური, ალბობს და სჭამს. ილოღნება მოხუცი ყაყიტა, რომელიც ცალი იდაყვით დაყრდნობილია მოკეცილ ფეხებზე და მეორე ხელი ჯამში ჩაუყვია და პურს ამტვრევს.

II

— აბა, ვინ უფრო უწინ გაიხდის, ვინა? — მორბოდნენ ბავშვები მორევისაკენ, ეკამათებოდნენ ერთმანეთს და თან ქამრებს იხსნიდნენ.

ხმაურობაზე ყაყიტამ ქოხიდან თავი წამოიგრძელა და ცალი ხელი ჯამში ჩარჩა პურის ამოსაღებად. ბავშვები ჩაცვივდნენ კაკლის ქვეშ, იძრეს ტანისამოსი საჩქაროდ და ფოტოროდგან მორევში გადაეშვნენ. ასტყდა ყიჟინა, გამხიარულდა ჭალა და ვენახები. მწყემსებმაც შუადღის ხარი მორევთან მორეკეს საგრილობლად.

— ეფრემ! აბა მოდი და ე კაკლის ტოტზე გავიდეთ და ისე ჩავიყურყუმელაოთ მორევში! — უთხრა მიხამ.

— გავიდეთ... ერიჰაა! მომიცა, კაცო-და! ერთად გადავხტეთ. — აცოცდნენ კაკალზედ და გავიდნენ იმ ტოტზედ, რომელიც ზედ მორევზედ იყო გადაშვერილი. მიხამ კაკლიდან გადახედა სიმინდს და მსუნაგობა აღეძრა. სიმინდის ტაროებმა სრულიად წარიტაცეს; დაავიწყდა, რომ კაკალზე ზის და საბანაოდ ემზადება.

— გასწი, ბიჭო, რას გაშტერდი? — და ეფრემამ კისერში ხელი წაჰკრა.

— ბიჭო, ეფრემ, რა ტარო აყრია-და! ვინც არ დაამტვრიოს, ელიას მადლი გაუწყრეს.

— წადი, შვილოსა, იმ დღევანდელი არ იყოს! დამამტვრევინე ტაროები და კინაღამ დედაჩემმა დამარჩო; ნაქურდალი სიმინდი რად სჯამეო.

— შენ რომ დოყლაპია იყო, ვისი რა ბრალია! მაგ პირში ენა არა გქონდა? ეტყოდი, რომ ჩვენს ვენახში დავამტვრიე-თქო... იცი? რო ვიბანაოთ, მოვიცადოთ: ხალხი მილაგ-მოლაგდება და მაშინ შევიპარნეთ. — ეფრემას სულმა წასძლია. თუმცა კი რამდენსამე წამს შეყოყმანდა, მაგრამ მიხას თანხმობის ნიშნად მაინც თავი დაუქნია, ციყვებივით გაირბინეს ტოტზედ და გადახედეს მორევს.

— აბა, ბიჭებო, გვიყურეთ, რომელი უფრო დიდხანს იქნება დაყურყუმელავებული... ეფრემ! მოდი რაღა, ერთად გადავეშვათ! — დაუძახა მიხამ.

აურ-დაურიეს წყალი, რომელიც სოფლის ბიჭებით აივსო: ზოგი ჭიდაობდა, ზოგი კამეჩზე ჯდებოდა, რომლებიც ჩაყრილიყვნენ მორევში და სიამოვნების ნიშნად კუდებს ასხმარტალებდნენ. ეფრემას საქონელის წვალება ძლიერ უყვარდა; ჩააცივდა კამეჩებს: ხან კუდზე მოეკიდებოდა, ხან რქაზე დაეკიდებოდა. ააბორგა მთელი საქონელი.

— ბიჭო, რა აბუეტი რამა ხარ? ჩამოეხსენ მაგ კამეჩებსა! — შემოუტია მწყემსმა, რომელიც ფოტოროს პირზე გადმომჯდარიყო. — კიდევ!.. ჩამოეხსენ, თორემ ისეთს გადმოგაწნავ ამ სახრესა, რომ „ვაი, დედაჩემს დაველიე!“ იძახო.

ეფრემა განზე გადგა, წამოავლო ქვას ხელი და მოუღერა.

— ასე გაგისხნი მა შუბლს ამ პირიანი ქვით, რომ... — აქ მწყემსი წამოუხტა. ეფრემა ხარხარით მორევში შევარდა და იხვივით ჩაიყურყუმელავა.

— მაგისთანებს გასწავლიან ქალაქში, ი სკოლაში, ჰა-ე?..

მზე საშუადღეოდამ გადაიხარა, სიო დაიძრა. მწყემსებმა საქონელი ჩრდილოებიდან წამოშალეს და მინდვრად საძოვარზე გაირეკეს. ყველა მილაგდა, ყაყიტამაც ფეხი გაშალა და ტკბილს ძილს მიეცა. ეფრემამ და მიხამ იდროვეს, მელასავით წაიგრძელეს კისრები, ფეხაკრეფით შეიპარნენ ნაკორდალს სიმინდში, ჯიბე-უბეები დაიტენეს, გაძვრნენ ჭალაში და ვიწრო ორღობით ქაქანით შინ აცვივდნენ.

ეფრემას მამა შუათანა შეძლების აზნაურიშვილი იყო. ამ ერთ შვილს სასწავლებელში ზრდიდა და დანარჩენებსაც ამზადებდა. „თუ ამ დროში კაცმა სწავლა არ მიიღო, ცუდია გვარიშვილობა, იგი ადამიანს პურს ვერ აჭმევსო“, ამბობდა-ხოლმე ხშირ-ხშირად ცხოვრებისაგან გამოცდილი ნიკოლოზ აბულაძე, მამა ეფრემისა. იმ საღამოზე, რა დღესაც ეფრემამ ყაყიტას სიმინდის ტაროები მოიპარა, ნიკოლოზ აბულაძემ ბალკონზედ ხალიჩა გააშლევინა და ზედ წამოწვა. ცოლი ამისი

კარების დირეზე დაჯდა. დედას ბავშვები შემოხვევოდნენ; პატარა ვაჟი დედას უკან ნაწნავებზე დაჰკიდებოდა, აცოცდებოდა ბეჭებზედ და ტკბილად ჰკოცნიდა და ეალერსებოდა. დედა ხმასაც არა სცემდა, თითქოს შვილის ალერსს არა ჰგრძნობდა. ეფრემამ გამოიტანა ცხელ-ცხელი სიმინდები და სათითაოდ დაურიგა. მამა წამოჯდა, გამოართვა სიმინდი და ფხვნა დაუწყო.

— სიდო, სიდო! — უძახის ეფრემა თავის პატარა დას: — აბა, მარილი დააყარე შენცა, ისეთი გემრიელია მარილით, რომ...

— არა, შვილო, გატყუებს: დაგახველებს, გენაცვალოს დედა.

— ეეი, გამოჭორა!.. დაახველებს კი არა, დააქუშებს! მარილიანი უფრო არ აწყენს, — სთქვა მამამ.

— რაც გინდათ ჰქენით, მამით შვილებიანად ჯიუტები ხართ, თქვენ ხომ ადამიანი ვერაფერს შეგასმენთ.

კარგა შეღამდა, მაგრამ ამომავალმა ბადრმა მთვარემ გაჰფანტა ღამის სიბნელე და ქვეყანა გაასპეტაკა. თავისი შუქი სვეტ-სვეტად ჩაუშვა ჭალა-ვენახებში და ათასფრად ააბჭყვრიალა. ფრონის ისედაც ანკარა წყალმა უფრო ციმციმ-კამკამი დაიწყო.

ამ ბუნების სიმშვენიერესა და სიკეკლუცეს უფრო ალაზათიანებდა და ფერს აძლევდა ურმის ჭრიალი და ზედ ტკბილი ურმული, რომელსაც მეურმე გულსაკლავად მტრედივით აღუღუნებდა, ჰკლაკნიდა და შოლტს მარდად უწკაპუნებდა საყვერის ხარებს.

ეფრემას მამა გადაწვა ისევ მუთაქაზედ და ბუნების სიმშვენიერით სტკბებოდა.

— სიდო, სიდო! შეხე, შეხე, მთვარე როგორ გარბის.

— დედა! ი პატარა ვარსკვლავი რომ მისდევს უკან ტუსტუსითა, იმისი შვილი არის, ი მთვარისა? — ჰკითხა პატარა ვაჟმა.

— ჩვენს ცხენს რო მისდევს ხოლმე კვიცი, ისე კი გამოსდევნებია-და? — დაურთო სიდომ.

— შვილი კი არა-და! აი, ის მთვარეა და ის იმისი ვარსკვლავი. მთვარეს შვილი ვინ მისცა! — ჩაერია ლაპარაკში ეფრემა.

— მამა, მამილო! ის მართალია, რომ ცა გაიხსნება-ხოლმე, ღმერთი ხელს ჩამოჰყოფსო და, ვინც იმას დაინახავს, მაშინ რასაც ინატრებს, მისცემს? — ჰკითხა სიდომ მამას და მიუჩოქა წინ.

— ტყუილია, შვილო, შენისთანა მოცლილებს მოუგონიათ.

— გაიხსნება კი არა-და, ის არ გინდა! მასწავლებელმა გვითხრა, რომ ეს რასაც ვხედავთ და ცას ვეძახით, სულ ჰაერიაო. მზე, მთვარე და ვარსკვლავები სულ ჰაერში ჰკიდიანო, — სთქვა ეფრემამ ტაროს კბეჩით.

— ᲡᲘᲓᲝᲜᲘᲐ, ᲥᲐᲚᲝ! ᲨᲔᲜ ᲠᲐᲡ ᲘᲜᲐᲢᲠᲔᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲪᲐ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲝ? — ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲛᲐᲛᲐᲛ.

— ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐᲜᲗ ᲙᲐᲢᲘ, ᲐᲠᲘᲡ-ᲛᲔᲗᲘᲚᲘ.

— ᲰᲐ, ᲰᲐ, ᲰᲐ! — ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲮᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐ: — ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲘᲒᲪᲔᲛ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲓᲐ ᲕᲜᲐᲮᲐᲕᲗ... — ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲫᲘᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲤᲔᲮᲘᲡ ᲮᲛᲐ, ᲯᲮᲝᲮᲘᲡ ᲙᲐᲙᲣᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲦᲐᲪᲘᲡ ᲨᲠᲘᲐᲚᲘ ᲛᲝᲘᲡᲛᲐ. ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲮᲐᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ ᲐᲮᲕᲔᲚᲔᲑᲓᲐ. ᲕᲘᲜᲪ ᲘᲧᲝ ᲙᲘᲑᲔᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲐ... ᲑᲐᲚᲙᲝᲜᲖᲔ ᲑᲐᲐᲡᲘ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ. ᲞᲐᲬᲘᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲙᲘᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲪᲘᲕᲘᲓᲜᲔᲜ.

— ᲜᲐᲗᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ, ᲨᲘᲜᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ? — ᲘᲧᲝ ᲮᲛᲐ ᲫᲘᲠᲘᲓᲒᲐᲜ.

— ᲝᲰ, ᲧᲐᲧᲘᲢᲐᲕ, ᲨᲔᲜᲐ? ᲐᲛᲝᲓᲘ, ᲜᲐᲗᲚᲘᲛᲐᲛ, ᲖᲔᲕᲘᲗ.

ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲧᲐᲧᲘᲢᲐ ᲯᲮᲝᲮᲘᲡ ᲑᲯᲔᲜᲘᲗ ᲙᲘᲑᲔᲖᲔᲓ ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲛᲐᲡ ᲔᲙᲘᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲜᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲦᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲐᲚᲙᲝᲜᲘᲡ ᲘᲐᲢᲐᲙᲖᲔ ᲓᲐᲐᲒᲓᲝ, ᲥᲣᲓᲘ ᲘᲦᲚᲘᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲘᲓᲝ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲖᲔ ᲮᲔᲚᲓᲐᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲐ. ᲖᲣᲠᲒᲘ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲥᲪᲔᲣᲚᲘ. ᲑᲐᲚᲙᲝᲜᲖᲔ ᲛᲝᲙᲣᲖᲣᲚᲘ ᲧᲐᲧᲘᲢᲐᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ. ᲘᲛᲘᲡ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲗᲔᲗᲠᲡ ᲗᲛᲐᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲣᲥᲖᲔ ᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲧᲐᲧᲘᲢᲐ ᲣᲫᲠᲐᲕᲐᲓ ᲘᲓᲒᲐ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲐᲔᲕᲡᲝ, ᲧᲔᲚᲨᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲔᲑᲯᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲕᲡᲦᲐ ᲬᲐᲛᲝᲘᲚᲣᲦᲚᲣᲦᲐ:

— ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐ!

ᲧᲐᲧᲘᲢᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲛ ᲔᲤᲠᲔᲛᲐ ᲓᲐᲐᲢᲝᲠᲢᲛᲐᲜᲐ: ᲛᲘᲞᲠᲝᲬᲘᲐᲚ-ᲛᲝᲞᲠᲝᲬᲘᲐᲚᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲕᲐᲚᲗ ᲘᲡᲘ ᲓᲐᲣᲑᲜᲔᲚᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲖᲐ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲒᲐᲘᲒᲜᲝ; ᲓᲐᲐᲡᲮᲐ ᲪᲘᲕᲛᲐ ᲝᲤᲚᲛᲐ, ᲢᲐᲜᲨᲘ ᲪᲮᲔᲚᲛᲐ ᲐᲚᲛᲐ ᲓᲐᲣᲐᲠᲐ, ᲐᲭᲘᲜᲭᲠᲓᲐ. ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲢᲐᲠᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲘᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲣᲨᲔᲨᲓᲐ. ᲧᲐᲧᲘᲢᲐᲡ ᲛᲭᲣᲮᲐᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲛ, ᲛᲘᲡᲛᲐ ᲗᲔᲗᲠᲛᲐ ᲗᲛᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲙᲣᲚᲛᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲛᲐ ᲔᲤᲠᲔᲛᲐᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲣᲬᲕᲔᲡ.

— ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘ, ᲧᲐᲧᲘᲢ? ᲔᲡ ᲙᲝᲜᲐ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ?

— ᲜᲣ ᲨᲔᲛᲠᲘᲡᲮᲐᲕᲗ, ᲨᲔᲜᲘ ᲰᲘᲠᲘᲛᲔ?.. ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲭᲐᲚᲐᲖᲔᲓ, ᲩᲔᲛᲘ ᲜᲐᲦᲕᲐᲬ-ᲜᲐᲓᲐᲒᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲤᲔᲮᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲑᲐᲠᲣᲚᲘ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲨᲘ�გ ᲩᲐᲛᲘᲬᲕᲘᲛᲔᲑᲘᲐ; ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲨᲘ�გᲐ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ. ᲨᲔᲠᲐᲠᲣᲚᲐᲜ, ᲨᲔᲜᲘ ᲰᲘᲠᲘᲛᲔ, Ე ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲤᲠᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐᲜᲗ ᲨᲘᲮᲐᲘ; ᲠᲐᲪ ᲓᲐᲣᲛᲢᲠᲔᲕᲘᲐᲗ, ᲐᲘ ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲜᲐ ᲒᲐᲐᲮᲔᲚᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲓᲐ, ᲡᲣᲚ ᲫᲘᲠᲡ ᲓᲐᲣᲒᲘᲐᲗ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲬᲧᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲩᲔᲛᲘ ᲬᲕᲠᲘᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲝᲓᲕᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲘᲓᲔᲑᲔᲜ, ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲗᲕᲘᲜᲐᲪ ᲓᲐᲛᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲗᲗᲕᲘᲜᲐᲪ ᲛᲘᲞᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲐ ᲜᲐᲗᲔᲚ-ᲛᲘᲠᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲗᲠᲘᲗ.

— ᲨᲔᲒᲘᲠᲪᲮᲕᲔᲡ ᲜᲐᲛᲣᲡᲘ, ᲰᲝ-ᲓᲐ-ᲰᲝ, — ᲛᲘᲐᲫᲐᲮᲔᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐ: — ᲔᲒ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲒᲐᲜ?

— ᲐᲠᲐ, ᲖᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲛᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ: ᲛᲘᲮᲐᲛ ᲒᲐᲛᲐᲑᲠᲘᲧᲕᲐ.

ᲬᲐᲡᲥᲓᲐ ᲔᲤᲠᲔᲛᲐᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲓᲒᲐᲜ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ, ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲥᲕᲘᲗᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲐᲧᲘᲢᲐᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲔᲛᲮᲝ.

ხიჟგაჟვილის ბოზონეზანი

ა. მწყერაოგა

I

გარიჟრაჟდა. აღმოსავლეთი აფერადდა, ცის კიდეებს ვარდისფერი მოეფინა. პირველად ტოროლას ჩაანთა თვალში ვარდისფერმა სინათლემ. მინდვრის მამალმა ფეხით ნისკარტი გამოიკორტნა, ფრთა თვალებზე გადაისვა და გამოფხიზლდა. გამოგოგდა ბამბა-ქულას ძირიდან, შეიფთხრიალა, ისარივით აეშვა ცის კამარაში, რამდენჯერმე შეპროწიალდა, თავისებური გალობა მორთო — პირველი ზარი ჩამორეკა მინდვრად. მინდორ-ველი შეიშმუშნა: დიდმა მუხამ, რომელიც განმარტოებით იდგა მინდორში, ტოტები დააფართხუნა; ფოთლებმა ტაში შემოჰკრეს, აშრიალდნენ. აქეთ-იქიდან მინდვრის ჩიტებმაც ბანი მოსცეს მუხის შრიალს.

აღმოსავლეთს ვარდისფერი გაეცრიცა, გაუნაცრისფერდა და ნელ-ნელა თეთრის, ბრწყინვალე სამოსით შეიმოსა. ფრინველებმა გამოიღვიძეს, უმატეს ჭიკჭიკ-გალობა. ხტიან ბუჩქიდან ბუჩქზე, ნისკარტებით ეკონებიან ერთმანეთს, ულოცავენ გათენებას, დილას მშვიდობისას. ბარტყები აჭყიპინებულან და დილის კონცერტს მხარს უჭერენ.

აგერ მზემ აღმოსავლეთს ნისკარტი ჰკრა, გაგლიჯა მისი ფსკერი და ქვეყანას მოჰფინა მშვენება. ნელ-ნელა ამოიპარა, თითქოს შეჩერდა ცის კიდეზე და ზედ დაეყუდა. მინდვრად სიჩუმე ჩამოვარდა: ჩიტებმა გალობა შესწყვიტეს და ნისკარტებით ფრთების ხილვა-ჩიჩქნა იწყეს; ამაყმა მუხამ ფართხუნს უკლო, მისი ფოთლები ოდნავღა ცელქობდნენ და მზისკენ იბრუნეს პირი; მზის სხივები ესაყვარლებიან ფოთლებს, ზედ ციმციმებენ, სალამს აძლევენ, ეკონებიან.

ამავე დროს სოფლადაც დიდი ჟრიამულია: იქ ძროხა მიბღავის და უძახის თვის ხბოსა, ხბოც ზმუკუნებს, მაგრამ რკალზეა დაბმული, ვერასგზით ვერ აშვებულა, რომ დედას დაედევნოს მინდვრად. აქეთ ღორები ჭყვიტინებენ, არ უნდათ ჯერ სანახიროზე გასვლა.

აგერ ერთგან პატარა ბიჭი მიერეკება ღორებსა, ესენი ეურჩებიან, ხან სად წაჰკრავენ დინგს, ხან სად; ბიჭი სახრით სცემს დინგში, მაგრამ, არ მომიკვდე, ქუცუნას სახრე აინუნშიაც არ მოსდის, ჩვეულებას არ ღალატობს; ბიჭი ურჩს ღორს ზურგზე მოახტება, ღორს ეუცხოება და გარბის სანახიროზედ, უკან მისდევენ ჭყვიტინ-ღრუტუნით ბურვაკ-გოჭები. ღორმა შალაყები გააკეთა და თვის მხედარს ნასახლარში გა-

დაუძახა. სწრაფად წამოვარდა პაწია მწყემსი, დასწვდა ქვას და, რაკი თვით ვეღარ მიეწია თავის რაშსა, ქვა გაუწუწუნა.

აი კიდევ მეორეგან პატარა გოგო ხბოს კუდზე მოჰკიდებია. აქეთ ეს და იქით ისა; ხბო გარბის სანახიროსკენ, დედის ტკბილ ძუძუს არ უნდა განშორდეს; გოგო ფეხებგაბოძიკებული მისდევს და ცდილობს შეიმაგროს თავიც და ხბოც, მაგრამ ამაოდ: ხბომ უკანასკნელად ერთი კი შეიფუნდრუკა, ტყუპი წიხლი უთავაზა გოგოს, იმან კუდს ხელი უშვა, ხბო დაკოწიაწდა კუდის გრეხით, გოგომ კი ორჯერ გადიარა ყირამალა, წამოდგა, კაბა გაიბერტყა, უშვერის ლექსით აგინა და სწყევლა ხბო და ბურტყუნით დაბრუნდა შინისკენ.

მინდვრად გათავდა ქებათა ქება ბუნებისა, სოფელმაც პირუტყვი გაისტუმრა მინდვრად. ყველა მუშაობას შეუდგა: ჭია-ღუა ამოძვრა სოროებიდან, მიეშურება, მიცოცავს საზრდოს საშოვნელად; ზოგი ოდოშღერად მოსულს თავთავს ზედ მოჰქცევია და სრუტნავს ჭყინტლ მარცვალსა, ზოგი სიმინდის ქოჩოჩში ჩამძვრალა, ზოგი ყვავილებს მოსდებია. აგერ ჭიანჭველებს კიდევაც მოუსწრიათ და მიეზიდებიან საზრდოს თავის ბინაზე: ფუტკარიც აზუზუნდა. დაფარფატებს მერცხალიც, მალაყს გადადის ჰაერში, იქერს ჭია-ღუას, კალიებს, პეპელებს და მიეზიდება ბარტყების გამოსაკვებად.

პატარა მწყემსებმა იქვე სოფლის ახლო გაშალეს ნახირი, სოფლის პირიდანვე ძოვნით გაიყოლიეს პირუტყვი. თვითონ მოქუჩდნენ ერთ ალაგას და ჰაერში სხარტების სროლა-თამაში დაიწყეს. მორიგეობით ერთი მაღლა ისროდა ქუდსა, დანარჩენები სხარტებს ესროდნენ და ვინც პირველი მოარტყავდა ნიშანში, ის ჩამოაგდებდა და ახლა კიდევ სხვა იღებდა ასროლილ ქუდს ნიშანში.

— ბიჭებო, — სთქვა ერთმა, — დღეს ძალიან სამწყერაო დღე გამოდის.

— მართლა, რატომ მიხა არ სჩანს? — მიიხედ-მოიხედა მეორე მწყემსმა და ძებნა დაუწყო.

II

მიხამ წინა დღით კანჭი ჩაიღვლიწა ხეზე ჩამოსვლის დროს და დედამ აღარ გაუშვა. მიხას ძლიერ გულით უყვარდა მწყერაობა. მოვიდოდა თუ არა საზაფხულოდ სკოლიდან სახლში, სულ მწყემსებთან და მეხრე ბიჭებთან ატარებდა დროსა. ცელქი და მოუსვენარი იყო. საცა კი ხეს ნახავდა, კატასავით ავიდოდა ზედა. აი წინა დღით მსხლის ხეზე კანჭი ჩამოიღვლიწა. მაინც დილით ადრიანად ადგა. დედამისი მართა,

ეფრემა მედავითნეს ქვრივი, ცუდ გუნებაზედ იყო. მიხამ შენიშნა და ჯერ ვერ გაბედა ამხანაგებთან სამწყერაოდ წასვლა.

— რას გაგშტერებია, ჩემო ნათლის-ჯალაბო, ეგ თვალები? უთუოდ უცხოსა ნახავ ვისმე? — ჩაეკითხა მეზობელი მართას. მართას კარ-მიდამო მოესუფთავებინა; ცალი ხელი იღლიაში ამოედო, ცალით ცოცხი ეჭირა და ჩაფიქრებული იყო, როცა მეზობელი მოვიდა.

— რაღა რას გავშტერებულვარ! ქვეყანაზე ეს ერთი ბიჭი მიგდია, გადამირიეს სოფლის ბიჭებმა: წუხელის აკვანჭილებული მოვიდა, კანჭი ჩაუღვლეწია, თითქო დანით გაუსერიათო.

— რა უშავს, გენაცვალე, მაგიტომ რადა-ღონდები? ბავშვია, დაავიწყდება, ერთ ანაზდაზედ მოურჩება... მა რა ჰქნას, ქა! მთელი წელიწადი სკოლაში დამწყვდევა არ ეყოფა?

— არა, პელო, ძიელ ატეხილია. გული რაღაცას შემომკვნესის... მერე წუხელის ბაიყუში სიზმარი ვნახე: ვითომ ძილში უცებ წინა კბილი ჩამომვარდა და ჯამში წკრიალი მოიღო... პურის ჭამის დროს იყო... მერე, ქალო, წამვარდა თქრიალით სისხლი, წამვარდა, რა წამვარდა, რომ ერთს წამზე ჯამი აავსო...

— შენ კი გაიხარე!.. სისხლი კარგია; რაკი სისხლი წაგვარდნია, კარგად აგიხდება, ნათელ-მირონობის მადლმა... მე წითელი რამეს ნახვა სიზმარში ძიელ კარგად მაქვს დაცდილი... ჩემ გოგოს, აი დაროს რომ ვათხოვებდი, სულ ერთავად წითელი კაბა მესიზმრებოდა. ვნახოთ, ვნახავ, რომ წითელ კაბაში ვარ გამოჭიმული. ერთხელ დამესიზრმა, რომ წავიქეცი, ქვას დავარტყი ცხვირ-პირი და სულ ზედ მიეეჭეჭყე, სისხლი სულ ლიამპარივით მდიოდა. სწორედ იმ თვეში კი გავათხოვე ჩემი დაროი... არა, ჩემო ნათლი-ჯალაბო, შენი სიზმარი სიხარულის მომასწავებელია.

— შენს პირს შაქარი, ჩემო პელაგო! ნეტავი აგრე, შენის სიცოცხლითა... რისთვის გასჯილხარ?..

— რაღა რისთვისა! ამ ოხერ სოფელში ხომ წყალი სულ სარწყავებშია გაყვანილი, ერთი ჩანახი სიმინდი ვერსად გამოვფქვი, წისქვილები არა ბრუნავენ... უნდა ერთი ტაფა სიმინდის ფქვილი მასესხო; ჩემი ბიჭი შინდისშია წასული, საფქვავი წაიღო... საწყალი ჩემი კაცი სიმინდს თოხნავს და არა მაქვს რა, რომ სადილად მივაწოდო... ერთს სიმინდის ხმიადს მაინც გამოვუცხობ.

ამათ ლაპარაკში მიხამ იდროვა; ჯიბები პურით ამოივსო, დერეფნიდან ბაკში გავიდა, გადახტა ბაკიდან და მინდვრისკენ მოჰკურცხლა სამწყერაოდ.

მზე გადიხარა, გუთნის სამბრობაა, ნელ-ნელა დაიძრა მინდვრად ხიო-ნიავი. მწყემსებმა ჩრდილებიდან საქონელი წამოშალეს. ახმაურდნენ ბიჭები, დაურბინეს ჭალებს, დაეძებენ ჩიტებს, ალალს უძახიან. ზოგი მეძებრებით ყანებს შეესია.

საწყალი ჩიტი ნიბლია შემჯდარა ნარზედ და სდარაჯობს ბარტყებსა. ნიბლია გაშტერებულია, ტოტს ნიავი არხევს, ნიბლიაც ააქვს და დააქვს.

ჩაურბინა ტოროლამ.

ჩიტო ნიბლიავ, რას გაშტერებულხარ, არ გესმის, წყეული მწყემსები როგორ ახმაურდნენ, საცაა ალალიც გამოვა და ვაი ჩვენს დღესა! უთუოდ მაღლა რომ არ შემოჯდე, არ შეიძლება? მე და ჩემმა ღმერთმა, მართლა გამოგითქვეს პატარა მწყემსებმა ლექსი:

„ნეტამც არ დაგძინებოდა,
ჩიტო ნიბლიავ ნარზედა,
გამოგიქროლებს ალალი,
წაგიყვანს ანაზდაზედა“...

— ჩემო ქოჩორავ, მაგათ შავ მიწაშიც ვერ დავემალებით... შენ რომ არ გინდობენ, შენა, მე რას დამინდობენ... მეც იმიტომ ვზივარ მაღლა ნარზედა, რომ თვალი ვადევნო იმ წყეულებსა.

— მაინც, ჩემო ცქვიტო ნიბლიავ, ვერა ხარ დღეს შენებურად მოლხენილი, — უთხრა ტოროლამ.

— რა მელხინება! ერთი პირი სახლ-კარი დამინელეს მაგ წყეულმა ბიჭებმა. მოაგნეს ჩემს ბუდესა და სულ ამიწიოკეს შვილები. ახლა მეორედ მოვეწყეთ, მაგრამ ისეთი სიზმარი ვნახე წუხელის, ისეთი სიზმარი ვნახე, რომ სულ გული მოვიკლა, დანა ყელს არ მიხსნის. მეხი ამისთანა სიცოცხლესაც დასცემია... ვითომც მატლები დახვევოდა ჩემს ბარტყებსა და სულ ერთიანად გამოეხრათ. გულგახეთქილს გამომეღვიძა... საწყალი ჩემი გოგო-ბიჭები, ჩემი შვილები, ისე დავჩრიხვე, რომ ავის თვალით არ ინახვიან, ნეტავი დაფრენას მაინც დამაცლიდნენ...

— უი და-და-და! რა კარგები არიან! ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ, ღმერთმა!.. — უთხრა ტოროლამ ბარტყებსა, — მე კი მადლობა ღმერთსა, აგერ სამი დღეა დავაფრინე, მარტოკა მე რაც უნდა მიყონ... ჩუ, აგერ ის წყეულები გამორბიან, აგერ ალალიც გამოსულა. არიქა, თავს ვუშველოთ!

ტოროლა გოგმანით წავიდა და ბამბა-ქულას ბარდში შეძვრა. ნიბლიამ მაღლიდან ძირს ჩაინაცვლა, ბარტყებთან მივიდა. ისინი აჭყიპინდნენ, ეგონათ დედამ საჭმელი მოგვიტანაო.

— სუუ, შვილებო, სუუ!.. გაჩუმდით, თორემ მწყემსები სამწყეროდ დადიან, არ გაიგონონ თქვენი ჟყიპინი.

დაჭროლა ნიავმა, მწყემსებმა დაურბინეს ჩირგვებს, ყანებს; ალალი თავს დასტრიალებს. ჩიტები გაინაბნენ. მიადგნენ ბიჭები იმ ჩირგვსაც, სადაც ნიბლიას ჰქონდა ჩადგმული ბუდე. შემოჭკრეს ჩირგვებს სხარტები. ნიბლიას ბარტყებმა ჟყიპინი მორთეს. დედა ნიბლიას სული კლანჭებში გაეპარა, აძაგძაგებს საბრალოს, თვალი დაუბნელდა, უნდა აფრინდეს, ეცეს მწყემსს თვალებში, ამოჭკორტნოს, მაგრამ ფრთები აღარ ემორჩილებიან.

— არიქა, ბიჭებო! ბუდე ვიპოვნე ნიბლიასი, სულ დასაფრენი ბარტყებითა, — შეჰყვირა მიხამ, ჩასწვდა და ამოსხა ბარტყები. ნიბლია აფრთხიალდა და შიგ თვალებში გაჰკრა ფრთები მიხასა. გაიგდეს საბრალო დედა-ნიბლია. ის მახლობელ ჩირგვისკენ გაქანდა: მიხამ სხარტი ესროლა, ალალმა დაუქნია, გაჰკრა კლანჭები ზურგში და სულ ბურტყლი ააღინა. ესროლა მეორე მწყემსმა ალალს და ცოცხალმკვდარი ნიბლია ჩირგვის ძირში მიბნედილი აიყვანეს. სიცოცხლის ნიშანი იმაზედღა ეტყობოდა, რომ ოდნავ პირს აღებდა და თვალები მთლად დასცრემლოდა.

მშვენიერი დილა, რომელსაც ქებით მიეგება ნიბლია თავის შვილებითა, შავად დაუღამდა.

მწყემსები შეიკრიბნენ წყაროსთან, რომელიც ერთი ვენახის გვერდით გამოჩხრიალებდა. ყველამ ნანადირევი დაითვალა და აჭდევდნენ სხარტებზე, თუ ვინ რამდენი მოჰკლა. გაგრილდნენ, პირები ჩაიბანეს, მერე გამხმარი პურის ყუები ჩაალბეს და ტკბილად მიაძღნენ.

— ეხლა ბიჭებო, — დაიწყო მიხამ, — ერთი პირიც ჩავისველოთ; ე მაზმიანთ ვენახში გადავიდეთ და საკალოე მსხალი ვიზურგოთ... თუ არა და ,მოდი, მე კაჭკაჭის ბუდეს გამოვშლი და შენ, ზურა, მსხალი მოკრიფე.

— არა, მე ბუდეს გამოვშლი, შენ კი მსხალი მოკრიფე, — უთხრა ზურამ.

დიდხანს ცილაობდნენ. მერე გადასწყვიტეს ტ ა შ ი-მ უ შ ტ ი გაეყენებინათ [1].

---

[1] სანაძლეოს გადასაწყვეტად მწყემსები ერთ-ერთ ამხანავს გააყენებენ ცალკე; ერთს ხელს გაშლილს აიშვერს, მეორეს შეკუმშულს, ე. ი. ერთი ტაში, მეორე მუშტი. დაუძახებენ: აბა, ჩამოიღე. თუ ჩასახელებული ჩამოიღო, მაშინ გადასწყდება დავა.

ავტორის შენიშვნა.

— გავაყენოთ ანდროი; აბა, ანდრო, გასდეგ, — დაუძახა მიხამ.

ანდრო გასდგა, აიშვირა ტაში და მუშტი. — თუ ტაში ჩამოიღოს, მე გამოვშლი ბუდესა; თუ მუშტი და შენა. აბა, ანდრო, ტაში თუ მუშტი, — დაუძახა მიხამ. ანდრო ერთხანად შეყოყმანდა, ხან ტაში შეათამაშა, ხან მუშტი, მერე უცბად ტაში დაუშვა. მიხამ გაიმარჯვა.

ის იყო მზე იწურებოდა, მიხა და ზურა გადახტნენ ვენახში; დანარჩენმა მწყემსებმა ნახირი მოაქუჩეს და სოფლისკენ უყვეს პირი.

მიხა ციყვივით ავარდა ხეზე. დაუახლოვდა თუ არა კაჭკაჭის ბუდეს, ანაზდეულად საიდღანაც გაჩნდნენ კაჭკაჭები — ბუდის პატრონებს სხვებიც მოეშველნენ. დასჩხავლნეს მიხას, დაეხვივნენ, ჩაუნისკარტეს. მაგრამ მიხა თავისას არ იშლის; აი დასწვდა ბუდესა. ამხანაგები შორიდან ამხნევებენ. ზურამ მსხალი დაჭრიფა კიდეცა, მოვიდა მიხასთან და ქვემოდან შესცქეროდა. მიხამ მიიწია ტოტი, რომელზედაც ბუდე იყო ჩადგმული, ტოტმა ვერ უდგნო, მოტყდა, მიხამ თავი ვერ შეიმაგრა, თავდაყირა წამოვიდა და ჭინჭრებში ჩაეცა.

* *

ბინდმა ჰკრა. მიხა ჭინჭრისაგან ცხვირპირდასიებული, ხელამოვარდნილი ატუზულიყო დერეფნის კარებთან და შინ შესვლას ვერა ბედავდა. გული მოსდიოდა თავის თავზე, რომ ორჯერ ზედიზედ დამარცხდა — გუშინ კანჭი ჩაიღვლიწა, დღეს კი ხელი იტკინა და თავპირი ტიკჭორას დაემსგავსა. გაბედა შინ შესვლა, კარები ნელ-ნელა შეაჭრიალა. ყური წაუგდო — დედა შინ არ არის. ალბათ ვენახში თუაო, იფიქრა. მიწვა ჭილობზედ. ხელმა წუხილი დაუწყო, თავ-პირიც ეწვოდა, მაგრამ ბუნებამ თავისი გაიტანა: მიეძინა, თუმცა კი ძილშიც სულ წკმუტუნებდა.

დედამ წკმუტუნი შენიშნა, მიანათა ნავთის ჭრაქი, ლოყაზე ხელი გაიკრა და მუხლები სულ გამოითქვიფა, თავ-პირდასიებული და ხელშეკრული შვილი რომ დაინახა.

— წადი, დაგიდგა თვალები, კიდევ იმწყერავებ? — ნიშნის მოგებით ჩაელაპარაკა მძინარე შვილს და საბნის ძონძი წაახურა.

ბ. ტყეში

— ბიჭო, აქეთ საით გავებით, აკი წვრიმალაში უნდა გავსულიყავით, აბა აქ, ამ უდაბურ ტყეში, საგუდურე შეშა-ფიჩხს სად ვნახავთ? — მიმართა ხმის კანკალით შალიკომ ამხანაგებს და თან აქეთ-იქით ქურდივით იხედებოდა.

შალიკო ჯერ ამისთანა უდაბურ ტყეში არსად ყოფილა: ყველაფერი უცხოდ ეჩვენა, ყველაფერი აშინებდა; ტანში ჟრუანტელი უვლიდა, სახეზე ბუსუსები ააჩნდა და ქუდს ხშირ-ხშირად მაღლა სწევდა ყალხზე ამდგარი თმა.

— მგონი, ჩვენ «დიდხევას» მივადექით, — სთქვა ანდრიამ. — ამას უნდა გვერდით შევუაროთ, თორემ საშინელი ფლატეებია და ჩავრჩებით სადმე.

— მანდ, ბიჟო, ხომ თულებიც იმალავენ-ხოლმე თავსა: იმ დღეს აქ არ გაძარცვეს ტახტიძირელი გუთნის მეხრე? იმ რჯულგავარდნილებს გუთნის ჯერი წაერთმიათ და ქამარი შემოეხსნათ.

შალიკომ თვალები ისე გააჭყიტა შიშისაგან, თითქო ეს-ეს არის უნდა ბუდიდან გადმოსცვივდესო. ერთ ალაგას გაშეშდა, აღარ იძვროდა, ცივად აუარა სახეზე ჟრუანტელმა და თმამ ქუდი მაღლა ასწია.

— არა, ძმავ, მე ველარ გამოგყვებით, მეშინიან, შინისკენ მოვკურცხლავ, — წაილუღლუღა შალიკომ და დაბროტიალდა.

ამ დროს ახლო, კუნლის ხეზე, ჩხიკვმა ჩაიკასკასა. შორიახლო ცულის კაკუნი მოისმა; პატარა ხანს უკან მოჭრილი ხე გადიჩეხა, დაიტანა წვრილი ხეები და ხრიალით დაეცა. შალიკო გამოაფხიზლა ამ ამბავმა, მოცნობილდა, იამა ხმაურობა.

— მოდი, მოდი, ნუ გეშინიან! ვაი, რა ლაჩარი ყოფილხარ! როგორ გეტყობა ქალაქელობა, — უთხრა კაკომ, — მე მარტოც ამოვირბენ-ხოლმე აქა, ხელად შევკრავ გუდურასა და წავაცუხცუხებ სახლისაკენ.

— რომ შეეჩვიო ტყეში სიარულსა, ისე შეგიყვარდება, ისე შეგიყვარდება, რომ ყოველდღე აქ დაიწყებ სიარულსა, — უთხრა ცოტა მოზრდილმა ამხანაგმა პალიამ. — მე აქ ყოფნა ძიელ მიხარიან-ხოლმე. მყუდროდ ხარ, არავინ გაწუხებს, დარდი გეცლება გულიდან.

— მერე, არ შეგეშინდება-ხოლმე? — უთხრა შალიკომ.

— რისა შემეშინდება?

— რისა და ტყის ქაჯისა, ალისა, ჭინკასი, — ყველამ ერთად მიახალა სიტყვა პალიასა.

— ისინი ღამე გამოდიან თურმე და ისეთს ფერხულს დააბმენ, რომ შენი მოწონებული... ერთხელ თურმე ჩვენებიანთ ელიკო დარჩა ტყეში, დასძინებიყო და ღამეს ესწრო... უცებ თურმე შემოესმა საშინელი ზრიალი, ზუილი; ელიკოს გამოღვიძებია... მიუხედ-მოუხედავს, ბნელა, უკუნეთია; გზა არა სჩანს და კვალი; მიფოფხდა ერთ ხის ძირას, ბედად გამოფუღრული ყოფილიყო. შეძვრა-თურმე შიგა, ისე მოიძუძგა, ისე მოიძუძგა, რომ ერთი მუჭის ტოლაღა გახდა... რაღაც ზმუილი თურმე შემოესმა, ზრიალი, თითქო ვიღაც გადარბის ხიდან ხეზედაო...

— ეჰეი! ი რჯულდავარდნილები, რა ჯირითი ჰქონიათ და!..

— მა, კაცო, დილამდე თურმე ელიკოს თვალს ხუჭი არ მოსვლია... დღე კი კარგია ტყეში... ან ღამე ვინა რჩება ტყეში, თუ არ უცაბედადა... აბა, ბიჭებო, მამყეთ, ავაგროვოთ საგუდურე შეშა ფიჩხი, მერე ჩავირბინოთ ლაშის წყაროსთან, გავგრილდეთ, პური ჩავალბოთ და დავეშვათ სახლისაკენ.

პალიამ, შალიკომ, ანდრომ და კაკომ გაიძრეს ქამრებში გარჭობილი წალდუნები და შეუდგნენ ხმელ ტოტების სხეპასა. დატრიალდნენ, აახმაურეს იქაურობა. ჩხიკვსაც იამა ხმაურობა, აჰყვა ბავშვებსა და წამისწამ კისკისებდა, ახტოდ-ჩახტოდა კუნელზედ, სადაც, ეტყობოდა, ბუდე ჰქონდა ჩადგმული. ტყეც ბავშვების ჟრიამულს ბანს აძლევდა: დიდრონი წიფლის ხეები შრიალებდნენ, იმათგან მონაბერი ნიავი გადადიოდა წვრიმალ ხეებზე, ისინიც ირხეოდნენ, ფოთოლი ფოთოლს ეხვეოდა, ტოტი ტოტს ეწმახნეზოდა და მთლად ტყე ათამაშდა.

ბავშვებმა მალე შეაგროვეს ხმელი ტოტები, ლამაზად შეკონეს, წკნელის ყურები დაუკეთეს მკლავების გასაყრელად, წამოიკიდეს და მოუსვეს წყაროსაკენ. ყველაზე ნასიამოვნები შალიკო იყო; შიშმა გაუარა, თითქო უცბად შეეჩვია ტყესა; რაღაცნაირად გამჩატდა, ფრთები გამოესხა და ისე მიხტოდა გუდურით, თითქო არა ჰკიდია რაო.

წყაროს მხრიდან მოისმა გულამოსკვნილი ზუზუნი და თან ხის ჩორკნა. ბავშვები ერთ წამს შედგნენ, ყური მიუგდეს. ვიღაც არის წყაროსთანაო, გაიფიქრეს. უმატეს სიარულს, გადახედეს ღელეს, სადაც წყარო გამოდიოდა, და დაინახეს რომ მურყნის და მუხის ტოტებს სჭრის ვიღაცა, როკნის და მერე წკნელად ჰგრეხს, წყაროდან გამონავალს წყალში ჰყრის გასაქღენთად, თან დაზუზუნებს წკნელებსა. ბავშვების ხმაურობაზე წყაროსთან მდგარმა კაცმა მოიხედა.

— ქიტესო, ქიტესო, შენა ხარ? — სიხარულით შეჰყვირეს ბავშვებმა.

— ჰაი გაიზარდენით, გაიზარდენით! ეგრე უნდა, ბიჭებო, ეგრე! უნდა ხელი შეაშველოთ თქვენს პატრონებსა... აი, ყოჩაღ, შალიკო!.. სხვა უშენო ხომ არ იკადრებდა, აქაო და სკოლაში ვარ, ქალაქში ვარ, დიდი კაციც მე ვარო. ზოგი კაცია, ადგომაზე კეტი უნდა. დაჯდომაზე სულ იქცევა, ისე უბედური და ზარმაცია...

ბავშვებმა გუდურები მოიხსნეს, შემოუსხდნენ წყაროსა, გამხმარი პურები ჩაყარეს შიგ, დაალბეს და ძმუძვნა დაუწყეს.

— ნათლი ქიტესავ, დაგვეწვიე.

— აი გაიხარეთ, გაიხარეთ!.. გუდაში მგონი ახალი ხახვის ფოჩები ჩამრჩა, ამოვიღებ, მეც მოგიდგებით არიფანაში, აი მარილიცა, — და მოხუცმა ქიტომ ბატის ფეხის სამარილე გადაუგდო.

— ნათლია, ნათლია! აბა მოგვიჯექ და ერთი ზღაპარი გვიამბე...

ქიტომ შუბლზე ხელი მიიჩრდილა, მზეს შეხედა, გაზომა თვალით, რომ შეეტყო, რამდენხანს კიდევ დარჩებოდა ცაზე დიდებული მანათობელი.

— აი, თქვე საძაგლებო!.. რა დროს ზღაპარია!.. დღე ზღაპრის თქმა ვის გაუგონია... ზღაპარი ზამთრის ღამეშია კარგი. ბოსელში, როცა ძილი გაგიტყდება...

— შენი ჭირიმე, ნათლი! შენი ზღაპრები განთქმულია, ერთი ჩვენც გვიამბე.

— დამიგვიანდება, კუდიანებო, და!.. ჩემ დედაკაცს უნდა ჩავეშველო, ახოში მარტოკანა გლეჯს ლობიოსა...

— არა, ნათლი, თქვი, თქვი! ჩვენ ყველანი თან გამოგყვებით, თუ მათას არ გაუთავებია, ერთ წამს სულ მოვტვლეპავთ იქაურობას...

— მაშ სმენა იყოს და გაგონება:

„ორნი ძმანი იყვნენ — შავ-გიორგა და მყრალ-მოსია. შავგიორგამ ქვეყნის ჭირის სანაცვლოდ გადასდო თავისი თავი, მაგრამ რამდენადაც შავ-გიორგა კარგი იყო, იმდენად ავი იყო მყრალ-მოსია: შავ-გიორგას წაღმა ნახნავსა მყრალ-მოსია დაღმა ფარცხავდა. გადაეკიდა ძმასა, გადაჰკიდა დევები და ქვეყნის მავნებელნი, მაგრამ შავ-გიორგას ვერა დააკლეს რა. ბოლოს მყრალ-მოსიამ შეუჩინა ერთი დედაკაცი. მოიხიბლა გმირი! შავ-გიორგა, რომლისაგანაც ქვეყნის ყოველი მტერი, ყოველი ბოროტი სული შიშით ძრწოდა და კანკალებდა, დიაცმა მუჭში დაიჭირა. ერთხელ ალერსის დროს უთხრა: „გმირი ხარ, გმირი! ქვეყანა შენ შემოგნატრის და გეთაყვანება; ერთი რამ მინდა გთხოვო, თუ იმას შემისრულებ, შენისთანა არა თუ ცის ქვეშეთ, ცის ზემოთაც არავინ იქნებაო.“

გმირმა ჩაიღიმა, გაიკვირვა დედა-კაცის სიტყვა, იფიქრა: რას ჩმახავსო?

— ჰმ, გეცინება?.. აი, უძირო ორმოს გაჩვენებ, შიგ ორი თხაა, ერთი თეთრი, მეორე წითელი. თუ კაცი ხარ და ქუდი გხურავს, ან ერთს დაიჭერ, ან მეორეს, შეაჯდები და ამოხვალ.

— ძალიან კარგი! ორმოში კი არა, შენი გულისათვის ქვესკნელშიაც კი მზად ვარ ჩავიდე, — უპასუხა გმირმა.

ითქვა, გათავდა... ჩახტა ორმოში, მაგრამ ვერასგზით ვერც ერთი ვერ დაიჭირა. შესწუხდა შავ-გიორგა, იგრძნო დიაცის ღალატი, წარმოუდგა თავის ქვეყანა, რომელსაც მთლად აამყრალებდა იმისი ძმა და შეუსევდა დევებს; ამან უფრო შეაწუხა და სიკვდილად მიაგდო. ამ დროს შემოესმა ხმა ნეტარი: „აღსდექ, გმირო! საქმენი შენნი კეთილნი

ცად მიმართ ღაღადებენ... წითელ თხას ერიდე, თეთრს მოჰკიდე ხელი, შეაჯექ, ზესკნელს აგისვრის და იხილავ კვლავ შენს ქვეყანას; წითელს თუ დაიჭერ, ქვესკნელს ჩაგისვრისო“...

დაფაცურდა შავ-გიორგა, დასდევს თხებს; თეთრი გაურბის, წითელი კი სულ ხელში ეხეჩება. მოსწყინდა დევნა, იფიქრა, ერთი ამასაც გამოვცდი, რაც მომივა მომივაო: სწვდა წითელ თხას, შეჯდა და ერთ წამს ქვესკნელში კი ამოჰყო თავი.

ნახა საოცარი სანახაობა: ქვეყანა თოვლ-ყინულიანი, უსიცოცხლო, თითქმის უადამიანო; იქაურობა მთლად გველ-ვეშაპს დაეუფლა. მიდგამოდგა ქვესკნელს ჩავარდნილი გმირი, მიეკედლა ერთს ღარიბ ბებერ დედაკაცსა, გამოიკითხა იქაურობის ამბავი; გაიგო, რომ გველ-ვეშაპს დაუპყრია მთელი ქვეყანა, ჰაერის სუნთქვაც კი არ შეიძლება მის უდასტუროდ. გააკეთებინა შავ-გიორგამ ასფუთიანი შვილდ-ისარი, ას მწყურთიანი აბრეშუმის შურდული და ერთს დღეს, როცა გველ-ვეშაპი წამოვიდა მაღლიდან თავის ტარტაროზებით ქვეყნის დასაწიოკებლად, შესდგა გმირი სერზე, სტყორცნა ისარი, გულში მოარტყა და წვერი იქით გვერდში გააყოფინა. მაგრამ მაინც ვერ დაიმორჩილა; მაშინ გაუწუწუნა შურდულით უშველებელი ლოდი და ბოროტებით სავსე თავი სულ დაუნაჭუჭა. ტარტაროზებმა იწივლეს და სულ აქეთ-იქით დაიქსაქსნენ.

ქვეყანას შვება მიეცა, დაუდგა მზიანი დღე, თავისუფლად ამოისუნთქა. ყველა მადლს უხდიდა ციდან მოვლენილს გმირს. ქვეყნის დიდებას დაჰპირდნენ, სამეფო ტახტი შესთავაზეს... იმისი ზედსიძეობა ყველას ენატრებოდა. მაგრამ შავ-გიორგა ვერაფერმა ვერ დასძლია; ერთობ მწუხარე იყო, იმის შუბლს დარდი არ შორდებოდა. უკვირდა ყველას; ყველა ცდილობდა იმის დარდის გამოცნობას.

— ჩვენო მხსნელო, რა დარდი გაქვს ასეთი, რომ ჩვენ არ გვიზიარებ, გვითხარ, თავს შემოგევლებით.

— მე მოვშორდი ჩემს ტურფა ქვეყანას, ჩემს სამშობლო ცასა. ჩემთვის უცხოეთში მზე არა მზეობს და მთვარე არა მთვარობს. აგერ რამდენი წელიწადია, გადმოვარდნილი ვარ ღალატით ამ ქვეყნად, მენატრება ჩემის ქვეყნის ნახვა; ვინ იცის, ისიც ისეა მოოხრებული, როგორც თქვენი სამშობლო იყო; მაგრამ ამაოდ ვნატრობ! ვის ძალუძს ჩემი ზესკნელად აყვანა, რომ კვლავ ვიხილო სამშობლოს ცა, დავსტკბე იმის ჰაერით და სიკვდილის შემდეგ შეაკვანოს მე იმისი მიწა!

ყველას გული დასწვა იმისმა წუხილმა. თუმცა განთავისუფლებულს ერს უმძიმდა მისი მოშორება, მაგრამ სთქვეს: მივანიჭოთ ჩვენს

მხსნელს თავისი სამშობლო; მხოლოდ ეს არის, ვაითუ ინანოს იქ დაბრუნება და ჩვენ მოგვიგონოსო!

მოაყვანინეს ფასკუნჯი, დაბარგეს საგზლით, შესვეს გმირი შავ-გიორგა. ფასკუნჯმა შემოჰკრა ფრთა ფრთასა, წავიდა ზესკნელისკენ. განთავისუფლებულმა ხალხმა მუხლი მოიდრიკა, განაპყრო ხელნი ცად მიმართ და მდუმარედ შესთხოვდა უზენაესს შავ-გიორგას უვნებლად დაბრუნებას.

ამოვიდა შავ-გიორგა თავის ქვეყანაში, მაგრამ რა ნახა? ველარ იცნო ქვეყანა თვისი: ხალხი დათოჯავებულიყო, გადარჯულებულიყო, ჭრელად ლაპარაკობდა, დავიწყებოდა რჯულიც და ენაც, უკუღმა იწერდა პირჯვარსა, უკუღმა ლაპარაკობდა; მამა შვილს გადაჰკიდებოდა, შვილი მამას, მეზობელი მეზობელს ღალატობდა, ყველა კი სისხლს სვამდა ურთიერთისას. ქვეყანა დაეღუპა იმის ძმას მყრალ-მოსიას, რომელიც მოღალატე დიაცზე დაქორწინებულიყო. თითონ პარპაშობდა, ქვეყანა კი დევებს აეოხრებინათ. გადაირია კინაღამ გმირი შავ-გიორგა, დატრიალდა ხალხში, მაგრამ ვერავის ვერა შეასმინა რა. ძმა მისი კი, ის მყრალ-მოსია ცოლით და დევებით ცხრაკლიტულში დაიმალა. „ეეჰ, მეტი ღონე არ არის, მეც უნდა მოვკვდე და ისინიც უნდა ამოვწყვიტო, რომ ჩემს ხალხს შვება მიეცესო“. ეცა ცხრაკლიტულსა, თითონაც შიგ მოჰყვა, მაგრამ ქვეყნის მტერნიც სულ ერთიან შიგ მოაყოლა და ამოჰბუგა.

შვება ლხენა მიეცა ქვეყანას“...

ბავშვები სმენად გადაიქცნენ, ზოგს პური ხელში შერჩა, ზოგი ყბა დაღებული უსმენდა ქიტოსა და ლუკმა დაუღეჭელი დარჩა. ყველა კი ერთად გულში უმადლიდა ქიტოს, რომ ღონით დაღლილნი სულით გააძლიერა.

8. „აღარ შემიძლიან!..“

„რა არის ჩემი სიცოცხლე? — ფიქრობდა ლუარსაბი: — ყოველ დღე მროზგავენ; ვიცი, თუ არ ვიცი ის ოხერი გაკვეთილი, სულერთია, მაინც მროზგავენ; თვალი მე აღარ შემრჩა, ყური და კბილი, თმა ხომ სულ ბუწბუწად გამაცალეს, მთელი ტანი დაბებერავებული მაქვს; ჯოჯოხეთში ეშმაკებთან ყოფნა მირჩევნიან სკოლაში ყოფნასა და სიარულს“.

და, აი, თხუთმეტ-თექვსმეტის წლის ლუამ — ასე ეძახოდნენ ლუარსაბს ამხანაგები და ჩვენც ასე დავუძახოთ — მტკიცედ გადასწყვიტა, სასწავლებლისათვის თავი დაენებებინა. მიანება გაკვეთილებს თავი და

მთელ დღეებს ქალაქის მივარდნილ ადგილებში დაბროტიალებდა. ფიქრობდა, გადავარდნილიყო შორს სადმე, ისე შორს, რომ იმ ქალაქის ღრუბელიც კი აღარ დაენახა, სადაც ჯოჯოხეთი სასწავლებელი ეგულებოდა. მაგრამ დიდხანს ვერ ბედავდა სურვილის შესრულებას: დედის სიყვარული აბრკოლებდა. ლუას ადამიანის სახე აღარ ედო, ველურ ადამიანს დაემგვანა.

აღარ შემიძლიან! — წამოიძახა ლუამ და ერთს დილას გიჟივით წამოვარდა ლოგინიდან. თმა გაბურძგნოდა, აგერ რამდენი ხანია საკარცხელი არ მიჰკარებია, მხოლოდ ფრჩხილებით თუ ჩამოვარცხნიდა. საკინძჩამოწყვეტილ პერანგზე სახელოდაგლეჯილი ახალუხი გადაიცვა, ჩამოჯდა სამფეხა დაბალ სკამზე, ტახტს მიუჯდა და იწყო წერა:

„დედაჩემო! ბოლომდე ჩაიკითხე ჩემი წერილი და მერე აღარ გამამტყუნებ იმ საქციელისათვის, რომელიც მე ამ წერილის შემდეგ უნდა ჩავიდინო. ნეტავი, შენი სიცოცხლით, ისევ სახლში ვგდებულიყავ და ჩემს დღეში სკოლის კარები კი არ დამენახა. რაც სახლში ცხონებულმა მამაჩემმა და კომეკა დიაკვანმა მასწავლა, ამ ოხერს სკოლაში სულ დამავიწყდა. შინ მშვენიერი წერა ვისწავლე ბეჭზე, დავითნსა და კურთხევანს სულ ვაბულბულებდი, „ვეფხისტყაოსანს“, ხომ რაღა მოგახსენო... არა, ჩემმა ლუამ უთუოდ სკოლა უნდა გაათავოსო, კურსოვნიკი უნდა გახდესო, მართალია, „სწავლის ძირი მწარეაო, მაგრამ კენწეროში გატკბილდებაო“, სულ ამას ჩამჩიჩინებდით. აი, ისემც ამოავდებს ღმერთი ჩვენს სკოლას, რაც იქ სწავლა როდისმე გატკბილდეს! დავიწყობ თავიდან: შიშველ-ტიტველი ვარ, მშიერ-მწყურვალი; სახლის პატრონმა ხომ სული ამომართვა, სახედრად გამხადა. წყალს რომ მოვიტან, თავს წაუქცევს კოკასა, იქნება ლიახვის წყალი არ მოიტანაო. იმ დღეს, განგებ, ფშნის წყალი მოვიტანე, იმ შეჩვენებულმა მართლა შეატყო, აიღო და თავზე გადამასხა მთელი კოკა, არა, მაშ რას მიზამს, ოთხ კოდ პურად წელიწადში სხვა ვინ შემინახავს?! ერთს ჩანახს ლობიოს დაჰპირდით და აგერ გაზაფხული დადგა და ჯერაც არ გამოგიგზავნიათ.

„იმ დღეს საშინელი ნამქერი იყო. კარზე ძაღლიც არ გაიგდებოდა, არა თუ ადამიანი. სწორედ იმ დღეს ადრიანად წამომაგდო სახლის პატრონის ცოლმა, უნდა ფურნეში პური წაიღოო. გულზე ლახვარივით დამესო ეს სიტყვები. რას გაჩუმდიო, შემომიტია არამზადა პეტრემა, ჩემმა სახლის პატრონმა, და ისეთი წამომისვა კისერში, რომ სიმწრით სულ წინწკლები გამცვივდა თვალებიდან. რას ვიზამდი, დავემორჩილე ბედს. შევიდგი მხარზე ხონჩა და გავუდექ ფურნისაკენ. თვალწინ არა სჩანდა რა, ფქვილივით ანიავებდა ქარი ფიფქ თოვლს. მთლად გარეშემო ყოველივე აბობოქრებულიყო. ჩემს მეტი თუ იყო ვინმე ქუჩაში,

ვერ გაარჩევდი. მივდივარ და თვალთაგან ცხარე ცრემლი მცვივა ცალკე ჯავრისა და ცალკე სიცივისაგან.

„შუა გზა გავლილი მქონდა ფურნემდე, დავინახე: ქოფაკ ძაღლს გამოუყვანია ორი ლეკვი, დახტიან ფიფქ თოვლზე, ნამქრისა არ ერიდებათ, ყალხს დგებიან, ღრღნიან ერთმანეთს; ზურგზე ახტებიან ლეკვები დედას;, დედა უგორდება ქვეშ და ისინიც უღრღნიან ფეხებს, დაჰბღუიან. მე ერთს წამს შევდექი, შემენატრა იმისი ყეფა. ისე ღრმად ამოვიხვნეშე, რომ ძაღლების ყურადღება მივიქციე. ცელქმა ლეკვებმა ყურები აცქვიტეს, შედგნენ ერთს ალაგას და ყეფა დაიწყეს. დედა წამოვარდა და ჩემსკენ გამოქანდა, ლეკვები ფეხდაფეხ მოჰყვნენ. „ეე, ვიფიქრე, ეს არის გამფათრავენ-მეთქი". ჩავჯექ თოვლში და ღრიალი მოვრთე. დედა-ძაღლს შეეგბრალე, ხმა არ გამცა და ხელების ლოკვა დამიწყო. ცელქმა ლეკვებმა ხუმრობა დამიწყეს, აქეთ-იქიდან კბილებით გასწიეს ჩემი დაფხავებულ ახალუხის კალთები. დედა, რაც სკოლაში ვარ, ამისთანა სიამოვნება არ მიგვრძვნია, ამისთანა წამი არ დამდგომია. ძაღლმა შემიბრალა, გაყინული ხელები გამილხო, თამამად ავდექი, გავმხნევდი და ყოჩაღად გავუდექ გზას. ლეკვები წინ მიმითამაშებდნენ, მეც ვუწრუწუნებდი, დავძმობილდით რაღა. იმის შემდეგ ჩემს ულუფას სულ იმ ლეკვებს ვუყოფდი-ხოლმე.

„ფურნეს გადავრჩი, მაგრამ სკოლას კი ვეღარ: მივადექ ჯოჯოხეთის კარებს. შიგნიდან ბავშვების ყღავიყღუვი გამოდის. მასწავლებელი მაგრა აბიჯებს იატაკზე; იმის ფეხის ტყაპუნი გულს მიწუხებს, თითქო მე მირტყამდეს გულზე სატყეპელა ფეხებსა. უყვირის აყივყივებულ ბავშვებს: „ტიშე, თქვე წუწკის შვილებო, თქვენა!" მე ამაძაგძაგა, ვფიქრობ, შევიდე თუ არა. მაგრამ სად წახვალ: ქარმა უმატა, კორიანტელია. აქ იქნება გადავრჩე, ქუჩაში კი დაღუპვა მელის. ამ ფიქრში რომ ვარ, ამხანაგი გამოვიდა გარეთ, მომეგება, გამომელაპარაკა. მასწავლებელმა ალბათ შეიტყო, ვიღაც დგას კარებთანაო, გამოაღო კარი, გადმოჰყო ტატყი ხელი, წამავლო ყურში და რომ არ გავყოლიყავ, მთლად ამადღლეძდა ყურს; მერე წამავლო თმაში ხელი, ბატკანივით ამაპროწიალა ჰაერში და ზღართანი გამაყრევინა იატაკზე...

„მომაგონდა ძაღლი, მისი ალერსი, მომაგონდნენ ლეკვები, იმათი ხუმრობა... შევადარე მასწავლებელსა და ისეთის თვალით შევხედე, რომ მოსწავლეებს სიცილი წასკდათ.

„ — რა, რას იცინით, თქვე წუწკის შვილებო! — დაუშტიალა ნუშტები მოსწავლეებსა.

„ყველამ ხმა გაკმინდა, ჩაუკირკიტეს წიგნებს და ბუტბუტს მოჰყვნენ.

„ — რაო? ალბათ შენ დამეღრიჯე და სხვები გააცინე ჩემზე! ჰორ? თქვი-რაღა! — და აქ ისეთი შემომიკურთხა, რომ არ ითქმის. — აბა, როზგი ამას! — დაიღრიალა უგულო მასწავლებელმა.

„წამომაქციეს, კაი-კაი როზგი მაცხუნეს. ბევრი ვიკოტრიალე იატაკზე, ბევრი ვიძახე: „დედა, მიშველე-მეთქი", მაგრამ ვინ იყო მშველელი. მინამ გული არ იჯერა იმ წყეულმა, არ ამიშვა. ვინ იცის, იქნება ამ დროს შენმა ძუძუებმა იგრძნეს ჩემი ვაება, იქნება გულმა შემოგკვნესა რაღაცა უსიამოვნება, მაგრამ მე რა!.. მომაგონდა ამ გაჭირვებაში შენი ალერსი, შენი ტკბილი ძუძუები... მომაგონდა ის კეთილი ძაღლი, ხელები რომ დამილოკა, დამიკოცნა და მამაცნობილა ქუჩაში უპატრონოდ გდებული, მომაგონდნენ ჩემი ახალი ძმობილი ლეკვები, რომლებმაც თავიანთ ხუმრობით გული სასიამოვნოდ ამიტოკეს... დახე, დედა, რამოდენად სჯობნებულა პირუტყვი ადამიანს! სახლის პატრონმა პეტრემ სახედრად მაქცია და მასწავლებელმა ხის კუნძად: ისე შევეჩვიე ცემას, რომ ვეღარას ვგრძნობ, სწორედ უსულო გავხდი, სწორედ ხის კუნძი ვარ...

„ზემოთაც გწერ, მე რაც სახლში მასწავლეთ, აქ სულ დამავიწყდა. რა დააშავა კომეტმა დიაკვანმა, რომ შიო-მღვიმის უდაბნოში გაიზარდა: კარგი მკითხველ-მგალობელია, კარგი სიტყვა-პასუხიანი; ეგ რომ „ვეფხისტყაოსანს" ჩააწკრიალებს-ხოლმე, იმისი სიამოვნება ეხლაც ყურში მიდგია. ნეტავ, მეც უდაბნოში სადმე გაგეზარდეთ! აგერ მეორეში ვარ და ჯერ არც რუსული წიგნი მინახავს თვალითა და არც ქართული. არა, რა წიგნია პლატონ იოსელიანის ღრამატიკა! აი, ამ წიგნით გვასწავლიან ქართულ ენას. ერთი თვეა სულ იმას გავიძახით: რასა ჰქვიან სახელი არსებითი საკუთრებითი და დღემდე ვერავინ ვერ შეგვასმინა და ვერავინ ვერ გაგვაგებინა ეს ჯანდაბა საკუთრებითი სახელი. საკუთრებითი სახელი არსებითი ჰქვიან იმ სახელსა, რომელიც აღნიშნავს სახელს ერთის საგნისაო, მაგალითად: კონსტანტინე, მცხეთა, მტკვარი, და სხვანი, ასე სწერია იმ ღრამატიკაში. დღემდი ვერ შეგვიტყვია, ეს ჩემის ცოდვით სავსე კონსტანტინე, მცხეთა, მტკვარი და სხვანი არიან ქვეყანაზე მარტოდ-მარტო საკუთრებით სახელები, თუ კიდევ სხვებიც არის. გუშინასწინამდე „და სხვანიც" საკუთრებითი სახელი გვეგონა. იმდენი შენ იცოცხლე, დედა, რამდენი ჩვენ მოგვხვდა ამ ოხერ და სხვანისათვის.

„ტინიხიდის ჭალა სულ ერთიანად გაჩეხეს, იმდენი როზგი გამოიტანეს. ამდენ ცემისაგან სწორედ გავმხეცდით. დგომა აღარ შეიძლება. მარტო მე ხომ არა ვარ ამ ყოფაში, მთელი სკოლაა. ერთმა ათმა კაცმა გადავწყვიტეთ, გავიპარნეთ სკოლიდან. წავალთ, სწორედ მეღორეებად

დავდგებით, მეცხვარეებად, მოჯამაგირეებად და აქ დგომა კი აღარ შეიძლება!

„შენ რომ წასვლისას ხუთი შაური მაჩუქე, იქიდან ერთი ბისტისა გრიფილი ვიყიდე, ერთი კოპიტისაც საწერი ქაღალდი[1]. აბაზიღა დამრჩა. ორი შაურის პურს ვიყიდი, ორი შაურის სათალსა. თითო-ოროლა გროში სხვებსაც აქვთ. ეს საგზალი გვეყოფა, მინამ თავს სადმე მივაყრდნობდეთ. თავისუფლად მაინც ვიქნებით: ეხლა აღარც სული შეგვრჩა, აღარც ხორცი; თუ სოფელმა გაგვწირა, იქნება ღმერთმა მაინც არ გაგვწიროს. დავიმღერებ „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებსა: „ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გეჭირსა! სადაურსა. სად წაიყვან, სად აღუთხრი სადით ძირსა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგნით განაწირსა“, — და გავუდგები გზასა. ჩემთვის ნუ იდარდებ, გული შეიყოლიე და დარდები გაიქარვე მარიკას სიყვარულით და ცქერითა.

„მართლა, ბევრი აკოცე ჩემ მაგიერ ჩემს დაია მარიკასა. ნეტავი მაგას, რომ სკოლას არ ნახავს და ისე გაიზრდება „ვეფხისტყაოსნის“ და დავითნის კითხვითა.

„დედა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემს მურია ძაღლს გაუფრთხილდი, ჩემს ნიშა კვიცსა და წიქარა ძროხასა, წიქარას ერთხელ ძიელ ვაწყენინე: ნახირიდან რომ მომყავდა, სიმინდში გადამივარდა და ორიოდე სახრე ვუთაქე; მახსოვს, წიხლი მესროლა და საშინლად ამოიოხრა. მაშინ მე საბრალომ ვერ ვიგრძენ, რა ცეცხლმა დასწვა წიქარა; როცა მე ყოველ დღე სახრეს მირტყამენ სკოლაში და ერთხელ წყეულმა მასწავლებელმა სახაზავით, რომელიც დუქნის დარაბას უფრო ჰგავდა, ვინემ სახაზავსა, თავი გამიჩეხა, აი მაშინდლიდან გულში დარდად ჩამყვა, გულმა ტკივილი დამიწყო, ვაყვედრი ჩემს თავს, რად გავტყიპე ჩემი წიქარა-მეთქი. აკოცე, დედა, წიქარას თვალებში და არავინ გაბედოთ მაგ სამი ჩემი მეგობრის ცემა.ტყეპაი.

„ოჰ, დედა, რომ იცოდე, რა ბევრად სჯობიან ადამიანს პირუტყვი! ხომ ნახე, ძაღლმა რანაირ მიპატრონა ქუჩაში. რაც სკოლაში ვარ, იმ ძაღლის მეტს ჩემთვის არა ადამიანს, მასწავლებელი რაღა ვთქვა, კეთილი არ უღირსებია, ჩემთვის ალერსით გული არავის გაუთბია... ჩუ, კაკუნი მესმის... დედა, კიდევ გევედრები, ნუ იდარდებ, მე ჩემზედ არ გაგამწარებ... აღარ შემიძლიან პირუტყვულ ცხოვრების ატანა... აი, ამხანაგები კარს მიკაკუნებენ... ამ წერილს სოსე კახნიაშვილს ვატან... მშვიდობით, ჩემო ტკბილო დედა.

შენი უსიამოვნო შვილი ლუა ბედიანიძე“.

---

[1] ბისტი ორკაპიკიანს ჰქვიან, კოპიტი — სამკაპიკიანს.

თითქო ლოდი მოეშვა გულიდანო, თითქო თავის დღეში მწუხარება არ უგვრძნია და უგემნიაო, ისე წამოხტა ლუა სამფეხიდან, შეჰკრა ქამრით საბანი და მუთაქა, აბგაში საგზალი ჩაიდვა და გამოვიდა ამხანაგებთან. ბუნება უღიმოდა ბავშვებს: გაზაფხულის მზეს ქვეყანა გაებრწყინვებია; ჩიტებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, თავისუფლად დახტოდნენ და დანავარდობდნენ. ბავშვებმა თითქო ფრთა გაშალეს, პირველად იგრძნეს სიამოვნება, შეღავათი, სულისა და გულის დამშვიდება; მარდად გაცუნცულდნენ ხიდზე, რომელიც მტკვარზე იყო გადებული, და გასწიეს აღმოსავლეთისაკენ ბედისა და თავისუფალი სიცოცხლის საძიებლად.

ნიკო ლომოური

1852—1915

ნიკოლოზ (ნიკო) იოსებას ძე ლომოური დაიბადა 1852 წელს სოფ. არბოში (ქართლი). ბავშვობა გაატარა არბოში, სადაც ახლო გაიცნო მშრომელი გლეხის გაჭირვებული ცხოვრება. ნ. ლომოური ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, ორი წლის შემდეგ კი გადაიყვანეს თბილისის სემინარიაში, სადაც იმ დროს ასწავლიდა იაკობ გოგებაშვილი, ნ. ლომოურმა სემინარია დააშთავრა 1875 წელს და გაემგზავრა კიევის სასულიერო აკადემიაში. 1881 წელს დაბრუნდა სამშობლოში აკადემიადამთავრებული და ჩაება ხალხოსანთა საქმიანობაში.

პირველად ნ. ლომოური თბილისის ქართული გიმნაზიის ინსპექტორად იყო, ხოლო 1884 წელს საშუალოდ გადასახლდა გორში მასწავლებლად საოსტატო სემინარიაში.

ნ. ლომოური გარდაიცვალა 1915 წელს.

ნ. ლომოური თავდაპირველად ლექსებს ხწერდა. აკ. წერეთლის რჩევით პროზაზე გადავიდა. საბავშვო ლიტერატურას შერჩა მისი ორი ლექსი: „ვედრება პატარა გლეხისა", რომელიც დაიბეჭდა ლევან ცაველის ფსევდონიმით, და რუსულიდან გადმოკეთებული: „უინვა და პატარა მოწაფე" ნ. არბოელის ფხევდონიმით.

მისი საუმაწვილო მოთხრობები: „ალი" დაიბეჭდა გაზ. „იგერიაში" 1879 წელს, ხოლო „პატარა ქაჯანა" კრებულში „წყარო" 1881 წელს, ორივე ლევან ცაველის ფსევდონიმით. ნ. ლომოურის მოთხრობა „პატარა ძეგობრების" (დაწერილია 1905 წელს) ამბავი სინამდვილიდან არის აღებული.

ვედრება პატარა გლეხისა

გლეხის პატარა ბიჭი ვარ,
ღვთისა ამარას გდებული;
სისაწყლე-სიღატაკეში
გაზრდილი, დაბადებული.

შრომის შვილს მიყვარს მშობელი,
ღონეც მიდგია მუხლებში.
მეხრე ვარ: ხარი, კამეჩი
დამიდის მინდორ-ჭალაში;

მაგრამ მაინც არა ვარ
მადლიერ ჩემის თავისა!
ერთი რამ დიდი მაკლია:
არა მესმის რა წიგნისა.
ისმინეთ წიგნის მცოდნენო,
ჩემი ვედრება სიტყვაი:
მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ...
მასწავლეთ წერა-კითხვაი!!
რაც სოფლის საქმეს ეხება,
მე ვიცი თითქმის ყველაი:
კევრზედ დადგომა, ვაზის სხვლა,
ურმული, ოროველაი;
მაგრამ რა არის ყველა ეს,
თუ კაცურ სიტყვას ვერ გაგცემ!
თუ სხვის გულის თქმას ვერ
ვხედავ,
და ჩემსას ვერვის გადავსცემ?
ღმერთმანი ეხლა ტოლებში
ლხინიც არ მეხალისება!
რომ წერა-კითხვა ვიცოდე...
მაშინ სხვა საქმე იქნება!
მაშ ისევ თქვენა ნასწავლნო,
ისმინეთ ჩემი სიტყვაი:
მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ,
მასწავლეთ წერა-კითხვაი!

ყინვა და პატარა მოწაფე

თოვლით დაფენილს ტრიალს მინდორსა
თითქო ღრმა ძილით ჩასძინებოდა,
და ხშირსა ტყესა, ჩადრწამოსხმულსა,
სახე სრულიად გაჰშეშებოდა.

არსაიდამა არ მოისმოდა
არც ნადირთა ხმა, არც კაცთ ძახილი,
ირგვლივ ცის კიდით კიდემდისინა
იდგა სიჩუმე, ვით მკვდართა ძილი.

და ამ სიჩუმით მოცულს მინდორში
ყინვა თანდათან ძლიერდებოდა;
ხან აღმა მთებზე და ხან ჩამოღმა
იგი მეფურად დაბრძანდებოდა.

დაბრძანდებოდა და თანაც თვალსა
არ აშორებდა დატკეპნილს გზასა,
უნდოდა ძალა გამოეჩინა,
წინ დაჰხვედროდა მომავალს მგზავრსა.

აგერა კიდეც გზაზე გამოჩნდა
ბავშვი წიგნებით იღლიაშია!
ჩქარი ნაბიჯით, ცოცხალი სახით
მიცუნცულებდა ის სკოლაშია.

ყინვამ მაშინვე მისკენ მიჰმართა
და მრისხანებით გადუდგა წინა:
„ბავშვო, სულელო, — სწრაფლ მიაძახა,
გირჩევ ეხლავე დაბრუნდე შინა.

„ჩემთან კერპობა შენ არ გაგივა,
მალე გეცვლება წითელი ფერი;
იცოდე; შენზე დიდებისათვის
მომიგრეხია მწარედ კისერი“.

ესმის ყველა ეს პატარა ბავშვსა,
სცივა და მთელი ტანით ძაგძაგებს,
მაინც არ დგება, ხელების ფშვნეტით
მიხტის და ფეხებს მიაბაკუნებს...

ყინვა ბრაზდება და გული მოსდის
პატარა ბავშვის მხნეობაზედა,
უმატებს სუსხსა და ცეცხლსა ანთებს
იმის ლოყებსა და ყურებზედა.

შეწუხდა ძლიერ ჩვენი პატარა,
მთლად დაეყინა ხელი, ფეხები...
„ვაიმე, დედავ!“ უცებ გაისმა
და გამოსცვივდა საწყალს ცრემლები.

მაგრამ მაინც კი სულ არ შეშინდა,
ფეხიც არ შესდგა, არ შეისვენა!
უცებ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა,
მარდად მოჰკურცხლა მან სკოლისკენა.

მირბის პატარა, მირბის და... აგერ
სკოლის ფანჯარა, ცეცხლის შუქიცა!
სულ დაავიწყდა მაშინვე იმას
ყინვაც და იმის ბაქიბუქიცა.

ჟ ა ჯ ა ნ ა

I

„პატარა ქაჯანა“ გახლავთ მეტი სახელი ერთი სოფლელი პატარა ბიჭისა, რადგანაც ამას ლაპარაკში ხშირად უყვარდა სიტყვა „ქაჯანას“ ხმარება, მაგალითებრ: „ქაჯან, წავიდეთ მინდორში“, „ქაჯან, ვიმღეროთ“, „ქაჯან, ერთი ვაშლი მე მამეცი“, ამის გამო მას სოფლელმა პატარა ამხანაგებმა დაარქვეს „ქაჯანა“. წინაპირველად სიმონას ცოტა არ იყოს, წყინდა ეს სახელი, მაგრამ შემდეგ ნელნელა შეაჩვია ყური და ბოლოს ისე შეეთვისა, რომ სიმონა რომ დაეძახნა ვისმე მისთვის, ის ყურადღებასაც არ მიაქცევდა ხოლმე; „ქაჯანა“ კი რომ დაგეძახნა, საჩქაროზედ ან ხმას გაგცემდა, ან არა და ერთს ციბრუტივით შემოტრიალდებოდა და თვალის დახამხამებაზედ შენ წინ დაიბადებოდა. გაუვარდა სიმონას ეს სახელი! მთელი სოფელი: დიდი თუ პატარა, შინაურები თუ მეზობლები სიმონას ეძახოდნენ „ქაჯანას“. — ქაჯან, გაიქე, დედაშენს უთხარი: ერთი პური გვასესხეთქო!.. — ბიჭო, ქაჯანა, წამო, ე ჩვენ ლომა კამეჩზე შეგსვა... — ქაჯანა, წავიდეთ, ჩიტის ბუდე ჩამოვშალოთ...—ეძახოდნენ ხოლმე სიმონას.... სიმონა კარგად ხედავდა, რომ ამ სახელით მისი დაცინვა, ან გაჯავრება კი არ უნდოდათ, არამედ მასში იხატებოდა დაყვავება, ალერსი, სიყვარული მისდამი. სიმონა საჩქაროზედ გაჰქანდებოდა შინისაკენ და, თუ სავსეთ არა ჰქონდათ, ხტუნაობით გამოურბენინებდა პურს... მერმე მეორეს აუსრულებდა თხოვნას, შემდეგ მესამისაკენ გაიქცეოდა... დახტოდა, დაცუნცულებდა, მღეროდა და ისეთის სიმარდით და მოხერხებით აკეთებდა საქმეს, რომ განცვიფრებაში მოჰყავდა თავისი მნახველები... უნდა დაგენახათ, როგორის სიცქვიტით ავარდებოდა მსხმოიარე, ან ფრინვლის ბუდიან ხეებზედ, როგორ დაჰქანდებოდა იქიდამ და სრიალით ჩამოვიდოდა ძირს; ან კიდევ მისი მარდი სირბილი, სახრისა და ჯოხის ხმარება, მისი წმინდა კილოიანი ხმა, როდესაც საყდრის კარებთან შეგროვილს თავის ტოლებში ჩაჯდებოდა და დაიძახებდა: „დელია, დელია, დელია და ბიჭებო“, ან „კურდღელი მოცანცალებდა, ფეხმოტეხილი საწყალი“, მაგრამ ყველაზე კარგა სიმონამ სათამაშო „გრგონას“ სიმღერა იცოდა... როდესაც ამას დაიწყებდა, დიდი კაცებიც კი მივიდოდნენ ხოლმე, დადგებოდნენ მათ შორი-ახლო და დაუგდებდნენ ყურსა... მათ დაღვრემილს სახეზედ ღიმილი ჩნდებოდა და კმაყოფილების შუქი გამოდიოდა მათი კეთილი

თვალებიდგან... ყველანი მოიმხიარულებდნენ ხოლმე, მაგრამ ყველაზე მეტი სიამოვნება იხატებოდა ერთს ჭაღარაშერთულ, ცოცხალ სახიან და დაბალ ტანიანი გლეხის, კიკოლას, სახეზედ... „ოი, შენი გამჩენის ჭირიმე, შვილო, შენი!!“ — დაიძახებდა ხოლმე ეს, როდესაც სიმონას ზარივით ხმა უკანასკნელად გაიწკრიალებდა ჰაერში...

— რა ბიჭი გყავს, კიკოლა, რა ბიჭი!.. — მხიარულად მიაძახებდნენ ხოლმე კიკოლას იქ მდგომი გლეხები და შემდეგ მიუბრუნდებოდნენ მის შვილს: „ქაჯანა, ერთი, კიდევ ერთი!..“ და ქაჯანას ხმა ხელ-მეორედ გაისმოდა ჰაერში... მას მიჰბანებდნენ სხვები და ხელ-ახლად გაიმართებოდა ბავშვების სიმღერა და თამაში...

II

ქაჯანას მამა, კიკოლა, იყო ერთი ჩვენი გონიერი და გამოცდილი გლეხთაგანი... საქართველოს რომელ კუთხეს იტყოდით, რომ კიკოლა არა ყოფილიყვეს იქ თავის სიყმაწვილეში; ჯერ ოცი წლისაც არ იყო, რომ მას ორჯელ-სამჯერაცა ჰქონდა მოვლილი კავკავის გზები. ოცი წლისა კიკოლა გუმბრის გზაზედ გახლდა... ამის შემდეგ თითქმის ყოველ სამს წელიწადში ერთხელ მიდიოდა გუმბრში მარილის მოსატანად... სამი-ოთხი პირობა ორპირშიაც წაიღო ქირა... შემდეგ შეირთო ცოლი და, როდესაც მამა მოუკვდა და მარტოხელი გახდა, დაანება ქირაობას თავი და მიჰყო ხვნა-თესვას ხელი. ამ დროს კიკოლას და მის ცოლს, მართას, მიეცათ პირველი ვაჟი, შემდეგ მეორე, მესამე, ამათ მოჰყვნენ ორი ქალი და დაწვრილშვილდა კიკოლა. რაღაც საცოდავი სამიოდ დღის მიწა ჰქონდა და ერთი პატარა ვენახი... წელებზედ ფეხს იდგამდა, ამ ცისმარე დღე და ღამე სულ განუწყვეტლად მუშაობდა, მაგრამ წლის სარჩო მაინც არ მოსდიოდა. კიკოლა მაინც ეხტიბარს არ იტეხდა: ვალს არ იღებდა, კარზედ არავის ადგებოდა სათხოვნელად და ხალხშიაც მუდამ მხიარული გამოდიოდა... მის მოსწრებულ სიტყვა-პასუხს, მის კვიმატ ლაპარაკს, მის მოშაირობას და ხუმრობასა სახელი ჰქონდათ გავარდნილი მთელს იმ ახლომახლო სოფლებში. მაგრამ უცებ ისეთი ამბავი დაატყდა კიკოლას თავსა, რომ დროებით ყველა ესენი სრულიად დაავიწყა და თვით მხიარული კიკოლა გადააქცია სახედაღვრემილ, სულით და გულით დაცემულ ადამიანად. ერთს ზამთარში შეუდგა კიკოლას საოფლე, დაერია იმის პატარა შვილებს და ორჯელ წყვილ წყვილი კუბო გამოიტანეს იმისი სახლიდამ... სამი ვაჟი და ერთი ქალი სამუდამოდ მოწყდნენ კიკოლას გულიდან. დარჩა მხოლოდ ერთი უმცროსი ქალი, რომელიც ეხლა თერთმეტი წლისაა. ერთი წლის შემდეგ მიეცა კიკოლას ვაჟი და ამის შემდეგ აღარავინ მიმატებია მის ოჯახს. ეს ვაჟი გახლავთ ჩვენი უკვე გაცნობილი პატარა ქაჯანა. ამნაირად კიკოლას

ჰყავდა ორი ზედი-ზედ ძიძდეევხო შვილი: ქალი და ვაჟი. მთელი თავისი მშობლიური სიყვარული კიკოლამ ამ ორ ბავშვს შემოახვია. მომეტებულად კი უფრო სიმონა უყვარდა და, როგორც კი შეეძლო, უვლიდა და ანებივრებდა მას. უნდა გენახათ, რა მშვენივრად გაკეთებული პატარა გუთანი, პაწაწინა საძნე და საბარო ურემი, ლამაზი პატარა კომბლები და ჯოხები ჰქონდა სიმონას! მინდვრის სამუშაოს რომ მორჩებოდა, სიმონას სათამაშოებს მიჰყობდა ხოლმე კიკოლა ხელსა... ნელ-ნელა სთლიდა პატარა ჩხირებს და თანაც მხიარულად შესცქეროდა თავის საყვარელ შვილს... ბევრჯელ ამ დროს მოაგონდებოდა ხოლმე თავისი პატარა, დაჩიტული შვილები და მისი სახე მსწრაფლად იქცეოდა დატანჯული სულის სარკედ. „რო ი წყეული საოფლე კიდევ გამიტყვრეს საიდგანმე და ესეც მომტაცოს, რაღა მეშველება მაშინ?!“ იტყოდა ხოლმე კიკოლა და წარბშეკრული გაჩოჩდებოდა შვილისაკენ. შემდეგ აიღებდა თავს მაღლა, მიიხედ-მოიხედავდა სახლში და, რა დაინახავდა მას, ვისაც ათვალიერებდა, დაიძახებდა:

— შვილო, კატო, მოდი შენც ჩემთან, შენი ჭირიმე!..

კატო მარდად გაჰქანდებოდა და კოპწიად ამოუჯდებოდა ხოლმე თავის მამას მუხლისძირას.

III

საშინელი ეშმაკი და კუდიანი გოგონა იყო ეს კატო! ერთი რომ შეგეხედნათ იმის ცოცხალ, მუდამ აქეთ-იქით მაცქერალ, კუნაპეტივით შავი თვალებისთვის, იმის დაცქვეტილი ყურებისთვის და მაღლა აწეული პატარა წარბებისათვის, უსათუოდ იტყოდით: „ამ პატარა გოგოს სწორედ თავის ტოლა კუდი ებმისო“. კუდისა კი რა მოგახსენოთ და ეშმაკი კი ძალიან იყო. იმისგან მოსვენება არა ჰქონდათ მეზობლებს. ვთქვათ, დაინახა, სოფლის რამდენიმე დედაკაცი სხედან ერთად კედელთან, ან ბაკის გვერდზე და გულგახსნით რაღაზედაც ლაპარაკობენ... უცებ გაჩნდებოდა იქ კატო, მიეპარებოდა და ნამდვილის ყვავის ხმით დასჩხავლებდა ზემოდამ... საწყალ დედაკაცებს ენა ჩაუვარდებოდათ ხოლმე; ყოველ მათგანს გული გაუქანდებოდა თავიანთ საყვარელ ქმრისა, შვილებისა, ანუ ძმებისაკენ, მაგრამ საჩქაროზედვე მოაგონდებოდათ კატო და წამოცვივდებოდნენ ფეხზე. კატო ხარხარით გარბოდა ქვემოთკენ.

— უი შენ და შენ თავსა! შე წყეულო, შენა! — მისძახებდნენ ხოლმე უკანიდან მომღიმარე დედაკაცები.

მერმე მიეპარებოდა სხვებს და ახლა კაჭკაჭის ხმით დაიწყებდა ჭიყჭიყსა...

— კაი ამბავი, კაჭკაჭო, კაი ამბავი... ოქროს ნისკარტი, შენ პირ შაქარი, — მოისმოდა ხმა; მაგრამ ამ ხმას მაშინვე კატოს ხარხარი მიჰყვებოდა და იმათშიაც გაჩნდებოდა სიცილი და „უი, ქალოს“ ძახილი.

შემდეგ მივიდოდა კატო და აიტუზებოდა რომელიმე გლეხის კარებთან... უცებ გაბამდა ბოხ ხმაზე ყეფას, შემდეგ აურევდა ერთმანეთში ქოფაკი ძაღლების და ლეკვების ხმაზედ ყეფას.

— ე ვისი ოხერ-ტიალები შეგროვილან აქა! — მოისმოდა სახლიდამ გაჯავრებული გლეხის ხმა და ცოტა ხანს უკან გაღებულის კარებიდგან გამოჩნდებოდა ის კეტმოღერებული...

— ერთი პური გვასესხეთო! — წყნარად და დინჯად ეტყოდა მას კატო.

— აი შე გომბიო, შენა!.. შე წყეულო, შენა! — სიცილით წარმოსთქვამდა გლეხი და შებრუნდებოდა შინ პურის გამოსატანად. გამოიტანდა და, სადღაა კატო!..

— აი დასწყევლოს ღმერთმა ი გოგოი!.. ერთ წუთში ორჯელ არ მომატყუილა ი თითის ტოლა გომბიომ ამხელა კაცი! — წაიბუტბუტებდა გლეხი და შებრუნდებოდა უკანვე...

ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთიანად დაახოცინა რაც რომ მამლები და ყვინჩილები ჰყავდა... ბინდბუნდი რომ შეიქნებოდა, კატო მიიპარებოდა იმ ბებრის საქათმესთან და დაიძახებდა: „ყიყლიყოოო“.

ბებერი გაიგონებდა და ელდა ეცემოდა ხოლმე.

— ეგ რომელი ყივის ასე უდროვოდ, ეგ ჩემი ცოდვით სავსეი, ეგა! — კვნესით იტყოდა ბებერი, აანთებდა მკვარსა, დაათვალიერებდა მამლებს და, რომელ მათგანსაც თავი მაღლა ჰქონდა აღებული, სტაცებდა მას ხელს, გამოიყვანდა და საჩქაროზედ დააკვლევინებდა... მთელი ერთი კვირა შეუჩნდა ასე კატო ამ ბებრუცუნას და სულ გააჩანაგებინა მამლის სახსენებელი.

რამდენსამე წამს ამნაირად მოირბენდა კატო მთელს თავიანთ პატარა სოფელს და, როდესაც მოიკლავდა თავის კვიმატობის სურვილს, გატკრციალებულის სახით გაიქცეოდა ხოლმე შინისაკენ. შევიდოდა, დაგვიდა, დააკრიალებდა სახლსა; შემდეგ ან წინდას წამოავლებდა ხელს და თავის დედის ჩვენებით, იწყებდა მის ნელ-ნელა ქსოვას, ანაც მოიკეცავდა, დაიდებდა მუხლზე ხარის დიდ თეთრ ბეჭს, დაიჭერდა ხელში ინდოურის, ანუ ბატის კანჭის კალამს და ყაყაჩოს მქრალი მელნით სწერდა მასზედ: „უფალო ღმერთო, იესო ქრისტე, სწავლა კეთილად მოუვლინე მხევალსა შენსა კატოსა“.

— ეგ რა ასოა, კატო, ჰაა? — გაისმოდა ხოლმე დის გვერდზე მჯდომი ქაჯანას ხმა... ამ დროს კატო შეაყენებდა კალამს და გულმოდგინებით აძლევდა ბასუხს თავის საყვარელ ძმას.

IV

ერთ საღამო ჟამს ასე ერთად ისხდნენ და-ძმა სახლში და რაღაზედაც გაცხარებული ტიკტიკებდნენ. მათ შორი-ახლო იდგნენ კიკოლა და ამის ცოლი და ესენიც ნელ-ნელა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ცოტა ხანს უკან კიკოლა მოტრიალდა ბავშვებისკენ და დაიძახა:

— ბიჭო, ქაჯანა, ამაღამ რომ ჭიაკოკონობაა და შენ კი არა გაქ რა?

— როგორ არა მაქ, — დაიძახა ქაჯანამ, — გუშინდელი დღე სულ კაჭაჭი ვაგროვე.

— ი რას გეყოფა, ბიჭო, მერე! — სთქვა კიკოლამ, — ისეთი ჭიაკოკონა უნდა დაანთო, რო ცამდინ ადიოდეს იმისი ალი...

— მაშ გავიქცევი ნაფუძრებში და კიდევ ავკრეფავ კაჭაჭს, — წამოიძახა ქაჯანამ და წამოხტა ფეხზედ.

— არა, შვილო, ეხლა გვიანღაა. მე წავალ და საბძლიდან ერთ კაი კონა ჩალას და ცოტა თივას მოგიტან, — სთქვა კიკოლამ და გასწია კარებისაკენ.

— დილილ მე, დილილ მე, — სიხარულით დაიძახა ქაჯანამ და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, შეხტა მაღლა და შეიკუნტრუშა.

— ახლა, შარშან ჭიაკოკონობას რო ჩვენებიანთ საბძელი დაიწვა? ეხლაც რო კიდევ დაიწვას, მერე? — წამოიძახა კატომ.

— მართლა, დედა, რო კიდევ დაიწვას? — განიმეორა ქაჯანამ.

— უნდა ფრთხილად ვიყვეთ, შვილო, და არაფერი არ დაიწვება, — უპასუხა მართამა.

— ახლა, რა არი დედა, რომ ჭიაკოკონა არ დავანთოთ? — დაიძახა კვალად კატომ.

— ჭიაკოკონას რათ ვანთებთ ხოლმე, დედა? — მიაძახა ქაჯანამ.

— ემღამეს, შვილო, უნდა უსათუოდ დაინთოს ჭიაკოკონა ყველა სახლის კარებზედა... ეს იმიტომ რომა, ხო დაგინახავთ, აი ზემოდამ რო მაღალი მთა მოჩანს, იალბუზს რო ეძახიან — იქა, შვილო, ამაღამ ეშმაკები, ქაჯები, ჭინკები შეგროვდებიან ერთად და ქორწილებს გამართავენ ხოლმე. იქიდან გახარებულები გამოფრინდებიან, შვილო, დაერევიან სოფლებსა და, თუ ცეცხლი არ დაინახეს ვისმე სახლის კარებზედ (ცეცხლისა ძლიერ ეშინიათ იმათა), მაშინვე შევლენ იმ სახლში, ან დაახრჩობენ ვისმე, ან გააგიჟებენ; ხანდიხან მოიტაცებენ ხოლმე კიდეცა, მომეტებულად პატარა ბავშვებსა, წაიყვანენ იმ იალბუზზედ, დაჭკლავენ და შეჭსჭამენ...

— დედა, — დაიძახა ქაჯანამ, — ე ერდოდამ რომ ჩამოვიდნენ?

— აგერა, შვილო, — უპასუხა დედამ, — აი ჯვარედინად როა ერდოში გადებულ-გამოდებული ეკლიანი ასკილები, იმიტომ გააკეთა

წელან მამაშენმა, რომ ვეღარ ჩამოვიდნენ იქიდანა... ჯვარისა და ეკლისა ძრიელ ეშინიათ კუდიანებსა...

მართა გაჩუმდა; ბავშვებიც სულგანაბულნი ისხდნენ... ასე დარჩნენ ესენი კარგა დიდ ხანსა. მათი სახის გამოხატულება და მოძრაობა ამ სახის ასოებისა ცხადად აჩვენებდნენ, რომ ამ პატარაების პაწაწკინა გულები მოსვენებით არ იყვნენ ეხლა. ორთავენი ფიქრობდნენ, მაგრამ, როგორცა სჩანდა, ერთნაირად კი არა... ქაჯანას ფიქრში შიში იყო ჩარეული, ეს დაღვრემილი სახით თავჩაღუნული იდგა და გაშტერებით დაიცქირებოდა მიწაზე. კატოც ფიქრობდა, მაგრამ მის თვალებს სიცოცხლე კი არ მოჰკლებოდა, თითქო ერთი ორად მომატებოდა: თვალებს ხან აქით აცეცებდა, ხან იქით, თითქო ეძებს რასმეო... ბოლოს რაღაც კვიმატური ღიმილი გადაეფინა სახეზედ... და ამ დროს შემოჰკრა ტაში და წამოხტა ფეხზედ... ანება ძმას თავი, ისარივით გავარდა კარზე, ავიდა პატარა წნულზედ და გადახტა სათონეში... მივიდა ვარცლთან და სტაცა ხელი პურის ცომის დიდ ტყავს და საჩქაროზედ გაეხვია მასში... შემდეგ მოტრიალდა, აიღო ერთი პირგანიერი ქოთანი და ჩამოიცვა თავზედ... დაიჭირა ხელში თონის საჩხრეკი და ბურტყუნ-ტორტმანით დაიწყო სათონეში სიარული... უცებ შესდგა, გაიკისკისა ერთი და საჩქაროზე გაიძრო ყველაფერი ტანიდამ...

— ჯერ ადრეა, ჯერ ადრეა კიდევ... — წაიბუტბუტა და გადმოხტა ისევ უკანვე...

ახ, ჩემო საწყალო ქაჯანავ! სად იყავ ამ დროს, რომ ვერ დაინახე სათონეში შენი კუდიანი და!?

V

ჭიაკოკონობა გაჩაღებული იყო: მთელი ის პატარა სოფელი სულ ცეცხლის ალში იჯდა; თითქმის ყოველი სახლის წინ ენთო ჭიაკოკონა, რომელსაც გარშემო ეხვივნენ დიდით პატარამდე წევრნი იმ ოჯახისა. დიდები მომეტებულად სეირს უყურებდნენ; ზოგიერთ მათგანს კი, უფრო ქალებს, სული წასძლევდა ხოლმე, გაექანებოდა და ხტებოდა ანთებულ ცეცხლზედ. ამას მოჰყვებოდა საზოგადო კიჟინა და სიცილი. ახალგაზრდები და პატარაები დიდს სიხარულში იყვნენ: ერთი განუწყვეტელი ჟღავიჟღუვით ურბენდნენ ჭიაკოკონას გარშემო, ხტუნაობდნენ მასზედ და ჰყვიროდნენ: „ალული კუდიანებსა, ჯვარი აქაურობასა“.

კიკოლას სახლის კარებზედაც ენთო ჭიაკოკონა... სახლის პატრონნი, ცოლ-ქმარი, ძარის ქვეშ ქვებზედ ისხდნენ და ჩუმათ გასცქეროდნენ თავიანთ ქაჯანას... ეს და ახლო მეზობლების რამდენიმე გოგო-ბიჭები

ქივილ-ხივილით უხტოდნენ გარშემო ჭიაკოკონასა და თანაც ნელ-ნელა უმატებდნენ ჩალა-ბულას. კატო იქ არსად არა სჩანდა, მაგრამ იმისი დარდი ვის ექნებოდა მაშინ? ქაჯანა გადგა შორს, გამოჰქანდა იქიდამ, დაჰკრა ფეხი ჭიაკოკონას წინ და მარდად გადაევლო ზედ გაძლიერებულ ცეცხლსა, მაგრამ იქით თავი ვეღარ შეიმაგრა, ტორტმანით წავიდა წინ და ბაკის ღობესთან წაჰყო თავი... წამოიწია, უნდოდა მარდად წამომხტარიყო, მაგრამ იქვე თავის წინ, ბაკის ღობის ჩრდილში, უცებ დაინახა რაღაც ბანჯგვლიანი და უთავო; დიდ კეტზე დაბჯენილი, შეინძრა ის და ბუტბუტით გამოსწია ქაჯანასაკენ. ქაჯანა წამოხტა, უნდოდა დაეყვირა, პირი გააღო, მაგრამ ყელიდამ სუსტი ხავილის მეტი აღარა ამოუვიდა-რა. მაინც გამოტრიალდა უკან, გადმოსდგა რამდენიმე ნაბიჯი და უცებ, მოწყვეტილი ყვავილივით, უგრძნობელად დაეცა დედამიწაზედ. კიკოლამ დაინახა ეს, წამოვარდა ქვიდგან და სტაცა თავის შვილს ხელი. მაგრამ რას ხედავს საწყალი ბერი-კაცი? გაფითრებული, პირდაღებული, თვალებდაჭყეტილი და უგრძნობელი შვილი კი შერჩა ხელში.

— ვაიმე, შვილო სიმონა! — დაიღრიალა ერთი კიკოლამ და მუხლმოკვეთილი ჩაჯდა იქვე.

მივარდა დედაც. მიეხვივნენ პატარა ბავშვებიც და გაჩნდა ერთი საშინელი, სულისა და გულის შემაძრწუნებელი წიოკობა. ამ წიოკობაზედ მოსქდა მთელი სოფელი და გრიალით მიაწყდა კიკოლას კარ-მიდამოს...

— რა ამბავია, ქალო, რა ამბავია? — იძახოდნენ აქეთ-იქიდან...

— საცოდაობა, გენაცვალეთ, საცოდაობა! — უპასუხებდა რამდენიმე ხმა. — ქაჯანას ავი სული დასცემია!..

— ვაიმე, დედავ, ქაჯანაი, დედავ! — ისმოდა მომტირალი ბავშვების ხმა.

— ოჰ, კაცო რა უბედურება მოუვიდა მა საწყალ კიკოლას!! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს თვალცრემლიანი გლეხები.

— ბარბარე მოდის, ბარბარე! — დაიძახეს... ხალხი გაიყო ორად და შუაში დარჩენილ გზაზედ გამოჩნდა თითქმის მოხუცებული, კარგა ლაზათიანად ჩასუქებული, კეთილსახიანი დედაკაცი, მანდილოსანი ბარბარე, ექიმობით განთქმული მთელს იმ მხარეში. სჩანდა, ძლიერ ერბინა: ოფლის ხვითქი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზედ... ის მივიდა კიკოლასთან, რომელიც არავის არ ანებებდა თავის შვილს, გულდამშვიდებით გამოართვა ბავშვი, მიიკრა ძუძუებთან და ნელ-ნელა გასწია კიკოლას სახლისაკენ... დედა, მამა, ხალხი მიჰყვა მას უკან... ბარბარე დადგა კარებში. შეუშვა ბავშვის დედ-მამა სახლში, შემდეგ რამდენიმე გამოცდილ დედაკაცს დაუძახა, შეიყვანა ესენიც შიგ და სხვებს ჩაუკეტა

მაგრა კარები... ბარბარე დაჯდა ჭილობზედ, გადასწერა რამდენჯერმე ქაჯანას პირჯვარი, დაიწყო რაღაც ტუტუნი და თანაც მაგრა უსვამდა ხელს ქაჯანას გულსა და თავზედ. გავიდა ცოტა რამ ხანი და ქაჯანამ პირიც მოკუმა, თვალებიც დახუჭა... დედ-მამამ და იქ მყოფმა დედაკაცებმა ამოუშვეს ქვითქვითი.... გარეთ მყოფმა ხალხმა ეს ქაჯანას სიკვდილით ახსნა. უცებ ბანიდამ, კარებიდამ, სანათურიდამ მოისმა ხალხის ტირილი... ბარბარემ დინჯად აიღო თავი მაღლა, მიიხედ-მოიხედა და ერთის საშინლის ჭექის ხმით დაიძახა:

— რას დაგიჟებულხართ, ხალხო; ბავშვი კარგათა ხდება და თქვენ კი ღმერთი გიწყრებათ!

ხალხმა, გარეთ, თუ შიგნით, ხმა გაკმინდა... მხოლოდ ერთი ვიღაც პატარა გოგო არ ჩუმდებოდა: მას, ფრჩხილებით დაკაწრული, სისხლიანი სახე ჩამოეყო ბანში და გულამოსკვნით საცოდავათ ტიროდა...

ნეტა ვინ იყო ის გოგო?

VI

თითქმის ნახევარი წელიწადი გავიდა ამ ამბის შემდეგ... ვგონებ, რაღაც უქმე დღე იყო და ამის გამო კარგა ბლომად მოეყარა ხალხს თავი ერთს ადგილას და ჰქონდათ ერთი რაღაც ყაყანი... მათ შორიახლო ძირს დაყრილ დიდ ხეებზედ გადამსხდარიყვნენ ათი-თორმეტი პატარა ბიჭი და მხიარულად მღეროდნენ... ერთი ამ პატარა ბიჭთაგანი ამხანაგებზედ კარგა მოშორებით იჯდა... მისი დაღონებული სახე, მაგრა მოკუმული პირი ცხადად აჩვენებდნენ, რომ ის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა იმ სიმღერა-მხიარულებაში. პატარაებმა დაიწყეს „გოგონა“, დაჰკრეს ტაში და ერთი პატარა ბიჭი დატრიალდა სათამაშოთ... დაღონებული ბიჭი მობრუნდა მათკენ... თვალები გაუცოცხლდა და თითქო რაღაც კანკალმა აიტანა... უცებ გააღო პირი, ვგონებ სიმღერა უნდა ჩამოერთმია ერთი უხეირო მომღერლისთვის... მაგრამ პირიდამ რაღაცნაირი პირუტყვული ზმუილის მეტი არა ამოუვიდა რა... თითქო თავისი ხმისა თითონვე შეეშინდა... თავში დაკრულსავით დაბარბაცდა და მსწრაფლ მოკუმა ისევ მაგრა პირი... სახე უფრო მომეტებულად დაღონდა და თვალებიდგან ღაპა-ღუპით წამოუვიდნენ ცრემლები.

— რათა ტირი, შენ გენაცვალე?.. ნუ ტირი, შენი სახელის ჭირიმე! — ალერსით უთხრა მომტირალს ერთმა გოგომ, რომელმაც უცებ საიდგანღაც მოირბინა და მოუჯდა მას გვერდზედ... ბავშვი მიტრიალდა, წაავლო ხელი მის ნიკაპს და მიახედა ის მომღერალი ბიჭებისაკენ... მერე თავის პირზე მიიდო ხელი და თავი მწუხარედ გაიქნ-გამოიქნია...

გოგოს თვალები ცრემლებით აევსო... მოეხვია ბავშვსა და კვნესით დაიძახა:

— ვაი მე და დიდი ჭირი!.. ოი, შენ გენაცვალე, შენა!..

ეს დაინახეს იქვე მსხდომმა კაცებმა. გაწყვიტეს ლაპარაკი და დაუწყეს ამ ორ ბავშვს ცქერა...

— ოჰ, ოჰ, რა ბავშვი წახდა, რა ბავშვი!! — დაიძახა ერთმა, — ახლა, ეგრე მუნჯად უნდა დარჩეს?!

— ღმერთია შენი თავდები, რო ე გოგო უფრო მეცოდება, — სთქვა მეორემ. — ამ ქალაქ დღე სუ ეგრე უზის, კაცო, გვერდზედ და განუწყვეტლად დასტირის ზედა... საწყალი, როგორ გახდა, ხედამთ?..

— კატების ნათრევს დაემსგავსა საწყალი გოგო, — დაურთო სეესამემ, — სადღაა, შვილოსან, მაგისი ხუმრობა და ეშმაკობა!.. საწყალ კიკოლას ორი შვილი ეღუპება, ორივე ერთად.

— კიკოლა დღეს მკითხავთან წავიდა... ვნახოთ, ერთი რას იტყვის ი მკითხავი? — სთქვა მეოთხემ...

ჯერ არც კი გაეთავებინა ამას უკანასკნელი სიტყვა, რომ უცებ უკანიდამ მოისმა ფეხის ხმა... ზოგიერთებმა მიიხედეს უკან და თითქმის ერთხმად დაიძახეს:

— აგერა, კიკოლაც მოდის...

— რა ჰქენი, კიკოლა?.. დაეკითხა რამდენიმე ერთად ჯერ ისევ მომავალ კიკოლას...

— ძაან იმედი კი მამცა და არ ვიცი! — სთქვა სრულიად გათეთრებულმა და წელში საცოდავად მოხრილმა კიკოლამ. — სათაურას წმიდა გიორგში წაიყვანეთ და ალოცეთო. იქ იმდენ ხანს უნდა დარჩეთ, სანამ თითონ წმიდა გიორგი არ დაგითხოვთო... ვენაცვალე იმის მადლსა და ხახელსა!! თუნდ ჩემ სიცოცხლეს სუ იქ დავლევ, ოღონც კი ჩემ სიმონას ეშველოს რამე... ავი სული დასცემია თავზედაო...

— მაშ მალე წადი, კაცო, — უთხრა მას ერთმა გლეხმა, — აი, ძმაო, როცა გინდა, კამეჩები, გინდა ხარები, წაიყვანე.

— კიკოლა, — დაიძახა მეორემ, — ჩემი ურემი სუ მზა-მზარეული დგა... თუ გინდა, წაიღე...

— ღმერთმა გადღეგრძელოთ, თქვენი ჭირიმე!.. მაშ დღეს შევემზადები და ხვალ დილა ადრიან გავუდგები გზასა, — სთქვა კიკოლამ და გასწია თავის ბავშვებისაკენ.

VII

კავკასიის მთის ერთს ფაღალ ტოტზედ, მივარდნილ ციცაბო ადგილას არის გაშენებული პატარა სოფელი, სათაურა. ხანგრძლივი ზამთრისა

და სიცივის გამოისობით მინდვრისა თუ ხეხილის მოსავალი ძალიან ღარიბად იცის აქ. ვაზი ხომ სრულებით არა ხეირობს აქეთკენ. სიცივესა და ღვინის უქონლობას არყის ხდისათვის წაუვლებინებია ხელი აქაური მცხოვრებლებისათვის... თავიანთ დიდი, უზარმაზარი ტყეებიდან ჩააქვთ ძირს სოფლებში წნელი, ფიჩხი, შეშა, ხე-ტყე, ყავარი... შოულობენ ამითი თითო-ოროლა გროშსა; ან კიდევ სცვლიან ყველა ამას პურში, სიმინდში და ღვინოში; მოაქვთ შინ: ზოგსა სჭამენ და სმენ, ზოგსაც არყად ხდიან... არაყს მომეტებულად იქვე ადგილობრივა ჰყიდიან და კაი შემოსავალიც აქვთ აქედან... — თქვენ, იქნება, გაჰკვირდეთ და იკითხოთ: აქვე, იმ მივარდნილ და პატარა, საწყალ სოფელში ვისზედ ჰყიდიან არაყსაო? ამ სოფელს კვლავ, როდისმე, უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ, ჩემო კეთილო! ეხლა კი მხოლოდ თითს მიგიშვერთ ა იმ საყდრისკენ... ხედავთ სოფლის ცოტა ზემოთ მაღალ, კოშკის მსგავს გორაზედ, დიდი დაბურული ხეების ტოტებიდან რომ თეთრი კედელი გამოჩანს?! ეგ გახლავთ წინა კედელი მთელ საქართველოში განთქმული სათაურას წმიდის გიორგის ეკლესიისა, რომელშიაც, როგორც ამბობენ, ასვენია თავის სარქველი მოხსენებულის წმიდანისა... გაზაფხულდება თუ არა, დაიძვრის ამის მლოცავი და საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდის აქ შესაწირავი... რაკი თვით ეკლესიასთან ურმით არ შეიძლება ასვლა, ამის გამო ყოველი მლოცავი აყენებს ურემს სოფელში, ჰყრის აქ საქონელს და თვით ბარგი-ბარხანით მიდის ზემოთკენ... ამ დროს წინ უხვდებიან მათ აქაური მცხოვრებელნი, მომეტებულად გოგო-ბიჭები, აჩვენებენ ქათმებს, ყველს. უფრო კი არაყს და იმართება მათ შორის ნამდვილი ქალაქური ვაჭრობა... ამ გარემოებას, ცოტა არ არის, ცუდი გავლენა მოუხდენია სათაურელი გლეხის ზნეობაზედ; მასში გახსნილა ვაჭრული სიცრუე, სხვის მოტყუების სურვილი და ცოტა კრიჟანგობაც... ამას, სამწუხაროდ, ვერ ხედავენ სათაურელი გლეხები, ამის გამო მლოცავების მოსვლა ძლიერ სასიამოვნო რამ არის ხოლმე მათთვის... თუ რამდენმამე დღემ გაიარა და მლოცავი არსაიდან არ გამოჩნდა, სათაურელებმა აღარ იციან ხოლმე რა ჰქმნან... მოცლილი გოგო ბიჭები გადასხდებიან მაღალ ადგილებზედ და გულის ცემით ათვალიერებენ მათკენ მიმავალ გზებს...

ერთს დღეს ამგვარად ისხდნენ ორი აბრანძული, კარგა მოზრდილი გოგოები და გადაიცქირებდნენ გზებისაკენ... ერთმა მათგანმა უცებ ყურები ცქვიტა და წამოხტა ფეხზედ...

— მოდიან, მოდიან ურმითა, — დაიძახა მან და გაჰქანდა შინისაკენ... მეორეც გამოუდგა მას უკან.

მართლა და, საშინლად ამოღმართ გზაზედ გამოჩნდა ნელ-ნელა ზემოთ მომავალი უჩარდახო ურემი... გავიდა რამდენიმე ხანი და ურემი

შემოვიდა სოფელში... ვგონებ, თქვენც მიხვდებოდით, ვინც იქნებოდნენ ამ ურემში... კიკოლა გადმოხტა ურმის თავიდან, გამოუშვა საქონელი და ძირ დაშვებული ურმიდგან გადმოვიდნენ მართა, კატო და ქაჯანა... ურემი და საქონელი ერთმა გლეხმა მიიბარა. ბარგი კი, რაც რამა ჰქონდათ, აიღეს ხელში, გაიგდეს წინ გზაზედ ნაყიდი, კაი დიდი ცხვარი და ნელ-ნელა გასწიეს ეკლესიისკენ... ამათთანა ღარიბი მლოცავები ვერაფრად იამათ სათაურელებს.

VIII

ავიდნენ თუ არა ეკლესიასთან, მაშინვე ჩვენმა მლოცავებმა დაიბარეს მღვდელი, პარაკლისი გადაახდევინეს, დაამწყალობლებინეს თავიანთი ქაჯანა... მუხლის თავებით რამდენჯერმე შემოუარეს გარშემო საყდარს; შემდეგ დაკლეს ცხვარი და ლუკმაც არ აუღიათ თავიანთთვის, სულ სხვებს დაურიგეს... საწყალი კიკოლა საყდრის კარებს აღარა შორდებოდა... უნთებდა ხატებს სანთელს და მაღალის ხმით ევედრებოდა მათ ქაჯანას გასაღებასა... აგრეთვე ცოლიც, მაგრამ კატო აკვირვებდა ყველა თავის მნახველს! წმიდის გიორგის დიდი ხატის წინ იდგა მუხლებზედ და თვალცრემლიანი ევედრებოდა: „წმიდაო გიორგი, შენ თეთრ ცხენ ვენაცვალე, ამოადგმევინე ენა ჩემს ქაჯანასა და, თუ გინდა, მე დამამუნჯე". თვითონ ქაჯანაც არ იყო მოცლილი: ესეც მამის გვერდზედ იდგა, იწერდა მალ-მალ პირჯვარს და თვალებგაშტერებული შესცქეროდა ბჟყვრიალა და ლამაზ ცხენიან წმიდა გიორგის... მაგრამ წმიდა გიორგი ხმას არავის არ სცემდა. ქაჯანას უკეთობა არაფერში არ შეეტყო. მაინც ღვთის ვედრებას არავინ არა სწყვეტდა... გაიარეს დღეებმა, გაიარა კვირამ, და ქაჯანა მაინც ისევ მუნჯი იყო... შემოაკლდათ საგზალი და გაუჭირდათ ცხოვრება... ითმინეს, და როდესაც შიმშილმა ძლიერ შეაწუხა, გაგზავნეს კატო სოფელში პურის სათხოვნელად. პირველ დღეს შვიდი-რვა პური მოიტანა კატომ, მეორეს — ამაზედ ცოტა და მესამეს ერთი ხმიადი ძლივს ე'მოვნა, თუმცა მთელი სოფელი კი შემოევლო საწყალ კატოს... დაღონებული მოვიდა და უთხრა თავის მამას: „აღარავინ არას იძლევა, ერთმა ბებერმა დედაკაცმა ჯოხით გამომაგდო თავიანთ დერეფნიდამაო". კიკოლა დაღონდა; სახლი შორსა ჰქონდა. ეს დალოცვილი წმიდა გიორგიც არც ცხადივ და არც სიზმარში არაფერს არ ეუბნებოდა შინ დაბრუნებაზე... შესწუხდა კიკოლა... „ამასაც მოვესწარი?" — სთქვა მან და გაჯავრებით გადააფურთხა სოფლისაკენ... არც სოფელი იყო მისი მადლიერი.

ერთს საღამოს სათაურელი ახალგაზრდა ბიჭები იდგნენ სოთივის ქვეშ და რაღაცას სიცილით ლაპარაკობდნენ.

— ღმერთმანი, ეგრე კარგი იქნება, ძმაო, — სთქვა ერთმა, — ეგენი იძახიან: სანამ წმიდა გიორგი არ გვეტყვის, არ წავალთო... ერთი პატარა ბიჭი გადავაძვრინოთ ფანჯრიდამ საყდარში და დავაძახებინოთ: წადით, დრო არის ეხლა კიო... ისინი ხო სუ კარებში სხედან... გაიგონებენ, შვილოსან, წმიდა გიორგი ეგონებათ და გაგვეცლებიან აქედგან...

— ანგრე იყვეს, ანგრე იყვეს! — დაიძახეს აქეთ-იქიდან. შემდეგ გადასწყვიტეს მაშინვე წასვლა... მართლა და, დაუძახეს დიაკვნის პატარა ბიჭსა, დაარიგეს ის კარგად, წაიყვანეს თანა და გასწიეს ეკლესიისაკენ... კარგა ბინდი იყო დაცემული დედა-მიწაზედ, როდესაც ეს ბიჭები მოფარვით ავიდნენ საყდართან და მიიპარნენ ფანჯარასთან... ერთმა მათგანმა აიყვანა ხელში პატარა ბიჭი და საყდრის უმინო სარკმელში გადააყოფინა ფეხები. პატარამ შეიხედა შიგ და მაგრა მოებღაუჭა ფანჯრის რკინებს...

— ვერა, ვერა, თქვენი ჭირიმე!.. ბნელა, მეშინიან... — დაიძახა მან.

— ბიჭო, ბიჭო, ნუ გეშინიან, ნუ... აქ არა ვართ ჩვენა, — დაუძახა მას ორმა, თუ სამმა ბიჭმა.

— დედა არ მამიკვდება, ისეთ კურდღლებს მოგიყვან, რომ შენოდენები იყვნენ, — უთხრა მას ერთმა... პატარა დათანხმდა და შიშის კანკალით ნელ-ნელა ჩაეშვა ძირსა... ამ დროს გაიღო კარი და საყდარში შემოვიდა მართა. მას უკან შემოჰყვა ანთებული წმინდა სანთლით ქაჯანა... პატარა ბიჭს შეეშინდა და რაღაც ნაირის ხმით დაიძახა: „წადით, წადით“ და მიიკუნჭა კედლის ბნელ კუნჭულში... მართა გამოჰქანდა უკან... „ვაიმე, კიდევ!..“ დაიყვირა უცებ ქაჯანამ და გაყვითლებული გამოვარდა კარზედ...

— რა იყო, შვილო, რაი, შენი ჭირიმე... — დაიძახა კიკოლამ და მივარდა შვილს.

— წმიდა გიორგი დადის საყდარშიიი! — კანკალით წამოიძახა ქაჯანამ... ამ სიტყვების გაგონება და კიკოლას წაქცევა ერთი იყო... კატო სულ მთლად გიჟს დაემსგავსა... მორთო ერთი საშინელი ხარხარი და ამასთანავე ცრემლის ღვრა... კუტივით იჯდა ერთს ალაგას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იქნევდა აქეთ-იქით ხელებს... მართა ეცა კიკოლას, დაასხა ცოტაოდენი წყალი და მოასულიერა ის, შემდეგ ჩაისვა ქაჯანა კალთაში და მაგრა მიიკრა ძუძუებთან... კიკოლა წამოჯდა, შეხედა თავის შვილს და დაიძახა:

— შვილო, შვილო, ერთი სიტყვა კიდევ მითხარი, შენი ჭირიმე!

ქაჯანა გამოუძვრა დედას ხელიდამ და მოეხვია მამას...

— ენა ამამედგა, მამა, ენაი... — სიხარულით დაიძახა მან...

კიკოლა მოეხვია თავის შვილს და მორთო ერთი საშინელი ტირილი... სათაურელმა ბიჭებმა საჩქაროზედ გადაიყვანეს პატარა ბიჭი საყ-

დრიდგან და ფაცხა-ფუცხით დაეშვნენ სოფლისაკენ... კარგა მოშორებით ,ყვნენ, როდესაც კიკოლას ღრიალი გაიგონეს... დადგნენ და დაიწყეს საყდრისკენ ცქერა...

— ბიჭო, ბიჭო, შეხედეთ, რა ამბავი აქვთ... — დაიძახა ერთმა, — ი წმიდი გიორგის მადლმა, სუ დაგიჟებულან...

— წავიდეთ, ძმაო, წავიდეთ, — სთქვა მეორემ, — ემანდ ხათაბალა არა გაჩნდეს რა. — და მართლაც ისევ მოუსვეს სოფლისკენ.

ჩვენმა მლოცავებმა კი ის ღამე, როგორც იყო, გაატარეს აქა და მეორე დღეს დილა ადრიან შეაბეს ურემი და სიხარულით გამოსწიეს შინისკენ...

IX

როდესაც გახარებული კიკოლას ურემი შემოდიოდა ჩვენს სოფელში, იმ დროს ქვემო გზით მე გავდიოდი ამ სოფლიდამ... წამოველ და მთელი ერთი წლის განმავლობაში აღარ მიმიხედნია იქითკენ... ჩემი ყური და თვალები ამ ხანებში ქალაქელ ქაჯანებში იყო გართული, ჩემი სოფლელი საყვარელი ქაჯანა არა თუ არ მინახავს, მისი ამბავიც კი არ გამიგონია. ამ ორი-სამი დღის წინათ მარტოკა ვიჯექი ჩემს ოთახში და ვწერდი ამ აბის მერვე თავის უკანასკნელ სტრიქონებს... ამ დროს გაიღო კარები და ოთახში შემოვიდა ერთი ჩემი ძველი შეგობარი და ამხანაგი — სანდრო.

ეს ახალგაზრდა კაცი ჯერ ისევ ყმაწვილი იყო, როდესაც მას ჩაენერგა გულში გლეხკაცის სიბრალული და ძმური სიყვარული. იტანჯებოდა და უნდოდა შეეტყო, გაეგო, თუ რად არიან გლეხკაცნი მწუხარებაში და რით შეიძლებოდა გაქრობა ამ მდგომარეობისა. მას ამ დროს ჩაუვარდა ხელში რამდენიმე, ამ საგანზედ დაწერილი, წიგნი, გულმოდგინებით დაიწყო მათი კითხვა... მაგრამ, უცებ ერთხელ თავს წაადგა მას ჩვენი სკოლის უფროსი, რომელმაც მაშინათვე გამოარიცხვინა ის სკოლიდან. ობოლი, ღარიბი და საწყალი გამოუცდელი სემინარელი გაუყენეს შარა გზას. ამის გამო, მეორე დღესვე დაანება თბილისს თავი და გასწია თავისი საწყალი მოხუცებული დედისაკენ... ეს იყო და ეს! მოგვეფარა თვალიდან და მას აქეთ აღარაფერი არ გაგვიგონია მასზედ. წარმოიდგინეთ, როგორ გამეხარდებოდა, როდესაც ის უცებ ჩემს ოთახში დავინახე... წამოვარდი და, შემდეგ სალამ-მოკითხვისა, დავსხედით ერთადა...

— როგორა ხარ, სანდრო? ხად იყავი აქამდისინ და ან ეხლა სადა ხარ? — უთხარი მას.

— ხომ გახსოვს, ჩემო ძმაო, მე ჩემ თავზედ ლაპარაკი არ მი-

ყვარს.. .— მითხრა მან, — ამიტომ არაფერს არ გეტყვი ეხლა ჩემს წარსულზედ... ჩემი აწმყო კი სამოდ სიტყვით გამოიხატება: მე დღეს ვარ თქვენებური სკოლის მასწავლებელი. მართალია, სიღარიბე ბევრნაირად მაწუხებს, მაგრამ რაკი ჩემს მიზანს ვემსახურები, მასთან სიტკბოებასაც ბევრსა ვგრძნობ. შენის თვალით რომ ხედავდე შენი შრომის კეთილ ნაყოფს, განა ეს ბედნიერება არ არის?! უნდა შემოხვიდე როდისმე ჩემს სკოლაში და დაინახო, როგორის მოსაზრებით და სიცოცხლით იძენენ და ამბობენ ყველა მას, რასაც კი იგონებენ ჩემგან! იცი? ორმოცამდის შეგირდი მყავს, ორი განყოფილება არის: ერთი ვაჟებისა და მეორე ქალებისა... ერთმანეთის მიხედვით ისეთნაირად არიან წახალისებულნი, რომ თქმა გაგიჭირდება: რომლები სჯობიან, ბიჭები თუ ქალები!..

— დაიცა, დაიცა, შენი ჭირიმე, — გავაწყვეტინე მე, — კიკოლას ქალ-ვაჟი არ დადიან სკოლაში?

— ოჰ, რას ამბობ, კაცო! — დაიძახა სანდრომ, — კიდეც ისინი არიან და!.. და ქალებშია პირველი, ძმა — ვაჟებში... უნდა დაგანახვა ეს დაძმა რომ გაუჯიბრდებიან ხოლმე ერთმანეთს არითმეტიკაში... ღმერთმანი, სიხარულისაგან ბევრჯელ ცრემლები მომივა ხოლმე თვალებში... მაგრამ ცრემლები ბევრჯელ უილაჯობისაგანაც `კი მომსვლია!!.. ერთი მითხარი: რა უნდა ჰქნან, სად უნდა წავიდნენ ეს ნიჭიერი ბავშვები, როდესაც ჩვენს სკოლაში გაათავებენ სწავლას!! მე დარწმუნებული ვარ, იმათ რომ სწავლა გააგრძელონ, სახელოვანი შვილები გამოუვლენ ჩვენს დაცემულ ქვეყანას... მაგრამ, რითი? ამ ერთი ძველი ჩოხის მეტი არა მაბადია რა! — სთქვა და მწუხარეთ დაჰკიდა თავი ძირსა.

— იცი, ძმაო, ჩამომგვარე ქაჯანა აქა...

— კარგი, — სიხარულით წამოიძახა სანდრომ. — ქაჯანა შენ, კატო მე... უკანასკნელ ტყავს გავიძრობ და კატოს კი სწავლას გავაგრძელებინებ.

— ძალიან, ძალიან კარგი, მაგრამ ერთი ესეც მითხარი, სანდრო, — კიკოლა როგორ არის, კიკოლა?

— კიკოლას რა უშავს, კაცო! რამდენიც დრო გადის, ის უფრო ყმაწვილდება. სადაც კი ქორწილი გაჩნდება, კიკოლა უსათუოდ იქ მაყრად არის მიწვეული... წლეულ მამასახლისად ამოირჩიეს ის, მაგრამ უარი სთქვა; ვაი თუ ან ჩემს სულს დაუმძიმო და ან მეზობელს ვაწყენინო ვისმეო. მეც ბევრი ვეხვეწე, მაგრამ არ დათანხმდა: ცუდი ხელობაა ძიელაო.

— ქაჯანა და კატო ხომ კარგად იყვნენ, რომ წამოხვედი?

— კარგად... ძლიერ კარგად, მაგრამ ქაჯანა ცოტა მშიშარაა... მომეტებულად ტყავისა ეშინიან: ტყავიანი კაცი რომ დაინახოს, სულ

ელეთ-მელეთი მოსდის ხოლმე. არ ვიცი, იცი შენ თუ არა?.. ერთხელ, ამ ერთი წლის წინათ, კატოს ტყავი წამოესხა და იმითი ისე შეეშინებინა ქაჯანა, რომ ამ უკანასკნელს ენაც კი ჩავარდნოდა... შემდეგ ეთქვა კატოს ყველა ეს, მაგრამ ქაჯანას შიში მაინც არ ამოფხვრილიყო ამითი... კატოზედ ამბობენ, წინათ ძლიერ ეშმაკი იყოო... თუმცა სიცოცხლე და კუდიანობა არც ეხლა აკლია, მაგრამ უფრო დინჯი, უფრო მოფიქრებული ყოფა-ქცევა აქვს.

ამის შემდეგ კარგა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა ჩვენ შუა. შემდეგ ლაპარაკის საგანი გამოიცვალა, გავებით ხუმრობა-ლაზღანდარობაში... სანდრო გუშინ დაბრუნდა თავის საყვარელ სკოლაში და აღმითქვა ქაჯანას მალე გამოგზავნა.

დღე-დღეზედ ველი ჩემ სოფლელ პატარა ქაჯანას; მაგრამ, ვინ იცის, რამდენი „ქაჯანები" დარჩებიან კიდევ ჩვენ საცოდავ სოფლებში?!.

პაწია მეგობრები

I

იდგა მკათათვე. ხართგამოშვების დრო მოტანებული იქნებოდა. მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო, მაგრამ საშინელ სიცხე-პაპანაქებას კი ამით არაფერი შველებოდა. შემდგარ-შეტბორებულ ჰაერში მხოლოდ ხანდისხან ოდნავ წამოუბერავდა ხოლმე ქვენა (აღმოსავლეთის) ქარი. ჯოჯოხეთს რომ ერთი მუგუზალი აკლდა, სწორედ ამ მუგუზალს წააგავდა ეს ქარი. ზაფხულში ხომ ისედაც ცხელა, მაგრამ, თუ ეს ქარიც ზედ დაერთო, სიცხე საშინელება ხდება. იგი ჩნდება აღმოსავლეთის უდაბნოებში, მოჰქრის იქიდან და თან მოაქვს სულის შემხუთავი პაპანაქება, მოსავლის გამაოხრებელი გვალვა, ყოველი ცხოველის შემაწუხებელი ჰავა. მხოლოდ ვენახები არიან ამ დროს კაი ყოფაში: მტევნები მსწრაფლად იზრდებიან, ტკბილი წვენით იჭიკნებიან; ყურძენი საჩქაროზე მწიფდება, ქარვის ფერად ემკრახება მარცვლები. ვისაც ღვინო უყვარს, ან კიდევ — ვისაც მარტო ვენახები აქვს, ისინი ლოცავენ ქვენა ქარსა. მაგრამ ყოველი მხვნელ-მთესველი და, საზოგადოთ, ხალხის უმრავლესობა წყევლა-კრულვით იხსენიებს მას. იგი ახდენს და აოხრებს პურსა, სიმინდსა, ქერსა, ლობიოსა; ხილსა და კიდევ სხვა მრავალნაირ მოსავალსა. მინდორში სწვავს და აქრობს ბალახსა. ადამიანებს, საქონელს და შინაურ ფრინველებს აწუხებს და მათ შო-

რის სხვადასხვა გადამდებ და უბრალო სნეულებათა აჩენს და ავრცელებს. ესეთი მავნებელია ზაფხულობით ეს წყეული ქვენა ქარი და, ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: ავი კაცი აღდგომასაც აკიაო... ქვენა ქარსაც თავის სიავისთვის მოხსენებულ ზაფხულს თუ არ მიემატებინა, არაფერი არ დაეკლო. ამის მეოხებით ჰაერში ისეთი სიცხის ლული ტრიალებდა, რომ კაცს ეგონებოდა გახურებული თონის პირად ვიმყოფებიო. ასეთ სიცხეს ყოველი სულდგმული შეეხუთა. მოძრაობა და ხმაურობა მოესპო. არ ისმოდა არც ფრინველების სასიამოვნო ჭიკ-ჭიკ-გალობა, ვერც მათ სიცოცხლით სავსე ფრენას მოჰკრავდით სადმე თვალსა. ათასში ერთხელ მინდვრიდან მოისმოდა ხოლმე მწყრის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყუტყუტი და კაკლის დაბურულ ტოტებიდან დაღონებული ღუღუნი გვრიტისა; მაგრამ ერთიცა და მეორეც მალე სწყვეტდნენ თავიანთ დაღლილ-დაქანცულ ხმაურობასა, და ამის შემდეგ უფრო მეტი მდუმარება და უსიცოცხლობა მყარდებოდა გარშემო. ამ საერთო მყუდროებას არ ემორჩილებოდა მხოლოდ პატარა მდინარე. დაბურული ხეების ჩრდილ ქვეშ იგი გაჩქარებული გარბოდა ქვემოთკენ. ქვებიდან ქვებზე მარდად ხტოდა, პაწია ანკარა ტალღებს განუწყვეტლივ აჩქაფუნებდა და ტურფად ახავერდებულ ნაპირებს მარგალიტის წინწკლებით ლხენას და სიხარულს უგზავნიდა. თანაც ხან გაჯავრებით ბუტბუტებდა, თითქოს ქვენა ქარს მუქარას უთვლისო, ხანაც მხიარულად ჩუხჩუხებდა, ცელქი ბავშვივით ხტოდა, ციბრუტივითა ტრიალებდა. კაცს ეგონებოდა: ეს პაწია მდინარე სწორედ ჭკვიანი სულდგმული არსებაოო!.. ხედავს მთელი ბუნების დაღონებას და თავისი მხიარული ყოფა-ქცევით ცდილობს მის გამხიარულებასაცაო. აქამომდე მიძინებული ბუნება თითქო მიუხვდა პაწია მდინარეს მის კაცთმოყვარულ განზრახვას. უცებ ჰაერში გაისმა მაღალი და მხიარული ყივილი ბატისა; ამას მისძახა მეორემ, მეორეს — მესამემ და პატარა ხანს უკან წყლისკენ მომავალ გზაზე გამოჩნდა დიდი მოლურჯო მამალი ბატი. ამას ამაყად აეღო თავი მაღლა და ჩქარის ნაბიჯით მოაბაჯბაჯებდა წყლისაკენ. ამ ბატს უკან მოსდევდა მეორე ამხანაგი. ამას კიდევ მესამე, შემდეგ კიდევ მეოთხე, მეხუთე... ორმოცამდე თეთრი, ლურჯი, შავი, ჭრელი ბატები თითქო განზრახ დამდგარიყვნენ ერთი მეორის უკან და ასე გამწკრივებულნი მიეჩქარებოდნენ მდინარისაკენა. როცა ბატების მწკრივი გათავდა, გზაზე გამოჩნდა ორი პატარა გოგოცა, რომელთაც უკან მოსდევდა ერთი შუათანა ტანის შავი მეძებარი ლეკვი. გოგოები მხარდამხარ უდგნენ ერთმანეთს და გაჩუმებული მოსდევდნენ ბატებსა.

— იცი, მარო, რას გეტყვი? — წამოიძახა უფროსმა გოგომ, — მოდი ჩვენც ბატები გავხდეთ! შენ აი უკანა ბატს მიჰყევ, მე შენ მოგყვები და ისე ვიაროთ ჩვენცა, როგორც ბატები დადიან.

— აგრე იყვეს, ბაბუცი, აგრე! — მიაძახა მხიარულად მეორემ პირველსა.

პატარა გოგოებმა თავიანთი სურვილი საჩქაროზედ აისრულეს: ჩადგენ ბატების მწკრივში და ლახლახით და ბაჯბაჯით გაჰყვნენ მათ უკან. ამ კუდიანების დანახვაზე დარდიანი ადამიანიც კი ძნელად შეიკავებდა სიცილსა. ორივენი სასაცილოები იყვნენ, მაგრამ მაროს ცქერით სწორედ სიცილით მოკვდებოდა კაცი!.. მარო იყო დაბალი, ჩასუქებული ტანისა, დიდლოყება და დიდთავა. გასაოცრად ჰბაძავდა ბატების ყოველ მოძრაობას. ბაბუცა კი ცოტა გამხდარი, წვრილი და მაღალი ტანის გოგონა იყო, ამის გამო ბატივით აქეთ-იქით ლახლახი ვერ უხდებოდა. სამაგიეროდ, ძახილს, ყივილს ეს უფრო კარგად აჯავრებდა ბატებსა. როცა ეს ყივილს ასტეხდა, უკანა დედაბატი გაოცებით იბრუნებდა თავს გვერდზე, იცქირებოდა უკან და, როდესაც პატარა გოგოს ეშმაკობასა ხვდებოდა, ბაჯბაჯსა და ყივილს უმატებდა და თავის ტოლ-ამხანაგებს თითქოს ხმამაღლა გასძახოდა:

— კაცებო, დედაკაცებო!.. ერთი უკან შემოიხედეთ, რა ამბავია!.. ჩვენი მწყემსი გოგოებიც ბატებად გადაქცეულან, ჩვენ რიგში ჩამდგარან, ჩვენსავით დადიან, ჩვენებურად ყივიან. — თითქო პასუხად ამ ძახილისა ჰაერში გაისმოდა ხოლმე საერთო მხიარული ერიამული მთელი ორმოცი ბატისა. ეჭვი არ უნდა, ამ ერიამულსა და სიამოვნებას ბატების გულში წყალთან დაახლოვებაც აჩენდა. ჯერ თვალითაც არ სჩანდა მდინარე, რომ ბატებმა უკვე ფერი იცვალეს. მთელის ტანით, თავიანთ აგებულობის ყოველი სახსრით იგრძნეს წყლის სიახლოვე, იგრძნეს გრილ მორევში ჩაყურჭუმალავების სიამოვნება, ნეტარება. წინა ბატმა მოუმატა ნაბიჯსა, მას აჰყვნენ დანარჩენებიც. პატარა ხანს უკან გამოჩნდა წყალიცა. დარბაისელმა წინამძღვარმა თავი ვეღარ შეიკავა, აბაჯბაჯდა, გაშალა ფრთები, ფეხის წვერებზე შესდგა და ფრენა-სირბილით, აღტაცებული ყივილით გაქანდა წყლისაკენ, თვალის დახამხამების უმალ გადაეშვა მაღალი ნაპირიდან და ზღართა მოიღო წყლის ტალღებზე. წინამძღვრის აღტაცება და სიხარული ელვის უმალ გადაეცა მთელ ბატების გუნდსა. ერთბაშად ახმაურდნენ ყველანი, უმატეს ბაჯბაჯსა და ყივილს და, როცა მდინარეს უახლოვდებოდნენ ესენიც შლიდნენ ფრთებსა და მიწის პირა ფრენით ცვივოდნენ წყალში მძიმე პარტყაპურტყითა. ჩვენი გოგო-ბატებიც არ იდგნენ ერთ ადგილასა. ესენიც ფეხდაფეხ მისდევდნენ ბატებსა და გასაოცარის წამბაძველობით იმეორებდნენ ყოველ მათ მოძრაობა-ხმაურობასა. შეხედეთ, ერთი შეხედეთ, რა სასაცილო რამ არის პატარა მარო! შეხედეთ, როგორ შეუკუმშავს შიგნით თავისი დიდი ლოყები!.. როგორ წაუშვერია წინ კისერი და ტუჩები და რანაირი სასაცილო ყუნცულ-ბაჯბაჯით მის-

დევს უკანა ბატსა! მინდვრიდან მომავალმა გლეხკაცმა დაინახა ჩვენი გოგოები და შეჩერდა. უწყო ცქერა მათ მაიმუნობას და მორთო გულიანი სიცილ-ხარხარი. მერმე სოფლისაკენ გაიხედა, თვალი მოჰკრა იქითკენ მომავალ დედაბერს და ხმამაღლა გასძახა:

— სალომე, სალომე... აბა ერთი შემოხედე ე შენ კუდიან შვილიშვილსა!..

მოხუცებული შესდგა, გაშლილი ხელით თვალები დაიჩრდილა და გახედა მომავალ ბატებსა. მალე თავისი გოგონაც გაარჩია და იმავე წამს მთელ მის დანაოჭებულ სახეს სიამოვნების ნათელი გადაეფინა. რამდენსამე წამს ასე უცქეროდა თავის პაწია „თვალისჩინსა". მერმე ხელი ჩამოიღო, ორიოდე ნაბიჯი წასდგა წინა და სიცილით გასძახა:

— მარო, მარო, შე თავლაფიანო, რას ეშმაკობ და მაიმუნობ შე სასიკვდილე (ნუღარვე), შენა!..

მაგრამ მარო ისე იყო გატაცებული თავისი ქცევით, რომ მოხუცი დიდი-დედის ძახილისათვის ყურიც არ მოუკრავს. დედაბერმა ქოქოლა მიაყარა შორიდან და მომღიმარე სახით გასწია თავის გზაზე. მარო და ბაბუცა-კი ისევ ისე მისდევდნენ ბატებსა. აგერ უკანასკნელი ბატიც მიადგა ნაპირს, გაშალა ფრთები და გადაეშვა წყალში. მარომაც გაშალა ხელები, რამდენჯერმე დაიქნია ფრთებივით, ხმამაღლა დაიყივლა და მარდად გადახტა მდინარეში. მას მიჰყვა ბაბუცა. ამ დროს წყლის ნაპირზე მოირბინა უკან დარჩენილმა შავმა ცუგრიკამ. იწყო გაცხარებული ყეფა, წკმუტუნი და სირბილი. ეტყობოდა, რომ გულით უნდოდა გოგონებთან ყოფნა, მაგრამ ამასთანავე წყალში შესვლას ერიდებოდა. მალე ერთმა შემთხვევამ ამ მორიდებას ბოლო მოუღო. სირბილის დროს დაქანებულ ნაპირზე ფეხი მოუსხლტა, უნდოდა როგორმე შეჩერებულიყო, მაგრამ ვერა გააწყო რა და თავდაყირა გადავარდა წყალში. გოგოებმა ხელი სტაცეს და საჩქაროზე შეითრიეს შუა მდინარეში. ბატები, ძაღლი, ბავშვები აირივნენ ერთმანეთში. მათი ფართხალი, წყლის ჩქაფა-ჩქუფი, წკმუილი და მაღალი სიცილ-კისკისი ერთმანეთს შეუერთდნენ და, საერთო მხიარულ ჟრიამულად გადაქცეულნ, შვებალხენა მოჰფინეს მთელს არემარესა.

II

პატარა ხანს უკან თავით ფეხებამდე ამოზუნზლული ცუგრიკა გამოხტა ნაპირზე, იწყო სირბილი და გორაობა გახურებულ მიწაზედა. ლამაზად დაბანილ-დაბზენილი ცუგრიკა ორიოდე წამის შემდეგ უმსგავსად გაითხუპნა, წუმპეში ნაგდებ ღორს დაემსგავსა. გოგოებს უნდოდათ როგორმე ხელახლა ჩაეტყუებინათ წყალში, მაგრამ ძაღლი

მიუხვდა ამ განზრახვას და გოგოებს ახლოც აღარ მიეკარა. კარგა მოშორებით წავიდა და აქ ხან მიწაში გორაობდა, ხანაც ჩაცუცქდებოდა ერთ ადგილას და მოუთმენელის წკმუტუნით გასცქეროდა თავის ორფეხა მეგობრებს. მარო და ბაბუცაც გამოვიდნენ წყლიდან. გაიხედგამოიხედეს აქეთ-იქით, ხომ არავინ გვიცქერისო, და გადიძრეს ტანიდან ერთადერთი საცმელი კაბა, გასწურეს.და იქვე ბუჩქებზე მიჰფინეს გასაშრობათა. თითონ ხელახლა გაიქცნენ წყლისკენ. ცხვირზე ხელი მოიჭირეს და ჩაიყურყუმელავეს მორევში. ორიოდე წამის შემდეგ ამოჰყვეს თავები და იწყეს ხელ-ფეხის ქნევა, თევზივით ფანთხალი და ჭყუმპალაობა წყალში. ნახევარ საათზე მეტი გაატარეს ამნაირად და მხოლოდ მაშინ იკადრეს წყლიდან ამოსვლა, როცა კარგა ძალზე იგრძნეს სიცივე. ჯერ ისევ სველი კაბები გადიცვეს ტანზე და მზის გულად მიესხდნენ ერთ გაბარდნულ ბუჩქის ძირში. პირველად ორივენი მთელი ტანით ძაგძაგებდნენ, კბილს კბილზე აცემინებდნენ; მაგრამ ხუთიოდე წამის შემდეგ მზის ცხოველმა სხივებმა, გახურებულმა ჰაერმა და დედამიწამ თავისი გაიტანეს. გოგოებს დასთბათ, ტანი დაუმშვიდდათ, თუმცა მაროს გალურჯებულ ტუჩებს ამ დროს განმავლობაშიაც არაფერი შველებოდა. ამასთანავე, ცხადად სჩანდა, რომ ტანი, მართალია, გასთბობოდა მაროს, მაგრამ შიგნით, გულში კი წინანდებურად გრძნობდა სიცივესა: მალიმალ აზმორებდა და ხანდახან კიდეც შეაკანკალებდა ხოლმე. მაგრამ ბავშვის ამტანი, ცოცხალი ბუნება ამას არაფერს ყურადღებას არ აქცევდა. იჯდა მზის გულად და მხიარულად ეტიკეტიკებოდა თავის განუშორებელ მეგობარ ბაბუცასა.

— ბაბუცი, თქვენს სოფელშიაც ასე ბანაობ ხოლმე?

— არა, მარო! ჩვენს სოფელში წყალი არ მოდის. იქ წყაროებია მარტო, ცივცივი, ანკარა წყაროები.

— მაშ ბატები როგორა ბანაობენ იქა?

— ჩვენს სოფელში ბატების ჭაჭანებაც კი არ არი!..

— ქაა, არც წყალი, არც ბატები! როგორი სოფელი ყოფილა, ქალო, ი თქვენი სოფელი?.. ჩვენი სოფელი სჯობნებია!

— ჰო, ამაებში თქვენი სოფელი სჯობიან!.. მაგრამ ზოგში ჩვენი სოფელი უფრო კარგია თქვენს სოფელზე. იქ წყაროებია, თქვენში კი არა!.. იქ სკოლაც არის, რკინიგზაცა... თქვენ კი თვალით არ გინახავთ არც ერთი და არც მეორე.

— როგორ რკინიგზა? რანაირია, ბაბუცი, რკინიგზა?..

— რკინიგზა ისეთია, ქალო, რომა ძირს, დედამიწაზედაც, რკინა არის დაწყობილი და ამ რკინაზედაც რკინის თვალებიანი ოთახები დარბიან.

— ოთახები? გზაზე ოთახები დარბიან?

— მაშა, ქალო, ოთახები და მერე ერთი და ორი ხომ არა. ათი, ოცი, ბევრჯელ უფრო მეტიცა. აი, როგორც ე ჩვენი ბატები არ დამწკრივდებიან ხოლმე, სწორეთ ისე არიან ის ოთახებიც გამწკრივებული. ერთმანეთზე რკინის ჯაჭვებით არიან გადაბმული და წინა რო დაიძვრის, დანარჩენებიც ცუხცუხით გაჰყვებიან ხოლმე უკანა.

— ი წინა ოთახს ხარები უბია თუ ცხენები?

— რას ამბობ, ქალო? რის ცხენები, რის ჯორი, რის აქლემი!.. ოთახებს წინ მაშინა მიუძღვის და ძიარბენინებს. მაშინაში გაკეთებულია ერთი დიდი გრძელი ქვაბი, ეს ქვაბი წყლით არის სავსე და დღე და ღამ ქვეშიდან ცეცხლი აქვს შეკეთებული. ქვაბში წყალი ადუღდება თუ არა, მაშინვე ორთქლი ავა და ეს ორთქლი გაიწევს და ბუმბულივით გააქანებს, თუნდაც, რომ ასი ოთახიც იყოს ზედ მიბმული.

— რას ამბობ, ქალო, რის ორთქლი, რის მაშინა!.. ალბათ, ეშმაკი იჯდება იმ ქვაბში. წყალი რო ადუღდება, იმ ეშმაკს დასცხება, გაიწგამოიწევს და გააქცუნებს ოთახებსა.

— არა, მარო, არა! ჩვენმა მასწავლებელმა ჩაგვიყვანა ერთხელ ყველა შეგირდები რკინიგზასთან და ყველაფერი დაწვრილებით აგვიხსნა და გვაჩვენა. ეშმაკი კი არა, ნამდვილად ორთქლი ეწევა ოთახებსა. ეშმაკები, ქაჯები, ჭინკები სულ ტყუილია... მასწავლებელმა გვითხრა: ქვეყნიერებაზე არც ერთი ავი სული არ არისო. მშიშარა და უსწავლელი ადამიანის მოგონილია ყველა ესაო!

— მაშ ალიც ტყუილიაო?

— მაშ, ალიც ტყუილია და ალქაჯებიცაო.

— ჩვენებიანთ დემეტრეს რომ ალი ენახა ჭალაში? ქვაბქოთანაანთ ბაბალე შარშან რო კინაღამ ხევში გადაეჩეხა ჭინკასა?

— მერე, რა გამოვიდა მანდედან?.. მშიშარა ადამიანს ადვილად მოელანდება ყველა ეგა. ერთხელ მეცა ვნახე ეშმაკი... იცი მერე — რქიანი და დიდ ღრჯოლებიანი ეშმაკი... ესკუპა ერთ ადგილას, პირი დაეღო და კუდი მაღლა აეშვირა ძაღლივითა.

— სად ნახე, ბაბუცი? სადა? როგორა? როგორ გადაურჩი მერე ცოცხალი? უიმეე! მე რო ვყოფილიყავ, იქვე სული ამომძვრებოდა.

— ხა, ხა, ხა! დაიცა გოგო, შე სულელო, რა გაკანკალებს? განა მართლა ეშმაკი ვნახე! ეშმაკი კი არა, კუნძი ეგდო გზაზე და რაკი არა ვიცოდი რა და მშიშარაც ვიყავი, ის კუნძი ავ სულად მომელანდა.

— შენი ჭირიმე, ბაბუცი, კარგა მითხარი — როგორ მოგივიდა ეგ ამბავი!..

— თუკი ეგრე გინდა, ეხლავე გეტყვი.

III

ჩვენი სოფელი მთის ფერდობზეა გაშენებული, ძირს-კი კარგა დიდი მინდორია გაჭიმული. აი ამ მინდორზე მოდის რკინიგზა. ამ გზის ტანცია სწორედ ჩვენი სოფლის ძირშია. აქედან სოფლამდისინ ვენახების ვიწრო ორღობე მისდევს. როგორც კი დავინახავდით მინდორზე გამოსულ მაშინას, იმავე წამს წამოვავლებდით ხელს წინადვე მომზადებულ სხვადასხვა ხილეულობით სავსე კალათებს, თეფშებს და დავქანდებოდით ტანციისაკენ. როცა მაშინა მოვიდოდა და რკინიგზის ოთახებიდან ხალხი კარზე გამოლაგდებოდა, ჩვენც მაშინათვე წინ დავხვდებოდით და ეს ხალხიც ფაცაფუცით ყიდულობდა ხოლმე ჩვენგან ჩატანილ ხილეულობას. ერთ საღამოს ამნაირად ჩამოვედით ტანციაზე. ვისაც რა გვქონდა, გავყიდეთ და ის იყო სოფლისაკენ ვაპირებდით წასვლას, რომ ამ დროს ტანციის უფროსის ცოლმა დამიძახა, გასაყიდად ჩატანილი ათიოდე ჩურჩხელა იმან იყიდა, ფულის მოსაცემად სახლში შემიყვანა და ერთი ჩაიც დამალევინა. ამათ პატარა ბავშვები ჰყავდათ; ეს ბავშვები შემომეხვივნენ გარშემო, ამათთან ტიკტიკსა და თამაშობაში გავერთე... და როცა სახლში დაბრუნება მომაგონდა და კარზე გამოვედი, იქ აღარც ჩემი ამხანაგები დამხვდნენ და კარგა ლაზათიანადაც ჩამობნელებულიყო.

— თქვენი სოფელი შორს იყო რკინიგზაზე?

— სოფლიდან რო ვუცქეროდით, იქვე ახლო იყო;ტანციიდან კი რო მოვდიოდით, სოფელი კარგა მოშორებით გვეჩვენებოდა.

— უიმე, ბაბუცი, მაშ როგორ უნდა დაბრუნებულიყავი შინ იმ ბნელაში და ისიც მარტოთ მარტოკა?!

— სიბნელისა არც წინათ მეშინოდა აგრე რიგათა, მერე კი როცა მასწავლებელმა დაგვარწმუნა, რომ ქვეყნიერებაზე ეშმაკი არ არიო, მაშინ ხომ სულ გამიქრა სიბნელის შიში. ამიტომ უშიშრად გავწიე ორღობისაკენ. მთვარიანი ღამე იყო და მთელი ორღობე მთვარის შუქით და ხეების ჩრდილებით იყო აპრელებული. თითქმის ნახევარი ორღობე მქონდა გავლილი, როცა წინ, ცოტა მოშორებით, დავინახე ერთი უცნაური რაღაცა. ორი რქა აქეთ-იქით გაეშვირა, პირი გაეღო და რამდენიმე დიდრონი კბილი თითქოს საკბენლად დაემზადებინა; კუდიც მაღლა ჰქონდა აშვერილი! ეშმაკი ხომ არ არის დედამიწაზედა და სხვა რისა უნდა მეშინოდეს-მეთქი, — ვსთქვი ჩემ გულში და უშიშრად გავწიე წინა. მაგრამ უცებ შევდექ, გულმა დამიწყო საშინლად ცემა: დავინახე, რომ გაღებული პირი მოკუმა, რქები გაიქნია და მიწას გაეკრო, თითქო ჩემსკენ გადმოხტომას აპირებდა. ისე შემეშინდა, ისე შემეშინდა, რომ წამს სუყველაფერი დამავიწყდა... რამდენსამე ხანს

გაშეშებული ვიდექ, მერმე გონებაზე მოვედი და ის იყო უკან გაქცევას ვაპირებდი, როცა შემომესმა მამიჩემის ძახილი.

— მიშველე, მამა, მიშველე!.. — შევყვირე, რაც ძალი და ღონე მქონდა.

— ნუ გეშინიან, შვილო, ნუ გეშინიან!.. ეხლავე შენთან მოვალ, ემ წამში... — დამიძახა მამაჩემმა, და მართლაც მაშინათვე მომესმა ზემო ორღობიდან მისი ფეხის ხმა. გაცხარებული მორბოდა თავდაღმართზე და ორიოდე წამის შემდეგ გაჩნდა ჩემთანა.

— რა იყო, შვილო, რამ შეგაშინა? — ხვევნა-ალერსით დამეკითხა მამაჩემი.

— აგერა, აი იმანა! — ვუპასუხე მამილოს და გავუშვირე ხელი იმისკენ, რამაც ანგელოზები დამიფრთხო.

მამამ გაიცინა. მერე გამოჯავრდა: რად დაშორდი ამხანაგებს და ან აქამდის სად დაიგვიანეო?.. წამავლო ხელი და წამიყვანა შინისკენა. ეხლა აღარ მეშინოდა. მივდიოდით პირდაპირ იმ ადგილისაკენ, სადაც ჩემი შემაშინებელი ეყუნტა. პირველად მამაჩემი მივიდა და ჯოხი დაარტყა რქებში, მერე მეც მივედი და დავინახე ტოტებიანი გამხმარი კუნძი, რომელიც შუა გზაზე ეგდო. იმღამინდელი ჩემი თავგადასავალი დაწვრილებით ვუამბე მეორე დღეს მასწავლებელსა; იმანაც და ჩემმა ამხანაგებმაც ბევრი იცინეს. ამის შემდეგ უფრო დავრწმუნდი, რომ ეშმაკები არ არიან ქვეყანაზე და თუ ვისმე მოეჩვენა ავი სული, ეს ნამდვილად შიშისაგან იქნება.

— ბაბუცი, სულ აქ, ჩვენთან იქნები, თუ ისევ წახვალ თქვენს სოფელში?

ამ კითხვამ ბაბუცა საგონებელში ჩააგდო, დააფიქრა, დააღონა. მოაგონდა ტკბილი, საყვარელი დედა, მისი ავათმყოფობა, სიკვდილი და თავის დაობლება. თვალები ცრემლით აევსო და თავი ძირს დაჰკიდა.

— რათა ტირი ბაბუცი? ჰა, რათა, შენი ჭირიმე? — დაეკითხა მის ცრემლებით შეწუხებული მარო.

— არაფრათა, მარო, არაფრათა!.. — უპასუხა დაღონებულის ხმით ბაბუცამ. — დედა მომაგონდა... ვიღასთან წავალ, ჩემო მარო... დედა აღარა მყავს, დედინაცვალს ჭირივით ვეჯავრები... პირველ დღესვე რაღაც ცუდ თვალზე დამინახა, ამიჩემა... მწყევლიდა, მაგინებდა, მერე ცემაც დამიწყო. შევეცოდე მამაჩემს და ქალაქს წამიყვანა თავის უფროს დასთანა. იქ ვიყავი, მგონი, ნახევარ წელიწადი... მამიდას არა უშავდარა, მაგრამ ქმარი ჰყავდა რაღაც ღვთის რისხვა ადამიანი. როცა ფხიზელი იყო, წარბგაშლილს ვერავინ ნახავდა, მგელივით იბღვირებოდა, უწმაწური სიტყვებით ილანძღებოდა, ჩხუბობდა! როცა დათვრებოდა, მაშინ, ქალო, სულ მაიმუნათ გადაიქცეოდა ხოლმე: ხტოდა, თამაშობდა, ყირა-

მალა გადადიოდა. დილიდან საღამომდის დაჭრილი დათვივით ღრიალებდა, ყმუოდა; ხან ძაღლივით იყეფებოდა, ხან კატასავით კნაოდა... რო ვეტყოდით: კარგი, გაჩუმდი, შენც მოისვენე და ჩვენც მოგვასვენეო... ის ჯავრობას მოჰყვებოდა: ასე მშვენივრად რო ვმღერი, რატო ყურს არ მიგდებთ თქვე ასეთ-ისეთებოო... ესენი ვუამბე მამაჩემს და იმანაც მაშინათვე წამომიყვანა იქიდგან, ახლა აქ მომიყვანა... ვენაცვალე ჩემ მამიდას! ასე მგონია — დედა გამიცოცხლდა-მეთქი... ისე ვუყვარვარ, როგორც თავისი შვილი. თუ თითონ არ დამითხოვა, თავს მოვიკლავ და იმას კი არ მოვშორდები.

IV

ბავშვები ფეხზე წამოდგნენ, გაიხედეს დასავლეთისაკენ და დაინახეს, რომ მზე უკვე მთებს ეფარებოდა. ბატებიც გამოსულიყვნენ წყლიდან და ბალახის გაჩქარებული წიწკნით ცხვრის ფარასავით მინდორზე გაშლილიყვნენ. ჩვენი გოგოებიც მაშინვე გაჰყვნენ მათ უკან. პირისახე ორივეს დასავლეთისკენა ჰქონდათ მიქცეული. დამავალი მზის ალისფერი შუქი უხვად მიჰფენოდა ამ სახეებს. ბაბუცა ტანწვრილი და შავგვრემანი გოგონა იყო. სახე ფერმკრთალი ჰქონდა, აგრეთვე პაწია ვარდისფერი ტუჩები და სიცოცხლით სავსე დიდი შავი თვალები ცხადად აჩვენებდნენ, რომ მათი პატრონი ჯანითა და ღონით იყო სავსე. ძველი, მსხვილი ჩითის კაბა ეცვა და ეს ჩითის კაბა ისე ლამაზად ადგა კოპწია ტანზე, რომ კაცს ეგონებოდა ეს კაბა რომელსამე გამოჩინებულს მკერვალს გამოუჭრია და შეუკერავს ამ პაწია გოგოსთვისო. როცა ლაპარაკობდა, ხმა ხშირად ეცვლებოდა, ხან ისეთი ნაზი, წმინდა ხმით ლაპარაკობდა, რომ მისი პატრონი ნამდვილად სამი-ოთხი წლის ბალანა გეგონებოდათ; ხანაც უცებ ბოხ ხმაზე გადადიოდა და გულის სიღრმიდან წამოსული კილო დიდი ადამიანისას ემსგავსებოდა. ამისთანა დროს ფერმკრთალ სახეს ნაზი ვარდისფერი ეფინებოდა, თვალები გრძნობისა და აზრის მადლით ევსებოდა და მთელი არსება ეშხითა და მოხდენილობით უბრწყინავდა. მაღალი კისკისი, ბავშვური ხითხითი თითქო ვერ ეხერხებოდა; სამაგიეროდ, დაბალი გულიანი კუჭკუჭი ისეთნაირად იცოდა, თითქო მტრედი ღუღუნებსო. როცა არ ეჩქარებოდა, ნელ-ნელა, დინჯად იცოდა სიარული, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვდა, ისე გაფრინდებოდა, როგორც მერცხალი. გულკეთილობა შეადგენდა მისი ხასიათის უმთავრეს სათნოებას. ჭირივით სძულდა ავი სიტყვა, თავს მოიკლავდა და ცუდს კი არაფერს ჩაიდენდა. ერთი სიტყვით — ვისაც არ უნახავს ბაჯაღლო ოქრო, ან ობოლი მარგალიტი, მოვიდეს და ნახოს გლეხის ქოხში გაზრდილ-დაბადებული, ძველ ტანისამოსში გამოხვეული ჩემი სოფელი ბაბუცა, ჩემი ძვირფასი, საყვარელი გოგონა!!.. მარო?

იქნება ვისმე ეგონოს, რომ ბაბუცაზე ლაპარაკს გავებით და პაწია დუნდრუნა მარო კი დაგვავიწყდა!.. არა, ჩემო ბატონო!.. როგორ დავიავიწყებ ჩემ საწყალ, საცოდავ მაროსა!.. მაგრამ უკაცრავად, უკაცრავად!.. რათ იქნება მარო საწყალი და საცოდავი?! დალახვროს ღმერთმა გრძელი ენა და დაუყენებელი პირი!.. არა, არა. მაროც კარგი გოგონაა! ამიტომაც შეუყვარდა ბაბუცას ასეთი გატაცებით. მარო დაბალი ტანის, ლაზათიანად ჩასუქებული გოგო იყო. კუნაპეტივით შავი, სქელი თმა აქეთ-იქით გულზე ჰქონდა გადმოფენილი და ამ შავი თმებიდან მისი თეთრ-წითელი სახე ისე გამოჩანდა, როგორც ღრუბლებიდან ბადრი მთვარე. პაწია მაროს თავის შესაფერად არც ქკუა აკლდა, არც გონება და არც ზოგიერთა სასარგებლო, ცხოვრებაში გამოსადეგი ნიჭიერებანი. მხოლოდ ერთ რამეზე შეეძლო სამდურავი ეთქვა ბუნებისათვის: არ მიენიჭებინა იმ დალოცვილს უნარი თაოსნობისა. შრომა, საქმის გაკეთება უყვარდა, მხოლოდ თითქმის ვერავითარ საქმის დაწყებას ვერ მოახერხებდა, თუ სხვას მაგალითი არ ეჩვენებინა, ან არ ეთქვა. რომ შეგეხედნათ, უსათუოდ სიამოვნებით წამოიძახებდით: აი ჯანის სისაღეც ასეთი უნდაო! მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი შეხედულება ვერ იქნებოდა სრულიად საფუძვლიანი... საწყალ გოგონას არ ჰქონდა მაგარი აგებულობა, ამის გამო უბრალო სურდოც კი ერთ დიდ რადმე გადაექცეოდა და, სულით ხორცამდე მოშვებულს, ლოგინში ჩააწვენდა ხოლმე. რაღა თქმა უნდა, ყველა ეს კარგად იცოდა ამისმა დედ-მამამ და ამიტომ, შეძლების დაგვარად, უფრთხილდებოდნენ, თითქმის არავითარ საქმეს ოჯახში არ აკეთებინებდნენ. ბატების თვალყურის ჭერა — იქვე მინდორში გარეკა და მერე წყალზე ჩამორეკა — არ იყო საძნელო საქმე. მაროს უსაქმოდ დარჩენა არ უნდოდა და, დედის ჩაგონებით, ამ საქმეს მოჰკიდა ხელი. ამათ სოფელში სულ სამიოდე კომლს ჰყავდა ბატები და აი ამ ბატების მწყემსად დადგა მარო. დილით გარეკავდა ხოლმე ბატებსა, გაშლიდა მინდორში, თითონ დაჯდებოდა სადმე ჩრდილ ქვეშ და აქედან ადევნებდა თვალყურსა. შუადღისას ჩარეკავდა წყალზე, თითონ კი მიირბენდა სახლში, სჭამდა პურსა და სადილს უკან ისევ გარეკავდა მინდორში. საღამო ჟამზე ხელახლა ჩარეკავდა ხოლმე წყალზე და აქედან შებინდებისას თითონ ბატები შინახავდნენ თავთავიანთ ბინას. მაროს ცხოვრებაში ის იყო ყველაზე ცუდი, რომ ხშირად მარტოკა რჩებოდა და მოწყენილობის გამო მინდორში ეძინებოდა ხოლმე, მაგრამ ეს ცუდი მხარე მის ცხოვრებას სრულიად მოშორდა მას აქეთ, რაც ამათ სოფელში გაჩნდა ბაბუცა, გაეცნო მაროს და მასთან ერთად იტვირთა ბატების თვალყურის ჭერა. ბაბუცა ორი წლით უფროსი იყო თავის ახალ მეგობარზე და რვა წლის მაროც სიამოვნებით მიეგება უფროსი ამხანაგის შეძენას.

მზის ჩასვლისას ჩვენი ბავშვები დაბრუნდნენ თავთავიანთ სახლებში. დაბრუნდნენ ერთსა და იმავე დროს, მაგრამ სხვადასხვა გუნებაზე კი იყვნენ. ბაბუცა მხიარულად შევიდა თავის მამიდის დარბაზში, ცოცხს წამოავლო ხელი და მარდად დაგავა, დააკრიალა, როგორც სახლი, ისე დერეფან-კარ-მიდამო. მერმე ნახირიდან მომავალ ძროხას მიეგება, ხბო ჩამოაცალა და ბაკში დამწყვდია. პატარა ხანს უკან ბაბუცას მამიდა, ხანში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგად მყოფი მართაც მოვიდა. ვენახში ყოფილიყო, ერთი კონა ბალახი გაეთიბა და საქონლისათვის წამოეღო. ეს კონა ბაბუცამ ჩამოართვა, გაშალა იქვე კარებ წინ და ზდილობიანი „მობრძანდი და მიირთვის" თქმით ძროხა მიიპატიჟა. შემდეგ სახლიდან საწველელი გამოარბევინა, მისცა მამიდას და თითონ კი ხბო გამოუშვა. სანამ დაწვებოდნენ, მთელი საღამო ასე ირჯებოდა, ასე ფეხდაფეხ მისდევდა ყოველ საოჯახო საქმეში თავის მამიდას. უშვილ-უძეო მართას, როგორც სჩანდა, ძლიერ უყვარდა თავისი მარდი, ცქრიალა, ყოველ საქმეში მოხერხებული ობოლი ძმისწული. ალერსიანად, სიამოვნებით იღებდა მცირეოდენ მის დახმარებასაც კი. ისეთი გრძნობით ეჭცეოდა, როგორც მოსიყვარულე დედა თავის ღვიძლ შვილსა.

პაწია მაროც დაუბრუნდა სახლ-კარს, მაგრამ საშინელ ცუდ გუნებაზე კი იყო საწყალი. თავის ტკივილსა გრძნობდა, აზმორებდა, თვალები ეწვოდა და წამდაუწუმ წყალსა სვამდა, რადგან პირი უშრებოდა. დედამ შენიშნა ესეთი მდგომარეობა მაროსი და გაუჯავრდა: ალბათ, გიბანავნია და ახლა ციებას გაწყებინებსო. საოჯახო საქმეებში გართულმა დიასახლისმა ამ ჟამად ამაზედ მეტი აღარა უთხრა რა თავის გოგოს. საჭირო იყო საქონლის დაბინავება, ფურ-კამეჩის მოწველა და სხვანი. ამ საქმეებს მიაშურა გამრჯე დედაკაცმა. ციებ-ცხელებას კი აქეთკენ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან ზაფხულობით მეტად გახშირებულია ხოლმე ეს ავადმყოფობა. მარო შევიდა დერეფანში, ფარდაგის ნაგლეჯი გადმოიღო, გაშალა მიწაზე, თავით მუთაქა დაიდო და მუშტისოდენად მოკუნტული წამოწვა ზედა. პატარა ხანს უკან ძაგძაგი დააწყებინა. მაროს უფროსი ძმა დაბრუნდა მინდვრიდან, ნახა ამ ყოფაში თავისი დაი და უკმაყოფილოდ რაღაცა წაიდუდუნა. მერე საბანი გადმოიღო და ორკეცად დახურა მწოლარეს. მარო ვერც ამან გაათბო. კანკალმა და თავის ტკივილმა უმატა. ასე გასტანა ვახშმობამდის. ამ დროს კი ავადმყოფს სიცივემ გაუარა და მისი ადგილი საშინელმა სიცხემ დაიჭირა. წეღან თუ სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდა, ახლა გახურებულ თორნეხსა გრძნობდა, როგორც ბვამ-მუცელში, ისე თავის გარშემო. შუაღამისას ყველანი დააღვიძა ავადმყოფმა, ხმამაღლა ბოდვა

დაიწყო. „ბაბუცი, ბაბუცი — იძახოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად — ამ მზის გულზე რადა ვსხედვართ?.. ოო, რა ცხელაა, რა ცხელაა!.. წავიდეთ, წავიდეთ ჩრდილში, ბაბუცი!“ მცირე ხანს გაჩუმდა და შემდეგ ხმა-მაღლა იწყო ბატების გაჯავრება: ყი, ყი, ყი... და თანაც საბან ქვეშ გახურებულ ხელ-ფეხს აფართხალებდა ისე, როგორც ბანაობის დროს იცოდა ხოლმე. მამლის ყივილისას ჩაეძინა, მაგრამ ეძინა მოუსვენრად: წამდაუწუმ იღვიძებდა, კვნესოდა, ბორგავდა, საბანს არ იყენებდა. გათენდა დილა; კარზე მწოლარე მამა სახლში შევიდა, ავადმყოფ შვილთან მივიდა და დააცქერდა, მერმე ცოლს დაუძახა და ნაღვლიანად უთხრა:

— ე გოგო ციებით არ არის ავადა; ეტყობა სხვა რაღაც ამბავია ამის თავსა. — შემდეგ მოუჯდა გვერდით ავადმყოფს და გულზე საბანი გადახადა. გლეხი შეკრთა, თავი დაღუნა და დააცქერდა მაროს მკერდსა.. ამ დროს დედაც მოვიდა, ამანაც აუწია მკლავები და უწყო სინჯვა; გაუსინჯა ზურგი, მუცელი და მწუხარებით რამდენიმეჯერ შემოიკრა ხელები თავში.

— ახლა კი ნუ გადაირევი, დედაკაცო, — დაყვავებით უთხრა ქმარმა;—ბავშვს ცხადია წითელა შეხვედრია, მოვლა უნდა... ღვთის მადლით ეხლა ზაფხულია და ავადმყოფობა, იმედია, კარგად გაუვლის. — ნინო თავზარდაცემულივით ოჯდა. დედის გრძნეულმა გულმა და ტკბილმა, მოამაგე ძუძუებმა თითქოს წინათვე იგრძნეს რაღაც საშინელი უბედურება. წელში ოთხად მოკაკული, ცრემლგამშრალი თვალებით დასცქეროდა თავის გოგონას და სრულიად უგრძნობლად, უნებურად მის კვნესას თავისი კვნესაც ააყოლა. კვნესოდა ერთი მხრით სნეულება, მეორე მხრით დაჭრილ-დასერილი გული დედისა. მწუხარების სასწორი რომ ყოფილიყო სადმე და ეს ორი კვნესა აეწონათ, ცხადია, — რომელი მათგანიც უფრო მძიმე გამოვიდოდა!

VI

ოჯახის უფროსი მაინც თავისას არ იშლიდა:

— ნინო, დედაკაცო, რას გამოშტერებულხარ, შე ოჯახდაქცეულო!.. ადექი, ჩვენებიანთ მართას შეატყობინე, იმან წამლობაც იცის და ჭკვიანი, სარისტიანი ადამიანიც არის: მოგვეშველება, დარიგებას მოგცემს. — ნინომ გაიგონა ეს სიტყვები, ტორტმანით წამოდგა ფეხზე და გასწია ბაბუცას მამიდა მართასთან. ბაბუცა იმავე წამს ფეხზე წამოიჭრა და ელვასავით გაქანდა მაროსთან. ამ დღიდან სამი კვირის განმავლობაში აღარ მოშორებია ავადმყოფის ლოგინს. თითონ ნახადი იყო წითელას და ამიტომ უშიშრად უვლიდა თავის საყვარელ მეგობარს: უჯდა გვერდზე და ათას რამეებზე ეტიკეტიკებოდა, ართობდა, დიდივით უალერსებდა.

საუბედურო ავადმყოფი უკან და უკან მიდიოდა. საშინელი სიცხისაგან ხშირად გრძნობა ეკარგებოდა, და ამ დროს უსმელ-უქმელი, თვალებდახუჭული მკვდარივით იყო ხოლმე ლოგინში. როგორცა სჩანდა, ავადმყოფი ყველაზე მომეტებულად თვალების ტკივილით იტანჯებოდა. ორივე თვალი დაუსივდა და მარად დახუჭული ქუთუთოებიდან ხანდახან ჩირქიცა სდიოდა. ასე იყო ორი კვირის განმავლობაში. შემდეგ კი სიცხემ ნელ-ნელა უკლო, უშეღავათა, მაგრამ თვალების ტკივილს არაფერი ეშველა. დღე და ღამ დახუჭული ჰქონდა და ტკივილებისაგან შეწუხებული ხშირად საზარელი ხმით გაჰკიოდა. დედ-მამა და მეზობლები ყოველ საშუალებას ხმარობდნენ პატარა ავადმყოფის საშველად. მართა მკითხავთანაც იყო, ფთილებიც დაუსხა. წმიდა მარინეს და ბარბარეს, რომელნიც წმინდანებში თვალების მკურნალებად მიაჩნია ხალხსა, აღუთქვეს ღამის თევა და ზვარაკის შეწირვა. წმინდა სანთლის ორი, თხილის გულის ტოლი გორგოლა გააკეთეს, აბრეშუმის წითელ ძაფზე აასხეს და ავადმყოფს გულზე ჩამოჰკიდეს. მერმე, როცა მორჩებოდა, წმ. მარინესთვის უნდა შეეწირათ, როგორც ორი თვალის კაკალი. ყველა ამან თითქო გავლენა მოახდინა და სიცხე განელებულ ავადმყოფს თვალების მტეხიარებამაც უკლო, სიმსივნე თვალებისა დაუცხრა და აღარც ჩირქი გამოსდიოდა. ყველას გულზე დარდი და ნაღველი მოეშვა. ცხადად სჩანდა, რომ მარო დღითი-დღე უკეთ ხდებოდა: მადა, ღონე და ფერი უბრუნდებოდა. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა როგორც მაროს, ისე მის კეთილისმყოფთ — ეს იყო მარად დახუჭული თვალები. დიდი ტკივილების დროს დაეხუჭა თვალები და შემდეგ ზემო წამწამები ისე მიეკვრნენ ქვემოს, რომ უკანასკნელ ხანამდე ვეღარაფრით ვერ მოეშორებინათ ერთმანეთისათვის. ბოლო ჟამს დადგა ის ბედნიერი საათიც, როდესაც თბილი წყლით მობანილი თვალები გაახილა მარომ. ამ ამბავმა მთელ დარბაზში დიდი მხიარულობა გამოიწვია. ბავშვებმა ჟრიამული ასტეხეს და ავადმყოფის ლოგინს გარშემო ცეკვა- ხიმღერით ურბენდნენ. საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ ამ საერთო მხიარულების დროს მაროს სახეს არავითარი საკეთილო ცვლილება არ ეტყობოდა. ამასთანავე ზოგიერთებმა შენიშნეს, რომ მას თვალები ისე უაზროდ, უგუნურად ჰქონდა დაჭყეტილი, თითქო ვერაფერსა ხედავდა. ამ გარემოებას ყველაზედ უწინ დედამ მიაქცია ყურადღება, შეშფოთებული მიუჯდა თავის გოგონას გვერდზე და აკანკალებული ხმით დაეკითხა:

— შვილო, მარო, ხომ მხედავ, გენაცვალე?

მარო ჩაფიქრდა, მერე თვალები უფრო დააჭყიტა და დაბალი ხმით იკითხა:

— დედა, ეხლა ღამეა, არა?..

— მაშ, ვერა მხედავ, შვილო? ვერა მხედავ, გენაცვალე? — დაღრიალა განწირული ხმით უბედურმა დედამ.

— ვერა, დედა... ვერა გხედავ!.. — გაისმა მომტირალე ხმა პაწია ავადმყოფისა.

დედას გული შეუწუხდა. მხიარულობა უცებ შეწუხარებად შეიცვალა. ავადმყოფი მიხვდა თავის უბედურებას და იწყო გულამოსკვნილი ტირილი. ბაბუცამ პირველ ხანად დიდის შეწუხარებისაგან თითქო სრულიად დაჰკარგა ჭკუა-გონება: გაშტერებულ-გაშეშებული იდგა და უგუნურად დაქუეტილი თვალებით ხან მაროს დასცქეროდა, ხანაც მის საბრალო დედასა. რამდენსამე წამის შემდეგ გრძნობას მოვიდა, აზრები მოიკრიფა. საჩქაროზე მიარბეენა მაროსთან წყალი, მოუჯდა გვერდზე, ისველებდა ხელსა და ნელ-ნელა, ფრთხილად ამ სველ ხელს უსვამდა მას თვალებზედა: უგრილებდა, უსუფთავებდა თვალებს და თანაც ალერსიანად ეუბნებოდა:

— ნუ გეშინიან, მარო, ნუ ტირი, შენი ჭირიმე... ნუ ტირი, თორემ თვალები უფრო გეტკინება, გენაცვალე!.. ალბათ, ჯერ კიდევ არა გაქვს კარგად მორჩენილი და ამიტომ ვერა ხედავ... მოგირჩება, გენაცვალე, და მაშინ ყველაფერს დაინახავ, თავს შემოგევლე...

VII

პაწია მარო დაბრმავდა. ძლევამოსილ ავადმყოფობასთან სრულებით ვერა გააწყო რა სხვადასხვა ნაირმა სოფლურ საშუალებათა ხმარებამ. ნაცნობ-ნათესავებმა ესეთი საშუალებანი ბლომად იხმარეს. პაწია უსინათლო წმ. ბარბარეს ეკლესიაში ალოცეს; შემდეგ წმ. მარინეს ზვარაკი დაუკლეს და მის საყდრის ნანგრევებთან ღამე ათიეს, მკითხავის რჩევით მაროს ტანზე ჩააცვეს წითელი კაბა, თავზე მოახვიეს წითელივე თავშალი და ფეხშიშველა ნახევარ დღის სავალ გზას გაუყენეს. ყველგან, ამ სიარულის დროს, ავადმყოფს განუყრელად თან დასდევდა მისი ერთგული მეგობარი ბაბუცა, ეჭირა მაროს ხელი და ფრთხილად გადაჰყავდა ერთი ადგილიდან მეორეზე. როგორც ყველა ბრმას, ამასაც გასაოცარის სისწრაფით გაუფხიზლდა და განუვითარდა გრძნობა სმენისა და შეხებისა. არც ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა მაროს ყურებს, თუნდაც რომ ეს სიტყვა სრულიად დაბალი ჩურჩულით ყოფილიყო წარმოთქმული. საკვარისი იყო მცირეოდენი განძრევა ბაბუცას რომელიმე თითისა, რომ მის უბედურ მეგობარს მაშინათვე შეეტყო — სად უნდა შემდგარიყო, სად გადაებიჯებინა, ანუ სად გადამბტარიყო. ბაბუცა ფარვანა პეპელასავით თავს ევლებოდა ავადმყოფს, გაფაციცებით შესცქეროდა უსინათლო თვალებში და ხშირად თვით თვალცრემლიანი, ცდილობდა მის გართობას, გამხიარულებას. ლოცვისა

და ღამის თევის დროს მთელი საათობით იდგა მუხლის თავებზე და გულმხურვალედ ევედრებოდა ამა თუ იმ წმიდანს მაროს განკურნებასა. ამგვარადვე იქცეოდნენ დედ-მამა, ზოგიერთი მეზობელ-ნათესავები, მაგრამ საცოდავ უსინათლოს ამაებით მხედველობა მაინც ვერ დაუბრუნეს. სასოწარკვეთილებამ მოიცვა ყველას ფიქრი და სამი-ოთხი კვირის ამგვარი მეცადინეობის შემდეგ უნუგეშოდ დაიკრიბეს გულხელი. შეეჩვია თავის საზარელ მდგომარეობას საწყალი მაროც!.. დამშვიდდა და უდრტვინველად დაემორჩილა მწარე ბედსა. არ ემორჩილებოდა ამ ბედს მხოლოდ ერთი, ამოდენა ხალხში მხოლოდ ერთადერთი. სასოწარკვეთილებას გაშმაგებით იშორებდა თავიდან და ორივ ხელით იმედსა და სასოებას ებღაუჭებოდა. ეს იყო ბაბუცა! ეს იყო გრძნობა წმინდა, მაღალი, კურთხეული გრძნობა სიყვარულისა, მეგობრობისა!! სიბრაზისა და მხნეობის ცეცხლით უპრიალებდა თვალები, როცა ესმოდა უსიცოცხლო, უბადრუკი ხმა სასოწარკვეთილებისა. დღედაღამ ერთსა და იმავე საგანზე ფიქრობდა. ერთის გრძნობით, ერთის მისწრაფებით იყო გამსჭვალული მთელი მისი არსება. და, თუმცა მისი ნორჩი, ბავშვური ჭკუა-გონება ბევრს ვერაფერსა ხდებოდა, მაინც მტკიცედ ადგა ერთ აზრსა და დაჟინებით გაიძახოდა: „არა, არ შეიძლება, რომ მარო სამუდამოდ უსინათლო დარჩეს... ეშველება, უსათუოდ ეშველებაო!“ რაზე იყო დამყარებული ასეთი რწმენა?.. პირველად, რაღა თქმა უნდა, სიყვარულზე. სიყვარულმა აღძრა ბაბუცას გულში რწმენა და რწმენა ხომ ისეთი ძალია, რომელიც მაცხოვრისა არ იყვეს — უძრავ მთებსაც კი აამოძრავებს, ერთს მეორის ადგილზე გადაიტანს და გადმოიტანს. მეორედ—ზოგიერთა უმნიშვნელო გარემოებაზე, უცაბედად წამოსროლილ სიტყვებზე, რომლებშიც დაუდევარი კაცი ვერაფერს შეამჩნევს, ხოლო მოსიყვარულე გული უკვდავების წყაროს აღმოჩენასაც კი შეეცდება.

ჩვენი გოგოების სოფელზე დიდი შარა გზა გადიოდა, იქვე ახლო ხეობას შესდევდა და მერმე, ბილიკებად დაყოფილ-გადაქცეული, სადღაც მთებში იკარგებოდა. ერთ დღეს მარო და ბაბუცა ამ გზის პირად ისხდნენ და პაწია, წვრილი წკეპლებით პატარა ლასტსა სწნავდნენ. ერთი ჩხირი დააკლდათ და ამის მოსატანად ფეხზე წამოდგა მარო. იცოდა, რომ გზის მეორე ნაპირას ვენახის ღობე იყო და ამ ღობისკენ ხელებგაშვერილი ნელ-ნელა წავიდა. სწორედ ამ დროს გზაზე ცხენოსანი მგზავრები გამოჩნდნენ. ერთმა ამათგანმა შენიშნა მაროს მდგომარეობა, ცხენი შეაყენა და ბაბუცას დაელაპარაკა:

— გოგო, ე ბავშვი რად დადის ესრე? ბრმა ხომ არ არის?

— დიახ, უსინათლო გახლავთ!.. — მიუგო ბაბუცამ.

— დაბადებით არის ეგრე, თუ რაიმე ავადმყოფობით მოუვიდა? — კვალად იკითხა გულმტკივნეულმა მგზავრმა.

— დაბადებით არა! ეხლახან მოუვიდა წითელასაგანა.

— აფსუს გოგონა, აფსუს! ამას რო პატრონი ჰყავდეს და ტარსაიძესთან ჩაიყვანოს, დარწმუნებული ვარ, საჩქაროზე მოარჩენს.

ამ სიტყვებმა სწორედ სიხარულის თავზარი დასცეს ბაბუცასა. მგზავრი წავიდა, ბაბუცა კი თვალებანთებული, ფერწასული, გაშეშებულივით იდგა ერთ ადგილზე და წამდაუწუმ მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: „ტარსაიძე, ტარსაიძე, ტარსაიძე“... რამდენიმე წამის შემდეგ გარინდებულ მდგომარეობიდან გამოერკვია, გრძნობა დაუმშვიდდა, აზრი დაუწყნარდა. იწყო ფიქრი: ტარსაიძე გვარია, ეპვი არ უნდა, ადამიანის გვარი!.. ვინ იცის, იქნება ეს ტარსაიძე გამოჩინებული დოხტურიც იყვეს? იქნებ ბრმებს არჩენდეს? იმ კაცმაც აკი ასე სთქვა! ნეტა ვინ არის ეს ტარსაიძე?.. სადაურია?.. სად ცხოვრობს?.. ვაიმე!.. ვაიმე და დიდი ჭირი!.. იმ კაცს ხომ ეცოდინებოდა!.. რატომ არ ვკითხე, რატომა?“ ბაბუცამ ფიცხლავ დაჰყარა ხელიდამ პაწია წკეპლები და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა გზატკეცილზე. გარბის პაწია გოგონა, მიჰქრის როგორც ის ნიავი, რომელიც მას წინა ხვდებოდა, შავ თმებს უბურძგნიდა, კაბას უფრიალებდა, გახურებულ ოფლიან სახეს უგრილებდა. შორს, ხეობის მოსახვევში დაინახა მიმავალი მგზავრები. შესდგა და ზარივით წკრიალა ხმით გასჭყივლა: „კაცო, კაცო!..“ მთელი ბუნება ახმაურდა; დიდმა ხეობამ და ტყით დაბურულმა მაღალმა მთებმა თითქო ენა ამოიდგეს: ყოველის მხრიდან მოისმა ბაბუცას ძახილის გამეორება. უსულდგმულო ბუნებამ ხმა მოსცა, ხოლო სულიერი არსებანი კი სდუმდნენ. ბაბუცამ კიდევა სცადა მოწევნა. ღონივრად ამოისუნთქა და ხელახლა გაფრინდა გზაზე. კაი ხანს ირბინა, მაგრამ მგზავრებს თვალიც ვეღარსად მოჰკრა. მაინც ერთი კიდევა სცადა, მოიკრიბა ღონე და გასჭყივლა: „კაცო, კაცო“. მთებმა კვლავ გაიმეორეს ეს ძახილი და შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა გარშემო, ბაბუცა გაჯავრდა; წარბები შეიკრა და ლამაზი თვალები მრისხანებით დააბრიალა. ჯერ თითონ შემოიკრა რამდენჯერმე თავში ხელი, მერე მუშტი მოიღერა და გაბრაზებით გასძახა იქით, საითკენაც დაიმალნენ მგზავრები: „დაგაყრუოთ, დაგაყრუოთ მამიჩემის სალოცავებმა!.. მთებმა გაიგონეს ჩემი ხმა და თქვენ რა ღმერთი გაგიწყრათ!“ ბაბუცამ ქვითინი მორთო, მაგრამ ტირილი საჩქაროზედვე შესწყვიტა. როგორცა სჩანდა, იმედის მადლმა ხელახლა ჩაუშუქა მის უმანკო სულში. ოფლი, ცრემლი მოიწმინდა და ჩქარის ნაბიჯით გამოსწია უკანა. მოდიოდა და თანაც ვიღაცას ელაპარაკებოდა; „ეპვი არ არის, ეს ტარსაიძე სხვასაც ვისმე ეცოდინება, აჰ, სად არის ეხლა ჩვენი მასწავლებელი?.. იმან ხომ ყველაფერი იცის! ის უსათუოდ მეტყოდა ვინ არის ტარსაიძე“.

მალე ბედმა გაუღიმა ბაბუცასა. მეორე დღესვე ყველაფერი შეიტყო, რაც კი იმის კეთილს სულსა და გულსა სწყუროდა. ბაბუცა და მარო ხელახლა შეუდგნენ ბატების უკან დევნასა. ერთ დღეს, სადილობისას, ბატები წყალში ჩარეკეს, თითონ კი ხის ქვეშ ჩრდილში დასხდნენ და იწყეს რაღაებზედაც ტიკტიკი. დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, რომ უცებ წყლის პირად ჩარიგებული ნერგების ჩრდილ ქვეშ გამოჩნდა მთელი გუნდი მოსეირნე ხალხისა. ესენი იყვნენ ქალაქიდან მოსული სტუმრები აქაური თავადიშვილისა. რამდენიმე ლამაზად ჩაცმულ-დახურული ყმაწვილი ქალ-ვაჟი ერთმანეთში არეულიყვნენ, ხელი ხელს ჰქონდათ გაყრილი და მხიარული ლაპარაკით, სიმღერით და სიცილ-ხარხარით ჩვენი ბავშვებისაკენ მოდიოდნენ. ბაბუცამ შესწყვიტა ლაპარაკი და დაუწყო ამათ ცქერა. მოსეირნე ქალ-ვაჟნი გოგოებს დაუპირდაპირდნენ. ერთმა ყმაწვილმა ქალმა ბაბუცას სახეს მიაქცია ყურადღება და ხმამაღლა რუსულად გასძახა ამხანაგებს: — შეხედეთ, ბატონებო, ამ პატარა სოფლის გოგონას, რა მშვენიერი და ლამაზი რამ არის! ყველანი შეჩერდნენ, გოგოებს შემოეხვივნენ გარეშემო და ამ დროს შენიშნეს მაროს მდგომარეობაცა. როცა კითხვა-კითხვით შეიტყეს მისი დაბრმავების მიზეზი, თითქმის ერთხმივ წამოიძახეს: — ტარსაიძესთან რომ ჩაიყვანონ, მაშინვე მოარჩენსო. — აქამომდე ბაბუცა მოკრძალებით თავჩაღუნული იდგა და პასუხს ნაწყვეტ-ნაწყვეტი „ჰოოთი და არათი", აძლევდა. ტარსაიძის გაგონებაზე გალიიდან გათავისუფლებულ ჩიტუნასავით შეიფრთხიალა, გაცოცხლებული თვალები სიხარულით შეანათა ერთ მის ახლო მდგომ ქალსა და თამამად დაეკითხა:

— ვინ არის, ქალბატონო, ეგ ტარსაიძე?

— ტარსაიძე თვალების ექიმია, ჩემო ლამაზო! — უპასუხა ალერსიანად მოხსენებულმა ქალმა.

— სადაურია ტარსაიძე? — კვალად იკითხა ბაბუცამ.

— ექიმი ტარსაიძე ცხოვრობს თბილისში! — სთქვა სტუმარმა ქალმა და მერმე მიუბრუნდა ბაბუცას:

— ყოფილხარ როდისმე, ჩემო გოგონავ, ქალაქში?

— ვყოფილვარ, ქალბატონო... ბარე ორჯერაც.

— მაშ, იქნებ მიხვდე: ტარსაიძე ვერაზე ცხოვრობს!

— ჩემი მამიდაც ვერაზე ცხოვრობს! — წამოიძახა სიხარულით გატკრაციალებულმა ბაბუცამ.

ამის შემდეგ მხიარულნი ქალ-ვაჟნი მოშორდნენ ბავშვებს და უდარ-

დელი მხიარულობით გააგრძელეს თავიანთი სეირნობა. ბაბუცამ და მარომ სხვა დროს და სხვა ადგილსაც რამდენჯერმე გაიგონეს ხელახლა მათთვის საყვარელი კაცის გვარი. მაგრამ, ყოველ ამ დროს აუწერელ სიამოვნებასთან ერთად მწარე ფიქრიც გაუჩნდებოდა ხოლმე ბაბუცას თავში. „ამ დალოცვილებმა იციან სადაც არის შველა, თითქო კიდეც ებრალებათ მარო, მაგრამ ცარიელ სიტყვებზე ჩერდებიან და საქმით დახმარება თითქო ფიქრადაც არავის მოსდის“. ამაზე უფრო მომეტებულად ბაბუცას შინაურების დაუდევრობა სწყინდა. როგორც მშობლებმა, ისე ნათესავობამ მაროს შესახებ ყოველივე იმედი გადაწყვიტეს. გაუნათლებლობას სიღარიბეც ზედ დაერთო და საწყალი უსინათლო ღვთის ანაბარად მიაგდეს. მაროს დედ-მამასთან რამდენჯერმე ჩამოაგდო ბაბუცამ ლაპარაკი, მაგრამ ყოველ ამისთანა დროს ერთი და იგივე ესმოდა მათგან: „სადა გვაქვს შეძლება. ღარიბ-ღატაკები ვართ... სადაც წმიდა მარინე, წმიდა ბარბარე და წმიდა გიორგი ვერას გახდნენ, რას გახდება იქ ადამიანი, თუნდაც, რომ ამ ადამიანს ტარსაიძე ერქვას?“ ესმოდა ყველა ეს და გული უსკდებოდა პატარა მეგობარს. ღამე ძალი დაჰკარგა, დღეებს მოუსვენრად ატარებდა, ფიქრობდა და ამ ფიქრების საგანი ყოველ წამს თვალწინ უტრიალებდა. ქვეყნიერებაზე ტარსაიძის მეტი აღარაფერი ახსოვდა. ერთხელ სიზმარშიც ნახა: ღრმად მოხუცებული თეთრწვერა ბერიკაცი იჯდა ტახტზე; მის წინ ჩამწკრივებულიყვნენ დაჩოქილი ბრმები... მოხუცი ნერწყვით ისველებდა თითსა, მერმე ბრმებს უსვამდა თვალებზე და იმავე წამს მხედველობა უბრუნდებოდა ყველასა. ამ სიზმრის შემდეგ ტარსაიძე მან მართლა დიდწვერა მოხუცებულად წარმოიდგინა; და ამ მოხუცს ისე ეევდრებოდა მაროს მორჩენას, როგორც ეკლესიაში დახატულ წმიდანებსა. დრო და ჟამი გადიოდა და არც ამ ლოცვასა და ვედრებას მოჰქონდა რამე სახეირო. ბაბუცამ გადასწყვიტა — თვითონ მოევლო საქმისთვის. „მე თითონ ვუშველი მაროსა, — გადაწყვეტით ამბობდა ის თავის გულში, — არ მინდა არავისი დახმარება... წავალ და წავიყვან ქალაქში. მაგრამ როდი დამანებებენ, ნამდვილად არ მანდობენ! არ მანდობენ და ჩუმად წავიყვან. ჩვენ სოფლამდე გზა კარგად ვიცი. იქ ჩავიყვან, მერე რკინიგზაში ჩავსვამ და ორივენი დრიგინ-დრიგინით ჩავირბენთ ქალაქში. ხა, ხა, ხა! მოგვდიონ მერე უკან... კამეჩები შეაბან ურემში და ისე გამოგვიდგნენ... ძალიან მალე კი დაგვეწევიან, არა? ხა, ხა, ხა!.. მაგრამ რკინიგზის ფული რომ არა მაქვს?.. საიდგან ვიშოვნო?.. რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე?“

— ფარჩა ივაჭრეთ, ფარჩაა! — გაისმა ამ დროს ცხენით მოსიარულე

ურიის ხმა. ბაბუცამ თვალები ჭყიტა, ფიცხლავ ფეხზე წამოხტა, გადუდგა წინ ურიას და უთხრა:

— ბატი იყიდე, არ გინდა?..

ურია ჩაფიქრდა; მერმე ცხენი გამოატრიალა და დაბალი ხმით ყიდვის სურვილი გამოაცხადა. დიდხანს არ უვაჭრიათ. დიდ მამალ ბატში ერთი მანეთი მისცა და აჩქარებით გაუდგა თავის გზასა. ბაბუცამ კი მაროსთან მიირბინა, მოუჯდა გვერდზე და ჰკითხა:

— მარო, გენაცვალე, რამდენი ბატი გვერგება ჩვენ მათ მოვლა-პატრონობაში?

— ორი ბატი, ბაბუცი!. რა იყო? ვის ელაპარაკებოდი?

— ურიას!.. ერთი ბატი მივყიდე. ეხლა ფული მაქვს და მინდა ტარსაიძესთან წაგიყვანო.

— ჩვენები არ გამომიშვებენ, ბაბუცი!..

— ნუ შევატყობინებთ!.. ამაღამ, დაიძინებენ თუ არა, ადექი, გამოდი კარზე. მეც იქ დაგხვდები და წავიდეთ. გათენებამდე ჩვენ სოფელში ჩავალთ, მერე ჩავსხდებით რკინიგზაში და ჰაიდაა!..

— უიმე, როგორ იქნება, ქალო? ღამე მეშინიან!

— მთვარიანი ღამეა, მარო, შე სულელო, რისა უნდა გეშინოდეს? შე აქ არა ვარ!.. იცი, მარო, თქვენი ცუგრიკაც წავიყვანოთ.

— მეშინიან, ბაბუცი, მეშინიან!..

— რას ამბობ, რასა, გოგო?! რა დროს შიშია! ტარსაიძე თვალებს აგიხელს, ყველაფერს ისევ ისე დაინახავ, როგორც წინადა. იცი, მარო, ისეთი კარგია რკინიგზა, ისეთი რომ ჰაა!.. ლამაზ ოთახში ზიხარ დიდ-კაცურად სკამზე ჩამომჯდარი, რკინიგზა კი გარბის, გარბის კუდამოძუებული და თან მიარახრახებს შენ ოთახსაცა. მერე ტარსაიძესთან მიგიყვან. ისეთი კაი კაცია ტარსაიძე, ისეთი ტკბილი, როგორც ყინვარე შაქარი!..

მაროს სახე გაუცოცხლდა, პირს ღიმილი გადაეფინა. მერე ხელები მოხვია ბაბუცას, გულში ჩაეკრა და თვალცრემლიანმა უთხრა:

— შენი ჭირიმე, ბაბუცი, შენი!.. შენა ხარ მარტო ჩემი პატრონი!.. წამოვალ, გენაცვალე, წამოვალ...

IX

შემოდგომის მშვენიერი ღამე იყო; გრილი, წყნარი, დამშვიდებული ღამე. მოწმენდილ-მოკრიალებულ ცაზე სავსე მთვარე იდგა და თავის ნაზ შუქს უხვადა ჰფენდა მთას და ბარსა, ცასა და ქვეყანასა. შუა ღამე მოტანებული იქნებოდა, როდესაც ჩვენს, უკვე ნაცნობ, გზატკეცილზე

გამოვიდნენ ხელი-ხელ ჩაკიდებული ბაბუცა და მარო. წინ მოუხტოდათ ცუგრიკა. ჭკვიანი პირუტყვი თითქო კარგად გრძნობდა თავის აწინდელ დიდს მოვალეობას: ბავშვებს მალიმალ გარშემო ურბენდა, წამდაუწუმ დგებოდა და გულმოდგინებით აქეთ-იქით იცქირებოდა; ხანდახან გოგოებთანაც მიირბენდა ხოლმე, ხელებს ულოკავდა, ალერსიანი წკმუტუნით მათ წინ ხტუნაობდა. ამის გამო პაწია მეგობრები სრულებითაც არ გრძნობდნენ თავიანთ თავს მარტო მყოფად. რაღა თქმა უნდა, ცხადად ეტყობოდათ გავლენა იმ არაჩვეულებრივი მდგომარეობისა, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფებოდნენ. გულზე რომ ხელი დაგედოთ, მაშინვე იგრძნობდით მის გაცხარებულ ფანცქალსა, ცხადია, რომ ესეთი ფანცქალი შიშისა და შეკრთომის შედეგი იყო. მაინც კი უკან არ იცქირებოდნენ, გაბედვით, კარგად შეგნებული გარდაწყვეტილებით მიეჩქარებოდნენ, მაგრამ ფრთხილად, ფეხაკრეფით. ირგვლივ დამყარებულ მყუდროებას ამის გამო სრულიად არ არღვევდა მათი მოძრაობა. ბაბუცა, რომ იტყვიან, სწორედ ცქერად იყო გადაქცეული. დიდრონი თვალები განივრად დაეჭყიტა და შეშინებული კურდღელივით აქეთ-იქით აცეცებდა. უცებ მარო შეხდგა და ხელი გამოსწია ბაბუცასაცა.

— რა იყო, მარო? რამ შეგაშინა, გენაცვალე?.. — ჩურჩულით ჩაეკითხა უფროსი მეგობარი უმცროსსა.

— გზაზე წინიდგან ურემი მოდის.

— არა, მარო, არაფერი არა სჩანს რა.

— როგორ არა, მეურმის სიმღერა მესმის.

— არც სიმღერა მესმის, ჩემო მარო! თუნდაც რომ მართლა მოდიოდეს ურემი, ჩვენ რა? გზიდან გადავალთ, ბუჩქებს ამოვეფარებით, ურემი გაივლის და ჩვენ ისევ გავაგძელებთ გზასა. — ბავშვები დაიძრნენ და კვალად შეუდგნენ სიარულსა. ათიოდე წამის შემდეგ მარომ ხელახლა შეაჩერა მეგობარი და ჰკითხა:

— ბაბუცი, არც ეხლა გესმის სიმღერა?

— არა, მარო, არც ეხლა მესმის! ნუ გეშინიან!.. თუ გზაზე მართლა ურემი მოდის, ეგ ჩვენთვის უფრო კარგიც არის: ნადირს დააფრთხობს და ჩვენ ხიფათს გადაგვარჩენს. — მგზავრებმა აუჩქარეს ფეხს. გაიარეს კარგა მანძილი და უცებ ჰაერში გაისმა ნიავისაგან მოტანილი სევდავარამით სავსე ჩვენებური ურმული. ბაბუცამ ყურები ცქვიტა, შეაჩერა მარო და უთხრა:

— მარო, აგერ, მეც გავიგონე სიმღერა!.. გზიდან გადავიდეთ, ბუჩქებში დავიმალოთ!

— არა, ბაბუცა, ურემი ჯერ შორს არის; როცა ახლო მოვა, მაშინა. — ახლა ცუგრიკამაც იგრძნო რაღაცა, კუდი ზურგზე შეიკაუჭა, მოუსვენრად იწყო წკმუტუნი და წინ და უკან გაცხარებული სირბილი. არც ამის პატრონები იდგნენ ერთ ადგილას. კაი ხანს იარეს და მერე, როცა ურემი მოუახლოვდათ, გზას გადუხვიეს და გაბარდღნულ ბუჩქებში ჩაიმალნენ. ცუგრიკა დაიჭირეს, შუაში ჩაისვეს და, რომ ყეფა არ დაეწყო, თავზე კაბა გადააფარეს. ურემშა გამოუარა ბავშვებს გვერდზე და ნელ-ნელა წავიდა ზევით. ბავშვები მაშინვე წამოდგნენ ფეხზე და ხელახლა დაადგნენ გზასა. მალე ჩაუარეს გვერდზე ერთ სოფელსა, საიდანაც შემოესმათ მამლის ყივილი. გაიარეს ამ სოფლის ვენახების ვიწრო ორღობე და მერმე გავიდნენ ფართო ტრიალ მინდორზე.

— აი, მარო, ამ მინდორს რომ გავალთ, ჩვენი სოფელიც იქვე დაგვხვდება. რკინიგზაც იქვე ჩვენი სოფლის ბოლოშია, ჩავსხდებით და გავსწევთ. — ბავშვებს, რაღა თქმა უნდა, სული მისდიოდათ ამ რკინიგზის დანახვისათვის, მაგრამ მეტისმეტად გაგრძელდა, გაჭიანურდა წყეული გზა. ჯერ შუა მინდორიც არ ჰქონდათ გავლილი და ჩვენმა პატარა მგზავრებმა დაღალვა იგრძნეს. მაინც კი სიარულს არ იშლიდნენ. უცებ მარო შესდგა და კანკალით უთხრა ბაბუცასა:

— ბაბუცი, ძაღლის ყეფა მესმის, იცი? პატარა ძაღლების კი არა, დიდი ქოფაკებისა.

ბაბუცა შეკრთა, სული განაბა და ყური დაუგდო. კაი ხანი იდგა ასე სმენად გადაქცეული, მაგრამ მის ყურებს სრულიად არაფერი შემოსმენიათ. მაინც გულმა კანკალი დაუწყო. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ მინდორში გავლა-გამოვლის დროს, აქ სადღაც, ცხვრის ფარეხი ჰქონდა ნახული. მოაგონდა ისიც, რომ ამ ფარეხის პატრონს ხბოს ტოლა ავი ძაღლები ჰყავდა. ბაბუცამ ჯიბიდან ნახევარი პური ამოიღო, ცოტა ცუგრიკას მიუგდო, ცოტაც მაროს მოუტეხა, დანარჩენი ხელში დაიჭირა და იმედიანად წარმოსთქვა:

— ნუ გეშინიან, მარო! თუ მართლა შეცხვარის ძაღლები გამოგვიდგნენ, ამ პურს გადავუგდებ და თავს დაგვანებებენ. — ამ სიტყვებით დაიმშვიდეს გული და, ცოტაოდენი დასვენების შემდეგ, გასწიეს გზაზე. იარეს და უცებ გზის ცოტა მოშორებით, მარცხნივ მხარეს, დაინახეს კარგა მაღალი გორა, საიდანაც მკაფიოდ მოესმათ ძაღლების ყეფა.

— ბაბუცი, ძაღლები მორბიან ჩვენკენა!.. — დაიძახა მარომ. ბაბუცამაც გაიხედა გორისაკენ და ღამის ბინდბუნდში ცხადად გაარჩია მომავალი ძაღლები. შეშინებულმა გოგომ იწყო აქეთ-იქით ცქერა. არსად ხე, არსად ბუჩქი!.. მაინც წაავლო მაროს ხელი, სირბილით გადაყვანა

გზიდამ და ცოტა მოშორებით, ნიაღვრისაგან ჩათხრილ ხრამში, ჩააწვინა და თითონაც გვერდზე მოუწვა. ცუგრიკა გზაზე დარჩა და თავგამოდებით იყეფებოდა. კუდი მამაცურად მოეკაუჭებინა ზურგზე, კისრის ბალანი ყალყზე დაეყენებინა, უკანა ფეხებით გაბრაზებით სთხრიდა მიწას და თანაც შეუჩერებლივ იყეფებოდა. ცხადად სჩანდა, რომ ჩვენი ცუგრიკა რაღაცა საგმირო საქმისათვის ემზადებოდა; თავის შეშინებულ, მარტოხელა მეგობრებისთვის თავდადებასაც კი არ ერიდებოდა. ბაბუცამ ფრთხილად აიღო თავი მაღლა და დაინახა: ცუგრიკამ კიდევ დაიყეფა და მერმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუსვა შინისკენ. ბაბუცამ თავი ჩაღუნა და, როცა, ორიოდე წამის შემდეგ, ხელახლა აიხედა, ცხადად გაარჩია შორს, შორს გზაზე ჩიტივით მიჰფრინავდა ცუგრიკა, რომელსაც კარგა მოშორებით ყეფით მისდევდნენ მეცხვარის ძაღლები. ბაბუცამ მაშინვე ხელი დასტაცა მაროსა, ააყენა ფეხზე და უთხრა:

— აბა, მარო, მომეცი ხელი და გავიქცეთ... ცუგრიკამ ზემოთკენ გაიტყუილა ძაღლები. — ორივენი გავიდნენ გზაზე და მოჰკურცხლეს. რადგან გზა ლამაზად იყო გატკეცილი, მარო კარგად ახერხებდა სირბილსა. კაი ხანს ირბინეს ამნაირად, სანამ ქანცგაწყვეტილები არ დაეყარნენ ერთი პატარა ბუჩქის ძირას. ბავშვებმა ოფლი მოიწმინდეს და მხიარულად შესცინეს ერთმანეთს.

— ნეტა, რა მოუვიდა ცუგრიკას? — ნაღვლიანი ხმით იკითხა მარომ.

— ცუგრიკას ვერ დაეწეოდნენ მეცხვარის ძაღლები, — უპასუხა მხიარულად ბაბუცამ. — ძლიერ შორს იყო და ისე გარბოდა, ისე მიფრინავდა, როგორც მერცხალი. მე რომ გავხედე, სწორედ ე ჩემი მუშტისოდენა ჩანდა.

— არ დაიკარგება, არა, ბაბუცი! უკანვე წავა და გათენებამდე სახლში დაბრუნდება.

— ეგ ხომ ეგრე იქნება!.. აბა, რა დაჰკარგავს ჩვენ ცუგრიკასა?.. მე ვიცი, ჭკუა და ეშმაკობა აკლია!..

კარგა ხანს დარჩნენ აქ ბავშვები. დაისვენეს, ცოტა კიდეც შენაყრდნენ, მერმე წამოდგნენ ფეხზე და ყოჩაღად გაუდგნენ გზასა. ამ დროს მტრედის ფრად იყო ნანათლი; შორეული თუ ახლო მდებარე საგნები ჰაერში ლამაზად ირკვეოდნენ. გამოჩნდა ბაბუცას სოფელი და მასთან ერთად თეთრად გალესილი შენობა რკინიგზის სადგურისა. უცებ ჰაერში გაისმა მატარებლის ჭყვირილი. მარო შეკრთა...

— ბაბუცი, რა იყო ესა, გენაცვალე?..

— ეგა, მარო, მაშინის ჭყვირილია. როცა ან წასვლას აპირებს,

ან დადგომასა, ეგრე დაიუყვირებს ხოლმე. — ამის შემდეგ ბავშვებმა გააბეს რკინიგზაზე ლაპარაკი და ამ ლაპარაკში, სრულიად შეუმჩნევლად, მიადგნენ სადგურსა. იყიდეს ორი ბილეთი. პატარა ხანს უკან მოვიდა მატარებელიც. ჩასხდნენ შიგ ჩვენი გოგოები და გასწიეს ქალაქისაკენ.

გზა მშვიდობისა მოგცეთ ღმერთმა, გზა მშვიდობისა, ჩემო პაწიებო!

X

დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც მატარებელი ქალაქის სადგურის წინ გაჩერდა. ჩვენმა გოგოებმა რკინიგზის ვაგონში ერთი ქალაქში ნამყოფი სოფლელი დედაკაცი გაიცნეს. ეს დედაკაცი გამოუძღვა ბავშვებს წინა, გაიყვანა „კონკასთან", ჩაჯდა შიგა და მოისხა ესენიც გვერდზე. ვერის აღმართით ავიდნენ გოლოვინის პროსპექტზე და გაჩერდნენ. ექიმ ტარსაიძის სახლი იქვე ახლო თითით აჩვენეს და შემკრთალ-შეშინებული ბავშვები მაშინვე წავიდნენ იქითკენ. ნაცნობი დედაკაცი კარებამდის მიჰყვა, უთხრა: ნუ გეშინიათ, ადით მაღლაო და გაბრუნდა უკან. მთელი კიბე და ზემოთ აივანი ავადმყოფებით იყო სავსე. ამის გამო მაღლა ასვლა, რიგორც ურჩია სოფლელმა დედაკაცმა, ვერ იყო აგრე რიგად ადვილი აღსასრულებელი. პირველსავე საფეხურთან შესდგა ბაბუცა და ნაღვლიანი თვალებით იწყო აქეთ-იქით ცქერა. იქვე ახლო იჯდა ხანშიშესული მანდილოსანი. ყურადღება მიაქცია ბავშვებს, მათ ღარიბ-ღატაკულ ჩაცმა-დახურვას, მათ დაღონებულ, მაგრამ მაინც ეშხიან და ლამაზ სახეს, შეეცოდა და დედა-შვილური კილოთი ჰკითხა:

— გეტყობათ, გოგოებო, აქაურები არა ხართ.

— არა, ქალბატონო, — მიუგო ბაბუცამ, — სოფლელები ვართ. ეს არის ეხლა ჩამოვედით ქალაქში.

— პატრონი არავინ ჩამოგყვათ?

— არა!..

— ობლები ხართ?

— არა!

— მაშ, რა ამბავია თქვენ თავსა?

— წუხელი შუაღამისას გამოვიპარენით, მთელი ღამე ვიარეთ და გათენებისას ტანციასთან ჩამოვედით, იქიდან მერე აქ გიახელით. — ვინც კი ეს სიტყვები გაიგონეს, ყველამ თვალები ჭყიტეს, ფეხზე წამოდგნენ და მომღიმარე სახით ბავშვებს შემოეხვივნენ.

— მერე, რად გამოიპარენით, თქვე ბაიყუშებო, თქვენა?.. ვინ იცის

ეხლა, რა ყოფაში არიან თქვენი დედ-მამა! — გაჯავრებით უთხრა ბავშვებს იმავე მანდილოსანმა.

— რა მექნა, ქალბატონო, — წარმოსთქვა ბაბუცამ, — არც თითონ მოჰყავდათ, არც მე მანებებდნენ... ღარიბები ვართო... ტარსაიძე ვინ არისო!.. თუ კი წმიდა მარინემ, წმიდა ბარბარემ და წმიდა გიორგიმ ვერა უშველეს რა, რას გააწყობს ი ვიღაც ტარსაიძეა, ისაო?.. — მთელ კიბეზე გაისმა სიცილი.

— მერე, ღამე არ გეშინოდათ, გოგო? — გადმოიძახა ზემოდან ვილაცამ.

— ცუგრიკა გვყავდა თანა, — დაიძახა თავჩაღუნულმა მარომ.

ხელახლა გაისმა კიბეზე სიცილი.

— ბრმა არის ეგ გოგო, თუ თვალები სტკივა? — იკითხეს კვალად მაღლიდან.

— ბრმა გახლავთ, — უპასუხა ბაბუცამ, — წითელასაგან მოუვიდა.

ბავშვებს ამბავი კიბიდან მალე აივანზე ავიდა, აქედან ოთახებს ეწვია და შემდეგ თვით ექიმის კაბინეტამდისაც ძიაღწია. გოგოები აიყვანეს მაღლა. დიდი თუ პატარა ცნობისმოყვარეობით ეხვეოდა გარშემო, ალერსიანად აძლევდნენ სხვადასხვა კითხვებს... ბაბუცას აქებდნენ, მაროს უყვავებდნენ. რამდენსამე ხნის შემდეგ გაიღო კაბინეტის კარი, თვით ტარსაიძემ გამოჰყო დერეფანში თავი და დაიძახა:

— ბაბუცა და მარო, მოდით აქა!

ავადმყოფებმა პირღიმილით, სიამოვნებით დაუცალეს გზა ჩვენ გოგოებსა. ექიმი მოეგება კარებში, შეიყვანა შიგნით და კითხვა-კითხვით დაწვრილებით გაიგო მათი თავგადასავალი. მერე მაროს წაავლო ხელი, თავი აუღო მაღლა და ჩააცქერდა თვალებში.

— ბატონო, შენი ჭირიმე, ტარსაიძესთან მიგვიყვანე!.. — წამოიძახა ამ დროს ბაბუცამ.

ექიმმა გაიცინა, მიუბრუნდა ბაბუცას და უთხრა:

— ვიღასთან უნდა მიგიყვანოთ, გოგონა? აქ არა ვარ!..

ბაბუცამ წარბები შეიკრა, თვალები გაჯავრებით შეაჭყიტა ექიმსა და უკმეხად უთხრა:

— არა, ბატონო, რად გვატყუებ? შენ არა ხარ ტარსაიძე! ტარსაიძე ბერი კაცია, შენ კი ყმაწვილი ხარ!.. ტარსაიძეს დიდი, თეთრი წვერი აქვს, — შენ კი შავი!..

— ხა-ხა-ხა!!! — გადიკისკისა გულკეთილმა ექიმმა... იცინოდა და თან ეკითხებოდა ბაბუცასა:

— ვინ გითხრა, ბავშვო, რომ ტარსაიძე ბერი კაცია, რომ იმას დიდი წვერი აქვსო?..

— მე თვითონ ვიცი!.. სიზმარში ვნახე.

— ხა, ხა, ხა! — კვალად გაისმა მაღალი სიცილი ექმისა.

— სიზმარში ნახე?.. აბა, ერთი მიამბე ის სიზმარი!..

ბაბუცას აღარ დასცალდა თავის სიზმრის გარდაცემა. კაბინეტში შემოვიდა ექიმის ერთი თანაშემწეთაგანი და ცოტა მოკრძალებით წარმოსთქვა:

— მაპატიეთ, რომ წესსა და რიგს ვარღვევ!! ეს არის ეხლა ერთი ყმაწვილი ქალი მოვიდა, თვალი სტკივა და გამწარებით აღარ იცის, რას სჩადის, თუ შეიძლება, შემოვიყვან ეხლავე.

— მოიყვანე, ჩქარა შემოიყვანე! — უთხრა მას ექიმმა. ჩვენი ბავშვები გვერდზე მიაყენა და კარებში მიეგება საცოდავ ავადმყოფს. მარჯვენა თვალი ჩასისხლიანებული ჰქონდა, გმინავდა, კვნესოდა, მოჰაკვდავის ფერი ედო. ექიმმა დაუყვავა, ძმასავით მიუალერსა, სკამზე დასვა და ავადმყოფ თვალში ცქერა დაუწყო, მერმე ტახტზე დააწვინა და ამ თვალში რამდენიმე წვეთი წამალი ჩააწვეთა. ყინულიანი წყლიდან თეთრი, სუფთა ტილო ამოიღო და ფრთხილად დააფარა თვალზე. ორიოდ წამის შემდეგ ახლა სხვა წამალი ჩააწვეთა და ტილოც გამოუცვალა. გავიდა კიდევ მცირე რამ ხანი და გაოგნებული ავადმყოფი დამშვიდდა, დაწყნარდა, ფერიც მოუვიდა. ბოლოს ექიმმა ფეხზე წამოაყენა, თვალი აუხვია და უთხრა:

— ხვალ და ზეგ კიდევ უნდა მოხვიდე და მერე, იმედია, თვალი სრულებით მოგირჩება. — ქალი უცებ მივარდა ხელზე, თავი დაღუნა და სასოებით უწყო კოცნა. ექიმი გაწითლდა, ძალით გაინთავისუფლა ხელი და წყენით უთხრა:

— აბა, რას სჩადიხარ? მღვდელი ხომ არა ვარ, რომ ხელზე მკოცნი!!.

— მღვდელი რა სათქმელია, შენი ჭირიმე... იქნება არქიელებშიაც არავინ იყვეს ისეთი, რომელსაც შენისთანა მადლიანი მარჯვენა ჰქონდეს!.. — დაიძახა აღელვებით ყმაწვილმა ქალმა.

არც ერთი სიტყვა ავადმყოფისა, არც ერთი მოძრაობა ექიმისა არ გამოჰპარვია ბაბუცას ანთებულ თვალებს და სმენად გადაქცეულ ყურებსა. ყველა ამის გავლენით ბაბუცას წარმოდგენაში უწინდელი, სიზმრის და ოცნების ტარსაიძე გაჰქრა და მისი ადგილი ნამდვილმა ტარსაიძემ დაიჭირა. როცა ექიმი ხელახლა მაროსკენ მიბრუნდა, ბაბუცა წინ მიეგება და თვალცრემლიანმა უთხრა:

— ეხლა კი დავრწმუნდი, რომ შენა ხარ ტარსაიძე!.. მოარჩინე, შენი მუხლების ჭირიმე, ჩვენი მაროცა!

— კარგი, კარგი, ჩემო გოგონა!.. ჯერ ერთი გავსინჯო ე შენი მარო! — ამის შემდეგ იწყო მისი თვალების სინჯვა. სინჯა კაი ხანს და ბოლოს მხიარულად წარმოსთქვა:

— ორივე აქ უნდა დარჩეთ ერთი თვე, ან ცოტა მეტი: ყოველ დღე წამლობა საჭირო იქნება, შემდეგ კი ვნახოთ... იმედი მაქვს, რომ მორჩება მარო.

იმავე დღეს ბავშვები თავის საავადმყოფოში დააბინავა და მაროს დედ-მამას კი დეპეშა გაუგზავნა: თქვენი გოგოები აქ არიანო.

* * *

აღსრულდა სახელოვან ექიმის წინასწარმეტყველება! სწორედ ერთი თვის შემდეგ მაროს სრულებით მოურჩა თვალები, დაუბრუნდა მხედველობა. დაინახა ყველაფერი ისევე კარგად, როგორც წინათ ხედავდა, დაინახა თავისი ერთგული, საყვარელი ბაბუცა და ის, მაღალი ჭკუისა და პატიოსნების კაცი, რომელმაც დაუბრუნა ეს მხედველობა. დაინახა ყველა ეს და მეტი სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა საწყალი!.. ხან ტიროდა, ხან იცინოდა!.. ჯერ ბაბუცას ეცა, მხურვალედ მოეხვია და უწყო კოცნა; მერმე ექიმს მივარდა, დაიჩოქა და მუხლებზე მოხვევნას უპირობდა, მაგრამ თავდაბალმა, კაცთმოყვარე მკურნალმა ხელი დასტაცა, პაწია ბალღივით აიყვანა და მამაშვილურად ჩაიკრა გულში. მაროზედ არანაკლებ გახარებული იყო ბაბუცაც, მაგრამ რაღაც უჩინარი მადლიანი გრძნობის გამო თავს იკავებდა, აღტაცებისა და სიამოვნების თავისუფლად გამოხატვას თითქო ვერ ახერხებდა. დიდი იყო სიხარული დედა-მამა-ნათესაობისა, მთელი სოფლისა, როდესაც ბაბუცას მამამ ჩვენი გოგოები სოფელში მოიყვანა!.. ბაბუცას ქებას, ტარსაიძის დიდებას, მაროს ხვევნა-ალერსს აღარა ჰქონდა დასასრული.

მეცნიერების ძლევამოსილებას საკუთარი თვალითა ხედავდნენ და ეს უბრალო, გაუნათლებელი ხალხი წმინდა გულით კრძალვა-მოწიწებით ლოცავდა მის მადლიან ძალასა.

გადიოდნენ დღეები, თვეები, წელიწადები, და ტარსაიძე და მისგან ჩადენილი მადლი არა თუ არ ავიწყდებოდა არავის, არამედ უფრო ბრწყინვალე სახიერებას იღებდა, ზღაპრული თვისებით იმოსებოდა. ამ დროის და ჟამის ცვლაში იზრდებოდნენ აგრეთვე ჩვენი ბაბუცა და მაროც, გასათხოვარი ქალები ხდებოდნენ, მაგრამ თავიანთ წარსული ამბიდან თვით მცირეოდენ ნამცეცა შემთხვევასაც კი არ ივიწყებდნენ. ხშირად მთელი საათობით ისხდნენ ხოლმე ერთად და პატივისცემით, სიყვარულით იგონებდნენ ექიმის თვითეულ სიტყვას, მოქმედებას და გუ-

ლის სიღრმიდან წამოსულ სალამს, მადლობას უთვლიდნენ ხოლმე შორიდან. ყველა ამის მიხედვით, ვგონებ, ცხადად წარმოიდგენს მკითხველი, თუ რა მწუხარება ჩამოვარდებოდა ჩვენს გოგოებსა და მთელ სოფელში, როდესაც შარშან, ამ დროს, გაისმა ხმა ტარსაიძის გარდაცვალებისა. დიდი, ენით გამოუთქმელი, იყო ეს მწუხარება!! ბაბუცა და მარო გულამოსკვნით ქვითინებდნენ და ამათ ქვითინს ბანს აძლევდა მთელი მგლოვიარე სოფლის თანაგრძნობა.

ბედნიეოია, ჰეშმარიტად ბედნიერია, ის მოღვაწე, რომელიც თავის სიცოცხლით შვება-ლხენასა ჰფენს ტანჯულ, დავრდომილ ხალხსა, ხოლო თავის სიკვდილით მდუღარე ცრემლს აფრქვევინებს მას!!!

ეკატერინე გაბაშვილი

1851—1938

ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილი დაიბადა 1851 წლის 18 ივნისს ქ. გორში. მისი მამა რევაზ თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) განათლებული იურისტი იყო. ეკატერინე 5 წლისა გახდა, დედა რომ გარდაეცვალა. პატარა კატოს ბებია (დედის მხრიდან) ზრდიდა 8 წლამდის. შემდეგ მამამ თბილისში წაიყვანა და მიაბარა ჯერ გერმანელების სკოლაში, ხოლო შემდეგ ცნობილ ფავრის პანსიონში, სადაც 6 წელიწადს სწავლობდა. ფავრის პანსიონში ქართულ ენას, სხვებთან ერთად, ასწავლიდა პროფ. ალექსანდრე ცაგარელი.

ეკატერინემ 17 წლისამ დაამთავრა ფავრის პანსიონი და დაბრუნდა თავის მამის სოფ. ფლევში. აქ დაუახლოვდა გლეხობას და კარგად შეისწავლა როგორც მათი გაჭირვებული ცხოვრება, ისე მათი ჩამორჩენილობის მიზეზები.

ერთხანს გორში გადავიდა, სადაც დააარსა დაწყებითი სკოლა ქალთათვის. 1871 წლიდან ეკატერინე თბილისში გადმოსახლდა. თბილისში გაიცნო ალექსანდრე გაბაშვილი, რომელსაც ცოლად გაჰყვა. ეკატერინეს ლტოლვა საზოგადოებრივი მუშაობისაკენ დიდი იყო და ამიტომ თითქმის ყველა კულტურულ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, მწერალმა ქალმა თავისი მოთხრობებით მალე მიიპყრო იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების ყურადღება.

ეკ. გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წელს.

ეკ. გაბაშვილი დიდი მოამაგეა ქართული საბავშვო ლიტერატურისა, ის არა მარტო მუდმივი და ერთგული თანამშრომელი იყო ჩვენში არსებული საბავშვო („ნობათი", „ყვავილი", „ნაკადული") ჟურნალებისა, არამედ პრაქტიკულ და ორგანიზაციულ მუშაობასაც ეწეოდა საბავშვო ჟურნალების რედაქციებში.

ეკ. გაბაშვილის პირველი საბავშვო მოთხრობა „საახალწლო ფეიქაში" დაიბეჭდა 1884 წელს ჟურ. „ნობათში".

ღვინია გადაიჩეხა

I

— ნიკო, ხვალ ძლიერ ფრთხილად უნდა იარო, თორემ ამ საშინელ გაყინულზე თუ ერთი ფეხი გაუსხლტა საქონელს, ის არის და ისა. ცოცხალსაც ვერ ააყენებ.

— ჰოდა! მართალს ამბობს ნენე, — დაუმატა რძლის სიტყვებს მოხუცებულმა გოგიამ, რომელიც რკინის ფეჩის წინ იყო მიცუცქული და ხელებს ითბობდა, — აგერ სამოცდაათი წლის კაცი დავბერდი და თითქმის არ მახსოვს, რომ მოვსწრებოდე ამისთანა ყინვას ჩვენს ქვეყანაში. ჩემს ბიჭობაში კი გამიგონია, 1800 წელს მტკვარი ისე გაიყინა, რომ ორი კვირა ხალხი ზედ გადიოდ-გამოდიოდაო.

— ახლაც ეგრე არ არის! იმ დღეს რომ ქალაქში ვიყავი, მტკვრის პატარა ტოტზე აბდაუბდას დაყირაობდნენ „პოვოსკები". პატარა ბიჭები ისე დასრიალებდნენ კუკიის ხიდის ქვეშ, რომ გეგონებოდა ფეხებში ეშმაკები შესხდომიანო, — დაუმატა ნინიკამ.

— რა ძლიერ გაკვირვებია ყინულზე სრიალი, ჩვენებურები კი არ დასრიალებენ ხოლმე ციგებითა? ისე დავსრიალებთ, ისე, რომ რეტი დაგვეხვევა ხოლმე, — ლაპარაკში ჩაერია ათი წლის მიხა, მამის ძველ მაზარაში გახვეული და თავზე რაღაცა ჭუჭყიან ძონძწაკრული.

— მამილო! ხვალ ქალაქში რომ ჩახვიდე, საახალწლოდ „ბაშმაკები" მიყიდე! ამოდენა გოგო ვარ და ჯერ ფეხსაცმელი არ მღირსებია.

— მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე! ამოდენა, ვინ იცის! რვა წლისა მარტო ღვინობისთვეში შესრულდები. ნეტა იმდენი ფული აიღოს ერთ პატარა ურემ შეშაში, რომ საახალწლოდ ორიოდე ფუთი ფქვილი მოგვიტანოს და ხუთიოდე გირვანქა ხორცი! ცარიელ ლობიოზე ვართ.

— მართალს ამბობს ნენე, უხორცობა ამისთანა დიდ ბედნიერ დღეს როგორ შეიძლება! ნახევარი თუნგი არაყიც კი მომეტებული არ იქნება, მეტადრე ამისთანა ყინვაში, — დამქაში დაუკრა გოგიამ რძალს.

— ბატონო, ეგ ხომ კარგი იქნება და კარგი, მაგრამ თქვენ პერანგს გულისპირი სულ ჩამოგლეჯილი აქვს და არყის ფასით რომ ერთი არშინი ლურჯი ტერნო მოგიტანოს ნინიკამ, მე მგონია, ის კი ემჯობინება.

— ე ოხერი ქალამნები სულ შემომეგლიჯა, ფეხები ლამის დამაძროს, მაშ ქალამნები არ მინდა?

— შენა, დედაკაცო, შენთვის რატომ არაფერს მაბარებ: — დაცინვით უთხრა ნინიკამ ცოლსა, — ისე ლაპარაკობთ, თითქოს ჩემი და-

ვარდნილი ხარების მაგივრად ლომკამეჩები მებას, სიფრიფანად ჩალაგებული შეშის მაგივრად დატვირთული ურემი მომეტანოს. ჩვენი სოფლის ურემ შეშას რიგიანი ხომ არავინ იყიდის, ჩვენ ის შემოგვევაჭრება, ვისაც ჩვენსავით ხუთი გროში ორას თუმნად უღირს. აი საგურამოს ურმები, აბა ურმები ისინია! ამ დიდ ზამთარში თითო ურემი თორმეტ მანეთად იყიდება. ჩვენი ურემი რაც უნდა გაჭირდეს, განა არ იცით, რომ ოთხ მანეთს არ გადააჭარბებს! ქალაქელმა დედაკაცებმა იციან: „ქა, დიღმური ურემი და ხუთი მანეთი! ხუთი მანეთი მქონდეს, მცხეთურს ვიყიდი, დიღმური ურემი რა საკადრისია! რა ვუთხრა გაჭირვებას, თორემ მაგისი ფასი ექვსი აბაზია, ექვსი აბაზიც კი მეტია!“ ის კი არ იციან, რომ მართლა რომ გაჭირვებას რა ვუთხრა, თორემ დიღნელს თითო ღერი შეშა თითო სისხლის წვეთად უღირს! საიდან სად უნდა მოვიტანოთ, რამოდენა შალბაში უნდა გადავიხადოთ და ექვსი აბაზიო! ექვსი აბაზი კი არა, რაც მე ამის მოტანაზე ტანჯვა გავწიე, თითო ღერი ექვსი მანეთი უნდა ღირდეს. გუშინ ტყეში ხარები რომ დამიცვივდნენ, ურემი ამ დაღმართზე სულ მხრით ვზიდე; ორჯერ-სამჯერ ისე მოვსხლტი ყინულზე, მეგონა, ეს არის-მეთქი დამრჩა ცოლ-შვილი გატიალებული-მეთქი! ექვსი აბაზი! თითო ღერი, ყინულზე დაყრილი, რის ვაი-ვაგლახით ავაძრე და მერე რამდენ ხანს ვაფხიკე ყინულები, რომ საქონლისათვის ტყუილად ყინული არ მეტარებინებინა.

— კიდევ მაგ ყინვის იმედი მაქვს და! — უპასუხა ნენემ ქმარსა. — ამისთანა ვაგლახ ზამთარში ხუთ მანეთს როგორ არ მოგცემენ და ხუთ მანეთად ბევრი რამე მოგვივა საახალწლოდ.

— ნეტა ეგრე იყოს, დედაკაცო, და მაშინ ერთ წითელ თავშალსაც შენ მოგიტან.

— უი, ქა, წითელი ხელსახოცი უნდა მოვიხვიო სამი შვილის დედამა! წითელი კი არა და, თუ კარგ ლურჯ თავშალს ამომიტან, ურიგო არ იქნება, სხვა რომ არა იყოს რა, ახალწელიწადს ახალი მაინც დამეკვებება.

— მართლა, ბიჭო, — უთხრა მორცხვად თავჩაღუნულმა გოგიამ შვილსა, — თუ მომეტებული გქონდეს ორიოდ შაური, ნუ დაზოგავ, შენ გაზრდას, და ცოტაოდენი თუთუნი მიყიდე. აგერ ორი კვირაა, რაც ჩიბუხი არ გამიბოლებია და ლამის გავგიჟდე, პურზე მომეტებულად მომშივა ხოლმე, ი ტიელი!

— დედა, დედა, თაფლი, ნიგოზი! ახალწელიწადს გოზინაყი არ გვინდა? — სწევდა კაბას პატარა ფეფე დედას და საცოდავად ეღრიჭებოდა ნენეს.

— კარგი, კარგი, კმარა! რაც მოვა შეშის ფასად, ჩემთვის არას შევინახავ. მოიტა, დედაკაცო, ლუკმა შევჭამო, გაუთენებლივ უნდა გავიდე, რომ ხვალ საღამოზე თვალნათლივ ამოვბრუნდე, ახალწლის ღამეს კარში ხომ არ გავათენებ?

II

ქალაქი დიდ ალიაქოთშია. დიდი და პატარა დატვირთული სხვადასხვა ტკბილეულობით, ხორაგით და საახალწლო მორთულობით მიეშურება შინისკენ. შეშის მოედანზედაც გაცხარებული ვაჭრობაა. ყოველ კაცს ახალწელიწადს სხვა სიუხვესთან უნდა, რომ სახლიც თბილი ჰქონდეს. მოვაჭრენი უფრო ღარიბები არიან, მდიდრებს ზამთრის საგზალი დიდი ხანია დამზადებული აქვთ, ღარიბებმა კი სხვა დროს რომ სიცივე აიტანონ, ამ დღეს არ შეიძლება: მტერი, მოყვარე მოუვა, — თავს ვერ შეირცხვენს და სიცივით გვერდს არ გამოიყინავს!

დილის ათი საათია. საშინელი ყინვაა. ხუსხისაგან წელში ოთხად მოხრილან გამვლელ-გამომვლელნი. მოედანი მთლად გაჭედილია შეშის ურმებით, ტევა არ არის, თუმცა პოლიციელი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ რაც შეიძლება კედლისაკენ მჭიდროდ მიაყენოს ურმები. ურმები თანდათან მოდის და მოდის. პოლიცია ქუჩიდან მიერეკება ურმებს. მოედნის ზედამხედველი აქა-იქ დალასლასებს, თვალყურს ადევნებს, რომ გაყიდული შეშა არ გამოეპაროს და ქალაქის იჯარა, ორი შაური, არ ასცდეს. ადრე მოსული მეურმეები ხტიან სიცივისაგან, ხელებს იორთქლებენ, ეღრიჯებიან მყიდველებს, ჩალას უდებენ პირში თავჩაღუნულ და ყინვისაგან აბურძგნულ საქონელს.

თორმეტი საათია. თუმცა ბევრი იყიდება შეშა, მაგრამ მაინც მოედანზე ალაგი აღარ არის და პოლიციელი ახალმოსულებს ქვემოთ, მტკვრის პირას, ისტუმრებს. ქუჩაში დიდი პოვოსკები მთლად იჭერენ ვერის ხიდის ჩასავალ ვიწრო ქუჩას. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჩვენი ნინიკა მოედნის თავზე. ურმის თავზე ბრძენივით დინჯად ზის პატარა მიხა თავის ძველ მაზარაში გახვეული და თავზე პაპის ცხვრის ტყავის ქუდჩამოფხატული. ნინიკა კი მხარდამხარ მისდევს ურემს და უღლის თავს უჭერს თავის შიმშილისაგან დაოსებულ ხარებს. იმისი ურემი სასაცილოა თავისი სიპატარავით; მოკლე,ვიწრო, მაგრამ მაღალი და თხელი, ბავშვის სათამაშოსა ჰგავს. შეშა მხოლოდ ორპირად უწყვია რიგზე, შეშა შეშაზე ლამაზ კოშკივით არის აშენებული. გარედან ხველები აქვს შემორიგებული და შიგნიდან ნედლი და დაკლაკნილი შეშებით არის ამოვსებული. და ეს სიფრიფანა შენობა რომ არ გადმოწვეს, არ შეირყეს, მსხვილი ხაბლით ათასგვარად არის გადასალტული.

ნინიკა ცდილობს შეშის მოედანზე გაჩერდეს, სადმე მიიკუჭნოს. პოლიციელი უყვირის, ხელსა სწევს, ქვევით, წყლის პირისაკენ უთითებს.

— შენი ჭირიმე, აქ სადმე გავჩერდები; იქ ვერ ჩავლენ ჩემი ხარები და თუ ჩავლენ, ვეღარ ამოიტანენ. დავარდნილები არიან, მთელი ზამთარი უღლიდან არ გამოშვებულან, ნახევარზე მშივრები ყრიან, — საცოდავად შეღიჯინებდა ნინიკა პოლიციელს.

— არ შეიძლება, წადი, თორემ კისერში წაგკრავ; წადი!

— კაცო, ხომ გეუბნები, დავარდნილი ხარები მყავს-მეთქი!

— იმ ყინულზე როგორ ჩაიტანენ, დაიმსხვრევიან და ჩემს ცოდვაში ჩადგები!

— წადი, წადი, წადი! — და პოლიციელმა, რომელსაც ნინიკასი ერთი სიტყვაც არ ესმოდა, დაუშინა ხმლის ყუა ხარებს.

მეტი გზა არ იყო, ნინიკა ჩაუძღვა ხარებს მთლად ყინულით გასიპულ დაღმართზე. თან საშინელი ბოღმა ახრჩობდა, იცოდა, რომ ბინდამდის ვეღარ ეღირსებოდა შეშის გაყიდვას და სიბრაზით თითქმის ტიროდა.

— ახალწელიწად ღამე ბოგანოსავით ქალაქის გომში უნდა გავატარო, ცოლ-შვილი ჩემი გზის ცქერაში უნდა გამოღამდეს! რა დიდი ალაგი ჩემს ურემს მოუნდებოდა! ერთი-ორი შაური მქონოდა, ჩუმად ხელში ჩამედო, ამას ხომ არ მიზამდა.

ამ ფიქრებში გართული ნინიკა გულისხმიერებით ვეღარ ადევნებდა თვალს თავის ხარებს. ერთ მათგანს ფეხი გახეთქილ ყინულში ჩაუვარდა, მეორე ფეხი წაუსხლტა და ორთავე წინა ფეხებით გაილასტა. ვიწროდ აკოკოლავებული შეშა საჩქაროდ გადიხარა გვერდზე და მსუბუქი ურემიც თან გადაიტანა.

ერთ წამზე ურემს დუნდგო ხალხი დაედო და სეირს შეჰყურებდა. ნინიკა გაშრა, ენა ჩაუვარდა, მოძრაობა შეეკრა, ის გაშტერებული დასცქეროდა თავის ღვინიას საშინლად გაფართხულ ფეხებს და იმის ტანჯვით სავსე თვალებს. გადაბრუნებულმა ურემმა და მაყურებელმა ხალხმა გზა შეუკრეს სხვა მიმავალ ურმებს. „დესეტნიკები“ გაცეცხლდნენ და ნინიკას დაეტაკნენ: „კაცო, კაცო! აიღე ურემი, გზა გაწმინდე, ვერა ხედავ, ურმები მოდიან“.

ნინიკა უძრავად იდგა, ღვინიას თვალებში ჩასცქეროდა. საქონლის უსიტყვო, საზარელი ტანჯვა უსიტყვოდვე იბეჭდებოდა იმის პატრონის სახეზე და კაცს გულს უკლავდა. ნინიკას გვერდზე პატარა მიხა საზარლად ქვითინებდა.

— კაცო! არ გესმის, არ გესმის? — და მოთმინებიდან გამოსულმა პოლიციელმა წაუთაქა თავში, წაარტყა კისერში გაშტერებულ მეურმეს. ნინიკა გონს მოვიდა, ჩოხის კალთით მოიწმინდა მარცხენა თვალიდან ჩამოგორებული მსხვილი ცრემლი და ღვინიას აპეურები შეაგლიჯა. ხარი უგონოდ გვერდზე გადავარდა და ორივე წინა ფეხი ჩერებივით დაეკიდა.

— ბიჭო, შეშაში ორი აბაზი მოგცე?

— ორი აბაზი? ბზე ხომ არ არის!

— ოთხი აბაზი მოგცე, ძმაოჯან, — ვითომ წაჩხუბებულმა, მაგრამ ნამდვილად კი პირშეკრულმა ჩარჩებმა დაუწყეს ნინიკას გაჭირვების დროს ვაჭრობა.

— ოთხი აბაზი?.. არა, შეშას არ ვყიდი, ასე მინდა გადავყარო, — ამოოხვრით თქვა ნინიკამ და ურემს ცლა დაუწყო.

— მაშ რა გინდა? გინდა შენი ერთი მუჭა შეშა რვა მანეთად გაჰყიდო? აჰა, მანეთი მოგცე! ახლა პოვოსკა უნდა ამაჩ, რომ აქედან ბინამდის გადავიტანო და! შენი ფეხებდაგლეჯილი მოზვერი ურემში ხომ აღარ შეებმება! აჰა, ერთი მანეთი! აიღე-მეთქი, გეუბნები, ჭკუას ნუ ჰკარგავ!

— არა, გამიშვი! გეუბნები, არა ვყიდი-მეთქი.

— სულელი! არა ვყიდიო! მაშ წნილად გინდა ბებიაშენს ჩაუდო?

— მომეშვი-მეთქი, კაცო, რას ჩამაცივდი. ყელში სისხლი მომდის. აქ ცოდოს არას შემამთხვიო.

— ვა, ცოდოს რა, რევოლვერი არ დამახალო! ასეთსა გდრუზავ მაგ გოგრაში, რომ თვალებიდან სულ მაშხალები წამოყარო.

ნინიკამ ერთი კი გადახედა გალირფებულ ვაჭარს და ხმაგაკმენდილმა ურემს ცლა დაუწყო.

რიყის ერთ კუნჭულზე ოდნავ მსუნთქავი ღვინია შესდო.

— კაცო, ყელი გამოსჭერ, მანამ ცოცხალია! — ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდან ნინიკას, მაგრამ იმან ყურიც არავის ათხოვა.

ყელი გამოსჭრას ღვინიას და მერე ვინ? ნინიკამ? და განა ეს შესაძლოა? განა ღვინია ნინიკასთვის მარტო საქონელი იყო და სხვა არაფერი? არა. ღვინია იყო მისი იმედი, მისი მარჯვენა ხელი და განა მარჯვენას მოიჭრის ვინმე, თუნდ ის მარჯვენა სამუშაოდაც აღარ ვარგოდეს?

III

ნინიკას ოჯახი სოფელში ახალწლის სამზადისში იყო და ქალაქიდან მონატანის იმედით მხიარულობდა. ნენემ დარბაზი ისე დააკრიალა, ისე დაასუფთავა, რომ გალიპულ მიწაზე ერბო აიკრიფებოდა. ქოთნები, ჯამები,ქვაბები სულ ნაცარტუტით დარეცხა და თაროზე დაალაგა.

ქმარ-შვილისა და მამამთილის ძველჰულები უსაპნოდ დარეცხა და რკინის ღუმელთან მიფინა დასაშრობად. გოგიამ გასაყიდი შუშის დანარჩენი კუნძები წვრილად დააპო და სახლში შემოზიდა. ღუმელს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უმარჯვებდა: დაყინულები მოვლენ ი ბიჭები და, თუ სახლი თბილად არ დაუხვდათ, დაიხოცებიანო.

შებინდდა; ნენემ შვილები დააძინა, და ქმრის მოსვლამდის რომ თავი შეეყოლებინა, მეზობლებთან საბაასოდ და საახალწლო სამზადისის დასათვალიერებლად გადავიდა. გოგია ღუმელთან ჩიბუხს წმენდდა და თამბაქოს მოლოდინში სიამოვნებით იღიმებოდა. ცეცხლის გუზგუზზე ჩაფიქრდა. ბევრი რამ კარგი და ავი გაახსენდა თავის წარსული ცხოვრებისა. ბევრჯერ ამ მოგონების დროს პირს ღიმი მოუვიდოდა და ბევრჯერ გულიანად ამოიკვნესებდა. ბოლოს დაღლილობამ დასძლია და ისე ღუმელთან წაკუნტულს ჩაძინა. თუ ფხიზლად შავი ფიქრებიც გაივლიდნენ იმის სახეზე, ახლა სიზმრად მხოლოდ ბედნიერება დაესიზმრა. გოგიამ ნახა, რომ ვითომ ნინიკას „დიდმურის“ მაგივრად დიდ რკინასავით გამოვედილ თელის ურემში ორი ლომაკამეჩი ება და თვითონ ნინია კოფოზე მორთულ-მოკაზმული არხეინად იჯდა. ნახა, რომ ნინიამ შუა ცეცხლით გაჩაღებულ დარბაზში შემოიტანა პირამდის გატენილი ხურჯინი, მთელ თავის ჯალაბს სიხარული მოჰფინა: პატარა ფეფეს წითელი ჩუსტები, ნენეს ჭრელი შალის კაბა, მიხას ქუდი და ქალამნები, საღვინით თაფლი, ტიკით არაყი, გოგიასათვის დასტადასტა თამბაქო კერას წინ დიდ გორასავით დაგროვილი იყო და პატარები ცეკვითა და ღრიანცელით გარს უვლიდნენ. თვითონ გოგია საახალწლო ტაბლით კარებში იდგა და თავისი ოჯახის ბედნიერებით ხარობდა.

უცებ სანთელი ჩაქრა, ხონჩა ხელიდან გაუვარდა და გოგიამ თვალები გააჭყიტა. შანდორინის ჭრაქის პატრუქი ოდნავ ბეუტავდა და საზარელი ნავთის სუნი იდგა მთელ სახლში; რკინის ღუმელი ჩამქრალიყო და სიცივისაგან მთლად აძაგძაგებდა საწყალ მოხუცს.

— არ გესმის, ,,ალ! რამ გამოგაყრუა? კარში გამო, დაგვეხმარეე ოხერი ხარი გადმოვიღოთ.

— ხარი... ი... ი..! რას ამბობ, ნინიკა? ხარიო?

— ჰო, მამავ, ღვინია გადაგვეჩეხა ყინულზე!

შებღავლა ნინიკამ მამას და მთელი დღის შეკავებული ჯავრი დავარამი დედაკაცურის ქვითინით და მდუღარებით ახლა გადმოანთხია.

„ღვინია გადაჩეხილა, ღვინია გადაჩეხილა, ჩვენი ღვინია!“ — ზარივით გაისმა ყინვისაგან მოკრიალებულ ჰაერში გოგიას ოჯახის გოდება. და ძველ წელიწადთან ერთად მოწყდა შეუნიშნავად ყამთა ვითარებაში...

მაგდანას ლურჯა

I

მაგდანა ჯერ ძლიერ ყმაწვილი დედაკაცი იყო, როდესაც ქმარი მოუკვდა და ოთხი უსუსური ბავშვი ხელზე ულუკმაპუროდ დარჩა. ერთადერთი ძროხა, რომელიც ამის ბავშვებს ზაფხულობით ლუკმას უსველებდა, ქმრის დამარხვას მოუნდა და სხვა სანუგეშებელი ქვეყანაზე აღარა გააჩნდა რა. რა ექნა უბედურს ქვრივს? რითი გამოეკვება თავისი ობლები? სოფელი „მწირი“, სადაც მაგდანა ცხოვრობდა, იმისთანა უნაყოფო, უწყალოდ მოტიტვლებულ მინდორზე მდებარეობს, რომ იმის მცხოვრებნი დიდის ვაი-ვაგლახით შოულობენ დღიურ ლუკმას. და, აბა, ამგვარი მეზობლები რა ხელს გაუწვდენდნენ წვრილშვილს, უვაჟკაცოდ დარჩენილ ოჯახს.

ამ უბედურ და ბუნების მხრით განწირულ სოფელს მხოლოდ ერთი ბედნიერება სჭირდა: ქალაქზე ძლიერ ახლო იყო და იქ მცხოვრები გლეხები ამ ქალაქში შოულობდნენ სამუშაოს, ბაზარს გასასაღებლად, თუ რამ ნაწარმი გააჩნდათ გასასაღებელი. მაგდანასაც ამ სიახლოვემ უჩვენა გზა და ხელი მიჰყო იმისთანა საქმეს, რომელიც ძლიერ მძიმე და თითქმის აუტანელი იყო მისთვის. მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც ოთხი ბავშვის ტირილი: „დედა, პური, დედა, პურიო!“ — დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა და მშობელს გულს უფათრავდა.

მაგდანა სულ ერთი კვირის დაქვრივებული არ იყო, როდესაც მძიმე შავებში გახვეული, მაწვნის ქილებით ცალ მხარზე და კარგა მოდიდო რძის კოკით მეორე ხელში, გაემგზავრა ქალაქისაკენ.

რძეს მაგდანა ყიდულობდა თავის მეზობლებისაგან, საღამოობით აყენებდა მაწვნად და მეორე დილაზე გაუთენებლივ გაუდგებოდა ხოლმე ქალაქის გზას. იქ, „იარმუკის“ თავში, ტროტუარზე დაჯდებოდა, მოიხსნიდა თავის მძიმე ტვირთს, ჩამოამწკრივებდა სუფთად დახეხილ მაწვნის ქილებს, რძის ლიტრებს და თავჩაღუნული ელოდა მუშტარს.

პირველში საშინლად იტანჯებოდა საცოდავი ქვრივი, რომ ასე აშკარად, გაშლილ მოედანზე იჯდა ახალი მგლოვიარე, შავებით მოსილი და გამვლელ-გამომვლელს იწვევდა საყიდლად, მაგრამ შემდეგ შეეჩვია, მყიდველებს ღიმინიც კი დაუწყო, მეტადრე მაშინ, როდესაც მის გვერდით სხვა ბევრი ქვრივ-ოხერიც გამოიჭიმა მაწვნის ქილებით, რძის ლიტრებით და მის ვაჭრობას შეეცილნენ.

მაგდანა იმდენს შოულობდა ამ ვაჭრობით, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო და ცარიელი ლუკმა მაინც მიეწვდინა თავის ობლებისათვის.

თუმცა სოფელი „მწირი“ ქალაქიდან სულ ხუთ-ექვს ვერსზე იყო მოშორებული, მაგრამ ამ მცირე მანძილის გავლაც დღეში ორჯერ, მძიმე ბარგით ზურგზე, ისე სწყვეტდა საბრალო დედაკაცს, რომ ბევრჯერ შინ დაბრუნებული მაგდანა ორი-სამი საათით უღონოდ ეგდო დერეფანში და თავს დასჩხაოდნენ თავისი პატარები. მუდმივმა მძიმე ტვირთის ზიდვამ მარჯვენა მხარი ჯერ დაუიარავა და შემდეგ ისე დაუკოქიქა, რომ ყოველი ბარგის აკიდებაზე მაგდანა სიმწარით ცრემლებს ჰყრიდა და უღონოდ წაიჩოქებდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ წამს პირჯვარს გადიწერდა და გაუდგებოდა გზას.

დედის დაბრუნებამდე ოჯახს პატრონობდა მაგდანას უფროსი გოგო, თორმეტი წლის სოფო და ჩინებულადაც პატრონობდა. მანამ პატარა და-ძმას ეძინათ, დაჰგვიდა დარბაზს, კოკებს აავსებდა დილის წყლით, წიწილ-კრუხს საზრდოს მისცემდა და, როცა პატარები გაიღვიძებდნენ, დაჰბანდა ხელ-პირს, დახეხდა სახვალიოდ საჭირო რძის ჭურჭელს და პატარა ბავშვით ხელში გავიდოდა ბანზე. იქ მზის გულზე ჩუმად ჩხირკედელაობდა დედის დაბრუნებამდე. ქალაქიდან მომავალი გზა ამათი სოფლის წინ კარგა მანძილზე იყო გაშლილი და შემდეგ დალმართში იკარგებოდა; დაინახავდა თუ არა დედას პატარა სოფო აღმართზე ამოსულს, ძირს დასვამდა თავის პატარა დას, სირბილით მიეგებებოდა დედას, ჩამოართმევდა ცარიელ ქილებს, ნაყიდ ხორაგს და ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა მშობელს ტვირთს.

მაგდანას აუტანელი გაუხდა ჯაფა ზაფხულში. მკათათვის მზის მწვავე სხივები ულმობლად სწვავდა საცოდავს თავ-პირს, ცეცხლს უკიდებდა მუდამ ფეხშიშველობით დაფათრულ ფეხებს და ერთიორად უგრძელებდა მანძილს; მაგდანა წამდაუწუმ ისვენებდა გზაზე, ბევრჯერ დაღალულ-დაქანცულს კიდეც მიეძინებოდა ჩრდილოში და საღამომდე ძლივს მიაღწევდა ხოლმე თავის სოფელს. რძის ყიდვა, ადუღება, მაწვნების შეყენება უგვიანდებოდა და ერთ პირს დაძინებასაც ვერ მოასწრებდა, რომ მამლები იყივლებდნენ, და ისევ ხელახლად გზას უნდა გასდგომოდა. ამის გამო ყოველდღე ქალაქში სიარული შეუძლებელი შეიქნა და ობლების საზრდომაც იკლო. სოფო და დედა ნახევარზე მშივრები იყვნენ და თავის წილ ლუკმას პატარებს უზოგავდნენ.

II

მარიამობის თვეში, ერთ საშინელ ცხელ დღეს, მაგდანა ჯანმიხდილი, საშინელი ქშენით და ოფლში გაწუწული ავიდა იმ აღმართზე, საიდანაც სწორე გზა იწყებოდა სოფლამდე, და ძალიან გაუკვირდა, რომ სოფო ჩვეულებრივ არ მოეგება და შიშით გული გადმოუქანდა.

— ვაიმე, შვილებო! — გულში ხელი ჩაიკრა და თითქმის სირბილით შიიჭრა სახლში. იმისი შვილები და სოფლის გოგო-ბიჭები დერეფანში დიდი ღრიანცელით თავს რაღაცას დასტრიალებდნენ; მაგდანამ მისწიმოსწია ბავშვების გროვა და გაოცებული შედგა: მიწაზე დაცემული სახედარი იწვა, კისერი საცოდავად გადაეგდო და მძიმედ ქშინავდა. მაგდანას სახეზე ღიმილმა გადაჰკრა და ბავშვები მირეკ-მორეკა. შემდეგ დიდის გულისხმიერებით გაუსინჯა სახედარს წელი, ფეხები და რა დარწმუნდა, რომ სახედარს მოტეხილი არა აქვს რაო, უფრო ტკბილად გაიღიმა.

— დედა, იცი, მიხას ეგ ვირი გზის ნაპირას ენახა; დამიძახა და რის ვაი-ვაგლახით მოვაგდეთ შინამდინ. ის იყო უნდა დამება და ბალახზე წავსულიყავ, რომ საცოდავი დატორტმანდა და ძირს დაეცა. მე ყვირილს მოვყევი, გოგო-ბიჭები შემოცვივდნენ და აი ზედ დატანებაზედ შენც მოხვედი.

— ოჰ, შვილო, თუ სახედარი გამობრუნდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, აბა, წადი ჩქარა ბატონიანთ სათივეში, ღობის გვერდებში მიგლიჯ-მოგლიჯე მწვანე, სულ ნორჩი ბალახი და საჩქაროდ მოირბინე.

მაგდანას სულ დაავიწყდა, რომ დაღალულ-დაწყვეტილი იყო და საჩქაროდ სახედრის მოვლას შეუდგა. გაათბო წყალი, გადაგლეჯილი და დაიარავებული ზურგი მოჰბანა, ნავთში გავლებული ჩვარი დააფარა, შეკრული კრიჭა გაუხსნა და ცივი წყალი ჩაასხა. შემდეგ მარილმოყრილი ლუკმა ჩაუდო და გადასავსავებული პირუტყვი მოაბრუნა. ამასობაში სოფოც მოვიდა მწვანე ბალახით დატვირთული და ვირს ალერსით წინ დაუყარა.

III

ორი კვირის შემდეგ, როდესაც სახედარმა იმდენად მოიხედა, რომ შეეძლო ტვირთის აკიდება, მაგდანამ ერთიორად მეტი რძე იყიდა, ერთიორად მომეტებული მაწონი შეაყენა, მეზობლებისაგან ორი დიდი გოდორი ითხოვა, გადაჰკიდა თავის ბედაურს, შიგ მჭიდროდ ჩააწყო თავისი ქილები და გაუდგა ქალაქის გზას. დღეს ვერავინ იცნობდა მაგდანას; ისე გაღიმებული, ბედნიერებით სავსე იყო იმისი შეხედულება. ჩვეულებრივ ტვირთქვეშ მოხრილი კი აღარ მიღოღავდა, არა, ამაყად აბიჯებდა და მხიარულად შესცქეროდა თავის თანაშემწე — ლურჯა სახედარს და მის გარშემო სიხარულით მხტუნავ თავის ბავშვებს.

— დედა, დღეს ხომ უფრო ადრე ჩახვალ ქალაქს? — ღიმილით უკითხებოდა მაგდანას მისი პატარა მიხა.

— რასაკვირველია, შვილო, ადრე კი არა ერთიორად ადრე ჩავალ და შუადღემდი იქნება კიდეც მოვბრუნდე.

— რას ამბობ, დედა, შუადღემდე! იქნება საღამომდინაც ვერ მორჩე მაგოდენა მაწვნის გაყიდვას; მთელი სოფლის ქოთნები მათხოვნინე წუხელ, — უთხრა სოფომ დედას.

— გაყიდვისა კი აღარ მეშინიან, ამ ოთხ-ხუთ დღეში, შვილო, იმოდენა ხალხი გავიცანი, იმდენი მუშტარი ვიშოვე, რომ ფიქრი არ არის, მალე დავაცარიელებ მაგ დიდ გოდრებს, მერე ვერა ხედავ, რა ცხელ დღეს იჭერს? მაწვნის მეტს რას შესჭამს ამ პაპანაქებაში ვაჭარი კაცი?! ახლა კი დაბრუნდით, შვილო, დაიღლებით.

— არა, დედი, არა, დაღმართამდის მიგაცილებთ და იქიდან გიყურებთ, როგორის გოგმანით წავა ჩვენი ლამაზი ლურჯა. რა ლამაზი თვალები აქვს, დედა, შავი, ჭკვიანი! მაგრამ ისევ ისე დაღონებული კი გამოიცქირება, როგორც მაშინ, დავარდნილი რომ ვიპოვეთ. ახლა ხომ აღარა შიან, დაღონებული რაღად არის?

— რა ვიცი, შვილო, ვირის ჯიში აგრეა, სულ დაღონებულნი არიან ვირები, თავს მაღლა თავის დღეში არ აიღებენ. მაძღრობა ვირს მარტო კუნტრუშზედ ეტყობა, და განა არა ნახე, გუშინ ჩვენი ლურჯა მინდორზედ როგორ კუნტრუშობდა?

— ხა, ხა, ხა, როგორ დაკუნტრუშობდა გოგიანთ ვირებთან! — გადიხარხარეს პატარებმა, — მანამ მოხვალ, დედი, იმდენ ბალახს მოვუტანთ, იმდენს, რომ სულ შიგ ჩაიფლოს ჩვენი ლურჯა, — ხტუნვით და აღტაცებით შესჭიკჭიკებდნენ მაგდანას შვილები.

IV

მართლაც, მაგდანას ღმერთმა მოჰხედა, სახედრის წყალობით, იმისი საქმე კარგად წავიდა; რძისა და მაწვნის გარდა, მაგდანამ ხანდახან კვერცხს და ქათამსაც დაუწყო ყიდვა. მაგდანა ყოველთვის პატიოსნად ვაჭრობდა, რძეს და მაწონს წყალს არ ურევდა, ჭურჭელი, სოფოს წყალობით, ყოველთვის მშვენივრად ჰქონდა დახეხილი და ამის გამო მუდმივი მუშტარი ბევრი გაიჩინა ქალაქში. გარდა ამისა, რომ მაგდანასაგან ვაჭრობდნენ, იბრალებდნენ კიდეც იმის ობლებს და აძლევდნენ იმათთვის ნახმარ ტანისამოსს, ფეხსაცმელს.

შემოდგომამდე მაგდანამ დღიურ ლუკმას იმდენი გადაარჩინა, რომ შეეძლო ცოტაოდენი საწვრიმალო ეყიდნა და, როდესაც სოფლის საქონელი გაშრა და რძე აღარ იშოვებოდა, საწვრიმალოს ყიდვა დაიწყო; მიეკედლა ერთ მეწვრიმალე ხნიერ დედაკაცს, იმასთან სანახევროდ სავაჭრო იყიდა, წამოჰკიდა თავის სახედარს და წავიდნენ მთიულებში

სავაჭროდ. ამ ვაჭრობით ორი-სამი ტომარა ფქვილი მოუმზადა საზამთროდ შვილებს, სახედარს — ბზე და ცოტაოდენი ქერი, და ახლა კი დაისვენა, დაუბრუნდა თავის შვილებს, ცეცხლი ააბოლა თავის კერაზე. ზამთრის დიდ ღამეებში მაგდანა ცეცხლის პირას ოჯდა განუშორებელი მატყლის წინდით ხელში და თან თავის შვილებს უამბობდა ქალაქის ამბებს, თავის თავგადასავალს, თავის ვაჭრობის უცოდინარობას პირველში.

— გამოცდილება კარგი ყოფილა, შვილო, — დარბაისლურად მიუბრუნდებოდა ხოლმე მაგდანა თავის ჭკვიან გოგონა სოფოს, — პირველად რომ მაწვნით ვაჭრობა დავიწყე, ყველა მასხრად მიგდებდა, ყველა ცდილობდა ჩემზე წინ წამდგარიყო, რათა უფრო მალე გაესაღებინა თავისი სავაჭრო და მე კი, ბეჩავი, ჩუმად აბუზული, უკან ვრჩებოდი. ბევრჯერ მტრობით ავმა სულებმა მიწა გადამიყარეს მაწვნებზე, ბევრჯერ განგებ დამეჯახნენ და დამაქცევინეს, მაგრამ მეც თვალი გავახილე, მეც მივხვდი, რომ ყველაფერში გამარჯვება სიმარჯვესა და სიმხნეეზეა და ხმა ამოვიღე, მივიძარ-მოვიძარ. მეტადრე როცა მომაგონდებოდა, რომ თქვენ აქ უპატრონოდ, მშივრები, ტიტვლები ეყარენით, ცეცხლი მომედებოდა ხოლმე გულზე და მაშინ ვინ იყო ჩემი წინ წამომდგომი. მე ყველაზე წინ გავრბოდი, მე ყველას უფრო მომეტებულად შევღიჭინებდი, რომ ჩემი რძე-მაწონი ეყიდნათ, და ლუკმა ამით ვიშოვე.

V

ნააღდგომევს, როდესაც სოფელში ისევ გახშირდა წველა, მაგდანამ გაამზადა თავისი ბედაური, თავისი მაწვნის ქოთნები და გაუდგა ქალაქის გზას. მხიარულად მიერეკებოდა თავის ლურჯას და თანაც ღიღინებდა. მაგდანას გული იმედით იყო სავსე; „სააღდგომოდ შვილები ვერაფრით გავახარე, თითო ჩითის პერანგიც ვერ ჩავაცვი და ახლა მაინც ვუყიდი რასმე; სოფოს, ჩემს იმედს, ჩემს ჭკვიან გოგონას, წითელ ფოსტლებს ამოვუტან, ენაცვალოს დედა, მე შენ გითხრა, ჩემს პატარებს უჩემობას შეამჩნევინებს: ისე დაჰგურგურებს, როგორც კარგი დამზნილი დედაკაცი... ჩემს ვაჭრობას უფრო მოვუმატებ, იქნება ორიოდე გროში მივაგდო სოფოს სამზითვოდ. დერეფნის შუა ბოძი ძლივს იმაგრებს გასაყარ ხესა, იმასაც გამოცვლა უნდა“...

ამ ფიქრებში გართული მაგდანა მიუახლოვდა ქალაქს. ის-ის იყო მზემ თავი ამოჰყო და მშვენივრად გააჩაღა ვერის ბაღები, პატარა ვერის მომჩქეფარე წყალი და უზარმაზარ სარკესავით აალაპლაპა მტკვრის მდორედ მოძრავი ზემოთა პირი. ახლად გამოღვიძებული ქალაქის ხმაუ-

რობა გუგუნივით მოისმოდა. შეშის ურმები, აგურის პოვოსკები, ფურგუნები ერთიერთმანეთში ირეოდა; მებალეები მწვანილით დატვირთული სახედრებით. მერძევე დედაკაცები კოკებით, კინტოები თაბახებით თავზე მიეშურებოდნენ, გარბოდნენ, რომ ბაზარში არ დაჰგვიანებოდათ. მაგდანამაც ორიოდე სახრე გაჰკრა თავის ლურჯას და ფეხი ააჩქარებინა.

მაგდანა რომ ვერის აღმართს ავიდა, იმის პირდაპირ საშინელი სიჩქარით გამორბოდა მთელი ჯოგი სახედრებისა. იმათი პატრონი, მთლად შემურული მენახშირე, მშვენიერ ორღა ჯორზე იჯდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიერეკებოდა. ერთმა ვირმა წამოჰკრა გვერდი მაგდანას მაწვნის გოდორს და მთლად შეარყია. მაგდანა გაანჩხლდა და მენახშირეს წყევლა დაუწყო: „კისერი მოგტყდეს, კისერი, შე ღვთის მუხანათო! რაზე დამღუპე და დამაქციე! დოსავით გათქვეფილი მაწონი ვიღასთან უნდა მივიტანო?“

მენახშირემ მხოლოდ ახლა მოიბრუნა კისერი ამისკენ და უცბად შედგა, საჩქაროდ გადმოხტა ჯორიდან და მაგდანასთან მიიჭრა: „დედობილო, ნუ კი იწყევლები ემანდა და, აბა მიბრძანე, ეგ სახედარი შენ ვინ მოგცა“.

მაგდანას მუხლები მოეკვეთა, პირზე მკვდრისფერი გადაედო და ხმის კანკალით ძლივს წაილუღლუღა: — მინდორში დავარდნილი ვიპოვე, სული ამოსდიოდა და მოვაბრუნე.

— „დავარდნილი, სული ამოსდიოდა“, — გააჯავრა მენახშირემ მაგდანას. — ვინ გეხვეწებოდა, მოაბრუნეო? მინდორში მე იმისთვის კი არ მივანებე თავი, რომ შენ მოგეპარა! სხვა სახედრებს ჩამორჩა, მე მეჩქარებოდა და თავი იმიტომ დავანებე; მეორე დღეს ტყიდან უნდა ჩამომევლო, წამეყვანა და რა გაგიშვია, რას ეძებ? თურმე რომ შენ მიგიჩქმალავს, შე არამზადავ, შენა, ახლავე მომე, თორემ ეს არის შუაზედ გაგგლიჯე!.. მოხსენ ეგ შენი ქოთნები, თორემ ლუკმა-ლუკმად დაგიმტვრევ! „სუდში“ წაგათრევ და ქურდობისთვის ციხეში დაგალპობინებ!..

მაგდანამ დაინახა, რომ ობლების საზრდო, იმედი ხელიდან ეცლება, საშინლად გააფთრდა, გოდრებს ზედ გადაეფარა, წივილ-კივილს მოჰყვა და, რაც ჯანი და ღონე ჰქონდა, იგერიებდა გაცოფებულ მენახშირეს.

— ვერ წამართმევ, ვერა. ეს ჩემი ნაპოვნია, ჩემი გამოკვებილია ზამთარში, ჩემი შვილების ნუგეში ეს არის, ვერ წამართმევ! მომეცალე, მომეცალე, თორემ თვალებს გამოგაწიწკნი, თავს აქ მოვიკლავ და არ დაგანებებ კი!

— იქით, იქით! ხელი აიღე, თორემ ეს არის მოთმინება დავკარგე! შენისთანებმა უნდა მაჯობონ, შე მასხარავ? იქით-მეთქი, გეუბნები!

ცოდვაში არ ჩამაგდო, წიწილასავით არ წაგახრჩო! ნაპარავი ვიპოვე, შე არამზადავ, შენა, და კიდეც მიძალიანდები? რატო სირცხვილით თვალი არა გსკდება და დედამიწაზედ არ დავარდები! იქით, იქითმეთქი!

— არა, არა! ჩემი ცოცხალის თავით არ დაგანებებ. ჩემია, ჩემი, არ მომიპარავს. განა, ურჯულოვ, შენ თვითონ არ იცი, რომ არ მომიპარავს? მთელმა ქვეყანამ იცის, „ტარშინა"-მამასახლისთან გამოცხადებული მაქვს. ღმერთმა აჩუქა ჩემს ობლებს და შენ უნდა წაართვა? არა, ვერ წამართმევ, ვერა!

მაგდანას თავშალი გადაუვარდა, თმები ჩამოეშალა და გაეწეწა, პირზე მკვდრისფერი დაედო, შუბლზე ცივი ოფლი ჩამოსდიოდა, იმის მუდამ წყნარ ხმას მრისხანება მიეცა, მკლავს — საშინელი ძალა, და ყმაწვილს, ლომივით მენახშირეს, კინალამ აჯობა.

ამასობაში პოლიცია გაჩნდა, ჩხუბის მიზეზი გამოიკითხა და მენახშირე ამ სიტყვებით გაისტუმრა: წართმევა არ იქნება, წადი, სუდში იჩივლე, იქ გაარჩევენ საქმეს და, სახედარი ვისიც არის, იმას მისცემენო.

მაგდანამ სული მოიდგა, თავშალი მოიხვია, ტანისამოსი გაისწორა და თავჩაღუნული და შემკრთალი, რომ ამოდენა ხალხმა ამის გაანჩხლება დაინახა, იარმუკისკენ წავიდა.

VI

მშვენიერი, წყნარი, მთვარიანი ღამეა. მაგდანა თავისი ოთხი შვილით ვახშამს მოსჯდომია ეზოში, წინ პურჩაყრილი, მაწვნით სავსე ტაფა უდგათ, მაგრამ კი არავინ სჭამს. იმათ მოშორებით, ბაკის ღობესთან, გამობმული ლურჯა კი მადიანად ახრამუნებს მწვანე ბალახს. მაგდანა მწარედ ჩაფიქრებული შესცქერის მთვარეს და თვალები ცრემლებით ევსება, ვინ იცის, რითი გადაწყდება ხვალ იმისი საქმე. წაართმევენ ერთადერთ სახსარს ცხოვრებისას — ლურჯას, თუ შეიბრალებენ ამის წვრილშვილს და არ გასწირავენ? — ოხ, ღმერთო, სად არის შენი სამართალი! მომხედე მე საცოდავს, ჩემს საბრალო ობლებს! განა ლურჯა მართლა ჩემი არ არის? განა მართლა მე და ჩემი შვილები ამის მოვლაში და საზრდოს ზრუნვაში არ ვიყავით!.. რო წაგვართვან რაღა გვეშველება! ისევ უნდა წელში მოვიხარო და ოთხფეხ პირუტყვსავით ზურგით უნდა ვზიდო რძე და მაწონი! ოხ, ოხ, ღმერთო, ღმერთო! შენ იყავი ჩემი მფარველი. — და მაგდანას გადმოსცვივდა მწარე მდუღარება.

— დედა, რათა სტირი? — უთხრა დედას გულამომჯდარმა სო-

ფომ, — იქნება „სუდიებმა“ ჩვენ გვარგუნონ, წინადვე გულს რად იხეთქავ?

— დედა, მოდი, მე ზედ შემსვი, — ტირილითვე უთხრა მიხამ, — და მინამ არ მომკვლენ, ძირს არ ჩამოვალ.

— შე საწყალო, შენა! მანამ არ მომკლავენო! შენ რა ხარ, შვილო, რომ შენი მოკვლა რა იყოს? პანტასავით იქით გადაგისვრიან და ბევრსაც გირტყამენ.

— მაშ, მოდი, დედა, მთიულებში წავიყვანოთ და იქ დავმალოთ, — იმედს არა ჰკარგავდა პატარა მიხა.

— დედა, პური ჭამე, გეთაყვანე, ღმერთი მოწყალეა! გუშინ ნოზაძიანთ ნინიკა ამბობდა: მთელი სოფელი უმოწმებს, რომ მკვდარი მოაბრუნაო. მაგდანას დამალვით ხო არ დაუმალავს, საქვეყნოდ „ტარშინას“ გამოუცხადა, რომ თუ ზამთარში გამოვკვებავ, მერე აღარავის დავანებებო. ან ვის გაუგონია დავარდნილი სახედრის უკან დევნაო, ეგ გზა სულ მენახშირეებით არის გათელილი, მაგის მეტი რა გვინახავსო? დავარდნილი სახედრები ბევრი გვიპოვნია, ბევრი მოგვიბრუნებია, მაგრამ პატრონს ხმაც არ ამოუღიაო.

— ეგ მეც ვიცი, შვილო, მაგრამ, ვინ იცის, „სუდიები“ „კანცელარიაშე“ რა ქეიფზე იქნებიან, ვისას უფრო გაიგონებენ. მენახშირე ფულით არის გატენილი, მე უბედური გლახა ვარ და გლახისას ვინ რას შეიწყნარებს.

— არა, დედილო, არა, ჩვენ ლურჯას ვერავინ წაგვართმევს, — ქვითინით წამოხტა პატარა მიხა და მივარდა სახედარს: — არა, ლურჯავ? შენ ნუ წაჰყვები იმ ოხერ მენახშირეს, ნუ წაჰყვები, შენი ჭირიმე! — და ამ სიტყვებთან ერთად ორივე ხელით შემოეხვია ლურჯას კისერზე.

VII

მეორე დღეს მაგდანამ თავზე ხელი გადაუსვა თავის ლურჯას, დიდხანს ჩააცქერდა ტკბილ, დაღონებულ თვალებში და თავი გაიქნია: — განა ასეთი იყავ ამ რვა თვის წინათ? განა ასე გიბზინავდა აქა-იქ ამოგლეჯილი შენი ლურჯი ბალანი, ჩემო ლურჯავ? განა მენახშირე ისევ ისე არ გადაგაძრობს ჩემს მორჩენილ ბეჭებს? ნეტა ლაპარაკი მაინც იცოდე, რომ შენა გკითხონ, თუ ვის აირჩევდი პატრონად. — ლურჯაც თითქოს გრძნობდა თავის განსაცდელს და, რაც შეეძლო, ზედ ეკვროდა თავის პატრონს.

მაგდანამ კარგად მოუარა თავის ბედაურს, კურტანიც კი აღარ ტაადგა, რომ ყველას ენახა, რა რიგად იყო მოვლილი მისი ლურჯა;

კისერზე თოკი გამოაბა და რომ შვილების ტირილი და ვაგლახი აღარ ენახა, გაუთენებლივ გაუდგა გზას. ჯერ სოფლის „კანცელარიაში“ ჩამიჩუმიც არ იყო, რომ მაგდანა თავისი სახედრით იქ გამოცხადდა.

სოფო, მიხა და ორი პატარა მთელი დღე ბანზე ისხდნენ. არც ერთს იმათგანს მთელი დღე ხმა არ ამოუღია. თითქმის არა უჭამიათ რა და მხოლოდ გზას გასცქეროდნენ. მზემ კარგად გადაიწია და მაგდანა კი არსადა ჩანდა.

ბავშვები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. სოფო, რაც ძალი და ღონე შერჩა, კიდევ ნუგეშსა სცემდა პატარებს, თუმცა თვითონ მთლად კანკალებდა მოუთმენლობით.

მზე ჩავიდა და აგერ გზის პირად გამოჩნდა მაგდანას შავი თავშალი. კიდევ ერთი წამი და მაგდანა, წელში გაშლილი, პირმოღიმარი, თოკით ხელში ლურჯას წინ მოუძღოდა და თავის მოწმეებით გარშემოხვეული მოუახლოვდა სოფელს. მაგდანას შვილები სახედრის დანახვაზე მთლად გადაირივნენ: ტიროდნენ, იცინოდნენ, ხტოდნენ, გარბოდნენ, უკან ბრუნდებოდნენ და ისევ გამორბოდნენ. ბოლოს ოთხივე წივილ-კივილით ვირს მოეხვივნენ, ჰკოცნიდნენ, ზედ ახტებოდნენ და უალერსებდნენ.

— კარგით, შვილო, კარგით! ხომ ხედავთ, ლურჯა ჩვენ გვარგუნეს. სოფო, შვილო, გაიქე სახლში, ცეცხლი გააჩაღე, ამ პატიოსან მოწმეებს უნდა გავუმასპინძლდე.

მაგდანა თავის მოწმეებს გულუხვად დაუხვდა. ღვინო და არაყი ბლომად მიართვა, კარგი ჩასუქებული დედალიც დაუკლა და შუაღამემდის იმის ერდოდან, წუხანდელი ტირილის მაგივრად, ჰარიარალეს ხმა ამოდიოდა.

თინას ლეკური

I

გიორგობის თვეა, გიორგობა დღე. საშინლად ცივა; თუმცა ჯერ ზამთარი არ დამდგარა, მაგრამ მისი წინამორბედი რთვილით მთლად გადაპენტილია მთელი სოფელი ზედაშენი.

სუსხი ძვალსა და რბილში უვარდება კაცს და სიცივით ჰკუნტავს, ხელებს უბეში აყოფინებს და ჩვეულებრივ ქართულ მძიმე ნაბიჯს აჩქარებინებს.

ყოველი ბინიდან ძლიერი კვამლი ამოდის, დიდი და პატარა

ცეცხლს აჩაღებს, რომ მისი სხივით მაინც ინუგეშოს, გაბუტული პატარძალივით ღრუბლებში მიმალული მზის გამოჯავრებული.

მთელ სოფელში მარტო თინას კერაა გაცივებული, მარტო მისი შვილიშვილები სიცივისაგან გალურჯებულნი სხედან ცივ კერასთან და, ძველ ნაგლეჯ საბანში გახვეულნი, მშიერი მგლის ლეკვებივით ყმუიან: „დიდედო, ცივა, ცივა! დიდედო, გვშია, გვშია!..“

რა ქნას საწყალმა თინამ, რა უშველოს, საიდან გააჩინოს ან ცეცხლი და ან ლუკმა? ვის მიმართოს, ვის სთხოვოს ნუგეში! გაუჭირა საქმე მეზობლებს ჩინჩხვარის თხოვნით, სხვის კარ-მიდამოზე ნაფოტის კრეფით; ვენახების ღობეზე ფიჩხის მტვრევისათვის ხომ არა ერთხელ იყო ნალანძღ-ნათრევი! სხვის ვენახიდან ჩუმად სარების გამოტანა ხომ მძიმე ცოდვად ადევს თინას კისერზე.

აი ორიოდე ჩანახი ფქვილი კიდევ უყრია გოდრის ძირში, მაგრამ რითი გამოაცხოს? აგერ დღენახევარია თვალი უჭირავს, რომ ეგებ ვინმე მეზობელმა თონე გაახუროს, რომ გაცივებულ თონეზე ლავაშები მაინც მიუკრას ბალღებს, მაგრამ სად არის?. ყველამ სადღესასწაულოდ ადრე დაიმზადა ნამცხვარი და ახლა არხეინად სხედან.

— ნეტა ღონე მაინც მქონდეს, რომ აი გალმა ჭალაში გავიდე, გამხმარი ჩირგვები, ძეძვები მივჩეხ-მოვჩეხო და სული როგორმე მოვიბრუნო, — ტუტუნებს საწყალი თინა, — მაგრამ ეს წყეული გულის კანკალი მკლავს, მუხლებს მიდუნებს, კლავები სულ ძირსა მცვივა; ბევრჯერ ისე შემიხუთავს გულს, ისე წამიჭერს ყელში, რომ აჰა, გავთავდი დედაკაცი და ეს არის! ამ მწუხარებამ ხომ სულ ერთიან ძალა გამოშაცალა. ოხ, წყეული იყავ და შეჩვენებული, ჩემო რძალო, რომ უნაშუსობამ წაგძლია, გათხოვდი და ეს უსუსური ბავშვები მე, უსუსურს და ცოცხალ-მკვდარ დედაკაცს, მომიყარე!

— ბები, პური, ერთი ბეწო პური! — გაიძახოდნენ დამშეული ბავშვები.

— რა ვქნა, რომელ წყალში გადავვარდე? — უნუგეშოდ გადმოყარა ცრემლები თინამ და თან დაუმატა: — ერთი ბატონიანთამღინაც ვეღარ ავედი. რომ ხელი გამენძრია, გამეკეთებინა რამე.... დღეს ბატონის დღეობაა. მრავალ სტუმრებს თურმე მოელიან, ერთ-ორ გროშს მაინც ვიშოვიდი, ორიოდ ღერ შეშას მაინც გამოვთხოვდი! მაგრამ იმ მაღლობზე როგორ ავიდე, როგორ ავატანო ამ გულის კანკალის გადამკიდე.

— ბები, პური, ერთი ბეწო პური! —საცოდავად იღმიჭებოდნენ ბავშვები.

— ოხ, ღმერთო, შენ მიიბარე ჩემი ცოდვილი სული და ამ საცოდაობას მომარჩინე! — ისეთი სასოებით და სასოწარკვეთილებით შეე-

ვედრა თინა მაცხოვარს, რომ ბავშვებმაც კი იგრძნეს იმ ვაების ძლიერება და ტირილს უფრო მოუმატეს.

„რათა, ბები, რათა? ჩვენ რაღა გვეშველება, ჩვენ ვიღა გვაჭმევს ლუკმას!..“

უცებ დუდუკის ხმა მოისმა შორიახლო მდგომ ბატონის სახლიდან და მისმა მხიარულმა, ეშხით სავსე წკრიალმა ქაჯის ხარხარივით გაირბინა ამ უბედურთა სადგურში და თითქო მწარის დაცინვით ხმა მისცა მის დამშეულ მცხოვრებთა ტირილს.

თინას ამ ხმაზე თითქოს რაღაც გაახსენდა, იმის ათასად დაღარულ, გაყვითლებულ პირისახეზე ღიმილმა გადაირბინა; მის ნუგეშდაკარგულ გულში რაღაც იმედმა გაახილა თვალი და წამს წინათ დავრდომილი და მკვნესავი ფეხზე ააყენა.

თინამ პირი დაიბანა, თავზე სუფთა, ათასის საკერებლით დაკონკილი თეთრი ჯალაშის ლეჩაქი მოიხვია, ფეხებზე სუფთა ღაზლის წინდები ჩაიცვა, ფოსტლების ნაგლეჯში ფეხები წაჰყო და დუდუკის ხმისაკენ გაეშურა.

ბატონიანთ სახლი კარგა მაღლობ სერზე იდგა და თინა თავისი გულის ავადმყოფობის მიზეზით დიდი ვაგლახით და გაჭირვებით მიაბიჯებდა, მაგრამ მის თვალწინ, მის მოგონებას ისეთი საოცნებო, ისე ფერად-ფერადი ზოლებით მოქარგული სურათი ეხატებოდა, რომ თავის გაქანებულ ქმენას, ყელში მობჯენილ სულს ყურს აღარ უგდებდა და მხოლოდ მოგონებით გამოწვეულ სიტკბოებაში იფლოდა.

მის სამოცი წლის მოწყალებით დაბინდებულ თვალებში თითქო ცეცხლიც კი აინთო, მის მიწისფრად ქცეულ პირისახეს ალის ფერმა გადაჰკრა, უკბილოდ ჩავარდნილი მოკუმული ტუჩები ოდნავ გაეღო და ზედ ნეტარების ღიმილი დაჰხაროდა: „ნეტა იმ დღეს! — გულის სიღრმიდან ოხვრიდა საწყალი თინა, — სწორედ ორმოცი წელიწადია მას აქეთ, ისე მახსოვს, როგორც გუშინდელი დღე და ან. როგორ უნდა დამვიწყებოდა! იმაზე უკეთესი რა უნახავს ჩემს თვალებს!

თუმცა ამ პატარა ბატონმა თავისი მამისეული სახლი გააახლა, გაადიდა, გაამშვენიერა, მაგრამ ისევ იმ ალაგას კი დგას და ამაყად გადმოჰყურებს მთელ ჩართულას ხეობას. ცხონებული დიდი ბატონი მშვენიერი ვაჟკაცი იყო, მშვენიერ დიდ გვარიშვილის ქალზე იწერდა ჯვარს და დიდებული ქორწილი გადაიხადა. მაშინაც სწორედ ეს გიორგობისთვე იყო. თუმცა ასე არა ციოდა, მაგრამ გიორგობული სუსხი კი მაინც ტრიალებდა. თავადებს გარდა შვიდი სოფლის გლეხკაცობა ჰყავდა მოწვეული, მე სულ წლის მოყვანილი პატარძალი ვიყავ. მწვანე ფარჩის კაბა მეცვა, ალისფერი სარტყელ-გულისპირით, ფეხებზე ალისფერი ახალციხური წუღები. ჰაი, დედას, მე კი არ ვიყავ აბა ყმაწვილი ქალი!

მთელ ქორწილის ხალხში ისე ვირჩეოდი, როგორც ობოლი მარგალიტი. „აი დაილოცა შენი შშობელ-გამზრდელიო“, მომესმოდა აქეთ-იქიდან და ძოწისავით ვწითლდებოდი...

— აბა პატარძალს პატარძლების ლეკური უჩვენეთ! — ბრძანა დიდმა ქალბატონმა და ჩვენც იმ დარბაზში შეგვიყვანეს, რომელშიაც მეფე-დედოფალი ბრძანდებოდნენ. მე თავჩაღუნული, მორცხვად სხვებს ვეფარებოდი და სხვა სოფლის პატარძლები კიდევ ერთმანეთს. უკან დედამთილები და უფროსები გვიდგენ. გაისმა დაირა და დიპლიპიტო. და თითო-თითოდ გამოვედით პატარძლები სათამაშოდ.

როცა ჩემი ჯერი მოდგა, მუხლები ამიკანკალდა, გული ამითამაშდა, სახეზე ცეცხლი წამეკიდა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა, გამოველ, აქეთ-იქით დაბლად თავი დავუკარ და მკლავები გავშალე, გავშალე და დავტრიალდი. აქეთ-იქიდან ვაშა, ვაშას ძახილი მოისმა, დამკვრელებმა საკრავების დაკვრას მოუმატეს, ტაში გაძლიერდა... შემდეგ რას ჩავდიოდი, აღარ მახსოვს, გონს მხოლოდ მაშინ მოველ, როდესაც დედამთილმა ჩამომძახა: „აკრიფე ე შაბაშის ფული და ბატონებს მადლი გადაუხადე“. ჩემს წინ ექვსი თუ შვიდი ჯვრიანი ვერცხლის მანეთიანი პრიალებდა და ქართული ორაბაზიანები ხომ რამდენიმე... — ამ ალაგას შეწყდა თინას ბრწყინვალე მოგონება და დროც იყო, ის ბატონიანთ კარებზე იდგა და ქაქანით იხრჩობოდა. — ღმერთო, ეს რა მემართება, ეს რა უცნაურად, რა მძლავრად ადის და ჩადის ჩემი გულის ფიცარი! სულიც მეხუთება, ორთავ მკლავები მწყდება, გული მისკდება ტკივილით, ძარღვებში თითქო სისხლი მეყინება! ნუთუ ჩემი აღსასრულის დღე დადგა? ბავშვები, ბავშვებს რაღა ეშველებათ?

გალურჯებული, თვალებჩასისხლიანებული თინა კიბეზე იჯდა თავის ბერკეტზე დაბჯენილი, სიკვდილის მოახლოებას ჰგრძნობდა და როგორც ყოველი მომაკვდავი, შიშით ძრწოდა. გარშემო ადამიანის ჭაჭანება არსად მოჩანდა, ყველა სულდგმული სახლში იყო და იქ გამეფებულ ლხინს შეჰყურებდა და შეჰხაროდა.

დიდხანს იყო თინა სიკვდილსა და სიცოცხლის შუა. შემდეგ გული ნელ-ნელა დაუწყნარდა, სისხლმა ჩვეულებრივ უწყო მოძრაობა, სუნთქვა გაუადვილდა, მკლავების ტკივილი დაეშვა, სიკვდილის შიშმა გადაუარა და ის წყნარად შევიდა სახლში და მოსამსახურეთა ჯგუფში შეერია.

II

დიდი ლხინია, დიდი! ჩვენებური, ძველებური, უზომო და განიერი.

პურადი, უხვი მასპინძელი მზესავით გაბრწყინვალებულის სახით თავს დასტრიალებს თავის აუარებელ სტუმრებს და ყველას ერთად

და თითოეულს განსაკუთრებით ტკბილის სიტყვით, მიმზიდველის ღიმილით იწვევს, ახალისებს სალხინოდ და სალაღობოდ. ორას-სამას კაცამდე წვეულნი უმაღლეს მხიარულების წერტილამდის არიან მისულნი.

ალაგ-ალაგ ხმაშეწყობილი, ტკბილი ღიღინი მოისმის, ალაგ-ალაგ ლოთური „ჰარი-ჰარალი!“ შორს, დარბაზის კუთხეში, დუდუკი შიქასტას ღუღუნებს. საზანდარი — „რაჰაბს“ მღერის.

ქალნი ნაზობენ, კეკლუცობენ, თვალთაგან ცეცხლებს აფრქვევენ, ვაჟკაცნი შეზარხოშებულნი მათ თვალთ გიშრისა ტბაში სიამოვნებით ბანაობენ. ტოლუმბაში, ღირსეული მეთაური ღირსეული კრებულისა, ღირსეულად ასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას და ისეთის მჭერმეტყველებით და გატაცებით წარმოთქვამს სადღეგრძელოებს, რომ სუყველანი ერთხმივ, დაუყოვნებლივ ასრულებენ მის ბრძანებას და სიამოვნებით სცლიან ლალისფერი ღვინით ავსილ ჭიქა-სტაქანს.

ლხინი იქამდის მივიდა, როდესაც კაცის ბუნება ვეღარ იტანს ერთ ალაგას ჯდომას და უფრო მძლავრ მოძრაობას, უფრო მძლავრ გამოხატულებას, მხიარულებას ებრძვის.

— აბა, ოსეფავ, ლეკური! — დაიღრიალა ვიღაცამ და მონასტერი აირია. ხალხი აიშალ-დაიშალა, მაგიდები მისწი-მოსწიეს, ძვირფასად მოწყობილი სუფრა მგლების ნასუფრალივით გაიღეღ-გამოიღეღა. შეიქნა მისვლა-მოსვლა, სიცილ-კისკისი, ხარხარი; ლეკურმა უცბად შეცვალა დუდუკის წყნარი შიქასტა.

საჩქაროდ გაკეთებულ წრეში გაჩნდა მშვენიერი ახალგაზრდა, ალვის ხის მსგავსი ტანადი; მან არწივივით გაშალა თავისი მძლავრი მკლავები, კისერი კეკლუცად მიმოხარა და ნელ-ნელა რხევით, ფრთების მაგვარად მკლავების ქნევით, ჩოხის კალთების შრიალ-ფრიალით ლეკური ჩამოუარა; ის აქეთ-იქით ავლებდა თავის მშვენიერ შავ ბრიალა თვალებს და თითქო ვიღაცას ეძებდა მრავალთა მშვენიერთა შორის ლეკურში გამოსაწვევად.

დარბაზის გაღებულ კარებში მრავალი მოსამსახურენი იდგნენ და პირდაღებულნი უცქეროდნენ ბატონების ლხინს და ნადიმს; ამათში ორიოდე გლეხკაცის ჯუჯაიანი მაზარაც მოსჩანდა და მათ შორის დედაკაცებიც მორცხვად გამოიყურებოდნენ. უცებ ამ კარებიდან წამოვიდა ბებერი თინათინა, ოთახის კუთხეში მიაყუდა თავისი ბერკეტი, იქვე ფოსტლები წაიძრო და შარტო წინდების ამარა ყმაწვილ მოთამაშეს გამოეთამაშა. სტუმართ ყიჟინი ასტეხეს, დართულნი და ბრწყინვალე მანდილოსანნი ისტერიულმა სიცილმა შეიპყრო. სახლის პატრონი გასახტებული, გაოცებული იდგა და არ იცოდა რა ექნა, გაეგდებინებინა ლაქიებისათვის ეს გამბედავი, კონკებში გახვეული მოხუცი, თუ სხვებთან ერთად დაეწყო სიცილი და აღტაცებული ყიჟინი.

თინა კი ამასობაში ხელებგაშლილი, თავაღებული, ტუჩებმოკუმული, სერიოზულად, ციბრუტივით ტრიალებდა, ძველებურად ბუქნით უვლიდა დავლურს. თავმომწონე ვაჟკაცი არ შეკრთა, არ იუკადრისა დაგლეჯილ, ჰუჰყიან ძონძებში გახვეულ მოხუცთან თამაში და საერთო სიცილ-ხარხარით გახელებულმა დაჰკიკინა და დაჰკიკინა თავის მშვენიერ დამას, განივრად გაშლილი მკლავები თავზე გადააწყო და მოლიმარი თვალები, ვითომ არშიყობით, დამჭკნარ, მკვდრის ფერად ქცეულ სახეზე დააშტერა. სიცილ-ხარხარმა სიგიჟემდის მიაღწია.

ქალებს მეტის სიცილით თვალებიდან ცრემლები სდიოდათ, კაცების ტაშის კვრით და ვაშას ძახილით სახლი ზანზარებდა. მოსამსახურეები შეუნიშნავად ბატონებში აირივნენ და მათთან ერთად ყივილ-ხიოდნენ.

დედაბერი უცებ შედგა, თვალები გადაატრიალა, ჰაერში დაწყვეტილივით მკლავები გადაიქნია, ერთი მძლავრად ამოიფშვინა და იატაკზე დაეცა.

საკრავის ხმა შეწყდა. მოკიკინე ქალ-ვაჟთ ულმობელი სურათის წინ ბაგე შეეკრათ. მხიარული სახლის პატრონი მთლად დაიბნა.

წამის წინათ ცამდის აწვდენილი ბედნიერთა მხიარულება უკიდურეს მდუმარებით შეიცვალა.

იატაკზე გაშეშებული ეგდო სათამაშოდ ხელებგაშლილი, თვალებდაჭყეტილი, საოცარის ტანჯვით ჯვარცმული თინათინა და თავის საზარელის შეხედულებით იქ მყოფთა გულში რაღაც ტკივილს, რაღაც სინდისის ქეჯნას იწვევდა.

არც ერთი მოძრაობა, არც ერთი ხმა არ არღვევდა იმ საშინელ სურათს, რომელსაც სიკვდილი და მხოლოდ სიკვდილი წარმოუდგენს ხოლმე ცოცხლებს და გაახსენებს სოფლის ამაოებას.

— ბები, ბები! მართლა მოკვდი?! პურს ვიღა გვაჭმევს! — გაისმა ამ საოცარ სიჩუმეში და ბების მოლოდინით გაბეზრებული ორი მშიერი ტიტლიკანა, სიცივისაგან გალურჯებული ბალღი შემოვარდა ოთახში და ღრიალით დაეკონა გაცივებულ გვამს. სურათი შემზარავი იყო; აქამომდე გამეფებული მდუმარება დაარღვია საერთო ტირილმა და წამის წინათ ხარხარით მოღალული საზოგადოება ახლა გულწრფელად ღვრიდა მდუღარეს.

— მოწყალება ობლებს! — ვიღამაც წამოაყრანტალა.

გულგალმობიერებულმა საზოგადოებამ ხელი იკრა ჯიბეს და უხვად გასცა მოწყალება.

თინას ლოცვა აუსრულდა, იმან სამუდამოდ განისვენა და მისმა უკანასკნელმა „შაბაშმა“ მის ობლებს ლუკმა გაუჩინა.

სწავლის გულისათვის

(უმზეოდ დამკნარი ვარდი)

მარიამობისთვის ნახევარი იყო. სოფელი მადლიანი ზაფხულის მშვენიერებით კაშკაშობდა. მისი არემარე თვალგადაუწვდენელი ვენახებით შებურვილი, ბრწყინვალე მზის სხივებით გაჩირაღდნებულ მობიბინე ზღვას წააგავდა. აუარებელი ხილი, ნაადრევად დამკვრახებული ყურძენი, ბლომად მოსული ჭირნახული მხიარულებით ავსებდა სულს და გულს მადლიანელებისას.

ნიკოლოზ იმედაშვილის ოჯახიც ბედნიერად გრძნობდა თავს იმ ღვთის მოწყალების დროს. მისი ოთხი შვილი, ორი ქალი და ორი ვაჟი, ქვივილ-ხივილით და ყმაწვილური კიჟინით ავსებდნენ მის ფართო სადგურს და კარებ წინ კეკლუცად გაშლილ, ნიკოლოზის ხელით მოვლილ და გაფაქიზებულ ხილის ბაღს. ქეთევან იმედაშვილისა აივნის კუთხეში ტახტზე მოკეცილი იჯდა და თავის ხელით დართულ და გამოხარშულ, აბლაბუდასავით წმინდა, აბრეშუმის ძაფის არშიასა ქსოვდა, თან სიამოვნებით თვალ-ყურს ადევნებდა თავის ქმარ-შვილს. ისინი კარის ბაღში ლეღვის კრეფაში იყვნენ გართულნი და თან მწყობრად, სასიამოვნოდ რაღაც ხალხურ სიმღერას მღეროდნენ.

— ბატონო, აი რაღაც ქაღალდი გახლავთ თქვენთან ქალაქიდან მოწერილი, — უცებ შესწყვიტა ყმაწვილების ღიღინი მადლიანელმა გზირმა გიგოლამ და ნიკოლოზს გადასცა დაბეჭდილი ქაღალდი.

იმან საჩქაროდ გახია კონვერტი, სწრაფად თვალი გადაავლო წერილს და მხიარულად შეჰყვირა აივანზე მჯდომ ქეთევანს: „ქალო, ქალო! მომილოცნია, ჩვენი პატარა ნანუცა სახელმწიფოდ მიუღიათ და გვწერენ პირველ ენკენისთვეს ბავშვი წარვადგინოთ ინსტიტუტში“.

— ნანუცა სახელმწიფოდ მიუღიათ! მადლობა ღმერთსა! — სიხარულით წამოიძახა ქეთევანმა, საქმე უკუაგდო და საჩქაროდ ჩაირბინა ქმართან, რომ ეს სასიხარულო ამბავი თავის თვალით წაეკითხა და გაბედნიერებული ნანუცა გადაეკოცნა.

— მადლობა ღმერთსა, მადლობა! — ერთი კიდევ შეჰყვირა ქეთევანმა, როდესაც წითელ ხაზგასმული სიტყვები გადაათვალიერა: „პირველ ენკენისთვეს წარმოადგინეთ ინსტიტუტში თქვენი შვილიო“, და ნანუცას გადაეხვია: „იცი, გოგოჯან, რა ღვთის წყალობა გეწვია?! ახლა შენი სწავლა საზრუნველი აღარ გვექნება“.

ნანუცა კი გაქვავებული იდგა, მის პირისახეს მომაკვდავის ფერი დაედო.

— აცა, აცა, ქალო, — შეაყენა ქმარმა ქეთევანის აღტაცებული

ალერსი, — სიჩქარით იმას კი ყური აღარ ვუგდეთ თუ სადაურ ინსტიტუტში მიუღიათ ჩვენი გოგო, — „პეტროგრადის ინსტიტუტშიო!“ — აი დახე, შენ როგორღა ვერ გაარჩიე.

— პეტროგრადისაში?! — ყველამ ერთბაშად შეჰკივლეს და დიდიან პატარიანად სიმხიარულე მწუხარებად შეეცვალათ. ნანუცა კი სასოწარკვეთილებით მუხლებში ჩაიკეცა და იქვე ქარვასავით ლეღვით სავსე კალათებ შუა, ძირს დაეშვა.

— პეტროგრადში?! — მწუხარებით ამოიკვნესა კიდევ ქეთევანმა და მძიმედ ჩაფიქრდა. წამის წინათ ბედნიერებითა და მხიარულებით სავსე ოჯახი შავმა დუმილმა მოიცვა. შაქრო და ლადო, ნანუცას უფროსი ძმები, უფრო ნაკლებად გრძნობდნენ ამ ვარამს, რადგან ოჯახს დიდი ხანია მოშორდნენ და თბილისის გიმნაზიაში სწავლობდნენ, თებრო კი, რომელიც მხოლოდ ამ წლის შემოდგომაზე განშორდა დედ-მამის უბეს და თელავის სასწავლებელში სწავლობდა, უფრო დაღონდა და ნანუცას თანაგრძნობით გვერდით მიუჯდა და ჩასტუტუნებდა: „არა, არა, ჩემო ნანო, ნუ გეშინია, დედა არ გაგიშვებს, ჯერ მე თელავში რო წამიყვანეს, კინაღამ თვალები დაითხარა ტირილით და აბა პეტროგრადში რომ გაგგზავნოს, რა დაემართება?“

ნანუცა ცხრა წლისა იყო, თავის ხნიერობასთან შედარებით პატარა ტანისა, მაგრამ მარდი, მალხაზი, ტკბილად მოლაპარაკე. გრძელი წაბლისფერი ხუჭუჭა თმა მხარ-ბეჭზე ჰქონდა გადაყრილი და წაბლისფერი ჟუჟუნა თვალები სიცელქითა და ჭკუით სავსე.

დედ-მამას ეს „ნაბოლარა“ ბავშვი ძლიერ შემკვლელებული ჰყავდათ, მეტად გააზიზებული, ყოველ წამს ხელი ხელს საგოგმანებლად, გასართობად მიჩნეული და ამიტომ უფრო ძნელად მოსაშორებელი იყო მშობლებისათვის. ოჯახი დიდ საფიქრებელში ჩავარდა. თუმცა ნიკოლოზმა დიდი ხანია ითხოვა მთავარმართებელთან თავისი პატარა ნანუცის სახელმწიფოდ აღზრდა, მაგრამ იმას კი თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ასე შორს ამოუყოფდნენ თავს ამის საყვარელ გოგონას. იმედაშვილის ოჯახს ძლიერ უჭირდა ოთხ-ოთხი შვილის რიგიანად აღზრდა და დაბინავება, მაგრამ რუსეთში გასტუმრება კი თავის დღეში ფიქრადაც არ მოსვლია.

ნანუცაც დიდი ხნიდანვე იყო მომზადებული იმ აზრზე, რომ ის უთუოდ სახელმწიფოდ უნდა აღზრდილიყო, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ის პანსიონი, სადაც ეს უნდა დასახლებულიყო, მოთავსებული იყო თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, სადაც წელიწადში რამდენჯერმე ჩადიოდა მამა და ათასში ერთხელ დედაც; ისიც კარგად იცოდა, რომ შაქრო და ლადო, ამის საყვარელი ძმები, იქ ბედნიერად და მხიარულად გრძნობდნენ თავს და თავის პაწია დას ხშირად ნახავდნენ,

გაართობდნენ. ახლა კი, როდესაც წარმოიდგენდა, რომ ეს იმ ცივ რუსეთში უნდა წავიდეს, რომელზედაც ამას წინათ მამა უცნაურ ამბებს უამბობდა თავის რუსეთის ჯარში ცხოვრებიდან, მთლად ცახცახებდა, „ცხრა თვე სულ თოვლი დევს, მომეტებულად ჯანღით და ბურუსით ჩამობნელებული დღეებია, ყინვა აუტანელი, ზოგჯერ ცაში მფრინავ ფრინველს ჰყინავს“... აგონდებოდა ნაამბობი ნანუცას.

მეორე დღეს მთელმა მეზობლობამ შეიტყო, რომ იმედიანთ ნანუცას „კენჭი ერგო“ და მოსალოცად შეგროვდნენ დიდი და პატარა ნათესაობა: მამიდები, დეიდები, ძალუები, ბიძაშვილები და ბებერი ოთხმოცი წლის ბებია თინათინიც კი მობრძანდა ურმით გაღმა უბნიდან შვილიშვილის გზის დასალოცად.

ქეთევანი დიდ უარზე იდგა: — არა, არასოდეს! მე ვერ მოვიშორებ ჩემ თვალის ჩინს, ჩემ მოჭიკჭიკე იადონს! — თვალცრემლიანი ამბობდა დედა და თან მხურვალედ გულში იკრავდა დაღონებულ და დაძმარებულ ნანუცას.

— ვინ ამბობს, დიდი ნუგეშია და წყალობა სახელმწიფოდ შვილის აღზრდა, — უმატებდა ცოლის მწარე სიტყვებს ნიკოლოზი, — მაგრამ გადაგვარებაზე კი ხელს ვერ მოვაწერ. რვა-ცხრა წელიწადი რუსეთში ბავშვი სულ დაივიწყებს სამშობლო ენას, თავის ქვეყნის მიწა-წყალს, თვით დედ-მამის ჯიგარიც გაუცივდება.

— რეებს ამბობ, შვილო, რეებს! — შეჰყვირა თინათინმა, — ღვთის წყალობა კარს მოგდგომია და უარს ამბობ? რა გადაგვარება, რა სიშორე, რა ენის და ქვეყნის დავიწყება! ოღონდ ისწავლოს და თუ ღმერთს უნდა ყველაფერს გადაარჩენს, სიშორე ხომ ახლანდელ დროში, როდესაც მთელი ქვეყანა რკინიგზებით არის მოდებული, სადღა არის! აფხაზიანთ ლევანი წელიწადში სამჯერ მორბის რუსეთიდან, გიორგი გივიშვილი ყოველ ზაფხულს აქ არის...

— მერე რა სწავლაა იმ დალოცვილ ინსტიტუტში, — გააწყვეტინა ძალუა ნინომ თავის დედამთილს, — ფორტოპიანი, ფრანგული, ნემეცური, ინგლისური ენები, რუსული ლიტერატურა, ისტორია! ერთი სიტყვით, დიდი განათლება, სიმდიდრე და ფუფუნება ხომ რაღა გითხრათ! ხელმწიფე და დედოფალი წელიწადში სამჯერ ათვალიერებენ თავის თვალით მოწაფეებს. „დვორეცშიაც“ კი მიჰყავთ დიდ დღესასწაულებში ყმაწვილები, ვაა, რო ავად გავხდი და უდროოდ წამომიყვანეს იქიდან, თორემ ჩემ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, იქაური განათლებით აქ, მადლიანში, კი არ გადმოვიკარგებოდი.

— მადლიანი გადმოკარგულად მიგაჩნია, ჩემო რძალო?! — საყვედურით უთხრა ნიკოლოზმა თავის რძალს. — აბა ერთი გადიხედე ამ

აივნიდან: სხვაგან ქვეყანაზე სად დაინახავ ამის უკეთეს დასანახავს? შეხე ალაზნის ველს, მეფურად, დიდებულად შემკულს, მის თვალგადაწვდენელ ჭალა-ველებს, მის ძვირფასი ვაზით გადაჭედილ, ლერჯად მობიბინე ვენახებს, მზის ათასფერ სხივებზე გაბრწყინვალებულ თავებ-დათოვლილ მთებს და მათ ჯერ მწვანე კალთებზე შეფენილ ძველ ნაშთთა სიმრავლეს! განა მარტო ეს დასანახავი, ეს სიტურფე ბუნებისა არ კმარა, რომ კაცმა თავისი თავი სამოთხეში იგრძნოს? თავის გამჩენს მადლობა და აღტაცება მიუძღვნას! ვაი დედასა, რომ სწავლა გაგვიძ-ნელდა, გაგვიძვირდა, თორემ შვილს ვინ მოჰგლეჯს თავის სამშობლო ქვეყანას, თავის ღვთის მოწყალებით სავსე მხარეს!

— იჰ, კარგი, თუ ღმერთი გწამს! — გააწყვეტინა თინათინმა შვილს ალაზნის ველის სიმშვენიერით აღტაცებული სიტყვა. — ყველა ეგ აქ შეუცვლელად დახვდება ნანოს და ცივი რუსეთის შემდეგ უფრო ცხოვ-ლად და უფრო ძვირფასად ეჩვენება. ბევრს ნუღარ ლაპარაკობ, დაფა-ცურდი, მოემზადე და შენ თვითონ წაიყვანე ბინაზე ეს შენი „ნაბოლა-რა“. ხომ ხედავ, სამი შვილის აღზრდაც გაგიჭირდა, უვალოდ ვეღარ რჩები! დეე, რაც ბედი ხვდა, იმ ბედს დაემყაროს. ღმერთი ახსენე და რაც იქნება ის იყოს! „სჯობს უსწავლელად ყოფნას, სწავლა ნაჭირნა-ხულევი“, ახლა ასე უნდა შეცვალოთ უკვდავი რუსთაველის ნაბრ-ძანები.

— მართალს ბრძანებს ბებია, მართალს! — თითქმის მთელი ნათე-საობა დაემოწმა თინათინს და ქეთევანი და ნიკოლოზიც დაიყოლიეს ნანუცას რუსეთში გაგზავნაზე.

მალე გავიდა ის ერთი კვირა, რაც იმედაშვილის ოჯახმა შორს სამ-გზავროდ მომზადებას მოანდომა. დადგა განშორების დღეც. კარებზე დიდი ხანია სამ ცხენშებმული ეტლი დგას და ელის მგზავრების გამოსვ-ლას, მაგრამ ქეთევანი ისე შეწუხებული, დავრდომილი და ფერმიხდი-ლია, რომ ვერავინ უბედავს აჩქარებას. ხუმრობა ხომ არ არის, ოთხი შვილი ერთად უნდა გაისტუმროს და დედის გული სიკვდილის მსგავს მწუხარებას შეუპყრია. პატარა ნანუცა უსიტყვოდ, უცრემლოდ, გაფით-რებული კალთაში უზის, ის მაგრა ჩასჭიდებია დედის ტკბილ გულ-მკერდს და ხელს არ უშვებს, დანარჩენი შვილები თავს ადგანან დედას. გარს ისევ ნათესაობა ახვევია, მაგრამ ხმას ვერავინ იღებს, ყველა გრძნობს დედის საშინელ მდგომარეობას და არავინ არღვევს მდუმა-რებას. ნიკოლოზი აღშფოთებული შედის და გადის, გრძნობს, რომ დღე ღამდება, „წასვლა სჯობს წარმავალისა“, მაგრამ ესეც ვერ ბედავს. დედას შვილი ხელიდან გამოგლიჯოს.

— დღე დაღამდა, როდისღა უნდა ჩახვიდეთ თქვენ ბინაზე?!

ისევ ბებია თინათინმა დაარღვია სიჩუმე და თან ნანუცას ხელ-ჰოჰკიდა, დედის კალთიდან ააყენა, დალოცა და მხურვალედ გულში ჩაიკრა.

ბებიას შემდეგ ნანუცა გადაჰკოცნა ყველა იქ მყოფმა ნათესავმა. ჯერი ქეთევანზე მიდგა. დედამ ახლა უფრო მძლავრად ჩაიკრა თავისი პატარა გულში და თითქო გაშვებასაც აღარ უპირებდა, მაგრამ ნიკოლოზმა ველარ მოითმინა, გულისტკივილით, მაგრამ ვაჟკაცურის გამბედაობით გამოგლიჯა ნანუცა დედას ხელიდან და ციმციმ აყვანილი ეტლში ჩაარბენინა, ლადო და შაქრო მოუთმენლად ელოდნენ დედის ჩამოსვლას და რაწამს ისინი ეტლში ჩასხდნენ, შეუტიეს ცხენებს, ეტლი დაიძრა და მას თან გაჰყვა დარჩენილთა ლოცვა-კურთხევა და დედის გულიდან ამომსკდარი უნუგეშო ტირილ-ვაგლახი.

ნიკოლოზმა გზად თელავში შეატარა თებრო, საჩქაროდ მიიყვანა „ზავედენიაში", ერთ თავის ნაცნობთან ისამხრა, ცხენებს პატარა ქერი მოაჭამა და გაეშურა თბილისისაკენ, სადაც უნდა დაებინავებინა შაქრო და ლადო და მერე რუსეთის გზას გასდგომოდა პატარა ნანუცათი.

ენკენისთვის პირველი რიცხვი იყო, დილის რვა საათი, როდესაც იმედაშვილი თავისი ქალით მივიდა ფოსტის სადგურზე. მშვენიერი დილა იყო, ნამდვილი ზაფხულის დილა, სიცხე იმდენად საგრძნობელი, რომ მგზავრები უწამოსასხამოდ ჩასხდნენ ეტლში და ერთ მანდილოსანს მარაოც კი ეჭირა ხელში საგრილებლად, გარშემო ბუნება მწვანით იყო დამშვენებული და ქალაქის ბაღები მოსეირნე ხალხით სავსე.

ფოსტალიონმა ჩაჰბერა თავის ოროტოტოს და ექვს ცხენშებმულმა ეტლმა, სხვადასხვა ჯურის ხალხით სავსემ, მოჰქროლა მცხეთისაკენ. ნანუცა აღარ ტიროდა, ის დიდი ცნობისმოყვარეობით აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით, თუმცა იმის პირისახეს სევდის გამომხატველობა არ მოშორებია.

ნანუცას ცნობისმოყვარულობა და გაკვირვება ერთი ათად იქცა, როდესაც ფასანაურის სადგურში ღამის გათევის მეორე დღეს, ზაფხულის მაგივრად სრული ზამთრის სურათი წარმოუდგა იმის თვალს, გარშემო არემარე ნისლით და ბურუსით იყო მოცული, გაყინულ ჰაერში თოვლის ნაფლეთები ტრიალებდნენ და გზის ორსავე მხარეს კარგა დიდი თოვლი იყო დაგროვილი, რომელსაც აუარებელი მუშა გზიდან ხვეტდა და ამით უადვილებდა ცხენებს მძიმე ეტლის ზიდვას იმ აღმართზე, რომელიც ფასანაურის სადგურიდან იწყება კავკასიის უმაღლეს ქედზე.

სიცივე თანდათან საგრძნობელი შეიქნა. ნიკოლოზმა ბარგიდან თავისი ნაბადი ამოიღო და იმის კალთებქვეშ ამოსვა ამ უცნაურად გაჩენილ

სიციცისაგან გაკვირვებული, გალურჯებული გოგონა და თან ეუბნებოდა:

— რას გიკვირს, შვილო, ეს თოვლი და სიცივე, აბა ახლა მთებში ავიდეთ, რას დაინახავ იქიდან; იქ მხოლოდ თოვლის და ზამთრის სამფლობელოა, იქ თოვლი თავის დღეში არ დნება და ახლა, ენკენისთვეში. დღეში სამი ოთხი არშინი კიდევ ემატება.

მართლაც თანდათან თოვლი იკავებდა მთელ არემარეს: არც ხე, არც სახლი, არც არავითარი ადამიანის სხვა სადგომი არსად მოჩანდა, გარშემო, მხოლოდ თეთრი, ხელშეუხებელი, სპეტაკი თოვლით გადაბურული გორები მოჩანდა; გზა ორად გაჭრილი თოვლის კედლებშუა მიდიოდა და თავისი სითეთრით თვალებს უჭრიალებდა მგზავრებს, აუარებელ მუშებს, რომელნიც შეუფერხებლივ თოვლისგან გზას ასუფთავებდნენ. თეთრად შელესილი სადგურები ძლივს ირკვეოდნენ ამ თოვლის თეთრ სამფლობელოში და მხოლოდ ხშირი ბოლი, სადგურის ბუხრებიდან ამონადენი, უჩვენებდა მგზავრს მათ დანიშნულებას. აქ ყველგან ხალხი ფაციფუცით შერბოდ-გარბოდა, საჩქაროდ ცვლიდნენ დაოფლიანებულ ცხენებს და ოდნავ ცეცხლზე გათბობის შემდეგ, მგზავრები აგრძელებდნენ თავის გზას.

ყაზბეგის სადგურიდან გზის ერთფერობა შეიცვალა მდინარე თერგის ხმაურობით. თუმცა მდინარის ნაპირები უკვე გაყინული იყო, მაგრამ შუაგული კი საშინლად ღრიალებდა, შფოთავდა და მედგრად ეხლებოდა თავის პიტალო კლდის საწოლის გვერდებს. მდინარე ხანდახან განზე იშლებოდა, ხანდახან კი, როდესაც ორ უშველებელ, ერთიერთმანეთთან მიახლოებული მთის შუა მოექცეოდა, ის ისე ვიწროვდებოდა, ყუჩდებოდა, მდოვრდებოდა, რომ გეგონებოდათ, ეს-ეს არის დაჭკვიანდა ეს „დაპრილი ლომივით მძვინვარე თერგიო", მაგრამ შემდეგ წამში კლდეები თითქო განზე ჩამოუდგებოდნენ ხოლმე ამ შეუყენებელ ძალას და ის ისევ მძლავრად ექანებოდა ძირს და თავის გამარჯვებას საშინელის კიჟინით აცხადებდა, გზა სულ თერგის ნაპირას მიდიოდა და მასთან ერთად ხან ღრმა უფსკრულში ჩაექანებოდა და ხან ცოტა ხნის განშორებით აღმართს შეუდგებოდა, შემდეგ ისევ იმის მღვრიე ტალღებს უახლოვდებოდა, იმის ღრიალ-გრიალით ცოცხლდებოდა, უზარმაზარი კლდეები, კაცის ხელით შეჭრილი, გზას ვეშაპივით გადმოჰყურებდნენ და მასზე გაწოლილი თოვლის ზვავები მგზავრებს შიშის ზარს სცემდნენ და წამდაუწუმ თავის გადმოხეთქით განადგურებას უპირებდნენ. ნანუცას გული თრთოდა შიშით და თან ამ დიადის სანახაობით აღტაცებაში მოდიოდა. შიში და აღტაცება განუყრელად იბრძოდნენ პატარა გოგონას გულში. კავკავამდის თვალი არ მოუხუჭია ნანუცას, ის გაფაციცებით იყურებოდა აქეთ-იქითკენ და მხოლოდ ათასში ერთხელ

გამოჰკითხავდა მამას სხვადასხვა ალაგების სახელს, ძველთა ნაშთთა ციცაბოებზე ნაგებ ციხე-გალავანთა მნიშვნელობას. ნიკოლოზი, როგორც კარგად მცოდნე ამ ალაგების ძველი და ახალი ისტორიისა, დაწვრილებით უამბობდა ყველას თავის ნანუცას.

კავკავში ეტლიდან პირდაპირ რკინიგზის ვაგონში კადასხდნენ მამა-შვილი და აქ კი დაღალულობამ დაიმორჩილა პატარა და მძინე ძილმა შეაჩერა იმისი გაღვიძებული ცნობისმოყვარულობა.

კავკავიდან სამი დღე-ღამე შეუჩერებლივ მიაქანებდა რკინიგზის ორთქლმავალი ჩვენს მგზავრებს. აკვანივით ერთგვარმა რყევამ ვაგონებისამ პატარა ნანუცა რაღაც გამოურკვეველ სევდას მისცა, ის მთელი საათობით ჩუმად იჯდა და ხელზე თავდაყრდნობილი გაორთქლილ ფანჯარას მისცქეროდა. ნიკოლოზი ცდილობდა გაერთო თავის პატარა გოგო, მიექცია მისი ყურადღება რუსეთის განსხვავებულ მდებარეობაზე, მის შენობაზე, ხალხის სხვადასხვა გვარობაზე, მის ასე უდროოდ დაზამთრებულ ბუნებაზე, მაგრამ ამაოდ, — ერთფეროვანი ბუნება რუსეთის თვალგადაუწვდენელი ველებისა, ახლა თითქმის ყოველგან თეთრი თოვლით გადაპენტილი, ძალიან ცოტას იძლეოდა თვალის გასართობ საზრდოს.

მეოთხე დღეს დილით ადრე მატარებელი მიუახლოვდა პეტროგრადის რკინიგზის სადგურს, ხალხი აირივ-დაირია, საერთო მოძრაობა შეიქნა, ყველა ფაციფუცით ალაგებდა ვაგონის თაროებიდან თავის ბარგს, იფუთნებოდა შუბაში, ფეხებზე თბილ კალოშებს იცვამდა, ხელებზე ტყავის ხელთათმანებს. ნიკოლოზმაც თბილად გაახვია თავისი ნანუცა ქეთევანის გამოტანებულ შალში, ბარგი მოიმარჯვა და დროც იყო. მატარებელი გაჩერდა, ბარგის გამტანი მოსამსახურენი ხელიდან ჰგლეჯდნენ ბარგს მგზავრებს გასატანად. სადგურის ფართო დერეფანი ხალხით იყო გატენილი, ათასობით ქალი და კაცი ირეოდნენ ერთმანეთში, ხალხის გუგუნი, მეგაზეთეების ძახილი, სასტუმროების პატრონის პატიჟი ყურებს უჭედავდა კაცს და აფერხებდა გარეთ გასვლას. რის ვაი-ვაგლახით გაატანა ნიკოლოზმა ამ ხალხის მოძრავ ტალღებს და გავიდა უშველებელ მოედანზე, სადაც აუარებელი სხვადასხვა გვარი ეტლი ელოდა მგზავრებს.

ენკენისთვის ხუთი იყო. ნიკოლოზს ეშინოდა ხომ არ დამიგვიანდა ვადაზე ქალის მოყვანაო და პირდაპირ პანსიონში გასწია. ინსტიტუტი სადგურიდან ძლიერ შორს აღმოჩნდა. მამა-შვილს თითქმის მთელი ქალაქის გავლა დასჭირდა. კარეტის ფანჯრიდან ნანუცა განცვიფრებული შესცქეროდა ამ თვალგადაუწვდენელ დედაქალაქს რუსეთისას და ჰკვირობდა იმის განიერი ქუჩებით, ხუთ-ექვს სართულიანი სახლებით. უშველებელი ეკლესიები ცამდის აწვდენილი გუმბათებით ხომ აოცებ-

დნენ პატარა მგზავრს. აუარებელი ხალხი, ეტლები, ჯარისკაცნი, პოლიციელნი ბუზებივით ირეოდნენ ქუჩებში. მაღაზიის დიდრონი შუშებიდან მოჩანდა ძვირფასი საავჭრო, სანოვაგე, შეკერილი ტანისამოსი, შლიაპები. ალაგ-ალაგ ქუჩებსა და ქუჩებშუა გადაჭიმულიყვნენ ლამაზად შემოღობილი ბაღები, სადაც მწვანე ფოთლებით შემოსილი ხეების მაგივრად, ამართულიყვნენ შავად შემოსილი ნაძვები.

თერთმეტი საათი იყო, როდესაც იმედაანთ ეტლი გაჩერდა ერთ უზარმაზარ შენობის წინ, რომლის მეოთხე სართულზე გაკრულ შავ ფიცარზე დიდი ასოებით ეწერა: „Николаевский институт". ეს სახლი განცალკევებული იდგა სხვა შენობებიდან და ირგვლივ რკინის მოაჯირით იყო შემორტყმული, ხუთსართულიანი შენობა აუარებელი დიდრონი ფანჯრებით, რომელთაც რკინის ბადეები ჰქონდათ აკრული და ნაცრისფერად იყო შეღებილი, ცივად და მიუკარებლად ეჩვენა ნანუცას. არც კარებში მდგომმა მდიდრულად ჩაცმულმა „შვეიცარმა" მოახდინა იმაზე დამამშვიდებელი შთაბეჭდილება; იმისი ბუზმენტებით მოვლებული, ფეხებამდის გრძელი ტანსაცმელი, გვერდზე გაკეთებული წითელი ლენტი და ხელში დიდი ოქროს ბუშტიანი ყავარჯენი, ნანუცას თვალში რაღაც ზღაპრულ დევს ემსგავსებოდა და როდესაც იმან საგზაოდ ჩაცმულ მამა-შვილს თვალი ზიზღით გადაავლო, მაშინ ხომ კანკალმა აიტანა. ცივად და მიუკარებლად ეჩვენა ნანუცას სტუმრების მისაღები დარბაზიც თავისი გათეთრებული კედლებით და კედელთან რიგზე ჩამწკრივებული სკამებით, ცივად და მიუკარებლად ეჩვენა იქ მყოფი მორიგე ქალიც, რომელიც თავისი ნაცრისფერი კაბით და უმოძრაო პირისახით საშინლად წააგავდა ამ ხალხის გარეთადს და შიგნითადს მიუზიდაობას.

— ვინ ბრძანდებით? — დიდი ცერემონიით თავის დაკვრის შემდეგ ჰკითხა იმან ნიკოლოზს, — საიდან მობრძანდით და რისთვის?

შემდეგ იმის დაწვრილებით გამოძიებისა, თუ რისთვის გასჯილა და რად მოუყვანია თავისი მშვენიერი პატარა, ის შეუდგა კუნჭულში მდგომ მაგიდაზე დალაგებული წიგნების ფურცვლას და მალე მიაგნო ნანუცას სახელმწიფოდ მიღების საბუთებს. იმან საჩქაროდ აასრულა ყოველი საჭირო ქაღალდების შემოწმება, მოწაფის გვარი და სახელის ჩაწერა და მერე რაღაც ნაძალადევის ღიმილით ხელი გაუშვირა ნანუცას: — აბა, საყვარელო ბავშვო, წავიდეთ, შე შენ გიჩვენებ ამხანაგებს, შენ მომავალ აღმზრდელს წარგიდგენ.

ნანუცა გვერდში ამოჰკროდა მამას, იმისი ხელი ორივ ხელით დაებღუჯა და ცეცხლში ჩასაგდებ მსხვერპლივით შიშით ცახცახებდა.

— აბა, შვილო, წაჰყე, — ცოტა არ იყოს, ხმის კანკალით უთხრა ნიკოლოზმა ნანუცას და ხელი მოაშორა იმის მთრთოლვარე ხელებს.

— მამა, მამა!.. — საზარელი ხმით შეჰყვირა ნანომ და ერთი კიდევ ჩაეკონა მამის გულმკერდს.

— კმარა, კმარა, — ნაძალადევი სისასტიკით შეჰყვირა ნიკოლოზმა და თითქმის გულშემოყრილი ბავშვი გადასცა მორიგე ქალს, რომელმაც დაუყოვნებლივ გააქანა ის სამოსწავლო ოთახებისაკენ.

ხუთას-ექვსასი ქალი დასეირნობდა სასწავლებლის ფართო შუაბანდიან დერეფანში. სამი თვის თავისუფლების შემდეგ, სახლიდან დაბრუნებული შეგირდები შეუწყვეტლივ, სიცილ-ხარხარით უამბობდნენ ერთმანეთს თავის თავგადასავალს. მხოლოდ ახლად მობარებულები დაღონებულ-დაძმარებულები აბუზულიყვნენ კუნჭულში და იქიდან ბუსავით გამოსცქეროდნენ იმ კმაყოფილთა მოძრაობას. ნანუცაც იმათ მიეკედლა.

ნიკოლოზი კი ისევ იმ ალაგას იდგა, საიდანაც ქალი გაატანა იმ უცნაურ გაყინულ დედაკაცს და თითქოს რაღაცას მოელოდა.

— თქვენ შეგიძლიათ წაბრძანდეთ, — მოესმა ამ დროს დაბრუნებული მორიგე ქალის ცივი ხმა. — თქვენი ქალი დიდ ბედნიერებაში ჩავარდა და იმისი ნუღარა გეფიქრებათ რა.

— მე ხვალ კიდევ მოვალ სანახავად. ხომ ნებას მომცემენ ერთ-ორ დღეს ვინახულო ჩემი შვილი.

— მე არ გირჩევთ, — მიუგო ქალმა, — რაც მალე დაივიწყებს თავის წარსულს, მით უფრო უკეთ შეეჩვევა თავის აწმყოს.

— მაშ არ მირჩევთ მოსვლას?

— არა, — კიდევ ცივად მიუგო ქალმა და ნიკოლოზი ცივ წყალ გადასხმულივით გულჩამწყდარი გამობრუნდა შინისაკენ.

შობის წინა დღეს იმედაანთ ოჯახი ჩვეულებრივ ბრწყინვალე შობის სამზადისში იყო. სადღესასწაულოდ ამოსული ლადო და შაქრო გიმნაზიის „მუნდირებს“ ისუფთავებდნენ. თებროს დედა ხვალისათვის ჩასაცმელ ალისფერ კაბას აზომებდა.

— დედა, ნეტა ნანუცა ახლა რას აკეთებს? — მოკრძალებით შეეკითხა თებრო დედას, — აქ რო ყოფილიყო. ხომ იმასაც შეუკერავდი ამისთანა კაბას.

— დიახაც რო შევუკერავდი, ენაცვალოს დედა თავის ნაბოლარას, მაგრამ სად არის! — ამოოხვრით მიუგო ქეთევანმა თებროს და ორი მსხვილი ცრემლი გადმოუგორდა თვალებიდან. — ჩემი გული მუდამ ჟამს კვნესის, ჩემი გონება განუყრელად იმასთან არის, ჩემ თავს თავის დღეში არ ვაპატიებ იმას, რომ სხვებს დავუჯერე და შვილი ცხრა მთას იქით გადავღუპე, თქვენში გამოვწყვიტე, მაგრამ...

— დიახაც რო შეესცდით! — დარბაისლად დაუმატა თხუთმეტი წლის

ლადომ — რა არის სწავლა, თუკი ბავშვობიდანვე კაცს გული მოუკვდება მარტოობით, ან გულმკვდარი კაცი რაღას ისწავლის უცხოეთში?

— ჰოდა! — ჩაერია ლაპარაკში შაქროც, — მე რომ იმისი იმედი არა მქონდეს, რომ წელიწადში რამდენჯერმე მომიყვანთ სახლში, წიგნსაც აღარ ავიღებდი ხელში. რადა ღირს მარტო ქალაქიდან სახლში წამოსვლის სამზადისი? თითქო ახლად იბადები, თითქო სახლში კი არა ზეცაში აპირებ ასვლას და ახლა ნანუცა კი ყველა ამ სიხარულს არის მოკლებული!

— ქეთევან, პეტროგრადიდან წერილია შენთან, — მეორე ოთახიდან მხიარულად შემოვიდა ნიკოლოზი. — ნეტა თუ როგორ ქეიფზეა ამ სადღესასწაულოდ ჩვენი ნანუცაი?

— წერილი? ღმერთო ჩემო, მშვიდობა და სიხარული მიანიჭე ჩემ გოგონას! — გულის კანკალით სთქვა ქეთევანმა და აკაკაცებულ ხელებით გაგლიჯა წერილი. დიდი და პატარა გარს შემოეხვია დედას და მოუთმენლად მოელოდა ნანუცას ამბავს.

„სევდა მამულისათვის“ სტანჯავს თქვენ ბავშვს, — სწერდა ინსტიტუტის მმართველი ქალი ქეთევანს. — „თქვენი ნახვა სწრაფად, დაუყოვნებლივ საჭიროა, ექიმს იმედი აქვს გამობრუნებისა, თუ ბავშვი თავის დედას დაინახავს და თავის სამშობლოში დაბრუნების იმედს გაუღვიძებს“.

— ღვთის მშობელო, შენ შეინახე ჩემი ნანუცა! — სასოებით ხელი ააპყრო ქეთევანმა და შემდეგ რეტიანივით დატრიალდა: — ჩქარა, ჩქარა, ეტლი შეაბით ჩქარა, ახლავე, ამ წამში უნდა წავიდე. არ დამიგვიანდეს, თორემ ჩემ გოგოს ცოცხალს ვეღარ მივუსწრებ.

— ქეთევან, დაშოშმინდი, მოიფიქრე რამ, ჩვენც ნუ დაგვივიწყებ ან რითი მიხვალ? აუარებელი ფული დამეხარჯა რუსეთში წასვლაზე. ახლა საიდანღა გაგისტუმრო? ან მარტო შენი გასტუმრება, როგორ შეიძლება! გაზეთებში სწერენ წრევანდელი ზამთარი რუსეთში საშინელიაო. აქ რო გაზაფხულის ამინდი სდგას, იქაც ხომ ისე არა გგონია? — მწუხარებით სთქვა ნიკოლოზმა.

— უშენოდ ჩვენ რაღა გვეშველება ამ დღესასწაულებში... — გაუბედავად წაიტუტუნეს ყმაწვილებმა.

— ნანუცა ავად არის, დედა, უთუოდ წადი, მოუარე და მოიყვანე, — მდუღარებით გადაეხვია თებრო დედას და თავის ლმობიერებით უფრო გაამხნევა ქეთევანი.

— დიახ, დიახ, უთუოდ უნდა წავიდე, უთუოდ! ჩქარა, ნიკოჯან, ჩქარა დაფაცურდი, ისეხე, გაჰყიდე რაც რამ გვაბადია და შვილს ნუ დამაკარგვინებ. შვილებთან შენ იყავ. მე გზას გავიგნებ. დაკარგული შვილის საძებნელად წასულ დედას ღმერთი უწინამძღვრებს.

შუაღამეა. პეტროგრადის „ნიკოლოზის ინსტიტუტის“ შენობა სიბნელით არის მოცული. პანსიონი დათხოვნილია სადღესასწაულოდ და ზოგიერთი დარჩენილი მოწაფენი თვით ინსტიტუტის მმართველმა წაიყვანა დღეს თეატრში. ჩამიჩუმი არსად ისმის. მხოლოდ ინსტიტუტის საავადმყოფოდან მოჩანს მკრთალი შუქი. მშვენიერია თავისის სიფართოვით და სიფაქიზით ეს სნეული ბავშვების მოსათავსებული — სუფთა თეთრი კედლები, სპეტაკი ლოგინი, სარკესავით გაბრწყინვალებული იატაკი, კუნჭულში ხელოვნურად გაკეთებული, სახატეში მოთავსებული წმ. ნიკოლოზის ხატის წინ პირისფერი კანდელის შუქით განათებული. ეს ემსგავსება ერთსა და იმავე დროს ეკლესიასაც და საიდუმლოობით მოცულს სასაფლაოსაც.

ორი თუ სამი ბავშვი უნძრევლად წევს თავთავის საწოლზე. თეთრებითვე მოსილი მომვლელი დედაკაცი ავადმყოფთან შორი-ახლო სკამზე ზის და მაგიდაზე დაყრდნობილს თავი ჩაუქინდრია, სძინავს.

ავადმყოფი ნანუცაც აქა წევს, მაგრამ კი არ სძინავს. იმისი დიდრონი თვალები ახლა საშინელის სიგამხდრისაგან უფრო გადიდრონებულა. დიდი ხანია ნანუცა უგრძნობლად წევს სარეცელზე და თითქო ყურადღებას აღარ აქცევს ადამიანთა ცხოვრების სვლას, მაგრამ დღეს კი ნათლად წარმოიდგინა ამის გონებამ, რომ ახალი წლის წინა ღამეა და ამის სახლობა, როგორც ყველა ქართველი ოჯახი, ახალი წლის სამზადისშია. აი, ნინიკა მებაღემ დიდი თაბახით შემოიტანა ქარვასავით გამჭვირვალი თაფლის პურები, რომელიც ეს-ეს არის სკებიდან ამოიღო. აი, ნინუა გამდელმაც მოართვა ქალბატონს სავსე ცხრილი საგოზინაყე ნიგოზი, ნუში, ჩამიჩი, ჩირი, ჩურჩხელა... დედას ოთახში, ბუხარში ცეცხლი მხიარულად გუზგუზებს, ზედ შემდგარი ზედადგარი ელის თაფლით სავსე ტაფას. პატარა თებრო დედასა შველის კალთაზე ხელსახოცაფარებული, დარბაისლად ტახტზე ზის და ჯიბის დანით ნუშს სჭრის. მარტო ლადო და შაქრო ცუღლუტობენ, დაჭრილ ნუშ-ნიგოზს იტაცებენ და დედას აჯავრებენ. ნიკოლოზიც ზურგზე ხელებგაწყობილი აქვე ბოლთასა სცემს და ათას ფიქრებში გართული, ხანდახან ტკბილად უღიმის ვითომ და შვილებზე გაჯავრებულ ქეთევანს...

— ნანუცა სად არის? ჩემი ნანუცა? — უცებ მოესმა ავადმყოფს ჩუმი, მაგრამ მოუთმენელი ჩურჩული.

— ნუთუ ნატვრა ამისრულდა... — სიგიჟემდე მიღწეულის გაოცებით დაიკივლა ნანუცამ და ფეხზე წამოხტა... დასუსტებული დატორტმანდა და მოულოდნელი ბედნიერებით გულშემოყრილი, მშობლის გაშლილ ხელებში ჩავარდა.

იოსებ დავითაშვილი

1850—1987

იოსებ სიმონის ძე დავითაშვილი დაიბადა 1850 წლის 1 ივლისს სოფ. გარდატენში (კახეთი). მამა მისი ციციშვილიების ყმა იყო.

11 წლის იოსები თბილისში თავისი უფროსი ძმის ქორწილში ჩამოიყვანეს, მაშა აქვე გახდა ავად და გარდაიცვალა, წლისთავზე დედაც გარდაიცვალა. იოსებმა დურგლობა შეისწავლა და თბილისში დაიწყო მუშაობა სადურგლო ქარხანაში — ვინმე რუბცოვთან; ქარხანაში იოსებმა დაჰყო 1873 წლამდის. შემდეგ ამ ქარხანას თავი დაანება და კერძო მუშაობით ირჩენდა თავს. 1876 წლიდან იოსები მუშაობს ზეიცერის სადურგლო ქარხანაში, სადაც მუშაობდა რევოლუციონერი მიხა ჩოდრიშვილი. 1878 წელს ზეიცერის მუშებმა გაფიცვა მოაწყეს, გაფიცვაში ი. დავითაშვილიც იღებდა მონაწილეობას. ზეიცერმა გაფიცულები დაითხოვა, ამათ შორის ი. დავითაშვილიც. ი. დავითაშვილი დიდ გაჭირვებას განიცდიდა უმუშევრად ყოფნის დროს. მას, როგორც მწიგნობარს და პოეტს იცნობდნენ ჩვენი მწერლები: ს. მგალობლიშვილი, აკ. წერეთელი, ალ. ხახანაშვილი და სხვები, რომლებიც დახმარებას უწევდნენ.

ი. დავითაშვილი მუდამ საქმეს ეძებნაში იყო, რა საქმეზე არ გაქოსცადა, იყო: თეატრში ფარდის ამწევად, გაზეთების დამტარებლად. აღებულ ფულს წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში ხარჯავდა. ბოლოს ი. დავითაშვილი დასახლდა თელავში. თელავში იგი მუშაობდა ლიტერატურულ წრეში და თეატრს შველოდა დეკორაციების დადგმაში.

ი. დავითაშვილი გარდაიცვალა თელავში 1887 წელს.

ი. დავითაშვილის პირველი ლექსი იყო: „სიმღერა ჩუქურთმის მჭრელისა", რომელიც დაიბეჭდა კრებულში „სტვირი" 1880 წელს.

მისი ცნობილი ლექსი „ჯეჯილი" მართალია პირველად „ეერია"-ში დაიბეჭდა 1885 წელს, მაგრამ იგი მალე გახდა ცნობილი ბავშვებისათვის იაკ. გოგებაშვილის მიერ სახელმძღვანელოებში შეტანით. საბავშვო ჟურნალის „ჯეჯილის" სატიტულო ფურცელს ამშვენებდა ამ ლექსის პირველი ორი სტრიქონი 34 წლის განმავლობაში.

ჯეჯილი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო;
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

დაპურდი, ჩემო ნუგეშო,
იზარდე თანდათანაო;
ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი,
მზემ შუქი გფინოს თანაო.

ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყერმა მოგძახოს ნანაო;
იზარდე, გაახარევი
ყმაწვილი ჩემისთანაო.

შრომის შვილი ვარ ყარიბი,
არავინ გამიტანაო:
ვისაც კი ძმურად მივენდე,
მან გულს დამასვა დანაო.

ნეტავი აქ არ მამყოფა,
ქალაქში ჩამიყვანაო:
მასწავლა რამე ხელობა,
მასწავლა ანა-ბანაო.

ამაღლდი, თავი დაიხი,
ჯეჯილო, ნორჩო ყანაო;
იმისი საზრდო შეიქენ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო.

ნამგლებით გარსა გეხვევნენ
ბიჭები ჩემისთანაო:
პეტრე, გიორგი, თევდორე,
ბესო და ალმასხანაო.

ჯერს უმზადებდეს თინია,
ა იმ ბერ კაკლებთანაო;
სოსოს ხელადა მოჰქონდეს,
ცივცივი წყაროდანაო.

გლეხის ბიჭის ვედრება

შრომის შვილი ვარ პატარა,
სკოლაში დავიარები;
სწავლის და ცოდნის ჭირიმე,
მას მე არ გავეპარები.

ქურდობას, ავაზაკობას
ახლოს არ მივეკარები;

მოძმესა გაჭირვებულსა,
ძმურადა მოვეხმარები.

სწავლის გზა ფართო მომეცით,
არ დამიკეტოთ კარები;
გლეხი ვარ, მაგრამ კაცი ვარ,
მეც ქვეყნად დავიარები.

სიმღერა

შრომისა შვილო, გლეხო პატარა,
ისწავლე წიგნი, ეცადე ჩქარა;
შემდეგ წიგნისა — თოხნა და ბარვა,
არა სხვასავით ხვეჭა და პარვა!

ძმაო, ვინც სწავლა არ მოიხმარა,
იგი ტანჯვისა მსხვერპლი გამხდარა.
ისწავლე წიგნი, ბიჭო პატარა,
მანამ დაგცქერის ცისა კამარა!

ვიდრე ხარ ქვეყნად, სწავლა არ კმარა,
მოხუცი იყვე, თუნდა პატარა...
ვინც რომა სწავლა არ დაიზარა,
იგი ამ ქვეყნის ძეგლი გამხდარა.

ვინც მონის შრომით დრო გაატარა,
მისი ხსენება მსწრაფლად გამქრალა.
შრომისა შვილო, გლეხო პატარა,
ისწავლე წიგნი, ისწავლე ჩქარა!

ზამთარი

ზაფხულმა განვლო მშვიდობით,
დრო დადგა გასაჭირია;
თოვლმა აგერა თეთრადა,
შემოსა ქვეყნის პირია.

მწყერი, გუგული, მერცხალი,
გაფრინდნენ თბილსა მხარესა,
მოშორდნენ ჩვენსა ქვეყანას,
მოშორდნენ არემარესა.

ბეღურა ჩიტებს საბძელში
ძირს დაუშვიათ თავები,
მხოლოდ ჰფრინავენ ჰაერში
კაჭკაჭები და ყვავები.

ბიჭები აგერ ციგითა
ასრიალებენ დასაო,
ყმაწვილებს მოსწონთ ეს შრომა
და შეიქცევენ თავსაო.

თუმც დასჭკნენ, თოვლს ქვეშ
მოექცნენ
ყაყაჩო, ნარგიზ-ხაშხაში,
ყაყაჩოს ნაცვლად წითლადა
ყმაწვილებს გააქვთ ლაჟვარდი.

ნინო

ადგა ნინო დილით ადრე,
გოგო უნდა ამისთანა,
ტანთ ჩაიცვა საჩქაროზედ
და ხელ-პირი დაიბანა.

ისაუზმა და მის შემდეგ
სკოლისაკენ გაეჩქარა;
სწავლა უყვარს, ხედავთ, ნინოს,
თუმც ნორჩია და პატარა!

მიდის ნინო და გარემო
ხარობს, ჰყვავის მთა და ველი:
დილა არის, მზე ამოდის,
ქვეყნად ნათლის მომფენელი.

ისწავლა და სწავლის შემდეგ
ისევ შინვე მოირბინა;
ძმას მიუჯდა აკვნის ძირში
და უმღერა მას ნანინა:

დრო მოვა, გაიზრდები,
იცნა ეს ქვეყანაო;
იძინე, ჩემო ძმაო,
იავნანი ნანაო...

გაიზარდო, ისწავლო,
ბიჭო ანა-ბანაო;
ჯერ კი ტკბილად იძინე,
იავნანი ნანაო...

წიგნის შემდეგ ისწავლე
მოხვნა, მომკო ყანაო;
დაიძინე, ძამიკო,
იავნანი ნანაო...

მუშის შრომითა რჩება
დიდი და პატარაო;
რაღა გითხრა, გაიგებ,
იავნანი ნანაო...

გახსოვდეს სამშობლოი
მუდამ და ყველგანაო;
დაიძინე, ნუ სტირი,
იავნანი ნანაო...

ღმერთმა ჰქნას ყველას ჰყვანდეს
დები ჩემისთანაო:
ძმებს მოუსხდნენ უმღერონ,
იავნანი ნანაო...

ეგნატე ნინოშვილი
(ინგოროყვა)

1859—1894

ეგნატე თომას ძე ნინოშვილი (ინგოროყვა) დაიბადა 1859 წლის 13 დეკემბერს სოფ. ჩიქვეთში (გურია, ლანჩხუთის რ-ნი). 6 თვისა იყო ეგნატე, როცა დედა გარდაეცვალა. ობოლს ზრდიდა მამის ძმა ალექსანდრე და მამიდა ნინო, რომლის სიყვარულითაც ეგნატემ მწერლობაში მისი სახელი ფსევდონიმად გამოიყენა. ანბანი ეგნატეს მამიდამ ასწავლა.

ეგნატე პატარაობიდანვე სუსტი ჯანმრთელობისა იყო, მაგრამ იძულებული იყო შრომით ერჩინა თავი. შინაურებმა შეაჩინეს ეგნატეს ფიზიკური შრომა რომ უძნელდებოდა, ამიტომ მოინდომეს განათლება მიეცათ. პირველად ადგილობრივ მღვდელს მიაბარეს, შემდეგ ფოთში წაიყვანეს ერთი აზნაურის ოჯახში, სადაც ის ხელზე მოსამსახურედ ჰყავდათ და არაფერს არ ასწავლიდნენ. ბიძამ კვლავ სოფელში დააბრუნა და სკოლაში მიაბარა. 1876 წელს ეგ. ნინოშვილი ოზურგეთის (აბაშიძე მახარაძე) სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. პარალია, იგი წარმოუდგენელ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ ბეჯითად სწავლობდა და გამუდმებით კითხულობდა თვითგანვითარების მიზნით. 1878 წელს მოსწავლეთა დიდი მეგობარის, რუსეთის პროგრესიული ლიტერატურის მცოდნე მასწავლებლის ივანე ლიაძის დათხოვნის გამო, მოსწავლეებმა მოაწყეს გაფიცვა ეგ. ნინოშვილის მეთაურობით, რისთვისაც მოწაფეები დათხოვნილ იქმნენ. 1879 წელს ეგ. ნინოშვილმა ჩაბარა გამოცდები სახალხო სკოლის მასწავლებლობის უფლების მისაღებად. ეგნატე ნინოშვილი მასწავლებლობდა სოფ. ჩოჩხათში. 1882 წელს მიატოვა მასწავლებლობა და აქტიურად ჩაება ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1886 წელს მეგობრებისა და ნათესავების მიერ შეგროვილი თანხით საზღვარგარეთ გაემგზავრა უმაღლესი ცოდნის მისაღებად, მაგრამ უსახსრობისა გამო, მალე დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო სხვადასხვა ქალაქებში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობა. 1891 წელს ეგ. ნინოშვილი უკვე თბილისშია, სადაც გაიცნო საქართველოში იმ დროს ჩამოსული მ. გორკი, ეგ. ნინოშვილი ახლოს იდგა მარქსისტულ წრეებთან, განსაკუთრებით „მესამე დასთან".

ეგ. ნინოშვილი გარდაიცვალა 1894 წელს საკუთარ სოფელში.

სამწერლო მოღვაწეობა ეგ. ნინოშვილმა დაიწყო 1887 წლიდან. მისი საუკეთესო მოთხრობები იაკ. გოგებაშვილმა შეიტანა თავის სახელმძღვანელოებში და დღემდის ითვლება მოსწავლეთა შესწავლის საგნად.

პალიასტომის ტბა

(ამბავი გურული გლეხის ცხოვრებისა)

I

გურიის დასავლეთის მხრის სოფლებისათვის ქ. ფოთს დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც რამ გასაყიდი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ჰყიდის: სასყიდელია და კიდევ იქ ყიდულობს. როცა ამ სოფლების გლეხს გადასახადისათვის მიადგებიან კარზე და ფული კი არა აქვს, მაშინ ფოთია მისი თავდები: „მაცა, ფოთს ჩევირბენ, ამევიტან და მოქცემ“-ო, ეუბნება გლეხი „ზბორშჩიკს“ ან ნაცვალს. დილიდან საღამომდის ბიდიან და მიდიან ფოთის გზაზე ქათმებით, ინდაურებით, იხვებით, ბატებით, ღომით, სიმინდით და ვინ იცის, რით არა დატვირთული გურულები. ხე-ტყე აუარებელი ჩააქვთ გურიიდან ფოთს, ამიტომაც არის, რომ როცა ხმა გავარდება: „ფოთი ყრუვდება, სხვაგან გადააქვთ“-ო (ასეთი ხმა ხშირია გურიაში), ზემოხსენებულ სოფლის გლეხებს ჯავრით გული უსკდებათ. მაგრამ ამისთანა სარგებლობასთან ერთი სახიფათო რამაც სჭირს გურულების ფოთს მისვლა-მოსვლას: აღმოსავლეთის კარებთან, საიდანაც გასასყიდი რამეებით გამგზავრებული გურულები უნდა შეევიდნენ თავიანთის პატარა ვარცხლანავებით, დგას ერთი მრისხანე მეკლიტული, რომელიც ხანდახან ისე გაჯიბრიანდება, რომ მთელი კვირაობით, გურულად რომ ვთქვათ, „აყურყუტებს“ აქ ფოთს მიმავალს მგზავრს; თუ ზაფხულია, კოღოები სწევენ ქელეხს ამ საცოდავის მგზავრის სისხლზე, თუ ზამთარი, სიცივე უხვრეტს ძვალ-რბილს. მშრალი ადგილიც ძვირია (მთელი აქაური არემარე ჩალით დამოსილი ჭაობია), რომ ცეცხლი მაინც დაინთოს კაცმა. მრისხანე მეკლიტული, რომელსაც მე მოგახსენებ, გახლავთ „პალიასტომის“ ტბა, რომელიც თითქო შავ ზღვას გადმოუტყორცნია დ. დაუბარებია: „წადი, აღმოსავლეთის მხრით შენ უდარაჯე ქ. ფოთსა“-ო თითქო შავ ზღვას უმზითვებია ამ პატარა თავისი ნათესავისთვის შფოთიანობა, გახელება, ადამიანის მტრობა. როცა ქარი ამოიკრება, „პალიასტომიც“ გაშავდება, გაპირ-კუპრიანდება, წამოიქოჩრება, პირზე თეთრ დორბლს მოიყენებს და ცასა და ქვეყანას ჩაყლაპვას უპირებს ეს პატარა ვეშაპი. თუმცა დიდი არ არის ეს ტბა, თვალმახვილი კაცი მისი შუაგულიდან ადვილად დაინახავს იმის ჩალიანს ნაპირებს, მაგრამ სიმარდე და ზნე კი შავი ზღვისა აქვს, შავი ზღვისა, რომელთანაც „პალიასტომი“ შეერთებულია გვარიანის მოგრძო და ფართო სრუტით.

„პალიასტომის“ შესახებ გურიაში არსებობს ერთი ლეგენდა: ახლა

რომ ტბაა, იმ ადგილას უწინ, თურმე, ხმელეთი იყო, ზედ ხალხი ადგა და ამ ხალხს „პავლიას ტომს“ ეძახდნენ. ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთს ადგილას მიწა გაირღვა, უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაფარა. აქაური ხალხიც და ყოველივე სულდგმული დაირჩო, მხოლოდ ერთმა დიაკვანმა მოასწრო, ჯაიტაცა მთავარანგელოზის ხატი, აიტანა ჯუმათის მთაზე და იქ შემდეგ ამ ხატს ეკლესია აუშენეს. ეს დიაკვანიც, გვარად დარჩია, დეკანოზად დააყენესო. ჯუმათის მთაზე ეკლესია (მონასტერი) დღესაც არსებობს. ხალხი, გვარად დარჩია, დღესაც ცხოვრობს სოფ. ჯუმათში და ბევრი მათგანი ხასულიერო წოდებისაა, მაგრამ ლეგენდაში მოყვანილი ამბავი რამდენად მართალია, ამის კი რა მოგახსენოთ. „პალიასტომის“ ტბა უფრო მის მახლობლად მდებარე მთებიდან მონაწრეტსა და დაბლობში შეგროვებულ წყალსა ჰგავს, მინამ მიწისძვრისაგან ამონახეთქსა, თუმცაღა შეუძლებელი კი არც ამ უკანასკნელშია რამე.

ხსენებული ტბა სამეგრელოს თავადს, დადიანს, ეკუთვნის და მეთევზე მეგრელები აუარებელს თევზს იჭერენ შიგ თავიანთი „ღრიფით“. თუ როგორ გამხდარა სადადიანოდ „პალიასტომი“, ამის შესახებაც ერთი ლეგენდარული ზეპირი გადმოცემა არსებობს გურიის ხალხში: ერთი რაღაც შემთხვევის გამო სამეგრელოს თავადს, დადიანს, თავისი ვაჟიშვილი მიუცია გურიის მპყრობელი გურიელისათვის მძევლად. გურიელს, მძევლის აყვანის შემდეგ, კიდევ მაინც რაღაც ეჭვი აუღია დადიანზე — მღალატობსო. ამიტომ ახალი წლის წინა დღეებში მოუკრია თავი მძევლად აყვანილი დადიანის ვაჟისათვის, ჩაუდვია ეს თავი ყუთში და უთქვამს: ვინც ამას ახალწელს დილით დადიანს მიუტანს, გლეხი იქნება — აზნაურობას ვუბოძებ და აზნაური — თავადობასო. ერთს გლეხს უკისრნია მიტანა; შემჯდარა ცხენზე და სწორედ ახალწელს, წირვაზე წასვლის დროს, მიურთმევია დადიანისათვის დაკეტილი ყუთი, — გურიელმა მოგართვაო. როცა დადიანს ყუთის გასაღები მოუთხოვნია, გლეხს შემოუკრავს თავში ხელი: „ვაიმე, წუხელ სხვაგან ღამე გავათიე და იქ დამრჩენია“-ო. ამ სიტყვებით გლეხი მოხტომია ცხენს და გამოუწევია შინისკენ, ვითომდა კლიტის მისატანად. როცა დადიანს დაუნახავს, ყუთის მომტანი გლეხი აღარ დაბრუნდაო, გაუტეხია ყუთი და უნახავს, რაც იდო შიგ — თავისი შვილის თავი. ამაზე ატეხილა გურიელსა და დადიანს შორის ჩხუბი. უკანასკნელ, როგორც ყოფილა მორიგებულან და დადიანს თავისი შვილის სისხლში გურიელისაგან „პალიასტომის“ ტბა აუღია.

„პალიასტომისა“ და გურიის სოფლებს შუა, რიგ-რიგად, უშველებელი ზოლებივით მდებარეობს ჯერ სოფლების ბოლოს ხაყანე და

საბალახო ადგილები, მერე დიდი, თუმცაღა ჭაობიანი, მაგრამ სხვადასხვა ხეებით მდიდარი ტყე და უკანასკნელ ისლით და ჩალით დამოსილი ადგილი, რომელსაც გურულები „ეწერს“ ეძახიან. კარგი სანახავია ეს „ეწერი“, გაზაფხულზედაც თვალის წარმტაცის სიმწვანით და შემოდგომაზედაც ჩალისფერი სიყვითლით თვალს იტაცებს, მაგრამ კიდეც ატყუებს: იქ, სადაც თვალს ხავერდით მოფენილი ჰგონია არემარე, ჭაობსა და დამპალს წყალში გეფლება ფეხები. კარგი რამ არის ეს „ეწერი“ მონადირისათვის მაშინ, როცა დასთოვს და გაჰყინავს: ვეღარსად ემალება მონადირის ძაღლებს აქ გამოდევნილი ღორი ან შველი. ტყესა და „ეწერს“ ხაზავს აუარებელი პატარა მდინარეები (გურულად „ნოყო“), რომლებისაგანაც შედგება ორი სანავო და სატივო მდინარე. ეს სანავო მდინარეები იწყება სოფლების ბოლოდან და ჩაერთვის „პალიასტომს“.

II

ქრისტეშობისთვე იყო. საშინელი ცუდი დარები დაეჭირა: ხან ქროდა და წვიმდა, ხან „ხოშკაკალს“ ჰყრიდა, ხან თოვლსაც ურევდა. როცა მოიწმენდდა, ყინვა წვავდა ყველაფერს. ბედნიერი ხალხი, ესე იგი მდიდრები, მამულიანები, უფროსები ამ დროს დაღუღუნებულ თბილ ბუხართან ისხდნენ და სხვადასხვა შესაქცევარით იქცევდნენ თავს. მაგრამ მუშა გლეხს, რაც გინდა რა დარი იყოს, მაინც არ შეუძლია მოისვენოს: გლეხმა კარგად იცის, რომ მოსვენება და სატანჯველის მორიდება უარესს სატანჯველს შეახვედრებს და ამიტომ არასდროს არ ისვენებს, არც დარში და არც ავდარში, ეწევა უღელს, სანამ სიკვდილი არ დაახუჭინებს თვალებს. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვით, საშინელი ცუდი დარები იდგა, „პალიასტომის“ ტბის მახლობელ ტყეებში გაისმოდა ცულების ხათქა-ხუთქი და წამდაუწუმ — ხის წაქცევისაგან გრიალი. მუშა გასეოდა ტყეებს და ამზადებდა ფოთს გასასყიდს ხეებს. მუშაობდნენ ავდრისა და სიცივის მიუხედავად, დასველებულები, სიცივისაგან ხელ-ფეხ დაწითლებულები; მუშაობდნენ მოუსვენრად და ღამით დაქანცულ-დაღლილები ეყრებოდნენ აქა-იქ ფარღალალა კარვებში, ცეცხლის პირას დასაძინებლად. ვისაც ნაბადი ჰქონდა, ეხვეოდა ნაბადში და უმეტესობა კი ისე გაუხდელად, სველის ტანისამოსით მიეგდებოდა დილამდე წკნელის ლოგინზე და ხის მუთაქაზე. ბევრს კარავში წვეთი და წვიმის წყალიც ჩადიოდა, რადგანაც მუშას ვერ მოეცალა ხეირიანად კარვის სახურავის გასწორებისათვის.

ტყე, რომელშიაც ახლა მუშაობდნენ გლეხები, ერთ დროს ეკუთვ-

ნოდა სოფლებს, ყველა წოდების კაცი, ყველა, დიდი და პატარა თავისუფლად თევზაობდა, ნადირობდა და მუშაობდა შიგ. მოდავე და მოცილე არსაიდან ჩანდა, იმას გარდა, რომ ხანდახან ერთი სოფელი მეორე სოფელს დაედავებოდა: ესა და ეს ნაჭერი ტყე მე მეკუთვნის და არა მეო; ართმევდნენ ერთმანეთს დამუშავებულს ხეებს, უფუქებდნენ ნამუშევარს, მაგრამ ბოლოს საქმე ისევ მორიგებით თავდებოდა. მერე კიდევ ასეთი შემთხვევა ხშირი არ იყო, ოცს ან ათს წელში ერთხელ მოხდებოდა. მაგრამ, უკანასკნელ, როცა ტყის სარგებლობა გაიგეს, გლეხის მონაწილე თავადაზნაურობამ მოინდომა გლეხების თავიდან მოშორება; ჯერ ნელ-ნელა დაუწყეს ღრინვა — გლეხს კანონის ძალით ტყე არ ეკუთვნის, ტყე ჩვენია, — მაგრამ გლეხები ყურსაც არ იბერტყამდნენ ასეთ ღრინვაზე. შემდეგ, რა ნელ-ნელა ღრინვით ვერას გახდნენ, თავადაზნაურებმა დაუწყეს გლეხების დამუშავებულს ხეებს ტაცება, რასაკვირველია, წინასწარ უფრო ჯაბანს გლეხებს უბედავდნენ წართმევას, მაგრამ შემდეგ აღარც მძლავრებს დაერიდნენ. ეხლა კი გლეხებმა გაახილეს თვალი, დაუწყეს იმათაც სამაგიეროს გადახდა და ამ მხრივ კიდეც გადააჭარბეს თავიანთს მოწინააღმდეგეებს. რადგან გლეხობა ბევრი იყო და მათ წინააღმდეგ ძალით ვერას გახდებოდა, თავადაზნაურობამ მიმართა პოლიციას. დღეს ერთს გლეხს ადებდნენ ბრალს და აბარებინებდნენ პოლიციაში, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს, და ასე ამგვარად პოლიციის საშუალებით აპირებდნენ მათს განდევნას ტყის მონაწილეობიდან. მაგრამ გლეხობამ ახლა სხვა ღონეს მიმართა. ისინი შეერთდნენ და სამუშაოდ, თუ წასართმევად, ერთად მიდიოდა ტყეში მთელი სოფლის გლეხობა. თავადაზნაურობისაკენ გადამდგარმა პოლიციამ, რასაკვირველია, აქაც თავისი ხერხი იხმარა, — დააპირა გლეხების დატუქსვა. მაგრამ „თავს დავიხოცთ და ჩვენს სარჩოს ხელიდან ვერ გაუშვებთ, რაც უნდა გვიყოთ“-ო, იყო გლეხების მხრით პასუხი. პოლიციამ სცადა კიდევ თითო-ოროლა თავკაცის გამოკლება გლეხებისაგან და დატუსაღება, მაგრამ გლეხები არც ამით იღებდნენ ტყით სარგებლობაზე ხელს: „თუ გინდა სულ თითო-თითოობით სატუსაღოში გამოგვალპეთ, ჩვენს ლუკმას მაინც პირიდან ვერ გამოვიღებთ“-ო, — იმეორებდნენ ისინი. აქ მართლადაც პოლიცია ვერას გახდა და თავადაზნაურობამ მიმართა სამსჯავროს კარებს. აქაც კარგად მიდიოდა გლეხების საქმე, რადგანაც თავადაზნაურობაში განხეთქილება მოხდა: ისინი ერთმანეთთან დავას მოუნდნენ და გლეხებისათვის აღარ ეცალათ. თავადები საკუთრად ჩემობდნენ მთელ ტყეს, აზნაურები ამბობდნენ, რომ თითოეული თავადის ოჯახსაც იმდენი წილი აქვს ტყეში, რამდენიც თითოეული აზნაურის ოჯახსაო. აიწეწა საქმე თავადაზნაურობაში. რა რო

საქმე აწეწილი დაინახეს, ხაზინა და ეკლესიაც წამოყელყელავდა: იქნება ჩვენც დავიჭიროთ ამ მღვრიე წყალში თევზიო. ასტეხეს იმათაც დავა და ამტკიცებდნენ, რომ სადავო ტყე არც გლეხებს ეკუთვნის და არც თავადაზნაურობას — საეკლესიოა და სახაზინოაო. ისე დაიხლართა საქმე, რომ სამსჯავროებს მოსვენება აღარ ჰქონდათ იმისაგან. ვინ იცის, საიდან არ გამოჩნდნენ ადვოკატები! ერთ ადვოკატს კი აღარ სჯერდებოდნენ მოცილეები, ორსა და სამს იყენებდა თითოეული მათგანი. მხოლოდ გლეხები კი არას დაგიდევდნენ: დარწმუნებულნი, რომ „თუ კალონი არსებობს ქვეყანაზე, ჩვენს წილს ტყეს ვერავინ ჩამოგვართმევს“-ო, დამშვიდებით განაგრძობდნენ ტყით სარგებლობას. ძალით ვერც ერთი მოცილე ვერას აკლებდა და სამსჯავროში კი თავადაზნაურობისა და ხაზინის აგენტის განცხადება: — გლეხკაცს თუ არავისაგან შეუსყიდია და დოკუმენტი არა აქვს, ისე უძრავი ქონების დასაკუთრება არ შეუძლიაო, — სამსჯავრომ არ მიიღო: ათი წლის სარგებლობა სრულიად საკმარისია, რომ უძრავი ქონება მოსარგებლემ დაისაკუთროს, რა წოდებისაც უნდა იყოსო, — იყო სამსჯავროს მხრივ პასუხი. მოცილენი რა დარწმუნდნენ — საქმე ძალიან არეულ-დარეულია, სამსჯავროში საქმეს ბოლო აღარ ეღება და გლეხებსაც ტყის მონაწილეობიდან ადვილად ვერ გავდევნითო, ხრიკს მიმართეს: დაუფაცურდნენ გლეხებში განხეთქილების ჩამოგდებას. თავადები თავიანთ ნაყმევებს ეუბნებოდნენ: „თქვენ არ გეუბნებით უარს და სხვისი რა დარდი გაქვთ, ტყუილა ან თქვენთვის რად ჰკარგავთ ტყეს, ან ჩვენ რად გვიკარგავთ! მოგვიწყვეთ ხელი, გავდევნოთ სხვა მონაწილეები და მერე ჩვენ გავიყოთ ტყე“-ო. ამასვე ეუბნებოდნენ აზნაურები თავიანთ ნაყმევებს. ამასვე ეუბნებოდა ხაზინა და ეკლესია სახაზინო და საეკლესიო გლეხებს.

უმნიშვნელოდ არ ჩაიარა ამ ხრიკმა: დაიწყო ნელ-ნელა რღვევა გლეხების ერთპირობამ; ზოგი თავადებს ეკედლებოდა, ზოგი — აზნაურებს, ზოგი — ხაზინას. დარჩა მცირე ნაწილი გლეხობისა თავისთვის. მაგრამ რაღა დარჩენა იყო იმისთანა დარჩენა! ის გლეხები, რომელთაც მათ უღალატეს, ილაჯს უწყვეტდნენ თუ ხის წართმევით, თუ ცრუ მოწმობით. ისე თვე არ გავიდოდა, რო ამათ შორის თავპირის მტვრევა არ მომხდარიყო. ვინ იცის, რა ღონეს არ ხმარობდნენ ერთმანეთის დასაღუპავად. ჩუმად ცეცხლს უკიდებდნენ ერთიმეორის სახლკარს და ცეცხლს აბუგვინებდნენ ვაი-ვაგლახითა და ოფლით მონაგარს სარჩო-საცხოვრებელს. გზებზე თოფით უხვდებოდნენ და ჩუმად ჰკლავდნენ ერთმანეთს; ცილს უგონებდნენ და სისხლის სამართალში აძლევდნენ. თავადაზნაურობა, რომელმაც ასე გადაჰკიდა ერთმანეთს გლეხები, გულში იცინოდა და თავის საქმეს იკეთებდა. გადაბირებუ-

ლი გლეხების შემწეობით და ცრუ მოწმობით ბოლოს იმათ მოიგეს საქმე დანარჩენის გლეხობისაგან და ეხლა დაუწყეს საჩივარი ზიანის ტყის ბაჟისა და სამსჯავროში ნახარჯის შესახებ; ესეც მოიგეს, ჩაუყენეს გლეხებს ბოქაული და სულით ხორცამდე, რაც კი ებადათ სულ ვალში გაუყიდეს. ცრემლები გადმოგცვივოდათ, როცა სახლს, ბელელს, საქონელსა და სხვას აცლიდნენ გლეხებს ხელიდან და ცარიელს ჰყრიდნენ ცაწმინდის ქვეშე!

გლეხები ხომ მოიშორეს თავიდან, ეხლა თავადაზნაურობას დარჩა მოცილედ ხაზინა და ეკლესია. რომ ესენიც მოეშორებინათ, საჭირო იყო იმათი (თავადაზნაურობის) ერთმანეთში მორიგება. მორიგდნენ კიდეც. მორიგების შემდეგ მათი საქმე კარგად წავიდა: ხაზინასა და ეკლესიისაგან ტყის საქმე მოიგეს. ის გლეხებიც, რომლებიც გადაბირებული ჰყავდათ და ვითომც ტყეში მონაწილედ ცნობილობდნენ, პირში ჩალაგამოვლებული დასტოვეს და უბაჟოდ ერთს ღერს წკნელსაც არ აპრევინებდნენ.

აი, ეს ტყე იყო, რომელშიაც დღეს გლეხები ხეებს თლიდნენ ფოთს წასაღებად. დამზადებულის ხისაგან ნახევარი ტყის პატრონებისთვის — თავადაზნაურებისთვის — უნდა ჩაებარებინათ ტყის ბაჟი. იმ დროისა, როცა გლეხებსაც საკუთარი წილი ჰქონდათ ამ ტყეში და ბაჟს არავინ ახდევინებდა, მხოლოდ გლეხების მიერ დარქმეული სახელებიღა შერჩენოდა ადგილს და წყლებს, მაგალითად, „მეჯედელის საღობი“. „საფარონე“ და სხვ.

III

ერთი „ნოყოს“ პირზე იდგა კარავი, რომელსაც ზედ ეტყობოდა, რომ მარჯვე და მოხერხებული მუშაკაცის ხელს გაეკეთებინა: კარგი წკნელით მაგრად დაღობილი, ზედ ფიცრის კარი, რაც შეიძლება ისლით კარგად დახურული, აქეთ-იქით სუფთა წკნელისაგან დაწნული ტახტისებურად გაკეთებული საწოლი, ერთი სიტყვით, მთელ ამ ტყეში იშვიათი იყო ასეთი კარავი. ეს კარავი ეკუთვნოდა გლეხს ივანეს, რომელიც თავისი თექვსმეტი წლის ვაჟით — ნიკოთი ჩამოსულიყო და მუშაობდა ტყეში. ივანე ორმოცდახუთი წლის იქნებოდა. ის იყო საშუალო ტანისა, ბეჭებგანიერი, სწორეს, სასიამოვნო შესახედავის პირისახისა, რომელზეც სიმამაცე და გამბედაობა ემჩნეოდა. ივანე დიდად წვრილშვილი კაცი იყო — ჰყავდა ორი ვაჟი და ხუთი ქალი. ამათში უფროსი ნიკო იყო; ნიკოს შემდეგ გასათხოვარი ქალი და დანარჩენები ისე მცირეწლოვანნი, რომ ჯერ ჭამის გარდა არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. რომ ოჯახი და შვილები ერჩინა, ივანეს მხრივ მოუსვენარი შრომა

იყო საჭირო. აი, ამ მოუსვენარ შრომას უნდა მიეწეროს, რომ ივანეს წვერ-ულვაში ისე ჰქონდა გათეთრებული, როგორც ორმოცდაათი ან სამოცი წლის კაცს შეჰფერის. თუმცა ივანე მოხუცობას არ იმჩნევდა, მხნედ და ჯანიანად გამოიყურებოდა, მაგრამ ხანდახან კი წამოსცდებოდა ის, რასაც თავისთვის ხშირად ფიქრობდა: „თავს არ ვუტყდები თვარა მოვხუცდი“-ო. მეზობლებში ივანე პატივცემული იყო თავისი ჭკუის, პატიოსნებისა და სიმარჯვის გამო. რადგანაც ოჯახს შედარებით გვარიანად და კარგად ინახავდა, მეზობლებს ისიც ეგონათ, რომ ივანეს ვაჟკაცობის დროს შენაძენი ფული აქვს შენახული და გაჭირვების დროს ცოტ-ცოტაობით ხარჯავსო. ცულის ხმარება ივანემ კარგად იცოდა და ამიტომაც ხშირად გაიგონებდით ტყეში მომუშავე მუშებში: „ძმავ. ხეები ივანიკას რომ აქ, იმას ჰქვია, დურგლის გათლილს ჰგავს! რა გასაკვირველია, რომ იი კაი ფასად გეიყიდოს!“ ამ წელს ივანემ მეტად ადრე დაიწყო მუშაობა და კარგა ბლომადაც დათალა ხე, რადგანაც ცოტაოდენს ნიკოც ეხმარებოდა. საღამოობით ივანე ნიკოს ადრე გამოუშვებდა ვახშმის გასაკეთებლად და თითონ კი დაბნელებამდის მუშაობდა. მერე, როცა დაბრუნდებოდა კარავში, მოუჯდებოდა ცეცხლს, დაიტეხდნენ მამა და შვილი „ჩახანაში“ გამომცხვარს მჭადს, თუ ხსნილი იყო, ხმელს ყველს მიაჭმევდნენ ზედ, თუ მარხვა — „სუნელს“. ივანე ხან თევზსაც იჭერდა, გარეულს ღორსაც ჰკლავდა (ივანე კარგი მონადირე იყო), თუმცაღა კი ძლიერ უჩიოდა: „გამეილია ამ დასაქცევ ტყეში ყოლიფერი! უწინ დილიდან საღამომდე რომ „სამძირს“ (უძაღლოდ ერთი კაცის ნადირობა) წავსულიყავი, ირემს გავაგორებდი, თებზით ნავს დავლალავდი! ახლა ირემი ქე მეისპო, თებზი წყალში გამეილია! ერთი კვირა უნდა სდიო და კიდევ კაი ბიჭობაა, ერთი ჭვირთი თებზი ან ხორცი იშოვნო კაცმა“-ო.

ერთს-საღამოს ივანე ადრე დაბრუნდა კარავში და დიდხან ესაუბრა თავის ნიკოს:

— იცი, ბიჭო ნიკო, ღმერთმა თუ ხელი მოგვიმართა და არაფერი გამოგვეკრა, ავადმყოფობა ან რაიმე, წრეულს ძაან საქმეს ვიზამთ, ძაან დავთალეთ ხეები. იი ციცაის „მგზვითი“ რომ არ მქონდეს საყიდლად, ამ ხეების ფასით მებატონესაგან მიწას დევიხსნიდი, თავს გევითავისუფლებდი. ჰეი, ერთი იმ „ნადელის“ გადასახადს მომაშორა და მომკლა, აღარ ვჩივი! მეზობლები სულ იმას მიჩივიან: „შენისთანა შეძლებული ვინ არის, თავს რეზა არ ითავისუფლებო“. ჰგონიან, რომ ფული მაქ თავი გევითავისუფლო და ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი დავყარო, ამას ვერ ვიზამ და ისე ყოლიფერს აღარ ეყო ერთი კაცის მკლავი. წრეულს იმ ციცაის გათხოვას მოვრჩები... იი დასაქცევი, თლად წახდა დროი! ვაჰარ ურიასავით მარტო ფულისკენ უჰირავს ყველას თვალი, მოწიფულს

კაცს მაქამდულა გული აღარ უძგერის მკერდ ქვეშ. ჩემ შვილობით არ ვიტყვი და ჩემი ციცაი მატაი რომ უწინდელს დროში ყოფილიყო, „მგზვითი“ კი არა, პირაქეთ დეიხარჯოდენ იმის ცოლად შერთვაში. ჩვენ მუხურში იმისთანა ქალი ორიც არ მეიძებნება. ახლა მისი წონა „მგზვითი“ თუ არ დავაყარე თავზე, შინ უნდა დამიბერდეს. დაბერებას ვიღა ჩივა, ვინმე შემირცხვენს, იი ოსიკელის ციცას რომ უგვირგვინოს შვილი აყოლეს, ისე... წრეულს, აი ერთი საქმე შევასრულოთ, რაც ამას შორჩება, გადასახადებს და ბაღნების დამოსვას-მოუნდება...

— ბაჟი რო არ გვქონდეს გადასახადი, რაც ხეები დავთვალეთ, სულ ჩვენი რომ იყოს... — გააწყვეტინა ნიკომ თავის მამას სიტყვა.

— ჰმ... ბაჟით რომ არა მხთიდენ სულს!.. წმინდამა გიორგიმ ბეჟეა არ გამოუწყვიტა მის ოჯახს, ვინც ჩვენ საბაჟოდ გაგვიხადა საქმე! — ჯავრმოსვლით დაიწყეველა ივანემ. — ეი, ჰაი, ბოჟო, სად არის პირი და ერთობა! ჩვენსავე მოძმეებს რომ არ ეღალატია, ვის რა ხელი ჰქონდა ჩვენთან! მარა ღალატი და უპირობა! ჰმ... მაშვინ რომ ფხარიდან არ გამოგვშლოდენ!.. მოატყუეს უბედურები, აღალატებიეს და მერე თვითან უღალატეს! ყაზახს ყოლი კაცი მოატყუებს. ყაზახმა რომ ერთპირობა იცოდეს და ერთქამეთის ფხარის მიცემა, მაშვინ... მარა ყაზახი უსტავლელია და უსტავლელს ყველა ატყუებს... იცი, ნიკო, წრეევანდელი, რავაც გვითქვამს, ისე მევიხმაროთ, ამ გაის ძაან აღრე ჩამევიდეთ. მაშვინ შენც კარგა შეგეძლება მუშაობა და ერთი იი ბატონი მევიშოროთ თავიდან. მენადელე კაცი ბატონის ყმაია. იფიქრე, ერთი რომ უცბად ფეხი გამეშალოს, ჩემს ობლებს ნადელის გადასახადში დააწინდრებენ! ღმერთო, შენ მომიწყვე ხელი!

— მოვკტით, ბაბავ, ყველა ზამთარში ტყეში გდებით! რა იქნა, ძაღლი ხომ არა ვართ! ერთი მევისვენოთ! — უკმაყოფილოდ უპასუხა მამას ნიკომ.

— მოსვენება კაია, შვილო, მარა ვინ მოგვასვენებს! მებატონეს, მღვდელს, ხენმწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს ყველას პასუხის გაცემა უნდა. ძნელია მუშის უღელი!

ნიკომ შეხედა მამას და ნაღვლიანად ამოიოხრა. ნიკო ქერა ყმაწვილი იყო, ქალივით ნაზის აგებულებისა და ამიტომ ძლიერ უჭირდა შრომის ატანა. მამა ატყობდა ნიკოს, რომ მძლავრ მუშაობას ვერ აიტანსო და ამიტომ მოინდომა მისი სწავლაში გაზრდა. ერთხანს სოფლის სკოლაში ჰყავდა, მერე საქალაქო სასწავლებელში წაიყვანა. ნიკომაც კარგი სწავლის ნიჭი გამოიჩინა, პირველ შეგირდად ითვლებოდა თავის ამხანაგებში, მაგრამ ივანემ ვეღარ შეიძლო შვილის სკოლაში რჩენა და პირველი კლასიდანვე გამოიყვანა ნიკო, რომელსაც, თუმცა აგერ სამი წელი იყო, რაც ის სკოლას მოაცილეს, მაგრამ წიგნის კითხვის სურვილი

მაინც არ გაქრობოდა: იპოვნიდა თუ არა თავისუფალ დროს, წიგნში ჰქონდა თვალი. ივანეც ძლიერ დარდობდა ნიკოს სწავლაზე მოთეშას.

— წეიწყმიდე სული, შენ რომ კლასს მოგაშორე! ახლანდელ დროში უსტავლელი კაცი უღლის ხარია, მეტი არაფელი, — იტყოდა ხოლმე ივანე. როცა ნიკოს წიგნს დაუნახავდა ხელში. მაგრამ რა ექნა? ვეღარ შესძლო ამ დროულმა კაცმა მძიმე უღლის წიკვა და უფროსი შვილი ამოიყენა გვერდში. თავისი ფიქრით ივანე უმცროს ვაჟს უპირებდა სწავლაში გამოზრდას, მაგრამ ამით ნიკოს სწავლაზე მოთეშის დარდი არ უმსუბუქდებოდა.

— ასეა, ნიკო, ასე ყაზახის საქმე!.. — ივანეს უნდოდა სიტყვა განეგრძო, მაგრამ ამ დროს მასთან შევიდა მისი მეზობელი გოგია და უთხრა:

— შეიტყვე, ივანე, რა საცოდაობა ქნილა? წუხელი რომ დიდი ქარი იყო, ზალიკაის კარავთან მუხა მუუგლეჯია, დუურტყამს კარავზე და ორივე ამხანაგები, — ზალიკაიც და სიმონიკაც, გუუპყულეტია! ნეტაი დასამარხად მაინც ეშონა კაცს მკტარი! რას ქვია!.. მოკიდებია ცეცხლი და, რავაც თაფლის სანთელი, ისე გამომწვარა ორივე! რაღა ეშველებათ მათ ცოლ-შვილს! ნეტაი მაინც იმდონი ობლები არ დარჩენოდენ. ერთსაც და მეორესაც ნაცარი საფსე ჰყავს ბაღნებით!

— ვაი, საწყალო, ვაი, საწყალო! — შემოირტყა ივანემ თავში ხელი. გუშინლამ რომ გამევიარე, ვუთხარი: ბიჭო, აი მუხა დროზე მოსჭერით, თვარა კას არ იზამს-მეთქი! ვაი, რა ცოდვა დატრიალებულა! ერთმა მეორეს რომ ცეცხლი მოაფსოს ტანზე, იმისთანაი არ დარჩენია არც ერთს, შიმშილი დახოცს! მოდი ახლა ჩვენს სიცოცხლეს სიცოცხლე დაუძახე!..

— ნეტაი ეძინენ, თუ რეიზა ვერ გაასწრეს? — იკითხა ნიკომ, რომელსაც შეშინებულის სახე დაედო ამ ამბის გაგონებაზე.

— იგი ვილამ იცის, მოამბე კაცი რომ აღარ გადარჩენილა, — თქვა გოგიამ.

ერთს ხანს კიდევ ილაპარაკეს ივანემ და გოგიამ, თუ როგორ შეატყობინონ „ზეგანში“ „იმ ცოდვილიშვილების“ ცოლ-შვილს და მერე გოგია წავიდა თავის კარავში.

— ჰმ!.. — წამოიძახა ივანემ მწარედ. — ასეა უბედური მუშაკაცის საქმე: მუშაობს, ფაცურობს, აი იქით, აი აქეთ, გეიხედავ და ჩაკტება საცხა, რავაც მწერი, ისე! ვინ შეიტყობს, რამდონი ზალიკაი, სიმონიკაი, გოგიეი ამ კუთხეში ჩაკტება, რამდონი სხვა კუთხეში და რამდონი სად? რა არის ჩვენი სიცოცხლე!..

დიდხანს ილაპარაკეს იმ ღამეს მამამ და შვილმა. გაიხსენეს ყველა, ვინც კი იმ წელს მათ სოფელში ან ახლომახლო სოფელში ფათერაკად

მომკვდარიყო: ვიღაც გოგიე, რომელიც ხეს ჭრიდა, ვერ გაიგო ხის წაქცევა და ხემ გაუყლიტა; თედორიკა, რომელსაც სიმინდის დატეხის დროს საკვე ნალიას ქვეშ დაეძინა, ნალია წაქცეულიყო და ცოლიან-შვილებიანად გაესრისა; პავლია, რომელიც ნიგოზის ჩამორეკის დროს ხიდან ჩამოვარდა, თავი კვერცხივით გაეთქვიფა და, რა თქმა უნდა, მოკვდა. პეტრიელაის ექვსი წლის ქალს, რომელიც მშობლებმა სახლის მცველად დასტოვეს, უცბად ცეცხლი მოეკიდა ტანსაცმელზე და დაიწვა; მასიკელაი, ოცი წლის ბიჭი, რომელიც ერთ ღვდელთან მოჯამაგირედ იდგა, წყალდიდობას სხვაგან გაგზავნეს და დაირჩო; ვიღაც გოგიელაი, რომელმაც ოჯახის რჩენა ვეღარ შეიძლო და თავი მოიკლა; სამი ბავშვი, რომლებიც იმ დროს, როცა მათი მშობლები ყანაში იყვნენ, ცოფიანმა დაგლიჯა; ერთი მათგანი (უმცროსი) მაშინვე მოკვდა, მეორე გაცოფდა და მესამე გადარჩა; მაგრამ დამახინჯებულია, — ცალი თვალი ამოგლეჯილი აქვს, ბაგე გახეული და ხელი გაფუჭებული; ერთი ძუძუს პავშვი, რომელსაც იმ დროს, როცა დედამისმა სადილი წაიღო ყანაში და ის აკვანში ჩაკრული დატოვა, გველი მოეხვია ყელზე, დაკბინა და გამოუთქმელს ტანჯვაში დალია სული.

კიდევ ბევრს ასეთებზე ილაპარაკეს, ასე რომ შუაღამეზე გადასული იყო, როცა დაიძინეს.

IV

ფოთს წასაღებად დამზადებული ხეების ბედ-ილბალი ტაროსზეა დამოკიდებული: თუ წყალდიდობა არ შეხვდა, ისე ის „ნოყოები", რომლის პირებზეც ხეებს ამზადებენ (დიდრონ სანავო წყლების პირზე ამ ტყეში ხე გამოილია), წყლის სიცოტავის გამო ტივს ვერ აიღებს. ამიტომ ხშირად ხდება, რომ გოლვიანი წელიწადი ზედიზედ მოჰყვება ერთმანეთს, წყალდიდობა არ გაჩნდება და დამუშავებული ხეები ძირზედვე ლპება. ამიტომაც არის, რომ ტყეში მომუშავე, რა დაამზადებს ხეებს, მას შემდეგ მუდამ ცას შესცქერის: — როდის იქნება, ერთი წვიმა დაუშვას და წყალდიდობა დეიწყოსო. მართალია, წვიმა გურიაში, შავი ზღვის სიახლოვის წყალობით, იშვიათი არ არის, მაგრამ ისეთი წვიმა და წყალდიდობა, როგორიც ხის პატრონებს ეპირვებათ, წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ მოხდება — ხან, როგორც ვთქვით, ისიც არა, მაგრამ იმ წელს, რომელსაც ჩვენ ივანე ენახეთ ტყეში, თებერვლის თვეში დაუშვა ისეთი წვიმა, რომ მდინარეებმა ხე და მიწა წაიღეს. ახლომახლო სოფლებიდან მუშა ხალხი ჩალაგდა ტყეში, ასე რომ სოფლებში ბავშვებსა და ქალებს გარდა მუშახელი არ დარჩენილა ვისაც თავისი ხეები ჰქონდა, ის იყო, და ვისაც არა, ისინი ქირით მიჰყავდათ.

რა თქმა უნდა, ივანეც თავის ნიკოთი და რამდენიმე ნაქირავები კაცით გაჩნდა თავის ხეებთან. მთელს თუთხმეტს დღეს ეზიდებოდა ხალხი ხეებს „ნოყოებიდან“ „ტან-წყალზე“. მართალია, სიციევ წყალში მომუშავეებს ძვალსა და რბილს უყინავდა, მაგრამ ახლა სიციევს ვინლა მიაქცევდა ყურადღებას! ისეთი წყალდიდობა, როგორიც მაშინ იყო, იქნება სამ წელიწადშიაც აღარ გაჩენილიყო და ამიტომ თუნდა ჯოჯოხეთი ყოფილიყო, მუშას თავისი ხე მაინც უნდა წაეღო ფოთს. როცა გამოალაგეს ხეები „ტან-წყალზე“, შეკრეს დიდრონი ტივები და მიაცურებდნენ ფოთისაკენ. ზოგი წინ, ზოგი უკან, ვის როგორც შეხვდებოდა ისე. ივანემაც შეჰკრა უზარმაზარი ტივი, დაითხოვა ნაქირავები მუშები, დაისო თავისი ნიკო ტივზე, გადაიწერა პირჯვარი და გაუდგა ფოთისკენ.

როცა ივანემ „პალიასტომს“ მიუწია, დაღამდა კიდეც. თუმცაღა ცა მოიწმინდა, მაგრამ უმთვარო ღამე იყო და ბნელოდა. თან ცოტა ქარმაც მოუბერა. „ბიჭო, სიდან ამოგირგილდა აი წყეული ზენაის ბინდი!“ — უკმაყოფილოდ თქვა ივანემ, მერე შეხედა ცას და დაატანა: — „ვარსკვლავები ისთე ცქრიალებს, რომ ქარი იმატებს. ნიკო, ამეღამ აქანაი უნდა დავაბათ ტივი და გავათითოთ ღამე. ამ ბნელ ღამეში ერთი რომ მოაცილოს პირს ტივი, გათავდა, დავიკარქვით წყალში. მერე, შენ რომ არ მეჯდე ტივზე, კიდევ სხვაა. მე ბევრჯელ ვარეს დარშიაც გადამიარია აგი, მარა შენ? შენ ამისთანა ბნელ ღამეში ვერ განდობ ამ მყლაპავის პირს; გამოუცთელი ხარ, ერთი „კუმი“ რომ ვაგლახათ მოხთეს ტივს, გადაგაგდებს!“ ამ სიტყვებით ივანემ მისწია ტივი ნაპირისაკენ. როცა ხმელეთს მიუწია, დაასო სარი, დაბა ზედ და მამა-შვილი გავიდნენ ნაპირზე. ივანემ მონახა ჩალაში მშრალი ადგილი, სადაც ცეცხლის დანთება შეიძლებოდა, დააკვესა და გააჩინა ცეცხლი. მერე გადმოიტანა შეშა, რომელიც ტივზე ეყარა და ისეთი „დოჩხაური“ დაანთო, რომ ერთი საჟენის სიმაღლეზე ადიოდა ალი. მაგრამ ისეთი ცივი ღამე იყო, ისეთი ცივი ქარი ქროდა (ივანეს სიტყვა ასრულდა: მძლავრი ქარი ამოიჭრა), რომ ცაწმინდას ქვეშ დანთებული ცეცხლი სრულიადაც ვერ ათბობდა იქ მყოფთ. მეტადრე საწყალი ნიკო სულ გაჰყინა. მისი კბილების რაკარუკი გულს უკლავდა ივანეს, რომელიც ახვევდა შვილს ნაბადს, მაგრამ ნაბადი ტივზე დასველებულიყო და სითბო სრულიადაც აღარ ჰქონდა. შუაღამეს შემდეგ ქარმა იკლო. უკანასკნელ, როგორც იქნა, ნიკოს ჩაეძინა. ივანემაც მიდო თავი, და, როგორც იტყვიან, თვალი მოატყუა. მაგრამ ჩქარა ალიონმა მოუსწრო და წამოხტა ზეზე. ნიკოც გაიღვიძა. ახლადგაღვიძებული ნიკო ხელახლავ სიციევმ აიტანა და მოჰყვა კბილების რახუნს. ივანეს უნდოდა, რაც შეიძლებოდა ადრე წასულიყო, რადგანაც ქარის გაძლიერებისა ეშინოდა, მაგრამ ნიკო

შეეცოდა, დაუნთო კარგი ცეცხლი და გაათბო. ამ გარემოებამ ისე დაა-ყოვნა იმათი წასვლა, რომ მთის გადალმიდან მზის სიწითლემ კიდეც ძოატანა, რომ ისინი ტივზე გავიდნენ. თითქო მძინარემ გამოიღვიძა, ქარმა ორიოდეჯერ მძლავრად ამოისუნთქა და ისევ გაჩერდა. ივანემ გახედა ცას და წარბებმოჭმუხვნით თქვა: „ნიკო, ვიჩქაროთ, თვარა ქარი უმატებს!“ გადაიწერეს მამა და შვილმა პირჯვარი, ახსენეს ღმერთი და აუშვეს ტივი.

— ნეტა რა ქნეს, ბეეუკაი და დათაიკელაი რომ მოგვყობოდნენ უკან ტივით? — იკითხა ნიკომ.

— სიცივე შეაშინებდა და ზეით კარავში მეიცდიდნენ. სხვებიც იყვნენ, არც იგინი ჩანს. სიბრიყვე მათი! აქ ქარიზა გეესწრენ, თვარა ახლა რომ ქარი ამეიკრება, თუთხმეტ დღეს არ ჩავარდება. მერე უფრო არ დეიხოცებიან ამ ბოღაზში ყურყუტით! — თქვა ივანემ, რომელიც მძლავრად მიაქანებდა ტივს და ხანდახან უმზერდა ცას.

როცა ბოღაზს მოშორდნენ, ტივმა მსუბუქად გაიცურა იმღამინდელი ქარისაგან ათამაშებული „პალიასტომის“ წყალზე, საიდანაც გარკვევით გამოჩნდა ჯუმათის მთა და მის წვერზე, არწივის ბუდის ოდნად, მთავარანგელოზის მონასტერი. რადგანაც მზე მეორე მხრიდან ადგა და ჯერ არ ამოსულიყო, მთასაც და მონასტერსაც რაღაც საიდუმლო, მკრთალი, ბნელი ფერი ედო. ივანემ გაიხედა მონასტრისაკენ და „მთავარანგელოზო, შენ გვიპატიე“-ო, ღრმა გრძნობის გამომეტყველი სახით დაიწერა პირჯვარი სამჯერ. ნიკოც მიჰყვა მამის მაგალითს. მაგრამ „პალიასტომი“ ისეთი საიდუმლო, მწვანე, ბნელი თვალით გამოიყურებოდა, რომ ნიკოს შიშით ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზე. ივანე მამაცად იბრუნებდა იქით-აქეთ „ჭოლოკს“ და ამიტომ ყურადღება ვერ მიექცია ნიკოს გაფერმკრთალებული პირისახისათვის. ნიკოც თავისი მხრით ცდილობდა მამის მოხმარებას და არ უმხელდა შეშინებას. ამოყო მზემ თავი და ერთს ადგილას „პალიასტომის“ წყალში სვეტივით ჩაუშვა თავისი სხივი, ასე რომ ადამიანს თვალებს გაუფუჭებდა იმ ადგილის შეხედვა: „პალიასტომს“ მზის დახედვამ კიდევ უფრო საშიში ფერი დასდო. მთა და მონასტერი ჯერ კიდევ შავად მოჩანდა, რადგანაც მზე ჯერ კიდევ არ მისდგომოდა. წყალს, ჰაერს და არემარეს უსიამოვნო, საიდუმლო ფერი ედო. თითქო მზის შუქს ამოჰყვაო, ქარმა რამდენჯერმე გაიგრიალა „პალიასტომზე“ და გააღვიძა ვეშაპი. „გააგდე ჭოლოკი ხელიდგან, დაჯე ტივზე და მოუჭირე ხელი ჩასაკრავს!“ — შესძახა ივანემ ნიკოს. თითონ კი ლომივით ტრიალებდა, რომ როგორმე ტივი მიეყენებინა ნაპირზე. მაგრამ ივანეს ბრძოლა უძლური იყო გამძვინვებულ სტიქიონის ძალასთან. ტივს თანდათან აშორებდა ტალღები ნაპირიდან და გაჰქონდა შუაგულისაკენ. უკანასკნელ, ჭოლოკიც

ველარ დაუწვდა წყალს ძირამდე. რადგანაც შუაგულისკენ წყლის სიღრმე თანდათან მატულობს. აქ ივანემ მოინდომა, ტივს რაც მოუვა, ჯანი გავარდეს, ნიკოს ჩავისვამ ნავში და ნაპირზე გავალო. ნავი ტივზე ჰქონდა მიბმული, მაგრამ წყალი ისე იყო აზვირთებული, რომ ესეც შეუძლებელი გახდა. დიდხანს იბრძოდა ივანე თავგამეტებით. უკანასკნელ, როცა აქაფებულმა ტალღებმა ტივს ყირამალა დაუწყო ყუდება და ღონისაგან დაცლილმა ივანემ დაინახა, ჩემის ბრძოლისაგან არაფერი გამოდისო, გააგდო ჭოლოკი ხელიდან, დაეცა ტივზე და ჩაჰკიდა ტივზე დაკრულ ხეს ხელი. „ნუ გეშინია, ხელი მაგრათ, აგერ მეორე ნაპირზე გაგვიტანს და გადავრჩებით“-ო, ამხნევებდა ნიკოს. ქარს გაჰქონდა და გაჰქონდა გუგუნი. ქარის გუგუნს წყლის გუგუნიც უერთდებოდა. ასე რომ, გვერდით ზარბაზანი რომ დაეცალათ, ვერ გაიგონებდით. ერთადერთი იმედი ივანესთვის ისღა იყო, რომ ტივი მაგრად ჰქონდა შეკრული, არ დაიშლებოდა, ტალღები სადმე ნაპირზე გააგდებდა და გადარჩებოდნენ დახრჩობას. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ იმამაცებდნენ, ტალღების დაძგერების დროს ტივზე ხელი არ მოეგლიჯებოდათ და წყალში არ გადაცვივოდნენ. ამიტომ „ხელი მაგრათ, ხელი მაგრათ, ხელი მაგრათ“-ო, — წამდაუწუმ უყვიროდა ივანე ნიკოს, რომელიც მართლაც და ისე იყო კეტზე ჩაფრენილი, რომ, თუ დააჭრიდი მკლავებს, თორემ სხვაფრივ ვერ მოაშორებინებდა. მაგრამ, აი, აგერ ერთმა ტალღამ ჰკრა, აიყვანა ტივი მაღლა, წამზე უცბად გამოეშალა და ისე დააჯახა წყალს, რომ ვენახი, რომლითაც ტივი იყო შეკრული, ორ სამს ადგილს გაწყდა; ეს განმეორდა რამდენჯერმე და ტივმა იწყო რღვევა. ეხლა კი დაინახა ივანემ, რომ იღუპებოდა თავიან-შვილიანად. ნიკო კი არც რასმე ხედავდა და არც რამესა ფიქრობდა. შიშისაგან გაბრუებულიყო და უაზროდ ჩასციებოდა ტივს. ივანემ გაუშვა ტივს ხელი, წამოვარდა ფეხზე და ისეთი დაჰკივლა, რომ ცა გასკდებაო, გეგონებოდათ.

არსად ადამიანის ბაიბური არ ისმოდა. მაგრამ თუნდა კიდეც ყოფილიყო სიახლოვეს ვინმე, ვინ გაბედავდა გახელებული პალიასტომის პირში თავის მიცემას!

ივანემ დაჰკრა ფეხი, გადავარდა ნიკოსთან, მოჰკიდა ცალი ხელი ნიკოს მკლავში და ცალი იმ ხეს, რომელზედაც ნიკო იყო ჩაფრენილი. ივანეს საშინელი თავგანწირულობის ფერი ედო სახეზე.

წარმოუდგენელი, ძნელი წამია ის წამი, როცა ადამიანი თვალდათვალ უყურებს თავის დაღუპვას, თავის გაქრობას! ძნელია მეტადრე გლეხისათვის, რომელიც ისე მჭიდროდ არის შეკავშირებული სიცოცხლესთან. გლეხს, რომელიც სწყევლის, კრულავს თავის ბედს, თავის

ვაჩენას, მაგრამ მაინც კი მთელი თავისი არსებით ეჯაჯგუნება ცხოვრებას, უზომოდ უყვარს სიცოცხლე.

ივანემ სწრაფად წარმოიდგინა, თუ რა ჯოჯოხეთი მოელოდა მის ოჯახს დაობლების შემდეგ.

— რა ეშველება? შიმშილი დახოცს, გადასახადში დააწინდრებენ, უპატრონოთ დარჩენილ ქალიშვილს ნამუსს ახთიან, დეიღუპა ოჯახი, ნასახლევათ გადაიქცევა! ვიღა დააპურებს? შიმშილი, შიმშილი... — ქარიშხალივით გაურბინა ივანეს ამ ფიქრებმა, მაგრამ მეტი ფიქრი კი აღარ დასცალდა, ისე მძლავრად დაეჯახა წყალს უიმისოდაც დარღვეული ტივი, რომ ხეები თითო ღეროებად გაიფანტა.

ივანე და ნიკო, რომლებსაც უცბათ გამოეშალათ ხეები ფეხებიდან, მოემწყვდნენ წყალში.

თუმცა მამამაც და შვილმაც ცურვა იცოდა, მაგრამ ღონეგამოლეულს, ტანგაუხდელს საშინლად აზვირთებულ ციკს წყალში, აბა, რა შორს შეუძლია წავიდეს!

ივანემ დაინახა, როგორ ჩასძირა და ჩაყლაპა შეუბრალებელმა წყალმა მისი საყვარელი ნიკო. ერთი უკანასკნელად კიდევ დაიღრიალა საწყალობელმა ივანემ მონადირესაგან სასიკვდილოთ დაჭრილი ლომივით, და უნდოდა მიშველებოდა შვილს, მაგრამ აღარც ღონე იყო მიშველებისა და აღარც შვილი იყო მისაშველებელი: ნიკო უკვე ჩაიტანა ძირს წყალმა ისე, რომ ხელიც არ გაუნძრევია საცოდავს.

რამდენიმე წამის შემდეგ ღონეგამოლეული ივანეც წავიდა წყლის ფსკერისკენ.

ვაჟა-ფშაველა (რაზიკაშვილი)

1861—1915



ქართული საბავშვო მწერლობის დიდი მოამაგე ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველა) დაიბადა 1861 წელს 26 ივლისს სოფ. ჩარგალში (დუშეთის რ-ნი).

ვაჟას მასწავლებელი მისი მწიგნობარი და განათლებული მამა იყო. ვაჟა-ფშაველა ჯერ სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1877 წლიდან გადაიყვანეს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1879 წელს დაამთავრა. შემდეგ გადავიდა გორის სასოსტატო სემინარიაში, სემინარია 1882 წელს დაამთავრა. 1883 წელს ვაჟა გაემგზავრა პეტერბურგს უმაღლესი ცოდნის მისაღებად, მაგრამ უსახსრობის გამო მალე დაბრუნდა და დასახლდა თავის სოფელში. 1886 წელს მასწავლებლობა დაიწყო სოფ. დიდ ონოეში, მაგრამ იგი მალე გაანთავისუფლეს, სოფლის მოხელეებთან შეტაკებებისა გამო. ამის შემდეგ სრულიად მიატოვა მასწავლებლობა და ლიტერატურულ მუშაობაზე გადავიდა.

ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა 1915 წელს.

ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 1881 წლიდან, ჯერ კიდევ მოწაფეობის ხანაში. მან თავისი შესანიშნავი მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი" დაწერა 1883 წელს, მაგრამ პირველად მისი პირველი და მეორე თავი დაიბეჭდა მხოლოდ 1885 წელს იმდროინდელ საბავშვო ჟურნალ „ნობათში" № 3-4-5, ხოლო მთლიანად 1889 წელს გაზ. „ივერია-ში".

ამ დროიდან ვაჟა-ფშაველას არ შეუწყვეტია ლექსებისა და მოთხრობების წერა ბავშვებისათვის. საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებს ბეჭდავდა მხოლოდ და მხოლოდ იმდროინდელ საბავშვო ჟურნალებში.

ა რ წ ი ვ ი

არწივი ენახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულისპირს სისხლი სცხებოდა,
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ენახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

სიმღერა

(ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს)

არცრა ტანთ მცვია, არც
ფეხთა,
დავდივარ დედიშობილა,
მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა,
ამ წუთისოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა,
ჩემს გარდა ასეთ ყოფაში
მრავალი სხვაცა ყოფილა.
ყველას სამარე მიგველის,
ვინც დედის მუცლით შობილა.

საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი,
თავი მდიდარი მგონია,
ისეთი, თქვენმა ძმობამა,
ჯერ არვის გაუგონია.
მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში — მთა, ბარად — ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას — ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია.

მდიდართ სიმდიდრით ღიღინი
ბეჩავთ ქვითინი მწარია,
ავდარი, ჟინჟღი, ცის ქცევა,
ცა მოწმენდილი, დარია;
დილით გაფურჩნა ვარდისა,
მთელი იმისი გვარია;
ია, ულრანს ტყეს მოსული,
თალხ-კაბა, ენა-მტკბარია,
ჟლდის თავს გაშლილი
პირიმზე, —
მთის სასახელო ქალია;

მარგალიტივით მდელოზედ
ბრჭყვიალა დილის ცვარია.

ზამთრის ზვავების ქუხილი,
გაზაფხულს წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტეს კარია.

ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!—
მძინარეც იმას ვდუდუნებ;
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ ვარამზე ვწუწუნებ;
არცროს უსაქმო არა ვარ,
მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ.

ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
ბეჩავთაც გავუზიარებ.
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დავუგვიანებ.
ავის თქმით, ავის ქცევითა
გულს არვის დავუზიანებ.

ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე!—
მძინარიც ამას ვდუდუნებ;

საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმად მაგივრად ვწუწუნებ;
ხანდახან ჯინი ამიღებს,
სიმღერას დავაგუგუნებ.

მხედართა ძველი სიმღერა

მიტომ გაგვზარდა დედამ,
მისთვის გვეტყოდა ნანასა —
ტანზე აბჯარი ავისხათ,
მუდამ ვლესავდეთ დანასა,
რომ შიშს ვუგდებდეთ გულშია
მეზობელს მეტიჩარასა.

არ ვაქელინოთ სამშობლო
მეტოქეს ათასგვარასა.
გამოვეთხოვეთ ნათესავთ,
ცოლ-შვილს და თავის ყანასა;
სიკვდილს სიცოცხლე აღვუთქვით
და პირი — სისხლით ბანასა.

ცოცხალის თავით ვერ მივცემთ
მტერს თავის მიწის ღალასა.
გაჰზრდისღა კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?!
სამშობლოსათვის სიცოცხლეს
ისე ვწვავთ, როგორც ჩალასა,

ვწყდებით გულდამშვიდებულნი
და თანაც ვმღერით ამასა:
„მშობელი მოკვდეს, რა უშავ,
შვილები რჩება მამასა,
კიდევ ექნება ფრთეები
ამ წუთისოფლის ჯარასა.

კარგის მამის შვილს, წესია,
მტერიც უფრთხება კვალადა:
ხვალ და ზეგ ვერვინ გაჰბედავს
შინ შამოგვეჭრას ძალადა.
ყველას ისა სძლევს, სიცოცხლეს
ვინაც არ აგდებს ჩალადა.

ცოცხლები არვის დაუთმობთ
მშობელი მიწის ღალასა.
სიკვდილს აღვუთქვით —
სიცოცხლე
და პირი — სისხლით ბანასა.
ბა თუ გაჰზრდის მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა!“

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შაგვეცილება,
თორემ ისეთს დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

არ მივცემთ სხვასა სამშობლოს
ჩვენის ცოცხალის თავითა;
უკან ვერ დაგვახეინებთ
მისთვის ნაძღვნევის შხამითა.

მტრისაკე მივიზიდებით,
რომ გავწყდეთ, როგორც ლომები.
ჩვენს ზურგს ვერ ჰნახავს მეტოქე,
რომ გვნახო, მოგეწონები!
შვილებს საზღაპროდ ექნება
ჩვენი ბრძოლა და ომები!

არ მივცემთ მტერსა სამშობლოს,
გულში დავიცემთ დანასა,
არ მივცემთ უცხო ტომისას
თავის მამულის ღალასა.
ესევ ასწავლონ დედებმა,
შვილთ როს ეტყვიან ნანასა!
გაჰზრდისღა კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?

ია და ლუსუმა

ლუსუმა ეუბნებოდა
ველიდან ტყეში იასა:
„შენ რით რა არგე ქვეყანას,
მე რით-ღა ვაძლევ ზიანსა,
რომ ჩემზე მეტად უყვარხარ
შენ ყველა ადამიანსა?
მე შენზე ადრე მოვდივარ
და დავამშვენებ მდელოსა,
დიდადა ვყვავი, სუნიც მაქვს
და დიდს ავუშვებ ღეროსა.
შენში რა ნახეს, არ ვიცი.
სირცხვილი ხალხის გემოსა!
ჭკუით მე ვერა მჯობიხარ,
ფერით, შნოთი და ტანითა.
თუ მე არა ვარ მზის დარი,
არც შენ ანათებ ღამითა!“

— არ ვიცი, ჩემო დობილო! —
მიუგო იამ ნაზადა: —
წადი და ჰკითხე ქვეყანას,
მიზეზს გეტყვიან თავადა.
ალბათ, მოვწონვარ მე უფრო,
რომ მიცქერიან კარგადა.

სდუმდა ია, და ლუსუმა
იმ წამსვე გახდა ავადა:
დააწყებინა ციება,
იყურებოდა შავადა;
შესძულდა მთელი ქვეყანა,
უსამართლობის ჩამდენი.
ახლა ისა სთქვით, შურისგან
თვით დაიტანჯა რამდენი!

ლუსუმა ლუსუმად დარჩა
და ია დარჩა იადა.
შურმა და გესლმა მისდამი
ის როდი გაადიადა!

ანნა-ბულბული

I

მაისი არის, იქუხა,
წვიმამ დაიწყო მოდენა;
წვეთები ცვივა კამკამით,
ალმასის თვალის ოდენა,
მწვანე ბალახი და ჩირთი
წმინდა ცრემლითა დანამა.
ცხვრები გარეკა ტყის პირად
ობოლმა ქალმა ანნამა.
ჩემოჯდა ველის პირადა
ძველ-კაბიანი გოგონა,
დაფიქრდა თავის ბედზედა,
ობლობა წამოიგონა.
ატირდა... ცრემლი ჩამოსდის
სახე-დატანჯულ ანნასა,
აღელვებს მინდვრის ნიავი
ყელ-მოღერებულ ყანასა.
სტირის, ბუჩქის ძირს მიმჯდარი,
შესტირის ტურფას იასა:
— იავ, რას მეტყვი, ლამაზო,
უმშობლოს, უძმოს, ტიალსა!
სხვის თვალ-წარბ შემაქცერელსა
თვალზე ცრემლ-შეუშრობელსა?

ვერსად ვიშოვი, ნეტავი
მეც, როგორც სხვებს ჰყავს,
მშობელსა?
იავ, სადა გყავს შენ დედა,
სად გყავს გულ-შემატკივარი?
— მეც ობოლი ვარ, მკერდს
მილბობს
ცრემლები ჩამომდინარი.
— სულ მბიარული რადა ხარ,
მუდამ ახალის კაბითა?
რად მატყუილებ, ლამაზო,
გულის სალბუნის ამბითა?!.
მე ვარ, მარტო მე, ობოლი,
სხვა არა ჩნდება არსითა.
იამ ვერ გასცა პასუხი,
ჭმუნვის დააჩნდა ხაზია,
ბრალად შეჰხედა ობოლსა,
ცრემლი ჩამოსხლტა ნაზია.
პეპელამ ცრემლი შესუტა,
გახარებულმა გასწია.

II

ხის კეწეროზე შემჯდარი
ტურფად გალობდა ქერონა,
რცხილის ტოტებზე ხტებოდა
მოუსვენარი ცერონა.
ქერონას ბუდე ჩაედგა,
ყოველი ღონე ეღონა,
ბარტყების დედას ქვეყანა
თავის სახლ-კარი ეგონა.
დღეს ისტუმრებდა გალობით,
ეგებებოდა საღამოს,
ტკბილის ხმით მშვიდი ფრინველი
ლექსს უმღეროდა საამოს.
ანნა მიუდგა ხეს ძირში,
ჩიტს შესძახოდა ტირილით:
— არ თუ გიცდია, ქერონავ,
ობლობა გულის ტკივილით,
დარდის წამალი მასწავლე, —
ეუბნებოდა ჩივილით.
ჩიტო, სულ მუდამ ჰგალობ,
ნეტავ, შენს გულს და გონებას!
რად არ ობოლსა მიჰხედავ,
ჰნახავ ჩემს ტანჯვა-მონებას.
— ჩემზე ტანჯული ვინ არი,
უსახლ-კარო და ტიალი,
სად ყინვა მაზრობს, სად მშიან,
ხელთ მიპყრავს შხამის ფიალი.
ჯავრს თავს არ ვაძლევ, გოგონავ,
გალობით ვიკლავ დარდსაო,
როცა ალალი დამქროლავს,
შევეხიზნები ბარდსაო.
— არა, შენ სტყუი, ქერონავ,
მექცევი იასავითა,
მით მანუგეშებთ, რომ თქვენაც
თავს იჭერთ ტიალსავითა.
ანნას ცრემლები ჩამოსდის
ფოთლების შრიალსავითა.
ჩაფიქრდა ჩიტი ძალიან,
თვალთაგან მოსდის ცრემლები.
სველდება წმინდის ცრემლითა
ნაძვი, თხილი და ტყემლები.
თვის სიცოცხლეში ქერონას
ცრემლი სდენია აროდის,
დღეს-კი სტირს ობლის ყოფნასა,
ცრემლი წვიმასებ ჩამოსდის.
— შენც ჩიტად იქეც, დაიავ,
ერთად ვიცხოვროთ ტყეშია,
ხან ვიყვეთ ჭალის სტუმრები,
ხან ვინავარდოთ მთებშია.
არ გამოგარჩევ, დობილო,
ჩემს შვილებში და ძმებშია.
ეს სთქვა, ქერონა წავიდა
შვილების სანახავადა.

იქნებ ჰშიოდეთ, ჰფიქრობდა,
ან იქნებ გახდენ ავადა.
ვინ უპატრონებს ჩემს ბღარტებს.
თუ არ მივხედე თავადა.

გაფაციცებით მიფრინავს,
არ ერიდება ხეებსა,
მწვანე ფოთლებზე აცორვებს
ნაზი ფრინველი ფრთეებსა.

III

ანნა წინ მიდის ტყე-დატყე,
თავზე წაადგა წყაროსა.
იქნება იმან უშველოს,
ობოლი გაახაროსა?
წყარო ჩამორბის მღერითა,
მოაქანებდა ზვირთებსა,
ნამს ასხურებდა ანკარა
ხის ჩამოწეულს კვირტებსა.
შიგ ბანაობენ, წყاروს ჰსმენ,
გაჰხარებოდათ გვრიტებსა.
—წყაროვ, მწყურვალთა იმედო,
დაუსვენებლად მდინარო,
შე უცოდნელო დარდისა,
სულ მუდამ ლაღო, მცინარო,
რატომ არ მშველი ობოლსა,
მშრომელო დაუძინარო?
— მე რა გიშველო, პატარავ,
ქვეყნის ყმამა და მუშამა!
შენ კარგად ჰხედავ ჩემს ბედსა:
მთელენ და მსვამენ მუდამა.
წყارომ რა ეს სთქვა, ატირდა,
ცრემლი უფრქვია ანკარა;
ჩაციელავდა შამბებში
თვალ-ცრემლიანი, პატარა.
დალამულიყო კიდეცა,
ყური ამოჰყო მთვარემა;
სალამი მისცა მოგზაურს
მწუხარე ალემარემა.
ზედ აღიბეჭდა მის სხივი
ობლისა ცრემლმა მწარემა.
წყاروს პირს გაშეშებული
ანნა შესცქერის ცასაო,
გაუბედავად, თრთოლითა

ობოლი იღებს ხმასაო.
მუხლ-მოყრით შესთხოვს უფალსა:
„ღმერთო, მაქციე ჩიტადა,
გადამარჩინე ობლობას,
თხოვნა მიიღე წმინდადა!“
თქმულია, ცრემლი ობლისა
უფალს უნთია სანთლადა,
ობლის შეწყალვა უცვნია
საუკეთესო მადლადა.
ბრძანა: „იქეცი ბულბულად,
შთენილო ოხერ-ტიალად,
აუწყე ხალხსა ტკბილი ხმით
შენი ვარამი ხმიანად!“
ობოლი იქცა ბულბულად,
დაიფართხალა, გაფრინდა,
ხშირს ბარდში ეკლიანშია
გულ-შეუდრეკლად ჩაფრინდა.
აქ მოჰყვა მწარეს მოთქმასა,
ობლის ყოფნა და ბედზედა,
სხვას არა სტირის, არ სჩივის,
სატირალი აქვს ერთზედა.
ბულბული იწყებს გალობას,
უცხოდ აზავებს ჰანგებსა,
ერთმანეთში ჰკეცს გულ-მწარედ
დაჩაგრულების ამბებსა.
ეს აზრი, გულის დამწველი,
ჩვენ მიგვაჩნია ლხინადა,
ვამბობთ: „აგერა ბულბული
რა ტურფად გალობს, ტკბილადა!“
მის სიმღერაში ვერ ვსცანით
მწარე ნაღველი რეული,
დღეს-აქამომდე ვერ ვსცანით
ეს ხმა მწირი და ეული.

შვლის ნუკრის ნაამბობი

I

პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი; ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზადაკარგული დავდივარ. აი დახედეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა, — ეს, წყლის დასალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი: ძუძუს მაწოვებდა, მიალერსებდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ეხლა! ძუძუს აღარა ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმითი ვიკლავ. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინიან, ვკანკალებ, მუდამ დღე სიკვდილს ველი, გზაარეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!

წეღან ველის პირად გავედი დაღონებული... იქით-აქეთ თვალს ვავლებდი. უცებ ჩემს თავზედ ჭექა გაისმა. ავიხედე მაღლა: მხრებშეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ. მე, შეშინებული, ტყეში გადავხტი. წამოვიდა ის წყეული ფრინველი, ტანი ვეღარ შეიმაგრა და ჩემს ნადგომ ადგილს დაეცა. ერუანტელი მივლის, როდესაც იმისი მოკაკული ნისკარტი და ალმასივით ბრჭყალები მაგონდება. პირდაპირ მოვიდა და, იქ რომ არ დავხვდი, ბალახებზედა და მაყვლოვანზედ მხრებით ტყლაშუნი გაადინა. მიავლ-მოავლო საზარელი ყვითელი თვალები, ეწყინა ჩემი გაქცევა, აიწია, ძლივს განთავისუფლდა, კინაღამ მაყვლებში ჩაება. მე ერთს ხეს ვეფარე და იქიდან გულის ფანცქალით ცალის თვალით გავყურებდი.

გენაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდის ჩემის ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა! გული შეუბნება, რომ მტრის მსხვერპლად გავხდები. ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დედასთან. ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ მოკეთე. ეხლა ვინ-ღა მასწავლის? სულ შამბში ვწვები, ვიმალები, მუმლისა და კოღოებისაგან მოსვენება აღარა მაქვს. დედასთან კარგად ვცხოვრობდი, თავისუფლად ვსუნთქავდი...

მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-იქით ხევები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით, მუდამ დაჩრდილულნი გაბურულის ტყით; უხვედრი იყო ჩვენი ბინა. დედაჩემი დაწვებოდა ხოლმე გორაკზე, მე გვერდით მოვუწვებოდი. სამივე მხრიდამ ხეები გვეფარა, — მეოთხეს თითონ გაიყურებოდა. ხანდახან ყურებს დააცქვეტდა, მე შევყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს პატარა ყურებსაც ავცქვეტდი. სამჯერ უჩვეულებრივ ხმაურობა შემოგვესმა: ის არა ჰგვანდა არც წყლის ჩქრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალას რაკუნს, არც კიდევ ხმელის ხის წვერიდამ ჩამოვარდნილ ტოტის რახუნს და არც ნიავისაგან გაშრიალებულ ფოთლების ხმას... ეს შევნიშნე მე: რა წამს ამ უცხო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტყოდა: „შვილო! მომყე, მე მომყეო!..“ გაიქცეოდა და მეც მივხტოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა; არც ვიცოდი და არც მესმოდა, თუ ვის უფრთხოდა. ეხლა-კი ვიცი... ოჰ, რამდენი მტერი გვყავს! ოჰ, ადამიანო!... რატომ არ გებრალები მე, პატარა? რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულდასვენებულმა თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდგე სერზედ და დავსტკბე საღამოს ნიავის სიოთი?!

ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვსცილდე, — მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ-კი, ოჰ, ადამიანო!.. თვალებდასისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გკვრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს...

II

როგორ არ უნდა მეშინოდეს?.. ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთისოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე! გუშინწინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე დედაჩემი

წიფლის გვერდზედ იდგა და გემრიელად იცოხნებოდა... მეც გვერდით ვუდექი, მიხაროდა დედასთან დგომა, მტერი და სიკვდილი არც-კი მაგონდებოდა დედის იმედით. ხშირის ფოთლებიდამ წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრილებინე.

— არ გიამა, შვილო? — მკითხავდა დედა.

მე თავს ვუქნევდი და ვხტოდი, ხან ძუძუებში ვბურჩნიდი.

ჩვენს წინ ერთ ხმელ ხეს გარეშემო კოდალა ევლებოდა და ისე მაგრა უკაკუნებდა, რომ მიკვირდა, — დედაჩემი ამოდენაა და არ შეუძლია ეგრე ტყის გახმაურება, როგორც ამ პატარა ჩიტს-მეთქი! უვლიდა გარშემო ხეს ფეხების ფხაკუნით და ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას ჩაჰკრავდა ნისკარტს... კოდალას ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი; უცებ „ჩხი!" „ჩხი!" მომესმა. მოვიხედე გვერდზე: თავზედ ერთი ჩხიკვი გვევლებოდა. „თავი მომაფარეო, — მითხრა დედაჩემმა: — თორემ ჩხიკვი თვალებს დაგთხრისო!.." მე თავი მოვაფარე. დედაჩემი იგერებდა თავით იმ საძაგელს. ჩხიკვი ჩემკენ იწევდა; ბევრი იცოდვილა, მერე დაგვანება თავი, თავმოკატუნებული წიფლის ტოტზე შესკუპდა და მოჰყვა კნავილს. იმისი ხმა სწორედ ჩემს ხმასა ჰგვანდა. დედას გაეცინა და მითხრა:

— დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუფრთხილდი!.. შენისთანა პატარა ნუკრებს ძლიერ ემტერება, შვილო... კრუსუნსა და კნავილს მოჰყვება და ახლო-მახლო რომ შენისთანა ბრიყვი და გამოუცდელი ნუკრი შეხვდეს, ბანს მისცემს, გადაეძრახნება. მაგასაც ის უნდა: მიახტება და თვალებს გამოსჩიჩქნის!..

მე ტანში ერუანტელმა დამიარა...

— ხმასაც არ გავცემ, დავემალები მაშინათვე!

— ჰო, ეგრე, ეგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შეგეშინდება; როცა მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს!

ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე, საცოდავსა!..

III

ერთხელ ძლიერ დაცხა. დედაჩემი საწოლიდამ ადგა და მითხრა, წყალზე წავიდეთო. წავედით, დავყევით წვრილიანს სერს, ჩავიარეთ შამბზე და ჩავედით ხევში. ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ ჩასწვდომოდა, აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანეთზე გადაკვანძულიყო წვერებით. ხის ძირებზე, იქვე ხევის პირად, ყოლის ფესვები იყო ამოსული, წითლად თავი დაეხარათ და გადმოჰყურებდნენ წყლის დენას. ცივი ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულს ქვებზე, ერთის კლდიდამ

მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა. დედაჩემი მივიდა და ჩადგა შიგ გუბეში. მე ძლივს დავდიოდი ქვებზე, ჩლიქები მტკიოდა.

— მოდი, შვილო, ჩადექ წყალში, საამურია სიცხეში წყალში დგომა.

მე მივედი და კრძალვით ჩავსდგი ჯერ ერთი ფეხი; წყალი საშინლად ცივი იყო და გადმოვხტი ისევ უკან.

— ცივია, არ შემიძლიან დგომა.

— არაფერი გიშავს, უნდა ეხლავე შეეჩვიო, შვილო!

ცოტახანი დავდექი წყალში, და მერე გამოვბრუნდით უკან. ჩვენს ზევით ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა.

— ეგ საშიში ხალხი არ არის, — მითხრა დედამ: — ერთი დედაკაცი და პატარა ბალღია. ჩვენი მტერი ეგრე არა ყვირის. ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს: ესე წვრილიანზე ავიაროთ, ველის პირად ნუ გამოვჩნდებით, ნუ დავენახვებით.

დედაჩემი წინ წავიდა. მე გულმა არ მომითმინა და გავხედე; ტანი დავმალე, მხოლოდ თავი გამოვაჩინე. ამ დროს ქვეიდამ ხმა მომესმა: „ვაი, ვაი, დედილო, მგელი, დედილოჯან, მგელი!“

— ნუ გეშინიან, შვილო, გენაცვალე. აბა სად არის, დამანახვეო? — ჰკითხავდა დედა.

— აგე, ყურები არ ცადმოუცქვეტია, ადამიანო, ტყიდამ! — თვალცრემლიანი უჩვენებდა ბავშვი თითით ჩემზე.

— უი, შენ-კი გენაცვალოს დედა, მგელი-კი არ არის, შვლის ნუკრია, შვილო! ქა, რა ლამაზია!

— დავიჭიროთ, შენი ჭირიმეო, — ეუბნებოდა პატარა დედას და თან მოუთმენლად ემზადებოდა ჩემკენ გამოსაქცევად.

— არა, გენაცვალოს დედა, ცოდოა, შვილო, როგორ იქნება, განა მაგას არა ჰყავს დედა! ხომ უნდა იტიროს იმან თავის შვილზედ!

მე სულგანაბული ყურს ვუგდებდი და მიამა, რომ გავიგონე ერთადერთი სიტყვა ჩვენის შებრალებისა. მე კიდევ მინდოდა ყური მეგდო, მაგრამ დედაჩემი დაბრუნებულიყო, მოირბინა და მითხრა:

— ჰაი, შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ?! რას უყურებ იქა? წავიდეთ ჩქარა, მომყე! ეგენი წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებინებენ სიცოცხლეს.

საბრალო დედაჩემი წინათვე ჰგრძნობდა, რომ ასე იქნებოდა.

IV

შეკუნტრუშდა დედაჩემი, შევკუნტრუშდი მეც და გავსწიეთ ზეითკენ სკუპ-სკუპით. სულ ბოლო დროს მხოლოდ ეს-ღა გავიგონე: „უი, დედაც იქა ჰყოლიაო!“

შევუდეგით შამბიანს, ბუერიანს გვერდობს. ბუერის ძირები ცივის წყაროებით იყო მორწყული. აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსაებ პატარა ნუკრის ნაფეხურები. საშინლად ცხელოდა. ვსწუხდით. დავწექით ბუერებში. იმისი განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს. უცებ გარშემო შემორტყმულ მთების წვერებიდან ამოცვივდნენ ღრუბლები. შეიყარნენ ერთად. ცამ დაიგრიალა, იქექა, ელვა გაიკლაკნა.

წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გაღმა სერებზე, მალე ჩვენს გარეშემოც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დაიწყო ტყლაშა-ტყლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა: ჩიტები ვეღარ ჰპედავდნენ ჭიკჭიკს, ცელქობას... საძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მაშინებდა წინათ, ეხლა სრულებით არ მეჩვენა ისე საზარელი; დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცინგლი ჩამოსდიოდა, მხრები საცოდავად ჩამოეშვა. იმის აბლოს იჯდა გულწითელი ჩიტი, „წიფლის-ჩიტა", უწყინარი, უვნებელი, ღაბუა. მშვენიერად მიეხუჭა თვალები! მოფრინდა „წიპრანა" და „წრიპ, წრიპ!" შესძახა. ჩხიკვს შეეშინდა, გაახილა თვალები, გაუსკდა გული, მიასკდა ხან იქით, ხან აქეთ, უშნო „ჩხიი, ჩხის!" ძახილით. მე გამეცინა. წინათ ყველაზედ ღონიერი ის მეგონა, ეხლა-კი გავიგე, რაც შვილი ბრძანებულა.

გადაიქუხა. ჩიტებმა შორთეს ერთხმად სიმღერა. ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემს ნაწვიმზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლიებდა. ეხლაც წავედით, შევუდექით ველის პირებს, გავსწიეთ მთისკენ. ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა. მთის ძირზე გაშლილიყო ცხვარი და ტკბილად სძოვდა ახლად დანამულს ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს ეთხოვებოდა.

გორის პირზე ზევით მხრივ იჯდა ნაბადწამოხვეული მეცხვარე და შეექცეოდა სალამურს. იმის გვერდით წამოყუნტებულიყო ბანჯღვლიანი, საზარელი შესახედავი ძაღლი; ცოცხლად აყოლებდა თვალებს ცხვრის ფარას და ხანდახან აჩერდებოდა ალერსიანად თავის პატრონს.

— ცუდს ადგილს მოვედითო, — მითხრა დედაჩემმა: — მეცხვარე უიარაღოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სუნს და იქნება გამოგვეკიდოსო. მობრუნდი უკან. თვალი გეჭიროს: თუ ჩვენკენ გამოიქცა, მე დავენახვები და შენ ბალახებში ჩაიმალეო. ჩვენს დანახვაზე ცხვარი წაფრთხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება. მე ხშირისა და დაბერებულის არჯაკელის გროვაში ჩავიმალე და არ ვაშორებდი თვალს იმ კუდბუთქვა ძაღლს... ცხვრის დაფრთხობა და ძაღლის წკმუტუნი ერთი იყო. სცქვიტა ყურები და გამოექანა ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვცა კივილი. მე ავკანკალდი. დედაჩემს შეაშფრო თვალი და გაექანა იმისკენ. დედაჩემი გასრიალდა და ერთს წამს დამეკარგა თვალიდამ. ცრემლი მომერია, გული მომიკვდა; ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭიროს მაგ წყეულმა! დიდი ხანი მესმოდა ბრაგა-ბრუგი და ხევიდამ ქვების ჩხრიალი.

ვაიმე, თუ დაიჭირა დედაჩემი და თავის ალმასის კბილებით სწეწს! დაბინდდა. მეცხვარემ მოუსტვინა ცხვარს და შეაყოლა ბინისაკენ. გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას. საწყალს ცხვრებს სცემდა ზოგს დიდის კომბლით და ზოგს ქვებს ესროდა. ერთს პატარა ჩემოდენა ბატკანს მიარტყა ქვა, საბრალო წაიქცა და საცოდავად დაიწყო ფეხების ქნევა. მეცხვარე ავიდა ზევით და დაუწყო ძახილი „ყურშიას". ტოცა ხანს შემდეგ, ცის ტატანზე [1] დავინახე, რომ იმისი ყურშია, წითელ-ენაგადმოგდებული, ედგა პატრონს გვერდით.

მე მეშინოდა: ვინ იცის, ჩემის დედის სისხლით აქვს-მეთქი გამურული ლაშ-პირი. დაბნელდა, დაუკუნეთდა. ხმაურობა აღარსაიდამ ისმოდა. რა იქნა დედაჩემი? იქნება ვეღარ მიპოვოს, თუ ცოცხალია?

ცოტა ხანს შემდეგ ხავილი შემომესმა. დედიჩემის ხმასა ჰგვანდა. მეც გავეხმაურე. საბრალო აფორთქლებული მოიჭრა ჩემთან.

— აქა ხარ, შვილო? ნუ გეშინიან, შენი დედა ცოცხალია. ძაღლი და მგელი ვერაფერს დააკლებენ... ცოცხალი ხარო? — მკითხავდა.

— ცოცხალი ვარ, — ვუპასუხე მე.

მიალერსა დედამ... ნეტა ვის შევსტირო, ვის შევეხვეწო, ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედიჩემის თვალებში ჩამახედოს, დამატკბოს იმისის ალერსით!

როგორ უნდა მოვინელო ეს ჯავრი? ნეტა სისხლის მსმელს მტერს მეც მოვეკალი! რისთვის დავრჩი მე ცოცხალი!?

წინა-დღეს ცოცხალს, მშვენებით სავსეს ჩემს ნუგეშს შევსტრფოდი, და რა მომაგონებდა, თუ მეორე დღეს დამეკარგებოდა სამუდამოდ!

V

მთელი ღამე დავდიოდით ველზე. აღარ გვეშინოდა; გავედით სვილში და ტკბილად შევექცეოდით. თენება დაიწყო, მივიქეცით ტყეში. წყეული იყოს იმ დღის გათენება! ველზედ სქლად იწვა ბალახი. ველში იდგა ორი-სამი ძირი ბალი; ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდნენ ჩიტები, შაშვები; ჟივილ-ხივილი ისმოდა; ზოგნი მოდიოდნენ და ზოგნი მიდიოდნენ, მიე-

---

[1] ჰორიზონტს ეძახის ხალხი.
ავტორის შენიშვნა.

ზიდებოდნენ შვილებისთვის საზრდოს. დედამ გამაფრთხილა და მითხრა: საშიშია ამ დროს სიარული, ჩვენი მტერი ნაწვიმზე დაგვეძებს, აქეთ-იქით თვალი გვეჭიროსო.

ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედიჩემისაგან. დედაჩემი სწუხდა, თითქოს სიკვდილსა ჰგრძნობდა. მოჰკვნეტდა ერთს ფოთოლს და გაუყუჩდებოდა.

ჩვენს ზევით იყო დგნალები, ერთმანერთზე მიწყობით ამოსული. იმათ წინ იდგა სამი თუ ოთხი შეკუმშული და აწურწუტებული არყი.

უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა. იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები, ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი გაერთხა ნამიანს ბალახზე. დედაჩემმა ერთი-კი ამოიკვნესა და წაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავისხიპე. დედაჩემი მიგორავდა, ვხედავდი, თავქვე და სისხლიანს კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზრდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკვალთა. „გაუმარჯოსო!“ დაიძახა და სასწრაფოს წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და ჯამოუსო დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხეებზე. ვაჰმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი?! აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოშეშხა. შეიდო კისერზედ და გასწია. მე დავიწყე ტირილი. გული შემიწუხდა. მას აქეთ ცოცხალმკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება, დედაჩემს ვეღარა ვხედავ, ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დაშეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?!

ი ა

ულრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ გამომცქერალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არე-მარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ იმ დამპალს ყუნჭს თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს, მიცინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, — მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან. მხოლოდ შორიდამ გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა-კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზედ.

განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხლე? წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს, ან არაფერმა არ აწყინოსო. პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის: წვიმას შეუძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები. უფოთლებოდ ყოფნა და სიკვდილი ჩემთვის ერთია. არა, ხეები: არყი, წითელი, თხილი, თამელი, დუდგულა ჯარშემო მეხვევიან და მყარაულობენ, წვიმის ნამს ინახავენ ტოტებით, ფოთლებით და მერე ნელ-ნელა მამცვრევენ პირზედ თითო-ოროლ წამობით, პირსა მბანენ. მე ყელს მოვიღერებ და ვინატრებ, ნეტა სიმღერა შემეძლოს, ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მაღლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ჭალები და ღაბუა ჩიტები, რომელნიც ხმელს, ყვითელს ფოთლებში წითლის და მწვანის ფრთა-ბუმბულით ჩემს წინ დაგოგვენ და ხანდახან შემომჭიკჭიკებენ პირში, მათამაშებენ, უხარიანთ ჩემი სიცოცხლე. ჩემი ერთის თვის სიცოცხლე სხვის ოცდა-ოთხის თვის სიცოცხლეს სჯობია, მაგრამ დიდხანს სიცოცხლეს კი დანატრებული ვარ. დილას ერთმა „წიფლის-ჩიტამ“ ჩემს ახლოს იგალობა, ლამაზი რამ იყო, — ყელწითელი, ღაბუ., იმასაც ჩემსავით თავი მოსწონდა, იხედებოდა გულზედ და მხრებზედ; ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება.

გუშინ ცამ იჭექა. ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს: ქუხილი წვიმის მომასწავებელია და წვიმა ხომ ძუძუს გვაწოვებს დედამიწის გულზე. მზე — მამაა, ზევიდამ დაგვყურებს და გვეალერსება, თვალ-ყურს გვადევნებს. წვიმის მოსვლა მცენარეთ უხარიანთ, — უხარიანთ, ყელამდის სიხარულით მოიყარნენ; ეხლა ისინი ახალს კაბებს და ქათიბებს ჩაიცმენ. აი ეს ორი დღეა, რაც ჩემი დობილი სასუტელაც[1] ამოჩნდა; უხარიან, უხარიან საცოდავს, სულ თავს იქნევს დაბლა და მაღლა, უკრავს თავს დედამიწას, მზის სინათლეს, მეჩურჩულება, ზღაპრებს მიამბობს სიცოცხლეზე, სიყვარულზე; ხანდახან კიდეც გაიკასკასებს, გადამეხვევა და მაკოცებს. გუშინ დილით მე და ჩემმა დობილმა ორივემ ვიტირეთ.

რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ალბათ ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს! ჩვენ წინ კაცმა გამოიარა, ცალს მხარზედ ცული ედო, მეორეზედ თოფი ეკიდა. მიადგა ერთს მშვენიერს ტოტგადართხმულს წიფელს, დაუშინა

---

[1] მცენარეა.

ავტორის შენიშვნა.

ცული და წააქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გუგულის-კაბა ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულს ფოთოლს არ ამოსცილებოდა. როდესაც ხე წაიქცა, გადიყრეინა ზევიდამ ფოთლები და წითლად გამობეჟვინდა, ცრემლები დასხმოდა ჩაღრმავებულს გულში.

შუადღის დროს დაღალულ-დაქანცული ქედანი მოვიდა და დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე და დაიწყო ღუღუნი. უხაროდა იმასაც გაზაფხულის მოსვლა და ის, რომ მშვიდობით ნახა კიდევ ნაცნობი ადგილი. უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა, ჯერ ფეხით ჩამოეკიდა ტოტზე, მემრე ძირს ჩამოვარდა, ჩემს წინ დაეცა. სისხლი წამოუვიდა ნისკარტიდამ და თვალები დახუჭა; გადმონადენი სისხლი წვეთ-წვეთად დაეტყო ფოთლებზე. მე და სასუტელას კანკალი მოგვივიდა... მე გარკვევით არაფერი მესმის, მხოლოდ რაღაც ბუბუნი, გრიალი, ბუნდი ერიამული მოდის ჩემამდის.

ვაჰმე, რა საბრალო არი
ია, მოსული მთაზედა!
ბეჩავს დააზრობს სიცივე,
ან ელვას დაჰკრავს თავზედა;
ღმერთს მიუცია საწყლისად
მოკლე სიცოცხლის ჟამია,
ქვეყნისა მისგან შვენება
ერთი ბეჩავი წამია.
ია დაიწყებს კდომასა,
დაიქვითინებს: „ვაჰმეო!
თუ გამაჩინე, უფალო,
დიდი დღე რად არ მამეო?!“

ქუჩი

ბალახი ვარ მთისა, ერთის დიდის სალის კლდის შუა გვერდზედ მოსული. ჩემს გვერდით სხვა მცენარე ვერა ხარობს. განგებას მხოლოდ ჩემთვის დაუწერია: ქუჩო! კლდე იყოს შენი დედ-მამა, შენი ბედი და ღობალი, შენი წარსული და მომავალიო!

— კლდეო! განა, რომ შენა ხარ ჩემი დედ-მამა, ჩემი მცველი და პატრონი?

— მე ვარ, ნუ გეშინიან, შავ-ბნელო.

გარშემო მარტყია მაგრად დაჭედილი ლოდები. ვინ იცის, სადამდე

აქვთ გადგმული ძირი; ზოგი ამათგანი ყურსაც არ მიგდებს, თითქოს არც-კი ვარსებობდე; ისინი თვალდაშტერებით დასცქერიან უფსკრულს. რას ეძებენ, რა დაუკარგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკითხო. რაღასაც ფიქრობენ, უსაზღვროა იმათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს, ალბათ, დარდი რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელი და გულმაგარია ჩემი დედა; იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ქექა-ქუხილით თავზე დაგვაწვება ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდეც სტირის. მეც ვსტირი მაშინ, დედის ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ. დედაჩემი თავის დახოცილს შვილებსა სტირის, რომლებიც მუდამ თვალ-წინ უწყვია; ბევრიც რომ უნდოდეს, თვალს ვერსაიდამ მოაცილებს. კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ ჰყრია ერთი-ერთმანეთზედ, კლდის ძუძუთგან მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯი...

აგერ, დაბლიდამ როგორ გულსაკლავად შემოსცქერიან თავის მშობლებს, თითქოს ეხვეწებიან, რატომ მანდ არ აგვიყვან, რატომ შენს ახლოს არა ვართო. ამაო იქნებოდა იმათი თხოვნა, იმათი ვედრება, კიდეც რომ შეეძლოთ ამის ნატვრა; მაგრამ არ შეუძლიანთ. მეც იმათ დავსცქერი თავზე და თითო-ოროლ წვეთობით ნამს ვასხურებ. იმათთვის ეს მეტად სასიამოვნოა.

ნეტა ერთიც არის მეგობარი მომცა, ხანდახან მაინც გამოვესაუბრებოდი. ღმერთმა ყვავილებს უშველოთ, გაღმა მთის ფერდიდამ რომ გამომცქერიან. ტკბილად დუდუნებენ, ტკბილად მღერიან ნაზის, დაბალის ხმით; ისინიც, როგორც მე, ბედკრული, შესტრფიან პირიმზეს. ლამაზო პირიმზევ, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მიკოდავ გულსა!

მე როგორ შევსტრფი, თვალგულდამშეული შევსცქერივარ, თვალს ვერ ვარიდებ ერთს წუთას, ისე მიყვარს, და ის-კი ერთხელაც არ გადმომხედავს, რომ ჩემი მოკლული, დამწვარი გული გაცოცხლდეს; ის მზეს შესცქერის, იმას ეტრფის. პირიმზე მზის მოტრფიალეა. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე თვალს და პირს იმას აყოლებს; როცა მზე ჩავა, დაიქვითინებს, იწყენს სატრფოს განშორებას. პირიმზეს ტირილი მეც ამატირებს. გუშინ, ვგონებ, მეც გადმომხედა. არა, ის წმინდაა, უცოდველი, მე-კი უშნო და ცოდვილი. მე განა სისხლითა და ბურტყლით უნდა ვიყო შემურული?! ეს სულ იმ ბებერის არწივის ბრალია, ჩემს გვერდით რომ ბუდობს. გაიღვიძებს თუ არა დილით, მოჰყვება საზარელს ყეფს, ვიღაცას ემუქრება, აბრიალებს ი დიდრონს, სისხლის მოყვარულს თვალებს და მერე გასწევს სადავლოდ; ყველა ფრინველები გზას უთმობენ. მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ჩემს ბემოდამ

ერთს ამოჩემებულს ლოდზედ, სწიწკნის, სისხლი ჩამოსდის და მე დამ-
დის. საიდან მოვერიდები? სისხლით წითლად ვიღესები, მერე მზე დამ-
ხედავს და ახმობს ჩემს ტანზე ამ სისხლსა. იკურთხოს წვიმის გამჩენი!
ხანდახან ის გამბანს ხოლმე. უთუოდ ამ სისხლის გამო მარიდებს პირი-
მზე თვალსა, თორემ ერთხელაც იქნებოდა დაშიძახებდა: ქუჩო! ცლდის
შვილო, გამარჯობა შენიო!

მიყვარს ეს ყვავილი... იმას კაცები პირიმზეს ეძახით, რადგან პირი
და თვალები მუდამ მზისკენ აქვს მიპყრობილი, მზის მოტრფიალეა;
როგორც შვილის თვალები თან დასდევს დედას და სცდილობს არსად
დაემალოს დედა, ისე ამისი. მზე დედაა, პირიმზე — შვილია მზისა.

ვინ იცის, თუ მე პირიმზე მიყვარს? მაინც რაა ასეთი სიყვარული?
მე იმასთან ვერ მივალ, ის ჩემთან, ერთმანეთს ვერ ვაკოცებთ. ასეთი
სიყვარული სასიამოვნო ტანჯვაა. მოუთმენლად ველი განთიადს, მა-
შინ დავინახავ ხოლმე ჩემს სატრფოს. როცა ზამთარი დადგება, ჩემი
გულიც მაშინ ჩაშავდება და პირიმზეც მიწაში ჩადნება. ნეტავი მეც
ჩავდნებოდე, რომ ეგებ ერთი ჩემი ნაწილი შეხვდებოდეს იმისას პი-
რისპირ. დადგება გაზაფხული, პირიმზე ცოცხლდება და მეც მაშინ
ვცოცხლდები. მავიწყდება ჩემს ქედზედ მოკიდებული ხავსი და ობი,
თავი პირიმზე მგონია და გიჟივით ვამბობ: შენი ჰირიმე, ლამაზო,
შენი!

ნეტავ ვიცოდე, სად მიდიან ზამთრობით ყვავილნი? ვგონებ, ამას
სიკვდილი ჰქვიან. ვინ მასწავლა მე სიტყვა სიკვდილი? აი ამ ლოდმა,
ჩემს გვერდზე რომ ცხვირი წამოუშვერია და მრისხანედ დასჩერებია
ქვეყანას. ამან და იმ ორასის წლის ბებერმა არწივმა. არა, სიკვდილი
კარგი არ უნდა იყოს. გუშინ რომ მაგ დაუსვენარმა ბებერმა ერთი
როჭო შეყლაპა ჩემს თავზე, რამდენსა ჰკვნესოდა საბრალო და ის-კი
შეუბრალებლად სწიწკნიდა, ჰგლეჯდა თავისის ალმასის ნისკარტით.

— ქუჩო, ბენტერავ, მაგასა ჰქვიან სიკვდილიო! — წამომჩურჩულა
ლოდმა. მე კაკბის სიბრალულით ვსტიროდი. თუ მართლა ესაა სიკვდი-
ლი, კარგი არ უნდა იყოს...

ერთხელ საზარელი სანახავი ვნახე, ისიც სიკვდილსა ჰგავდა. აგერ
დაბლა, შორს რომ დიდი მინდორი მოჩანს, იმ მინდორზედ მოჰხდა ეს
ამბავი. ორპირად, ორის მხრითგან გამოჩნდა ხალხთა გროვა. ყველანი
ლამაზები იყვნენ, ლამაზად ჩაცმულ-დახურულები; ცხენებზედ ისხდნენ
ტურფად მოხდენით და ერთმანერთისკენ მიდიოდნენ სისწრაფით. სიშო-
რის გამო არ მესმოდა, რას ამბობდნენ. დაერივნენ ერთმანეთს. იარაღის
ბრჭყვიალს თვალს ვერ ვუსწორებდი. მწვავდა. ერთმანერთს ცხენები-
დამ ჰყრიდნენ, ჰქელავდნენ, მახვილსა სცემდნენ.

ბოლოს დროს, თითქოს ჯანღი დაეხვიაო, დაიმალნენ ყველანი. ჯანღი რომ გადიკრიფა, საღამოხანიც მოახლოვდა. ვნახე, რომ მხედარნი თავის ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზე უსულოდ, როგორც აი ესლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტირე კიდეც. სილამაზე, შვენება დაჰკარგოდათ. ეს მეწყინა და ამან ამატირა.

მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომაგდებ!

პირიმზევ, ტურფავ, ლამაზო! შენის სილამაზის მზეს, ათასში ერთხელ მაინც გადმომხედე, მაღირსე შენი ღიმილი! საწყალი, ბეჩავი ქუჩი ვარ, შემიბრალე! ნიავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებელო სულო! დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული!

არწივო, მედიდურო ფრინველო! თუ გწამს ღმერთი, ეცადე, რომ ჩემს თვალებს არ აჩვენო, როცა უცოდველად სულდგმულთა სისხლს აქცევ; ჩემს ყურებს ნუ გააგონებ იმათს კვნესას, რადგან იმათი კვნესა ჩემი კვნესაა, ჩემი გულის ოხვრა და ვაებაა. დამბადებელო, დამიფარე, შემინახე უნაყოფო კლდეზე დაკიდებული ქუჩი!..

ჩხიკვთა ქოლგწილი

ეს ამბავი დიდს, შავს, დაბურულს ტყეში მოჰხდა, სოფლებსა და ქალაქებზე ძლიერ დაშორებით. რა ამბავიაო? იკითხავთ. ჩხიკვთა ქოლგწილზე მოგახსენებთ. ჩხიკვი ზაქარა იწერდა ჯვარს ლამაზს, სიტურფით განთქმულს და მეტისმეტად ეშმაკს ჩხიკვს ქეთევანზე. ამ ორ ახალგაზდა ფრინველს ჯვარსა სწერდა მხცოვანი ჩხიკვი თომა.

თომამ გულმოდგინედ აღაპყრო თვალნი ზეცად და წარმოსთქვა: „აკურთხე, უფალო, გვირგვინი ამათი, შთაუნერგე ამათ ერთმანერთის სიყვარული და ერთგულება, განამრავლენ ესენი, ვითარცა წყალში თევზნი, ცაში ვარსკვლავნი, ჰქმენ შეუბღალავი სარეცელი მონისა შენისა ზაქარასი და მხევლისა შენისა ქეთევანისა. ამინ“. სთქვა რა ეს, ორივეს ტურფა ყვავილების გვირგვინი დაადგა თავზე. „ამინ! „ამინ“ — გაისმა გრგვინვით ხმა აქეთ-იქიდან. ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეულნი ფრინველნი: ჩხიკვნი, ქერონები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ღობემძვრალები, ბოლოცეცხლები, ჭივჭავნი, კოდალები, გვრიტნი, მტრედნი და სხვანი მრავალნი. ტევა აღარ იყო, იმოდენა სტუმრებს მოეყარათ თავი. საქეიფოდ მშვენიერი ადგილი ამოერჩიათ: ერთი ტაფობი ხშირყვავილიანი, ბალახით დაფენილი და უზარმაზარ ხეებით

დაჩრდილული. ყვავილებსაც უხაროდათ, ისინი ქორწილში იყვნენ დაპატიჟებულნი. იქვე ციცი, ანკარა წყალი გამოდიოდა. სუფრა გრძლად იყო დაფენილი და ზედ ათასნაირი საჭმელები და ხილეულობა ელაგა. რა ჯურის ჭიას და ბუზს იტყვით, აქ არ მოეტანათ, — ბალახთა თესლი ათასნაირი...

ნეფე-დედოფალი მიიწვიეს ყვავილებით დაფენილს ტახტზე და წვეულნიც წამოსხდნენ მწკრივად. გაიმართა დიდი სმეულობა და ჭმეულობა. ათასნაირი სასმელები ისმეოდა: კახური ლალისფერი ღვინო წყალივით მოდიოდა სუფრაზე... ყველამ ადღეგრძელა ნეფე-დედოფალი და ყველამაც ძღვენი მიართვა.

იქვე კოდალა მჯდარიყო ერთ ყუნწზე ფუღუროში და იმან „მრავალ-ჟამიერი“ დაიძახა.

— შენ, ეი, მყვირალავ, ღვინოს-კი არა სვამ, შვილონიავ, და რა იქნება? ღვინო დალიე, და! — შეუძახეს კოდალას ერთხმად ფრინველთა.

— მოიცათ, კაცებო, ცოტა ხანი დამაცადეთ, ღმერთი გადღეგრძელებთ: აქ ერთი კაი მსუქანი ჭია ვიპოვნე, ის მინდა გამოვთხარო და მერე, რამდენიც გინდა, ღვინო მასვით, ფიქრი აღარა მაქვს, გულდამშვიდებით ვიქნები, — მიუგო მათ კოდალამ და თან ნისკარტით დაუწყო ფუტურო ხეს ჩიჩქნა. ყველამ თვალი კოდალას მიაპყრო.

— აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, — მისძახოდნენ კოდალას ფრინველნი: — თუ არ გამოგიყვანია, ვაი შენს ტყავს, პურს აღარ გაჭმევთ, იცოდე.

კარგა ხანს გაუდიოდა ფუტურო ხეზე კოდალას ნისკარტს და ფეხებს ფხაკუნი და არც ტყუილად: კოდალამ გამოათრია კარგა მოგრძო ჭია, გველის ჭარის [1] მსგავსი, და ნისკარტით მიართო ნეფე-დედოფალს.

— გაუმარჯოს ნეფეს და დედოფალს! — დაიყვირა კოდალამ მაღალის ხმით: — კამპანიასაც გაუმარჯოს, ურა!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ურა! ყოჩაღ, კოდალა! ბარაქალა, რომ არც თავი შეირცხვინე და არც ჩვენ, — ჰყვიროდნენ ფრინველნი. თამადამ „საკარგყმო“, რადგანაც ვაჟკაცობა გამოიჩინა კოდალამ, ღვინით სავსე ჯიხვი მიაწოდა; იმანაც სულუქცევრად გადაჰკრა და გადაუგდო თამადას ცარიელი ჯიხვი. თამადად იგივე მოძღვარი ჩხიკვი თომა ამოერჩიათ.

— პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო, — სთქვა ყვავმა და თავის მშვენიერის ხმით შემოსძახა სუფრული. ყვავს მისცეს

---

[1] გველის წანაყარი ტყავი.
ავტორის შენიშვნა.

აქეთ-იქიდან ბანი და გაძლიერდა მღერა ისე, რომ ტყეს ჭახჭახი გაჰქონდა. მთა-ბარი ზანზარებდა. ყვავილები სიცილით იხოცებოდნენ. აქვე ახლოს ვრთს თაგუნასა ჰქონდა სორო. ხმაურობაზე საღერღელი აეშალა და გამოიხედა სოროდან გარეთ. დიდხანს უცქირა ფრინველთა ნადიმს, შექცევას, ჰხედავდა მსუქანს, ნოყიერს საჭმელებს, ფერად-ფერადს, ნაირ-ნაირს და ხარბად ჰყლაპავდა ნერწყვს ნერწყვზედ. ითმინა დიდხანს და ვეღარ მოითმინა: რაც მომივა მომივაო, სთქვა; მიცუნცულდა ახლოს, ისკუპა და პირდაპირ ნეფე-დედოფლის წინ თხილიანს სუფრაზე დასკუპდა.

— ვინც მოვიდეს, გაუმარჯოს! გაუმარჯოს წრუწუნას! — გაისმა საერთო ხმა ფრინველთა: — ჰოი, შენი ჭირიმე, რო დაგვხედე, ბიჭო! — ეუბნებოდნენ თაგვს შეზარხოშებულნი ფრინველნი.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ, გენაცვალეთ, იცოცხლეთ და იხარეთ, მუდამაც ლხინი და კაი საქმე ნუ მოგიშალოსთ უფალმა ღამბადებელმა, — ამბობდა თაგვი და თან ერთს გულიანს თხილს ჩასციებოდა, კბილით აკნაწურებდა ნელ-ნელა.

— ღვინო მიართვით წრუწუნას, ღვინო, — დაიძახა თამადამ, — მაგას ჩვენოდნობამდის ბევრი აკლია.

— ღვინოს აო გიახლებით, გენაცვალეთ, თხილი ჩემის თვალის სინათლესაც მირჩევნია, თქვენ გაატარეთ დროება; ნე თხილს ვაკნაწურებ, არაფერი მიშავს.

— არ გიახლებით, რა სიტყვის პასუხია! ჰა, დალიე, ზორეშ თავზე დაგასხამთ ღვინოს, — უთხრა შეტევით თამადამ თაგვს და ჯიხვი კოდალას მიაწოდა. კოდალამ ჩამოართო თომას ჯიხვი და მიუჯდა წრუწუნას ახლოს.

— დალიე, ე, ძმობილო, ქორწილია, განა ის ხომ არ არის! თხილი აკნაწურო, რა ბრძანებაა! ჰაი, თუ აკნაწურებ შენცა, ჰა, ჩამომართვი ჯიხვი-მეთქი, — უთხრა კოდალამ და თან ჯიხვი მიაწოდა.

— ვერ დავლევ, თუ ძმა ხარ თავი დამანებე, არ შემიძლიან და რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე, — მიუგო მას თაგვმა და პირი მოიბრიდა.

— დაასხით, თავზედ დაასხით მაგ ვირიშვილს, მაგას! — დაიყვირა თამადამ: — მაშ, ნეფე-დედოფალი არ უნდა ადღეგრძელო, შე ბრიყვო, შენა!?

— ჩემს დღეში ღვინო არ მისვამს, კაცებო, ეხლა უნდა დამაჩვიოთ ღვინის სმასა?! როგორ იქნება, რა ახირებაა მაინც და მაინც!? პატიოსანი, დარბაისელი ხალხი ბრძანდებით. აი, ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოდ ერთს რკოს გიახლებით.

— დაალეინე, დაალეინე მაგ რაზბოინიკს მაგას, ძალათი უნდა და-

ლიოს, არ შაიძლება. აქ რისთვის მოეთრეოდა, თუ ღვინოს არა სვამდა, დაალეინე, დაალეინე, — ისმოდა ფრინველთა ხმა.

კოდალამ დასტაცა წრუწუნას ცალის ხელით კისერში, მეორე ხელით პირში მიაგება ღვინით სავსე ჯიხვი და დაუწყო ძალათი სმევა.

— შენი ნება თუ იქნება, კი ვიცი, არ მიირთმევ, ვაეგბატონო, მაგრამ აქ თამადის ნებაა. უყურებ ამოდონა დუნიას, ერთი არ არის, აქ ღვინოს არ სვამდეს, ერთი შენ გამოსჩნდი აქ ახირებული. ჰა,გაუბედე, გაუბედე, ცოდო არ არის დედის რძესავით ღვინოს პირს არიდებდე, შე უჯიშოვ, შენა?

თაგვმა რის წვალებით ჩაყლაპა რამდენიმე წვეთი და თან წრუწუნებდა, ეტყობოდა, არ ესიამოვნებოდა ღვინო.

— გაუბედე, წრუწუნავ, გაუბედე! აბა და ჰა! ემანგრე ,მანგრე! ა, ყოჩაღ, ბიჭო! — დაჰკიეინებდნენ თაგუნას ფრინველნი.

თაგუნამ დაიწკიპა, დაიჭიმა ყელის ძაფები, შეებრძოლა ღვინოს და გადაჰკრა, დასცალა. ხოლო ხავერდის ქულაჯაზე გადაესხა ცოტაოდენი ღვინო.

— ქულაჯაზე ნუ მასხამ ღვინოს, ე, ჩერჩეტო, განა შენს ხაჩანის ფაფანაკსა ჰგავს, რომ აგრე ბრიყვად ექცევი!? — შეუტია კოდალას. მერე ღრმად ამოიხვნეშა. სულ უკანასკნელი ყლაპი-ღა აკლდა და დაიყვირა: გაუმარჯოს ნეფეს და დედოფალს! გაუმარჯოს, ეჯიბო, შენს ნეფეს!..

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! მოცალა, მოცალაო! — ისმოდა აღტაცებული ხმა.

წრუწუნას მალე მოედო ღვინო და მოჰყვა ბაიათებს. ისე მღეროდა, რომ წრიპინით ყველას ყურები გამოუჭედა. მერე ცეკვაც დაიწყო. ხალხს სიცილით ჰხოცავდა. იმას კაჭკაჭი აჰყვა და დავლურს უვლიდნენ ორივენი. ყვავებს მუცლები ხელით ეჭირათ, იმდენს იცინოდნენ ამ სურათის მნახველნი.

— უჰ, დავიღალეო, — სთქვა ბოლოს თაგვმა; მართლაც პირზე და გულ-მკერდზე ხვითქი გადასდიოდა. იქვე სუფრის ახლო წამოწვა. გამობურთული ფაშვი ზეცას მიაპყრო და ისე ჰქშინავდა.

სულ ბოლოს სუფრაზე ბულბული იჯდა; მგალობელი ჩიტი არა ლხინობდა, არ იცინოდა; დაღონებულ-დაფიქრებული უცქეროდა სეირს.

— მშვენიერო ბულბულო, რატომ შენს მშვენიერს ხმას არ გაგვაგონებო? — შესთხოვეს ბულბულს ფრინველთა.

ბულბული უარზე დადგა; განა ყოველთვისა ვარ სიმღერის იშტაზე, უგუნებოდ გახლავართო, — სთქვა მან.

როგორც იყო, ფრინველთა ხვეწნა-მუდარამ გასჭრა და ბულბულმაც დაიწყო. ფრინველთ ხმა გაკმინდეს, ბუზების ფრენა ისმოდა, ყვავილთ სული განაბეს და მოტრფიალე თვალებით შესცქეროდნენ მგოსანს. ბულბულმა დამღერა:

დიდება შენდა, ცათა მპყრობელო,
დიდება შენდა, ბუნების ძალო, —
დიდება, მეფეე გვირგვინოსანო,
და გადღეგრძელოს შენც, პატარძალო!
სიყვარულისას დავსწნავ გვირგვინსა,
სათნოებითა მოვქარგავ გარსა,
არ დავ-[illegible]ნებ, ყველას შიგ ჩავქსოვ,
თუ ქვეყნად რასმე კი ვპოვებ კარგსა.
და წრფელის გულით გამეტებულსა
იმას დაგადგამთ, ქალ-ვაქო, თავსა.
სიყვარულია თვით ჩემი გული,
სხვისაც თუ ენახე, მომიდებს ალსა,
დღეს თქვენი ტრფობა უდიდესია,
და მით იპყრობს ჩვენს გულსა და თვალსა.

ამ დროს შორი-ახლოს ხარი-ირემი გამოჩენილიყო და გულმოდგინედ უგდებდა ყურსა ფრინველთა მღერას, ბულბულის სტვენას. ბულბულის სტვენამ ნაღველი აღუძრა გულში. რაღაც მოაგონდა, თვალებზე ცრემლი მოუვიდა, ამოიოხრა და გაბრუნდა, მიეფარა უღრანს ტყეს.

ფრინველთ გააბეს საერთო მღერა. ერთს სიმღერას ამბობდნენ ყველანი, ხოლო თავ-თავიანთს ხმაზე-კი. ამ სიმღერაში ბუნების ქება იხატებოდა, ტყისა და დედამიწის მადლი. ამ მადლს მადლობას უძღვნიდნენ ფრინველნი. ამ დროს თვალის ვლებით გადმოიარა არწივმა; „არწივი, არწივი!“ გაისმა ხმა: „მეფე მობრძანდებაო!“ ერთბაშად ყველას ჩაუვარდათ მუცელში ენა, ხმის ამოღებას ვეღარ ჰბედავდნენ; ყველანი ცახცახმა, კანკალმა აიტანა.

მართლაც და საშინელი სანახავი იყო ამ დროს არწივი: რა უნდოდა? ერთის დატევების მეტი კი არ მოუნდებოდა, რომ მთლად ბურნუთად ექცია ფრინველთა ბრბო.

— რათ შეჰკრთით, ხალხნო? ხმა ამოიღეთ. განა მეფე ჩვენს შემუსვრას იკადრებს, მოიწადინებს?! — ეტყოდა ფრინველთ ჩხიკვი მოძღვარი: — თუ მეტყვით, ამ წუთას აქ მოვიწვევ მეფეს.

ზოგნი უარზე დადგნენ; იმის თვალების ბრიალს ვინ გაუძლებსო,

ამბობდნენ: ჩვენ კი ვეღარას ვისიამოვნებთ და რა იქნებაო. სხვებმა მოუწონეს, მოვიწვიოთ, მოვიწვიოთო.

მოძღვარი ჩხიკვი წავიდა სრიალით აღმა და გაუთამაშა წინ ფრინველთა მეფეს. არწივმა სიარული არ შეშალა, თითქოს ბუზი უფრინავდა წინა.

— გაუმარჯოს შენს დიდებულებას, ჩვენო მეფევ, — მისცა ქუდმოხდილმა ჩხიკვმა სალამი არწივს.

— გაუმარჯოს ჩხიკვსაც; — სთქვა მან დინჯად.

— ჩვენო დიდებულო მეფევ, გთხოვთ ქორწილში გვეწვიოთ. გთხოვთ გულით და სულით; მუხლმოყრით გეევედრება მთელი შენი საყმო; თუ გვიკადრებს შენი დიდებულება, დიდად მადლობელნი დაგრჩებით, თავს შემოგევლებით.

— შეიძლება, რატომ! — სთქვა არწივმა: — გამიძეღ წინ!

ჩხიკვი დაეშვა თავქვე და არწივმაც შემოიკეცა თავისი მძლავრი ფრთები და დაეშო თავქვე. ეს სურათი ცის მოგლეჯას ჰგავდა.

მთელი ფრინველთა გუნდი წამოიშადა და ჟივილ-ხივილით მიეგება წინ თავის მეფეს. არწივმაც თავისებური სალამი მისცა ფრინველთა კრებულს.

მოიწვიეს მეფე და დაესვეს თავში. ყველანი ფეხზე იდგნენ ქუდმოხდილნი. ბულბული არა სჩანდა მხოლოდ აქ.

— შეგიძლიათ დასხდეთ, — უთხრა მათ არწივმა და ფრინველნიც უფროს-უმცროსობის წესზე დალაგდნენ.

ეს ამბავი ორშაბათს დღეს მოჰხდა. ტყეში წასული ხალხი, თუ საშუშაოდ, თუ სანადიროდ, გაოცებული რჩებოდა. ამბობდა ყველა: ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმაც აღარსაიდან ისმისო.

ხალხმა რა იცოდა, თუ ფრინველნი ჩხიკვთა ქორწილში იყვნენ, — განცხრომასა და ქეიფში.

არწივს მიართვეს ღვინო ჯიხვებით. იგი დაუზარებლივ სვამდა და ძლიერაც გამხიარულდა; შემოსძახა თავისი საზარელი ხმით რაღაც საგმირო სიმღერა; ყველას ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— ღმერთო, — ეხვეწებოდენ ყველანი ღმერთს: — ღმერთო, ნუ გააჯავრებ ნურაფრით ჩვენს მეფეს, თორემ გაგვეუეავს ერთს წამშიო.

არწივი მაინც არა ჯავრობდა, სთხოვდა ფრინველთ ემხიარულათ, ემღერათ, ეცეკვათ, მაგრამ ფრინველთ რაღაც გუნება გადაუბრუნდათ. არ იცოდნენ, რა დაემართათ. რომ ფრინველებისთვის გაბედულება შეეცა, არწივმა უბრძანა შთაებერათ ბუკ-ნაღარისათვის.

ბრძანება იმავე წუთას ასრულდა და არწივმაც დაიწყო ბობღვა თავის მძლავრის კლანჭებით: სულ გათელა თითქმის ის ყვავილიანი ადგილი.

მაინც კიდევ ვერავინ ჰბედავდა თამაშობას. ბოლოს ისევ წრუწუნამ

გაჰბედა: ისეთი ლეკური დაუარა, ისეთს ბუქნაში ამოდიოდა, რომ მტვერი ცასა სწვდებოდა.

ერთხელ გატაცებული და გაცხარებული არწივსაც-კი გადაახტა თავზე. ცოტა არ იყოს, მეფეს ეწყინა ყმის ასეთი ბრიყვული ქცევა, მაგრამ ზრდილობისა და შემთხვევის გამო, არაფერი უთხრა, მხოლოდ შეუბღვირა კი ერთხელ ისე, რომ თაგუნამ შიშისაგან კინაღამ სული განუტევა. მაინც ამ შებღვერის შემდეგ წრუწუნა კაცად აღარ ვარგოდა, გახდა ავად, წავიდა და დაწვა ერთის ხის ძირას, ზედ ერთი ხმელი ვერხვის ფოთოლი წაიხურა.

ფრინველებში ყველაზედ თამამად კოდალა იქცეოდა. კარგა გადაკრულიც გახლდათ და ისეთს ბაიათებს გაჰკიოდა, რომ მთელი მთა-ბარი ინძრეოდა. კოდალა ეხლა იქამდის გათამამდა, რომ მეფესაც აუხირდა.

— შენ მეფობა ვინ მოგცაო, — უთხრა მან არწივს: — ჩვენ როდის ამოგირჩიეთო.

— ბიჭო, შე ოჯახქორო, სუ, გაჩუმდი, რას ამბობ, შე თავხედო? — წასჩურჩულეს ფრინველთა.

— არც გავჩუმდები და არცა! რად უნდა გავჩუმდე, რაო ჩემო?!.. — ამბობდა კვლავ შეზარხოშებული კოდალა. — თქვენ რა ხალხი ხართ? გული-გულში ყველას გეჯავრებათ, შვილოსან, და პირში-კი ვერაფერს ეუბნებით. ბიჭობა პირად თქმაა.

არწივმა ბევრი იცინა კოდალას ახირებაზე, მაგრამ ფრინველთა ითაკილეს მეფის შეურაცხყოფა, შეიპყრეს კოდალა, ნისკარტში წბილა გაუყარეს და იქვე ხეზე მიაკრეს. დაღონდა კოდალა, აღარ ილებს ხმას, არ ესმის, რისთვის დასაჯეს ასე სასტიკად.

ფრინველნი რომ ამ გაზიდულობაში იყვნენ, მელა მოჰპარვოდათ ახლო. დიდხანს უთვალთვალა ცბიერმა ცხოველმა ტყის პირიდან და უცდიდა დროს, ფიქრობდა, ჯერ კარგად დათვრნენ, მაშინაა ჩემი დროვო. მელა იმ დროს დაინახეს, რომ ის-ის იყო უნდა ნეფე-დედოფალისთვის ეტაცა პირი. ატყდა ხმა, ყვირილი, აიშალა ფრინველთა გუნდი, ხოლო ნისკარტდაღებული არწივი ეძგერა მელას და ერთს წამს სული გააფრთხობინა. ფრინველნი გაიფანტნენ: ზოგი ხეებზე შესხდა, სხვა მაღლა ტრიალებდა. დაბლა არწივი და კოდალა-ღა დარჩნენ; ავადმყოფმა თაგვმაც განგაშის ხმაზე სორო მოძებნა. არწივმა კოდალაც გაათავისუფლა და უთხრა: ეგ მიქარვა მიპატიებია, რადგანაც ნასვამი იყავი, დ, მერე აღარ გაბედო, თორემ ვაი შენს ტყავსო. თითონაც აფრინდა, აფრინდა მაღლა, თითქოს ცას მიეკრაო, და იქ ირგვლივ დაიწყო ტრიალი. ქეთევანი და ზაქარაც მიეფარნენ ულრან ტყეს: ერთმანეთის ალერსში და კოცნა-ხვევნაში გაატარეს ის დღე და საღამოთ ერთის წიფლის ტოტზე დაეძინათ გვერდის-გვერდ.

ბუნების მგოსნები

I

შაშვი ამჟამად თავისთავს გამარჯვებულად სთვლიდა. აღფრთოვანებული იყო: ღმერთს, ტყეს, მთებს, ცას, დედამიწას, — ყველაფერს მადლობას სწირავდა; მას აღარავინ სძულდა. ჩხიკვი, შაშვის მოსიახლე მტერიც-კი, მოკეთედ ეჩვენებოდა. დაავიწყდა, თუ რამდენჯერ დაუჭამა შეჩვენებულმა შაშვს ბუდეში გამოსაჩეკად გამზადებული კვერცხები; რამდენჯერ სრულიად ღლაპი, დაუბუმბლავი ბარტყები გადაუსანსლა; რამდენჯერ აატირა ცხარე ცრემლით, რამდენჯერ გააშწარა, ააშფოთა იქამდის, რომ შაშვის საცოდაობით ტყეც-კი ტიროდა. ვერხვის მთრთოლარე ფოთლები ცრემლს აფრქვევდნენ; მუხაც-კი, ყლდესავით მაგარი, რკინის გულის მქონებელი, სახეს იმეჭავდა და სატირლად ემზადებოდა... შაშვი სიმღერის გუნებაზე იყო მოსული.

ეს-ეს არის ეუეუნა წვიმამ გადაიღო. ჯერ ისევ ცხოვლად ჩანდა ნორჩ მწვანე ბალახებზე მარგალიტებად დაფანტული წვიმის ცვარი. არ ჩამობერტყილიყო იგი ხის ნორჩ ფოთლებიდან: თითო-თითოდ ჩამოდიოდა, ხმელ ფოთოლზე ცვიოდა, ტყეს აცოცხლებდა, ახმაურებდა.

შაშვსაც სიმღერა სწყუროდა... ეს-ეს იყო შაშვმა მთელი თავისი ოჯახი — თავის ბუდე, სადაც სამი ნახევრად ბუმბულით შემოსილი ბარტყი ეჯდა, გადაარჩინა. მისი შვილები ხომ გულუბრყვილოები, მინდობილები არიან: ვისაც დაინახავენ, პირებს უღებენ — გვაჭამე რამეო.

დედას ძალიან უყვარს იმათი ეღურტული, აღტაცებაში მოდის, როცა მისი შვილები ყვითლად დაფერილ ხახას აღებენ და თან პაწაწკინტელა მხრებს ასავსავებენ.

მაშინ შაშვი ამბობს: „თქვენ გენაცვალეთ, თავს შემოგევლეთ, ჩემო პატარებოვო! მტერი მოგაშორეთ, აგაცილეთ თავიდან — გავაბრიყვე; იმას ჰგონია — შაშვს, დედა-თქვენს, ჭკუა არა აქვს!“

შაშვი კიდეც იკვეხოდა თავის ჭკუას და მოხერხებას. რაში გამოიჩინა ჭკუა? — მოუსვენარი ვასო დაინახა, ჩიტთა ბარტყების მტერი, სახლი რომ გალიებით აქვს სავსე და შიგ სხვადასხვა ფრინველების ბარტყები ჰყავს დატყვევებული, მოთავსებული. მოდიოდა თავგადაგლეჯილი, თვალდაცეცებული, მოძვრებოდა ჯაგებში და ზედ უნდა წასდგომოდა შაშვსა და მთელ მის ოჯახს. შაშვმა თვალი მალე შეასწრო და ესღა მოახერხა: ცალი მხარი დაუშო, თითქო მოტეხილი აქვსო, დაჭრილად მოეჩვენა და გაუფრიალა ვასოს თვალწინ. მონადირეს გაუხარდა და დედა-შაშვს გამოეკიდა დასაჭერად. ვისღა აგონდებოდა

ბუდე და ბარტყები?!.. მიფორთხავს შაშვი და მისდევს თან ვასო. ჯერ იმედი ჰქონდა — ცოცხალს დავიჭერო; როცა ეს იმედი გაუცრუვდა, დაუწყო შაშვს ხისა და ქვის სროლა, მაგრამ ამაოდ. შაშვმა დაინახა, რომ მტერი შორს იყო, ასცდა მის შვილების ბინას, გაიმთელა ფრთა, შეინავარდა ცაში და მიეფარა ტყეში. მალე დედა-შაშვი თავის საყვარელ ბარტყებთან გაჩნდა: „მოგაშორეთ მტერი, მოგაშორეთ! ნუ გეშინიანთ, ჩემო შვილებო, ტკბილებო, მარგალიტებო! როგორ გავაბრიყვე ის სულელი ბავშვი: იმას ეგონა, მართლა მე ფრთა მქონდა მოტეხილი, იმედოვნებდა — უსათუოდ დავიჭერო; ასე რომ არ მოვქცეულიყავ, ჩემი ბინა- ბუდე ეხლა დანგრეული იქნებოდა და თქვენც, ჩემო შვილებო, ვასოს გალიაში ისხდებოდით დატყვევებულნი, მტირალნი... ეხლა ფიქრი ნუ გაქვთ, ღმერთი ჩვენთან არის“!

აი რისთვის იყო შაშვი გალაღებული, აი რისთვის მიეგება ის ბუნებას აღტაცებით და მტრების მიმართაც კი მტრობას აღარა გრძნობდა.

მგლოვიარე ქალი, მუდამ თალხებში ჩამჯდარი, მოეკლო კენწეროში თამელს იქვე, შვილების ახლო, და დაიწყო გალობა. მშვენიერი იყო შაშვის გალობა, ძალიან უხდებოდა მისი სტვენა ჩამავალი მზის მთის ფხიდან შუბის წვრად გამოძაბულ სხივებს, ტყეში, ხეობებში დაფანტულ-დაქსაქსულსა.

შაშვი ძალიან აღტაცებით გალობდა. ასე გულიანად გალობა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც თავის დღეში სიკვდილზე არ უფიქრნია, ვინც არ ფიქრობს — ერთხელაც იქნება მოვკვდები, შავ მიწას მივეფარებიო. რას გალობდა შაშვი? ნუთუ არ არი სიტყვები იმის გალობაში? ვიცით, გვესმის ის ლექსი, რასაც შაშვი მღერის? ვაი, რომ არ გვესმის და მხოლოდ უნდა მივხვდეთ. უნდა მივხვდეთ იმიტომ, რომ შაშვი მუდამ არ გალობს; მაგალითად, ზამთარში: ამ დროს უფრო დაღონებულია, დროს მხოლოდ საზრდოს შოვნას ანდომებს, როგორმე თავი გამოიკვებოს...

დიაღ, უნდა მივხვდეთ, უნდა ვიფიქროთ ასე: განა შეიძლება მაგ გულამოსკვნით ნათქვამ ხმებში არ იხატებოდეს თხოვნა — ღმერთო, მიცოცხლე, დამიზარდე ჩემი შვილებიო! — ღმერთო, აშორე მათ ყოველი განსაცდელი, დაიხსენ ყოველგვარ გაჭირვებიდან ისე, როგორც დღეს დაგვიხსენი! ოჰ, როგორ გმადლობ შენ, უფალო, რომ არ გაგვხადე მტრის ლუკმად!

როგორ დავიჯერო, შაშვი მადლობას არ ეუბნებოდეს ღმერთს, რომ მან შექმნა ბუნება ტურფა, საყვარელი და შაშვს მიანიჭა სიცოცხლე, — საუნჯე ტკბილი და უძვირფასესი? ვინ იცის კიდევ რას გალობდა შაშვი?!. ეს თქვენ გაიგეთ, ამას თქვენ მიხვდით...

გალობდა შაშვი და თავის გალობაში დნებოდა. მზემ მოკრიფა მთლად თავისი სხივები, ჩაიწყო უბეში, შეიხვია კალთაში, მოეფარა მთას და განისვენა. ბინდმა დაჰკრა. შაშვი, შეასრულა-რა თავისი მოვალეობა — სდუმდა; ჩაფრინდა ბუდეში და დააჯდა თავის ბარტყებს. შაშვმა რომ გალობა გაათავა, ტყემ, დაბლა ყვავილებით მორთულმა მწვანე ბალახმა, გორაკებმა და იმ სულმა წმინდამ, ჰაერთან ერთად შეზავებულმა, შაშვს მადლობა გადაუხადა: „გმადლობთ, გმადლობთ, იცოცხლე, იხარე; ღმერთმა ნუ დაადუმოს ნურადროს შენი ტკბილად მოუბარი ენა და ნურც შენს მსმენელს, მადლიერ ბუნებას, მოაკლოს მადლი, რათა კეთილად დააფასოს შენი ღვაწლი, მოგიხსენიოს მუდამ მადლობით, კეთილად“.

ამასობაში დაბინდდა და მთელი ბუნება საძილედ გაემზადა. სდუმდა შაშვი, მაგრამ ბუნებას სხვა მგოსანი გამოუჩნდა — უფრო დიდებული, უფრო ტკბილად მომღერალი, ვიდრე შაშვია: ბულბულმა დაიწყო გალობა. თუ მეტყველ ნაწილს ბუნებისას — ადამიანებს, გვყავს საკუთარი რუსთაველები, შექსპირები და ჰომიროსები, უტყვ ბუნებასაც — ტყეს, ფრინველებს, ცხოველებს ჰყავთ თავისი შექსპირი და რუსთაველი, ეს არის — ბულბული. მისი მშვენიერი, ტკბილი გალობა სული წმინდად ჰქმნიდა მთელ ბუნებას თავის ცით და დედამიწით; თავადაც დამდნარი, შეერთებოდა ამ სული წმინდას და ყოველი მსმენელის გული დაესვა თავის ლაღ, მსუბუქ ფრთებზე და ბედნიერად ქცეულს, არწევდა, აქანავებდა. ისეთი დიდებული და აღმაფრენის მომნიქებელი იყო ბულბულის სტვენა, — დამატკბობელი, გაკვირვებით და სიხარულით აღმვსები ყველასთვის, ვინც რას უსმენდა, როგორც მშობლისათვის დედისერთა შვილის მკვდრეთით აღდგომაა.

II

ბულბული რომ გალობდა, იქვე ჭალაში ამ დროს აივანზე ისხდნენ მოხუცი მღვდელი ეროდიონი და მისი ერთადერთი შვილი, სემინარიელი ვანო, და ჩაის შეექცეოდენ. მოხუცის ერთადერთი ნუგეში და იმედი აღტაცებით ისმენდა ბულბულის გალობას. მამა ეროდიონს სახეზე ნაღველი გადაეკრა, თვალები ცრემლით აევსო, რაღაც სამწუხარო ამბავი მოაგონდა.

— ოჰ, რა მშვენივრად გალობს; ცხონებულ დედაშენს ძალიან უყვარდა ბულბულის გალობა: საჭმელ-სასმელი ავიწყდებოდა და, მინამ ბულბული არ გაათავებდა გალობას, საბრალო დედაშენი, სმენად გადაქცეული, არ მოშორდებოდა აივანს, ყურს უგდებდა, ოხრავდა, ვიშვიშებდა, თითქოს ესმოდა დაწვრილებით, რასაც ბულბული გალობ-

და. ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი, რომ მაგ ერთი ბეწო ჩიტს იმოდენა უნარი მიეცი, რომ ციური სიამოვნება აგრძნობინოს ადამიანის სულსა და გულს; „ლოცულობს, ადამიანო, ლოცულობს“, — იტყოდა ცხონებული: — „მე დაწვრილებით მესმის მისი ლოცვაო, და იცი კიდევ რას ამბობს, რასა სთხოვს ღმერთსაო? ღმერთო, მუდამ ესე აყვავებული და ამწვანებული ამყოფე მთელი ბუნებაო. ღმერთო, შეიწირე ვედრება ობოლთა და დავრდომილთა. ღმერთო, კეთილად მოიხსენე სასუფეველსა შენსა იმათი სულები, ვინც წმინდად განვლო გზა ცხოვრებისა; გვაშორე სიკვდილი, უფალო, გვაშორეო, მიცოცხლე, ღმერთო, ჩემები, ვინცა მყვანანო“...

გაზაფხულობით კატას არ დააყენებდა სახლში, ბიჭს შორს წააყვანინებდა, გააშვებინებდა, სხვისასაც არ გააჭაჭანებდა თავის ეზოში — ბულბულებსა სჭამენ შეჩვენებულებიო. მართლაც — რამდენჯერმე ვიპოვნეთ ბულბული ჩვენი ვარდების ძირში, სადაც ბულბულებს ღამე ცხოვრება და გალობა უყვარდათ. გალობის დროს-კი ძალიან ადვილად დაიჭერს ჯერ ადამიანი, თორემ კატა რას გაუშვებს, იმიტომ, რომ თვალდახუჭული გალობსო... დიდად გვასიამოვნებდნენ მართლაც ბულბულები, მახარობლებივით მოფრინდებოდნენ და გვატკბობდნენ. მოკვდა დედაშენი და ბულბულებმაც ხელი აიღეს ჩვენს ბაღზე: ეხლა შორიდან გვაძლევენ სალამს, — დაამთავრა სიტყვა ამოოხვრით მოხუცმა.

— მართლაც დიდებული მოვლენაა, მამაჩემო, ბულბული ბუნებაში: საზოგადოდ — მგალობელი ჩიტები. მე ასე ვფიქრობ: ბუნება წარმოდგენებს მართავს და არტისტები მღერიან, — მცენარენი, ცხოველები, ფრინველნი, საერთოდ მთელი ბუნება სტკბება არტისტების მღერით. საღამო ხანზე ხომ გაიგონეთ — შაშვმა იგალობა; დაღამდა, და ბულბულმა დაიჭირა მისი ადგილი. დაბალი ხარისხის მომღერალნი ხომ აუარებელია.

— ბუნების წიაღში წარმოდგენები იმართება-მეთქი, ვამბობ, და ეს სრული ჭეშმარიტებაა. მსახიობნი უმთავრესად ჩხიკვები არიან. ბუნებას ისე უყვარს ხელოვნება, როგორც ჩვენ. ან კი ჩვენ, ადამიანებს, სად შეგვიძლიან ისე შევიყვაროთ ხელოვნება, როგორც თვით ბუნებას, რომელიც თავისთავადაც ხელოვნებაა?! მერე, რა მიყვარს მაგ იდეალურ არტისტებისა? ჰო, შენი ჭირიმე, როგორ არაკრაკებს ხმასა! — თავის დღეში სასყიდელს არა თხოულობენ, არც ვინ საჩუქრებს უგზავნის. მშვენიერებაზე მშვენიერებაა!.. — ამბობდა აღტაცებით ვანო.

„რაში უნდა მოიხმარონ ან კი საჩუქრები? — წარმოსთქვა მამა იროდიონმა: — რას აქნევენ ოქროს და ვერცხლის საჩუქრებს?!. ჩვენ რა ვიცით, რომ თავიანთებურად კიდევაც არ უმართავენ? ჩვენ როდის ვადევნეთ თვალ-ყური ფრინველების ყოფაქცევას? არც როდის“.

„მართლაც რა ტურფა სანახავი იქნებოდა, — ამბობდა ვანო აღტაცებით, — მენახა ჩემის თვალით ბულბულის იუბილე. როცა ჩვენ ქალაქში ხეხილი აყვავებულია და ყვავილების სუნი ნისლივით დასწოლია ზედა, ჰაერი მთელი ყვავილების სუნად არის გადაქცეული, — იქამდის, რომ ადამიანს ათრობს, ჰბნედავს, გარს შემორტყმული მაჩვენა ბულბული ფრინველთა დეპუტაციით. ნუთუ დარჩებოდა ისეთი მოდგმა ფრინველებისა, რომ მოსალოცად თავიანთ დეპუტატს არ გამოგზავნიდა?.. რა სათქმელია, რა წარმოსადგენია?.. არის სადმე განა ისეთი ფრინველი, რომ არ სმენოდეს ბულბულის გალობა და არ დამტკბარიყოს მის ტკბილხმოვანებით? არა მგონია. მაშასადამე, უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რამოდენა სხვადასხვა ფრინველი მოიყრიდა ბულბულის გარშემო თავსა და რომელი ფრინველი რას იტყოდა; ვინ რა სიტყვას ეტყოდა და ან ბულბული რა სიტყვით გადაიხდიდა მადლობას? ოჰ, მამაჩემო, რა დიდებული სურათი იქნებოდა! მეც იქვე სადმე ბარდში ჩამსვა ისე, რომ ვერავის დავენახე: მეცქირა ფრინველთათვის, მომესმინა იმათი ნათქვამი, ჩამეწერა რვეულში, დამებეჭდა და გამევრცელებინა ხალხში. განა იმაზე ლამაზ საკითხავს წიგნს კიდევ შეხვდება ადამიანი? არა მგონია.

„ეხლა-კი მხოლოდ უნდა დაახლოვებით გავიმეოროთ ის, თუ რა ჯიშის ფრინველთა დეპუტატი რას ეტყოდა ბულბულს. წარმოვიდგენ, მაგალითად, რასაც ეტყვის არწივი. პირველად უნდა მიულოცოს, როგორც ფრინველთა მეფემ: „შენ, ეი, ჩიტუნიავ, მე, არწივი, თქვენი მეფე, მოვედი, მოგილოცო შენი დღესასწაული; ამით თავს ნუ მოიწონებ, ნუ გაბრიყვდები, კვლავ ასიამოვნე ფრინველნი შენის გალობით. მეც გამიგონია შენი გალობა, მაგრამ უნდა გითხრა: ისე არ მომწონს, როგორც უმრავლესობას, რადგან შენი გალობა ერთობ ნაზია, ლაჩრული: არ გამოისმის მასში ჭექა ვაჟკაცური. შენ თავადაც, როგორც სუსტი აგებულობისა, გალეული, უღონო ხარ და ამასთან ლაჩარი; ეგ არა ჰშვენის არავის. მამაცობა და გაბედულობა არის უპირველესი ღირსება ყველასათვის. შენ, ვგონებ, რომ ღობემძვრალასაც კი ვერ გაუმკლავდები. ეგ ვერაფერი ბიჭობაა. გაგიმარჯოს და ეს ჩემ მიერ აღნიშნული ღირსებაც მოგანიჭოს ღმერთმა!..“

გაისმა „ვაშას“ ძახილი.

„ბულბული მიუგებს პასუხად: „დიდებულო მეფევ! მე არ გახლავარ შეომარი და სისხლის მღვრელი. რაში გამომადგება, ეგ რომ შევიძინო? მაშინ, რაც ღირსება მაქვს, დავკარგავ და აღარც ვიქნები ბულბული. მოსისხლე სული და გული ვეღარ გამოსცემს იმ ხმებს, რისთვისაც მეშადლიერებიან ყველანი. თუნდა ესეც არ იყოს, ჩემი გულადობა ვისთვის რა საშიში უნდა იყოს? ბალახის რაიმე მარცვლის შეჭმის დროს

თუ არ ვიფთხვე, ნისკარტი მომტყდება, და თუ მაგრად, კარგად არ ჩავავლე რაიმე ტოტს ფეხები, მაშინათვე მომეგრიხება: ლამის არის ისინიც დამემტვრას! ბუნებამ ჩემთვის გაიმეტა მხოლოდ ხმა და გალობის უნარი; დანარჩენს ტყუილად შევეპოტინები:. არაფერი გამოვა. თქვენი დიდებულების ჭკუა-გონება ამას ძალიან კარგად მიხვდება. თქვენ რაც ისურვეთ ჩემთვის, დიაღაც კარგია, მაგრამ...“

„ბულბული გაჩუმდა და თავი დაბლა დაჭიდა... ფრინველთ, რასაკვირველია, „ვაშას“ ძახილით დაადასტურეს ბულბულის სიტყვა, ხოლო არწივმა ბღვერით გადაუნათა თვალები; ამავე თვალებით თითქო ისიც ეთანხმებოდა ბულბულს, თუმც მისდამი სიბრალულიც-კი გამოხატა. არწივი გაბობღდა გვერდზე; ამით გზა გაუხსნა ფრინველებს, ბულბულს რიგ-რიგით წარსდგომოდნენ და გამოეცხადებინათ მისთვის თანაგრძნობა.

„არწივის შემდეგ გადმოაფლაშუნებს სვავი; სხვებს როდი აცლის: ცდილობს, უნდა კარგი რამ წარმოსთქვას, ახრანტალებს ყელში, და ბოლოს, როგორც იყო, გამოაგნო სიტყვები, ხოლო თვალი უფრო არწივზე აქვს, ვიდრე ბულბულზე: ცდილობს თავის ლაპარაკით მოეწონოს ფრინველთა მეფეს, რადგან იმის ნარჩომით ბევრჯელ გამაძღარა და იმედი აქვს შემდეგშიაც არ მოაკლებს მეფე მოწყალებას; სვავს ბულბულის პიროვნება მაგდენად არ ეპრიანება. სვავი იბღინძება, თავი მოსწონს ტანადობით, ახოვნობით. თავისთავს თითქმის არწივის ტოლამხანაგად სთვლის, რაიც ფრინველთა უგუნურობას ღირსეულად ვერ დაუფასებია; თვალებს თავმომწონედ აბღვრიალებს და ჩიჩახვს ისიებს. ფრინველები სიცილით იხოცებიან. ზოგი ესწრაფვის დაუყვიროს: დაიკარგე მანდედანაო! მაგრამ სხვები აჩერებენ: — მოითმინეთ, ვნახოთ, რას იტყვისო.

„სვავი ცდილობს ლაპარაკში არწივს მიჰბაძოს, კილო არწივისა მიიღოს: „შენ, ჩიტუნიავ, მომილოცნია (რას ულოცავს, ის ავიწყდება: ალბათ არ იცის); ძალიან პატარა ყოფილხარ, და სახელი-კი დიდი გაქვსარ ვიცი, ღმერთმანი, ასე რადა ხდება? მე შენი გალობა ბევრჯელ მესმის და კმაყოფილიცა ვარ, მხოლოდ ერთი რამა მწყინს: შენი გალობა ლეშის მადას მიკარგავს; ცოტა ეს არ მომწონს (ფრინველებში სიცილია). თუ კარგად დაუგდო კაცმა ყური შენს გალობას, გულში ეწვეთება ისეთი მძიმე, მწვავე ცვარები. არ ვიცი, ეს ცვარები რისაა, მხოლოდ ვგრძნობ და ვიცი ის, რომ გულზე აღიბეჭდება და იწერება შემდეგი სიტყვები: ნუ მოჰკლავ, სისხლს ნუ დაღვრი! მაშ რა ვქნათ? ბალახი ვძოვოთ? ამ ბრიყვებს (უჩვენებს ფრინველებზე), ბოდიშს ვითხოვ, დიდებულო მეფევ, შენთან, ჰგონიათ, რომ მე თავში ტვინი არ მაქვს და არაფერი გამეგება წუთისოფლისა. ჰმ! მაგათ როდი იციან

თქვენს გარდა, დიდებულო არწივო, რომ რაც მარტოკა ჩემს თავში ტვინია, ყველა მაგათ თავში იმის ნახევარიც არ მოიძევება. კარგ მთქმელს კაი გამგონეც უნდაო, ნათქვამია. ეჰ, რა გაეწყობა... მახლას! და შენ კი, ჩიტუნიავ, ვგონებ ეს იმიტომ გეთქმევა, ყველას გვაგონებ, რომ, ჯერ ერთი, ვერავის ვერ მოერევი, რომ მოჰკლა, შენი სისუსტისა გამო, როგორც უკვე აღნიშნა ჩვენმა დიდებულმა მეფემ; და მეორეც — შენ ხორცს არ მიირთმევ. აი, ამიტომ ვამბობ: ეგ ზემორე აღნიშნული სიტყვები რომ გამოაკლო შენს მღერას, მაშინ უკეთესი მგალობელი იქნები“.

„ამით დაამთავრა სვავმა თავის სიტყვა, რომელმაც დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვია მგალობელ ფრინველთა შორის. მაღლიდან, სვავის შეუმჩნეველად, ჩხიკვი ქოქოლას აყრიდა თავზე.

„ბულბული გაჩუმებული და გამტკნარებული იჯდა და ხმას არ იღებდა.

— გზაა, გზა! — დაიძახა მჭეკარე ხმით შავარდენმა: — მოშორდი მანდედან, შე წუწკო, სხვისა ნასუფრალით მცხოვრებელო, უმადლო, უოფლო! განა შენ გამოგეყოფა გარეთ თავი? ჭკვასაც რომ კვეხულობს! ოღონდაც და ჭკვა აქვს, თავად ნადირობის შნო არ მისცა ღმერთმა, მარტო ჩვენ გვითვალთვალებს: რა დაგვრჩება, რომ მიფრინდეს უნა-მუსოდ და გადაყლაპოს. წამომდგარა და როგორი რიხით ლაპარაკობს, თანაც ბულბულს არიგებს, თითქოს შეეძლოს დაფასება.

„დიდებულო მგოსანო, იქნებ არც მე მესმოდეს ეს შენი ღირსება სრულიად: როგორც მტაცებელ და მოსისხლე ფრინველს, მე სრულიად სხვა წარმოდგენა მაქვს კარგზე, სიავეზე. ისე ვარ აღზრდილი და იმის-თანა ზნე-ჩვეულება მაქვს შესისხლხორცებული, რომ შენი გალობა და შენი ვინაობა თითქმის არც-კი უნდა მეპრიანებოდეს; მაგრამ ეს ასე არ არის. მე კარგად მესმის შენის გალობისა, თვით შენი მნიშვნელობა; შენ რომ არა გვყავდე, ფრინველები ერთმანეთს მუსრს გავავლებდით, შა-ვარდენი შავარდენს აღარ დაინდობდა; შენი მშვენიერი ხმა ჩვენ სასტიკ მოსისხლე მადას გვინელებს; ეს ჩემ თავზე გამომიცდია. როგორა ვსთქვა ტყუილი, და იმიტომაც გავეცი სასტიკი ბრძანება, რომ ქორს, ალალს, მიმინოს და სხვ. არ შეეძლოთ შენ ხელი გახლონ, რამე დაგიშაონ. იყავი გამარჯვებული და იცოცხლე მრავალ ჟამიერ!“

„შავარდენს ლაპარაკი ძალიან უხდებოდა და ყველაზე მეტად ის, რომ საუბრის დროს მშვენიერ თვალებს მოხდენით აფოფინებდა...“

მამა იროდიონი შვილს გულდასმით ყურს უგდებდა, თვალები და სახე უბრწყინავდა.

— შემდეგ ვინღა მიულოცავს? — დაეკითხა მოძღვარი ვანოს.

„მტაცებელ ფრინველებს ვერ ენდობიან მშვიდობიანი ფრინველები: მიკუნჭულან ზოგი ბარდებში, სხვები — ფოთლებით შებურულ ხეებზე სხედან. ესწრაფვიან მილოცვას გვრიტი, ქედანი, და ხოხობი, მაგრამ შიშისაგან ვერა ბედავენ, თუმც ამჟამად საერთო დადგენილების ძალით არ შეუძლიან ერთმა მეორეს ხელი ახლოს. ვერა ბედავენ, დიალ, მიულოცონ ბულბულს და მოუთმენლად მოელიან იმ წუთს, როდის გაიკრიფებიან აქედან მტაცებელი ფრინველები, რომ იმათ დარჩეთ ბურთი და მოედანი. ყველაზე გულადად და თამამად ჩხიკვი იქცეოდა: ხუმრობდა, აჯავრებდა ხან რას და ხან რას, ფრინველებს აცინებდა, ერთ ადგილას არ ისვენებდა: ხან სად ამოყოფდა თავს და ხან სად.

„მტაცებელ ფრინველთა გუნდში ყორანი ჰყაყვავდა თავსა: ეტყობოდა, ეწადა მიეღოცა ბულბულისათვის; ერთხელ კიდეც დაიყრანტალა ისეთი საზარელი ხმით, რომ ყველას ტანში ერუანტელმა დაუარა. მაგრამ როგორც ყორანს, ისე სხვებს, არწივი ახევინებს უკან თავისი სასტიკი ბრძანებით:

— ახოვანნო ფრინველნო, ვაჟკაცნო ხმლიანნო, დაიწიეთ უკან, უკან; ცოტა შორს დადექით. ნება მივცეთ სუსტ, უძლურ ფრინველთ მიესალმნენ თავიანთ თანამოძმესა! — ბრძანა არწივმა.

„მისი ბრძანება იმ წუთსავე ასრულდა.

„ან კი ვის შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია?

„გადმოფრინდა ქედანი, მივიდა ბულბულთან ახლო, კოცნიდა, ეხვეოდა, — ნისკარტს ნისკარტზე უსვამდა. თვალთაგან ღაპა-ღუპით ცრემლი ჩამოსდიოდა: — იცოცხლე, გენაცვალე, თავს შემოგევლე, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ძვირფასო, ჩვენო ლამაზო, ჩვენო დიდებავ! ვითომ ჩვენცა ვართ ქვეყანაზე? ჩვენც ფრინველები გვქვიან, ჩვენც ვითომ ვგალობთ? განა ღირსი ვარ სიცოცხლისა? ჩემ სიცოცხლეში მხოლოდ ერთადერთი სიმღერა ვისწავლე, ისიც შენი ზედგავლენით, და როცა გალობა მომინდება, მოვყვები საცოდავად დვრინვა-ლუღლუღს: „თეთრო თევდორე! მომცენ ბოლონი, წითელ-ყვითელნი, საქორწილონიო“ [1]. უსაზღვროდ გმადლობ, ძვირფასო მგოსანო, რომ შენმა მღერამ, დიდებულმა ჰანგმა და ტკბილმა ხმებმა აღმზარდეს ასეთი მშვიდი და უვნებელი ფრინველი: — ყველა მლოცავს, ყველას ვუყვარვარ და ლოცვა-კურთხევით ვიხსენიებიო.

„ქედანი ვეღარა ჰშორდებოდა ბულბულს, თავს ევლებოდა ისე, რომ გაუწყდა სხვა ფრინველებს მოთმინება: იგრიალა ათი-ათასმა ფრთამ, ათასნაირი გვარისამ, და შემოერტყა ბულბულს გარშემო.

---

[1] ხალხს ასე ესმის ქედნის ღუღუნი.
ავტორის შენიშვნა.

— ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ისე შეაწუხეს საბრალო, რომ კინაღამ ამ გაზიდულობაში არ შემოაბდღვნეს ტანზე რაც ბუმბული ჰქონდა. აღარ აცლიდა ერთი მეორეს ლაპარაკს. ზოგი აქებდა, სხვა ბოდიშს იხდიდა, მესამე ჯურისანი მადლობას უხდიდნენ. მაგალითად — ბულბულს ხოხობი დედას ეძახოდა:

— შენ დედა ხარ ჩემი, დედაზე მეტი, რადგან დედას ძილი მოეარევა, წაართმევს თავსა, — ეუბნებოდა ხოხობი ბულბულს: — და შენ კი ღამე მიგალობ აივნანასა, როცა მე ბარდებში დავგოგავ, ან სიარულით, სირბილით დაღლილს რომ ჩამთვლემს. როცა შენი გალობა მესმის, სამოთხეში მგონია ჩემი თავი.

„მერცხალი ბოდიშს იხდიდა, ამბობდა: — მეც, საცოდავი, ვითომ ვგალობ, მაგრამ წყევა-კრულვის მეტი ვერაფერი მითქვამს. სად შემიძლიან შენ შემოგწვდე, დიდებულო მგოსანო: შენ ერთთავად ლოცულობ და შენი პირიდან არადროს სამდურავი არ ამოვა, წყევას ვინ იტყვის; მე-კი, ან კი რა ვქნა, როცა ბაბრაზებენ, რომ არ დავიწყევლო, არა მაქვს მოთმინება, ვიწყევლები: „ბებერ, ცხონდი, ბებერ, ცხონდი, ყმაწვილები ელიტო!“

„კაკბები და გნოლები სთხოვდნენ: ზაფხულობით მთაში კვეწვიე, უსათუოდ თან წაგიყვანთ, რადგან აქ ცხელა და იქ გრილა და თანაც შშვენიერი ჰაერი არისო. დიდხან უნდა რჩებოდე ჩვენთან, შენ-კი მოგვეჩვენები და მაშინათვე თავს დაგვანებებო... რამდენი ღამე ღამეს სცვლის: ვუცდით მოუთმენლად სადმე გორაკზე, კლდესთან, ქვასთან ატუზულნი — გავიგონოთ შენი ხმა, მაგრამ ამაოდ; აგვაბირებ საწყლებს ტყუილ-უბრალოდ.

„ჩხიკვი ბევრსა ცდილობდა და ბევრსა ჩხაოდა: ჯერით იყოს ლაპარაკიო, მაგრამ ამას ყურს არავინ უგდებდა!

„არწივის ამალიდან დაეთხოვათ ყვავი და ძერა. გამოედევნათ და ისინიც უვნებელ ფრინველთა გუნდში ტრიალებდნენ.

„ჩხიკვი იმდენს ბულბულზე არა ლაპარაკობდა, რამდენსაც ამათზე.

— ბატონებო და ქალბატონებო, — იძახდა ჩხიკვი: — სმენა იყოს და გაგონება: ჩვენ ყველანი, მართალია, ბულბულს ვაქებთ, მაგრამ გარდა ბულბულისა აქ სხვა მგალობლებიც გახლავან; კარგად ააბილეთ თვალები და კარგად დააცქერდით. ხედავთ? აი დიდებული ყვავი და აგერ სახელოვანი ძერა, რომელთა გალობა მე ძალიან მომწონს, თუმც ჯერ მათი მღერა კრიტიკულად არ დაფასებულა და ერთ დროს იქნება რომ ბულბული დაგავიწყდეთ და ყველას ყვავისა და ძერას სახელი ეკეროს ენაზე. ძერას გალობა, მაგალითად: თქვენ ეხუმრებით, ცაში როგორ ტრიალებს და თანაც წვრილს ხმით „წიო-წიოს“ იძახის და ყვავს ხომ დილა-საღამო, ზამთარ-ზაფხული არაფრად გააჩნია, ზის—ჩახვის, დაფ-

რინავს — ჩხავის. უნდა მაგათაც გაუმართოთ იუბილე, მხოლოდ ეხლა ერთსა გთხოვთ, ბატონებო, ყველას: შემოკრბეთ ერთად. მღერა ავად თუ კარგად ყველასაც შეგვიძლიან: შევკრათ ხორო და ერთი სიმღერა შევაწიოთ ჩვენს ძვირფას მგოსანს, ხოლო პირველს ყვავი და ძერა იტყვიან. მე და კოდალა მოძახილს გეტყვით და დანარჩენები ბანს.. ვნახოთ, რა გამოვა.

„ფრინველნი სიცილით იხოცებოდნენ; შემოკრბენ ერთად ყველანი და ააგუგუნეს ერთხმად დიდებული სიმღერა. ისეთი ჟრიამული ასტყდა, რომ ტყე ზანზარებდა. არწივმა და მის ამალამაც იმღერა საუცხოვო ჰიმნი, დიდებული სანახავი იყო ამ დროს ფრინველთა კრება“.

— სხვა არაფერი? ეგ არის, მორჩი? — დაეკითხა მოხუცი ვანოს.

— მორჩა და გათავდა, სხვა რაღა დამჯღლდა, არ ვიცი? — მოუგო ვანომ მამას.

— ბევრი რამ, ჩემო ძვირფასო შვილო, სხვათა შორის თუნდ ის, რომ ამ დროს ერთმა ქეციანმა ტურამ რომ დაიჩხავლოს, რა მოხდება? ერთ ქეციან ტურას შეუძლიან ჩაფუშოს ფრინველთა სიამოვნება და გაფანტ-გამოფანტოს ფრინველთა გუნდი, — სთქვა კვალად ღიმილით მამა იროდიონმა...

— ეგეც შეიძლება მოხდეს და სხვაც ბევრი რამ; ყველა როგორა ვსთქვა, ყველა მე როგორ მოვიგონო? ზოგი იმან მიუმატოს, ვინც ამ ჩემს ნაამბობს გაიგონებს, — მიუგო ვანომ არანაკლებ მხიარულად.

მამა და შვილი რომ ბულბულის იუბილეზე ბჭობდნენ, ეს უკანასკნელი კეთილხმოვანებას ჰფენდა მთელ არემარეს; აერთებდა ცას და დედამიწას; აზავებდა ერთს მეორესთან ისე, კაცს ეგონებოდა, რომ ამიერიდან ცა ჭიანჭველასაც-კი არ გასჭყლეტავდა დედამიწაზე, განაღამც დაუშავებდა რასმე ადამიანს.

სათაგური

I

ქალაქიდან ძია ესტატე ღამეღა იყო, როცა სახლში მოვიდა. მეორე დღეს შობა თენდებოდა. ძალზე მოერეკებოდა შინისაკენ ესტატე თავის „მერანს“, რომ შობა დღეს საკუთარ ოჯახში ყოფილიყო. „მერანიც“ თავს როდი ზოგავდა: მოძუნძულებდა გაყინულ გზაზე და, როგორც მოხუცი ყავარჯენს, ისე მოაბაკუნებდა დაუძლურებულს ფეხებს; ყურებს, თითქოს დამტვრევიაო, უხეიროდ ატლაკუნებდა. სიბერე;

ძნელია, გმირს როსტომსაც კი მოჰრევიაო, ნათქვამია, და, რასაკვირველია, ესტატეს მერანი დაეუძლურებინა. პატრონი მაინც დღესაც გაყიდვას არ უპირებდა, თუმც მისი ცხენი ოცს წელს გადაცილებული იყო და მუშტარიც ბევრი ჰყვანდა. ვინ იყვნენ, თუ იცით, ესტატეს მერნის მუშტრები? წვრილი მოვაჭრენი: ჩარჩები, ქათამ-კვერცხის, წვრილმანის მყიდველ-გამყიდველნი, რომელნიც სუნით დაეძებენ იაფფასიან საქონელს ცოტა ხნობით ხელის მოსანაცვლებლად. მაგრამ ესტატე დიდს უარზე იდგა:

— ჩემი ცოცხალი თავით მერანს ვერ მოვიშორებ, დიდი ამაგი აქვს ჩემზედ; აქაო და დაბერდაო, ამიტომ ავიღო და ჩარჩებს ჩავუგდო ხელში, რომ ტყავი გააძრონ? ბებერი ვარ, მაშ ჩამსვით გოდორში და დამაგორეთ კლდეზე! ეგ არის თქვენი სამართალი?! გაყიდვა არ შაიძლება; უნდა ჩემს ხელში მოკვდეს! — ამ პასუხით ისტუმრებდა ესტატე ყველა მუშტარს.

ძია ესტატე მეტისმეტი კეთილი, სათნო ადამიანი იყო: იმისგან წყენა სოფელში პირუტყვსაც კი არ მოაგონდებოდა, განაღამც ადამიანს. მხიარული, ღაჟღაჟა, მუდამ მოცინარი, გადაპენტილი სახისა, ოჯახის გაურაში და მოჩხუბართა შერიგებაში აუცილებელი შუაკაცი იყო და ლხინში — თამადა.

— ჰაა, აბა შერიგდით! — ეტყოდა ესტატე მოჩხუბრებს: — რა გაჩხუბებთ, თქვე კაი კაცებო, განა სულ ცოცხლები ვიქნებით, ხომ უნდა დავიხოცნეთ?! ეს ჩვენი წუთისოფელი წუთია; სიამოვნებით გავატაროთ, იმას რა სჯობია! სისხლი სისხლით არც დაბანილა, არც დაიბანება; სისხლს წყალი დაჰბანს მხოლოდ. აბა, მოდით, ჯერ მე მაკოცეთ, მერე ერთმანეთს აკოცეთ; თუ რამ საჩხუბარი გაქვთ, იმას რა სჯობია — დინჯად მოლაპარაკებით გავათავოთ. მუშტი-კრივით ვის რა გაურიგებია, თქვენ გაარიგოთ?! ოღონდ შერიგდით და სადილი ჩემი იყოს.— ესტატეს არც შუაკაცობა მოუცდებოდა და დანაპირებსაც ხელად აასრულებდა. ხელობით სოფლის დალაქი იყო და თავისთვის ტკბილად ცხოვრობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი, ცოტაოდენი სახნავი მიწა, ერთი თვალი წისქვილიც უბრუნავდა. ძმათმოყვარეს, კეთილს, სათნოს, უწყინარს, პურადს, გულადს და ამასთან ხანში შესულს ადამიანს სოფლელებმა ძია ესტატე დაარქვეს. ყველა, დიდი და პატარა, ესტატეზედ ხნიერებიც კი „ძიას“ ეძახდნენ.

ესტატეს ხანდახან ხუმრობაც უყვარდა. როცა, მაგალითად, ქალაქიდან მოაძუნძულებდა თავის რაშს და გზაში ნაცნობები მიესალმებოდნენ:

— ძია ესტატეს გამარჯობა! საიდან? საიდან?

— იერუსალიმიდანაო, — უპასუხებდა.

ქალაქში მიმდინარს თუ შეეკითხებოდა ვინმე:

— საით? საითკენ გაგიწევია?

— იერუსალიმშიო, — უპასუხებდა და თან გულიანად იცინოდა: — არა, ეგ ოჯახქორები რომ მკითხავენ, საით მიემგზავრებიო, როგორ არ იციან, კატის მანძილი საბძელია. არა, თუ არ დაგიშლია, მე და ჩემი ცხენი განჯა-ერევანს, ტრაპიზონს ან თეირანს წავალთ. თუ ჩავალთ ქალაქში, სხვაგან სად უნდა წავიდეთ? ეჰ, განა არ იციან, მაგრამ ჩვეულებაა, ეგეც ერთი რამ სალმის სანელია.

II

ესტატე ჩვეულებისამებრ ზარხოშად იყო, როცა სახლში მოვიდა. ცხენი თავის ერთსართულიან სახლის მოაჯირთან ისე ახლო მიაყენა, რომ „მერანს“ თავი დერეფანში გადააყოფინა და დაიძახა: „ოჯახიშვილებო, გამოიხედეთ, სტუმარი არ გინდათ?“ შინ ფაცაფუცი შეუდგათ „პაპა მოვიდა, პაპა მოვიდა“, გაიძახოდნენ ესტატეს შვილიშვილები სონა და კოლა: გოგო ექვსი წლისა, ხოლო კოლა რვისა. „სანთელი მოანთეთ, სანთელი! — იძახდა ესტატე: — რა დაგემართათ, ხომ არ დაიძინეთ?“

ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ პატარა ხელის ლამფით გამოვიდა კარში მსხვილი, ჩარგვალებული დედაკაცი, მეუღლე ესტატესი, ეფემია.

— ოჰ, საღამო მშვიდობისა, ეფემიავ! ჰაა, როგორა ხარ, სულიკოჯან! მე კარგად ვარ, ძალიან კარგად. ცოტა შემციედა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! რა არის, კაცო, ამ ღამე სიარული? სხვა არა იყოს რა, ნადირისა მაინც არ გეშინიან? — სთქვა ეფემიამ.

— რა ვქნა, დამიგვიანდა. ნადირიო? განა მე ნადირი მერჩის? სამგლე და ნადირის შესაშველი ხალხი ცოტაა განა? — სთქვა ესტატემ.

— პაპა, სათაგური არ მოიტანე? — ჰკითხავდენ ესტატეს დაჟინებით სონა და კოლა. — ჩუსტები, წაღები, საკაბე? — შესტიკტიკებდნენ მოაჯირზე მიყრდნობილი ბალღები პაპას.

— ყველაფერი მოგიტანეთ, შვილებო, ყველაფერი! — უპასუხებდა ესტატე და თან ხურჯინსა ჰხდიდა. ამ დროს მისმა მერანმაც დაიხვიხვინა და ისეთი ორთქლი გამოუშვა ნესტოებიდან, რომ ეფემიას კინაღამ ლამფა გაუქრო.

— რა იყო, ჰოო, კარგი, ცხენო?! — სთქვა მან გაჯავრების კილოთი.

— ქერი უნდა საწყალს ჩემ მერანს, — სთქვა ესტატემ, — მაგრამ ჯერ დაღლილია, დაისვენოს პატარა ხანი და მერე ვაჭამოთ: ცოდოა,

ძალიან გამოვრეკე. — ესტატემ ტანიდან აიხსნა მოხვეული ნაბადი და ცხენს გადააფარა; ხოლო თავად ყაბალახით თავ-ყურშეხვეული, ხურჯინით ხელში, გაჰყვა უკან თავის დედაკაცს, რომელიც წინ მიუძღოდა. ესტატემ გახურებულ ბუხარს მიაშურა. ხურჯინი ტახტზე დასდო.

— სანდრო როგორ იყო? ვენაცვალე იმას სიყმეში! — ჰკითხა ეფემიამ, ვიდრე ესტატე ბუხარს მიუჯდებოდა.

— ძალიან კარგად არის. ჯამაგირიც მოუმატებიათ: თვეში სამი თუმანი აქვს, — სთქვა ესტატემ თავმომწონედ, რომ ასეთი ყოჩაღი შვილი გამოუვიდა. ეფემია ღმერთს უმადლოდა, ხოლო რძალმა სოფიომ მამამთილს მიაშურა და ლეკური ჩუსტების ხდა დაუწყო. ბავშვები მიეხვივნენ პაპას და აღარც აცდიდნენ ლაპარაკს: სათაგური, ჩუსტები, საკაბე და ამისთანები იყო იმათი სალაპარაკო. ეტყობოდათ, რომ უფრო სათაგური ენიაზებოდათ ყველაზე მეტად. პაპამ ორივენი გადაჰკოცნა და აღუთქვა, რომ მალე ყველაფერს ამოართმევდა ხურჯინიდან:

— ცოტა ხანს დამაცადეთ, შვილებო, ხელები მოვითბო, მცივა, უფრო კარგად ამოვალაგებ ხურჯინიდან ყველაფერს. ამისთანა ხელებით რა ამოვიღო?! აი ნახეთ, როგორ დაკრუნჩხული თითები მაქვს, — და უჩვენა დალურჯებული თითები. თანაც ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოიღო მჯიღით კანფეტები, — მანამდის ამას შეექეცით.

— მოდით აქეთ, თქვე ავაზაკებო, ნუ აწუხებთ პაპას, ჭკვიანად დასხედით! — შეუტია ბავშვებს სოფიომ. ბავშვები გაფაციცებით ჰკრეფდნენ ტახტზე გაბნეულს კანფეტებს.

— ჰაა, აბა, ჩხუბი არ მოგვიდეთ, თორემ, იცოდეთ, სათაგურს ისევ ქალაქში წავიღებ, — სთქვა ესტატემ: — ერთი ჩაი რომ დამალევინოთ, ძალიან კარგს იზამთ, გზაში შემცივდა და ცოტა ზარხოშადაც გახლავართ. — ვიდრე ესტატე საუბარს დაიწყებდა, სოფიო ჩაის თადარიგს შეუდგა: მიაშურა იქვე თეთრ ტილოთი გადაფარებულს სამოვარს და ხელად ლანგრით ჩაი და შაქარი მიართვა მამამთილს.

— ოჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ასეთ ლოთობას! კაცი დავბერდი და ჩემს სიცოცხლეში ამისთანას არას მოვსწრებივარ: მეტისმეტი ლოთობაა; უქმი და საქმი არ გააჩნიათ; სარდაფები მუდამ დღე სავსეა ხალხით; დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი, ყველა ლოთობს. კაცს ეგონება, თავს იმარხავენ, ხვალ სიცოცხლეს აღარ მოელიანო. არ ვიცი — მე მეჩვენება, თუ მართლა ასეა.

— ეჰ, ქალაქია, ესტატეჯან: ქეიფს რა გამოჰლევს! — სთქვა ეფემიამ, — მაგრამ მე ეგ როდი მეკითხება: თვალი იმათაც დაუდგესთ! ასემც უქნიათ, ღვინისა და არყის რუმბებში ჩაუხრჩვიათ თავები! შენ ეს მითხარი, სანდრო არ აპირებდა ამოსვლას?

— როგორ არა, როგორ არა: საახალწლოდ უსათუოდ მოვა, პირობა მომცა. მართლა, ზალიკამ და სიდონიამ დიდი მოკითხვა.

— საწყლები! გმადლობთ, გმადლობთ, — სთქვა ეფემიამ, — ნახევი?

— როგორ არიან? როგორ რასმე ცხოვრობენ? — დაეკითხა ეფემია.

— კარგად, ძალიან კარგად. კაცი გამდიდრებულა: ასი თუმანი ნალდი ფული მექნებაო, აქ ასი კაპიკი არა ჰქონდა. ბზეს, ერთს კალათას და ერთს ვირს შენი მამიდაშვილი ზალიკა, ეფემიავ, კაცად გამოუყენებია.

— ღმერთმა ბრძანოს, ნეტა არ იქნება!.. მოხერხებული კაცი ქალაქში მუდამაც გამდიდრდება, — სთქვა ეფემიამ კვალად. ამ დროს ესტატეს მერანმაც დაიხვიხვინა.

— ოჰ, ქეიფში გავები, ცხენი კი დამავიწყდა. საწყალს ქერი უნდა. გომურში უნდა შევიყვანო, თორემ შესცივა, — სთქვა ესტატემ, წამოდგა ზეზე და გაემართა კარებისაკენ. გააღო თუ არა კარები, ბოდიში მოიხადა თავის მერანთან, რომ დაუგვიანა ქერი:

— ჩემო მერანო, ჩემო მერანო! ეხლავე იქნება ქერი, ეხლავე, მოშიტევე, რომ ამდენი ხანი გაცდეინე, შე საცოდავო! ცოტა ხანი მომითმინე, მერანო, ყველაფერს მოგართმევ, რაც გესიამოვნება, რასაც მიირთმევ, — უთხრა ესტატემ თავის მერანს, რომელმაც პატრონის დანახვაზე უფრო მოუმატა ხვიხვინს, ხოლო დაბალ ხმაზე ნესტოებს ბერავდა და თან ხელებში ეტანებოდა ძია ესტატეს.

ესტატემ მერანი დააბინავა და სახლში დაბრუნდა.

— პაპავ, წაღები!.. პაპავ, სათაგური! — გაისმა ბავშვების ხმა: ორივეს გაეფარჩხათ ხელები და საწყლად იღმიჭებოდნენ.

— ამ ბავშვების ცოდო წამწყმედს, თუ თხოვნა არ ავუსრულე, — სთქვა ესტატემ.

არ დამჯდარა, მაშინვე ხურჯინს მიჰმართა. ჯერ ერთი თვალის სახლართები გახსნა და დაუწყო ამოლაგება. ბავშვები თვალ-წარბში და ხელებში შესცქეროდნენ. ეფემია დოინჯშემოყრილი, თავმომწონედ დასჩერებოდა; სოფიოც შორი-ახლოს იდგა გულხელდაკრეფილი და პირმოკუმული. დიდი ჭრელი კატა ტახტზე მიდი-მოდიოდა კუდაფშრუკული, ბუხარში ცეცხლზე ხუხვით გვერდებზე და ზურგზე გატუსულ ტყავით. ეელიშებოდა, ეხახუნებოდა ბავშვებს და მოკაუჭებულს კუდს, როგორც შოლტს, თვალ-წარბში უსვამდა. ისიც თითქოს რაღაცას მოელოდა. ამ კატას ღნავალას ეძახდნენ, რადგან წამდაუწუმ ღნაოდა და კნაოდა. თაგვი კი თავის სიცოცხლეში ერთიც არ დაუჭერია. ჩხავანა კატა, განა არ იცით, რა თაგვს დაიჭერს?!

— აბა, რაზე რა დავაწყო; მოიტათ რამე, ადამიანებო! — წარმოსთქვა ესტატემ.

ეფემიამ მაშინვე მოურბენინა ლანგარი და ტაბაკი.

— ეს ბახტაკი იჰ, იჰ, რა არის, რომ იცოდე, ეფემიავ?! ნახე, რა არის და! — სთქვა ესტატემ და ორი წყვილი გელაქნური დააწყო ტაბაკზე.

— ოჰ, თევზები, დედილო, თევზები! რა კარგებია, ჭრელები! — ამბობდნენ ბავშვები და თან ხელებს უსვამდნენ და საკოცნელად ელამუნებოდნენ; ყურს არ უგდებდნენ დედის ბუზღუნს და დარიგებას: ჭკვიანად იყავითო.

— ესეც ძროხის ხორცი! ჩალაჯჯია, ყასაბ გიგოლას მოვაჭრევინე. ჩემი ძველისძველი ძმობილია; რა შვილია, ჩემთვის ურიგო რაკამე გაიმეტებდა! ესეც ბრინჯი, აქულისაა! ესეც ჩაი და შაქარი! კიდევ რა? კიდევ რა? — ამბობდა ესტატე მოღიმარი სახით: — ოჰ, ესეც მწვანილი, ოხრახუში და წიწმატი თავის რამე-რუმეებით!.. ჰაა, კიდევ გინდა რამე, ეფემიავ? ღმერთო, ღმერთო! აბა, ვნახოთ: ესეც ხმელი ხილი საახალწლოდ! მუდამ ქალაქში ხომ არ ვირბენ! ესეც ილი, მიხაკი და დარიჩინი. ყველა ამას, ეფემიავ, ერთი დედალი მიუმატე და ხვალ სწორედ ხელმწიფის საკადრისი სადილი გვექნება. ხომ იცი, ხვალ სტუმრები მეყოლება.

— ადვილია, ადვილი, — წარმოსთქვა ეფემიამ.

— ჰაა, როგორი ბიჭი ვარ, ეფემიაჯან? — ეუბნებოდა პირმოღიმარი ესტატე თავის მეუღლეს.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი; ვინა გწუნობს მერე? — მიუგო ალერსიანად ეფემიამ და თანაც მხარზე ხელი დაჰკრა.

— ვნახოთ მეორე ვაგონი, — სთქვა ესტატემ. — ვნახოთ აქ რაღა ამბავია? აბა აქ არის, რაც არის და! აბა მოდით, მოდით, ამოდით, ნუ იმალებით და! — ჩაჰხაროდა ძია ესტატე ხურჯინის თვალში ჩაწყობილს ნავაჭრ საქონელს. — ესეც სონას საკაბე და ფეხსაცმელი.

— დილილმე, დილილმე! — შეესძახა სონამ და მიეტანა პაპას ხელებში. ფეხსაცმელსა და საკაბეს გულ-მკერდში იხუტებდა და ანანახავად არვის ანებებდა.

— ესეც კოლას წაღები, — სთქვა ესტატემ: — „ზაგრანიჩნია“ ნამდვილი; როგორ ლაპლაპებენ. — კოლამ ხელები მიატანა და ჩამოართვა პაპას წაღები. — ესეც სოფიოს საკაბე, თავის მეფემ გამოუგზავნა, — სთქვა ესტატემ და მიაწოდა სქელ ლურჯ ქაღალდში გამოხვეული თავის რძალს, მაგრამ ეფემიამ დაასწრო და ჩამოართვა.

— ქიშმირია, ქალო, ქიშმირი! ეტყობა, რომ გამდიდრებულა ჩემი შვილი, აქამდის ჩითის კაბის ყიდვაც კი ეზარებოდა და ეხლა ჰყურობთ?.. უცბად ქიშმირი. კარგია, მშვიდობაში გაცვითე, შვილო! — სთქვა ეფემიამ და გადასცა რძალს საკაბე.

— ესეც შენთვის ფლოსტები, ჩემო გვრიტო და მარგალიტო. — სთქვა ესტატემ: — ნამდვილი საშენოა, საბებრო. ამის მეტი ვერაფერი გიყიდე, რადგან ჯიბესთან უკაცრავად გახლდით. ეჰ, ჩვენ ბებრები ვართ: მე ძველი ჩოხით, შენ ძველი კაბით, ჩემო ეფემიავ. ამათ გაიხარონ, ჯეილები არიან. ჩვენ იოლად გამოვალთ.

— ვინ გემდურის, კაცო! ამისაც დიდი მადლობელი ვარ, — სთქვა ეფემიამ.

სულ ბოლოს ძია ესტატემ დიდი ამბით ამოიღო სათაგური, რომელიც დააპარა ყველა ოჯახის წევრმა დიდიან-პატარიანად გულმოდგინებით.

— ესეც თქვენი სათაგური! — წარმოსთქვა ესტატემ; — ვნახოთ რამდენს თაგვს დაიჭერთ?!

— გიშველა ღმერთმა! — სთქვა გახარებულმა ეფემიამ: — სულიღა დაამწარეს ამ თაგვ-ტიალებმა, განჯინაში ვერაფერი შამინახავს...

ბავშვებმაც სათაგურს დაუწყეს სინჯვა: „აბა როგორია, დიდედო", — გაიძახოდნენ ისინი და თან გულმოდგინედ ათვალიერებდნენ თაგვების სულთამხუთავს...

— მაშ არა, შენ დაიჭერ თაგვსა, მეხი კი ჩაგარტყი მაგ თავში! — სთქვა ეფემიამ და თანაც ღნავალას, რომელიც ცეცხლისპირას წამოყუნთებულიყო, თავში სილა ჩაარტყა: — მთელი წელიწადია თვალ-ყურს ვადევნებ და მე ამის დაჭერილი თაგვი ვერ ვნახე. ეს სასიკვდილე მარტო ხელებში შემოგვჩერებია, რომ ვაჭამოთ რანე.

— თქვენც სათაგური ამუშავეთ, — სთქვა ესტატემ. — ღნავალა ძალიან ჭკვიანად იქცევა, ცოდოს ერიდება.

— ცოდოს, ამისმა მზემ, — სთქვა ეფემიამ და წაჰკრა მუჯლუგუნი კატას: — დაიკარგე აქედან, შე სასიკვდილევ: ეგ შნო ჰქონდეს, ცოდოს არ მოერიდებოდა, მაგრამ უნარი რომ არ გახლავთ!

თაგვების ჯავრის ამოყრის იმედი ყველამ სათაგურს დაამყარა. იმის მომზადებას შეუდგნენ. ეფემიამ ცეცხლზე დიდი კაკლის ლებანი მოშუშა, დააგო მავთულზე და ასე ფეხზე შემოყენებული დადგა განჯინაში, როცა ბავშვებს აუხსნა და თვალსაჩინოდ აჩვენა, თუ როგორ შეძვრებოდა თაგვი, როგორ დაუწყებდა ცუცნას ლებანს, მახე როგორ დასხლტებოდა და მოამწყვდევდა შიგ ავაზაკს.

მცირე ვახშმის შემდეგ დაიძინეს. ბავშვებმა საშობაო საჩუქრები ბალიშქვეშ ამოიდეს... ბუხრის წინ მხოლოდ ღნავალა სთვლემდა, ხოლო ბუხრის გვერდზე ლობიოს სადუღარი მოჩანდა სახელოვან ციცხვით, ყორნის ბოლოსავით გაშავებულ სარქველიანად.

III

სათაგვეთის სამეფოში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. განჯინიდან არაჩვეულებრივი, გულის წარმტაცი, ყნოსვის დამატკბობელი სუნი შეიოდიოდა. მთელი გუნდი თაგვებისა დაიძრა ამბის გასაგებად, წინ მიუძღოდა სახელოვანი ფიცხელა, განთქმული სიმარდით, გულადობით და გამბედაობით; იმას მოსდევდა ცელქა, შემდეგ ცქმუნა, მერე კუდა, ფხორა! დანარჩენ თაგვების სახელს ვინ ჩამოთვლის ან კი? მთელი ფარა იყო: სულ რჩეული ვაჟკაცები. როცა პირველად ჩამოიხედეს განჯინაში, ცოტა არ იყოს, შეკრთნენ: სათაგური დაინახეს.

— ბიჭებო, აქ რაღაც ოინებია! — დაიძახა ფიცხელამ: — ჯერ ამისთანა რამე მე აქ არ მინახავს: არც ჯამსა ჰგავს, არც ქილაა, არც თეფში, არც ბადია, არც საშაქრე, არც ბოთლი; სხვა რაღაც რამ არის საუცხოვო, საგანგებოდ მოწნულ-მოქარგული და ის მშვენიერი სუნიც სწორედ იქიდან მომდინარეობს. ვხედავ კიდევაც, ლებანია კაკლისა. აბა შეხედეთ, შეხედეთ, როგორ მარჯვედ მოსატაცებელია.

თაგვებმა ცქერა დაუწყეს: ხან ერთი თვალით გასცქეროდნენ, ხან მეორით.

— მართლაც, საუცხოვო რამ მანქანაა. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. ჩვენ სამტროდ არ იყოს, ბიჭო, მოგონილი და! რაღაც იმნაირი რამა ჩანს, ჩემი გული და თვალი არ ენდობა, — სთქვა ცელქამ.

— ჭეშმარიტებაა! — ჩურჩულებდნენ სხვა თაგვები და ადასტურებდნენ ცელქას მოსაზრებას: — უნდა ახლოდან გავჩხრიკოთ; მაგრამ ვინ გასჩხრეკს, საქმე ისაა!

— აქ რას ვაკეთებ? ვაჰ, დედას ჩემი მტრისას! განა ეგრეც დავლაჩრდით: უნდა შევარცხვინო სათაგვეთი? — სთქვა ფიცხელამ.

— შენ იცი, — დართეს ნება სხვა თაგვებმა, — მხოლოდ ახლო არ მიეკარო, შორიახლოდან გაჩხრიკე. ახლო არ მიეკარო, გირჩევთ: შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო, ნათქვამია.

ფიცხელა პირდაპირ მიცუნცულდა. ლებანი სუნს თვალ-წარბში აბნევდა და უნებლიეთ იზიდავდა თავისკენ, მაგრამ ფიცხელამ გზა აუქცია კარებს და სათაგურს გვერდიდან მოექცა: შემოუარა რამდენჯერმე გარშემო. ვერაფერი სახიფათო ვერ დაინახა, სათაგური უბრალო მავთულის ჭურჭლად დასახა, სადაც ერთი ლებანია დარჩენილი: უთადარიგო დიასახლისს დავიწყებია. დაბრუნდა და თავის ამხანაგებსაც ესეევ უამბო...

— რას იტყვით, ბიჭებო?! — უთხრა ფიცხელამ თაგვებს, — მე საშიშს იქ არაფერს ვხედავ, გაბედავთ ვინმე შიგ შესვლას თუ ვერა?

— მოდი, მოვერიდოთ, სულ თავი გავანებოთ ეგ რაღაც მანქანაა... გვაკლდეს ეგ ერთი კაკლის ლებანი, — სთქვეს თაგვებმა.

— ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა! ეგ არის თქვენი ბიჭობა, რომ ტრაბახობთ: მე ეს ვაკაცობა ჩავიდინე, მე ესაო?! შეგირცხვათ ვაკაცობა! მე წავალ და მიცქირეთ, რა ბიჭია ფიცხელა! — სთქვა და გაემართა სათაგურისაკენ. ხოლო სხვა თაგვებმა სული განაბეს და შორიდან უთვალყურებდნენ. ფიცხელა მარდად მიცუნცულდა სათაგურთან და ცოტა ხანს შესავალ კარებთან გაჩერდა; მიიხედ-მოიხედა: — არაფერი ამბავია, მშვიდობიანობაა. აქ რაა სახიფათო? ჰაი, თქვე ლაჩრებო! — წარმოსთქვა თავის ამხანაგებზე და შეჰყო თავი სათაგურში. სულ მშვიდობიანობაა: თავში არავინა სცემს და გვერდებში არავინა სჩხვლეტს. რაო? რა სჭირს? არაფერი, სრულიადაც არაფერი! ძალიან კარგად შეიძლება შეექცეს ფიცხელა ნიგოზს; დეე ამხანაგებმა შორიდან უცქირონ და ნერწყვი ყლაპონ. მიუახლოვდა ლებანს და ოდნავ მოავლო კბილი, პირი გაიტკბარუნა. სრულიად დამშვიდდა, იმედი აიღო, რომ არავითარი უბედურება მას აქ არ მოელოდა, და მოსწია კიდევაც მაგრა ლებანს, მაგრამ, აი სწორედ უბედურებაც ამ დროს მოხდა: სათაგური დასხლტა და ჩხაკანი მოისმა. თავზარდაცემული თაგვები გაფთხნენ. ეგონათ, იმათაც გამოუდგებოდა სათაგური. ფიცხელამაც იგრძნო თავისი შეცდომა. მობრუნდა ფიცხლად და გაექანა კარებისაკენ გასასვლელად, მაგრამ ამაოდ: კარები უკვე მაგრა, ძალიან მაგრა იყო დაკეტილი. ძალიან შეწუხდა, სული და გული დაეკეტა. ამხანაგებისაკენ გადაავლო თვალი: არავინ სჩანდა. — ჰაი თქვე მოღალატენო, თქვენა! — წარმოსთქვა მან, — გაიქცნენ, დაიმალნენ, როდი მოდიან და მეშველებიან. — შეახტა მაღლა სათაგურის ჭერს, მიაწყდა-მოაწყდა იქით-აქეთ კედლებს, ჰყოფდა ცხვირს მავთულებში, უსვამდა თათს, ღრღნიდა კბილით, — ამაო იყო ყოველივე ცდა. თანაც წრუწუნებდა. ტანზე ჭირის ოფლი დაასხა. ცოტა ხანს შეისვენა. ლებანი ისევ მთლიანად ეკიდა მავთულზე; ვის მოაგონდებოდა იმისი ჭამა! გულმა აღარ გაუძლო და შეუძახა თავის ამხანაგებს: — სად მიიმალენით, თქვე უნამუსოებო, აღარ მომხედავთ? ერთ-ერთი მაინც მოდით, ანდერძი დაგაბაროთ: მე მტრის ხელთა ვარ, მინდა გამოგესალმოთ. — თაგვებს ესმოდათ თვითეული სიტყვა ფიცხელასი და ჩოჩქოლი შეექნათ.

— მართლაც, — ამბობდნენ თაგვები, — რატომ ასე ლაჩრულად ვიქცევით, ეს ხომ სირცხვილია! მივხედოთ იმ კაცს, საუკეთესო ვაკაცსა ვკარგავთ. — სთქვეს და დაემზადნენ მისაშველებლად. ყველაზედ წინწინ ცქმუნა მიცუნცულდა ფიცხელასთან ვიშ-ვიშით.

— მოგიკვდა ჩემი თავი, — ამბობდა ცქმუნა და თან ცრემლებს იწმენდდა თვალებიდან: — აბა, რაღა თავი ქვას ვახალო და როგორ გიშ-

ველო? უნდა გაგეგონა, რომ გაფრთხილებდით! ბეტად უჯიათი ხასიათი გაქვს, არ დაგვიჯერე, შენი თავიც დააღონე და ჩვენაც. — ესვამდა ცქმუნა გარედან თათს, ცდილობდა გაეგლიჯა სათაგურის მავთული.

— ნუ გეშინიანთ, ფიქრი არ არის: როგორც იქნება, გამოვალ. ნუ ტირით! მოკვდეს ბიჭი ფიცხელა, თუ ადამიანს ჭელში ჩაუვარდეს! და თუ ვინიცობაა მოკვდე და მტერმა გაიხაროს, შენ გეუბნები მარტო საიდუმლოს: ეზოში რომ დიდი კაკალი დგას და გზისკენ მსხვილი ფესვი აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული: ამოიღე და მოიხმარე.

— შე გასახარელო, მაგისი დარდი მაქვს ეხლა?! — უპასუხა ცქმუნამ. თუმცა ნათქვამი ესიამოვნა და კარგადაც დაიხსომა.

ამ დროს სხვა თაგვებიც მოვიდნენ ჯარად და შემოერტყნენ გარს სათაგურს: ყველამ სათითაოდ მიუტირა გალიაში დამწყვდეულს თანამოძმეს უბედურება. ფხორა მაღალი ხმითა ტიროდა, მოსთქვამდა; სხვანი ბანს ეუბნებოდნენ. თაგვების ზარი გაიმართა, მაგრამ ისევ ფიცხელა უტევდა, ამხნევებდა:

— ნუ ტირით, დანო და ძმანო! მე თქვენი ჭირის სანაცვლოდ ვიყო; მაგრამ ჯერ კიდევ იმედია დავეხწიო ამ წყეულ საპყრობილეს, — სთქვა ფიცხელამ.

— საიდან და როგორ, მოგიკვდა ჩემი თავი? არ შეიძლება! — უთხრა ფხორამ.

— სხვაფრივ თუ ვერა, ხეს გავჭრი კბილით, მაგრამ ეს ოხერი კბილი არ უდგება არსაიდან, — მიუგო ფიცხელამ.

დიდ ვაებაში და საგონებელში ჩავარდა თაგვების გუნდი. ზოგნი ლოცულობდნენ და ღმერთს ეხვეწებოდნენ, დაეხსნა გაჭირვებიდან მათი თანამოძმე. სხვანი გარედან მახის მავთულებსა ღრღნიდნენ, ტყუილად თავ-პირს იმტვრევდნენ. გათენდა კარგად. უნდა წასულიყვნენ თავთავიანთ ბინაზე, მაგრამ ფიცხელას მარტოდმარტო, უნუგეშოდ, უპატრონოდ დატოვება ემძიმებოდათ.

ამ დროს ნემსა მისდგომოდა ფიცხელას, ჰბაქავდა და საყვედურით ავსებდა.

— ჰეეე, ახია შენზედ! გეგონა შეგრჩებოდა, იმ დღეს რომ კაკალი მომტაცე და შეექეცი: ვერ ამოგშხამდა!.. ვენაცვალე ღმერთს, შენი ჯავრი რომ ამომყარა. გამობრძანდი, რაღა, თუ კაი ბიჭი ხარ, — ეუბნებოდა ნემსა ნიშნის მოგებით.

— გამოვიდე? მაშ შენ გგონია, სულ აქ ვიქნები? ვაი დედიშენის ღმერთს, თუ გამოვედი! მაშინ მიცნობ, როგორი ფიცხელა ვარ: იქნება შენი ქათიბის ბეწვი ნიავს აქეთ-იქით მიჰქონდეს. გიხარიან, რომ დავემწყვდიე? მოიცა, ჯერ გავთავისუფლდე და მაშინ ნახავ შენს სეირს! —

ეუბნებოდა გაბრაზებული ფიცხელა. ცქმუნამ ვეღარ მოითმინა და ნემსას თავში თათი ჩაჰკრა.

— განა ისეც დაეცა ფიცხელა, შენც მაგას ეუბნებოდე, შე წუპაკო, შენა! განა ეხლა დროა საყვედურისა? დაიკარგე აქედან! — შეუტია ცქმუნამ. სხვა თაგვებიც ასევე მოეპყრნენ ნემსას და გააძევეს იქიდან.

თაგვები ბჭობდნენ, როგორ ეშველათ ფიცხელასათვის, როგორ დაეხსნათ იგი საპყრობილედან.

— ძმებო, ამხანაგებო! — დაიძახა ბოლო დროს კუდამ: — მე ძალიან კარგი, კარგზე კარგი ხერხი მოვიგონე; თუ თქვენც დამეთანხმებით, ვცადოთ და თუ არ გამოდგა, ჩამქოლეთ.

— სთქვი და! თუ მოსაწონია, ჩვენც აქ მზადა ვართ, დაგეთანხმოთ, — სთქვეს თაგვებმა.

— მე, იცით, რასა ვფიქრობ, — განაგრძო კუდამ: — ეს რაღაც წყეული მანქანა შემოიტანა ამ ჩვენს სანადიროში შეჩვენებულმა ადამიანის ხელმა, რომელმაც შეიპყრო ჩვენი ძვირფასი ძმა და მეგობარი, სახელოვანი ფიცხელა, უნდა აქედან გადავკარგოთ! შევებნეთ ყველანი შიგ-შინ ავათრიოთ და იქ დავლეწოთ, დავამსხვრიოთ, რომ ერთი ნამცეცა ნაჭერიც არსად მოიპოვებოდეს მაგისა ამ მიდამოში, თორემ განა მარტო ამ ზარალს გვაკმარებს? ბევრ სხვას უმეცარს ჩვენის ტომისას იმსხვერპლებს ეგ მანქანა.

— მართალია, მართალი! ყოჩაღ, კუდავ! — დაიგრიალეს თაგვებმა ერთხმად: — მშვენიერი აზრია, მშვენიერი! — ფიცხელასაც ამ საუბარზედ მეტი გული მოეცა და უფრო მამაცად და მარდად დაიწყო სათაგურში სირბილი და ზედ ბღოტიალი. — აბა, შევუდგეთ საქმეს; დაგვიანება ხელს არ მოგვცემს: მოგვასწრობენ და ავს დღეს დაგვაწევენ. — თაგვები ერთად მიეხვივნენ სათაგურს. ცელქამ ჩასჭიდა კბილი, კუდზე ცელქას ფხორა მოეჭიდა, ფხორას — კუდა, კუდას — ცქმუნა, იმას სხვა, გუთნეულ ხარ-კამეჩებივით გაიჭიმა თაგვების გუნდი.

— აბა, გასწით, ბიჭებო, გასწით, თქვენს ღმერთს ვენაცვალე! — აქეზებდა შიგნიდან ფიცხელა! — დაიძრა, მივდივართ, შინ მივდივართ! — მართლაც, თაგვებმა ერთს გოჯზე გაათრიეს სათაგური და უფრო გამხნევდნენ.

— ნუ გეშინიან, ძმაო ფიცხელავ! მოკვდეს ფხორა, თუ მტრის ხელში ჩაგაგდოს! — უთხრა ამან ფიცხელას, როცა თაგვებმა სულის მოსათქმელად შეისვენეს. — შეისვენეთ, დაისვენეთ, უფრო კარგად გასწევთ! — ეუბნებოდა თაგვებს ფხორა.

— ეს რა კარგი რამ მოიგონა კუდამ, ვერ უყურებთ?! — ამბობდნენ თაგვები: — მეტის მოგონება შეუძლებელია!.. — კუდაც თავმომწონედ ულვაშებს აცმაცუნებდა.

— მაშ თქვენ გეგონათ, მე თავში ბზე მიყრია? არა, ძმობილებო, შეც ჩემი ჭკუითა ვცხოვრობ! იცით, რა ოინები გამიწევია, სად გავ-მძვრალვარ, სად გამოვმძვრალვარ, სად გადავმხტარვარ?! მე ეს კუდი სათაგურმა არ მომაკვნიტა? ის სულ სხვანაირი იყო, მაგრამ გამო-ვუსხლტი მაინც ცოცხალი და დავიძარ. მას შემდეგ ე მაგისთანა ოჩხო-მაჩხო რაც შემეჯახება, მუდამ გზას ვუქცევ, ვერიდები. ან კი ძალად თავი რად უნდა გაიფუჭოს კაცმა! გიჟი ვარ, კაკლიანს, თხილიანს კოდში ან გოდორში შევძვრე?! რა ჭკუა იყო, რომ ერთი ლებანის გულისათვის ფიცხელამ თავი გაიფუჭა?

— თუ ჭკუა არ იყო, ვაჟკაცობა ხომ იყო? — სთქვა სათაგურიდან ფიცხელამ: — მაგის მეტი რა გეთქმევათ ან კი? ვაჟკაცის გული სულ სხვაა. თქვენ რა ვაჟკაცები ხართ მერე? სათაგური რომ დასხლტა, თქვენ დაფთხით: გეგონათ, უკან გამოგეკიდებოდათ, მაგრამ უნდა გე-ნახათ, მე როგორი ომი ავუტეხე და როგორ გადავკაწრე მავთულები... მაშ!..

ის იყო გათენდა, როცა თაგვებმა სათაგური თავიანთ საძრომ-სათა-რეშო ხვრელთან მიათრიეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, წრიპი-ნებდნენ, წრუწუნებდნენ, ამხნევებდნენ ერთი-მეორეს, ბეჯითად გაე-წიათ და აეთრიათ სათაგური, მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ: ვერ მოი-საზრეს, რომ სათაგური ხვრელში არ გაეტევოდა, და მაინც თავებს აკლავდნენ.

IV

მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე ადრე გამოიყვანა: ასე, თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ საყდრიდან ხალხი გამოიშალა. წირვაზე მხოლოდ ესტატე და მისი რძალი სოფიო იყვნენ. ეფემია კი სახლში მზარეულობ-და, სტუმრებს მოელოდა. ჩვეულებისამებრ, ამ საუფლო დღეს ძია ესტატე უსტუმროდ არ დადგებოდა. ეფემიამ ყველაფერი მოამზადა. ღვინოც ამოიღო ქვევრიდან დოქებში და აგერ ესტატეც გამოჩნდა თა-ვის სტუმრებიანად. წინ მღვდელი — მოხუცებული მაქსიმე მოდიოდა, წითელს ბზის ჯოხს მოიბჯენდა, თეთრი წვერი გულ-მკერდზე სცემდა, გაჟინჟღილებული სახით მხიარულად მოლაპარაკობდა. იმას გვერდს მოსდევდა დიაკვანი, მასწავლებელი სპირიდონი, „ატსტავნიი“ კაპი-ტანი მიხეილი, რუს-ოსმალეთის ომის დროინდელი გმირი, რომელიც სოფლად ცხოვრობდა თავის მამულში და თავის სიცოცხლეს ატკბობ-და, გუნებას იხალისებდა წარსულის მოგონებით, გლეხებთან თავის ვაჟ-კაცობაზე და ჟმირობაზე საუბრით. იმათ მოსდევდა რამდენიმე გლეხ-კაცი. ეფემიამ დაინახა რა მომავალი სტუმრები, მაშინვე შეუდგა სუფ-

რის გაშლას და გადაფინა ტახტზე გრძელი, ლურჯი სუფრა, დაალაგა პურები, დადგა შუა სუფრაზე ბლუდი, რომელზედაც ჯერ ისევ ორთქლი ასდიოდა აღმა ფეხებაშვერილს დედალს; ჩაამწკრივა ბოთლები, დაალაგა სხვადასხვა სანოვაგე. აგერ სტუმრებიც შემოქუჩდნენ დერეფანში და აუტეხეს ფეხებს ბრახა-ბრუხი: იყრეინებდნენ ფეხსაცმელებიდან თოვლს და ტალახს.

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, არაფერი უშავს: ნუ შესწუხდებით, იატაკი არ გაფუჭდება, — უთხრა სტუმრებს ეფემიამ, რომელიც წინ გაეგება და გულმოდგინედ ეპატიჟებოდა სახლში.

— მოგვილოცნია დღესასწაული, დაესწარით მრავალს, მეუღლით, შვილებით! — ულოცავდნენ სათითაოდ სტუმრები.

— გმადლობთ, თქვენნაირად! — უპასუხებდა დიასახლისი და თან თავს უკრავდა ყველას.

— აბა, მზადა ხარ, ეფემია-ქალო?! — დაეკითხა ესტატე მეუღლეს: — გვშიან. აი, მამა მაქსიმე სულ იმას გვიბრძანებს ხოლმე, პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო, — დააბოლოვა სიცილით ძია ესტატემ.

— ღვთის მოწყალებით ყველაფერი მზად არის, — წარმოსთქვა ეფემიამ.

— ოღონდაც რომ ახარებს, — სთქვა მამა მაქსიმემ და ისევე გაიმეორეს სხვებმა. მიიპატიჟა ესტატემ სტუმრები სუფრაზე და ესენიც დალაგდნენ, ზოგი მუთაქაზე მოკეცით, სხვანი ჩიკებზედ[1]. არყით დაიწყეს. თამადობა ყველამ ესტატეს მიულოცა, ჯერ ერთი — როგორც ნაკურთხს, საზოგადოების ამორჩეულს, და მეორეც — როგორც მასპინძელს. ესტატე პირველად უარზე დადგა, ბოლოს დასთანხმდა. გაჩაღდა სმა-ჭამა. ძია ესტატემ პირველ სადღეგრძელოსთანავე მრავალჟამიერი შემოსძახა.

თაგვები რაღას შვრებოდნენ?..—ეწეოდნენ სათაგურს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თან ადამიანებზე, იმათ ქეიფზე ბრაზობდნენ: ჩვენ ვტირით, ეგენი იმღერიანო. არაჩვეულებრივი ფეხების ფხაკური აუტეხეს, თან სხვადასხვა სუნი აბრაზებდათ. განჯინა, როგორც უწყით, იქვე ტახტის თავში იყო, ასე რომ, ძია ესტატე განჯინის ძირითა პირს თავს ახვევდრებდა. სტუმრები და მასპინძელი კარგად შეზარხოშდნენ.

— ქალო, ეფემიავ! — დაიძახა ესტატემ, — ამ განჯინაში რაღაც ამბავია.

---

[1] ჩკამზედ.
ავტორის შენიშვნა.

— დამიდგა თვალი! — წარმოსთქვა ეფემიამ და ორი თითი მიიდო ტუჩზე გაკვირვების ნიშნად, — ფაცაფუცში სათაგური როდიღა მომაგონდა: უეჭველად თაგვი გაებმოდა, — წარმოსთქვა ეფემიამ და გაემართა განჯინისაკენ.

— განა ერთი, დედაკაცო, აქ ისეთი ხმაურობაა, რომ იქნება ასი ერთად დაგიჭიროსთ სათაგურმა, — სთქვა ესტატემ.

— ხმაურობა დიდი ხანია ისმოდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთ, — სთქვა მასწავლებელმა და სხვებმაც დაუმოწმეს.

ეფემიამ განჯინა მარდად გააღო; სათაგურს სწრაფად ხელი დაატანა. შიგ თაგვი შენიშნა, ხოლო სხვა თაგვები ვერ დაინახა, რადგან განჯინაში ბნელოდა. სათაგური გადმოიღო და — აი საკვირველება! — მთელი აკიდო თაგვებისა თან გამოჰყვა: ცელქა, ფხორა, ცქმუნა, კუდა, ეცა, ბეცა და სხვანი მრავალნი. ამ სურათზე ყველამ თვალები სჭყიტა, ჭიქები ხელში გაუჩერდათ და პირღიად დაუწყეს ცქერა. თაგვები მაგრა ჩასჭიდებოდნენ ერთმანეთს ამხანაგის საშველად, ბაგრამ რადგან შველა აღარ შეიძლებოდა, უშვეს ხელი ერთმანეთს: ზოგი აქეთ ეცა, ზოგი იქით. ცელქამ მღვდელს ღვინიანი ჭიქა დააქცევინა და ამანაც: „ჰაი, შე წყეულოვო“, შიაყოლა თან; კუდა მასწავლებელს გადაახტა თავზე; ცქმუნა კაპიტან მიხეილს შიახტა ზედ გულზე და იმან ხმლისკენ წაიღო მტრის მოსაგერებლად ხელი ჩვეულებისამებრ, მაგრამ ამ დროს ზედ არ შერჩა; ფხორა მამასახლისის წვნიან ჯამში ეცა და სულ დაიბუგა ფეხები. ბეცა თვალ-პირში ეცა ღნავალას, რომელსაც გზირი სოსია სთავაზობდა გამოხრულ ძვლებს, მაგრამ იმან, თითქოს აქ არაფერიაო, ყურიც არ გაიბერტყა.

ასტყდა სახლში აურზაური: „ჰაი, თქვე წყეულებო!“ „დაგწყეველოთ ღმერთმა!“ „ვაჰ, რა ამბავია?“ — გაისმოდა აქეთ-იქიდან, ქეიფის ნირი გააფუჭეს თაგვებმა. თუმცა ეცინებოდათ სტუმრებს, მაგრამ თანაც სწყინდათ: მასხარად გვიგდებენ, თუ რა არისო! თაგვებმა თავს უშველეს; დარჩათ ხელში მარტო ფიცხელა და მოინდომეს იმაზე ჯავრის ამოყრა. მოითხოვეს სადგისი. უნდა დაეჩხვლიტათ. ეფემია ყველაზე მეტად ბრაზობდა. ფიცხელა აღარ ინძრეოდა; გაფითრებული დაბლიდან აძგვლენდა საბრალოდ თვალებს. გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ბედი. „ააჰ, რაზბონიკ!“ გადაუტრიალა თვალები მიხეილმა. ყველა იმ აზრზე დადგა, რომ დაეჩხვლიტათ ფიცხელა, მოეკლათ სათაგვეთის გამოჩენილი გმირი, და ისიც გულჩათუთქული, მუხლმოკვეთილი მოელოდა სიკვდილს. დაუპირეს ფიცხელას მოკვლა, დაჩხვლეტა, წამება, მაგრამ მფარველად ესტატე დაუდგა.

— არა, ბატონებო, მე როგორც თამადა, ვათავისუფლებ თაგვს, რადგან დღეს საუფლო დღეა და ეგ თაგვიც ალბათ რითიმე შესანიშნა-

ვია, რომ თავის თანამოძმეთა თანაგრძნობა მოუპოვებია. ხომ ნახეთ, როგორ ეშველებოდნენ თაგვები და უნდოდათ ქისი გათავისუფლება. უნდა გავათავისუფლოთ! ზოგი ღვთის გულისათვის, ზოგიც მე მიხათრეთ!—რა გაეწყობოდა, დაეთანხმნენ ძალაუნებურად ესტატეს და ეფემიამ ფიცხელა სათაგურიდან გაუშვა გარეთ თოვლში, რომ ეგები იქ მაინც მომკვდარიყო. ფიცხელა ფხაჭა-ფხუჭით გარბოდა, თოვლისას ბუქს აყენებდა და გამალებული ეცა ბეღლის ქვეშ... როგორ უხაროდა! ეხლა რას ეტყოდა თავის ამხანაგებს, რამდენს ტყუილს შეჰხანხლავდა!..

სტუმრები ჰკვირობდნენ თაგვების ამგვარ ერთმანეთისადმი შებრალებას და თანაგრძნობას. მასწავლებელმა ეს განმარტა და რამდენიმე მაგალითი მოუყვანა ფრინველებისა და ცხოველების ცხოვრებიდან...

ქეიფი განახლდა. ესტატე განაგრძობდა საღეგრძელოებს; თაგვები დაეძებდნენ ერთიმეორეს...

როცა ესტატემ და მისმა სტუმრებმა გაათავეს ქეიფი, თაგვებმა სწორედ მაშინ დაიწყეს. შეიყარნენ სალამოზე ერთად, დაჰკრეს დაფს, დოლს, დაირას, დუდუკს, ზურნას; ლეკურს თამაშობდნენ, მღეროდნენ. ფიცხელას ცაში ისროდნენ, ხელზე იქორქორებდნენ; ეს უკანასკნელი ბაიათებს ამბობდა, ამაყად გამოიცქირებოდა, გამარჯვებას ღღესასწაულობდა.

შიო მღვიმელი (ქუჩუკაშვილი)

1868—1937

ბავშვების საყვარელი პოეტი შიო ილარიონის ძე ქუჩუკაშვილი (შიო მღვიმელი) დაიბადა 1868 წელს სოფ. ბრეთში (ქარელის რაიონი). მისი მამა ღარიბი მღვდელი [1] *იყო და სოფლის მეურნეობასაც ეწეოდა, რათა ოჯახი ერჩინა. 1881 წელს მამით დაობლებული შიო მისმა ძმამ სანდრომ გორში ჩაიყვანა, იქ მზრუნველობა გაუწიეს შიო დაკითაშვილმა და მიშო ყიფიანმა. გორში შიო მიაბარეს საოსტატო სემინარიასთან არსებულ სანიმუშო სკოლაში, რომლის ოთხი კლასი 1887 წელს დაამთავრა. გორში ეოფნისას შიო მღვიმელი დააახლოებული იყო ხალხოსნებთან და მათს სხვადასხვა დავალებას ასრულებდა. 1887 წელს შიო თბილისში ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ გაჭირებამ აიძულა სამსახური დაეწყო. 1909 წლამდის იგი კორექტორად იყო ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამომცემლობაში, შემდეგ კი სხვადასხვა ყურნალ-გაზეთებში. შიო მღვიმელმა სამსახურს თავი დაანება მხოლოდ საბჭოთა პერიოდში, როცა სისტემატურად დაიწყო წიგნების ბეჭდვა.*

შიო მღვიმელი გარდაიცვალა 1933 წელს.

მართალია შიო მღვიმელი დიდებისთვისაც სწერდა ლექსებს, მაგრამ მთელი თავისი ნიჭი მან უმთავრესად საბავშვო პოეზიას მოახმარა.

პირველი მისი საბავშვო ლექსი: „ყვავილი“ დაიბეჭდა საბავშვო ყურ. „ყვავილ“-ში, 1890 წლის პირველ ნომერში. შიო მღვიმელი პირველად ზ ე ზ ვ ა ს ფსევდონიმითა სწერდა საბავშვო ლექსებს.

შიო მღვიმელი ერთგული თანამშრომელი იყო ჩვენი საბავშვო ყურნალებისა;

შიო მღვიმელს თავისი საბავშვო ლექსები და პოემები დაბეჭდილი აქვს მხოლოდ საბავშვო ყურნალებში. იგი მუდმივი თანამშრომელი იყო აგრეთვე საბჭოთა საბავშვო ყურნალებისა: „ოქტომბრელი“, „პიონერი“.

გამოამშვიდობება მერცხლისა

ჩემი წასვლის ჟამმა დაჰკრა,
ჩემი წასვლის იკვრის ზარი,
შემოდგომამ მოატანა,
ფერსა ცვლილობს მთა და ბარი.

ნელი სიო ზაფხულს გაჰყვა,
მოზუზუნებს ცივი ქარი;
ვიცი, ვიცი არ დამინდობს
თუ მომასწრებს აქ ზამთარი.

მშვიდობით, თქვენ გენაცვალეთ,
გზა მაქვს მეტად შორეული,
ყმაწვილებო, გეთხოვებით
გულზე ნაღველმორეული.

მაგრამ იმედს, ტკბილს და
ნეტარს,
გეფიცებით ჩემს წილ ღმერთსა,
არა ვკარგავ, კიდევ ვნახავთ
გაზაფხულზე ერთმანეთსა.

მოვფრინდები სამშობლოში
კვლავ გალობა-ჭიკჭიკითა,
დავტკბები და გავიხარებ
თქვენი ხილვა-ტიკტიკითა.

მოგიყვებით მრავალ ზღაპარს
შორის ზღვის და მთებისასა,
თუ კარგს ამბავს დამახვედრებთ
თქვენი სწავლა-ქებისასა...

ჩემი წასვლის ჟამი დადგა,
სევდიანი და გულმწვარი,
შორს მისტუმრებს ყმაწვილებო
უნებურად მე ზამთარი.

მაგრამ აქეთ წამოსვლისას
იქაც დაჰკრავს ლხენის ზარი:
არ დაღონდეთ, გაზაფხულზე
ისევ აქ ვარ მეგობარი!

ზაფხული

სავსეა მთელი მინდვრები
უხვი წლის მოსავალითა,
ასეთი ქერი და პური
ჯერ არ ნახულა თვალითა.

დამწიფებული თაველით
გულზვიადობენ ველები.
ცეცხლისყრით სხაპასხუპობენ
შიგ ნამგლები და ცელები.

დგამენ და დგამენ ძნად ზვინებს
დაკოჟრებული ხელები,
და მაინც კიდევ ბევრია
მოსამკალ-მოსაცელები!

რა ამბავი აქვთ, რა ყოფა,
შეხეთ ბავშვებს და ქალებსა!
ავსებენ მოჭრილ ნამჯებით
ურმებს და ურმის ჭალებსა.

გარს ახვევია მინდვრებსა
გუნდი ქედნის და მტრედისა,
აქ მწყერიც მადლიერია
გვრიტებთან ერთად ბედისა...

ფრთხილი ყურცქვიტა დაძვრება
ჩუმად ყანიდან ყანაში,
მას მოსვენება არა აქვს
ნამგლების იავნანაში.

როდესაც მთელი მინდვრები
მომკილით დაიფარება,
კურდღელიც ნაბადს აიკრავს
და ტყისკენ გაიპარება.

ზამთარი

თეთრად ქათქათებს მინდორი,
ბიჭო, რას უზი კერასა?
გამოდი, გამომზიგულდი,
რა სჯობს ამ თოვლის ცქერასა!

შეხედე დათოვლილ სერებს:
ყელები უგავთ სურასა;
ზამთარი მხოლოდ აშინებს
ლაჩარს და ბუტუსურასა!

შენ ხომ არც ერთი არა ხარ,
მაშ ნუღარ დაიგვიანებ,
თუ გუნდაობას ვერ შესძლებ,
პირს მაინც გაიმზიანებ.

— მოვდივარ, შენი ჭირიმე,
ციგით და თხილამურებით,
მეც მიყვარს თვალის დატკბობა
ჯანსაღი თოვლის ყურებით!

ნახე, როგორი ბიჭი ვარ,
ციგას რომ გავასრიალებ!
ხან ზედ დაგისვამ მოყვრულად,
ხან თოვლში გაკოტრიალებ!

თუ გამეჯიბრე გუნდაში, —
ისე აგიწვავ ყურებსა,
როგორც თონიდან ამოყრილ
კოხტად დაბრაწულ პურებსა!

ჩიტი მზეწვია

ბალღებო, კარი გამიღეთ,
თქვენი დედ-მამის ლხენასა;
ლამის გამგუდოს შიმშილმა,
კლიტე დამადვას ენასა!

ტყის ჩიტუნია გახლავარ,
სახელად მქვია მზეწვია;
რადგან წელს მთაში ზამთარი
სხვა დროზე ადრე გვეწვია,

რა ღონე ჰქონდა, ჩვენს ოჯახს
ძირს უნდა ჩამოეწია;
ჩიტების მტერი მიმინო
ზედ გზაზე წამოგვეწია.

დედაჩემს კლანჭი დასტაცა,
ცალი ფრთა გაჰკრა მამასა;
ჩვენ ცალკე დაგვაწიოკა,
ნისკარტი დაგვიალმასა.

მაგრამ გავუსხლტით ბოროტსა,
შევეფარენით თელასა,
და ისიც მშობლურ გრძნობითა
გულში გვიკრავდა ყველასა.

დიდხანს შიშისგან პაწიებს
გულები გვიფანცქალებდა;
მაგრამ კი აქაც თრითინა
თურმე არ გვითვალთვალებდა!

ამოგვეპარა ნელ-ნელა,
როგორც ეშმაკი მელია,
და-ძმას დამიჭრა ყელები,
მე დავრჩი მარტოხელია.

იმ დღიდან ობლად დავდივარ,
მარტოდმარტოკა, ეული;
ვეძებ მეზობლის ტოლებსა
არაქათგამოლეული.

ვერც ნათესავი ვიპოვნე,
ვერც ბინა მამისეული;
ზამთარიც ჯიბრში ჩამიდგა,
აღარ ილევა წყეული!

ბალღებო, კარი გამიღეთ,
თქვენი დედ-მამის ლხენასა,
მეც ჩავერევი თქვენს ლხინში,
როს ამოვიდგამ ენასა.

ზღვია

რად მოფრენილხარ შოშიავ,
შენ ასე ადრიანადა?
— რა ვქნა, ვერ ვძლებდი, სულ მუდამ
ვიყავი დარდიანადა.

გული, სული და სურვილი
სულ აქეთ მეზიდებოდნენ,
სამივე ერთად ტოკავდნენ,
ქერქში აღარა დგებოდნენ.

ვიცოდი, ზამთრის ნაწყვეტი
აქ კიდევ დამიხვდებოდა,
შემაწუხებდა შიმშილი
და კიდეც შემცივდებოდა.

მაგრამ მივენდე ილბალსა,
არ შევუშინდი ზამთარსა,
და მოვატანე კიდევაც
ჩემი სამშობლოს მთა-ბარსა.

არცა მღალატობს იმედი,
ფრთებსა შლის ჩემი გუნება.
თვალს იფშვნეტს ნამძინარევსა,
ილვიძებს, დგება ბუნება.

მოსჩქეფენ ნაკადულები,
მორბიან, მოიმღერიან,
ამსხვრევენ ყინულთ ბორკილსა,
ველთა სიმწვანეს ელიან.

მეც ვეგებები გაზაფხულს
ფრთების ძლევით და სტვენითა,
ვახარებ დიდს და პატარას
მის მოსვლას ტკბილის ენითა.

რა ვქნა, ვერ ვძლებდი შორს ქვეყნად
გული სულ არა დგებოდა,
იქ მუდამ დარდში მყოფელსა
აქ შვება მელოდებოდა.

პირველი გაზაფხული

პირველი გაზაფხულია,
ბიჭო, გავიდეთ ველადა,
მინდორი ამწვანებულა,
ბიბინებს სანატრელადა.

ბუჩქების ძირში ჯგუფ-ჯგუფად
ამოფეთქილან იანი,
იქვე ფარფატებს პეპელა,
ნაზი, ფრთა-წინწკლებიანი.

მზე გამოფოთლილ ჭალა-ტყეს
დაჰყურებს ცხარე თვალითა,
აქ-იქ ქურდულად დარჩენილს
თოვლს ანადგურებს ძალითა.

მერცხლებიც დანავარდობენ,
სამშობლოს ნახვით სტკბებიან,
ია ხომ აყვავებულა,
ვარდებიც გაიშლებიან!..

პაწია მერცხალი

მე პაწია მერცხალი ვარ
მოჭიკჭიკე, მოალერსე;
ნეტავი რა დაგიშავე
ქვებს რომ მესვრი ბიჭო სესე?!

ცხრამთა გზიდან მომავალი,
მოქანცული, მოღალული,
დაბლა-დაბლა ვეშვებოდი,
შენ გეძებდა ჩემი გული.

სიყვარულით, სიხარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი
ერთხელაც არ დავიკვნესე.

აი, მოველ, დაგინახე,
გულში ია-ვარდი ვთესე,
ავჭიკჭიკდი უფრო ტკბილად,
ხმები გავიუკეთესე.

შორით თვალებს გიკოცნიდი,
ცის ლაჟვარდში ვსრიალებდი,
ვჭიკჭიკობდი, შეგამკობდი,
სულ შენ შემოგტრფიალებდი.

გეფიცები და-ძმობასა,
მხოლოდ ეხლა დავიკვნესე,
არ გრცხვენია, უმიზეზოდ
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

ია

ველში ია ამოვიდა,
მიიხედა, მოიხედა,
„მწყურიაო!“ — ჩუმადა თქვა,
დაძახება ვერ გაბედა.

ზღვის ორთქლი და ოშხივარი,
რაც ცას დღისით აეწურა,
ცვარ-ნამებად გადაქმნილი
იას გულზე დაეპკურა.

გაზაფხულის კოხტა ყვავილს
გულს სიამე მოეფინა,
ველს სალამი მისთავაზა
და მადლობით ცას შესცინა.
კოპწიას და ჩანასკულსა,
ლურჯქათიბა-კაბიანსა
მთაც ნაკადულს უგზავნიდა
ციკწინწკლება-ქაფიანსა.

და უთვლიდა გამარჯვებას,
ცხონდა თქვენი მშობელიო,
აქ ეს არის, მანდ შენა ხარ
გაზაფხულის მთხრობელიო...
ველში ია ცქრიალებდა,
კლდეზე წყარო ჩქრიალებდა,
მთა და ბარში გაზაფხულის
უხვი მადლი ტრიალებდა...

ყაყაჩო

ყაყაჩო მქვიან სახელად,
მეც ყვავილი ვარ ველისა;
მიყვარს წითელი სამოსი,
კოხტად დაჭერა ყელისა.
თან მოვდევ გაზაფხულობით
ენძელასა და იასა,
ისე შევხარი მინდორსა,
როგორც ყმაწვილი ძიასა.
რაწამს გავჩნდები, ბალღები
სიმღერით მეგებებიან;
მე მათ სიცოცხლე მახარებს,
ისინი ჩემით ტკბებიან.
მაგრამ ეს კია, დღემოკლეს
დიდხანს არ მედგომინება;
ხომ არ დავიწყებ ტირილსა,
ბუნებამ ესე ინება:

მე მოვკვდე, როგორც შიკრიკი
გაზაფხულისა პირისა,
უარმყოფელი ზამთრისა,
მისგან მომდგარი ჭირისა,
და სხვამ იხაროს ჩემს შემდეგ,
უფრო ძლიერმა ყვავილმა,
რომ ვერაფერი დააკლოს
ყვავ-ყორნებისა ჩხავილმა.
მან და-ძმებს გადაულოცოს
ზეაღმართული ალამი,
ახლა მათ მისცენ გაზაფხულს
გამარჯვებული სალამი...
ყაყაჩო მქვიან სახელად,
ველია ჩემი მშობელი,
მე მისი პირმშო შვილი ვარ,
მის გულის შემამკობელი.

ბ ა ბ ი ა

მწყემსმა შემიპყრო მძინარე
მინდვრის ბაბია პატარა,
გამომიხვია კალთაში,
სოფელზე ჩამომატარა.

რა დამინახეს ბალღებმა,
შეექნათ ყივილ-ხივილი:
ზოგს „ყოჩაღ ბიჭო“! სცდებოდა,
ზოგს სიბრალული, წივილი.

ზოგი კი, გაკვირვებული,
შორიდან მითვალთვალებდა;
მათ რა იცოდნენ, თუ გული
რარიგად მიკანკალებდა.

— ვაი შენს დედის სიმწარეს! —
გაიძახოდნენ ქალები; —
ვინ იცის, როგორ დაგეძებს
მისი გული და თვალები!..

ჩემმა ბედმა და იღბალმა
ხელიდან ხელში იარა,
და როგორ გავჩნდი ქალაქში,
მე არა გამიგიარა.

დღეს შენთანა ვარ, პატარავ,
მიყვავებ, მეალერსები;
ეგ ტკბილი ხვევნა-ლიკლიკი
გულს მხვდება, როგორც ნემსები.

მწვანე ბალახსაც მიზიდავ,
მასმევ რძეს დილით, ღამითა,
მაგრამ რა, მაინც ტყვე მქვია,
რა გამოვიდა ამითა?!

გულს განა ჭამა ახარებს,
ან სხვის ბაღჩა და სხვა ვარდი!
თავისუფალი ცხოვრება,
თავისუფალი ნავარდი!!

გამიშვი, შენი ჭირიმე,
გამიშვი, ჩემთვის წავიდე,
ხან ყანის პირებს მოვედო,
ხან გორაკებზე ავიდე.

ჯერ სწორედ არც კი
გავმძღარვარ
ლამაზ მინდვრების ცქერითა,
ნაკადულების ჩუხჩუხით
და ტოროლების მღერითა.

იქნება დედაც ეიპოვო
როგორმე, ალალბედადა;
ნეღარ დამიჭერ პატარავ,
თუ შენც დედა გწამს დედადა.

ცრემლმორეულმა ყმაწვილმა
ხელი აუსვა, დაუსვა,
ტკბილად დაკოცნა ბაჭია
და ისევ მინდვრად გაუშვა.

ყვავილი

რად მისპობ ლამაზ სიცოცხლეს
თავად ლაღო და ცქრიალა?
ხომ არ გგონივარ ნაჭუჭი
და ან ქალალდის ფრიალა!

ბუნებამ შემქმნა კოპწია,
სასიამოვნო თვალადა;
დას ხომ არ გაიმეტებდი,
რომ გაეჩინე ქალადა?

მინდვრის ყვავილად მოვლენილს
დებიც ბევრი მყავს, ძმებიცა,
ნიავს რომ ავუმღერდებით,
კილოც კარგი გვაქვს, ხმებიცა.

ისევე ვცელქობთ, როგორც შენ
დედის ან მამის გულზედა,
სითბო-სინათლის შვილები
მოვდივართ გაზაფხულზედა.

მაგრამ, პაწია უცნობო,
აი რას გეტყვი მხოლოდ:
ჩემ დღეს არ მოასწრაფებდი,
დედა რომ თანა გყოლოდა.

და რაკი ასე არ მოხდა,
მაშ გადაეცი ტოლ-სწორებს:
შენგან უნებურ შეცთომას
ნულარვინ გაიმეორებს.
ახლა კი აქვე დამტოვე,
ვთხოვ, დამთმოს ცელქის
წყურვილმა,
იქნება რამე მიშველოს
დედის ლოცვამ და სურვილმა.

ოგოლი

მარტოდმარტოა ობოლი,
ზის და ქვითინებს მწარეთა,
მამა შინ არ ჰყავს საწყალსა,
დაც გამოსულა გარეთა.

გული ელევა საბრალოს
დისა და მამის ლოდინში,
ვერც კარი ჩაუკეტია,
ვერც ჩაწოლილა ლოგინში.

დედა-კი სხვაგან ჰგონია:
შორს, სადღაც, სალოცავადა,
ვერ მიხვედრილა, თუ მამას
რისთვის აცვია შავადა.

ღამეა. ქარი გრიალებს,
ფინია ჰყეფავს კარებზე,
შინ-კი პატარას შიშისგან
ცრემლი ჩამოსდის თვალებზე.

რა დაიღლება ტირილით
და ჯდომა მოეწყინება,
კერის წინ ფარატინებზე
მიწვება, მიეძინება.

დედასა ჰხედავს სიზმარში,
ლიმილი მოსდის პირზედა,
კაბის ღილს უსნინს, ძუძუზე
ჰკოცნის და ეკვრის ყინწზედა.

რაკი დასტკბება ალერსით
და მშობელ დედის ყურებით,
გულამომჯდარი ტიტინებს
კალთაში საყვედურებით:

—სად დამემალე, სად წახველ,
ვისთან იყავი, დედაო?
სამი ღამეა მშიერი
ვიძინებ ზედიზედაო.

ყურს არვინ მიგდებს, ცარიელ
კუჭს ძლივას ვიძღობ პურითო,
რასაც ვჭამ, ისიც სავსეა
ნაცარითა და მურითო.

ნულარსად წახვალ, დედილო,
შენს ძუძუს ვენაცვალეო!
თუ კიდევ სადმე წახვიდე,
მეც შენთან წამიყვანეო...

იძინე, ჩემო პატარავ,
იძინე ტკბილის ძილითა;
წყნარად, გულდამშვიდებულსა
გაგეღვიძება დილითა.

ცხადლივ ვერ ნახავ დედასა,
ვერ ჩაეკვრები უბეში,
გული კვლავ აგიტირდება,
მაგრამ ხალხია ნუგეში.

დედა კაბას უკერავდა

დედა კაბას უკერავდა
საახალწლოდ თავის ელოს,
გასასინჯად დაუძახეს
მეზობლის ქალს, ობოლ მელოს;

გადააცვეს უმალ კაბა,
მიაბრუნეს, მოაბრუნეს,
სწორედ კარგა მოუვიდა,
ვერაფერი დაუწუნეს.

— „რა მშვენივრად ჩაიკვანწა
ეს ეშმაკი, კუდიანი;
ვინც კი ნახავს — გაკვირდება,
უქუდო თუ ქუდიანი!“

იძახოდნენ გაკვირვებით
ნინო, ქეთო, რუსუდანი,
იქ დამსწრე და მაცქერალნი,
გარეშენი ბევრიც სხვანი.

— თუ მიხდება, რაღადა მხდით,
ზედვე მეცვას ბარემაო.
ერთხელ ჩემშიც გაიხაროს
ობლობის მზე-მთვარემაო! —

გულისტკენით თქვა და გარეთ
გამოფრინდა ცქრიალითა,
თან ცრემლები მოსდიოდა
უნებურად, თქრიალითა.

იქ დამსწრენი დაამუნჯა,
ჩაუვარდა ყველას ენა,
აგრძნობინა მელომ მწარედ
სიობლე და გულისტკენა...

ეს ამბავი რომ გადასცეს
თბილისიდან მოსულ ელოს,
მაშინათვე დაუძახა
ძმებს პირით ობოლ მელოს.

მივარდა და მოეხვია,
მარტო კოცნა არ აკმარა,
გულს ჩაიკრა, ჩაიხუტა
და ცრემლებად დაიღვარა.

„მე ახლები მამშვენებდნენ,
არც კი ჰქონდეს ამას ძველი?!“
აიღო და უთავაზა
ტანსაცმელი ერთი ხელი

და თან უთხრა: „ჩემი და ხარ
უსაშველოდ, უსიკვდილოდ;
ხვალ მთელი დღე ერთად უნდა
გავატაროთ, მოვილხინოთ.

ამ ზაფხულს კი, როცა ჩემი
გათავდება სწავლის ყავლი,
უსათუოდ შენც ჩემსავით
წერა-კითხვას შეგასწავლი“.

ნაბია და წკიპა

ჰეი, ბიჭო, ბიჭო წკიპა!
გახსოვს, ბებომ რომ გაგწკიპა?
ვაშლის ქურდი დედის კალთას
ამოეკარ, როგორც ტკიპა.

— შე ნაბიავ, მერე მაგას
ვინა მალავს, ვინა ჩქმალავს!
თუ აგრეა, შენ-კი ჩემზე
ცოტა რამე მოგიპარავს?!

— აბა როდის? — აი გუშინ,
თუნდა ვკითხოთ ეგერ ჯიბოს,
შერცხვენილი ის გამოდგეს,
ტყუილები ვინც ჩაჯიბოს!

— რაო, რაო?! რადა ცრუობ,
შე ბაბრიავ, შე ნაგაზა!
ფელამუშის კოვზი ცხვირში
დედამ მაშ ვის უთავაზა?

—წიტებს ვლოკდი!—ჰოდა რადგან
ველარაფრით დაგიოკა,
მსუნაგსა და ავმუცელას
ციცხვიც მიტომ გაგალოკა.

— ბიჭო, მერე განა ამას
შენ ეძახი ქურდობასა?!
შე შუდრეგო, აღარ გახსოვს,
საწნახელში ყურძნობასა

ტკბილის ნაცვლად ჩაფუნიდან
ვინა ყლაპა ჩუმად დურდო?
ვინ გათათხეს? მე, თუ წკიპა?
ავყიავ და მართლა ქურდო!

— აბა როდის? აბა როდის?
ჭტყუანს მოსტყდეს მართლა ენა;
ცილს რომ მწამებ უნამუსოდ,
ესეც შენა, ესეც შენა!

—

ორ პაწია მებრძოლს შორის
დატრიალდა ჩხუბის ჯარა;
ტკბილ ღიმილით გაშველება
ისევ ბებომ დააჩქარა:

აიწია კაბის კალთა,
ხელი ჯიბეს დაისწორა,
ამოიღო წყვილი ვაშლი
და ცალ-ცალკე გაუგორა.

ერთი ხოტბლის თავგადასავალი

უცნაურია, რომ გითხრათ
ამბავი ჩემი თავისა,
ან კი როგორ ვარ ცოცხალი
მნახველი ბევრი ავისა

რვა თვე ორმოში ვეგდევი,
სინათლე მენატრებოდა,
არსით მესმოდა კაცის ხმა,
გული დარდითა კვდებოდა.

სხვაც ბევრი იყო ხორბალი
ორმოში ჩემთან ერთადა,
წყვდიადში გამომწყვდეულნი
ყველა ვიქეცით ღვენთადა.

რამდენჯერ მითხრეს: გაბედე,
ადე, გაგვიძეხ წინაო,
ველარ ავიტანთ, მოგვწყინდა
აშმორებული ბინაო!

ბადიშებს ხომ ვერ ავხდიდი,
სხვაფრივ ვერ გამოვძვრებოდი,
თაგვი არ ვიყავ მეთხარა,
ისევ დროს ველოდებოდი...

ბედზე ოგრგვინა კიდევაც,
ცამ მძლავრად დაიგრიალა;
ვთქვი: „გაზაფხული დამდგარა!“
და გულმა გადმიფრიალა.

ძმებს ხელი წავკარ ფანცქალით,
ღიმილით, სიხარულითა:
„მოვა, წაგვიღებს მთელველი,
მინდვრად, დაგვფარავს
ხნულითა“...

ოჰ, რა ბრწყინვალე დღე იყო,
რა მშვენიერი, დიადი,
როცა დავტოვეთ ჩვენ ორმო,
ის უკუნეთი, წყვდიადი!

მაისი იდგა კეკლუცი,
უტურფესი თვე წელისა,
ნაზად მომრთველი, შემმკობი
სიმწვანით მთა და ველისა.

ყოველ ნაბიჯზე, კუთხეში
ყოველი არსი ხარობდა,
თვალუწვდენელი მინდორიც
ბალახით მრავალგვარობდა.

ზოგან მოჰქუხდა მდინარე,
ზოგან კი მოწანწკარობდა,
გუნდი მომღერალ ფრინველთა
სხვადასხვა ხმაზე გალობდა.

როგორც ჩანჩქერი, სიცოცხლე
დულდა და გადმოდიოდა,
ყველას ტუჩ-კბილზე სიცილი
და სიხარული ღვიოდა...

მინდვრად წაგვიღო პატრონმა,
ხნულში დაგვფანტა ყველანი,
ზედ მიწა წამოგვაფარცხა
შავი, ვით ყულჩი მელანი.

და დავრჩი მიწის ზემოდან
ობლად, მარტოკა, ეული,
არც კაბდო მომხვდა, არც ფარცხი,
ის ბოლოგადალეული.

სად იყო მაშინ, დღეს როა
ხვნა-თესვის მოწყობილობა,
თორემ რა შემახვედრებდა,
რაც გადვიტანე წბილობა!

ვერ გადვურჩები ვთქვი, თაგვსა
ღამ-ღამით გარეთ მძრომელსა;
სად გადვურჩები მტრედს და
გვრიტს,
ან ქედანს გაუძღომელსა!

ბინდბუნდზე მართლაც
წრეუწუნა
ჩემსკენა გამოცანცალდა,
მაგრამ დაკლანჭა ის ჭოტმა
და მოსვლა აღარ დასცალდა.

ეს დღე დამართა მეორეს,
მესამეს, კიდევ მრავალსა;
გაძღა და გარიყრაყისას
ბინისკენ გაჰკრა სავალსა...

დილაადრიან დაგვეცა
გუნდი მტრედის და გვრიტისა,
მაგრამ ზედ მეკრა მე ნამი
ციური მარგალიტისა.

ცვარში გახვეულს გამშორდნენ,
მხარი მიქცია ყველამ;
ვთქვი: „ახლაც ვადამარჩინა
მე რაღაც ბედისწერამ!“

ბევრიც სხვა რამე გადამხდა,
ბაგრამ სად მოვთვლი ყველასა;
ზოგჯერ ბუნებაც კისრულობს
გაჭირვებულთა შველასა.

ქარი ავარდა ძლიერი,
გამოუთქმელი ენითა,
ზედ მიწა წამომაყარა
გრიალითა და ხტვენითა.

რაკი ჩავეკარ მიწის გულს,
იმ ჩვენ დედას და მშობელსა,
გული შევწირე ქარიშხალს,
რომ არ მომწყვიტა სოფელსა.

დღეს ჯეჯილად ვარ მოყრილი,
მწვანედ გამიდის ბიბინი,
მე პატრონის გულს ვახარებ,
ჩემს გულს — პატრონის ღიღინი.

ცახელი (პარმენ თვალჭრელიძე)

1866—1919

პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძე (ცახელი) დაიბადა სოფ. ცახში (რაჭა). წერა-კითხვა ცახელმა ოჯახში ისწავლა. 10 წლის პარმენი უფროსმა ძმამ წაიყვანა ქ. სტავროპოლს და იქ საქალაქო სასწავლებელში მიაბარა. ამ სკოლიდან სწავლის გასაგრძელებლად გადავიდა სამეურნეო სასწავლებელში. ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა ცახელმა სპეციალური გამოცდები ჩააბარა მასწავლებლის წოდებაზე და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა სტავროპოლის მაზრის სოფ. ბეშპაგირის სკოლაში.

1903 წლიდან ცახელი ქუთაისში გადმოვიდა და დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში.

თავისუფალ დროს ცახელი სამეურნეო მუშაობას ეწეოდა.

ცახელი, იმდროინდელი პედაგოგიკის მოთხოვნილების შესაბამისად მისდევდა დიდაქტიზმს. მისი ლექსებიც ვერ ასცდა ამ მიმდინარეობის გავლენას, ამის გამომხატველია მისი ცნობილი საბავშვო პოემა „შალვას თავგადასავალი“,

ცახელის ვრცელი პოემა: „გურგენ რაინდი“, რომელიც პირველად 1893 წელს დაიბეჭდა, საყვარელი საკითხავი წიგნი იყო იმდროინდელი მოწაფეებისათვის.

ცახელის შემოქმედების პირველი დამფასებელი იყო ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მოამაგე იაკ. გოგებაშვილი,

მარინე

კაშკაშ სიცილით ამოჰყო მთის უკან ყური მთვარემა
  და მას სალამი მიუძღვნა ყოველმა ქვეყნის მხარემა...
  ვით გასათხოვრმა ჩაჰღუნა მორცხულად თავი იამა
და გაუცინა ცელქურად მას ვარდმა გულმკერდღიამა.
  მაგრამ ჩვეულებრ მთოვარე არ დაეკონა იმასა,

არ გაუღიმა აშიყსა ტკბილ კეკლუცურად მღიმარსა;
მწუხარედ გადმოაცქერდა ერთს მიდუმებულ მხარესა
და ამ ადგილის ხილვაზე ფერი შეუკრთა მთვარესა.
პატარა ღელის ნაპირზე გამოჩნდა ერთგან საფლავი...
რაღაც სევდისა აღმძვრელი, მწუხარე, გულისსაკლავი,
ორი ასკილის ბუჩქები უდგია ორთავ მხარზედა,
შლილნი ყვავილნი ცრემლის წილ ნამს ანამებენ თავზედა.
ერთის მხრით ჩამოჩხრიალებს მის ახლოს წყარო ანკარა
და მის ნაპირზე აღზრდილა მწვანე ბუჩქნარი პატარა:
ყოველნაირი ყვავილი იმ წვრილ ბუჩქებში მრავლობენ
და მათში ჩასახლებულნი წყნარად ბულბულნი გალობენ.
ნეტავი ვისი იქნება ეს იდუმალი საფლავი
ამ მივარდნილსა ალაგსა? ან ვინ შესწირა აქ თავი,
რაღაც ჯადოსნურ დუმილსა მისი მიდამო მოუცავს,
და რაღაც კრძალვისა შიში გულს აგიშფოთებს და გიწვავს.
გრძნეულებითა აღვსილი ირგვლივ ბუნება მყუდროობს,
არ ისმის ფოთოლთ შრიალი და სიოც არსად მოძრაობს;
არ იძვრის ძილი ბუნების, მკვდარივით მინაბულისა
და ცხადად გესმის ცახცახი და ცემა თვისავ გულისა.

* *

ამბობენ, შორე წარსულში, შიშიანობის დროსაო,
როს საქართველო ებრძოდა მოსეულ მტრების გროსაო.
აქ, ახლო მთაში, შესულა ერთჯერ, ადრიან დილითა,
მხნე დედაკაცი მარინე, თავისი ერთი შვილითა.
სამეფოს ოთხივ კუთხიდან მას შეუკრიბავს გმირები —
გაჭირვებულთა საშველად ყაჩაღად გავარდნილები —
და სადაც ახლა საფლავი გამოიცქერის გულწვითა,
აქ დასცემია მტერს თავზე სამოცდაათი კაცითა.
ბრძოლის დასასრულს მარინეს სისხლებში ამოსვრილიო
უნახავს მკვდრებში უსულოდ თვის დედისერთა შვილიო...
იქ გაუთხრია სამარე, მას დარდით დანაბნედარსა,
და დაუმარხავს საბრალო შობილი ჩვილსა დედასა...
მას აქეთ არვინ გამოჩნდა მისი ამბისა მცნობელი,
მხოლოდ ამბობენ მოდისო საფლავთან ვიღაც მშობელი,
ხმალს გვერდს დაიდებს, დაჯდება, საფლავს დაუწყებს ცქერასო
და კვლავ გაქრება, როცა რომ ათავებს შემდეგ მღერასო:
„სევდიანი, ფულმოკლული მოველ, შვილო, შენ საფლავზე,

გარს ბულბული შემოგმღერის და დაგცქერის ია თავზე
სარძლოსავით მორცხვ-კეკლუცად დაუხრია იმას თავი...
გაიღვიძე, ხმა გამეცი, ნახე ტურფა სანახავი!
მღერის, კვნესის იადონი, თავს დაგძახის „ნანასაო“
და ის „ნანა“ გულს უხიბლავს კაცსა და ქვეყანასაო;
შორის ტყიდან გამოისმის გულდამწველი ზარნაშოს ხმა
და იმ ხმებსა უერთდება შენი დედის მწარე მოთქმა!
მკერდგაშლილი ვარდ-ყვავილი მთვარეს უპვრეტს და უღიმავს,
ყველა ხარობს... მარტო, შვილო, უშფოთველად შენა გძინავს.
გაიღვიძე, გაიხარე, საფლავიდან დაიძერი,
თორემ ჩვენი მეზობლები მოგვესევა ვითა მტერი!
მარტო ვცხოვრობ, არვინ გაჩნდა ჩემთვის შემწე, მეგობარი,
მაგრამ ერთად მიმაჩნია მინდორი და მთა და ბარი.
შენი გმირი მამის ჩრდილი მეუბნება გულმწყარალიო:
მინამ გიდგას პირში სული, იყავ ხალხის მკურნალიო!
და არ გავტეხ იმის სიტყვას, გავმაგრდები კაჟივითა,
მინამ მე არ გადავუხდი, ველად ვივლი ქაჯივითა...
და, როს მტერზე ჯავრს ავიყრი, შევმუსრავ და ვუმაგივრებ,
მაშინ, შვილო, შენთან ერთად სამუდამოდ მივიძინებ!..
აწ მშვიდობით, დაიძინე... ხვალ ამ დრომდე, ჩემო გვრიტო,
ხვალისთვის კი ნება მომეც, მოვიდე და კვლავ გიშვრიტო“.

საბრალო ბაბუა

I

ქარი ქრის, ქარი ზუზუნებს,
ჯოჯოხეთური ღამეა...
ოჰ, ეს გულქვავი გრიგალი
რა უზოგავი რამეა!
ასწლოვან ხეებს წელში ხრის,
ღრიალებს როგორც აფთარი,
ძლივსღა დაღოღავს ცხოველი,
უსმელ-უჭმელი, გამხდარი...
ქარი ქრის, ქარი ზუზუნებს,
მთა-ბარს გაუდით ბღავილი;
თვის დედას, მიწას, მზრდელ
მკერდზე
კვნესით დაკვდა ყვავილი.
თოვს და თოვს... მინი
ფერფლები
ბრწყინავენ ათასფერადა,
კივის ქარბუქი, ცას ბურავს,
თოვლს აბნევს ნიავ-მტვერადა.
ღამეა, ღამე შავკუპრი,
ჯოჯოხეთური, ბნელეთი,
მოთქვამს და ტირის ქარბუქთან
ყინვით შეკრული ხმელეთი.
ცის თაღი ჩამოღუშულა,
მწყარალი, პირქუში რამ არი,

ბნათობნი არსად ღოღავენ,
ცა ბნელობს, როგორც სამარი.

თოვლში ჩამდგარი მკერდამდის
მოდის ბილიკზე ზალიკო,
გზა აპბნეოდა, მოხუცი
სხვა გზაზე გადამცდარიყო;
კორდი კორდსა ჰგავს, სერი სერს,
ძთლად დაჰკარგოდა გზა-კვალი,
ღამე რას ნახავს, როდესაც
დღისით ღალატობს მას თვალი!

მოდის, მოაპობს თოვლ-ნამქერს,
მხნეობას არის ჩვეული ,
მაგრამ დღეს რა ქნას ბედშავმა,
სიბერე ახლავს წყეული!
მხარს შვილიშვილი შეუსვამს,
რვა წლის გიგოლი ობოლი,
სიცივე ჰყინავს საბრალოს,
და თრთის, ვით ვერხვის
ფოთოლი.
მოდის მოხუცი, გზას ებრძვის,
მოარღვევს ქარბუქს მკერდითა,
სერით სერებზე გადადის,
მოდის ფერდზე ფერდითა.
ღამე მთლად ჩამოშავკუპრდა,
ჩაჯოჯოხეთდა, ჩაბნელდა,
ბუქმა შეხუთა ჰაერი,
გზაზე სვლა უფრო გაძნელდა.

ეჰ, წახდა საქმე! მუხლებში
მოხუცს უმტყუნა ძალამან.
ნაბუქრის რღვევამ მოქანცა,
სულიც კი დაუღალა მან.
უშტოო ხისქვეშ ჩამოჯდა,
ვერ ძრავს ყინვისგან ენასა,
ყურს უგდებს მთების გოდებას
და მწარ ქარბუქის ღრენასა.

— ბაბუ! გამყინა... გავშეშდი... —
ძლივ-ღა ლუღლუღებს გიგოლი.
— იკივლე! იქნებ გაგვიჩნდეს
ვინმე სოფლამდე მიმყოლი.
თორემ ქარბუქი მატულობს,
თავზარსა მცემენ ეს ხმანი;
სადღაც გადაგვჩეხს გრიგალი,
დავიღუპებით, ღმერთმანი!
კივის ზალიკო... თითქოს გრძნობს,
ღონე მოეცა, მხნე მასა,
კივის და კვალად ყურს უგდებს:
ელის ხმის გამოცემასა;
მაგრამ ხმა არსით არ არის,
ისმის კვლავ ქარის ზუზუნი,
და დაგლოვებულ ქვეყანას
თავს აწევს ღამის უკუნი...
ფეხზე წამოდგა ზალიკო,
მიდის და მიდის ქშენითა,
ქარი კი გულ-მკერდს უსერავს,
წინ ხვდება მკაცრი ღრენითა;
ხან მარჯვნივ ხევში გადაჩეხს,
ხან პირში შეუგუბდება;
წამის სავალ გზას მოხუცი
თითო საათი უნდება...

II

ამისი ცოდვა მიეცა,
ვინც ეს ჩააგდო ამ დღეში:
მოხუცს პატარა გიგოლი
ჰყავს ერთადერთი ნუგეში.
ამის სწავლებას ფიქრობდა,
სურდა მიეცა სკოლაში,
ამბობდა: „სწავლა ხმალია
ამ ცხოვრებასთან ბრძოლაში“.
სწავლის დაწყებას ელოდა,
დღეს დღეზე თვლიდა მიყოლით;

აგვისტოს დამლევს ჩავიდა
ქალაქში თავის გიგოლით;
მაგრამ მას უთხრეს: — რა გიყოთ,
ადგილი არ გვაქვს კლასშიო,
თუ მოგვგვრი, მაგას მივიღებთ
უეჭვოდ იანვარშიო!

ეს იანვარიც დაუდგა,
ქალაქს ჩავიდა ზალიკო;
ნახა უფროსი სკოლისა,
აივანს გადმომდგარიყო.
უფროსს იმისი დანახვა
რომ არ სწყენოდეს, არ იყო,
ეს შეამჩნია მოხუცმა
და ცოტა შეკრთა ზალიკო.

წამოიჩოქა, შეჰვედრა:
— მოიახლოვე ღმერთიო,
ჩემს მოხუცობის იმედად
ეს დამრჩა ერთადერთიო;
ნუ დამიტოვებ უსწავლელს,
მიიღეთ გიგა კლასშიო,
სწავლა სწყურია, მაზე წუხს,
ვერ დავაკავე სახლშიო!
მაგრამ არ გაჭრა ვედრებამ,
ვერ მოალბუნა ქვა გული;
უარი უთხრეს... დგას ზაალ
სევდით გონებადაბმული.
ფიქრობს:—რა ღმერთის წყრომაა,
სულსა გვხდის ხარჯთა კრეფაო,
თუ სკოლისათვის არ უნდათ,
მაშ სად ჯანდაბას ქრებაო?!

კვლავ ეევედრება: — ნუ დამკლავ,
დამყევ თხოვნაზე ნებასო;
ბავშვი მიიღე... პატივ ეც
ამ ჩემს ღრმა მოხუცებასო!
მაგრამ უფროსმა დაჰბღავლა:
— გასწი, შე მაწანწალაო!
თავსაც მაბეზრებს ქოფაკი!
ხედავთ, მოსწყურდა სწავლაო!

და გამოაგდეს ზალიკო...
დაბრუნდა უკან ბედკრული,
თან მოსდევს მისი გიგოლი,
თვალცრემლიანი, მოკლული.
გზაში ქარბუქი აუტყდათ,
მოვიდა თოვლი მაღალი,
და მრავალტანჯულ მოხუცსა
დაატყდა ჭირი ახალი...

III

მიდის მოხუცი... ღამე კი
უფრო და უფრო ბნელდება.
ქარი კვლავ ძალზე გაჰკივის,
თოვლის გვას აღარ სჯერდება!
მიწასაც იღებს, ბუჩქსაც გლეჯს,
უძალესია მეხზედა,
ქვებს აყრის პირში ზალიკოს.
აღარ აყენებს ფეხზედა.
ვაიმე! მოხუცს ქალმნები
ფეხზე სულ შემოსცვეთია,
ოფლი ყინვებად ქცეულა,
მკერდით რომ ჩამოსწვეთია.
ჩამოჰხევია საყელო,
გაშიშვლებია გულმკერდი...
ფუი შენ, ბედო, თუ მშრომელს
ამგვარ მწარ ბოლოს უწერდი!
ლონე აღარ აქვს საძრავად,
ბუქისგან სული გუბდება.
ფორთხავს და ზეზე ვერ დგება.
უცქერთ, რომ გადაბრუნდება;
ყინვამ გათოშა ძარღვები,
წარბებსაც ყინვა ჰკიდია,

მაჯაც მისუსტდა... მკვდარია,
თუმც სული პირში კიდია.
იქვე ძველ თხრილში ჩაყუჩდა,
გულში ჩაიკრა გიგოლი,
ტანზე გაიძრო საცმელი,
მითი შეჰბურა ობოლი.
თვითონ კი დარჩა ტიტველი,
დარჩა პერანგის ამარა,
ოღონდ გიგოლი გადარჩეს,
სხვა იმას არა ჰგამა რა!

გრიგალი ღმუის, ცა კვნესის,
შფოთავს და ტირის მიდამო...
მზეციც სოროში იძუძგვის,
გავლას ვერ ბედავს მის გამო.
ჩიტიც კი ბედნიერია,
მისთვის ჯაგები მზად არი,
მხოლოდ ჭირნახულ ზალიკოს
არა აქვს არსად საფარი.

ზის უმოძრაოდ ძველ თხრილში.
გიგოლი გულში უკვრია,
დალურჯებია მკლავები,
თავი ძირს გადაუხრია,
რაღაც უგრძნობლად გამხდარა,
უსიტყვოდ გარინდებულა,
ბეჭზე გამსკდარი პერანგიც
ნაფლეთად გადაგდებულა.
მაგრამ სიცივეს ვეღარ გრძნობს,
მძლედ ეკიდება თვალს ძილი,
წინ ელანდება ჩვენება,
რაღაც გრძნეული აჩრდილი...
ფერად სიზმრებში დაცურავს,
ხედავს ტკბილ მხარე-სამყაროს,
აქ არ სჭირდება ოფლის ღვრა,
აქ უკვდავების სვამს წყაროს.
მას ელანდება, რომ სხვებთან
სწავლობს იმისი გიგოლი,
ხედავს, რომ იგი პირველობს,
რომ არვინ არის მის ტოლი;
და ალხენს თავის ცხოვრების
ამგვარად გარდაცვალება.
გრძნობს, რომ აქ არის საზღვარი,
აქა თავდება წვალება...

IV

დილაა... თოვა გადიღო,
ქარმა ღმუილი შეწყვიტა,
ამოანათა წყნარად მზემ,
გიგოლს თვალებში შესჭვრიტა;
ყმაწვილმა უცბად სამოსი
გაიძრო, თავი ახარა,
მზეს რომ შეხედა, ლხენისგან
კინაღამ ცრემლი დაღვარა.
ბაბუს შესძახა: — გადავრჩით,
აწ კი მივაწევთ სახლშიო,
მიდამო მიტკბა... გავსწიოთ,
მეც თან მოგყვები მხარშიო...
მაგრამ ბაბუა მუნჯად ზის,
ხმას აღარ იღებს ზალიკო...
კვირობს გიგოლი: მის უმალ
ეს უნდა წამომდგარიყო!
ხელს ჰკიდებს მოხუცს, ჩასძახის,
აღვიძებს, არყევს ძალზედა,
მაგრამ რაღაცა შენიშნა,
შეფრთხა და გახტა განზედა:
ბაბუა გვერდზე გადიქცა,
დევს მოკრუნჩხული, უძრავი,
კისერი გაშეშებია,
ჩამოვარდნია ძირს თავი.
ჩაღრმავებია თვალები,
კბილები დაუღრჭენია,
ზედ მიჰყინვია ხორცი ჯოხს,
ცალ ხელში რომა სჭერია.

ლურჯად მოუჩანს მხარ-ბეჭი,
სახე აქვს ყინვით დამჭკნარი,
დევს უმოძრაოდ, უსულთქმოდ,
შესაშინელი, საზარი...
ერთ ხანს ყრუდ იდგა გიგოლი,
მუნჯობდა, ვერას ამბობდა,
გასდიდებოდა თვალები,
თითქოს გასკდომას ლამობდა,
შემდეგ გაერკვა, აღშფოთდა
ელდით და გულის ტრიალით,
შეშინდა, გაჰკრა, გაიქცა
სოფლისკენ მწარე ღრიალით...

V

მას აქეთ განვლო დიდმა დრომ,
ბევრი რამ მოხდა ცვლილება,
ცხოვრების ბრძოლამ მაგემა
მე მწარე გამოცდილება
და შავ ფიქრებით მოცულმა
სოფლით შორს ვიწყე მგზავრობა,
შორს გავურბოდი მწარე ფიქრს,
რაკი დამიწყო მძლავრობა.

ამ მგზავრობის დროს სამარე
ვნახე მე განმარტოებით,
ვნახე და იმის მახლობლად
შევჩერდი მცირე დროებით.
გორაკზე იდგა. გარშემო
ახლდა კორდები, ხერები,
ტურფად ქარგავდნენ მათ კალთებს
ყვავილნი ათასფერები.
გულმტკივნეულად უცქერდა
შორით მას მწვანე ტყე-ველი,
ყოველმხრივ იდგა სიმშვიდე,
სიწყნარე შეურყეველი.
საფლავს გარს ერტყა ჯგუფ-
ჯგუფად,
ხეენარი მრავალშტოვანი,
მის ქვეშ მწვანობდა ბალახი
ნორჩი და ხავერდოვანი;
უქროდა წყნარი ნიავი,
ფოთლებს გაჰქონდათ ჩურჩული,
მათ თავზე ჰაერს აპობდა
მერცხალი, როგორც შურდული.
იქ იდგა ძეგლი უბრალო,
იმ ძეგლს დავუწყე მე ცქერა:
„აქ წევს საბრალო ბაბუა“ —
ძეგლის გვერდს ასე ეწერა.
მის სისუფთავის შეხედვით
ტკბებოდა სული და გული,
ირგვლივ მიდამო ყოველ მხრივ
იყო დაწმენდილ-დაგვილი.
იქ იჯდა ორი ყმაწვილი,
ქალი და ვაჟი პატარა,
ვაჟს რომ შეეკითხე, მან ირგვლივ
სამარე შემომატარა
და თქვა: — ჩვენ გიგოს შვილნი
ვართ,
აქ პაპა ზაალ წევსაო,
როცა კი მოვა მამა აქ,
მწარე ცრემლს ადააქცევსაო,
მიტომ რომ პაპას გიგოსი
კლასში მიცემა სდომოდა,
მაგრამ იქ სკოლის უფროსი
თავის სჯულს გადასდგომოდა,
გიგოლი აღარ მიეღო,
და პაპაჩვენი ზალიკო
რომ მოსულიყო ამ ალაგს,
აქ ბუქში ამომხრჩვალიყო.
მამა დღეს უსწავლელია,
ჩვენ კი გვზრდის ყველა
შვილებსო,
აქ ნაშუადღევს მოვდივართ
და ვსწავლობთ გაკვეთილებსო.

კვლავ შევეკითხე: — ეგ კარგი,
სწავლა ძვირფასი რამ არი,
მაგრამ საფლავთან რომ
სწავლობთ,
ნუთუ არა გაქვთ სახლ-კარი?
— სახლი გვაქვს, მაგრამ აქ
ვსწავლობთ,
ხშირად აქვე ვჭამთ პურსაო,
ეს მიტომ, რომა ზალიკოს
სულ ჩვენთან ყოფნა სურსაო;
როცა გაკვეთილს ვკითხულობთ,
ყურს გვიგდებს, როგორც
მართებსო,
თუ კარგად ვიტყვით, „ჰოს“
ამბობს,
თუ გლახად,—სიცილს მორთავსო.
მას ჩვენი სწავლა ახარებს,
სიხარულს ვეღარ მალავსო,
რომ მოვალთ, გვესმის ჩურჩული,
ღიმილით გვაძლევს სალამსო.
ვაი, რომ იგი მკვდარია,
მკვდარი ვერ წამოდგებაო,
თორემ ის მუდამ ჩვენ გვხედავს,
ჩვენი ხმაც ეყურებაო!
კვლავ შევეკითხე: „გინახავთ
თქვენ თქვენი პაპა ზალიკო?“
— არა, — მათ მითხრეს, აკი
ვთქვით,
ის ბუქში ამომხრჩვალიყო.
რით ვერ გაიგე, ნეტავი?
ის აღარ არის მის გვარში,
მხოლოდ ღამ-ღამით შემოდის,
ვნახულობთ მარტო სიზმარში.
მას სიზმრად როცა ვნახულობთ,
ყოველთვის არის მწუხარი,
სცივა, ცეცხლს ეძებს, ძირს
ფორთხავს,
უნდა რომ ნახოს ბუხარი.
ფორთხავს და ჩუმად ბუტბუტებს,
იტანჯვის სულთან ბრძოლაში,
ალბათ, იხრჩობა ქარბუქში,
ან გიგო მიჰყავს სკოლაში,
როგორც ინათებს, გაქრება,
ლანდს ვხედავთ ანაწყოლ მისას,
ალბათა შიშობს, არ შეხვდეს
იმ წყეულს, უფროსს სკოლისას...

VI

ბავშვის გულწრფელმა სიტყვებმა
აღმიძრა მწარე ფიქრები...
გულში ვთქვი: „როგორც ზალიკო,
ჩქარა მეც ისე მივქრები!
მაშ რისთვის ვზოგავთ საცოცხლეს,
რათ არ შევმუსრავთ იმ ძალსა,
რაცა კარს განათლებისას
უხშობს დღეს მშრომელს
საწყალსა?!
ვხედავთ, რომ მტარვალთ
გუნდები
ჩვენს ტანჯვას აღარ კმარობენ,
ჩვენს ქედით ნაკრებ სიმდიდრეს
ჩვენს ასალაგმად ხმარობენ!
სწავლა კი, სწავლა ხალხისა,
მტარვალთ მმუსრავი ხმალია,
და გზას უკრავენ მისთვისაც,
მით ჯერ ვერ გაგვიხარია.

შიო არაგვისპირელი

(დედაბრიშვილი)

1867—1926

შიო ზაქარიას ძე დედაბრიშვილი (არაგვისპირელი) დაიბადა 1867 წელს სოფ. ქარისხევში (დუშეთის რ.) ღარიბი და წერილშვილი მღვდლის ოჯახში. 8 წლის შიო უფროს ძმასთან ერთად მიაბარეს დუშეთის სასულიერო სასწავლებელში. მაშა ადრე გარდაეცვალა, ოჯახი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, მაგრამ 1877 წელს შიო მაინც მოეწყო თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1883 წელს და სწავლა გაგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მართალია შიო ერთხელ დათხოვნილ იქნა სემინარიიდან მოწინავე რევოლუციონერ ახალგაზრდობასთან კავშირისათვის, მაგრამ დიდის გაჭირვებით თავი აღიდგინა; სემინარია დაამთავრა 1889 წელს. ერთი წლის შემდეგ გაემგზავრა ვარშავაში უმაღლესი განათლების მისაღებად. არაგვისპირელი ვარშავაში მოეწყო საბეითალო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1895 წელს. იგი ბეითალი-ექიმი და ცოდნაგაფართოებული დაბრუნდა საქართველოში და სიკვდილამდის ემსახურებოდა თავის ხალხს, არა მარტო როგორც ბეითალი-ექიმი, არამედ როგორც მწერალიც.

შიო არაგვისპირელი გარდაიცვალა 1926 წელს.

შიო არაგვისპირელის პირველი საბავშვო მოთხრობა „მოგონება" (ემაწვილობის ცხოვრებიდან) დაიბეჭდა ჟურ. „ჯეჯილ"-ში 1890 წლის № 5.

პირველად აკ. წერეთელმა მიაქცია ყურადღება შიო არაგვისპირელის ფსიქოლოგიურ მოთხრობებს: „...ეიტეკი გულ-წრფელათ, ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გეიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავის პატარ-პატარა ფსიქოლოგიური ეტიუდებით, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს შ ი ო დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ს...".

შიო დედაბრიშვილის პატარა მოთხრობები, რომლებშიაც აღწერილია ჩვენი ძველი გლეხობის გაჭირვებული ცხოვრება, დაწყებული იაკ. გოგებაშვილის „ბუნების კარიდან" დღემდის ამშვენებს მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოებში.

მოგონება

(ყმაწვილის ცხოვრებიდან)

კვირა დილით ძილში სტვენა შემომესმა. საჩქაროდ ლოგინიდან წამოვხტი და პერანგა გარეთ გამოვვარდი. მეც გავუსტვინე. ერთი კიდევ გამოუსტვინეს და შემდეგ სტვენა აღარ გაუმეორებიათ. მე შინ შევბრუნდი ტანისამოსის ჩასაცმელად.

მე, სოსომ, შაქრომ და გიგლამ სამწყერაოდ წასვლის პირობა შევკარით. დედაჩემი, როცა კი გაიგებდა, რომ მინდორში წასვლას ვაპირებ, გვერდიდან აღარ მიშორებდა და სულ იმას ცდილობდა როგორმე შინ დავეპირე. აი, ამისთვის დასაძახებელ ნიშნად სტვენა გვქონდა. დედა ამას ვერ მიხვდებოდა ხოლმე და მეც თავისუფლად გამოვდიოდი სოფლის გარეთ, სადაც ჩემი ამხანაგები მიცდიდნენ...

შუადღემ მოატანა. გაცხარებულები ვმწყერაობდით. კიჟინითა და სხალტების ქნევით ერთი ნამკლიდან მეორეში გადავრბოდით. თავპირზე წურწურით ოფლი ჩამოგვდიოდა. ჩვენ მაინც რაღაც სასიამოვნო სურვილი გვიზიდავდა და ძალას გვაძლევდა. თუმცა კარგა ხანმა გაიარა, რაც ვმწყერაობდით, და ყველას რამდენიმე მოკლული მწყერი, კაი მონადირეებსავით, ქამრებზე გვქონდა ჩამოკიდებული; მაგრამ არც ერთს ჩვენგანს მაინც დასვენებაზე ხმა არ ამოგვიღია და თითქმის დაღლილობაც არ გვიგრძვნია.

სიცხის გულზე მწყერი ბუზივით ამოდიოდა. ხანდისხან ცხვირწინ აგვივლიდა. ვინც კი მოასწრებდა, მაშინვე უკან სხალტს გააყოლებდა, და მწყერიც სხალტთან ერთად ძირს ვარდებოდა ან ფრთამოვარდნილი, თავმოგლეჯილი, ან კიდევ, როცა სხალტი მარჯვედ და მარდად მოჰხვდებოდა, ზედ შუაზე გაგლეჯილი.

რა სიამოვნებით გვიხტოდა გული, როცა მკვდარი მწყერი ძირს ჩამოვარდებოდა, და რანაირი სიხარულით მივრბოდით მწყრის ასაღებად! რა თავმომწონედ დავანახვებდით ხოლმე ერთმანეთს ჩვენგნით მოკლულს მწყერს!

რაც უფრო ბევრსა ვხოცდით, მით უფრო გვიცხოველდებოდა მწყერაობის სურვილი, მით უფრო გვეხალისებოდა მწყერაობა და ძალაც გვემატებოდა.

— ნახე, ნახე!..—ვუძახდით გიშერას; როცა მწყერი აღარ ამოდიოდა.

გიშერაც გამალებული დაეძებდა, ხანდისხან შესდგებოდა და ერთს ადგილს დიდხანს კუდის ქნევით უცქეროდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მწყრის სუნი აიღო და ახლა მწყერს ეძებს. ჩვენც გარს შემოვერტყმოდით და გულის ფანცქალით ველოდით მწყრის ამოფრენას.

გიშერა ხშირად უფრო გვატყუებდა და მწყრის მაგივრად თაგვის სოროებს ეძებდა. განგებ კი არ ჩადიოდა ამას, არა, — თითონაც სცდებოდა, რადგან მწყრის სუნსა და თაგვის სუნს ერთმანეთში ვერ არჩევდა.

ერთ ნამკლის თავში გიშერამ კიდევ მოგვატყუა: ჩვენ გვეგონა მწყერს დააცქერდაო, და თაგვმა კი გაგვირბინა ფეხებში.

— აი, შე ოხერო, შენა! — სიცილით დავძახეთ ყველამ.

— ვა-ვა, ვა-ვა! ქვით-კირი, ქვით-კირი! — მოისმა ამ დროს ნამკლის ბოლოდან მწყრის ძახილი.

— არიქათ, ბიჭებო, წავიდეთ იქით! დედა-მწყრის ხმაა. რანაირ მჭახედ იძახის! — გვითხრა სოსომ და გაიქცა ნამკლის ბოლოსკენ.

ჩვენც მაშინვე უკან გავყევით. გიშერას ერთი ალიაქოთი შევუყენეთ: „ნახე, გიშერ, ნახე!“ და „ჰაი-ჰაა, ჰაი-ჰაა“-ს ძახილით ერთმანეთს აღარ ვაცდიდით. საწყალი გიშერა ხან ერთს შემოგვხედავდა და ხან მეორეს, არ იცოდა, საით წასულიყო და ან როგორ დაეწყო ძებნა.

ბოლოს, როგორც იყო, მიაგნო მწყრის კვალსა და გაცხარებულმა დაიწყო ძებნა... აგერ გიშერა შედგა, აიღო კუდი მაღლა, ყურები დააცქვიტა, თვალები დიდად დააჭყიტა და თავი წინ წაიღო! ჩვენ სულ გავინაბეთ და გარს შემოვერტყით. ჩამოვარდა სიჩუმე. გულმა აჩქარებით დაგვიწყო ფანცქალი... სუნთქვა შევაყენეთ.

გიშერამ ხახე შეიჭმუხნა. უეცრად გადახტა და წინა ტოტები მიწას მაგრად დაარტყა... მოგვესმა რაღაც წრიპინი. გიშერამ თავი მაღლა აიღო და იმის პირში დავინახეთ საცოდავად გამომცქერალი დედა-მწყერი. რანაირი სიბრალული ალმეძრა!.. ჩემ დღეში არ დამავიწყდება იმისი ცრემლმორეული თვალები!..

„რა გინდათ ჩემგან, რა დაგიშავეთ, რათ მისპობთ სიცოცხლეს და შვილებს ობლად რათ მიტოვებთ?! თუ თქვენ გინდათ სიცოცხლე, მეც მინდა ვიცოცხლო!“ — თითქოს გვეუბნებოდა საბრალო მწყერი ამ საყვედურით სავსე სიტყვებს.

გიგლა მაშინვე მიჰვარდა გიშერას და მომაკვდავი მწყერი პირიდან წაჰგლიჯა. საწყლისთვის გიშერას კბილი შიგ გულში ჩაეყარა!

გიგლას დიდხანს ეპირა ხელში და გაშტერებით დასცქეროდა. ჩვენც გარს შემოვეხვიენით და გაჩუმებულები შევცქეროდით მწყერს. ყველას ნაღვლიანი ხახე გვქონდა, ყველას გულზე ლოდივით რაღაც დაგვწვა.

მწყერი კი ძლივსღა სუნთქავდა. თავის პატარა წაბლისფერ თვალებს ძალას ატანდა, თვალის ქუთუთოებს რაც შეეძლო იჭიმავდა, ეტყობოდა, თვალთ უბნელდებოდა და ბუნდადღა ჰხედავდა.

— სანდრო, წავიდეთ ჩქარა შინ, — შემომხედა თვალცრემლიანმა გიგლამ და მითხრა: — დედაშენს კარგი მალამო ექნება, იქნება მორჩეს!

— რას ამბობ, ბიჟო, ეს ახლავე მოკვდება, — ვუპასუხე მე.

გიგლამ ერთი კიდევ დაჰხედა მწყერს.

— აჰა, დაიჟი!.. — მომაწოდა მწყერი და ქვითინი ამოუშვა, — თავი მაინც მოჰგლიჯეთ, ნუ სტანჯავთ! — ტირილით გვეუბნებოდა გიგლა.

თავის მოგლეჯა ვერავინ გავბედეთ. მწყერმა უკანასკნელად გადაატრიალ-გადმოატრიალა თვალის კაკლები, დაგვათვალიერა ყველანი, თითქოს გვემშვიდობებაო, და სამუდამოდ დახუჭა თვალები.

— ეს ვერანა, ეს!.. — ტირილით ჯავრობდა გიგლა გიშერაზე, — გულში რომ არ ეკბინა, არ იქნებოდა?!

გიშერამაც იგრძნო თავისი დანაშაულობა და საცოდავად მოიბუზა.

ჩვენ ყველამ გადავწყვიტეთ მწყრის დამარხვა, — გავთხარეთ ღრმად მიწა და მწყერი ჩავფალით, ზედაც ნიშნად დიდი ქვა დავადეთ.

დაღონებული წამოვედით შინ. გიგლამ თავისი მოკლული მწყრები ჩვენ მოგვცა.

— მე არ მინდა! — გვიპასუხა გიგლამ, როდესაც ჩვენ ვკითხეთ: „შენ კი არ გინდაო?“

ამ სურათმა გიგლაზე ისე იმოქმედა, რომ მერე ჭინკველასაც კი არ დაადგამდა ფეხს: „ეგეც სულდგმულიაო“, — იტყოდა ხოლმე.

სახლში რომ ეხვეწონ, ქათამს ვერ დააკვლევინებენ, თუმცა კი ის ახლა წვერ-ულვაშით არის შემოსილი.

„ჩემო შვინდავ“

(სურათი)

I

ღამის სიბნელეს ერთი ალიაქოთი შეუდგა და შიშისაგან ტუჩისფერი დაჰკარგა, როცა დღის ნათელს თვალი შეასწრო. სიბნელე ჰგმინავდა, ფორთხიალობდა, ებრძოდა სინათლეს, მაგრამ ვერას გამხდარიყო. სასოწარკვეთილებით მიჰმართა თავისს დარაჯ-ვარსკლავებს და საშველად იხმობდა, მაგრამ ისინიც შიშისაგან სადღაც მიმალულიყვნენ და თავის დედას — სიბნელის მომაკვდავი ხმა არ ესმოდათ. მარტო შორს, სადღაც ცის კიდეს, გამოჩნდა ამ ხმაზე ერთი დარაჯი, მალვით გამოაბჟუტა თვალები და, თავისი დედა — სიბნელე მთლად ნაცრისფრად ქცეული რომ დაინახა, ნაღვლიანად ჩაიქნია თავი და ისევ მიიმალა.

დარაჯთ ამნაირ სამარცხვინო საქციელისთვის ხმელეთიდან ფრინველთ ყოფინა დასცეს და სინათლეს — კი — „ვაშა, ვაშა“-ს შესძახო-

დნენ. ტოროლა მაშინვე წამოვარდა თავის ბინიდგან და სიხარულით გაეშურა ცისკენ სინათლის მისაგებებლად...

ჯერ ისევ ნორჩმა, ხავსივით მწვანე ბალახმა ღამის სიბნელისაგან მოხრილი წელი აიმართა და ღიმილით შეხედა სინათლეს, რომელიც ალერსით დასცქეროდა ზემოდან. აგერ ახლად გაფურჩქვნილმა ვარდმაც მორცხვად და კეკლუცად დაუწყო მზერა სინათლეს, ვითომდა ყურს არ უგდებსო ბულბულის გულსაკლავს სტვენას, რომელიც, აგერ რამდენი ხანია, სასოწარკვეთილებით დაჰკვნესის და ეტრფიალება. საწყალი ვარდი მთლად დამთვრალია ბულბულის ალერსით. მაგრამ რა ჰქნას, როცა მეტისმეტი მორცხვი და კრძალული არსებაა და ვერ გამოუთქვამს ბულბულისთვის თავისი გრძნობა! აგერ, როგორ გაწითლებულა გულისთქმით და ალმური ასდის... ბულბული კი ვერ მიმხვდარა ამას და, ვარდის ამ გაათკეცებული სიმშვენიერით დამწვარი, უფრო გულსაკლავს ხმებს დაჰკვნესის და სტვენს, თითქოს გული უნდა ამოიგლეჯოს და ვარდს ესროლოს, რომ, ამით მაინც არის, დაიმსახუროს მისი ყურადღებაო.

ძირს, ხმელეთს ფრინველთ უკანასკნელად კიდევ დასცეს სიბნელეს ყიჟინა, სინათლეს გამარჯვება მიულოცეს და საზრდოს საძებნელად გაემგზავრნენ სხვადასხვა მხარეს. ყვინჩილამაც მიჰბაძა სხვა ფრინველთ, ფრთხიალით გადმოეშვა ძირს ხის ტოტიდან და იქვე ნაგვის გროვას რუკრუკით ქექა დაუწყო და ეძახდა თავისთან დედლებსა და ვარიებს, რომელთაც დიდხანს არ ალოდინეს და ნაგვის ქექით მხარში ამოუდგნენ.

ქათმებთან ერთად სოსოს დედაც წამოდგა, საჩქაროდ დაჰგავა სახლი და დერეფანი. ნაგავს კიდევ ახალი ნაგავი მოუმატა და ამით ყვინჩილა და მისი ჯალაბობა ძალიან გაახარა. სოსო კი დილის ძილში იყო და ტკბილად ხვრინავდა დერეფანში. დედა მივიდა, უნდოდა გამოეღვიძებინა, მაგრამ შენანდა თავისი შვილი, ისევ თავი დაანება და, საწველელით ხელში, ხბო გამოუშვა; ხბომ მაშინვე შეჰბღავლა და ხტუნაობით თავის დედისკენ გაეშურა, რომელიც მხიარულად მიეგება და ზმუილით ლოკვა დაუწყო, ხბო თავის პატარა თავს ცურზე უსვამდა და თან ხან ერთს ძუძუს ჩაიდებდა პირში და ხან მეორეს. სოსოს დედაც საწველელით იქვე იდგა და ხბოს შველოდა ძუძუების მორიგებას.

— ჯერ ეს გეყოფა, ჩემო ფუჩინავ! — სთქვა სოსოს დედამ და ხბო ძროხას წინ მიუბა, თითონ კი მიუჯდა ცურს და ცოტა ხნის შემდეგ საწველში რძეს ჩხრიალი დააწყებინა.

საწყალი ხბო ამ ჩხრიალზე მადაგაღვიძებული გამალებით იწევდა ცურისაკენ, მაგრამ თოკი არ უშვებდა.

— ბაბალე, — ღობის გარედან გადმოსძახა შუახნის კაცმა, როცა სოსოს დედამ წველა გაათავა და ხბოს მოსაწოვად უშვებდა. — დილა

მშვიდობისა, — მიესალმა ისევ ის, როცა ბაბალემ იქით მიიხედა, საიდანაც ხმა მოესმა.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, ჩემო ქიტესავ!

— ჯერ სოსო არ ამდგარა? ნუღარ დააგვიანებ!

— ეხლავ გავაღვიძებ.

ბაბალემ საწველელს ხელი დაავლო და, ის იყო, უნდა შინ შესულიყო, რომ ამ დროს სოსოც გამოვიდა გარეთ.

— ოჰ, ამდგარხარ კიდეც, შვილო! — სიყვარულით უთხრა დედამ.

— გუთნიდედამ ხომ არ გაიარა? — ჰკითხა სოსომ დედას.

— გუთნიდედა აქ გელის, — გადმოსძახა ღობის გარედან ქიტესამ, რომელიც სოსომ აქამდე ვერ შეამჩნია.

სოსო ამ ხმაზე გაწითლდა და დედას საყვედურის კილოთი უთხრა:

— აკი გითხარი, დილაზე, როცა შენ ადგე, მეც გამაღვიძე-მეთქი.

— არა გრცხვენიან, მაგოდენა კაცი სხვამ უნდა გაგაღვიძოს! — გაეხუმრა ქიტესა.

— როცა ლოგინში ჩაწვება ხოლმე, სულ იმას მეჩიჩინება: „დილაზე ადრე გამაღვიძე, გუთნიდედას მინდა ავუსწროვო“, ღიმილით უთხრა ბაბალემ ქიტესას.

— ღმერთმა მოგცეს და მაგის ბედნიერებას ორივე შეგვასწროს, და აი, ეს დღე ნიშანი იყოს, — ეგ ისეთი ვაჟკაცი დადგება, რომ ამ ჩვენს სოფელში ცალი არ ეყოლება. ჯერ რა არის, სულ თითის სიგრძე ბალღია და...

— ჰო, მეთერთმეტე წელშია გადამდგარი, — გააწყვეტინა სიტყვა ბაბალემ.

— ჰოდა, აკი ვამბობ, ჯერ თითის სიგრძე ბალღია-მეთქი და ახლავ ისეთს უნარს იჩენს, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს. ეგ რო არ გვყვანდეს გუთანზე, სულ უგემური იქნებოდა ჩვენი ხვნა. ამ ქალაქია დღე ისეთს „ოროველას“ დასძახის და ისე ერეკება წინა ხარებს, რომ კაცსაც და ხარსაც დაღალვას არ გვამჩნევინებს...

ბაბალეს გული სიხარულით თავის ადგილს აღარ უდგებოდა, როცა ქიტესა ასეთის ქებით ამკობდა სოსოს. სოსო კი ამ დროს ხბოს ეალერსებოდა და ქიტესას ქებას ყურს არ უგდებდა.

— ხარიც რო ისეთი ჰყავს, ი დალოცვილი! ქედ-მადლიანია, ისე მუყაითად ეწევა, რო ტოლი არა ჰყავს მთელ გუთნეულში.

— ამის გაზრდილია, ექვსი წლისა იყო ჩემი სოსო,ენაცვალოს თავისი დედა, როცა ის ძროხამ მოიგო, და მას აქეთ სულ ეს უელის. ისე შეუყვარდა, რომ თითქმის ღამე გვერდით მიიბამდა ხოლმე და ისე ეძინა. ყოველს ცისმარე დღეს ახალ-ახალი ბალახი მოჰქონდა და თავისი ხელით აჭმევდა.

— კაი ხარი-კი დამდგარა და... ღმერთმანი, სოსოზე და მაგის ხარზე ორი დღის ანეულიც ალალია. თუ ღმერთმა დარები დაგვიყენა, სწორედ ორი დღის ანეულს გადვუჭიმავ...

— მადლობელი ვარ, ჩემო ქიტესავ, მაგრამ მოდგმეებმა რო არ იყაბულონ? ჩემს სოსოს, როგორც დღის მეხრეს, ერთი დღისა ერგება; ცალ ხარს კიდევ — ნახევარი დღისა. აი, უღელი ხარი რო მყვანდეს, მაშინ სხვა იქნება; მაშინ ორი დღისა გვერგებოდა.

— რას ამბობ, ადამიანო, რომელი მოდგმე არ მიყაბულებს?! განა ისინი არა ჰხედავენ, რომ ბიჭი ძალზე მუყაითად ეკიდება?!

— დედი, — დაუძახა სოსომ თავის დედას: — ძროხას ძუძუებს დააჭრის, მოვაშორო?

— მოაშორე, შვილო!

— ჰე, ფუჩინო, აბა, თუ მოჰშორდეს!.. აბამე, აბამე, რანაირი ღონიერია!..

სოსო აშორებდა ხბოს, მაგრამ ის ისევ ხელიდან უსხლტებოდა, ძროხის ცურს ვარდებოდა და გულიანად ლოღნიდა.

— ღმერთმანი, სამი წლის შემდეგ მოზვერი დადგება და ჩემს შვინდას ტოლობას გაუწევს, — სთქვა სოსომ და ორივე ხელი ხბოს კისერზე მოჰხვია.

— წამოდი, გეყოფა, ხომ ჰხედავ, დედაშენს რძე აღარ უდგა, — უთხრა სოსომ ხბოს და გამოათრია. მაგრამ ხბო ცდილობდა, ისევ გასხლტომოდა ხელიდან.

— აბა წავიდეთ, სოსო, თორემ ღამის მეხრეები, სანამ ჩვენ გავალთ, გუთნეულს კიდეც მიჰრეკენ, — სთქვა ქიტესამ და თავის გზას გაუდგა.

— მე თითონ მოვაშორებ, შვილო, — უთხრა ბაბალემ სოსოს, როცა ის კიდევ ხბოს დაეჯაჯგურა, რადგანაც ხბო კიდევ გაუსხლტა და ახლა მეორე მხრიდან დაუწყო წოვნა.

სოსომ ხბოს თავი ანება, წამოავლო ხელი საგუთნე სახრეს და ქიტესას დაედევნა. ცოტა ხანს შემდეგ ქიტესას ამოუდგა მხარში და ორნივე ბაჯით წავიდნენ. ბაბალე კი გაჰყურებდა თავისს იმედს და თავისთვის იძახდა: „ნეტა, ვეღირსები იმ დროს, რომ ჩემი სოსოც ქიტესასავით დაბინავებული და ცოლ-შვილით გახარებული იყოს!?“ თვალი არ მოუშორებია შვილისათვის, სანამ სოსო და ქიტესა საბძელს არ მოეფარნენ...

II

— სადა ხართ, კაცო? — შეშმუხვნილის სახით უთხრა ქიტესამ ღამის მეხრეებს, როცა იმათ გუთნეული მორეკეს: — აბა მაღლა აიხედეთ, მზე ორი შუბის სიგრძეზეა აწეული.

— სადა ვართ რა, განა ხალიფაფასა ვჭამდით! აი, ი ვერანა ხარს დავეძებდით! — მკვახედ უპასუხა ერთმა ღამის მეხრემ.

— რა ვერანა ხარს, რას ამბობ, ბიჭო? — ჰკითხა ქიტესამ.

მეორე ღამის მეხრემ კი ამ დროს თავისი გუთნის ხარები შეაბა უღელში და ელოდა დანარჩენებს, ისინი როდისღა შეაბამენო.

— ენდე, ე ბალღის სამგლე ხარს! — მიუთითა ღამის მეხრემ სოსოზე, რომელიც ამ დროს გაფითრებული გუთნისდედასთან მოვარდა.

— ჩემი შვინდა სად არის? — აკანკალებულის ხმით დაეკითხა სოსო ღამის მეხრეს.

— ჯანაბას! — გულცივად უპასუხა იმან.

— მერე, შე ოჯახდანგრეულო, — დაუყვირა ქიტესამ: — თვალები სადა გქონდა? ეხლა აგება თვალები, როცა ჩემი ჯერია?.. შვიდ-უღლივ რა ეშმაკი უნდა ვხნათ!

— ოჯახდასანგრეო და არც-რა იცი-რა? — უფრო მაღლა შეჰყვირა იმან: — შვიდ-უღლივ რათა ხნამ; იმის საბადლოდ ჩემი ხარი მოგიყვანე.

იქნება ჩხუბიც მოსვლოდათ ქიტესასა და პირველს ღამის მეხრეს, რომ მეორე ღამის მეხრე არ ჩარეულიყო ლაპარაკში და პირველი იქით არ წაეყვანა.

— რა გულარეული რამა ხარ, კაცო, — უთხრა მეორე ღამის მეხრემ: — შენზე უფროსმა რო სიტყვა გითხრას, როგორ არ უნდა დაუთმო?

სოსო კი იმ ღამის მეხრეს თავს არ ანებებდა და მალ-მალე დაეკითხებოდა:

— კაცო, რატომ არ მეტყვი, სად დაგრჩათ ჩემი ხარი?

— თავი დამანებე, ბალღო, თორემ, აი ი ღვთიშობლის მადლმა, ისეთ ალიყურს გაჭმევ ამ გაჯავრებულს გულზე, რომ ხარი კი არა, თავიც დაგავიწყდეს! — შეუტია ღამის მეხრემ.

— რათაო, ე, რატომ არ მეტყვი?! — ტირილით უთხრა სოსომ.

პირველი ღამის მეხრის მაგიერად მეორემ უამბო სოსოს ღამეს ხარი საითაც ჰყოლოდათ და სად დარჩენოდათ იმისი შვინდა. სოსომ მაშინვე დააპირა საძებნელად წასვლა, მაგრამ ქიტესამ არ გაუშვა, რადგანაც წინა ხარების გამომრეკი აღარავინ ეყოლებოდა. ისიც ძალაუნებურად დარჩა, მაგრამ სოსო ის სოსო აღარ იყო, როგორიც დილას ქიტესამ აგვიწერა. სამხრობამდე ერთხელაც არ შემოუძახნია „ოროველა“ და ხარებსაც ისე მუყაითად არ ეკიდებოდა, როგორც წინათ. ქიტესა მალ-მალე წასძახებდა ხოლმე: „აბა, ჩემო სოსო, ნუ მოგიწყენია, ერთ-შენებური „ოროველა“ შემოსძახე“-ო, და თან ანუგეშებდა: „რისა გეშინიან, შე კაი კაცო, ხარს არა უშავს-რა! ის თითონვე მოვა დილაზე

ან საღამოზე"-ო. მაგრამ ამისთანა ნუგეში სოსოსთვის ნუგეში არ იყო. ამაღამ რომ ჩემი შვინდა უპატრონოდ მინდორში გავუშვა, — ჰფიქრობდა სოსო, — ხო მგლები შემიჭამენ და მერე?.. მერე?.. ვინ იცის, — ჰფიქრობდა სოსო, როცა საღილს შემდეგ ისევ უღელზე შეჯდა და პირველს კვალს უვლიდნენ: — იქნება მგლებმა კიდეც გამოფაშვეს ჩემი შვინდა!" სოსოს ამ ფიქრზე გული ამოუჯდა და ცრემლები ვეღარ შეიმაგრა. თითქოს იმის ჯავრს სხვებიც თანაუგრძნობენო, ყველანი რაღაცნაირად დაღონებულები იყვნენ და ღრმად ჩაფიქრებულები. ასე გაჩუმებულები ხან ერთს კვალს აუვლიდნენ და ხან მეორეს ჩამოუვლიდნენ. მარტო, როცა ერთს კვალს ბოლოს ან თავში გავიდოდნენ და მეხრეები უღლიდგან ჩამოხტებოდნენ და ქიტესაც გუთანს აუგდებდა, მაშინ თუ ამოიღებდნენ ხმას, ისიც ხარებს ან კამეჩებს გამოეხმაურებოდნენ, რომ ახლა მეორე მხრის კვალში ჩაეყენებინათ, თორემ დანარჩენს დროს, რაკი კვალში ჩადგებოდნენ, სულ გაჩუმებულნი იყვნენ. ხარებიც ცოხნითა და კუდის ქნევით მიიზლაზნებოდნენ და სჭიმავდნენ ჭაპანს. მზე კი თანდათან ზემოთ იწევდა და ისე აცხუნებდა, რომ ზოგი კამეჩი გაალექა და პირიდან ენა გამოაყოფინა.

— ეს ოხერა, რა ნაირად ჩამოცხა და იკბინება, უთუოდ გაავდარდება! — წამოიძახა მეორე ღამის მხრემ.

როცა სამხრობისას გუთნეული გამოუშვეს, იქვე თელის ქვეშ რძის კორკოტს შემოუსხდნენ და ჭამა დაუწყეს საჭმელს, რომელიც ქიტესას თოთხმეტის წლის თეკლემ ის-ის იყო მოუტანა.

— წვიმისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, ჯერ არ გვეჭირება! — უპასუხა ქიტესამ და ერთი დიდი ლუკმა მადიანად ჩაიდო პირში. საჩქაროდ გადაყლაპა და მერე თეკლეს მიმართა:

— ეე, შენი მამა ცხონდეს, თეკლე, ე რა გემრიელი რძის კორკოტი გაგიკეთებია! შენ გააკეთე, შვილო, თუ დედაშენმა? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ ქიტესამ.

— მე, — ჩუმად წამოიძახა თეკლემ და თან თავჩაღუნულს ეღიმებოდა.

— იმიტომ არის ესე გემრიელი, რო შენ გაგიკეთებია! — წამოიძახა მეორე ღამის მეხრემ.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე თეკლე სულ ერთიან წამოწითლდა. აქამდის ფეხზე იდგა, ახლა კი დარცხვენილი თავის მამის ზურგს უკან ჩაჯდა და კარგა ხანს მაღლა აღარ აუხედნია.

ყველანი ჭამაში გაერთვნენ. ზოგმა მეორე ჯამიც მიიმატა და ხელმეორედ შეუდგა ჭამას. მოქანცული გუთნის ხარიც იქვე დაყრილიყო და უმადურად იცოხნებოდა. ზოგი ისე დაღალულიყო, ნამეტნავად კა-

შეჩები, რომ კუდის გაქნევის თავი აღარა ჰქონდათ და ფშუილით ბუ-ზებს ძლივსღა იგერიებდნენ.

— შენ გენაცვალე, ჩემო სოსო, ეგრე დაღონებული რადა ხარ და პურს არა სჭამ? — ჰკითხა თეკლემ, როცა სოსოს თვალი შეასწრო.

სხვებმა მაშინღა მიაქციეს ყურადღება და დაინახეს, რომ სოსოს თავის ჯამისთვის ხელი არ ეხლო და ისე გაჩუმებული და თავჩაღუნუ-ლი იჯდა.

— ე ბალღი დღეს მშიერი მოკვდება, მაგას არც სადილობას უჭამია რაჰ, — სთქვა პირველმა ღამის მეხრემ, რომელსაც სოსოს უმან-კო და დაღვრემილმა სახემ ამაყი გული მოულბო.

— ე რა ღმერთი გაგვიწყრა და მაგის ხარი დავკარგეთ! — განაგრძო ისევ იმან. — სოსო, თუ დილაზე შენი შვინდა აქ არ მოვიყვანო, მაშ კაცი ნულარ ვყოფილვარ!

სოსო აქამდის გაჩუმებული იყო და სულ თავის შვინდაზე ფიქ-რობდა. ახლა, როცა ყველამ იმას შეჰხედა და სიბრალულის თვალით დაუწყეს ყურება, ტირილი მოუვიდა და ცრემლები ვეღარ შეიმაგრა.

— ჩემო ქიტესო, ეხლა მაინც წავალ საძებნელად, ჩემ მაგიერად აგერ, აი, მეხბორეს გამოვგზავნი! — ტირილით ეხვეწებოდა ქიტესას.

— კარგი, შვილო, წადი, მაგრამ ჭალაში კი არ გაება და არ და-გიღამდეს.

— ე წყლის პირს დაჰყევი, მანდ ეგდება სადმე. თუ მანდ არ იყოს, ჭალის პირას, გრილოში იქნება, იქ მოძებნე, — ურჩია პირველმა ღა-მის მეხრემ, როცა სოსო სიხარულით წამოვარდა ფეხზე, რაკი ქიტე-სასგან ძებნის ნებართვა აიღო.

— მოიცა, შენ გენაცვალე, ჩემო სოსო, პატარა შეჭამე რამე, — უთხრა თეკლემ, — თორემ მშიერი მოჰკვდები.

— არა მშიან.

— ცარიელი კორკოტი მაინც დახვრიპე, აი, რა გემრიელია! იჰ, იჰ! — თეკლემ აიღო სავსე ჯამი ხელში და რამდენიმე კოვზის პირი შეხვრი-პა. მერე ჯამი სოსოსთან მიიტანა და გაუშვირა. სოსომ უარი ვეღარ უთხრა და საჩქაროდ დააცარიელა ჯამი...

სოსომ და დღის მეხრემ გუთნის ხარი აშალეს და წინ გაირეკეს. ღა-მის მეხრეები გუთნისდედით თელის ქვეშ წამოწვნენ და ძილს თავი მისცეს. თეკლემ კი საჩქაროდ ჯამები ჩაალაგა ხურჯინში და ში-ნისკენ გაეშურა.

— ბიჭო, გუთნის ხარი არ დააგვიანო, ჩქარა მორეკე, თორემ ვე-ღარას მოვხნავთ, კიდეც დაღამდება! — გასძახა ქიტესამ დღის მეხრეს, როცა ისა და სოსო თელას კარგა დაშორდნენ.

III

კარგა შეღამდა. ცა საშინლად მოიღრუბლა და განრისხებული სახე მიიღო, თანდათან უფრო იკმუხნებოდა და დედამიწას მუქარით ჩამორუხრუხებდა. ხან ერთს ცისკიდეს, ხან მეორეს გველივით გაიკლაკნებოდა ელვა და ერთს წამს გაასინათლებდა ხმელეთს, თითქოს ცას სურს თვალი გადაავლოს ქვეყანასო. დედამიწა კი ძრწოდა განრისხებულის ცის დანახვით და რაღაც საშინელებას ელოდა. ჩამიჩუმი არსაიდგან ისმოდა. ის ფრინველნიც, რომელნიც ისე სიხარულითა და ჟივილ-ხივილით მიეგებნენ დღის სინათლეს, ახლა სადღაც მიმალულიყვნენ და ხმას არ იღებდნენ; ზოგს მათგანს ხშირი ფოთლები მოენახა და ცდილობდა ამ ფოთლების შემწეობით აეცდინა ის ვაება, რა ვაებასაც ცა უქადოდა. აგერ, ბეღურები ჯაგის ქვემოთ ტოტებზე ჩამწკრივებულან და ერთმანეთს რასღაც ჩასჩურჩულებენ. ამ ჩურჩულზე იქვე ჯაგის ძირს განაბული კურდღელი აცქვეტს ყურებს და სიფრთხილით გადაავლებს თვალს გარეშემო მიდამოს. აგერ, ეშმაკი ქედანი მუხის ფუღუროს შეჰფარებია და საწყალს გვრიტს კი, რომელიც იქვე ფუღუროს პირს ჩამოსკუპებულა, ალარ უშვებს თავისთან და განრისხებული ცის ანაბარა სტოვებს. სხვა სულდგმულთაც მოუნახავთ თავშესაფარი და აქ ელიან ცის რისხვას. მგელსაც კი, ამ ღამით მოწანწალე ცხოველს, მოუძებნია სორო, კურთ-უკუღმა შემძვრალა და იქიდგან გამოაკვესებს თვალებს, ყველა სულდგმული უფრთხის და ემალება განრისხებულს ცას. მარტო ერთი სულდგმული არ უფრთხის და გულმოდგინედ რასღაც დაეძებს. ეს სულდგმული სოსოა, რომელიც სამხრობისას წამოვიდა თავის შვინდას საძებნელად, მაგრამ ჯერაც ვერ უპოვია. თუმცა მთლად შემოიარა წყლის ნაპირები, მაგრამ ინის კვალიც ვერ იპოვა და აი ახლაც შუა ჭალაშია და სასოწარკვეთილებით იძახის: „შვინდავ, ფშვიე...ე...ე, ჩემო შვინდავ!“ მაგრამ პასუხი არსაიდან მოესმის“.

„ამ ბნელში სადღა წავიდე და სად მოვნახო?! არ ვიცი, რა ვქნა?!“ აკანკალებულის ხმით იძახდა სოსო.

უეცრად შედგა, თითქოს რისღაც ფაჩუნი მოესმა. სახე გაუბრწყინდა და გულს იმედი ჩაესახა. სულ ერთიანად სმენად გარდაიქცა და თავი იქით გადიხარა, საიდანაც ფაჩუნი მოესმა.

„შვინდავ!“ — აჩქარებით და დაბალის ხმით წამოიძახა და უფრო გატვრინდა. რამდენსამე ხანს ისე გატვრინებული რდგა. მაგრამ გარშემო ისევ წინანდებური სიჩუმე ჰსუფევდა, და არა ხმაურობდა-რა.

„შვინდავ, შვინდავ... სადა ხარ?!“ — გასძახა ერთი კიდევ და, როცა დარწმუნდა, რომ იმედი ტყუილი გამოდგა, მერე ღაპაღუპით ცრემლები გადმოყარა.

ამ დროს ცა ერთის კიდიდგან მეორემდე გაიხსნა და მთლად არემარე ერთს წამს გაანათა... შემდეგ ერთი ისეთი დაიკექა, რომ კაცს ეგონებოდა, ცა სულ ერთიანად გადმოანგრიაო. ბევრი მძინარე დააფეთიანა ამ ჭექამ და პირჯვარი დააწერინა. სოფელში ძაღლებმა ღმუილი შეჰქმნეს, ჭალაში კი ყველა სულდგმული შეირყა და ხმაურობა მორთო. თითქოს ამ ცის დაკექებას ელოდა ქარიო, უეცრივ დაჰქროლა ძლიერმა ზენა ქარმა და მთელი ჭალა ერთ წამს ააშფოთა: ხეებს ჭრიალი დააწყებინა, ფოთლებს შრიალი. ერთის ხიდან მეორეზე მარდად ხტოდა და გაჰქონდა შუილ-ზუილი. ცამ კი ელვას და ქუხილს უფრო უმატა. ცოტა ხნის შემდეგ წამოუშინა ხშირი და მსხვილი წვიმა, რომელშიაც ჯერ წვრილი და თითო-ოროლა სეტყვა ერია, შემდეგ კი წვიმა მთლად სეტყვად გადაიქცა და ხეების ტოტებს ლაწალუწი აუყენა. ქარის შრიალი და ზუილი, ხეების ჭრიალი და ტოტების ლაწუნი, თვით სეტყვის ხუვილი სულ ერთად აირია და რაღაც გამოურკვეველი და საშინელი ხმაურობა ასტყდა შუა ჭალაში, სადაც ახლა სოსო ერთის ხის ძირს ქვენა მხრით ამოჰფარებოდა. სოსოს უეცრად მოესმა დიდი ზარის გუგუნი, რომელსაც იმის სოფელში სეტყვის მოსვლაზე დაუწყეს ხშირი რეკვა იმ იმედით, რომ სეტყვას გადიღებსო. დიდის ზარის გუგუნს წვრილი ზარების წკრიალიც მოჰყვა და ამ გამოურკვეველმა და შემაძრწუნებელმა ხმაურობამ უფრო გამოურკვეველი ხასიათი მიიღო. სოსომ მოიხადა ქუდი, ცრემლიანის თვალით რამდენჯერმე წამოიძახა: „ღმერთო, შენ მიშველეო!“ და პირჯვარი გადაიწერა. ბოლოს ამოიოხრა და გულსაკლავად ხმამაღლა დაიძახა: „ვაიმე, ჩემო შვინდავ!“.

IV

რაკი ჯავრი ამოიყარა, ცა დაიშაშრა და უჯრედად დაიყო, ვარსკვლავებმა გამოიხედეს და ბჟყვრიალი დაიწყეს. ცოტა ხანს შემდეგ ცა სულ ერთიანად მოიწმინდა. მარტო ალაგ-ალაგ ღრუბლის პატარა ნაგლეჯებიღა იყო მიკრული, რომელიც თანდათან ფერსა ჰკარგავდა და გაურბოდა ღამის მნათობს, რომელმაც აგერ მთის წვერიდან თავი ამოჰყო და თეთრად შემოსილს ქვეყანას მკრთალი ნათელი მოჰფინა. შესაბრალისს სურათს წარმოადგენდა ამ დროს ჭალა, სადაც მთლად გაწუწული და გაზუნზლული სოსო დააფლატუნებდა და სიცივისაგან კანკალი გაჰქონდა. ერთი ხეც აღარ მოიძებნებოდა მთელს ჭალაში, რომ ან ფოთოლი და ან ნორჩი ტოტი შერჩენოდა. სულ ძირს იყო გაფენილი და მიწასთან გასწორებული. ვინ იცის, რამდენს ფრინველს და პატარა გარეულ ნადირთ, უსაფაროდ დარჩენილთ, თავი გაეჭეჭყა და სამუდამოდ გამოესალმა წუთისოფელსl ეხლა იმათი სხეული ფოთოლთან

ერთად არის არეული. აგერ ერთს ამისთანა დამახინჯებულს გვრიტის სხეულს სოსომ ფეხი წამოჰკრა და ხელში აიღო... ამან უფრო მწარე ფიქრები აუშალა საცოდავს სოსოს: „იქნება, ჩემი შვინდაც ეხლა ამ გვრიტივით თავგატეხილი გდია სადმე და მგლები ხარობენ იმის ხორცითაო", — ფიქრობდა სოსო და თან ცრემლებს აფრქვევდა. ამ მწარე ფიქრებში გართულმა გაიარა ხშირი ჭალა და მეორე ნაპირს გავიდა. საცოდავი აქ შესდგა და იმედის გადაწყვეტით გაჰხედა ჭალას. რამდენიმე წუთი დაჰყო ასე გაჩუმებულმა და ჩაფიქრებულმა: „განა ჩემს შვინდას ვეღარა ვნახავო?!" და გაშტერებით უმზერდა ჭალას.

— შვინდავ, შვინდავ, ფშვი... ე... ე, ჩემო შვინდავ! — უეცრად ისეთის ხმით წამოიძახა, რომ, ხეებს რომ გული და გრძნობა ჰქონოდათ, ისინიც ტირილს დაიწყებდნენ.

— მმუ...უ...უ...მმუ...უ...?! — პასუხად მოესმა იქვე ახლოდან რაღაც ზმუილი და ფაჩუნი.

— ჰა... შვინდავ, შვინდავ... ისაა... — ზედიზედ ისროდა სიტყვებს სოსო და ძლიესღა სუნთქავდა.

— მუუუ... უ... მმუ... — თანდათან უფრო ახლო მოისმოდა ზმუილი.

— ჩემო შვინდავ! ჩემო შვინდავ!.. — ძახილით გაექანა სოსო იქით, საიდანაც ზმუილი მოისმოდა.

ამ დროს ჭალის პირას მშვენივრად დარგვალებული და ჩასუქებული შვინდაფერის ხარი გამოჩნდა.

— შვინდავ!.. — მიჰვარდა სოსო და კოცნა დაუწყო.

ხარიც ალერსით შეზმუოდა გახარებულს სოსოს და კოცნის მაგივრად პირს ულოკავდა.

„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!"

I

დათუა შრომიშვილი დაჰკრდნობოდა ბარის ტარს ვენახში და გასცქეროდა აღმოსავლეთით ახლადშემოსილ მთის წვერს, რომელსაც ოქროსფერად მოელვარე გვირგვინი დასდგომოდა, რის გამოც იგი ისე გამოიცქირებოდა და მოელვარებდა, თითქოს ცეცხლი წაჰკიდებიაო. ელვარებდა იგი, გაჰქონდა ლაპლაპი; მისი ალი ცას სცემდა, მაგრამ ობლად მდგომნი მთის წვერზე ახლადგაშლილი ხეები უვნებლად და ნაზად გამოიცქირებოდნენ ცეცხლის შუაგულიდან. ეკიდებოდათ იმათ ცეცხლი, მაგრამ კი არ იწვოდნენ.

დათუა შრომიშვილი, დამთვრალი სიცოცხლის ნექტარით შეზავებული ღილის ჰაერით, მთლად ჩანთქმული იყო ამ დიდებულ ბუნების სურათის მზერით და მთელის ტანითა თრთოდა. იმას არ ესმოდა იმის გარშემო ფრინველთა გატაცებული ჭიკჭიკი, რითაც ისინი უგალობდნენ ბუნების დიდებულ სურათს ღილის ჰიმნს, და განსაკუთრებით იქვე ახლად აკოკრებულ ვარდის ბუჩქზე მჯდომ ბულბულის აღგზნებულ სტვენას, რომელიც სრულებით არ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს; დათუას არ ესმოდა აგრეთვე ვენახის გვერდით წყალში თევზების შლაპუნი, რომლებიც უეცრივ ამოხტებოდნენ ჰაერში, რომ დაენახათ დიდებული სურათი და ისევ უეცრივ წყალში ჩაშვების დროს ბოლოთი მოადენდნენ ხოლმე ტკაცანს; ის ვერ ხედავდა იქავე თვალწინ მდგომ ვაზის სიხარულის ცრემლს და სხვა მცენარეების მოძრაობას ვიღა იტყვის, რომლებსაც მოებრუნებინათ შენამული გული აღმოსავლეთისაკენ და თაყვანსა სცემდნენ იმ სურათს, რომლის წინაშეც სულდგმული თუ არასულდგმული, პირუტყვი თუ მეტყველი, გენიოსი თუ არაგენიოსი, ნიჭიერი თუ უნიჭო, ველური თუ არაველური, — ყველა ერთგვარად მონავდება და თავის პიროვნებას იმის დიდებულ სიმშვენიერეს უერთებს.

აგერ, დათუაზე კარგა მოშორებით, ტყის პირს, გამოსულა ხარ-ირემი, რომელსაც მრავალშტოიანი რქები გადაუხრია უკან და იმაზე არანაკლები თავდავიწყებით უვზერს ამავე სურათს.

დათუა მოცული იყო სურათის დიდებულებით; მთელი იმისი არსება ჩანთქმული იყო ამით და იმის ნოსაზრება, გონება სხვა რაიმე საგნისათვის დაჩლუნგებული და მოდუნებული იყო.

სურათს კი თანდათან ელვარება და სინათლე აკლდებოდა. ცოტა ხანიც — და ცამ, მთის წვერმა ჩვეულებრივი სახე მიიღეს. მზემაც თავი იჩინა და ყველას ერთად თავისი სხივი სტყორცნა, რომლის მოხვედრაზედაც, თითქოს ელექტრონმა დაურბინა ტანშიო, აქნობამდის მოდუნებულ და გატაცებულ არსებებს ჩაედგათ ენერგია, მიეცათ ძალა და მოსაზრება და მოძრაობა იწყეს: ფრინველები ჟივილ-ხივილით გამოეთხოვნენ თავიანთ ღამის ბინას და ცაში გაინავარდეს; მწერებმაც კვ ზუზუნი მორთეს და ხან ერთ მცენარეს ეწვეოდნენ და ხან მეორეს, რომელთაც მზის სხივის მოხვედრაზე ნაზი მწვანე ფოთლები შეიბერტყეს და წელი აიმართეს.

დათუამაც მაშინვე თავისდა უნებურად ამოიკვნესა და უნებურადვე ბარს ფეხი ღონივრად დაჰკრა, რის გამოც ბარის პირიც მომბალ მიწაში ღრმად წავიდა და დიდი ბელტი ამოაგდო. პირველ ბელტს მეორე, მეორეს კიდევ მესამე მოჰყვა და ასე ბელტი ბელტს მიეწყო.

ირემი კი განუსაზღვრელ აღტაცებაში მოვიდა და გაგიჟებით

დახტოდა ველზედ. ის უეცრივ გაქანდებოდა ხტუნაობით ტყის ერთ ნაპირიდან მეორემდის და უეცრივ ისევ მოტრიალდებოდა, უკან ხტუნაობითვე დაბრუნდებოდა; ხან უეცრივ შუა ველზე შედგებოდა, პირს ახლად ამწვანებულ ბალახს დაადებდა და ჩაჰბღავლებდა მიწას, თითქოს იქ ქვესკნელს ჩასძახის თავის ტოლს, რომ იქიდან ამოვიდეს და ამასთან ერთად ისიამოვნოს, დასტკბეს სიცოცხლით და თავი დავიწყებას მისცესო. ჩაჰბღავლებდა ერთი-ორჯერ კიდევ და, რაკი იქიდან პასუხს არავინ აძლევდა, ისევ ასწევდა მაღლა თავს და რქებგადაშვებული იწყებდა ისევ ისე ხტუნაობას.

აგერ, ის შედგა უკანა ფეხებზე და რამდენსამე წამს ისე გაჩერდა; აღგზნებულად დააჭყიტა თვალები და, ის-ის იყო, ტყისკენ გაშვებას აპირებდა, რომ ამ დროს თოფმა იგრიალა. ირემი შეტორტმანდა და გულისსაკლავი ამობღავლებით წინ გადახტომის მაგივრად გულაღმა გადავარდა.

ტყის პირიდან გამოვარდა ახალგაზრდა ყმაწვილი და გადაჩეხილ ირემთან მირბენისთანავე სიხარულით წამოიძახა:

— შიგ გულში არ მოხვედრია!

ირემმა კი ძალდატანებით ქუთუთოები განზე გასწია და ცრემლში მოცურავე თვალის კაკლები თავის მკვლელს მიაპყრო, რითაც თითქოს ამას ეუბნებაო: „გაუმაძღარო, რა დაგიშავე, რომ სიცოცხლეს მისპობ?!“

ამის პასუხად ყმაწვილმა ხანჯალი ყელში გაუგდო და მოუსწრაფი სიცოცხლე.

— ეხლა რომელი ქრისტიანი ადამიანი ესვრის რასმე თოფს! — წამოიძახა დათუამ იქით მიხედვის დროს, საიდანაც თოფის ხმა მოესმა, და, ყმაწვილი რომ იცნო, განაგრძო:

„მამა ნახე, დედა ნახე,
შვილი ისე გამონახე!“

ბოლო სიტყვა სიმღერით გაათავა და რამდენჯერმე ამ დროს ბარს ფეხი ჩაჰკრა.

დათუას ამის შემდეგ თავი მაღლა აღარ აუღია და გამალებული ბარავდა. ბარვის დროს დათუა ჩაჰმღეროდა და ჩაჰკვნესოდა მიწას, რითაც თავს იმხნევებდა და დაღალვას არ ტყობილობდა, თუმცა იმის სახიდან ოფლი ჩამოწკრიალებდა და ნაბარში ჩადიოდა.

მოატანა სადილობამ და დათუამაც უკანასკნელად ჩასძახა მიწას:

„შობიდან სიკვდილამდისა
შენ ჩამოგტირით, დედაო!
სიკვდილის შემდეგ შენავე
მიგვიკრავ ხოლმე მკერდსაო!..“

გათავებისას დათუამ ღონივრად დაჰკრა ბარს ფეხი და ასე მიწაში ჩარჭობილს გაანება თავი, თვითონ კი გამოხსნა ჭრელი ხელსახოციდან გამხმარი ქერის პური და ვაზის ძირში მიმჯდარმა ლოღნა დაიწყო. იმას ძალიან უჭირდა ჩაყლაპვა, რადგანაც ქერის პური პირში ნამცეცებად იშლებოდა და, რომ ნამცეცებისათვის თავი ერთად მოეყარა, წყალს ხშირად მიჰმართავდა ხოლმე და ლიტრას მალი-მალ იყუდებდა.

ნახევარი პური ჯერ არ შეეჭამა, რომ თავს მისი ცოლი ნენე წამოადგა.

— ცარიელი რა მოგატლიკინებდა, რომ მოტლიკინობდი, შეჭამანდს ვერას მოადუღებდი? — მიჰმართა დათუამ თავის ცოლს ხველებით, რადგანაც იმას ქერის პურის ნამცეცი სასულეში გადაუვარდა.

— რისა უნდა მომედუღებია, რომ მაგრე იცი? — უპასუხა ნენემ და იმის გვერდით ჩაჯდა.

— მარილის წყალს მაინც მოადუღებდი და წამოიღებდი, რომ ჩამელბო ქერის პური და აღარ დავერჩე.

— იჰ, რა დროს ეგეებია, თუ ღმერთი გწამს! მე რისთვის მოვედი და ეს შეჭამანდს გაიძახის.

— მერე და რატომ არ იტყვი, რისთვის მოხვედი?

— რო აღარ დამაცალე!

— ჰო და ეხლა სთქვი! — უთხრა და მოსასმენად მოემზადა.

შეწყვიტა ჭამა და ლიტრას ხელი დააჭირა.

— იმად მოვედი, რომ იასაულმა და „პრიჰტავის“ ჩაფარმა „პოესტკა“ გადმომცეს.

— რა „პოესტკა?“

— სუდში იბარებენ დათუასაო.

— რისთვის, ადამიანო?

— რა ვიცი, რისთვის! აი, დაიჭი და გაიგებ, რისთვისა.

ნენემ ამ სიტყვებთან ერთად ჯიბიდან უწყება ამოიღო და დათუას გაუწოდა.

— რა, შე ოჯახქორო, მაგას რო მაწვდი, გადავაბულბულებ თუ?!

— მე კი გადავაბულბულებ?

— დიდება შენთვის, ღმერთო!.. — პირჯვარი გადაიწერა ამ სიტყვებზე და შემდეგ ცოლს შეტევით უთხრა:

— რატომ არ ჰკითხე, რისთვის-თქო? სასუდე რა მჭირს, რა დავაშავე, ადამიანო?!

— მერე, არა ვკითხე, რომ მაგრე ცუდუბრალოდ ჭყივილი იცი! რო არ მითხრეს, რა მექნა? მღვდელი კიდევ შინ არ იყო, რო წამეკითხებინა.

— ჩაფარმა რატომ არ გითხრა, იმას ხომ ეცოდინებოდა?

— ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი, რა ვიცი, რატომ არ მითხრა?! „იქ წავიდეს და გაიგებსო, რისთვისაც არის დაბარებულიო“, — ასე მითხრა, მე რომ ვკითხე.

— დიდება შენთვის, ღმერთო, სასუდე რა დავაშავე?! ქურდობა არ გამიწევია, ვალი არავისი მმართებს დ ვახში და სუდში რად უნდა მიმათრევდნენ! ერთი სამიოდე თუმანი-ღა მმართებს კომლობა-ამოწყვეტილისა და ხომ შემოდგომაზე ტაბილი უნდა მივცე, პირობა ასე გვაქვს და ის რად მიჩივლებდა!

— ვისი-ღა გმართებს, კაცო?

— ვისი-ღა და აგერ, აი, სახლობა-ამოსაწყვეტ ისაკასი!

— აი, ღმერთმა ნუ ახეიროს იმისი თავი და ტანი! უთუოდ ის მქსვინავი გიჩივლებდა! იმას ხომ ღმერთი არ დაასვენებს, თუ არავის არა უხიმანა რა.

— რაზე უნდა მიჩივლოს იმ სახლ-კარდასაქცევმა!

— ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი, რა ვიცი, რაზე უნდა გიჩივლოს! რამდენჯერ გითხარ, მაგ სახლ-კარამოწყვეტილს ჩამოეცალე-მეთქი, რომ მაგრე უღვთოდ ყველას ტყავს აძრობს, მაგრამ შენ მაინც არ იშლი. მალიმალ წახვალ და იმას მიადგები კარს.

— რას მიედებ-მოედები და როშავ, როდის ერთხელ მივადექ კარს, ჰა?

— რა ვიცი, თუ არ მიადექი, მაშ, რაში აძლევ ჩვენს სარჩო-საბადებელს ყოველ წელს? გეთაყვათ, ყოველ წელს ბატონივით სავსე ტომრები და ტიკები კი მიაქვს და!..

— იმაში მიაქვს, რომ გაკოტრებულსავით ძველ თამასუქებს დაუწყო ძებნა და მალიმალ „კანცელარიაში“ ხან ერთს უჩივლებს და ხან მეორეს: „ეს მამაშენმა აიღო ვალადაო, ეს კიდე — ბიძაშენმაო“, — არ ვიცი, მართლა აიღეს თუ არა! ამღები არ არის ცოცხალი და მოწმეები.

— თუ მაგრე არამზადობით არ შეიძინა, ხომ ღმერთი ვერ გააძღობს იმის თვალს!..

— მაგრე რომ არ ეარამზადნა, მაშინ რით გადაიჭიმავდა ი „ორ-ატაჟიან“ სახლებს, ეხლა რო შიგ ბატონივით ცხოვრობს? მაშ, არა და, თავის ალალად მოგებული ფულით გადასჭიმა, აი!

დათუა და მისი ცოლი ნენე გაებნენ ისაკას ლანძღვა-წყევლაში, რადგანაც ისინი თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისაკას მეტი არავინ „უხიმანებდა“ რასმე, თუმცა კი უწყების შინაარსი არ იცოდნენ.

— ადამიანო, აბა ერთი წააკითხე ვისმე, მართლა ი ამოსავარდნე-

ლი და ამოსაბუგველი მიჩივის თუ არა! — უთხრა დათუამ ბოლოს და წამოდგა.

— რაღა წავაკითხო ვისმე, ის იქნება და ის, აბა სხვას ვის რად უნდა ჩვენი ცოდო! — დარწმუნებით უპასუხა ნენემ და წასასვლელად წაიწოდგა.

II

— ბიჭო, სანდრო! — გადასძახა ისაკა ჭამიაშვილმა ახლადმოსულ ბიჭს, რომელმაც ბარი იქვე მიაყუდა.

— რას ბიბრძანებ, ბატონო?

— სხვები სადღა არიან?

— ეხლავე მოვლენ სხვებიცა.

— სანამ ისინი მოვიდოდნენ, შენ წადი გიგო და ლევანთან და უთხარ, ამაღამ ვახშმად ჩვენსა წამოვიდნენ. ესეც უთხარი, ირმის მწვადებიც გვექნება-თქო.

— ეხლავე, ბატონო! — უპასუხა სანდრომ და, როცა გაბრუნდა, უკმაყოფილოდ თავისთვის რაღაც წაიბუტბუტა.

— პაპა! — უკანიდან მიაძახა ჭამიაშვილს ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალმა, რომელიც, ის იყო, მაშინ გამოვიდა სახლიდან და იმასთან მივიდა.

— მამაშამ, რომელი ღვინისა ჩამოვასხმევინო ბოთლიკებშიო?

— დათუას ღვინისა-თქო, იმისმა ვენახმა კარგი ღვინო იცის, — უპასუხა ისაკამ, რის შემდეგაც ქალი შესრიალდა შინ და თითონ კი ღიმილით განაგრძო: — მალე დათუას მაგივრად ჩემსას დავუძახებ იმის ვენახს, სულ მალე!.. რამდენი ხანია, — განაგრძო იმან ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, — ხან საიდან მოეუელი და ხან საიდან იმის ვენახს და მაინც ვერა ვუხიმანე რა. ვერ იქნა და ვერ ჩავიგდე იმის ვენახი ხელში, ვერა! რამდენიც სარმა გავუსვი, იმან მაინც აიცდინა. კიდევაც შევევაჭრე, მაგრამ არა ქნა: „ჩემი მამა-პაპის ოფლი შიგაა ჩაღვრილი და მე როგორ გავყიდოო“ ჰმ, არ გაჰყიდი? აბა თუ არ გაჰყიდი და ჭაშ ეხლა მიყურე, როგორი მოგვერდი გიგდო, მგონი ისე დაგცე, რომ ცხვირპირი ჩაიმტვრიო. ამ ორი კვირის შემდეგ საქმეს გაარჩევენ და მერე მე ვიცი, ავიღებ „ისპოლნიტელნი ლისტს“ და მაშ რას იზამ, თუ ვენახს არ ჩამაბარებ?! მაგრამ მოწმეებმა რომ მიმტყუენონ?! — ამ უკანასკნელ სიტყვებზე ისაკას სახეს, ცოტა არ იყოს, სიამოვნების ზეწარი გადაეცალა და შუბლი შეეჭმუხნა.

ამგვარმა მდგომარეობამ სულ ცოტა ხანს გასტანა. იმის სახეს დაფიქრების ჩრდილი გადაეცალა და გამხიარულებულმა წამოიძახა:

„მოწმეები როგორ მიმტყუნებენ?.. გიგო და ლევანი მშიერი აზნაურიშვილები არიან, ორ გროშად მამის სულს გაყიდიან და მე რომ ერთიორი თუმანი მივცე, ხომ სულ ფიცით დასკდებიან. მამასახლისს კიდევ მოვუხერხებ რასმე!..“ დაჭეშმარიტებით წარმოსთქვა: „მოვუხერხებ რასმე!“ ცოტა ჩაფიქრებისა და თავის სახლ-მიდამოს გადათვალიერების შემდეგ აიყანზე ბოლთის ცემა დაიწყო:

ყოველთვის, როდესაც კი ისაკა ჭამიაშვილი თავის გარემოს თვალს გადაავლებდა და აივანზე ბოლთის ცემას დაიწყებდა, უეჭველად თავისი წარსული მოაგონდებოდა და ამ წარსულის მოგონებით სიამოვნებდა.

— რა ვიქნებოდი ეხლა მე, რომ შინ დავრჩენილიყავი და გარეთ ფეხი არ გამედგა? — უსიტყვოდ დაეკითხა ისაკა თავის თავს კარგა ხნის ბოლთის ცემის შემდეგ, როდესაც იდაყვებით დაეყუდა აივნის შოაჯირს და დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა იქვე, იმის სახლის გვერდით ჩამომჩანჩქარ წყალს, რომელიც თავის ჩხრიალით ატკბობდა მის სმენას და მოგონებისათვის ფანტაზიას უცხოველებდა.

მართლაც, რა იქნებოდა ისაკა, რომ თავისი მამა-პაპისთვის მიებაძა და შინ დარჩენილიყო, როგორც დათუა და მისი მოძმე გლეხები შინ დარჩნენ და თავიანთ მამა-პაპას ჰბაძავენ, რის გამოც, თუმცა ალალის შრომით ალალ ლუკმას სჭამენ, ნახევარზე მშივრები და ტიტვლები არიან! ხომ ისიც, როგორც იმისი თანამემამულე გლეხები, ყველას მონა უნდა ყოფილიყო, ყველას იმისთვის უნდა ებრძანებინა და თავში ჩაეკრა! ვინც კი სოფელში სამი რუსული სიტყვით მოვიდოდა, ხომ ყველას წინ უნდა ქუდმოხდილი და გულხელდაკრეფილი დამდგარიყო და წარბებში შეეცქირა, რომ იმისი ბერვა-პრანქვის აზრს მიჰხვედრიყო და აესრულებინა ყოველივე იმისი სურვილი! მაზრის უფროსი, ბოქაული, მათი თანაშემწეები და გადამწერლები, გადამწერლების გადამწერლები და მათი თანაშეწეენი, ასისთავები, მათი ჩაფრები და მოჩაფრეები, — ერთის სიტყვით, მაზრის მოხელეების მთელი გუნდი, რომელიც მრავალზედ მრავალშტოიანია, ხომ მარტო იმისთვის არსებობს და მოდის სოფელში, რომ გლეხს თვალები დაუბღვიროს, დასჭყიტოს და, თუ მოისურვა, სილა გასტკიცოს ან მათრახი გადაუჭიროს. თუ რამ გადასახდელი აქვს, წაართვას, გააგდოს ზეგარაზე, მიაყენოს გაჭირვება და ყელში წაუჭიროს და არა იმისთვის, რომ გლეხის საკეთილდღეოდ იზრუნოს... გლეხის ყველა ამ დამცირებას და დაჯუჭკვას კარგად ამჩნევდა ეხლა ისაკა და ამისთვის ყოველთვის, ასე თავის წარსულის მოგონებაში როდესაც გაერთობოდა, ადიდებდა იმ დღეს, რა დღესაც იმის მამამ ის ერთ მედუქნეს, რომელსაც დუქანი საქართველოს სამხედრო გზატკეცილის პირას ჰქონდა,

მისცა ბიჭად. ის დღე იყო ნიშანი ისაკას ახლანდელი მდგომარეობისა; იმ დღიდან ამოიშვა გლეხის ტანჯვიდან თავი და მიაღწია იქამდის, რომ ის დღეს სოფელში პირველ კაცად ითვლება; ყველა კრძალვით და მოწიწებით ექცევა. მაზრის მმართველები, უფროსები, — თორემ ნაბოლარებს ხომ თვითონაც არ იკადრებს, — ჭყივილისა და კივილის მაგივრად პატივისცემით ხელს უწვდიან, იმის სახლში სტუმრად მიდიან, სადაც სოფლის ხარჯით უხვ მასპინძლობას უწევს და ამით თავბრუდახვეულები ყველგან და ყველასთან, თუ კი რაიმე მიზეზით იმაზე ბაასი ჩამოვარდებოდა, ამას გაიძახოდნენ: „ისაკა პატიოსანი კაციაო“.

მართალია, პირველ ხანს დუქანში დიდი სიდუხჭირე გამოიარა, მაგრამ რა? განა ის ტანჯვა სახსენებელია იმასთან, რომ ეხლა ის თავისი მდგომარეობით კმაყოფილია?! ის დამცირება და მიწასთან გასწორება, რომელიც პირველხანს დუქანში წილად ჰხვდა, სასიქადულოდაც ჰქონდა იმას და ბევრჯერ სხვებისთვისაც უამბნია.

აი, ეხლაც მოაჯირზე დაყრდნობილს რომ თვალწინ წარმოუდგა თორმეტი წლის ისაკა, რომლის პიროვნებასაც მედუქნე უწყალოდ ფეხქვეშა სრესს, ტალახითა თხუპნის, არ შეზარა კია ამ სურათმა, პირიქით, მის გულში სიხარული დაბადა და იმისდაუნებურად წარმოათქმევინა: „იმის დედ-მამა ვაცხონე, რომ ასე მექცეოდა, ასე რომ არ მომქცეოდა, მე ეხლა ის არ ვიქნებოდი, რაცა ვარ!“

დიაღ, ისაკა ისეთი არ იქნებოდა, როგორიც ახლა არის! ასე რომ არ მოჰქცეოდა, იქნება ცოტაოდენი სიკეთე კიდევ შეჰრჩენოდა რამ ისაკას, მაგრამ მედუქნე სხვანაირად ვერ მოექცეოდა, რადგანაც იმასაც ასე ექცეოდნენ, როგორც ის ისაკას. ჩვენებური დუქნები კი ერთგვარი სკოლაა, რომელშიაც მეფობდა აღზრდის ერთგვარი მეთოდი. იმის საშუალებით ამზადებენ „ისაკებს, გეურქებს და არტემებს“, რომლებიც მზად არიან თავიანთ მოძმეთა სისხლი დალიონ. სამ წელიწადს ისაკა ისე გაიწვრთნა, რომ მედუქნის თვალის დახამხამების აზრსაც კი იგებდა.

გზატკეცილის პირას მოვაჭრე მედუქნეები, გარდა იმისა, რომ მგზავრებს ვაჭრობაში ტყავს აძრობენ, სხვანაირადაც მოქმედებენ იმათ გასაყვლეფად; არც ერთი გაძარცვა გზაზე ისე არ მოხდება, რომ მედუქნეებმა მონაწილეობა არ მიიღონ: ბევრჯერ წაურთმევიათ მგზავრისათვის ფული და ნივთეულობა და ამაში მედუქნეები, პირველი ადგილი თუ იმათ არ სჭერიათ, დამხმარებელნი მაინც ყოფილან! ბევრჯერ შიგავე დუქანში გაუძარცვავთ დამთვრალი მგზავრი და, ვინ იცის, რამდენჯერ სადგურების ახლო ნივთეულობით სავსე ყუთები აუცლიათ საფოსტო ეტლებით მოგზაურთათვის.

ყველა ეს საიდუმლო გაანდო მედუქნემ ისაკას, რომელმაც ამაში

დიდი გამჭრიახობა და ფხა გამოიჩინა. ამის გამო ისაკა, ჯერ თუ ბიჭად იყო დუქანში, მერე ამხანაგად გაუხდა, და ასე თვე თვეებს გასდევდა, წელიწადი — წელიწადებს და ისაკას თანდათან ზურგი უმაგრდებოდა. ამ ხანობაში ისაკამ ცოლიც შეირთო.

როცა ისაკამ ზურგი კარგა მოიმაგრა, თავის ამხანაგს, რომელმაც აღზარდა და გაწვრთნა, ისეთი მოგვერდი უგდო, რომ ცარიელზე გაიყვანა!

ბევრი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ თავისი გამწვრთნელი ისევ მიიყვანა ამხანაგად იმ პირობით, რომ გზის პირას ევაჭრა და საქმე ეწარმოებინა, წელიწადში რამდენჯერმე მიეცა ისაკასათვის ანგარიში და მოგების ნახევარი ჩაებარებინა; თანხა კი უკვდავად ისაკასი უნდა დარჩენილიყო...

რაკი გზის პირას ვაჭრობის საქმე ასე მოეწყო, თითონ დაბრუნდა თავის სოფელში და იქ საკუთრივ დუქანი „გააღო", რომელშიაც დახლიდრად თავისავე გაწვრთნილი ნათესავი დააყენა.

აქედან იწყება ისაკას ცხოვრების მეორე ხანა და ამასთან ორგვარი მოღვაწეობაც სოფელში: როგორც ვაჭრის და როგორც იმ საზოგადოების წევრისა, რომელშიაც ის ვაჭრობდა.

ვაჭრები თუ როგორ ძარცვავენ სოფლებს, ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ყველა ამას ჩვენ იმასღა თუ დავუმატებთ, რომ სოფელში მოვაჭრე ერთისა და იმავე ნივთის გაყიდვაში ერთსა და იმავე დროს ორნაირ სარგებელს იღებს. ამის გამოსარკვევად მაგალითს შოვიყვან:

ვთქვათ, ვაჭარს რომელიმე ნივთი, რომელსაც გლეხი ყიდულობს, უღირს სამ შაურად, თითონ კი, სულ რომ ნაკლები, ცხრა შაურს მაინც გამოართმევს. გლეხმა რომ ქისა გახსნას და ცხრა შაური გადაუთვალოს, მაშინ ვაჭარს სამშაურიან ნივთში ექვსი შაური წმინდა მოგება დარჩება. მაგრამ გლეხს ქისა ცარიელი აქვს და ამისათვის ის თავის ნაწარმოებს, მაგ., ხორბალს, ქერს, სიმინდს და სხვ. აძლევს ცხრა შაურში, იმ ფასად კი არა, როგორც ბაზარში ფასობს, არამედ ნახევარ ფასად. ფუთი ხორბალი რომ თვრამეტ შაურად ღირდეს, ის ცხრა შაურად იღებს, მერე ჰყიდის ხშირად აქვე გლეხზე თვრამეტ შაურად და ამგვარად სამშაურიანი ნივთი ექვსი შაურის მოგების მაგივრად თხუთმეტ შაურს იგებს.

ისაკა ვაჭარი სოფელში სხვა მოვაჭრეებს თუ არ გადააჭარბებდა ამგვარ მოქმედებაში, უკან არ ჩამორჩებოდა.

ის, როგორც ვაჭარი, დღითი-დღე ტყავს აძრობდა გლეხებს და

მდიდრდებოდა. მაგრამ ისაკას, ვაჭრობის გარდა, გლეხების გასატყავებლად კიდევ სხვა გზაცა ჰქონდა. სხვა ვაჭრები, რომლებიც შეხიზნულან სოფელში, ვაჭრობის გარდა სოფლის საქმეებში ვერ გარევიან, რადგანაც ისინი იმ საზოგადოების წევრებად არ ითვლებიან. ისაკას საქმე კი სულ სხვანაირად იყო. ისაკა იმ საზოგადოებაში ვაჭრობდა, რომლის წევრადაც ითვლებოდა და ამისთვის ნება ჰქონდა გარეულიყო სოფლის ყოველ საქმეში. ასეც მოიქცა ისაკა. თითქმის ყოველ სასოფლო საქმეში ძალითა თუ ნებით ისაკა იყო თორმეტ კაცთა რიცხვში, რომელთაც, სხვა მოვალეობათა შორის, სახელმწიფო ხარჯის გაწერაც ჰქონდათ მინდობილი. ისაკა იყო მწარმოებელი სასოფლო დავთრებისა, ისაკა იყო მწერალიც, ისაკა აწარმოებდა სხვა ორ კაცთან ერთად სასოფლო მაღაზიასაც. ერთხნობით მამასახლისადაც იყო ამორჩეული. რასაკვირველია, ისაკასთანა კაცები ამ გარემოებით ისარგებლებდნენ, და არც ისაკა აკლებდა. სადაც კი ისაკამ გამოსარჩენი რამე შენიშნა, იქ დააგო თავისი ფაცერი და შიგ დღემუდამ განუწყვეტლივ წვრილსა და მსხვილ თევზს აბამდა.

ხარჯის გაწერის დროს ის ყოველთვის ერთ ორმოც თუმნამდის მაინც თავის სასარგებლოდ გააწერდა სოფელს. კერძო ჯარიმებს, რომლებსაც სოფლის მოსამართლეები ახდევინებდნენ რაიმე საქმეში დამნაშავე გლეხებს, თავის სასარგებლოდ აკრეფინებდა იასაულებს და დავთრებში სწერდა, რომ ეს ამაზედ დაიხარჯა და ეს ამაზეო; სასოფლო მაღაზია ხომ საკუთრებად გაიხადა...

ვინ ჩამოსთვლის კიდევ, რითი არ სარგებლობდა ის. ისაკასთანა კაცი ყოველთვის დაინახავს სოფელში უპატრონოდ დატოვებულს რამ სარჩოს, რომელსაც თავის სასარგებლოდ იღებს.

ისაკა ხედავდა, რომ ხმის გამცემი არავინ იყო, და ამისათვის თავისუფლად ფარფაშობდა სოფელში.

მართლაც და, ვინ გაუძალიანდებოდა? გლეხები, რომელთაც შეამჩნიეს ისაკას მრუდობა?.. გლეხებმა ყოველთვის იციან, ვინ ყვლეფს იმათ, მაგრამ ხმას ვერ იღებენ, და ძალაუნებურად ხმის ამოუღებლად წინ უწვებიან ცხვრებივით, რომელთაც დუქარდით შიგ ძირში პარსვენ.

რამდენს სულ ტყუილად გადაახდევინა ვითომ-და იმის მამისა ან ბიძის ვალი!..

როდესაც მამასახლისად იყო, დაწერდა თამასუქს და დაბეჭდავდა, მოწმეებად ისაკა იმისთანებს ჩაწერდა, რომლებიც უკვე გარდაცვლილები იყვნენ, ან კიდევ თავის ერთგულ გიგოს და ლევანს, რომლებსაც ცოტაოდენ წილს უდებდა, და სასოფლო „კანცელარიაში“ უჩივლებდა თავის ტყუილ მოვალეს, სადაც, რასაკვირველია, საბუთების წინააღმ-

დეგ ვერ წავიდოდნენ და გადაწყვეტდნენ, რომ მოვალემ ნაღდად ჩააბაროს ისაკას და ამით მშობლების ცოდო კისრიდან მოიშოროსო.

გლეხები ხმას ვერა სცემდნენ და სხვა მოწინააღმდეგე კი არავინ იყო. დუქნის საშუალებით და სოფლის საქმეების ამგვარ წარმოებით ისაკა ისე გაიჭიკნა, რომ ახლო-მახლო სოფლებში სიმდიდრით აღარავინ სჯობდა. ერთის აოხრებულ აზნაურიშვილის მამული შეირჩინა თითქმის სულ მუქთად და ხვნა-თესვას მიჰყო ხელი: „გადაჭიმა“ ორსართულიანი სახლი, რომლის ოთახები ევროპულად მოაწყო, და შიგ დაესახლა თავისი ცოლ-შვილით. ევროპულად მორთო თავისი ორი ქალი და ორი ვაჟი კი სასწავლებელში მისცა, საიდანაც უფროსი უკვე სწავლადაუმთავრებლად დაუბრუნდა შინ. ვაჟმა ჯერჯერობით ნადირობას მიჰყო ხელი, თუმცა ხანდახან სოფლის საქმეების წარმოებაშიაც ეშველებოდა ხოლმე მამას, რომელიც შემდეგში, რასაკვირველია, ამ საქმეების წარმოებას იმას გადასცემს, რადგანაც იმისთანებში დიდ უნარსა და ფხას იჩენს.

თუმცა ისაკას ეხლა აღარა უჭირდა-რა, მაგრამ მაინც წართმევის სურვილი უფრო უცხოველდებოდა და გაუმაძღრობა ემატებოდა.

წართმევის სურვილი თითქმის სენად გადაექცა ისაკას და ხანდახან ეს ჟინი ისე მოუელიდა, რომ მზად იყო ყოველივე საშუალება ეხმარა, ყოველივესავე სისაძაგლისათვის ხელი ჩაეელო, ოღონდ კი წაერთმია ვისთვისმე რამ.

აი, ეხლაც იმას, თავის წარსულის მოგონებით გატაცებულს და სიამოვნებით მოცულს, უეცრივ წამოჰკრა ამ ჟინმა და მთელი ტანით შეარყია. მაშინვე მოტრიალდა და აივანზე აჩქარებით გაიარ-გამოიარა.

უკვე დაბნელებულიყო; აქა-იქ ღრუბლებშუადან ვარსკვლავები მოწყენით გამოსცქეროდნენ სოფელს, სადაც მიწყვეტილიყო ადამიანის ხმა და მარტო ხანდახან ძაღლების გაგრძელებული ყეფა-ღა მოისმოდა, და თავიანთ მკრთალის შუქით მიძინებულ სოფელს უფრო ძილსა ჰგვრიდნენ.

— ბაბე! — წამოიძახა ისაკამ გაჯავრებულის ხმით და კარებს შეხედა, საიდანაც ამ დროს იმისი გასივებული ცოლი გამოვიდა.

— ადამიანო, ბალკონზე რას აკეთებ და შინ არ შემოხვალ?! — საყვედურის კილოთი უთხრა ბაბემ და მიუახლოვდა.

— ბიჭი არ დაბრუნებულა?! სად არის აქნობამდის ის ოხერტიალი?!

— რამდენი ხანია, რაც დაბრუნდა!

— მერე რა თქვა, მოვლენო?

— რას არ...

— აუ-აუ-აუ! — ამ დროს წამოვარდა კიბეზე მწოლიარე ბროლია და თავპირის მტვრევით დაიწყო ბოხის ხმით ყეფა და გზისკენ გადახტა, სადაც ორი კაცი გამოჩნდა.

— გადი, გადი! — დასძახეს იმათ და ჯოხებით ძაღლის გერება დაიწყეს.

— აი, შე ვერანავ, შენა!.. — გამოდი, გამოდი! — ყვიროდნენ ცოლი და ქმარი და იმათკენ მიეშურებოდნენ.

ბროლია კი არ ეხსნებოდა იმათ და ზედა ჰვარდებოდა.

— რა კაპასი რამა გყავთ, კინაღამ არ შეგვჭამა! — წამოიძახა გიგომ, როდესაც ისაკამ ქვის სროლით ძაღლი წინ გაიგდო, და ბაბეს ხელის ჩამოსართმევად თავისი გაუწოდა.

— ხანდახან იცის ხოლმე მაგრე გაგიჟება, თორემ ისე ჭკვიანია.

— რაღა ჩემზე გაგიჟდა! — ჩამოართვა სიტყვა ლევანმა და იმანაც ხელი გაუწოდა ბაბეს.

— იმიტომ, ჩემო ლევან, რომ ძალიან ძვირად მოდიხართ ჩვენსა!

— „აზნაურის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო“, ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა? ხშირად ვიაროთ, მაშინ...

— მაგისი ნუ გეფიქრებათ, გიგო, თქვენ დასახვედრად კიდევ მოგვეპოვება რამ! — თავმომწონედ გააწყვეტინა სიტყვა გიგოს ბაბემ.

— მოიწვიე, რაღა მანდ ებაასები? — უთხრა ბაბეს ამ დროს მოსულმა ისაკამ და გიგოს ხელი ჩაავლო.

მასპინძელ-სტუმრები ერთად შეეიდნენ მშვენივრად მოწყობილ სასტუმროში, სადაც ორი თავშიშველი ქალი დაუხვდათ. ესენი მიესალმნენ სტუმრებს, რომლებსაც მოწიწებით ჩამოართვეს ხელი და დედის გვერდით დასხდნენ.

— რატომ არ დაათხოვებ ე შენ ქალებს, რაღას ელი? — მიჰმართა გიგომ ისაკას, როდესაც ქალებს ხელი ჩამოართვა და იმის გვერდით დაჯდა.

— იმას ველი, რომ კარგ კაცებს ვეძებ; უბრალოს ხომ ვერ მივცემ?

— უბრალოს მიეციო, ვინ გეუბნება? განა კარგები ცოტანი არიან?

— ჩემი ქალები სამსახურის კაცებს უნდა მივათხოვო! თუ არ სამსახურის კაცს, არც თითონ ნდომობენ სხვას მისთხოვდნენ ვისმე, — ჩაერია ლაპარაკში ბაბე და თავის ქალებს შეჰხედა, რომლებმაც დედის

სიტყვებზე თავები ძირს ჩაჰკიდეს და გაწითლებულებმა რაღაც წაიბუტბუტეს.

— სამსახურის კაცები რას დაგიქინიათ, აიღეთ და მამულიშვილს მიათხოვეთ, რომ...

— ის არა სჯობია, მამულიშვილიც იყოს და სამსახურისაც! — ჩამოართვა ბაბემ გიგოს სიტყვა: — დაიცათ! ჯერ ქალაქში გადავსახლდეთ, მაშინ ნახავთ, როგორ სულ დაწკეპილ აფიცრებს მივათხოვებ. ენაცვალოს დედა ჩემს სონას, შარშან რომ ჯარმა აქეთ გაიარა, აფიცრებზე დარჩა თვალი და ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ...

— კარგი, ერთი! — წაჰბუზღუნეს თავჩაღუნულმა ქალებმა დედას და საჩქაროდ მეორე ოთახში გაცვივდნენ.

— ეი, ეი, რას გარბიხართ? შეგრცხვათ, რომ თქვენი სურვილი დედამ გაგიმეღავნათ?! — სიცილით მიაძახა ლევანმა ქალებს.

— ძალიან მორცხვები არიან, ენაცვალოთ დედა! — სიამოვნებით წამოიძახა ბაბემ.

— ოჰ, მონადირეს გაუმარჯოს! — ლევანმა და გიგომ ერთად მიაძახეს ილას, რომელმაც ამ დროს შემოაღო კარები და ღიმილით სტუმრებისაკენ წავიდა.

— სად იყავ, შვილო, აქნობამდის? — მზრუნველობით ჰკითხა დედამ ილას.

— დუქანში, ეხლა დაკეტა მიტრომ და წამოვედი მეც...

ისაკა ცოლს მიუბრუნდა:

— აბა, ბაბე, ვახშმის თავდარიგს შეუდექი!

— სუფრა გაშლილია, წამობრძანდით!

ამ სიტყვებზე ყველანი მეორე ოთახში გავიდნენ, სადაც გაშლილი სუფრა დახვდათ.

ვახშმად ყველაფერი ჰქონდათ: წვნიანიც, შემწვარიც, ხმელიც და ნედლიც. ღვინო ხომ უხვად იყო.

სტუმრები გამალებული სჭამდნენ; რაც მოჰქონდათ, შეუჭმელს და დაულეველს არას უშვებდნენ. არც ლაპარაკს აკლებდნენ: ლაპარაკობდნენ ამ მთისას, იმ მთისას, ძველისას და ახლისას; ისაკამ და გიგომ თავიანთი ჯეელობის ამბებიც მოიგონეს და ორივენი იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ „წახდა დროებაო!.. მაშინდელი ჯეელები სჯობდნენ ახლანდელებსო“.

ქალები კი, ბაბეს გარდა. გაჩუმებულები ისხდნენ და მოწიწებით კიკნიდნენ საჭმელს; როცა მწვადები შემოიტანეს, თითო ნაჭერი შეჭამეს და სტუმრებს დასაძინებლად გამოემშვიდობნენ. ბაბემაც ცოტა

ხანს შემდეგ თავის ქალებს მიჰბაძა და ისიც მოშორდა იმათ. სუფრას შერჩნენ მარტო ისაკა, გიგო, ლევანი და ილა, რომლებმაც ღვინის სმით შუაღამეს გადააცილეს.

ბოლოს ისაკამ ხერხიანად ჩამოაგდო დათუაზე ლაპარაკი და გიგოსა და ლევანს აგრძნობინა, რომ იმათი მოწმობის იმედი არა აქვს.

— რაო! — იფეთქა წყრომით ისაკას ეპვზე გიგომ და გულზე ხელი დაიკრა. — გიგო მოკვდეს, თუ ჩემ სიტყვას ვუმტყუნო, გინდაც იმისთვის თავსა მჭრიდნენ!.. შენ, როგორც გეტყობა, ჯერ კარგად ვერ მიცნობ!

— არა, ჩემო გიგო, თავი მომიკვდეს, თუ მე ან შენზედ, ან ლევანზედ ეპვი შემომეტანოს, — ოსტატურადვე მოუქონა თავი გამწყრალ გიგოს ისაკამ, როდესაც დარწმუნდა, რომ გიგო და ლევანი არ მიმტყუნებენო, და მამასახლისზე დაიწყო: — მე, აი, მამასახლისზე ვამბობდი. ცუდად მოვიქეცით, რომ იმის სახელით შევამოწმეთ.

გიგოსა და ლევანისათვის ეს საკმარისი იყო, რომ ამათი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულიყო და ამ საქმეში ისეთი მონაწილეობა მიეღოთ, თითქოს ეს იმათ ღვიძლ შვილს შეეხებაო.

— ეგ კი საფიქრებელია! — მზრუნველობით წამოიძახა ორივემ და ღრმად ჩაფიქრდნენ.

— მინდოდა, — დაიწყო ისაკამ ისევ იმ კილოთი, — ეხლა ისიც მომეწვია, მაგრამ გვერდით რომ მოგვესვა, ვაი თუ უფრო გატყლარჭულიყო.

— კარგა გიქნია, რომ არ მოგიწვევია, თორემ ხომ იცი გლეხკაცის ამბავი: რაც თავს გაუყადრებ და პატივსა სცემ, უფრო თავს წამოგაჯდება. ეს მე კარგად ვიცი! — უპასუხა გიგომ ისაკას ამ უკანასკნელის სიტყვებით უფრო თავმოპოხილმა.

— მამი, შენ მამასახლისისა ნუ გეშინია! — ჩაურთო სიტყვა ილამ, როცა მამას მართლადა შიში შეატყო: — როგორ შეუძლია თქვას რამე და არ გიმოწმოს, ხომ ციმბირს იქით გააცილებენ! ჯერ შეამოწმა და ახლა უარს იტყვის?! შენ ციმბირით შეაშინე და მაშინ ნახავ, როგორ ფიცით ამოიგდებინოს ყბები, რომ შენი დათუასა მართებს.

— მართალია, ეგ თავში სულ არ მომსვლია ფიქრად! — სიხარულით წამოიძახა ისაკამ, მაგრამ უეცრივ შუბლი ისევ მოეჭმუხნა და სიხარული მოსცილდა.

— ეგ კი, — დაიწყო შუბლმოჭმუხნულმა ისაკამ, — მაგრამ იმან რო არ იცოდა, საქმე რაში იყო, როცა ბეჭედი დავასმევინეთ და არც ეხლა იცის?! იმას ხომ შეუძლია თქვას, რომ მე სულ არ ვიცოდი, რას მამოწმებინებდნენო, რადგანაც კითხვა არ ვიციო.

— მით უკეთესი! რომ სცოდნოდა, ხომ არც შეამოწმებდა! ეხლა გააგებინე და რას იზამს, თუ არ დაგემოწმება?! როგორ შეუძლიან გააცხადოს, რომ შევამოწმე და არ ვიცოდი, რას ვამოწმებდიო! იქნება იმას ხელმწიფეზე ამოწმებინებენ რასმე, უნდა შეამოწმოს ისე გაუგებრად?! აბა, ეგა თქვას და მაშინ ნახავს, საით უკრავენ თავს! — ილამ დარწმუნებით წარმოსთქვა ეს მოსაზრებანი, გაბრწყინვებულის სახით შეხედა მამას, რომელიც მაშინვე სიხარულით წამოვარდა და შვილს გადაეხვია:

— ღმერთმანი, შვილო, შენ ჩემზე მოსაზრებული ხარ! — შესძახა იმან და გატაცებით ჩაკოცნა.

III

მაზრის სამსჯავროში დიდი ხანია, რაც ხალხი შეიყარა და ადგილები დაიკირა. მომეტებული ნაწილი გლეხობა იყო. ყველას თავპირი ჩამოჰკიდებოდათ და ნაღვლიანად შესცქეროდნენ მომრიგებელ მოსამართლეს, მაუდის წითელ სუფრაგადაფარებულ ტაბლას, რომელზედაც საწერ-კალამი და რამდენიმე წიგნი იდო.

დათუა შრომიშვილიც იმათ შორის იჯდა და ხშირ-ხშირად გადახედავდა ხოლმე ისაკას და იმის მოწმეებს, რომლებიც ხმადაბლა რაღაზედაც ბაასობდნენ.

— „ვაიმე!“ — თავისთვის წამოიძახებდა ხოლმე ბრაზმორეული დათუა ყოველ შეხედვაზე და თავისთვისვე განაგრძობდა: „რა უნდა მაგ კომლობაამოსაწყვეტს ჩემგან, რომ ტყუილ-უბრალოდ აქ ამომათრია! მითომ რას წაიღებს, რომ მიჩივლა?!“

„მითომ რას წაიღებს, რომ მიჩივლაო?“ — იძახდა დათუა იმისთვის, რომ ის დარწმუნებული იყო თავის სამართლეში და ვერ წარმოედგინა, თუ ტყუილად გადაახდევინებდა ვინმე რასმე სამართლის ძალით.

როცა მღვდელმა უწყება წაუკითხა და გამოუცხადა, რომ ისაკა სამოც თუმანს გიჩივის და ამისათვის გიბარებენო, ის გაოცდა და კარგა ხნობამდის გონს ვერ მოვიდა.

„მერე რას წაიღებს, რომ მიჩივის? განადა ალალობაა, რომ არ მემართოს და ისე წამართვას! სამართალი აღარ არის ქვეყანაზე?“ — დამშვიდებით წარმოსთქვა პირველი გაკვირვების შემდეგ იმან მღვდელთან და შინ წამოვიდა.

მას შემდეგ დათუას ამაზე აღარც კი უფიქრია და დანიშნული დღისთვის არხეინად წამოვიდა მაზრის სამსჯავროში, სადაც, აი, ეხლა სხვებთან ერთად ელოდა, თუ მომრიგებელი მოსამართლე როდის გამოვიდოდა და დაიწყებდა იმის საქმის გარჩევას, რომ ის გამართლებული შინ გაესტუმრებინა.

აგერ ტაბლის იქით პირდაპირ კარი გაიღო და მომრიგებელი მოსამართლეც გამოვიდა, რომლის დანახვაზე ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ის ისე დაჯდა და ძეწკვი ისე ჩამოიკიდა, რომ ხალხისათვის არც კი შეუხედნია. დაჯდომის უმალ ქაღალდებს ჩხრეკა დაუწყო, რომ ლებიც თვითონ შემოიტანა და ზოგი კი მდივანმა მიაწოდა.

— დასხედით! — დაუძახა ხალხს კარებში მდგომმა მოსამსახურემ.

ხალხი დასხდა. ამ დროს შემოვიდა იღლიაში პორტფელამოჩრილი ახალგაზრდა კაცი და მოღიმარის სახით მოსამართლისკენ წავიდა, რომელმაც ღიმილითვე ხელი გაუწოდა და ჩურჩული დაუწყო.

— ეგაა, რომ აქებენ?! — გაკვირვებით ჩაეკითხა ერთი გლეხი მეორეს და გიორგი „ადვოკატს“ დააკვირდა.

— „სუდიასთან“ როგორ დაახლოვებული ყოფილა, აგერ როგორ უცინიან ერთმანეთს!! — განაგრძო ისევ იმ გლეხმა, როდესაც დასხდნენ.

— მაშ, კაცო! ეგა და „სუდია“ ესე არიან, აი! — უპასუხა პირველმა და საჩვენებელი თითები ერთმანეთს მიატოლა.

— ნეტავი მაგას! — წამოიძახა მეორემ და გაჩუმდა.

მოსამართლის დანახვამ დათუა, ცოტა არ იყოს შეაშინა და იმისმა მოქუშულმა სახემ იჭვნეულობით გააფიქრებინა: ვაითუ გამამტყუნოსო, მაგრამ იმან ამ დროს სარკმლის ახლოს ჯვარსა და სახარებას თვალი შეასწრო და იმედი ისევ მიეცა: „როგორ გამამტყუნებს, როცა მართალი ვარ!“ — გაიფიქრა იმან და მოსამართლის მოძრაობას თვალყურის დევნება დაუწყო.

მოსამართლემ გაათავა გიორგი „ადვოკატთან“ ბაასი და პირდაპირ საქმის გარჩევას შეუდგა.

ამოიკითხა ჯერ ერთი, ახლა მეორე, მესამე და ასე რიგ-რიგად არჩევდა საქმეებს და ყოველი განაჩენის წაკითხვაზე ხალხს ფეხზე წამოაყენებდა ხოლმე.

მიდგა ჯერი დათუაზედაც.

ამოიკითხა მოსამართლემ ისაკა ჭამიაშვილი და დათუა შრომიშვილი, რომლებიც მაშინვე გავიდნენ.

— შენ, — უთხრა მოსამართლემ, — ისაკა ჭამიაშვილის სამოცი თუმანი გმართებია და რატომ არ აძლევ?

— რისა მმართებია, შენი ჭირიმე! ჩემ დღეში მაგისგან ვალი არ ამიღია! ერთი სამიოდე თუმანი მმართებს, ისიც მიმიჩემის ალებული და შემოდგომაზე გავუსწორდები.

— სამიოდ თუმანი კი არა, სამოც თუმანს გიჩივის და, აი, თამასუქიც აქ არის. ტყუილად ხომ არ დაუწერდნენ და შეამოწმებდნენ!

— მაგისგან განა ძნელი მოსალოდნელია, რომ ტყუილად დასწეროს!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, აგერ მოწმეებიცა ჰყავს.

— რაც არ მმართებს როგორ არ ვილაპარაკო.

— ჩუმად, კარგი! — შეუტია მოსამართლემ და მოწმეები გამოიძახა. ისაკა კი გაჩუმებული იდგა ამ დროს და, როცა დათუა უარსყოფდა, გაკვირვების ნიშნად იღიმებოდა.

— დავაფიცო? — დაეკითხა მოსამართლე დათუას, როდესაც გიგო, ლევანი და მამასახლისი, რომლებსაც მკვდრის ფერი დაედოთ, გამოვიდნენ.

— დააფიცე და მაშინ როგორ-ღა იტყვიან ტყუილს! — უპასუხა დათუამ და მერე მამასახლისს მიუბრუნდა:

— როდის ვისესხე, რომ შეგიმოწმებია, ჰა?!

ამ უეცარმა კითხვამ სულ დააბნია და ჭირის ოფლი დაასხა, რის გამო ის კინაღამ გადაიქცა.

— რა ვიცი, როგორ აიღე! — წაილუღლუღა თავისდა უნებურად და ისაკას ისეთი თვალებით შეჰხედა, თითქოს იმის თქმა უნდაო:

„შენი ოჯახი დააქციოს ღმერთმა, რომ ამ ცეცხლში ჩამაგდეო!“

— თუ არ იცი, შე ოჯახქორო, და... მაბეჭედს რაღას უცემდი?! — უფრო ხმამაღლა წამოიძახა დათუამ და თვალებში ჩააკვირდა მამასახლისს.

— თქვენი „კანცელარია“ ნუ გგონია აქ, ნუ ყვირი! — შეუტია მოსამართლემ და შემდეგ დანარჩენებს მიმართა:

— წადით, დასხედით და მღვდელი ეხლავე მოვა.

ისინი ყველანი გამობრუნდნენ თავთავიანთ ადგილებისკენ, მოსამართლემ კი სხვისი საქმეების გარჩევა დაიწყო.

დათუას მღვდლის ხსენებაზე გამართლების იმედი მოეცა, რომელიც მოსამართლემ სულ შეურყია და მოაშორა. მამასახლისი კი უფრო შეაშინა და დააფიქრა: როცა ის მოსამართლემ გაიძახა, ეგონა — იქნება

დაუფიცებლივ გადავრჩეო, რადგანაც იქ მღვდელს თვალი ვერსად მოჰკრა; მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ის უნდა დააფიცონ.

„ჯანი და სული წაუვიდეთ, გამგზავნონ ციმბირს!“ — დიდი ხნის ფიქრის შემდეგ წამოიძახა უსიტყვოდ მამასახლისმა; მაგრამ იმავე დროს თვალწინ ცხადად წარმოუდგა თავისი კარ-მიდამო, ცოლ-შვილი და ტანში გააჟრჟოლა. „ღმერთო, რა ცეცხლში ჩამაგდე!“ — საყვედურის კილოთი წაიჩურჩულა თავისთვის და ხელები წინ გაიშვირა, თითქოს უნდა ხელში აეყვანა ვინმე და გულში ჩაეკრა, რომ გამომშვიდობებოდა; ყმაწვილის მაგივრად, რომელიც იმას მოელანდა, ხელები წინ მჯდომ კაცს წაავლო და ეს უკანასკნელი მოხედვის შემდეგ დაეკითხა: „რა გინდაო“. ამ კითხვაზე ის გონს მოვიდა, ხელები გაუშვა და უთხრა: „არაფერი, მომიხვდა ხელი“.

„ვერა, ვერ დავთმობ!“ — გადაწყვეტით წამოიძახა იმან, როცა იმის წინ მჯდომმა კაცმა ისევ იქით მიიხედა, და გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა.

ამ დროს მღვდელიც შემოვიდა და ის სხვა მოწმეებთან ერთად დასაფიცებლად გავიდა.

დაფიცების შემდეგ მოსამართლე ისევ დათუას საქმეს დაუბრუნდა და მოწმეებს სათითაოდ ჩვენება ჩამოართვა.

სამივე მოწმემ ერთნაირად აჩვენა, რომ დათუას ისაკასი ნამდვილად ჰმართებს სამოცი თუმანიო.

— ისე თქვენი ოჯახი აშენდეს, როგორც მარ́თალს ამბობთ! — გულჩაწყვეტით, თითქმის ტირილით წამოიძახა დათუამ და მუხლები ჩაეკეცა.

რაკი მოწმეებს ჩვენება ჩამოართვა და ხელი მოაწერინა, ცოტახნის წერის შემდეგ მოსამართლემ განაჩენი წაიკითხა, რომლის ძალითაც დათუა შრომიშვილმა უნდა გადაიხადოს სამოცი თუმანი ჭამიაშვილის სასარგებლოდ და აგრეთვე სამსჯავროში საქმის საწარმოებელი ფული რვა მანეთი.

— ღმერთი არ გწამთ, ტყუილად რად უნდა გადავიხადო?! — წამოიღრიალა დათუამ, განაჩენი რომ მოისმინა და ჯავრისაგან ცრემლები გადმოყარა.

— როგორ თუ ტყუილად! — შეუტია მოსამართლემ და განაჩენი იქით გადადო.

— ღმერთი, რჯული, არა მმართებს! დაიჯერეთ, ქრისტიანები არა ხართ?!

— კარგი, წადი! თუ გინდა, აქედან ასლი გაიტანე და სხვაგან გადაიტანე საჩივარი.

— სხვაგან სადღა გადავიტანო? თუკი აქ არ მაძლევთ სამართალს, იქ კი მომცემენ?!

— გაიყვანეთ ეგ დათვი! — წამოიყვირა მოსამართლემ და თავპირანთებული ზეზე წამოვარდა.

IV

ნენემ და მისმა რვა წლის ვაჟმა, გაბრომ, დიდი ხანია, რაც დაიძინეს. დაიძინეს აგრეთვე სხვებმაც სოფელში, ან კი აქნობამდის დაუძინებელი ვინ დადგებოდა სოფელში, სადაც მუშაობით მოქანცულები შებინდებისასვე წვებიან და გარიჟრაჟებამდის ფეხს არც კი გაიქნევენ. დათუას თვალებს კი ძილი არ ეკარებოდა. ის აგერ რამოდენა ხანია, დერეფანში თავისი ცოლ-შვილის გვერდით შამფურივით ტრიალებს და ბოღმა აწვება გულზე. ამას ვერ მოუნელებია, რომ დღეს ვენახი ისე უსინდისოდ ჩამოართვეს და ისაკას გადასცეს.

მთვარე კი შემოსციმციმებდა დათუას და თითქოს ამას ეუბნებოდა: „საწყალო შრომიშვილო, როგორცა ვხედავ, შენ ბედი არ გაგიღიმებს! რამდენი საუკუნეა, რაც შენ მონად ხარ და შენი სარჩო-საბადებელი სხვას მიაქვს! წინათ თუ ლუარსაბები, რევაზები და არჩილები გაცლიდნენ ხელიდან შენს საცხოვრებელს, ეხლა ისაკები გიხდებიან ბატონად და... ეჰ, საწყალო, როდემდის უნდა ითმინო?“ თითქოს მთვარემ ველარ გაუძლო დათუას მზერას, ღრუბელს მიეფარა და დერეფანში ჩამოაბნელა.

— ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი! — წამოიძახა დათუამ მთვარის მოფარებაზე და წამოჯდა. იმან გადახედა ნენეს და გაბროს, რომლებიც დამშვიდებით ფშვინავდნენ, და ტირილი ყელში მოებჯინა: „რიღათი უნდა გაცხოვროთ?! ან მტერს, ან მოკეთეს, ან ღმერთს, რიღათი უნდა გავსცე პასუხი?!..“ — აკანკალებული ხმით ჩასძახა ნენეს და იმისკენ უფრო გადაიხარა.

— დათო, დათო, გენაცვალე, ეგრე როგორ წაგართვეს ვენახი, რომ ხმა არ გაეცი?! — მიკნავებულის, მაგრამ სიყვარულით სავსე ხმით წამოიძახა ამ დროს ნენემ.

ამ ხმამ დათუას სწრაფად დაურბინა ტანში და მთლად შეარყია.

— ნენე! — ჩასძახა იმან ცოლს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ნენეს გულიანად ეძინა.

— სძინავს, სძინავს... — თავის ქნევით და მწარის ღიმილით წამოიძახა და დიდხნობამდის თვალი აღარ მოუშორებია ნენესთვის, რომელიც მძიმედ სუნთქავდა და ტუჩებს მალიმალ ანძრევდა, თითქოს რაღაცას ლაპარაკობსო.

„კაცი ვარ მეცა?! — დაიძახა იმან კარგა ხნის მზერის შემდეგ და ისევ მიწვა. „მამულს გართმევენ, სულს გიხუთავენ და შენ კი ცხვარივით თავი ჩაგიღუნავს და ხმას არ იღებ! ვაიმე, შე ოხერო ჩემო თავო!“ — წამოაყრანტალა იმან და თავში მაგრად შემოირტყა ხელი: „სხვა უჩემო სისხლს დაღვრიდა, კარებში ჩაკვდებოდა, არავინ შაეშო, და მე კი თვითონ შევიყვანე და ჩავაბარე... თფუი!“ სიბრაზით გადაფურთხა დათუამ და თვალები დახუჭა.

— მე მაინც გამიშვი, კაცო, თუ შენ არას ეუბნები! — იმავე კილოთი აჩქარებით წამოიძახა ნენემ და ხელები გააფათურა.

— დედაკაცის ლეჩაქი უნდა მეხუროს თავზე, კაცის ქუდი კი არა! — წამოიღრიალა ნენეს ხმაზე და ფეხზე წამოიჭრა.

— ეეეხ!! — ღრმად ამოიოხრა ნენემ და გულაღმა გადმოტრიალდა. ამ დროს მთვარემაც გამოიხედა ღრუბლებიდან და ნენეს მიაყენა შუქი.

იმის გამხდარ, ფერმკრთალს ნაზ სახეს ამ შუქზე სინაზე უფრო გაუორკეცდა და ამან დათუა დაიმონავა. ამას ჯერ არ ენახა თავისი ცოლი იმისთანა მშვენიერი და ამ მშვენიერების დანახვაზე იმან თავისდა უნებურად ჩაიჩოქა.

— ნენე, ნენე! — ჩასჩურჩულა იმან ნენეს მოწიწებით, — გენანება განა, რომ ამისთანა ლაჩარ კაცს მისთხოვდი? განა მე შენი ღირსი არა ვარ? არა, ნენე, მაგრე ლაჩარი არა ვარ, ნუ ნანობ...

— ჰაა-რა-ლეეე, სუფრისა თავსა მჯდომარე... — მოისმა ამ დროს სიმღერის ხმა.

დათუა საჩქაროდ წამოხტა ამ ხმაზე და სმენად გადაიქცა: იმას ეგონა, რომ სმენამ მოატყუა, მაგრამ სიმღერა არა წყდებოდა.

— ისაა. ისაა. ისა ქეიფობს .. უხარიან, რო ვენახი წამართვა! — დაბნეულად გაიძახოდა ის და ხელებს აფათურებდა.

სუფრულის სიმღერა კი უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო! — ჩაჩოქვით და ხელებმაღლაპაყრობით წამოიძახა დათუამ და ცრემლმორეულმა მერე თავისი

მთრთოლარე ტუჩები მოწიწებით ნენეს ჩათბუნებულ ტუჩებს შეუერთა, რომლებიც დათუას ტუჩების შეხებაზე ოდნავ შეთრთოლდნენ.

V

ისაკა ქამიაშვილის ბალკონზე სანთლებით გაჩაღებულ ტაბლას გარს შემოსხდომოდნენ სტუმრები: სამსჯავროსა და პოლიციის ბოქაულები მოაჯირებისკენ ისხდნენ, ტაბლის თავსა და ბოლოს — გიგო და ლევანი, ისაკა და იმისი შვილი ილა — ბოქაულების პირდაპირ, კედლისკენ.

ყველანი მომხიარულებულები იყვნენ — ნამეტნავად ისაკა კელაპტარივით დნებოდა ამ საღამოს: დღეს ამას შეუსრულდა ამოდენა ხნის სურვილი და მაშ არ მოელხინა?!

ისაკამ, როცა ის კარგად შეზარხოშიანდა, სუფრულიც კი შემოსძახა, რომელსაც გიგომა და ლევანმა მეორე და ბჯნი უთხრეს და ბოლომდისაც შეუცდომლად გავიდა, თუმცა, კარგა ხანია, ეს სიმღერა იმას აღარ უთქვამს, რადგანაც, იმის ფიქრით, გლეხებს უნდა ემღერათ და არა იმისთანებს, როგორიც ისაკა იყო.

— ბრაო, ბრაო! — ბოქაულებმა შეჰღრიალეს და ტაში დაჰკრეს, როცა ისაკამ სუფრული დაათავა.

— ვერ უყურებთ ისაკას, როგორ კარგად მღერის! — წამოიძახეს გიგომ და ლევანმა და სიცილი დაიწყეს.

— ექსტრა, ექსტრა!.. ისაკას სადღეგრძელოდ... — დასჭყივლა პოლიციის ბოქაულმა და ჭიქა აივსო.

სხვებმაც შეავსეს და ჭიქების ჭახა-ჭუხი ასტეხეს.

— ისაკა! — სახლის კარგა მოშორებიდან დაუძახა ვიღაცამ ისაკას ამ დროს. ჭიქების ჭახა-ჭუხი შესწყვიტეს და იქით მიიხედეს, საიდგანაც ხმა მოესმათ. სანთლიანი თვალით ვერა გაარჩიეს რა. ისაკა კი საავსე ჭიქით წამოდგა და დაიძახა:

— ვინ არის?!

— აბა, ცოტა ხანს ეგრე გაჩერდი!

— ვინა ხარ?

თოფის გრიალმა ისაკას სიტყვა გააწყვეტინა.

სანთლები ჩაქრა, მოისმა ჭურჭლის ლაწალუწი, მაგიდების ბრახა-ბრუხი და რაღაც მძიმის და რბილის ზღართანი.

— უი, უი! — კივილით გამოცვივდნენ სახლიდან თოფის გრიალზე ბაბე და მისი ქალები.

— ვინ?.. რა?.. როგორ? სადა?.. სანთელი! — ყველა იქ მყოფი უეცარის შემთხვევით გულგახეთქილი გაიძახოდა დაბნეულად და გონს ვერ მოსულიყო, თუ თავს რა დაატყდათ.

უმცროსმა ქალმა გამოარბენინა სანთელი, რომლის შუქზედაც იქ მყოფთ შემდეგი სურათი წარმოუდგათ:

მაგიდებს შუა, ჭურჭლის ნამტვრევებთან ერთად, გულგაგმირული ისაკა ღვინოსა და სისხლში ცურავდა.

დუტუ მეგრელი
(დიმიტრი ხოშტარია)

1867—1938

დიმიტრი თომას ძე ხოშტარია (დუტუ მეგრელი) დაიბადა 1867 წელს სოფ. სუჯუნაში (სამეგრელოში). პირველდაწყებითი სწავლა-განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა ოდესაში უმაღლესი განათლების მისაღებად.

დუტუ მეგრელი წერდა საბავშვო ლექსებსა და ზოთხრობებს. მისი ლექსი „პატარა ქართველი" (სახელმძღვანელოებში შეტანილია „საყვარელი სამშობლო"-ს სახელწოდებით) პირველად დაიბეჭდა 1901 წელს ჟურ. „ჟეჟილში". დ. მეგრელი ძუაითად თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებში.

დუტუ მეგრელი გარდაიცვალა 1938 წელს.

საყვარელი სამშობლო

მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი,
და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი.
ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო.
ხან თუ მტერნი აოხრებდნენ, იყო მღვრელი ცრემლის ცხარის,
ბრწყინვალე დროც დასდგომია, დრო დავითის და თამარის.
მე პატარა ქართველი ვარ, სახელოვან ერის შვილი,
და მსურს მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე და სიკვდილი.

გაზაფხული და საპყრობილე

ყველა აღებს კარ-ფანჯარას,
ეგებება გაზაფხულსა;
ყველა ტკბება მზის სხივებით,
გრძნობს სიამე-სიხარულსა!

მარტო ერთი საპყრობილე
ჩვეულებრივ ჩაკეტილა,
თითქო მისთვის არ არსებობს
ეს მშვენებით სავსე დილა.

და კვლავ სახე ჩამოსტირის;
კვლავ საშინელ-საზარია:
მის მდგმურთათვის მზე არ
ნათობს,
ისევ ისე ზამთარია!..

ჭინაჭინა

I

მშვენიერი ზაფხულის დილა იყო. მზეს თუმცა უხვად მოეფინა დედამიწაზე თავისი სხივები, მაგრამ ჯერ კიდევ გრილოდა. ხანდახან ქროდა საამო ნიავი და ჰფენდა გარშემო ბაღებიდან ტკბილ სურნელებას სხვადასხვა ყვავილებისას. დიდი სიმხიარულე იყო ყოველგან: სულიერი თუ უსულო სიამოვნებით შეეხაროდა ამ ბედნიერ დილას.

არც კ — ის სასოფლო სკოლის პაწაწა შეგირდებით მოფენილი ეზო იყო მოწყენილი ამ დილას: ბავშვები უკან არ ჩამორჩენოდნენ საერთო მხიარულებაში სიცოცხლით სავსე ბუნებას და მასთან ერთად დღესასწაულობდნენ ათასნაირ თამაშობაში გართულნი: სულ პატარები ჭრელ პეპელებს დასდევდნენ დასაჭერად, უფრო მოზრდილები რიკტაფელას თამაშობდნენ, ყველაზე უფროსები ბურთს გაეტაცნა და აქეთ და იქით დარბოდნენ თავდავიწყებულნი. სკოლის აივანი სავსე იყო პატარა გოგოებით. ესენი რაღაცეებს აკეთებდნენ — ალბათ თავიანთ ტიკინებისათვის და მხიარულად ეცინოდნენ.

აგერ გამოვიდა აივანზე ახალგაზრდა, ცოტათ გამხდარი კაცი. ღიმილით გაიარ-გამოიარა გოგოებში, ზოგიერთებს კიდეც დაელაპარაკა და მიეიდა სვეტთან, სადაც ზარი ეკიდა. გოგოებმა იცოდნენ, რომ ზარის დარეკა იყო საჭირო და თვალებში შესცქეროდნენ მასწავლებელს: არა მე დამარეკინე, არა მეო.

— დარო, მოდი დარეკე! — დაუძახა მასწავლებელმა ყველაზე უფრო პატარა გოგოს, რომელიც კუთხეში იჯდა მარტოდ. გოგოს ქამდის მოწყენილი სახე გაუბრწყინდა, ლოყები გაუწითლდა, თვალები გაუცოცხლდა, ტუჩებმა გაუღიმა. თვალის დახამხამებაზე მიირბინა სვეტთან, ძლივს მოჰკიდა ზარის თოკს ხელი და რამდენჯერმე ჩამოაწკარუნა.

გაიგონეს თუ არა ბავშვებმა ზარის ხმა, მაშინვე მიატოვეს თამაშობა და ყვირილით გაიქცნენ სკოლისაკენ. გოგოები დაროსთან ერთად ბიჭებზე უმალ შევიდნენ სკოლაში. სკოლის კარებთან იდგა მასწავლებელი და უცინოდა მოწაფეებს, რომელნიც მხიარულად მოხტოდნენ მის წინ.

— ბევრი ითამაშე? — ჰკითხა მასწავლებელმა ერთ შეგირდს.

— ბევრი, — მიუგო მან.

— როცა სახლში მიხვიდე, არ დაგავიწყდეს, გააკერინე სახელო, დაგგლეჯია.

ბავშვმა დახედა ჩამოხეულ სახელოს, გაწითლდა და შევიდა სკოლაში.

— სიკო, რად კოჭლობ? — ჰკითხა მეორე შეგირდს მასწავლებელმა.

— ეკალი შემესო ფეხში, — უპასუხა ბავშვმა და აჩვენა გამოგლეჯილ წულიდან გამოყოფილი ტიტველი ქუსლი.

— მერე ვერ გამოიღე?

— ვერა.

— მოდი ჩემთან, მე გამოგიღებ.

მასწავლებელი და ბავშვი შევიდნენ იქვე ოთახში. პატარა ხანს ეკან ბავშვი გახარებული გამოვიდა ოთახიდან და თამაშობით შევიდა სკოლაში.

როცა ყველანი მივიდნენ და დასხდნენ თავთავიანთ ადგილზე, მასწავლებელიც შევიდა; შეგირდები მაშინვე ადგნენ და ერთმა მათგანმა წაიკითხა სწავლის დაწყების წინ სათქმელი ლოცვა.

— დაჯექით! — უთხრა მასწავლებელმა შეგირდებს, როცა ლოცვა გათავდა.

შეგირდები დასხდნენ, მასწავლებელი გაჩერდა შუა ადგილზე. შეგირდებმა ხმა ვაკმინდეს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის ფრენასაც გაიგონებდა ადამიანი.

— დღეს ჩვენ გვეწვევა ერთი სტუმარი, — ღიმილით დაიწყო მასწავლებელმა: — როცა აქ შემოვიდეს, ყველანი ადექით და, სანამ არ გითხრათ, ნუ დაჯდებით. როცა გკითხოთ რამე, პასუხი თამამად უთხარით, ხმამაღლა გარკვევით. არ შეგეშინდეთ! ის ერთობ კეთილი კაცია და ბავშვები ძლიერ უყვარს. გკითხავსთ მხოლოდ იმას, რაც იცით. ცოდნა კი უნდა მოიხმაროთ, როცა საჭიროება მოიტანს, და დღეს სწორედ საჭირო იქნება მისი მოხმარება, რაც გისწავლიათ. აბა თქვენ იცით!..

გაათავა ეს სიტყვები, მივიდა კედელთან, სადაც გამოკიდებული იყო შეგირდების სახელი და გვარები, და ჩამოიკითხა, რომ გაეგო, ვინ არ იყო დღეს სკოლაში. აღმოჩნდა, რომ ერთი პაწაწა ბავშვის, მიხას, გარდა ყველა იყო.

— ავად ხომ არ არის მიხა, თუ იცით ვინმემ? — იკითხა მასწავლებელმა. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს და პასუხი კი ვერავინ უთხრა.

II

პაწაწა მიხა ავად არ იყო, მაგრამ სკოლაში წასასვლელად მაინც არ ეცალა. მიხას დედას აციებდა და იმ დილასაც საშინლად გააცივა. მიხას მამა ყანაში იყო წასული და ავადმყოფს მიხას მეტი პატრონი არავინა ჰყავდა. ჯერ ვითომ გაუძალდა მიხას დედა სენს და სადილის კეთებას მიჰყო ხელი, მაგრამ ფეხებმა და ხელებმა უსუსტეს და იძულებული შეიქნა დაწოლილიყო. დაწვა საწყალი, მოატანია მიხას, რაც რამ ქვეშაგების მაგვარი მოიპოვებოდა მათ სახლში; მოატანია აგრეთვე, რაც რამ კონკები ებადათ, და დაიყარა ყველაფერი თავზე, მაგრამ არაფერი ეშველა, ვერ გათბა.

— მოდი, შვილო, შენც დამაწევი თორემ მოვკვდი სიცივით, — უთხრა შვილს აკანკალებულმა დედამ.

მიხა მაშინვე მივიდა და ჩაეკრა დედას. რამდენსამე ხანს ასე იყვნენ დედა-შვილი. გათბა როგორც იქნა მიხას დედა და მიხაც ძირს ჩამოვიდა. ნელ-ნელა სიცხემ უმატა ავადმყოფს და პატარა ხანს უკან ისეთი ბორგვა დაიწყო, რომ რაც ეხურა, ყველაფერი გადაყარა.

— წყალი, წყალი!.. — იძახოდა ყოველ წამს ავადმყოფი და მიხაც აწოდებდა პატარა ხელადით წყალს.

ამასობაში შუადღემ მოატანა, ავადმყოფს ოფლი მოედინა და დაწყნარდა. მიხა თავით უჯდა და ფიქრებში იყო გართული.

„ახლა რა ამბავია. სკოლაში? — ფიქრობდა მიხა: — იქნება, კარგი რამ არის და მე კი წასვლა არ შემიძლია“...

მიხა არ ტყუვდებოდა; სკოლაში მართლა კარგი ამბავი იყო. სტუმარი, რომელზედაც მასწავლებელი ეუბნებოდა შეგირდებს, მართლა ეწვია სკოლას. იგი დაესწრო გაკვეთილებს და შეგირდების ცოდნით კმაყოფილი დარჩა. ბევრმა შეგირდმა საჩუქარიც მიიღო მისგან კარგი სწავლისათვის და მთელმა სკოლამ მასწავლებელთან ერთად მადლობა დაიმსახურა.

„ნეტა ახლა მამა მოვიდოდეს, — ფიქრობდა მიხა: — რომ მე სკოლაში წავიდე!“

მიხამ იცოდა, რომ ახლა გვიანღა იყო, მაგრამ მაინც უნდოდა სკოლაში მისვლა. დიდი ხანი არ იყო, რაც მიხა სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ისე შეუყვარდა სკოლაში სიარული, მასწავლებლის ყურისგდება, სასიამოვნო ამბების კითხვა ახალ წიგნში, რომელიც ანბანს შემდეგ დააწყებინეს, რომ ის დღე, რა დღესაც სკოლაში ვერ წავიდოდა, დღეთ .არ მიაჩნდა.

ამ დროს მიხას მამა სიმინდს მარგლავდა ყანაში. სადილობის დრომ მოატანა და ამისთვის-კი სადილი კაცს არ მოჰქონდა.

„ალბათ, კიდევ გააცივა დედაკაცს“, — იფიქრა მან, როცა ნახა, რომ ალარავინ მოდის, და, მწარედ დაღონებული, წავიდა შინისაკენ.

„რა ვქნა, რა მოვახერხო, რომ არ ვიცი? — ფიქრობდა გზაზე: — ავადმყოფს მოვუარო, სადილი ვაკეთო, თუ ვთოხნო? დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!.. მარტოხელი კაცი ვარ და ამდენი საქმე კისერზე მაწევს. რა ვქნა, რომელ ერთს გავუძღვე? ამ დღეებში „ბორჩიკიც“ მომადგება კარებზე ფოსტის ფულისათვის და მე კი ორი გროშიც ვერ მიშოვნია, ქინაქინა ვიყიდო, იქნება, დედა-კაცს ციებამ თავი დაანებოს“...

ამ მწარე ფიქრებში იყო გართული უბედური მიხას მამა, მაგრამ, შევიდა თუ არა თავის სახლში, სადაც ავადმყოფი ცოლი დახვდა, მაშინვე ალერსიანად დაეკითხა: როგორა ხარო.

— რაღა როგორა ვარ, საშინლად გამაცია, — ძლივს უპასუხა ცოლმა.

— არაფერია, — ღიმილით უთხრა ქმარმა, — დღეს ან ხვალ საიდანმე ფულს ვიშოვი, ერთი ორჯერ ქინაქინას გადაგაშუშხვინებ და სულ კუდით ქვას ვასროლინებ შენს ციებას.

— ქინაქინა კი არა, ნეტავი, რაც საჭიროა, იმისთვის ვიშოვიდეთ ფულს, — თქვა ავადმყოფმა.

— ვიშოვით, ვიშოვით!.. აბა ხომ ჩვენზე არ შეიკვრის ქვეყანა, — ამბობდა მიხას მამა.

— მამი, რა არის ქინაქინა? — იკითხა მიხამ, ცნობისმოყვარეობით გატაცებულმა.

— წამალია, შვილო, მერე რა წამალი: — დედაშენმა ახლა ერთი წვეთი რომ დალიოს, მაშინვე ფეხზე წამოდგება, — უთხრა მამამ.

მიხა ჩაფიქრდა და გაიტაცა დედის მორჩენის სურვილმა.

„ნეტა ერთი ფულს ვიპოვნიდე დღეს, რომ დედისათვის ქინაქინა ვაყიდინო მამასაო“, — ფიქრობდა მიხა.

— მიხა, შვილო, თუ გინდა, წადი სკოლაში! — უთხრა დედამ მიხას, რადგან იცოდა, რომ სკოლაში წასვლა მიხას არ ეწყინებოდა.

— წადი, შვილო, წადი, — უთხრა მამამაც. — წადი, იქნება ისწავლო რამე და გამოიყენო, თორემ ხომ ხედავ ჩვენს გაჭირვებას? წადი, მე სადილს დაგახვედრებ...

მიხასაც ეს უნდოდა, მაშინვე წამოხტა ზეზე, ჩაიწყო ჩანთაში წიგნები და მხიარული გაექანა სკოლისაკენ.

III

როცა მიხა სკოლაში შევიდა, დაინახა თავისი ამხანაგების გაბრწყინებული სახე, ბედნიერი მასწავლებელი, კმაყოფილი სტუმარი; დაინახა, რომ მთელ სკოლას რაღაც სადღესასწაულო ფერი დასდე-

ბია, — აღარ იცოდა რა ექნა, შემკრთალი გაჩერდა ერთ ადგილზე და მიაჩერდა მასწავლებელს, თითქო თვალებით შესთხოვს, გამაგებინე, რა ამბავია აქაო.

— მიხას გაუმარჯოს! — დაუძახა მასწავლებელმა ღიმილით: — სად იყავი ამდენ ხანს?

მიხა არაფერს არ ამბობდა და გაშტერებული იდგა.

— სხვა დროს არ დაგიგვიანია და დღეს როგორ დაგემართა, რომ ამისთანა დღეს გამოგვაკლდი? დღეს ჩვენ გვეწვია სტუმარი, ყველანი შეძლებისდაგვარად დავხვდით და მადლობა დავიმსახურეთ, შენ კი ასე გვიან მოხვედი... აგრე უნდა მასპინძლობა?..

მიხას თვალები ძირს დაეშვა და ცრემლებით ავსებოდა. რამდენიმე სიტყვა რომ ეთქვათ კიდევ, ის ტირილს დაიწყებდა; მაგრამ ამ დროს მიიხმო სტუმარმა მასწავლებელი და ცოტა ხანს ჩუმად ელაპარაკებოდა. ლაპარაკის დროს ორივენი მიხას უყურებდნენ; მერე მივიდა მასწავლებელი მიხასთან, გადაუსვა თავზე ხელი და უთხრა:

— არა უშავს რა! კიდევ კარგ დროს მოხვედი!

— მოდი, პაწაწავ! — უთხრა სტუმარმაც ალერსიანად. მიხას იამა მასწავლებლისა და სტუმრის სიტყვების კილო და თამამად მივიდა.

— აბა, დაიწყე აქედან! — უთხრა სტუმარმა და აჩვენა გადაშლილ წიგნზე ადგილი. მიხა ჯერ ხმის კანკალით შეუდგა კითხვას, მერე და მერე კი გათამამდა და ჩინებულად დაიწყო კითხვა. წაკითხვის მერე სტუმარმა ათქმევია წანაკითხი და მიხამაც მშვენივრად უამბო ყველაფერი, რაც წაიკითხა. მერე ლექსები ათქმევინეს ზეპირად, მერე საანგარიშო მისცეს. მიხამ თავი გამოიჩინა, ისე კარგად უთხრა ყველაფერი.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — იძახოდა სტუმარი. მასწავლებელი გახარებული იყო მიხას პასუხებით, სტუმარი გაკვირვებული.

გაათავეს მიხას გამოკითხვა.

— საჩუქარი რომ აღარ მაქვს შენთვის! — გულდაწყვეტილი ეუბნებოდა მიხას სტუმარი, — რაც მქონდა, ყველა დავარიგე დღეს.

— ნუ შეწუხდებით, მე მივცემ საჩუქარს თქვენ მაგიერ, — უთხრა სტუმარს მასწავლებელმა.

— თქვენ კი მისცემთ, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემგანაც ჰქონდეს რამე. მე მოგცემთ ფულს და გთხოვთ, ჩემ მაგიერ უყიდოთ, რაც თვითონ სურს.

ამ სიტყვებზე ამოიღო სტუმარმა რამდენიმე თეთრი ფული და მისცა. მასწავლებელმა გამოართვა და მიუბრუნდა მიხას.

— მიხა, ბარემ ახლავე მითხარი, რა გიყიდო ამ ფულით?

— „ქინაქინა“! — წამოიძახა უცებ გახარებულმა მიხამ. ყველამ ყურები ცქვიტა და გაოცებულებმა შეხედეს.

— რა? — დაეკითხა მეორედ მასწავლებელი, რომელსაც ეგონა, რომ ყურმა მომატყუაო.

— „ქინაქინა“! — განიმეორა ბავშვმა.

— იცი მერე, რა არის ქინაქინა? — ღიმილით ჰკითხა სტუმარმა.

— წამალია, — მიუგო ბავშვმა.

— მერე რად გინდა შენ ეგ წამალი? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— დედას აციებს და მამა სწუხს: უფულობას რა ვუყო, თორემ „ქინაქინას“ ვიყიდდი და მოვარჩენდიო.

სტუმარმა და მასწავლებელმა ერთმანეთს შეხედეს...

იმ საღამოს მასწავლებელი და ფერშალი მახლობელ დაბიდან მივიდნენ მიხას სახლში. ფერშალმა ნახა ავადმყოფი, საჭირო წამლები (რასაკვირველია „ქინაქინაც“) დაუტოვა და დარიგებაც მისცა, როგორ მოქცეულიყო. მასწავლებელმა-კი პატარა სურათებიანი წიგნი მოუტანა მიხას. აუწერელია ის სიხარული, რომელსაც გრძნობდნენ, როგორც მიხას ძმობლები, ისე თვითონ მიხა; ამისი მხოლოდ გრძნობა შეიძლება და არა გამოთქმა!..

თედო რაზიკაშვილი



1869—1922

თედო (თევდორე) პავლეს ძე რაზიკაშვილი დაიბადა 1869 წელს სოფ. ჩარგალში. ის ეკუთვნის იმ შესანიშნავ ოჯახს, რომელმაც წარმოშვა ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა. თედო ექვსი წლისა შეიეკვანეს ჩარგლის სკოლაში. რამდენიმე ხნის შემდეგ მოეწყო გორის სასოსტატო სემინარიაში, რომელიც 1889 წელს წარჩინებით დაამთავრა.

გორი იმ დროს წარმოადგენდა ხალხოსანთა მოძრაობის ცენტრს. თ. რაზიკაშვილიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ მოძრაობაში. თედო სასოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ გაამწესეს მასწავლებლად სოფ. ხელთუბანში, სადაც მთელი თავისი სიცოცხლე დაჰყო. ის თავდაყრუებით შრომობდა, ხალხოსანთა იდეებს ავრცელებდა გლეხობაში. თედო რაზიკაშვილის მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა და მალე ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და გადაუწყვიტეს 13 წლით გადასახლება. მაგრამ მანიფესტმა მოუსწრო და გზიდან დააბრუნეს.

თ. რაზიკაშვილი აღფრთოვანებული შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. 1922 წელს. თ. რაზიკაშვილი უანაღებმა ვერაგულად მოჰკლეს ს. ხელთუბანში.

თ. რაზიკაშვილის პირველი საბავშვო ლექსი „გუთნისდედის სიმღერა" და პირველი საბავშვო მოთხრობა „იის ამბავი" ერთად დაიბეჭდა 1890 წელს ჟურნალ „ოჯილ"-ში. ამ წლიდან სიკვდილამდე თედო რაზიკაშვილს არ შეუწყვეტია წერა ბავშვებისათვის. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, წერილებს, წერდა ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და უკაცილთა ცხოვრებაზე და ალეგორიულად გვიხატავდა ადამიანთა ცხოვრებას, უმღერდა საძმობლოსა და ადამიანთა თავისუფლებას.

თ. რაზიკაშვილი პირველი შემკრებია ჩვენი მდიდარი ხალხური ხიტყვიერებისა.

თ. რაზიკაშვილის შემოქმედების პირველი შემფასებლები იყვნენ აკ. წერეთელი და ი. გოგებაშვილი.

თ. რაზიკაშვილის მოთხრობათა ხრული კრებულის გამოცემა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გახდა შესაძლებელი (გამოიცა 1947 წ.).

ფითრი

მცივა, მცივა! შემიბრალე, თავშესაფარი მომეც, სიცივით ნუ ᲫᲝᲛᲙᲚᲐᲕ, ხო ხედავ, რა პატარა ვარ, ლამის ქარმა გადამაგდოს და თოვლმა დამახრჩოს! ბინა მომეც, ცისქვეშ ნუ დამაგდებ, — ასე ეევედრებოდა სიცივისაგან სიკვდილის პირზე მისული პაწაწა ფითრის თესლი მსხლის ხესა, რომელსაც ამაყად თავი მაღლა აეღო და ირხეოდა.

ქარი ᲰᲥᲠᲝᲓᲐ, თოვდა, ნამქერი ტრიალებდა.

მსხალმა წვერებიდან გადმოხედა ფითრის მარცვალსა; ეძებდა, ვინ ეძახდა, რა სულიერი იყო მთხოვნელი, ათვალიერებდა, მაგრამ არავინა ჩანდა.

— გამოჩნდი, არ დამენახვები, ვიღაცა ᲮᲐᲠ, ᲰᲝᲒᲠᲘᲢᲘᲗ ᲒᲔᲫᲔᲑᲝ? სადღაც შემძვრალᲮᲐᲠ და წრიპინებ! — ჩამოსძახა გაჯავრებულმა მსხალმა.

ფითრის მარცვალი ზედ ტოტზე აცოცდა, ქერქს ამოეფარა და რაც ძალი და ღონე ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, იᲫᲘᲛᲔᲑᲝᲓᲐ: დამინახოსო. თან მსხლის ქერქს ეკვროდა, ებღაუᲤᲔᲑᲝᲓᲐ, რომ ᲥᲐᲠᲡ არ ჩამოეგდო ძირსა.

— აქა ვარ, პატარა ვარ, დაიხარე კიდევ, რო დამინახო; ჩემი ტოლ-ამხანაგებიდან მარტო მე დავრჩი. გაუმაძღარმა ჩხართვმა გადაყლაპა ყველანი, მეც ნახევრად დაგლეჯილ-დაფლეთილმა ᲐᲥ შენ შემოგაფარე თავი. შენ თუ არ დამმალე, ის მსუნაგი მეც ჩამყლაპავს, არ გადვურჩები.

მსხალიც მოიდრიკა, აიყვანა ფითრის თესლი და სინჯვა დაუწყო.

— რა პატარა ყოფილა ეს საცᲠᲓᲐᲕᲘ! ამისი თავშესაფარი რა უნდა იყოს, ან ამისი შეᲨᲛᲐ ვის რა უნდა გაუხდეს, რა მუცელს გაუძღობს?! — იფიქრა მსხალმა.

რამდენი ᲭᲘᲐ-ღუა ზის ჩემ ქერქქვეშ, დათბება, — გამოძვრებიან, თავის გზაზე წავლენ. არც მოსვლასა მკითხავენ, არც წასვლასა.

წეღანაც კოდალა იყო აქა. თავიდან ფეხებამდე სულ გამსინჯა, ამივლიდა და ჩამივლიდა, იმის ნისკარტს ჩემს ტანზე რაკარუკი გაᲰᲥᲝᲜᲓᲐ. საწყალ ᲭᲘᲐ-ღუებს გულები დაუსᲥᲓᲐᲗ, მეევედრებოდნენ: — შეგვიბრალე, ნუ შეგვაᲨᲛᲔᲕ ამ მოსისხლესაო! მე რა მეშველა? — ბევრი ჩაყლაპა და ბევრიც გადარჩა ისევ ჩემ ქერქში.

მუხა მეძახდა: კაცო, ᲭᲙᲣᲐᲖᲔ მოდი, რამ გაგასულელა, ვინც მოგადგება, შენც კარებს უღებ, იმათაც აუღიათ თავი და ყველა შენზე მო-

ცოცავს. მე გირჩევ, რაც ქერქქვეშ ჭიები და ბუჭყები გისხედს, გარეთ გამორეკე, კოდალამ შეჭამოსო. აღარ გახსოვს, გაზაფხულზე, როგორ ჰყვავი? გამვლელ-გამომვლელი იძახის: „ძალიან მოაქვს ამ მსხალსა, ბევრს მოისხაენ წლეულობითაო!“ გავა ცოტა ხანი, დაიყვავილებ, წერილი ნაყოფი ჯერ ბევრი გასხია, თითქო ფოთოლსა სჭარბობს. მოდის ზაფხული, სადღაა ხილი? მეათედი აღარ გასხია.

— რა იქნა, სად წავიდა, რამ ჩაყლაპა?

— რამა და სულ მაგ ჭიებმა, შენ რო შემოგხიზვნიან. თვალი გაა· ხილე, თვალიო, — თითქო მე ბრმა ვიყო.

— ნეტაი შენა, მუხავ, რო მაგისთანა ეჭვიანი ხარ, ნიადაგ ბევრ· ნაყოფი შეგრჩება.

მერე კაკალსა ვკითხე.

კაკალმაც ისეთი პასუხი მომცა, როგორიც მუხამ.

— მე მაგათი შიშით ჩემს თესლს ორნაირ ტანისამოსში ვახვევ, გარეთ მწარე წენგოს ვუკეთებ, შიგნითაც ძვალივით მაგარ ნაჭუჭს; მაგრამ მაინც კიდევ უზარალოდ ვერა ვრჩები, ნახევარს მაინც ეგ ჭიები მიჭამენ და მიფუჭებენ, მაგათგან კარგი არა გამოდნება რა, მუხაც მაგას გეტყოდა, ჭკვიანია, შენც გაფრთხილდიო.

— მცივა, მცივა! — წრიპინებდა ფითრის თესლი, აქვე შევძვრები, თორემ ეს არის სული ამომივა.

— შეძვერ, შე საწყალო, ადგილს როგორ დაგიჭერ, — უთხრა გულმტკივნეულად მსხალმა, — თუ თქვენები კიდევ ნახო ვინმე გაჭირვებული, მოვიდნენ, არ დავიშურებ არც იმათთვის ბინასა. თქვენ ხომ ნაყოფს არ შემიჭამთ ჭიებივით, მუხა რო იძახდა?

— რასა ბრძანებთ თქვე დალოცვილო, ჩვენი ჯიში ხილეულს არ ეწყობა და არც მე გიახლებით, არხეინადა ბრძანდებოდე. ოჰ, რა მადლობელი ვარ, რა მადლი მიყავ, ერთი სული მომარჩინე სიკვდილსა, თუ ფითრი ვარ, გადაგიხდი შენს სიკეთესა.

ფითრის მარცვალი შეძვრა მსხლის ქერქქვეშ, სადაც უფრო ღრმად იყო გახეთქილი და ზედ ცილაზე მიეკრა.

— „ოჰ, რა კარგადა ვარ, არც შემცივა, არც მომშივა!“ — ბუტბუტებდა ფითრი.

— ვის ელაპარაკები, მად ყოფნა ხომ არავინ დაგიშალა? — ჩამოსძახა მსხალმა.

— არა, გენაცვა, ნაცნობი შემხვდა, იმას გამოვეხმაურე.

— ხომ აღარა გცივა, ვერ გათბი?

— ახლა რაღა მიშავს, რაკი ჩხართვს თავი დავახწიე და შენ შემოგეხიზნე.

• •

ფითრის მარცვალმა ის ზამთარი მსხლის ქერქში გაატარა.

არა სციოდა; არა შიოდა, მტერი ვერაფერს დააკლებდა და დუშმანი, ისე იყო შემძვრალ-შემალული, სინათლეც კი ვერ დაინახავდა.

რამდენიმე დღეს შიშით თავი არ გამოუყვია გარეთ. სულ ჩხართვა ელანდებოდა, ან ახლა ჩამცხებს ნისკარტს და ან ახლაო.

არ იცოდა, დღე იყო, თუ ღამე. მაგრამ დრო გავიდა, თავის მდგომარეობას შეეჩვია. პირველმა შიშმაც გადაუარა.

ერთხელ მზის შუქი პირდაპირ თვალებში მიადგა ფითრსა. ფითრმაც ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა, გაინძრა, გაიშალა ცოტათი წელში, მზეს თვალი აარიდა და ზურგი კი უცხუნა.

ძალიან ესიამოვნა მზის სტუმრობა.

„ახლა აღარა მიშავს რა, რაკი ჩემს სადგომს მზემაც მიაგნო, — ფიქრობდა ფითრი, — თქვენ კი მანდ გეძინოთ, ჭია-ღუებო, ზოგს კოდალა ამოგთხრით და მძინარს ჩაგყლაპავთ, ზოგს ქარი ჩამოგყრით ძირსა. იქაც კაჭკაჭები და ჩხიკვები კაი გემოს ჩაგატანენ. მე კი აქ არხეინად ვიჯდები, პატარა, თქვენგან ათვალწუნებული ფითრი, ნახავთ, როგორ გავიზარდო და გავსუქდე. მსხალს კაი ღონიერი ფესვები აქვს, საკმაო საკმელი გვექნება. მსხალი მომაწოდებს მიწიდან მზამზარეულს საზრდოსა. მოხმარება ჩემზე ჰკიდია“. — ასე ფიქრობდა ფითრის მარცვალი, მზის შუქისაგან გახარებული.

ქარი გრიალებდა. თოვლი მზეზე სპეტაკად ბრწყინავდა.

მსხალი ნელა-ნელა ირწეოდა. ჭია-ღუები ღრმა ძილში იყვნენ გაზაფხულის მომლოდინენი. მართლაც ბევრი მათგანი ფრინველებისა და თაგვების წერა ხდებოდა.

ფითრმა კი რაკი მზის შუქი დაინახა, რაღა დააძინებდა. ფიქრად გადაიქცა, სულ რაღასაც საზრობდა, დღეებიც გადიოდა და მზესაც სითბო ემატებოდა.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ფითრიც იცვლებოდა, მსხლის ქერქზე ტკიპასავით დაკრობილი, იზრდებოდა, იბერებოდა, სულ განგან იწევდა. მსხლის ცილა რამდენიმე ალაგას ჩაეხვრიტა და ტუჩებით დაჰკვროდა.

მსხალს აღარც კი ახსოვდა ფითრი, ან კი რა ყურადღების ღირსი იყო! რამდენი იმისთანა შემოხიზნული თბებოდა და ძღებოდა მსხლის ოფლითა! კიდეც რო ხსომებოდა, ბევრსაც არ ინაღვლიდა ფითრის გულისთვის· ვინ იცის საწყალი სად გადავარდებოდა, რა შესჭამდაო.

ცილაში ჩაკრობილი ფითრის თესლი კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა

წუწნიდა ახლად გამართული ტუჩებით, ისეც სიცივისაგან გამოფიტულ მსხლის ქერქსა.

ეს სისხლის წოვნა კი უგრძნობელი არ დარჩა მსხალსა.

— რაღაცა მიღიტინებს, თითქო არცა მკბენს და არც მწუწნისო, — ეძახოდა შეშფოთებული მსხალი და იკროლებოდა მთელი ტანითა. — ვინ იცის დაუდეგარი ჭიები თავშესაფარს ხვრეტენ. კოდალამ მაინც ჩამოიაროს და მომაშოროს ეს აბეზრები.

კოდალამაც რამდენჯერმე ჩამოუარა და გაარაკრაკა ნისკარტი იმფს ქერქზე. დამფრთხალ ჭიებსაც ამ ხმაზე ელეთმელეთი მოსდიოდათ. შეშინებულები ხან აქ ამოჰყოფდნენ თავს, ხან იქა.

კოდალასაც სხვა არა უნდოდა რა, სტაცებდა პირს და ყლაპ!

მსხალს კი მაინც ისევ რაღაცა უღიტინებდა და რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი მოუსვენრობა ემატებოდა.

• •

გავიდა ზამთარი. ჭია-ღუები დათბნენ, დაცოცხლდნენ, გამოძვრნენ მსხლის ქერქიდან, ფრთიანები ცისქვეშ გაფრინდნენ; უფრთონი ზოგი ძირს დაეშვა ნეხვის საძებნელად, ზოგი ტოტებზე გავიდა ყვავილის კვირტებში კვერცხების ჩასადებად.

ფითრი?! იმან რაღა ქნა?

სადაც ფითრი შეძვრა, იმ ადგილზე ერთი მწვანეთ გაღაღანებული ბატის ფრთის სისხო ყლორტი ამომძვრალიყო და ორიოდე ფოთოლიც გაჰშლოდა.

— გამარჯვება, ფითრო! აქ რამ ამოგიყვანა, ამ ქორფა მსხალზე? — ეკითხებოდა გაკვირვებული ხავსი, — ოცი წელიწადია მაგ მსხლის გარშემო ვტრიალებ, მინდოდა როგორმე ამოვსულიყავ, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე; დახე, დახე, ისევ შენ არ დამასწარ. ოჰ, რა ეშმაკი რამა ხარ! შენ მანდ არხეინად უნდა იჯდე და მე აქ უნაყოფო ქვებსა და გადამღრძვალ ხეებს შევეცქეროდე!

— რა არის, კაცო, შეგშურდა ჩემი აქ ამოსვლა, თუ რა დაგემართა. მოესწრები შენც ამოსვლასა. მეც ხომ ეს არის ახლა ვერევი ქვეყანაში, ჯერ წუთისოფელი არ მომიჭამია. ღმერთმა ააშენოს ჩხართვის ოჯახი, ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორედ ჩვენზე არის. ის რომ არა გვჭამდეს, ჩვენი გვარი დუნიაზე ამოვარდებოდა. მოგეხსენება, რა ღორმუცელაა ის შეჩვენებული, სადაც კი ფითრს ნახავს, იქ დაიბუ-

დებს, აღარ მოეშვება, სანამ სათითაოდ არ გამოჰკენკავს. ჩვენც ძალიან ამტანები ვართ. ჩხართვის მუცლიდანაც კი ბევრი ისევ უვნებელი გამოდის. წავა ჩხართვიც, სადმე ქორფა მსხალზე, ან ვაშლზე მოსკინტლავს, ჩვენებთაგანიც ვინმე გაჰყვება სკინტლში უპირველ-უტკივარი. ძალიან ბედნიერადა გრძნობს იქ თავს. სამშობლოს მოშორებული თავისთვის იწყებს წარმოებას, შეხედავ სამი-ოთხი წლის შემდეგ ერთი უშველებელი გამხდარა, მსხლის ტოტებში მწვანე კორდივით გადაფენილა. გამრავლდება, გაამსებს ტოტებსა და დაიჭერს მთლად ყველა ადგილს. საკვირველი კაი ჯიში გვაქვს!.. ის არის კიდევ საკვირველი, რომ თუ არ ხეზე, თუ არ მზამზარეული საკვებით, ჩვენი გვარი ვერ ხეირობს. თუ სხვას არ ვასხედვართ, დედამიწაზე ჩამოყრილები ერთ დღეს ვეღარა ვცოცხლობთ, რამდენსაც განვიბნევით, იმდენი ვმრავლდებით და ვსუქდებით, ჩვენი სამშობლო იქ არის, სადაც ხეებია. საფითრეთი არსად გამიგონია. ან კი საიდან რა მეცოდინება, სულ ერთი ზამთარია რაც აქ მოვედი. ამ მსხალმა შემიფარა, ბინაც მომცა და საჭმელიც, მეც დავბინავდი და ფესვები მაგრად გავიდგი, სამუდამოდ აქ ვაპირებ დარჩენას. სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს მსხალიც იცოცხლებს და მეც არა გამიჭირდება რა, როცა მე აღარ ვიქნები, ჯანი გავარდეს, ვინც დარჩეს, თავისთავს თვითონ მოუაროს. შენი ჯიში ვიცი, ხავსო, მალე შენც მესტუმრები.

— ძალიან რომ გამრავლდეთ და მსხალი აღარ გეყოთ საწუწნად, მაშინ რაღას იზამთ, ერთმანეთს ხომ ვერ დაჭამთ? — ჰკითხა ცბიერებით ხავსმა.

ფითრი გაჩუმდა, პასუხი არა მიუცია რა.

მსხალს ესმოდა იმათი ხმაურობა, მაგრამ რასა ლაპარაკობდნენ, კი ვერ არჩევდა. ეს ძალად სტუმრები უცხოუცხო ენაზე ლაპარაკობდნენ; ფითრს არ იცნობდა, ხავსი კი გაეგონა და ენახა კიდეც. აგერ, აიმ ბებერ მუხას როგორი ხავსები ეკიდა. ძირზე შავად ჰქონდა ბალანივით შემოდებული და ტოტებზედაც აბლაბუდასავით ჩამოჰკიდოდა მწვანე ფოჩებივით.

* *

თუ სხვა წლით იზრდებოდა, ფითრი დღითა. ღერს ღერი ემატებოდა, ტოტს ტოტი, ფოთოლს ფოთოლი.

გასუქდა, გალაღდა, გაიბარჯღა გაიზარდა; გაშალა შორს თავისი ბჭყალები. ფესვებიდან მომდინარე წვენს წვერებისკენ აღარ უშვებდა,

სწოვდა როგორც ობობა ბუზსა, სწუწნიდა, როგორც ბალღი შაქარსა. ძღებოდა, როგორც სვავი სისხლითა.

მსხალი კი თანდათან იმშეოდა.

ახლა კი მწვავედ იგრძნო მსხალმა ტკივილი იმ ადგილზე, სადაც ფითრი აჯდა. მკამელივით სკამდა და ჰგლეჯდა რაღაცა, სჩხვლეტდა და სწვავდა შანთივითა.

— ვინა ხარ, რა ხარ, რა სულიერი ხარ? აღარ მომშორდები?! — ეკითხებოდა ფითრსა. — თუ სტუმარი ხარ, სტუმრობა ამდენი ხანი არ გაგონილა, სხვებიც იყვნენ ჩემ ქერქქვეშ შემოხიზნულები, მაგრამ წავიდნენ თავის გზაზე, მგონი შენც ისე უნდა ჰქნა. სტუმრის წესი აასრულო. თუ მტერი ხარ, გამაგებინე; გამეცალე, რას ჩამციებიხარ?!

— ხა! ხა! ხა! — გადიხარხარა ფითრმა ისეთი საძაგელი და საზარელი ხმითა და კილოთი, რომელშიაც გამოიხატებოდა მწარე და გულის მომკვლელი დაცინვა. — სად უნდა წავიდეთ, ვერა ჰხედავ, რამდენი ვართ?! ჩვენი სამშობლო ეს არის. აბა გაიხედე აი იმ ტოტებზე!

მსხალს თვალი დარჩა იქით, საითკენაც ფითრი უჩვენებდა. აუარებელ წვრილსა და მსხვილს ფითრს ამოეყოთ თავები მსხლის ტოტების ქერქიდან და დაჯეჯილებულიყვნენ.

დაფიქრდა მსხალი, თითქო ახლა-ღა იგრძნოვო, მთელმა ტანმა დაუწყო ქავილი და ჭამა.

— არ მომშორდებით მაშა, ვიღაცეები მოთრეულხართ ამ ჩემ ტოტებზე! — დაუყვირა მსხალმა. — თქვენი ნებით წადით, თორემ სულ ძირს ჩაგყრით და ირემს შეგაჭმევთ.

ყელმოღერებული ნაიალაღარი ხარირემი ამაყად და მსუბუქად ატრიალებდა მრავალ შტოვან რქებსა. აქა-იქ ჰგლეჯდა და ჰყლაპავდა ხეებიდან ხავსსა. იმ დალოცვილის რქებში არწივი გაიკეთებდა ბუდესა. ბაღს გარს უვლიდა და ხეებსა ჰკორტნიდა. მსხლის ხმაურობაზე თვალი მაღლა დარჩა, იქნება ჩამოყაროს რამეო. ფითრები არხეინად ისხდნენ და ყურსაც არ იბერტყდნენ.

გაბრაზებული მსხალი კი ძირიანად ირყეოდა, უნდოდა მათი ჩამოყრა.

ირემი კი ნაღვლიანად იღიმებოდა.

ფითრი, თითქო ჯიბრზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სწოვდა მსხალსა. ახლა აღარც იმალებოდა და აღარც თავს იკატუნებდა. ისე იყო გასუქებულ-გათამამებული, რომ ყველა გაიგებდა საიდანაც მოჰქონდა საზრდო. ფოცხვერივით აჯდა კისერზე და სწუწნიდა, რაც შეეძლო.

მიდიოდა ხანი და მსხალს უფრო და უფრო უჭირდებოდა საქმე.

ჯერ შუახნისაც არ იყო და ბებერს კი დამსგავსებოდა. დახავსებულ-დაძაბუნებული ქერქი ძონძებივით ეკიდა. ერთი ფრჩხილის ტოლა ნაზარდიც აღარ უჩანდა...

სასოწარკვეთილი, ღონემიხდილი აქეთ-იქით იხედებოდა, ეძებდა მშველელს, არავინ კი შველოდა.

— ქარო! ქარო, — შეევედრა ქარს, — ერთი შენებურად დაუქროლე და ეს ფითრები მომაშორე, ხო ხედავ ვკვდები.

— როგორ მოგაშორო, შე საცოდავო, ძირიან თუ მოგტეხ, თორე? ეგენი შენ არ მოგშორდებიან, აბა რა გიყო, რა გიწამლო?!

— კაცო, შენ მაინც მომაშორე ეს ფითრები, ლამის ზეზეურ ჩამომახმონ, ცოცხალი გამომსუტონ, — ეხვეწებოდა ძროხების პატრონს მსხალი.

— შე დალოცვილო, ჩემთვის ისა სჯობიან, რაც უფრო ბევრი ფითრი ესხმის ტყესა; ჩემს ძროხებს ძალიან უყვართ და ძალიანაც ასუქებს. — უპასუხა მწყემსმა.

აღარავინ იყო მშველელი, აღარავინ!

• •

ზამთარია. ქარი ჰქრის, თოვლსა ჰყრის, ზუის და წუწუნებს. დატიტვლებულ-დაშიშვლებული ხეები ქარის ქრონლაზე ბუზზებივით ბზუიან და ნადირივით ღმუიან. დახედე სიცივეს, უენოსაც კი აკვნესებს! აღარსად არა ჩანს სიცოცხლის ნიშანი. მწვანე ფოთლების მაგივრად თოვლი დაჰყინვია, ბარდანი დასდებია ხეებსა. ზაფხულის მომღერლების მაგივრად ქარი შემოჰღმუის. სიცივისაგან დაფიჩხებული ტოტები კანკალებენ და ცახცახებენ. გაყინულ-გაქვავებული ვეღარ უძლებს ქარის მოწოლას, ტყდება და პარტყაპურტყით მოაჩახუნებს ძირსა. ყველა შეუშინებია და შეუძრწუნებია ზამთრის სუსხსა. მხოლოდ ბაიბუათაც არ იგდებს ფითრი. ის ახლა მწიფს და ნაყოფიერდება. ნახევრად დამტვრეულ-დაძაბუნებულ მსხალს ქორის ბუდეებივით ასხმია და მწვანედ ხასხასი გააქვს. მარტო ისა ხარობს და ლხინობს. იმისთვის არც სიცივეა, არც ზამთარი, არც მიწა გაეყინება, არც წყალი დაუშრება.

ამდენი უზარმაზარი ხეები საცოდავად შესტირიან მოღუშულ ცას! ფითრი კი აზის ზურგზე მსხალს და დღე და ღამე სწოვს და სწუწნის.

ჰაი, ჰაი, ფითრო, აღარ გახსოვს ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ როგორი იყავი, როცა მსხალს თავშესაფარს სთხოვდი. ახლა კი მსხალმა შენ უნდა გთხოვოს, რომ სიცოცხლე აჩუქო იმ საბრალოსა!

აღარც ქარი გაშინებს, ისიც შენ გემსახურება. ქარსა და ჩხართვს მრავალად გააქვს შენი თესლი და ირგვლივ ხეებზე ჰდებს. სად არ მოუკალათნია ფითრსა, სად არ აცოცებულა და არ გამოქიმულა!

მსხალზე, ვაშლზე, თელაზე, იფნაზე, რცხილაზე, მურყანზე, კაკალზედაც კი აქა-იქ ამომძვრალა, თხილზე, ნაკერჩხალზე, ვერხვზე. მუხის ტოტებშიაც კი ამოუყვია თავი. სად არ არის, სად არ გაჩენილა! მაგრამ ისე კი ვერსად მოუკიდნია ფესვი და გამრავლებულა, როგორც მსხალზე. იმის ნაზი ქერქიდან უფრო ადვილად და გაუჭირებლად სწუწნიდა საზრდოსა, ვიდრე მუხის გაქვავებულ-გაშეშებულ ქერქიდან, არც დიდი დღე აქვს მუხაზე ამოსულსა. ცოტა ხანს იღონღიალებს, მორჩება მერე და მოისპობა, აგრეთვე კაკალზე. ბრალი მსხლისა!

• •

გავიდა ხანი. კოხტა თავმომწონე მსხალი უდროოდ დაბერდა, ასი წლის ბებერივით მოიკაკვა, დახავსდა, დაიღმიჭა, დაეღრიჯა ქერქი, დაუსკდა ტანი. ტოტები დაუკოპიტდა, ზოგი დაემტვრა, ზოგიც ნახევრად ხმელი აქა-იქ ღა გაეშვირა. საცოდავი შესახედი იყო!

ვაი შენი ბრალი, შე საწყალო! ხილს შენ აღარ ისხამ და შტო შენ აღარ გეზრდება!

წლის ნაზარდი სრულებით აღარა ჰქონდა. სულ უკან-უკან მიდიოდა.

— რა დაემართა ამ მსხალსა! — იძახდა პატრონი. — სანამ პატარა იყო, მსხმოიარობით ტოტები ემტვრეოდა, იმის ხილი პირში დნებოდა. ახლა კი მაგის ქეციან ნაყოფზე კაცს შესახედავადაც აღარ მიუვა გული.

— უნდა მოვჭრა, მეტი ღონე არ არის, ტყუილად ადგილსა ჰსაფრავს, მართალია ცოდოა, არ არის გასამეტი, მაგრამ რა ვქნა, მაგის ადგილზე ახლა სხვას დავრგავ, რათ მოვაცდინო ადგილიო. — ენანებოდა პატრონს, არ უნდოდა იმისი ჯიშის გაწყვეტა, მერე იმისთანა იყო ის ძირკურთხეული, რომ მთელს იმ არემარეში იმაზე კარგი აღარა იყორა.

— რას უვლი, ფიდონ, მაგ მსხალსა, რა ცული დაგიჭერია, რას შესცქერიხარ, შეშა ხომ არ შემოგელია და ხმელი ტოტების შერთმევას უპირებ? — დაეკითხა გზაზე მიმავალი მეზობელი მსხლის პატრონს ფი-

დონას, რომელიც ხელცულიანი მსხალს შესტრიალებდა, უვლიდა აქეთ-იქით, და არც ემეტებოდა მოსაჭრელად.

— რას ამბობ, კაცო, რის ხმელი ტოტები, მინდა ძირიანად მოვჭრა და მოვიშორო, მინდა ამის ადგილზე ახლა სხვა დავრგო. რა ხანია შევ-ცქერივარ, აღარაფერს ისხამს, მომატების მაგივრად ამან სულ უკლო და ახლა თითო ოროლასღა იბამს და იმასაც პანტასავით. ბარემ მოსაჭ-რელი ხილი არ არის, ამისთანა ჯიშის მსხალი არსად მეგულება. ვინც კი გემოთ ნახა, ყველამ წაიღო სამყნობი ტოტები, ალბათ, ბარაქა და იღბალი თუ გაჰყვა სადმე, აღარ ვიცი, ღმერთმანი, რამ გადააგვარა ამისთანა ბედაური მსხალი!

— კაცო და ეს ფითრი რო შესხმია, რატომ არ უპატრონე, მაგაზე მეტად რა აფუჭებს ხეხილსა? ვისაც კი თავის ხეხილი უყვარს და ეზო-გება, განა ფითრს დააყენებს ხეებზე? მოაშორე, არ იქნება, ისევ არ გა-მობრუნდეს, — ურჩია მეზობელმა.

— როგორ მოვაშორო, ერთი მოვგლიჯო, იმის ადგილზე სხვა ამოვა, — უთხრა ფიდონამ, — რა ეშველება, რა ვუყო?

— გადაკაფე დაზიანებული ფითრიანი ტოტები, სხვა ნორჩს აიყრის და გადახალისდება. ისევ ისეთ ხილს მოისხამს, როგორც წინათ, — ურჩია მეზობელმა.

— შენს პირს შაქარი, თუ კი მაგის მეტი არა უნდა რა. გადაკაფვა რა დიდი საქმეა, თუ კი ისევ აიყრის. ვაი თუ გახმეს და აღარა აიყაროს-რა. რა მომაგონებდა, ძმაო, თუ ფითრს მაგოდენა ნავნების მოტანა შაეძლო.

— ვაი, შენ ჩემო თავო! — წამოიძახა გაბრაზებულმა მეზობელმა — მოიტა აქ ე ცული, თუ შენ არ იცი, როგორ მოიქცე!

კაპ! კაპ! კაპ! კაპ! — მოისმოდა ცოტა ხანს შემდეგ ფიდონას ბაღი-დან ცულის ხმაურობა.

მსხალს შიშით და ელდით თავისი დაემართა. ღაპაღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა.

კაპ, კაპ, კაპ, კაპ, — ისმოდა ცულის კაკუნი, თან მოჭრილი ტოტე-ბის ჭრიალი და ბარტყუნი.

ოჰ, რა შეშინებული იყო მსხალი! რა ტკივილსა გრძნობდა, თითო ცულის დაკვრაზე თითო ლიტრა ხორცი ადნებოდა.

ტოტებს რო ჭრა და მორვა დაუწყეს, იმას კინაღამ სული ამოხდა.

„ახლა კი დაითვალა ჩემი დღეებიო, — ფიქრობდა მსხალი, — აღა-რაფერი მიხსნის!“

დახუჭა თვალები, თითქო არ უნდა სიკვდილის თვალით დანახვაო. თავისთავი მკვდრად მიაჩნდა.

მაგრამ აგერ-აგერ ძირიდან, მიწის ჯურღმულიდან რაღაცა ხმაურობა და დუდუნი მოესმა, რომელსაც თანდათან უფრო და უფრო არკვევდა.

— ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ, არ მოკვდებით, ჩვენამდე ჯერ სიკვდილს არ მოულწევია, სასოებას ნუ ჰკარგავთ.

იძახოდნენ თურმე ფესვები, ისინი ისევ ღონიერი, მძლავრი, მრავალნი, უთვალავნი იყვნენ, თავისთვის ჩუმად ბნელს, უმზეო, თვალჩაუხედველ უკუნში მიმალულ-მიჩქმალულნი, მსხალს ახალ-ახალი ტოტებისთვის უხვ საკმელ-საზრდოს უმზადებდნენ და აწვდიდნენ.

* *

სამს წელს შემდეგ მომიხდა ჩამოვლა იმ სოფელზე. ფიდონას ხუთი ექვსი ბალღი სიამოვნებით შეცქეროდნენ ქარვასავით ყვითელ დაშაქრებულ მსხლებს: ან ახლა ჩამოვარდება, შევჭამოთ, ან ახლაო.

სვავი

დიდი ხანია რაც ის აქ მოვიდა და მაღლა, მწირსა და ყინულიან მთაში დაბინავდა. განა სიცხის ეშინოდა, ან მთა უყვარდა, ან ყინულებს შესტრფოდა და იმიტომ დასახლდა აქა? სრულებითაც არა! ბარში აღარ დააყენეს, შიმშილით სიკვდილს ისევ თოვლიან მთაში არჩია შეხიზნვა; თუ ბევრი არ იქნება, ცოტას ხომ მაინც ვიშოვი საკმელსაო. მეცხვარეებისაგან არ იქნება არა მერგოს რაო. მგელი მოიტაცებს რასმე, ძვალი მაინც დამრჩება, კლდეზე დაიჩეხება რამე, ხო ჩემი ლუკმა იქნებაო.

მართლაც და ძალიან გამხდარი იყო. სქელ ძვლებზე მარტო ლურჯი კანილა ეკრა.

რა იკერდა, ღმერთმანი, იმ სისხო ფრთებს და ბუმბულს ცარიელა ტყავში?!..

ერთი ბუმბულისთვის რო გამოგეწია, ასე გეგონებოდა, მთელი კანი აეყარაო.

ან კი რა გაასუქებდა, — იმისი მუცელი განა მაგრე ადვილად ამოიყორებოდა?!

თბილი სისხლი უყვარდა და რბილი ხორცი, ის იყო სვავის აღდგომა.

მაგრამ სად იყო რბილი ხორცი?!.

კურდღელი მარდი იყო, იმას არ ჩაუვარდებოდა ხელში; როჭო და კაკაბი ფრთხილები იყვნენ, საამისოდ არ გახდებოდნენ; მწყემსი ძუნწი იყო, სვავისთვის არაფერს გაიმეტებდა.

მგელი იმაზე უარესი ხარბი და გაუმაძღარი იყო, საშოვარი თვითონაც არა ჰყოფნიდა, ნახევარზე მშიერი მუცლით დალაწლაწებდა.

თვითონ სვავი კი მშიშარა იყო, ან არწივთან უნდა ებრძოლა და ნადავლში წილი ჩაედო, ან ლეშზე გაბოტიტნებულ ჯაჯირს მიჰხტომოდა და თვითონაც ეთქვლიფა დამპალი ლეში, ან შავარდენს შესცილებოდა გემრიელ კაკბის ლუკმასა.

რა ექნა, რით გამაძღარიყო, რით უნდა გასუქებულიყო. მეტი ღონე არ იყო, რაკი ჯერ ძალით ვერას გახდებოდა, უნდა დრომდე ეთმინა. ითმენდა სვავიც, როგორც ის კლდეები ითმენდნენ შავ მთაში დგომას, სადაც სვავი ბუდობდა, და ძირს არ იმზღვლეოდნენ; ითმენდა და ზვავ-ყინულების ძღვნითა კმაყოფილდებოდა.

• •

გადიოდა დღეები, თვეები, წლები. წყლის ნაკადულივით გაუწყვეტლად მიჰქანაობდა დრო-ჟამი.

შეეჩვია სვავიც თოვლიან მთასა. სადღა ახსოვდა ბარი. რო ეკითხნა ვისმე: — საიდან მოხველ, სადაური ხარო, გაკვირვებით დაიწყებდა ცქერას:

— რასა მკითხავ, არ იცი, რომ მთის შვილი ვარ, ამ კლდეებსა და ყინულებში გავჩნდი და გავიზარდეო. თუმცა არწივისათვის არა წაურთმევია რა, საშავარდნე კლდესაც შიშით ახლო ვერ გაუვლიდა ხოლმე.

ერთხელ შავარდნების ბუდის ახლო მოუნდა გავლა. დაუხულუზნეს (დაუქროლეს) შავარდნებმა, ჰკრეს კლანჭები; ერთი წივილი და მხრების ტყლაშა-ტყლუში იდგა. საცოდავი სვავი ხან მხრებს უფარებდა, ხან ზურგზე გადატრიალდებოდა და თავის ბოკო კლანჭებს მიაგებებდა მოტეებულ შავარდენს. მაგრამ ამ დროს ძირიდან ახლა სხვა შეუტევდა და ისევ გადმობრუნება დასჭირდებოდა. რის ვაი-ვაგლახით გააბწევდა ხოლმე.

— ოხრად კი გახდეს! ამაზე რაღა გამომატარებს, შიმშილითაც რომ ვკვდებოდეო, — იტყოდა ხოლმე.

ძალიან მიყვარს, როცა ცხვრის ფარები რთვილივით დაედება მთების კალთებსა. მეცხვარეც ხომ თავის თვალისჩინივით უფრთხილდება, შესტრფის და შეჰხარის თავის დუმასქელ ერკემლებსა. მაგრამ ყველაზე მეტად კი სვავს უხაროდა ხოლმე იმათი მთებზე ამოსვლა. სიხარულით

თვალები გოდრებივით დაუხდებოდა. ოჯდა კლდის თავზე, ან არყის წვერებში და სიამოვნებით იქექებოდა, თან ხარბის თვალით მწყემსსა და იმის სამწყსოს გასცქეროდა: ან დავარდნილი ცხვარი ხომ არსად დარჩა, ან ყეყეჩი ბატკანი არ ასხლტა ფარასაო.

თუ სადმე ყორნების ყრანტალი შემოესმოდა, ან ფრინველების ბოინს შენიშნავდა, რომ ერთ ადგილს ეთელებოდნენ, სვავიც მხრების ტყლაშა-ტყლუშით იქითკენ მიეშურებოდა, არ იქნებოდა არა რგებოდარა.

იმისი თვალი ძალიან, ძალიან შორს ჰხედავდა. გაღმა-გამოღმა მთებში, ძირს კიდევ ხევხუვებში არა გამოეპარებოდა რა. დაჯდომის დროს მუდამ მაღლობ ადგილს რჩეობდა, თუ ფრინავდა, მაღლა-მაღლა ადიოდა და იქიდან ათვალიერებდა.

ხალხი კი იძახოდა: სუნი იცის სვავმა, მაშინვე გაიგებს, სადაც ლეში გაჩნდებაო.

გაიგებდა ხოლმე კიდეც, თუ შეჰხვდებოდა, ერთი ბარაქიანადაც მიაძღებოდა. შეეჩვია სვავი მთასა და მთის მცხოვრებთა. იმის ფიქრით, მწყემსი იმიტომ იყო გაჩენილი, რომ სვავისთვის ცხვრები დაეზარდნა; მგელიც იმიტომ ნადირობდა, რომ იმისთვის საჭმელი ლეში გაეჩინა; ყორნები კიდევ იმისი ჯაშუშები იყვნენ. შეეჩვია ყველა ამათ სვავი. ყველას თავის სასარგებლოდ იყენებდა. გაგულადდა, თან ამაყი, გულზვავი და თავმომწონე გახდა. მკვდარ ლეშს აღარა სჯერდებოდა, ცოცხალ ცხვრებსა და ბატკნებსაც დაუწყო ტანება.

• •

წვიმიანი და ნისლიანი დღე იყო. ორი დღის მშიერი სვავი წვიმისაგან შეწუხებული და შიმშილით დაყმენდილი ხმელ ძვლებს ხრავდა და ჰგლეჯდა ძაღლივითა, მაგრამ თითო ციცქნა ხმელი ძარღვის ნაგლეჯი იმის მუცელს რას ამოჰყორავდა.

— მზე მაინც გამოვიდეს, შევშრე ცოტა. რა ოხერი ნისლიანი ბურუსიანია ეს მთა ,რა იშვიათია აქ მოკრიალებული ცა. — იძახდა სვავი, ვითომ მზესა ნატრობდა, მაგრამ თან ფიქრი სხვაგან მიურბოდა.

— არა, არა! მზე რათ მინდა, მე მოკრიალე ცა ვერ გამაძღობს, ისევ ჯანღიან-ბურუსიანი, მოტირალ-ჩამოშავებული დღე მირჩევნია. საშოვარი ამისთანა დღეში იშოვება. დარში და მზეში ყველა თავისთავს უპატრონებს.

რაზე კვდები მშიერი, შე ბრიყვო ჩემო თავო, ადექ, მეცხვარე ხო ფარეხში ვერ დააძღობს ცხვარსა, არ უნდა აძოვოს?!

ადგა სვავი, გაიზმორა, შეიბერტყა შავი მხრები და ცხვრების ფარის მუქარაზე წავიდა.

მეცხვარესაც ნამ-წვიმისაგან დაზუზული ცხვარი ლიქყიან მთის კალთებზე გაეშალა. თვითონაც ნაბადწამოსხმული, ყაბალახჩამობურვილი კომბალს დაჰყრდნობოდა და თვალს ადევნებდა ცხვარსა. ცხვრის ფარა ზვავივით მიჰქანაობდა, ხან აღმა მიცურავდა, ხან დაღმა დაეშვებოდა, ხან ხევხუვის პირებს მოსდევდა, კლდეებში და ბექობში ებღოტებოდა.

უცებ კლდიდან მოწყვეტილი ქვა ერთ ცხვარს მოხვდა და იქვე გადაავორა.

ფარა გასცდა. ვერც მწყემსმა და ვერც ცხვრის ფარამ ერთი ცხვრის დაკლება ვერ გაიგეს.

ქვისგან დაქექილ-დამტვრეული ცხვარიც ფორთხავდა, ის იკლაკნებოდა, უნდოდა ფეხზე წამოდგომა, რის ვაი-ვაგლახით წინა მხრებს აიწევდა, უკანას ვეღარ აიტანდა და ახლა ისევ გულაღმა გადაყირავდებოდა. კარგა ხანი ეგდო ასე ოხრად და ტიალად. ახლო მდგომი ბალახები სულ გაჰქელა, ქვები ტალახითა და სისხლით მოსვარა.

ამ დროს მშიერი სვავიც გამოჩნდა. ასლი საიმისო იყო! კარგა ხანს დაჰფრაშფრაშებდა თავის მსხვერპლსა. ხან სულ ზედ გაეხახუნებოდა, ხან ვითომ იქვე დაეპირებდა დაჯდომას, მაგრამ არა ჯდებოდა კი; ამ დროს ის გარემოსა ჰზვერავდა და ათვალიერებდა: ან ჩასაფრებული არავინ იყოს, ან ბადე არ იყოს დაგებულიო. რაკი საშიში არა ჩანდა რა, მიბედა და პირდაპირ ცხვრის თვალებწინ დაჯდა, დაზვერა, ადვილად დაიმორჩილებდა თუ ბრძოლა მოუნდებოდა, მაგრამ რა წინააღმდეგობას გაუწევდა სულთმობრძავი ცხვარი. საცოდავი სვავის კლანჭებში მარტო ბორგავდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა და აწყვეტდა თავს.

სვავიც ჯერ თვალებს ეტანებოდა, პირველად ამათი ამოჩიჩქნა უნდოდა. საზარელი იყო იმათი ბრძოლა, — დამარცხებული, სულთმობრძავი სვავის კლანჭებში ლევდა უკანასკნელ სიცოცხლის წუთსა, გამარჯვებული სისხლისმსმელი ზედ იყო გადალაჯებული, გლეჯდა და თან ფრთების ბოლოს აბერტყებდა ზედ. გაბოტიტნებული სვავი გლეჯდა და ბღლეძდა, ძვალს, ტყავს, ხორცს ერთნაირად ყლაპავდა. ნახევარი კიდეც ჰქონდა გამოხრული, რომ ცხვარმა მაშინღა დალია სული. გაძღა სვავი, გაილექა თბილი სისხლით, აფრინდა იქიდან და იქვე შორიახლო, ძირს გადაკიდებულ ერთ კლდეზე დაჯდა და დაიწყო ქექა. იქექებოდა, თან ნისკარტს იწმენდდა და ფრთა-ბუმბულს ისწორებდა. დასვენებულმა მძიმე-ნძიმედ, ყვინტ-ყვინტით გასწია სასვაოსკენ.

რა შურით შესცქეროდნენ სხვა სვავები ამ სისხლითმთვრალსა, ზოგს გულიც ეღრინებოდა, მაგრამ ვინ რას გაუბედავდა, ზოგი შიშით, ზოგი იმ იმედით, იქნება დანარჩენიდან მეც მარგუნოს რამეო.

მეორე დღეს პატრონმა მატყლის ნაფლეთები და წელების ნაგლეჯებიღა იპოვნა თავის ცხვრისა.

• •

ვინ იცის რამდენმა ხანმა გაიარა ამას შემდეგ. გაონავრებულმა სვავმა მრავალი ცხვარი და ბატკანი გაგლეჯა, ბევრი ბედაური ცხენის გავა გამოხრა. სუყველაფერს ინელებდა იმისი კუჭი. ძალიან გადიდგულდა, ასე ფიქრობდა: მთასა ვარ, ფეხი ბარს მიდგა, ჩემია მთელი ქვეყანაო. არავისათვის იყო იმისი გამოჩენა სასიამოვნო, მეცხვარემ იცოდა, რომ თუ ფარას სვავი დასტრიალებდა, უეჭველად გაჰგლეჯდა რასმე. არც სხვა სულიერნი ხარობდნენ იმის გამოჩენას, იცოდნენ იმის ამბავი.

სვავისათვის კი სულ ერთი იყო, ვინ რასა ფიქრობდა, ის ყველაფრით კმაყოფილი და გულგრილი იყო. თავისთავი ყველას ბატონად მიაჩნდა. ეგონა უიმისოდ ქვეყანაზე არა გარიგდებოდა რა. უკვირდა სადაც მე ვარ, იქ სხვა ფრიზველ-ნადირნი რითღა საზრდოობენო.

მხოლოდ ერთი დარდი და შიში ჰქონდა შავ სვავსა, ის უფრთხობდა ძილსა და მოსვენებას უკარგავდა. რაც უნდა კაი გუნებაზე ყოფილიყო და კაი საშოვარიც ჰქონოდა, როცა არწივის ყეფა იმის ყურამდე მიაღწევდა, მაშინვე მხრები უდუნდებოდა, გული დაუწყებდა კანკალსა და აფორთქლებული გაეშურებოდა სასვაო კლდისაკენ. იქ იყო იმისი ბინა. სვავის უძღებ მადას კიდეე არწივის შიში უდებდა საზღვარსა, თორემ მთელ ქვეყანას აიკლებდა. როცა არწივის კვილისაგან დამფრთხალ-დაფორიაქებული სვავი მიაღწევდა თავის თოვლიან-ყინულიან კლდემდე და თავს კლდის ყბაში დაიგულებდა, მაშინ კი გული ეძლეოდა და სიბრაზით ამღვრეული, სისხლიანი თვალებით მუქარას უთვლიდა ფრინველთა მეფეს.

— ან მე უნდა ვიყო ამ მთებში ბატონი, ან შენ, არწივო! ორივეს აქ ბინა არა გვაქვს. ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს, ვის დარჩეს ბატონობა, ან ვინ უნდა გაერთხოს დედამიწაზეო. მართლაც და ამ ორ ქვეყნისმპყრობელ ბუმბერაზების ბრძოლა სანახავი იქნებოდა, ვინც კი მოესწრებოდა. მაგრამ ერთ-ერთი ამ ბუმბერაზთაგანი ისტორიამ და დროთა-ბრუნვის საიდუმლომ მოსპო უომრად და სისხლის დაუღვრელად, თუმცა ერთ-ერთის სისხლი კი დაიქცა.

საძაგელი წელიწადი იყო ხალხისათვის. შეშინებული ბარი მთისკენ გარბოდა და ზარდაცემულნი მთის მცხოვრებნი კიდევ ცაში თუ აებღოტებოდნენ, თორემ სხვა საშველი აღარ იყო. ჭირი იყო მთასა და ბარს მოდებული და საქონელს მუსრს ავლებდა.

აღარავინ იყო მშველელი. შვილის დარი ხარები უპატრონოდ იხოცებოდნენ სადაც მოხვდებოდათ: ბინები, ბაკები, გზები, ხევები სულ სავსე იყო საქონლის ლეშით. გაზიდვასა და გადაგორებას ძლივსღა ასწრებდნენ. ისევ ისე გაუტყავებელს ყრიდნენ ხევებში. ბევრი ხელაღებით თავს ანებებდა საქონლით სავსე ბაკებს და ისე ღვთის ანაბარას უშვებდა. რაც იხოცებოდა, ხო იხოცებოდა, რაც ცოცხალი გადარჩენილიყო — ისინიც უპატრონოდ ნაბინავრებში და ბაკებში დალასლასებდნენ შიმშილით მიხრწნეულები, თავს დაჰბრუნავდნენ დახოცილ ამხანაგებს, ბუბუნებდნენ და ღრიალებდნენ ნასისხლარებზე. არ იყო მთა, არ იყო ხევი და ღელე, რომ საქონლის ლეშით არა ყოფილიყო სავსე. ტყე და მინდორი ნადირითა და ფრინველით აივსო. ნამდვილი ყურთაგლეჯა იყო, ოხერ უპატრონო ლეშზე და საქონელზე ნადირთა და ფრინველთ ჰქონდათ გაზიდულობა და ლხინ-ქორწილი.

სად იყო სვავი? რას აკეთებდა? არა ძღებოდა ლეშითა?

იქ იყო ისიცა და მრავალუთვალავნი სხვანიც, იმის მოდგმისანი. უპატრონო ლეშით ძღებოდა და ილექებოდა სვავთა გუნდი და ყორნების შავი ლაშქარი.

ოჰ, რა საზარელი იყო, როცა ახლადმოჯარებული სვავები, ორბები, ყაჯირები, ყორნები, ყველიერები და ყვავ-კაჭკაჭები ლეშის ახლო ხეებზე ჩარიგდებოდნენ და ელოდნენ, რომ როცა ლეში მოიცლიდა იმათთვის, დასცემოდნენ და ეთქვლიფათ.

დაგეშებული წელამდე სისხლითმოსვრილი ძაღლები შიგა ძვრებოდნენ გამოფაშვულ საქონლის ღრუში და ზედ დამსხდარ სვავებსა და ყორნებს უღრენდნენ და ერეკებოდნენ, სანამ თავის მუცლებს არ გაიძღობდნენ; მერე კი დამაძღრები ამოდიოდნენ ხევიდან და მწვანე მინდორზე გორავდნენ სისხლით გალექებულები.

სად იყო შავი სვავი? ხომ არა ჰშიოდა?

განა დაუშლიდა ვინმე იმას ლეშზე მისვლასა? რა ენაღვლებოდა იმას ძაღლების ღრენა და ყაჯირების ქშენა. იჯდა ერთ მთასავით ხარზე და თავის რკინის ნისკარტით გლეჯდა და ყლაპავდა ლეშსა.

გაუმაძღარი ყლაპვას ვერც კი ასწრებდა, ისე ხარბად თქვლეფდა, ლუკმა-ლუკმას ეწეოდა, ეტენებოდა ყრანჭა და მერე იგრძელებდა სვავიც კისერს, რომ ლუკმას ხალვათად ჩაევლო ყელში და ახლა სხვისთვის

დაეთმო ადგილი. ასე ყლაპავდა მთელი დღე და საკვირველი ის იყო, სად მიდიოდა იმოდენა ნაჭამი, რა მუცელი იტევდა?!

მზეც გადიწვერა, დაძღნენ სვავები და გაფრინდნენ, ყორნებიც, ყაჯირიც, ყველიერებიც, ყველა გალექებულ-გამძღარი თავის ბინისაკენ მიეშურებოდა.

სცადა შავმა სვავმაც გაფრენა. რაკი ბინდი ახლოვდებოდა და ახლა მგლებისათვის უნდა დაეთმოთ სუფრა; ეცადა აფრენას, დაიკაკვა მუხლებში, მხრები ღონიერად დაიქნია ჰაერში, მაგრამ მუცელი აღარ აჰყვა, ჰაერმა ვეღარ ასწია, ძალიან დამძიმებულიყო. იმოტენა ნაჭამი იმის მხრებმა ვეღარ დასძრა. გადმოვიდა სვავი ლეშიდან, ახლა გაქცევითა სცადა გაფრენა. გაიქცა, გაიქცა და მერე ჰაერში შეხტა, მაგრამ მხრებმა ვერ დაიმაგრეს და ძირს გაიშხლართა.

მერე მაღლა ბექობის თავზე აფოფხდა, იფიქრა: რაკი მაღლიდან გადმოვეშვები და ჰაერში მოვექცევი, მერე გავიმართებიო. მართლა გადმოხტა, მაგრამ ვერც აქ დაიმაგრეს მხრებმა, ძირს ტყლაპა მოსძვრა და კუნძივით გაგორდა. კინაღამ დაიმსხვრა და დაილეწა.

რაღა ექნა, მეტად ავგუნებაზე დადგა და დაუწყო თავის მუცელს ლანძღვა და გინება. ამ დროს დაბინდდა კიდეც. სვავი აპირებდა სადმე შეძრომას და თავის მოფარებას, რომ ამ დროს ორი მარჯვე ბიჭი კომბლებით და თოფებით გაემართნენ ხევისკენ, სადაც სვავი იყო, მგლების ჩასასაფრებლად. საჩქაროდ ჩამოირბინეს ხევში და პირქარისკენ აპირებდნენ ჩასაფრებას, რომ შავად რაღაც გამოჩნდა ლეშზე.

— ბიჭო, ფრთხილად იყავი, მგონი მგელი მოსულა ლეშზე. ვერ უყურებ მაგათ გათამამებას, ჯერ არც კი დაღამებულა და ესენი ახლავე მოსულან, ლამის ქოხებშიაც შემოგვიცვივდნენ.

— დაიცა, პაპუავ, მარჯვედ მივიდეთ, ვეღარსად წაგვივა, ერთი უტყუპოთ ორივავ ერთათა!

პაპუა და სოსია მუხლისკვერებით მიფოფხდნენ ლეშის ახლო ისე, რომ გაარჩევდა კაცი, რაც იყო: ნადირი იყო თუ ფრინველი.

— დაიცა, სოსიავ, ეგ ვერანა მგელი არა ჩანს, მგონი სხვა რაღაც არის.

— რაღა სხვა, სვავია კაცო, გამაძღარა და ვეღარ გაფრენილა, თორემ ამ დრომდე მაგას აქ რაღა დააყენებდა.

— თოფის სროლა არ იქნება, ხმაზე ნადირი დაფრთხება, მგლები აღარ მოვლენ ამაღამ. მოდი და კომბლებით გადვუხტეთ, ვიცი ვეღარსად წაგვივა, ჩვენი წერაა, ერთი ამოვაშხამოთ ჩვენი საქონლის ლეში!

სოსიამ და პაპუამ მიყარეს იქვე თოფები და კომბლებით ჩაეტივნენ სვავს.

ცოტა ხანს შემდეგ ხევ-ხევ ქვების რახარუხი, ქვიშის ჩხრიალი და კომბლების ტყაპატყუპი ისმოდა.

შიშით გულგახეთქილი სვავი ბარემ ისარივით მიქროლავდა თავდაღმართზე, მაგრამ კომბლიან ბიჭებს ველარსად წაუვიდა!

წელმოწყვეტილი და მხრებდამტვრეული თავის მკვლელებს მარტოღა უქშენდა, მაგრამ იმითი იმათ რას შეაშინებდა.!

შავი სვავის ფრთებისა ქალებმა სანემსეები დააკეთეს, ბიჭებმა ისრები და მესტვირემ ლერწმები აჰყარა თავის სტვირისათვის.

ᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

I

გაზაფხული იყო. სიცოცხლის მომცემ მზეს ათასფერად აეყვავებინა დედამიწა. ათასფერი ყვავილი ეგებებოდა გაზაფხულს; იაც გაშლილიყო და თრთოლვით, კანკალით მოელოდა ყოველ დღეს. იას ძალიან ეშინოდა, არ ვიცი კი, რა აშინებდა: მოკლე სიცოცხლე თუ სხვა რამე. ქარი დაჰბერავდა თუ წვიმის ნამები წამოვიდოდნენ ღაპაღუპით, იას გული უსკდებოდა, — ან ქარი მომწყვეტს და გადამაგდებს კლდეზეო, ან ნამები გადამტეხენ ღეროში და გამომასალმებენ წუთისოფელსაო. სიცივე და სიცხე ერთნაირად შიშით ააერეოლებდნენ ხოლმე საბრალო იას.

ია მალ-მალ ამოეფარებოდა ბუერისა და ძირხვენის ფოთლებს, რომ თავი აერიდა მზის დამწველ სხივებისთვის და არ დასცვივნოდა ფოთლები. სიცივის დროს შეიხრიდა ფოთლებს, თითქოს გულხელი დაუკრეფია, რომ სიცივე არ შეჰხებიყო იმის ნაზს მკერდს და არ დაეზრო.

დილაობით ნამები შეგროვდებოდნენ იის ფოთლებზე, მზე ამოვიდოდა, ჩაუხტებოდა მზის სხივი ნამებს, და ერთი ბეწო ტურფა ცისარტყელა გადაერტყმოდა იას წელზედ. იმას მიემატებოდა იისფერი და უფრო დამშვენდებოდნენ მისი ფოთლები.

იის გარშემო ბევრი ყვავილი და ბალახი იყო ამოსული. ათასგვარი ჭია და მწერი დაძვრებოდა იმის ახლოს. ბუზი, კრაზანა, კელა, ბაურა, პეპელა — ათასობით მოდიოდნენ და ასხდებოდნენ იას. ყველა ამათ ისა სურდათ, რომ ამოეწუწნათ გულიდან, რაც კი სიცოცხლე და სუნელება ებადა იას. გულს უკლავდა იას იმათი ასეთი შეუბრალებლობა, მაგრამ რა ექნა!

ია დიდხანს იყო მარტოდმარტო. თავის გულის წადილს ვერავის უზიარებდა. მხოლოდ ზოგჯერ ნიავი თუ წაიღებდა იმის კვნესას და

მოჰფენდა ყვავილთ სამეფოში. ესმა მინდორთ დედოფალს იის სევდა, მისი ნაღველი, მისი სიმარტოვე, შეებრალა და გამოუგზავნა მეგობრად პატარა ყვავილი — კესანე.

კესანე ტურფა რამ იყო. მინდორთ დედოფლისაგან მიცემული ცისფერი აბრეშუმის კაბა ზედ აკვდებოდა. ყველას ჰშურდა იმისი სიტურფე, ყველას ენატრებოდა კესანეს სინაზე, იას გარდა: იას ხუთი სოსანი აბრეშუმის კაბა ეცვა და ყელზე მარგალიტის ღარადე ჰქონდა შემოვლებული.

კესანე და ია ტკბილი მეზობლები იყვნენ. დაჰბერავდა ნიავი და მიახლიდა მეგობრებს ერთმანეთს. ისინიც გადაიჭდევდნენ ყელზე ყელს და სტკბებოდნენ სიყვარულით; მოჰყვებოდნენ ტკბილად ჭუკჭუკს, მაგრამ კაცის ყური კი ძალიან ძვირად გაიგონებდა ამათ ლაპარაკს.

II

იამ შენიშნა, რომ იმის ახლოს ხშირად მოფრინდება ხოლმე ერთი ჩიტი და ბუზებს იქერს. იამ ეს ამბავი კესანეს შეატყობინა.

— მეშინიანო, — უთხრა მეგობარს: რომ იმ ორფეხა ცხოველმა არაფერი მავნოს; სულ ჩემს ახლოს დაფრინავსო.

— ნუ გეშინიან, ჩემო ტურფავ, შენთან რო ბუზებია, იმათ იქერს! კიდეც უნდა გვიხაროდეს, რომ მაგ სისხლისმსმელებს გვაცლიან; იმათ ჩვენგან სხვა არაფერი არა ჰსურთ!

— მე კი გული რაღაც უბედურებას მიქადის, — სთქვა იამ: ეგ ან გამქყლეტს და ან ერთ რასმე დამმართებს!

— რა მშიშარა ხარ! — უთხრა კესანემ იას, როდესაც ბუზისაგან შეშინებული ია კანკალით მიეკრა კესანეს, — ძალიან ძვირად თუ გიღირს სიცოცხლე!

იას ტყუილად არ ეშინოდა. იმის ახლო ათასნაირი ბუზი ირეოდა. ბუზებზე ჩიტები ნადირობდნენ და ჩიტებზე ალალი. ია ირგვლივ მარტო ერთმანეთის ჭამა-გლეჯას ჰხედავდა; ვინც ვის მოერეოდა, ჰკლავდა და სჭამდა.

ია ამ დარდსა და ფიქრში იყო, და დრო კი მირბოდა...

დილა იყო. მზეს ის იყო ამოეყო ყური. დედამიწა შეთბა; ნამი აშრა და ათასგვარი მწერი დატრიალდა ჰაერში. კრაზანას და ბუზებს ბზუილი გაჰქონდათ. იის ახლოს ერთი ჩიტი დამჯდარიყო და ბუზებს ელოდა. ჩიტს დიდხანს არ მოუნდა ლოდინი.

ბზუილი მოისმა. ბუზურას მხრების ქარმა ბალახებს რხევა დააწყებინა. მოისმა „ბზუ-უ-უ“ და ერთი დიდი ჭრელი ბუზურა მიუახლოვდა იას. გძელი ისარი გამოეშვა და ატრიალებდა აქეთ-იქით. ბანჯგვლიანს

ფეხებზე სქლად ედვა ყვითელი მტვერი ყვავილებისა. თვითონაც მთლად მოსვრილი იყო ყვავილების მტვერში. ბუზურა იას დასტრიალებდა თავს. იას შიშით ფერი დაეკარგა, ათრთოლდა, მთელი ტანი აუკანკალდა. მოხარა თავი და ცდილობდა, როგორმე მიემალა გული, მაგრამ ბუზურას რა გამოეპარებოდა: ერთი კიდევ დაიბზუილა და დააჯდა იას გულზედ. ია გადიდრიკა და ჩაიკეცა.

— დაიმალე, კესანე, დაიმალე! — დაუძახა კვნესით იამ; ამ სისხლისმსმელმა შენც არა განახოს!.. მე ნუ მიტირებ!

იის ახლოს ისევ ის ჩიტი იჯდა; იას იმაზე დარჩა თვალი: წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ბუზურამ გძელი ისარი მიავლ-მოავლო, იის გულზე უნდოდა სადმე ჩაეკრა. ამის შიშით იას გული მისდიოდა.

ამ დროს ჩიტმა შენიშნა მსუქანი საქმელი, გადმოფრინდა, ჩაჰკრა ნისკარტი ბუზურას და გააქანა გაუმაძღარს მუცელში, მაგრამ... იის ფოთლებიც თან ჩაატანა. იამ აიწია წელში, გასწორდა, მაგრამ, ვაი ამ გასწორებას: — ფეხზემდგომს მკვდარსა ჰგავდა! თვალებიდან სხვილმა მარგალიტსავით ცრემლებმა დაუწყეს ღაპაღუპით დენა: ია ქვითინებდა. თავი დაეხარა უნუგეშოდ და გლოვობდა თავის ბედს. ვინღა უშველიდა! კესანეც ისეთივე სუსტი იყო, როგორც თვით ია. ვერც კესანე გადურჩა უბედურებას, — ჩამოგორებულმა ქვამ წელში გადატეხა კესანე.

ორთავეს ცრემლები სდიოდათ. ცრემლები ძირებს ულბობდნენ და იქიდან სხვა იები და კესანები აპირებდნენ ამოსვლას.

დობილებს ეს აძლევდა იმედს. „ჩვენი სიცოცხლე ჩვენს მოდგმას მიემატოსო“, — სთქვეს და ჩაჰკიდეს თავები.

ია უკვდებათ, — ყვავილნი
ეთხოვებიან, ტირიან;
შორს გაიგონებს ერთგული, —
ცრემლები ჩამოსცვივიან...
ელიან მინდორთ-დედოფალს,
მის მოსვლით გახარებასა,
გაზაფხულს ყვავილთ მოსვლასა,
მათ ძირის გამრავლებასა,
ბაღში ვარდისა გაშლასა,
იის კვლავ აყვავებასა,
ველების შეხამებასა,
მინდერების აპრელებასა,
ტურფა კესანეს სიხარულს,
ცაზე ფრინველთა დენასა,
ბულბულის შემოჩვევასა,
დილა-საღამოს მღერასა.

მონადირე

ხევსური შიშია განთქმულ მონადირედ ითვლებოდა. იმისი გაუვალი მთა აღარსად იყო. გუდამაყრის ჩონჩხები, ხევსურეთის მთების კუდები და თვით გერგეტიც მოვლილი ჰქონდა. იმისგან შეწირული ჯიხვისა და კლდის ვაცის ადლიანი რქები ხახმატისა და გუდანისჯვრის იფნებზე ეკიდა და სალუდე ყორის კედლებზე იყო ჩამწკრივებული. ეს ხატისათვის მირთმეული ძღვენი იყო მადლობის ნიშნად და ქრთამადაც შიშიასაგან, რომ საკვლაოდაც მოემართა ხელი. ერთი „არწივისმაღალი“ ჰქონდა გულში ჯავრად ჩაყოლილი. იმის წვერზე ჯერ კაცს ფეხი არ დაედგა. მხოლოდ შორიდან შესცქეროდნენ ხევსურები შურითა. იმის წვერზე აუარებელი იარაღი და ზინათი ეგულებოდათ, არწივებისაგან მიზიდული. იქა ბუდობდნენ ეს მთის ამაყი შვილებიც და ბარტყებსაც იქა ზრდიდნენ გულმოსვენებულები, რომ კაცი იქ ვერ მიუდგებოდა. აქ იყო იმათი სასხდომი და სალხინო ადგილი. იქიდან დასცქეროდნენ მთელს ხევსურეთს და ხევ-გუდამაყარს ამაყი თვალით და ათვალიერებდნენ თავის საკბილო ლუკმასა.

„არწივისმაღალმა“ თოვლი არ იცოდა, რადგან ზედ იმდენი სწორე ადგილი არ მოიპოვებოდა, რომ თოვლი დაედო და დამრჩალიყო. მთის ძლიერი ქარი ხელად გადაფხეკდა თოვლს და, რაც დარჩებოდა, იმასაც მზის სხივები ჩამოადნობდნენ ხოლმე, ჯერ ლოლუებად დაეკიდებოდა და მერე კლდის ნაპრალებში იკარგებოდა. ქვებში ამომძვრალი ქუჩი აღარა კვდებოდა, ზღარბივით ეყუნტა კლდის ნახეთქებში. შავი ქვები არწივებისა და სვავების სკინტლით იყო თეთრად ჩამოთხაპნული. ეს იყო ადამიანის ფეხისგან შეულახველი ადგილი და ბევრი ხევსურის ვაჟსაც ენატრებოდა იქ ასვლა. იცოდნენ, რომ იმისთანა ვაჟზე ხევსურის ქალებიც კი ლექსს გამოსთქვამდნენ. იმისი ქების ხმა მთელ მთას შემოივლიდა და მერე შვილიშვილს გადაეცემოდა.

შიშიას ბევრჯერ ეჩვენებოდა სიზმარში „არწივისმაღალი“, ოცნებობდა, როცა ის იქ ავიდოდა, როგორ აიშლებოდნენ არწივები და შეშინებულები თავზე დაუწყებდნენ ტრიალს და ყეფას. როგორ იპოვიდა იქ უპატრონოდ დახოცილ ვაქკაცების იარაღსა და მარჯნებს, ფრინველებისაგან ატანილსა. ქვემოთ კი „არწივისმაღალის“ კალთები და ხევები სავსე იყო თოვლით და მისდღეში დაუდნობელი ყინულით. კლდის ვაცი და ჯიხვიც აქაური განთქმული იყო.

• •

მზე ამოსული იყო, როცა შიშია „არწივისმაღლის“ კალთას შეუდგა. თოვლის ცქერით თვალები სტკიოდა და ცისარტყელასავით წითელ-

ყვითელი ელანდებოდა. ზვავი მდნარიყო და რამდენიც ძირს დაეწია, იმდენი ჩამოეფხოვნა კლდეებიდან ისეც მცირე მიწა და სილა და ატალახებულ თოვლზე ჭუჭყად იდო. სადაც ან ხის ნაკოდალი (ნარიყი) ან ქვა, ან ზვავისგან მოგლეჯილი ქუჩი დაცემულიყო ზვავზე, — თოვლში ჩაფლულიყო, თოვლი შემოეპამა ირგვლივ, თითქოს ცეცხლს მჩვარი ამოუწვავსო. ზოგან ჩახვრეტილიყო კიდეც და შიგ მღვრიე ქვიშიანტალახიანი აქაფებული მდინარე ჩაქუხდა ბნელ ჯურღმულში, მზეთუნახავი. სადაც მოესწრო დედამიწას თოვლისგან განთავისუფლება, თავყვითელა ყვავილს და ბათვის ტერეფას ამოეყოთ თავი. ბუერასაც გაეღვიძნა და თავის მწვანე ქათიბს მზეს უცხუნებდა. ზაფხულის მზე სიცოცხლეს უხვად აძლევდა. საღამოთი ცარიელი მოტვლეპილი ადგილი მეორე დღეს საამურად ჰყვაოდა.

შიშია ზვავს მოერიდა, გაღმა გავიდა. საშიში იყო ზვავი ზაფხულში! გარედან ეზისგან შეპმული და შიგნიდან წყლისგან ადვილად ჩაიმზღვლეოდა და კაცსაც თან ჩაიტანდა სამუდამოდ. ზვავზე ჯიხვების ნავალი მრავლად იყო. ეტყობოდა წყლის დასალევად აქ ევლოთ ზევიდან. ზაფხულისგან შეშინებულებს ზევით აეწიათ, რაკი ზვავები შრებოდა, ნაზვავრებში ნოყლა ბალახი ჩნდებოდა და არცა ცხელოდა.

კაი დიდი ფარა ჩანდა. ნავალზე ეტყობოდა, რომ ციკნებიც ბლომად ერია ფარაში და ჯარჯიხვებიც. შიშია გულიანად ათვალიერებდა ამ ნაფეხურებს. ერთი ნაფეხური ყველაზე დიდი იყო. სწორედ მოზვრის ტოლა ფეხი იქნებოდა. ყველას ნავალს სჭყლეტდა, ეტყობოდა, უკან მისდევდა ფარას, რადგან ან ფარას ჰპატრონობდა, ან სიმძიმით სიარული უჭირდა.

შიშიას გულმა ფთხრიალი დაუწყო. შურით ჩასცქეროდა ჯიხვების ნავალს. გული უსივდებოდა, რომ ამდენი ნადირი აქ თავისუფლად დაიარებოდა; შიშია კი იმათი მძებნელი ზვავზე ქერის ჯინჯილასა და არაკანმოხდილი ძროხის რძისგან ამოწურულ კურსა (ყველსა) ხრავდა. ათასიც რომ ყოფილიყო, თუკი როგორმე შესძლებდა, სულ ერთიან გასწყვეტდა, გინდ ერთი ჯიხვის ტყავიც ძლივს წაეღო სახლში. საშინლად შურდა იმათი ასე უშიშრად სიარული. შურდა იმათი ლაღი ცხოვრება, იმათი თავისუფალი სიცოცხლე. თავის დაბეჩავებულ და დამონებულ ცხოვრებასთან იმათი ლაღი სიცოცხლე გულში სანატრელად მიაჩნდა. რადგან თვითონ ვერსად წაუვიდოდა ამ ცხოვრების სიდუხჭირეს, არც იმათი უნდოდა, რომ ცოცხლები ყოფილიყვნენ და თავისუფლები.

ვინ არ მისტანებიხართ დასაქერად ოთახში შემოფრენილ ჩიტს, რომელიც თავგადაკლული ეძებს გასასვლელ გზას და ხან ერთი სარკმლის შინას დაეტაკება თავით, ხან მეორესას, მანამ უგონოდ ძირს, სარკმლის ფიცარზე არ ჩამოვარდება თავგატეხილი. საწყალი კვნესის, სულს

ჰლევს და თან კიდევ შიშით თრთის. შენ ხელში იყვან საჩქაროდ და ერთ წამს მაინც სიამოვნებასა გრძნობ, რომ ამ თავისუფალმა ფრინველმაც იგემა მონობის სიმწარე.

თავისუფლების შემფრფინავნი იმავე თავისუფლების დაუძინებელი მტრები ვართ.

შიშიამ შეჭამა ხელისტოლა პური, თოფს ფალია უნახა, დანარჩენი საგძალი ისევ შოლტაში (მელოტი გუდა) ჩააწყო და მგელივით ჯიხვების კვალს გაჰყვა.

ზვავი გამოილია და ქვიშიან ფერდას შეუდგა. წვრილი და შავი სიფრიფანა ბრჭყვიალა სიპების ნამტვრევებისაგან შემდგარი ქვიშა ფეხქვეშ არა დგებოდა, ელდასავით აქეთ-იქით ძერებოდა. ფეხი შიგ ღრმად ეფლობოდა და ძალიან გამოცდილი მოსიარულე უნდა ყოფილიყო, რომ ისე მოესწრო ფეხის გადადგმა, სანამ ქვიშა გაშლას მოასწრობდა. შიშიაც სწორედ ასეთი იყო! ისე ოდნავ ადგამდა ფეხს, რომ ქვიშა მხოლოდ მაშინ დაიძვროდა, როცა იმას ფეხი კიდეც ჰქონდა გადადგმული და თოფის წამალივით იწყობდა ქვემოთკენ ზვავით დენას წკრიალით. ძირში წმინდა სილა იყო მოქცეული, ზემოდან უფრო მომსხო კენჭები და სიფრიფანა სიპები მისლიკინებდნენ. ყველანი ერთად მზეზე გიშერივით საამურად ბრჭყვინავდა. ხანდახან ჯიხვისგან დაგორებული ქვაც გაახმიანებდა არემარეს. ამ დროს შიშიას დიდი სიფრთხილე ემართა, რომ ქვას არ გაეტანა. უნდა წამოხურულ ლოდებს ამოჰკროდა ქვემოდან, ან სხვა მხარეს გაქცეულიყო.

მიდიოდა შიშია. ის საამურად მბრჭყვინავი სილა, ის კლდეები, ის მკვდარი ბუმბერაზები, ის საბღოტი კინჭუხები, ბალახბულახით მორთული, იმას სულ თავის მტრებად მიაჩნდა. ქვიშა იმიტომ მიცურავდა უფსკრულისაკენ, რომ შიშიაც თან ჩაეტანა, ლოდები იმიტომ იყო გადმოკიდებული, შიშია რომ ხელს მოჰხვევდა, მოგლეჯილიყო და შიშიაც დაეტანა.

მიდიოდა შიშია როგორც ფრთხილი ვეფხვი, როგორც კატა ფრინველს ეპარება ხოლმე; დიდი სიფრთხილით მიცოცავდა სულ მაღლა და მაღლა. კლდის თავზე ერთგან პატარა ბუსნო იყო, იქ დაჯდა. სული მოითქვა. ერთი ვიწრო ხევი კიდევ ჰქონდა გასასვლელი და მერე „არწივისმაღლის“ ჩონჩხი იყო აყაყული უზარმაზარი მატურივით.

აგერ ჯიხვების ფარაც, კლდეებში მოდებული! ციკნებიც კი გარკვევით ჩანდა, რომ ეკრობოდნენ დედებს და მუცელქვეშ უძვრებოდნენ. სხვები ზოგი ჭიდაობდა, ზოგი კლდიდან კლდეზე ხტოდა. კინჭუხის თავზე შემხტარი პატარა ვაცუნა, ცერისტოლა რქიანი, დაცინვით ჩასცქეროდა თავის ძირსდარჩენილ ამხანაგებს, რომელთაც სწრაფად ვერ მოესწროთ ამხანაგთან ერთად მაღლა შეხტომა, და თვითონაც ისევ ძირს

აპირებდა გადაშვებას. სხვას კიდევ ძუძუ უნდოდა, დედას დასდევდა, დედაც ხან გაექცეოდა, ხან მოუბრუნდებოდა, სჩხვერდა და იქით აგდებდა. შვილი მაინც თავისას არ იშლიდა. უკანა ლაჯებიდან უყოფდა ცხვირსა. სხვა ჯიხვები ზოგი იწვა, ზოგი იქექებოდა, ზოგიც ქვებში ამომძვრალს გერმასავით რბილ ბალახს სწიწკნიდა.

არხეინად იყო ამ მთის შვილების ფარა, მაძღარი, მხიარული, თავისუფალი. არც უბინაობისა ეშინოდათ და არც ზამთარში გამოკვების გულისათვის ვისმე ბოსელში სურდათ თავის დაბმა. ზაფხულში შურთხისგან ბუდედ შეტანილი ბალახი ზამთარში ჯიხვს კაი სამსახურს უწევდა.

შიშია თვალით ზომავდა მანძილს, მიაწევდა ჯიხვებამდე ამისი ხირიმის ტყვია, თუ ვერა. კანკალმა აიტანა. თოფს რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორი ხელით ბღუჯავდა, თითქოს ეშინიან, ხელიდან არ გამივარდესო.

თოვლი თოვს, ჯიხვი ფეხს უცემს, —
გულს გიგლის მონადირეო!
— ვერ დაგკარ თოფი, ტიალო,
სისხლი ვერ გაგადინეო;
ვერ გადმოგაგდე კლდეზედა,
რქებზე ვერ დაგაბჯინეო!

მოაგონდა ფშაველების ეს ლექსი შიშიას. ცხადად წარმოიდგინა მონადირის სულისკვეთება, როცა ერთმანეთისგან მანძილით დაშორებული მონადირე და ჯიხვი ერთმანეთს გასცქერიან. ჯიხვი თითქოს უსაყვედურებს: რას მერჩი, რას გიჭამ, რას გტაცებ? რისთვის მდევნი? შენც გეყოფა მზის შუქი და მეც. შენს გამოსადეგ მინდვრებს და ველებს ხომ არ გეცილები? ვენახებს არ გიკვნეტ, ყანას არ გიძოვ, ნათესს არ გითელავ და ნახნავს ფეხით არ გიზერქნი! ჩემმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ რომ შენ, კაცო, რაც კი შენი გამოსადეგი და ხელსაყრელი იყო, სხვას არ დაანებებდი და არც არავის ჩაიზიარებდი. იმიტომაც აკი გაგშორდნენ და ისეთ მთას და კლდეს შეეხიზნენ, სადაც შენ შიშით ფეხსაც ვერ მოსდგამ, თორემ გუთანსა და ბარს ხომ ვერ მიიტან. რას მერჩი? დამანებე თავი! ვიცოცხლო მეც ამ მწირს და ვაგლახ მთაში!

მონადირეს კი ჯიხვის სიშორე და მიუდგომელ ადგილას ყოფნა გულს უგლიდა, გაბოროტებულს შური ახრჩობდა. შიშიასაც შური, თუ ამაზე უარესი სისხლით გაუძღომელი გრძნობა სჭამდა. რამდენჯერმე წაუდო ქვაზე თავისი ვერცხლის სალტებით შაზიკული, მზეზე თეთრად მბრჭყვინავი ხირიმი და ისევ უკან გადმოიღო. სევდით და მწუხარებით დასცქეროდა ამ თავის გალაპლაპებულს ყელჩრელ ხირიმს; არ ეგონა,

თუ იქამდე მიიტანდა ტყვიას. თუნდა მიეღწია კიდეც, ჯიხვს ვერ დაიმორჩილებდა. ტირილი მოსდიოდა, რომ შამფურივით გაშავებული რუსული „ბერდენკა“ არა ჰქონდა. ის რომ ჰქონოდა, ეროსაც აღარ გაუტეევდა ცოცხალსა. რუსებზედაც და „ბერდენკაზედაც“ ჯავრი მოსდიოდა, რომ ამისი თორმეტ ძროხიანი [1] ხირიმი იმ შავმა დუდუხამ ასე დაამცრო და დააჩალავა...

ამ დრომდე დაწოლილი ჯიხვებიც აიშალნენ და აღმართს შეუდგნენ. ის დიდი ჯიხვიც უკან იყო და დინჯად მიაბიჯებდა. შიშია ანთებული თვალებით გასცქეროდა ხარ-ჯიხვის გზას. ელოდა, როდის გასწორდებოდა თოფის სასროლად. აი, შეხტნენ ერთ ბექურზე ჯიხვები და მეორე მხრისკენ იწყეს დენა და მოფარება. ბოლოს შეებღოტა ხარ-ჯიხვიც და გაბრტყელებული ეეყუდა შიშიას პირდაპირ მოზვრის ტოლა. სულგაწყვეტილი შიშია თოფს დაჰკვროდა, თითქო ამის სიკვდილ-სიცოცხლე ამ წუთზე არის დამოკიდებულიო. ერთ წამია ხანს გაჰხვივლა ხირიმმაც. გაღმიდან, თითქო შეყვარებულთ ერთმანეთს დამალულებმა აკოცესო, ტკაცანი მოისმა. გაღმა-გამოღმა მთებმა თოფის ხმას კვნესით ბანი მოსცეს. თოფის ქუხილი მთა-კლდეთა საკუთარი შეიქნა და ცოტახნის შემდეგ შორს, შორს ჩაბნელებულმა არაგვის ხეობამ როდის, როდის სადღაც მოსცა პასუხი და ხვივილით ხელმეორედ შემოიარა ისევ მთებისა და ხევების კუდები და სადღაც მთებს იქით გადაიკარგა.

„თოფის ხმა ჰიუხებშია
ვაქაცსა იამებაო!“

ტყუილად არ უთქვამთ ფშაველებს!

ჯიხვებსაც იამათ?! საწყლებს ცის დაქცევა და „არწივისმაღლის“ ჩამონგრევა ერჩივნათ ამ ხმის გაგონებას! გაქცევა ვეღარ მოახერხეს და ერთ წამს ღონემიხდილნი, დაჩაგრულნი, თავზარდაცემულნი გაშეშებულები იდგნენ. აღარ იცოდნენ, რა ექნათ, საით გაქცეულიყვნენ. მაგრამ მალე ისევ გონს მოვიდნენ, ამოდენა ფარა დაიძრა და მოედო კლდეებს აღმა და დაღმა. ისმოდა ქვიშის ხრიალი და ქვების ჩახაჩუხი. რომელმაც საით მოასწრო, იქით გაიქცა. დედა-შვილები კი ერთმანეთს არა შორდებოდნენ: ან შვილი მისდევდა დედას, ან გულგახეთქილი დედა შვილსა.

შიშიას ხარ-ჯიხვის დარდი ჰქონდა. სხვები სადაც უნდა წასულიყვნენ. ჯიხვს წინა ფეხები ჰქონდა მაღლა შედგმული, როცა თოფი გავარდა. დატორტმანდა, უნდა უკანვე გადმოვარდნილიყო, მაგრამ თავი

[1] ძროხად ითვლება ფული, ერთი ძროხა ერთი თუმანია.

ავტორის შენიშვნა.

შეიმაგრა და ისე გაშეშდა. შიშიამ შეატყო, რომ ჯიხვი დაიჭრა. სანამ ეს თოფს ხელმეორედ გასტენდა, ჯიხვი კლდეზე ავიდა და მარდად გაუსვა მაღლა ფრიალოებისაკენ. სხვა ჯიხვები აღარსად ჩანდნენ, იმან კი „არწივისმაღლის“ საფრებს მიმართა. ტყვია ვეღარ მიუწვდებოდა და სანამ შიშია ხევს გახდებოდა, ის თავს უშველიდა. აბა თავსღა დაანებებდა შიშია ჯიხვსა?

ჯიხვს სისხლი თქრიალით გასდიოდა. ეტყობოდა მუცელში ჰქონდა ტყვია მორტყმული და ფაშვსა და ტყავს შუა იყო გავლილი. მრავლად განადენი სისხლი იმედს აძლევდა შიშიას, რომ ჯიხვს მალე მოსჭრიდა მუხლს და ხელიდან ვეღარ წაუვიდოდა. „ტყავსა და რქებსაც ძლივ წავიღებო“, ფიქრობდა შიშია, — თუ ცოტა რამე სამწვადეც გავატანე, კარგი იქნებაო“. მთელი ჯიხვის წაღება კი აზრადაც არ იყო მოსასვლელი, გინდა მარტო რბილი ხორცი გამოეჭრა და ძვლები იქ დაეყარა. წარმოიდგინა შიშიამ, რა გაკვირვებით დაუწყებდნენ ხევსური ვაჟები და ქალები ჯიხვის რქებს სინჯვას. „აბეჩავ, შიშიავ, შენს მეტიც ამას ვერავინ მაჰკლევდა, გუდანისჯვრის მადლმაო!“ ტყავისა ხომ, საკუთრად ერთი ტყავი გამოუვიდოდა, მხოლოდ სახელოებს მოუნდებოდა თხის ტყავის მოკერება.

გაჰყვა შიშია მგელივით სისხლის კვალს. თუმცა სისხლი ისე აღარ გასდიოდა, მაგრამ კიდევ ალაგ-ალაგ ცვრები სცვიოდა და ზოგანაც, სადაც კლდეზე ახოხებულიყო, სისხლიანი ბეწვისაგან ქვები იყო მოსვრილი. ჯიხვზე კარგად ვის ეცოდინებოდა „არწივისმაღალზე“ ასასვლელი გზა. ალბათ, წინათაც ბევრჯერ შეხიზნულა რქიანი ვაცი იქა და ახლაც დაჭრილი იქით მიიბრძოდა. იქ დაწვებოდა მოსვენებით, ვერც კაცი შეაწუხებდა, ვერც ნადირი და ვერც ბუზი, სანამ ნატყვიარი მოურჩებოდა. სჯეროდა, რომ იქ ადვილად ვერავინ ავიდოდა და არც არავინ გაიწირავდა თავს იქ ასვლისათვის. მაგრამ შიშია იმისთანა ბიჭი არ იყო, რომ უკან დაეწია! სად ქუჩს ეჭიდებოდა, სად ქვებს და კენჭებს ებღაუჭებოდა, ოღონდ ხელისმოსაკიდებელი ყოფილიყო. ბევრჯერ ცალი ხელით დაეკიდებოდა, სანამ ფეხს რამეზე მოიკიდებდა. მიცოცავდა მაღლა და ქვეშ რა უფსკრული ეზრდებოდა, იმაზე სულაც არა ფიქრობდა. ძირს არ იხედებოდა და არც დარდი ჰქონდა. წინ დაჭრილი ხარ-ჯიხვი ეგულებოდა და განა ახლა უკან დაბრუნებაზე იფიქრებდა?! ხელის ფრჩხილები სულ გადააცვითეს ქვებმა და მუხლისთავები გადაეყვლიფა. ბევრჯერ თვალითაც დაინახა ჯიხვი, მაგრამ თოფის სროლა, არ შეიძლებოდა, ხელებს ვერ გაუშვებდა, კლდიდან რომ ჩავარდნილიყო, სულით და ხორცით დაიკარგებოდა სამუდამოდ.

ძირს ხეობა და შორს სოფლები თანდათან მერცხლის ბუდეებივით ღა მოჩანდა. დიიღალა კიდეც, ღონეც ელეოდა. „არწივისმაღალის“

წვერიც კი შორს აღარ იყო. ცოტა კიდევ და ჯიხვი და შიშია თითქმის ერთ დროს აებღოტნენ „არწივისმაღლის“ კონცხზე. იმას იქით ვეღარსად ჯიხვი წავიდოდა და ვეღარსად შიშია, თუ უფსკრულში არ უნდოდათ დაღუპვა,

რამდენადაც შიშია გახარებული იყო, რომ ჯიხვი ვეღარსად წავაო, იმდენად ჯიხვი შეშინებული და თავზარდაცემული ჩამოსცქეროდა შიშიას. არ ეგონა თუ აქაც, ამ არწივების საბუდარში კაცი ფეხს დასდგამდა. ელდაცემული, გაშტერებული იდგა და შემოსცქეროდა მონადირეს. ასე ახლოს ამის მეტად არ ენახა კაცი, — ეს ამათი სიკვდილი! ახლა ჰხედავდა პირველად და ელდაცემული მთელი ტანით თრთოდა. გასაქცევი აღარსადა ჰქონდა და დასამალი. თავის სიცოცხლეში მგელიც ბევრჯერ ენახა, კლდის ვეფხვიც; ზვავიც ბევრჯერ მოჰხეთქია და წაუღია, მაგრამ კაცზე საზარელი არა ეგულებოდა რა.

ადგილი სულ ერთი ფარდაგის გაშლა იქნებოდა. ერთმანეთის სულის ქცევა ესმოდათ. ჯიხვი მუდამ წამს მოელოდა, რომ კაცი ეცემოდა და ჩაჰყლაპავდა. შიშიაც ერთბაშად შეკრთა. მოაგონდა, რომ განთქმულმა აფშინამ ასე შერეკა საფარში ჯიხვები და თვითონ გზაში ჩაუდგა. უნდოდა ხანჯლით დაეჭრა ყელები, მაგრამ გაცოფებულმა ჯიხვებმა, რაკი გასავალი აღარსადა ჰქონდათ, ერთბაშად დაჰკრეს და გადაუძახეს უფსკრულში თავმომწონე მონადირე. ამაზე იყო ლექსი:

„ჯიხვებს ნუ ჩასდევ, აფშინავ,
ჯიხვთა ბანდუხის კლდისათა,
თორ კლდეზე გადაგაგდებენ,
ჯარს შაგიყრიან რქისასა“.

მოაგონდა არანაკლებ განთქმული მონადირე ჯარჯი და ჯიხვი რომ ერთად გადაცვივდნენ კლდეზე.

მაგრამ ჯიხვი სრულიადაც არ ფიქრობდა ბრძოლას. რომ ფარაში ყოფილიყო, შეიძლება გამგელებული სცემოდა მონადირეს, მაგრამ აქ არც უმწეო ციკნები იყვნენ სადმე, არც დედალი შუნები, რომ იმათთვის პატრონობა გაეწია. რაკი ჯიხვი შეშინებული ნახა: „ტყვია-წამალი რაღად დავხარჯოვო“, — იფიქრა მონადირემ და ხანჯალამოღებული გადუხტა ჯიხვსა. ჯიხვი ადგილიდან არ იძვროდა. დაშტერებით შემოსცქეროდა იმისკენ მიმავალ კაცს. ვინ იცის, ფიქრობდა: „რას შვრები, შე უბედურო, შენ ჩემზე უარეს დღეში ხარ ჩავარდნილი, რო გესმოდესო“. მაგრამ შიშიას ჯიხვის მეტი არა ადარდებდა რა. ჯიხვიც მიბრუნდა და ერთი თვალის დაფახვაში უფსკრულში გადაეშვა.

— ვაიმე, დავკარგე ჯიხვი! — დაიყვირა შიშიამ და გაიქცა დასანახად, თუ სად დაეცემოდა ჯიხვი. მაგრამ ჯიხვი უფსკრულმა ჩაითქა.

სად დაეცემოდა, როცა ძირს თვალჩაუწვდენელი ფრიალოს მეტი არა ჩანდა რა. ახლალა იგრძნო შიშიამ, რა საფრთხეც მოელოდა და თმა ყალეზე დაუდგა.

დიდხანს, დიდხანს უხმობდა ხეობები და მთები, როცა ძირს დაცემული ჯიხვის სიმძიმით მოგლეჯილი ლოდი ხეობაში საშინელი ჭექა-ქუხილით ჩაიჭრა და იმისგან შეშინებული ფრინველები წივილით გამოიშალნენ ჰაერში.

მიიხედ-მოიხედა შიშიამ, ეძებდა თავის დამხმარს ვისმე, მაგრამ ირგვლივ მარტო ფრინველებისგან დახრული ძვლები ეყარა, აქეთ-იქით ფრიალო და თვალჩაუწვდომელი უფსკრული იყო. ასვლა შეიძლებოდა, მაგრამ ჩამოსვლა შეუძლებელი იყო.

იტყვიან, შვიდი დღე კიდევ ისმოდა „არწივისმაღლიდან“ შიშიას თოფის ხმა, მერე კი მისწყდა, ვეღარავინ ვეღარ უშველა რომ ჩამოეყვანათო.

ტყუილად არ უთქვამს ხალხსა:

„ჯიხვების განავალი კლდე
რო ნახო, გაგიკვირდება,
იმათ განავალ გზაზედა
თოვლი არ მეეკიდება,
იმათ ძიმყოლსა ვაეკაცსა
რა კარგი წაეკიდება!“

გაზაფხულის სუნი

(სურათი)

დიდ ხანს ჰქროდა ცივი ზენა ქარი: ხელები და სახე სულ აგვიტრესა. მართალია, სახეში თოვლს აღარ გვაყრიდა, მაგრამ ჩვენ თრვლი გვერჩივნა ამ ხმელ ქარსა.

— რით ვერ მოიღალა ეს ოხერი! — ვიძახდით ყველანი.

— კი აღარ ამოგვიქაქანა და! ჰქრის და ჰქრის!

მინდვრად თოვლი აღარ იდო. კვერნაკის ჩრდილოეთი კალთები კი ისევ ვეფხვივით იყო აჭრელებული, მთებიც ისევ თოვლქვეშ ხვნეშოდა.

თებერვალი მიიპარებოდა.

ვენახში და მინდორში საქმე ბევრი გვქონდა, მაგრამ სიცივით არა კეთდებოდა რა. ბიძაჩემი დაღვრემილი ჩიბუხს აბოლებდა. დრო მიდიოდა, საქმე უკან რჩებოდა. მაგრამ რაკი ბიძაჩემი ყველაფერს ღვთის გან-

.გებას აწერდა, არა დრტვინავდა გამჩენის წინააღმდეგ; უღვთოდ ხეს ფურცელი არ გავარდებაო — ამბობდა.

ფრინველებსა და ცხოველებს მოუსვენრობა ეტყობოდათ. ინდაურები იფხორებოდნენ: ბოლოებს ჯარასავით შლიდნენ, მხრების წვერებს მიწაზე აფხაკუნებდნენ დაშნასავით და ხმამაღლა ყვიტყვიტებდნენ. ბარტები ერთად იკრიბებოდნენ, საღამოობით მინდვრიდან ყიყინით ბრუნდებოდა იმათი თეთრი ფარა. იხვებიც ხევებს აღარ შორდებოდნენ.

— გაზაფხულის ნიშანია! — ამბობდა თვალის ჩაკიეკვით ბიძაჩემი, — მართალია, ზამთარივით ცივა, მაგრამ ყველაფერს თავისი ვადა და ჟამი აქვს. აბა, ამ ჭილყვავებს უყურე, როგორ სინჯვენ ხეებს წვერიდან ძირამდე. ბუხრებში ცალი თვალით იჭყიტებიან, კოშკებსა და ნანგრევებში ხვრელებს ეძებენ, ბუდისთვის თადარიგს იჭერენ. ეტყობა გაზაფხული შორს აღარ არის!

საღამოთი ბიძაჩემი გარედან შემოვიდა, ხვნეშით სკამზე დაჯდა.

— მადლობა ღმერთს! ძლივს არ ეღირსა ამ სატიალე ქარს ჩადგომა! ახლა კი გაგვიზაფხულდება!

მართლაც ჰაერი და ცა დამშვიდებულად მეჩვენა. სითბოს სუნი ტრიალებდა, ფრინველებს ერთი ერიამული და განგაში ედგათ. ძაღლები თავის ხრუწუნებიდან გამომძვრალიყვნენ და ეზოში და ეზოს გარეთ წელგაშლით დასეირნობდნენ.

ციდან ღრუბლები ჭურდებივით მიიპარებოდნენ და მთას იქით აფარებდნენ თავსა. მეორე დღისათვის კაი დარს ელოდა ხალხი.

— ბიჭო, ხვალისათვის ბარები და წალდები ნახეთ! — გასძახოდა მამა შვილებსა.

გუთნისდედა გუთანს ჩაჰღირღიტებდა: გაცვივნულ სოლოებს უმაგრებდა ან ახლებს უთლიდა.

— გაზაფხულდა! დროა გუთნები შევაბათ.

ჩვენს ახლო ხევი იყო. ხევის პირას ნანგრევი ქვიტკირი. ამ ქვიტკირის ქვეშ წყარო გამოდიოდა, ზაფხულობით ცივი, ხოლო ზამთრობით თბილი. ვიცოდი რომ იმ წყაროში ზამთრობით კედლისქვეშ ბაყაყები ბუდობდნენ. სულ პირველ გაზაფხულს ისინი შემატყობინებდნენ ხოლმე. ჯერ ყრუდ მოისმოდა მათი ხმა, მერე რამდენადაც გაზაფხული

ახლოვდებოდა, იმდენად ისინიც ხმას უმატებდნენ და ღამღამე ჰაერში გაისმოდა იმათი კრიალი.

ძალიან დიდი თოვლიც რომ ყოფილიყო, რაკი იმათი კრიალა ხმა შემომესმოდა, გული მოუსვენრად მიწყებდა ტოკვას, გაზაფხულის მოსვლით ვტკბებოდი და თავს ვინუგეშებდი. ეხლაც ყურს ვუგდებდი. როცა საქონლისა და ფრინველების ხმა მისწყდა, გარკვევით მომესმა იმათი კრიალი. „ახლა კი ახლოა გაზაფხული!“ წამოვიყვირე გახარებულმა.

გაზაფხულის ნიშნები ერთი მეორეს მოსდევდა. მეორე დღეს ჩვენ სახლის წინ მდგომ კაკალზე წყვილი შოშია შარშანდელ ბუდეს დასტრიალებდა და ჩემთვის გაუგებარ ენაზე ერთმანეთს რაღაცას ჩალუკლუკებდნენ. აბა, რა ძალა შეაყენებდა ამათ და ამათ ამხანაგებს, რომ გაზაფხულს თან არ მოჰყოლოდნენ!

* *

ბალღებს მინდვრიდან ერთი მუჭა წითელ-ყვითელი ენძელა მოეტანათ და მაგიდაზე გაეშალათ. დედა ჯავრობდა ენძელას სახლში მოტანა არ ვარგა: ვინც პირველად ნახავს, უნდა ფეხზემდგომი ნახოს და არა მოგლეჯილიო... ენძელა სიცოცხლისა და სიხარულის ნიშანია, და ამ პირველ გაზაფხულზე სიკვდილი რა მოსაგონიაო? მე დავცქეროდი ამ ნორჩ სიცოცხლეს, უსულო მიწიდან ამოსულს.

— ეჰ ენძელავ! ენძელავ! შენი დანახვა, რაც უნდა ჯავრიანი ვიყო და სიკვდილი მენატრებოდეს, სასოწარკვეთილს გულს მივსებს უსაზღვრო სიხარულით! როგორ გამოვთქვამ იმ სიამოვნებას, რასაც შენი დანახვა მაგრძნობინებს ხოლმე უსულო და უსიცოცხლო მინდორზე, სადაც თოვლი ჯერ რიგიანად არც კი ამშრალა და ნიადაგი თოვლის ნადნობ წყლის გუბეებით არის დაფარული! გზის პირებზე მახარობლებივით ამომძვრალხართ, ალბათ ძალიან და ძალიან სასიხარულო ამბავი მოგაქვთ რამე, რომ საუკეთესო და ძვირფასი სამოსლით შემოსილხართ და ფერად სამკაულებით მორთულხართ?! ნეტა რას მეტყვით, რის მახარობლები ხართ? იქნება გაზაფხულისა? და თუ მართლა გაზაფხულის წინამორბედნი ხართ, მოგესალმებით, მშვენივრებო!

მშვიდობა თქვენ მოსვლასა! საწყლებო, თქვენ ხომ ვერც სრულს გაზაფხულს მოესწრებით და ვერც ზაფხულს!

* *

აქამდე მხოლოდ შავი ღრუბლებით გადაჭედილი და საზარლად მოზუზუნე ცა სრულებით სხვა კილოზე ახმაურდა. გაივსო მომთაბარე

ფრინველთა ეღიკილ-ჭყივილით. მხარგრძელნი ფრთოსანნი, დედამიწიდან დაშორებულნი, ნელ-ნელა მიცურავენ თვალუწვდომელ ცის სივრცეში ჩრდილოეთისაკენ. ყურს ოდნავ ხვდება მათი ყვირილი. ხოლო წვრილნი ფრთოსანნი შრიალით გადაურბენენ ხოლმე სოფლებს, საყდრებისა და კოშკების წვერებზე.

გიხაროდეთ, ჩრდილოეთის მცხოვრებნო! მოგესალმებათ ცხელი სამხრეთი! გიგზავნით გაზაფხულს. ვისაც ზამთრის სისასტიკემ გული გაგიტეხათ და სასოება დაგიკარგათ, გამხნევდით ისევ. იმედს ნუ ჰკარგავთ, — არ შეგეშინდეთ, თუ გაზაფხულის ჟამს ტაროსი შეიცვალოს, ზამთარმა იგდოს ხელთ ბატონობა და თავზე ჯადოქარივით დაგაცხრესთ! არ შედრკეთ და გაზაფხულს შეურაცხება არ მიაყენოთ თქვენი ორჭოფობით, გულში ეჭვი არ გაიტაროთ გაზაფხულის მძლეთა-მძლეობაზე! მეორე-მესამე დღეს კვლავ გამობრწყინდება დიდებულად მზე და ზამთრის სახსენებელი ამოიფხვრება.

თითქო ყურისპირში ზარბაზანი დაუცალესო, უცებ საშინელი გრიალი მოესმა მთიულ ფოცხვერას, რომელიც უნაგირის ტახტსა სოლიდა.

— ზვავი გამოსქდა, ლაშარის ჯვრის მადლმა! — წამოიყვირა გახარებულმა და თითქო დიდი ხანია, რაც აქა ზის და ამ მოვლენას მოელოდინებაო, შეითანივით კარზე გაიჭრა, ბანზე ავარდა და იქიდან ხარბი თვალით დაუწყო მთიდან დაქანებულ ზვავს ცქერა.

— ა ბეჩავ ბიჭო! აბა შაგაყენონ, თუ კაი ბიჭებია თავის თოფზარბაზნებითა! ხატის მადლმა, შენ უკან ვეღარავინ დაგაბრუნოს! შენ შენსას არ დაიშლი, სანამ მინდვრად. არ ჩაიჭედები! იქაც არ შესწყვეტ მოძრაობას, სანამ სწორედ დაცემული ჭალა არ შეგაფერხებს, სადაც მშვიდობიანი ხალხი შრომის უღელს ეწევა. შენ ხომ ცოფიანივით შიში არ იცი. რაკი ყელთავექვე დაეკიდები და მთას მოსწყდები, დაექანები ქარიშხალივით და ზღაპრულ გველეშაპივით კლაკვნას იწყებ, როცა დაჭრილი მტრისკენ მიჰქრის სასიკვდილოდ თავგადადებული! ახლა კი ახლოა გაზაფხული! — თქვა ცოტა გულმოსვენებულმა ფოცხვერამ, რაკი ზვავმა, თოვლის კორიანტელსა და ბუქში გახვეულმა, ტიტველი მთა ჩამოირბინა უთვალავ ცხენოსან ლაშქარივით, როცა თავდადებულს, თავის სიმრავლით გათამამებულს თავგამეტებით მტერზე საზარელი ციერიში მიაქვს!

შეკუმშული თოვლი შავ მუხის ტყეში თეთრი ღრუბლებივითდა ჩანს. ნაკუწ-ნაკუწად აქცევს მას საზარელი გრიგალი და ბუმბულივით აიტაცებს თვალშეუწვდენელ ცის სივრცეში, რომ მერე ისევ ერთად მოაგროვოს და მთებზე ნისლად ჩამოუშვას.

თვალს ვერ აშორებდა ფოცხვერა ამ დიდებულ მოვლენას. განა არ იცოდა, რომ ზვავი, რაკი ერთი დაიძვროდა, სანამ ჭალაში არ გაიველებ-

და, აღარ შედგებოდა და ვერც არა ტყე შეაყენებდა, ვერც კლდეათასწლოვან მუხას ძირიანად ჰგლეჯდა და ხეობაში კენწერასავით ისროდა. მაგრამ გულში ცოტა რამე ეპვის ჭია ეპარებოდა. ისე იყო ზამთრისგან გულმოკლული, რომ ზამთრის წასვლა სწამდა კიდეც და არც სჯეროდა.

როგორც მოსულები ამბობდნენ, არაგვზე უკვე ჩირთი შემოსულა, მურყანი და თხილი იშლებაო, ბარად კი რამდენი ხანია გაზაფხულიაო. მთაშიც თხილის მჭადას მჭადის ფქვილივით ყვითელი მტვერი გასდიოდა. დგნალს კატის კნუტებივით ფაფუკი ციცუნა ეკიდა.

მაშ გაუმარჯოს გაზაფხულს! გაუმარჯოს გაზაფხულის მოსვლას.

იროდიონ ევდოშვილი

(ხოსიტაშვილი)

1873—1916

იროდიონ ისაკის ძე ევდოშვილი (ხოსიტაშვილი) დაიბადა 1873 წელს სოფ. ბოდბისხევში (სიღნაღის რ.), ღარიბი დიაკვნის ოჯახში. იროდიონს განსაკუთრებით უყვარდა თავისი დედა ევდოკია, რომლის სახელიც ფსევდონიმად აირჩია მწერალმა. ჯატარა იროდიონი თბილისში ჩაძოიევანა მისმა უფროსმა ძმამ ილარიონმა და ჯანსიონში მიაბარა. მაგრამ ძალე მშობლებმა ჯერ სიღნაღში წაიყვანეს და მიაბარეს საძოქალაქო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს თელავის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1890 წელს დაამთავრა. ამის შემდეგ კვლავ უფროსმა ძმამ ჩაიყვანა თბილისში და მიაბარა სასულიერო სემინარიაში. თბილისში კერძოდ ცხოვრობდა განათლებულ ოჯახში, სადაც იერიბებოდნენ ქართველი მოღვაწეები. სემინარიაში ირო-დიონი დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ ამხანაგებს; იროდიონის მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა სემინარიის ადმინისტრაციას და, როგორც არასაიმედო ჰიროვნება 1893, წელს დაითხოვეს სემინარიიდან. იროდიონი თბილისის საიუნკრო სასწავლებელში შეკიდა და დაამთავრა, 1894 წელს სათადარიგო ჯარში ჩაირიცხა. ირ. ევდოშვილმა მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომში.

ირ. ევდოშვილმა რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო 1900 წლიდან. 1909 წელს დააპატიმრეს.ციხეში ჩასვეს და შემდეგ გადაასახლეს.

იროდიონ ევდოშვილი ჭლექით დაავადებული დაბრუნდა საქმობლოში და კარდაიცვალა 1916 წელს.

ირ. ევდოშვილი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 90-იან წლებში. წერდა სბავშვო ლექსებსა და მოთხრობებსაც. ის ერთხანად ეურ. „საკადული"-ს რედაქციაშიც მსახურობდა. მწერალი სბავშვო ლექსებსა და მოთხრობებში ამჟღავნებს რუსეთის მეფის რეჟიმის საწინააღმდეგო განწყობილებას და მშრომელებს მოუწოდებს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ.

ზაზაფხული

გათენდა და გაანათა,
აბა, ბიჭო, ნამგალს ხელი!
ადრიანად მივესიოთ,
ყანა გველის მოსამკელი!

ტოროლამაც ფრთა გაშალა,
დასრიალებს მაღლა ცაში;
ის ბანს ეტყვის ჩვენს სიმღერას,
ამ დალოცვილ ყანის მკაში!

თოხი, ბარი და ფიწალიც
დატრიალდა მთა და ბარში.
ზაფხულია, დავეშუროთ,
შევიტანოთ სარჩო სახლში!

დედა და ვანიკო

გათენდა დილა. ვანიკომ
წამოაჭყიტა თვალები;
„დედი, ჩამაცვი ტანზედა,
აგრემც შენ გენაცვალები!
მინდა გავიდე კარზედა.
გუშინ დავკარგე ბზიალა,
სად გადავარდა არ ვიცი
ის საოხერო, ტიალი!
—სად არის შენი წინდები?
რა უყავ ჩექმა, ქუდია?
შვილო, ეგ დაუდევრობა,
იცოდე, ძლიერ ცუდია! —
უსაყვედურა დედამ.
თავის პატარა ვანიკოს,
ქუდი არა ჩანს, ჩექმა კი
ჩაუცვამს მის დას თამრიკოს!

— აბა, ეგ განა კარგია,
სულ მუდამ ასე მაწვალებ,
ქუდს იქ მიაგდებ, ჩექმას იქ,
დადიხარ, დარბი, წანწალებ!
გცხვენოდეს, შენვე ვერ უვლი
შენ ჩექმას, ქუდს და წინდასა
და ასე სტანჯავ დედასა
ყოველდღე, ყოველდილასა! —
ვანომ დახარა თვალები,
ფიქრობს, გამიწყრა დედაო,
და გადასწყვიტა, ამ წყენას
კვლავ აღარ გავუბედავო!
მას აქეთია ლოგინთან
ის ახლოს იწყობს ტანსამოსს,
არც ჩექმას კარგავს, აღარც ქუდს,
რომ თავის დედას აამოს!

მინდორზე

ვინ წინა და ვინ უკანა,
აბა, ბიჭო, ჰერი, ჰერი,
მოვკრიფოთ და კონათ შევკრათ
ყვავილები ათასფერი!
მოვიქარგოთ მკერდი, ქუდი,
მერე ბურთი გავკრათ მარდად,
გამოჩნდება ვინც ბიჭია,
ვინ თამაშობს ჩვენში კარგად!
მაშ, გადვიდეთ ალაყ-მალაყ,
აბა ბიჭო, ჰერი, ჰერი,
სათამაშოდ გადავშლია
ჩვენ მინდორი მშვენიერი!

ორი ოგოლი

(ამბავი)

ზამთარია... შუადღე გადასულა. სუსტი მზე ოდნავ ეკარება მთის თეთრ მწვერვალებს. ცივმა ნიავმა დაპბერა, თოვლმაც შრიალით მისცა პასუხი, მაგრამ მალე გატრუნა სული და ქვებუდანად გზავნიდა სიცივის ნაპერწკლებს ჰაერში. ქუჩებში ფეხოსანთ ნაბიჯს უმატეს, ეტლები გააჩქარეს. კვამლი ბურჯღლ-ბურჯღლად ამოდიოდა ბუხრებიდან. სწორედ ამ დროს ორი ძონძებში გახვეული არსება იდგა სამსართულიანი სახლის აივნის ქვეშ. ეტყობოდათ, რაღაც თათბირში იყვნენ.

— არა, გოგო! — სთქვა ერთმა მათგანმა, — ამ სახლთან ტყუილად გავჩერდით, აქ ნუ შევალთ.

— რატომ? — მიუგო ცაცამ, — ამ სახლში, როგორც ეტყობა მდიდრები უნდა ცხოვრობდნენ და...

— ეგ მართალია, — ჩამოართვა სიტყვა პირველმა ცაცას, — მაგრამ გუშინ ხომ ნახე, სწორედ ამისთანა სახლი იყო, ბიჭებმა რომ გამოგვყარეს.

აბრანძულ-დაბრანძულებმა დაათვალიერეს სახლი, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებდა განიერს ქუჩას და რომლის მცხოვრებნიც რაღაცნაირ ზღაპრულ არსებად წარმოიდგინეს.

— მგონი, თვითონ ეს სახლი იყო...

კვლავ არ დასცალდა ცაცას სიტყვის დათავება, რომ აივნიდან მოისმა მრისხანე ხმა.

— ეი, თქვე მაწანწალანო, კიდევ მოეთრიენით? დაიკარგეთ აქედან, თორემ რაც გუშინ დაგაკლდათ, ახლა შეგისრულებთ!

აივანზე გადმომდგარიყო მოსამსახურე ბიჭი, ცოცხი ხელში ეჭირა და აივანსა ჰგვიდა. მეორემ, რომელიც შემდგარიყო ფანჯარაზე და შუშებს წმენდავდა, ბანი მისცა თავის ამხანაგს.

— ჯოხი მაგათ, თევდორე, ჯოხი! აპა, მაგათ შიშით კაცს ვერა გაუშვია რა ეზოში! ეგენი მოიპარავდნენ გუშინ ტაშტს, თვარა სხვა ვინ იქნებოდა.

— და ჩვენ კი გვაზღვევინა „ხაზეინმა“, — სთქვა თევდორემ, მოიმარჯვა ხელში გრძელი ცოცხის ტარი და კიბეზე დაეშვა. უბედურებმა ერთის ფეხით გაასწრეს გამოქნეულს ჯოხსა და მუხლამდის თოვლში გადაერივნენ. ბიჭიც აღარ გამოეკიდა და ლანძღვა-გინებით ავიდა ისევ აივანზე.

აქ ცოტა ხანს შევწყვიტავთ ჩვენს მოთხრობას და მოკლედ გაუწყებთ ამ გოგო-ბიჭის წარსულსა.

ცაცა და ვანო და-ძმანი იყვნენ. პირველი იყო შვიდის წლისა, მეორე — ორი წლით უფროსი იმაზე.

მამა მათი ზალიკო და დედა მარიამი ს. ყორეთის მცხოვრებელნი იყვნენ.

გამრჯელმა ზალიკომ ყაირათიანის ცოლისა და უფროსი ვაჟის, ლექსოს, შემწეობით, უკან წასული ოჯახი წინ წამოსწია. ცხოვრობდნენ ისე, როგორც უმამულო გლეხს შეეფერებოდა; რადგანაც ზალიკო ჯერ ისევ გამოუცდელი იყო, როდესაც მამა მოუკვდა და ერთი დღის ვენახი მედუქნემ ვალში ჩამოართვა, დიდხანს იყო შევიწროებაში. „გული მიკვდებაო, — იტყოდა ხოლმე ზალიკო, — როდესაც მედუქნეს ცოლ-შვილს ვხედავ ჩვენ შინა-ვენახშია“.

— ედვას შენი ცოდვა, ვინც შენ ეგ ხელიდან გამოგაცალა. აბა, სად გაიხარონ ჩემმა შვილებმა? კიწს ვერსად ასწყვეტავენ, რო უნდოდეთ, კიწს! ტაბარუკი კაცი სოფელში გასაჩენი არ არის. აბა, შენი ჭირიმე, ხვალე რომ გადავბრუნდეთ და დავიხოცნეთ, რა უნდა დარჩეთ ჩვენ შვილებსა? რით უნდა შეინახონ თავი? შენსავით სხვის კარზე უნდა გამოიზარდნენ წვითა და დაგვით და თავისი დღენი სხვის სამსახურში დალიონ! ან ვინ იცის, ორი ძმა ერთად აღარა დგება ამ დროში, ღმერთმა კი დღე მისცეს ჩემს ლექსოსა და ვანოს, ხვალე რომ დაშორდნენ ერთმანეთს, ერთი ქოხის მეტი რა გააჩნიათ? ერთი რომ აქ დაფუძნდეს, მეორე საითღა წავიდეს გეთაყვანე? არა, არა, უნდა წელებზე ფეხი დავიდგათ, ჯანი უნდა გავიგდებინოთ და ჩვენს შვილებს კი ერთი-ორი ადლი მამული შევძინოთ როგორც იყოს.

— „დავწვრილშვილდი — დავიწიე, დამეზარდნენ — ავიწიეო“, — უპასუხებდა ამაზე ზალიკო იმედიანად. — ვენაცვალე ღმერთს, ლექსო მომესწრო, მალე ვანოც შეძლებს სახრის აღებას და სასახლესაც შევიძენთ და სავენახესაც.

თითქმის ყოველ საღამოს, როდესაც დამაშვრალი ზალიკო წამოწვებოდა დარაკრაკებულს ეზოში, ცოლსა და ქმარს ამისთანა მუსაიფი ჰქონდათ ხოლმე. მერე შეუდგებოდნენ ამის ფიქრს, როდის დავაქორწინებთ ლექსოსაო, როგორი ქალი ვითხოვოთ და სხვა ამისთანები. მაგრამ ნათქვამია: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო!“ სწორედ ასე დაემართათ მომავლით აღფრთოვანებულთ ჩვენს ზალიკოსა და მარიამს.

ქ-ს მხარეს უბედურება ეწვია. ოთხს წელიწადს ზედიზედ მოსავალი არ მოვიდა. დაიმშა აგრეთვე ს. ყორეთიც. საწყალი ზალიკო სრულიად მოუმზადებელი დახვდა ამგვარ შემთხვევას. დღიური მუშა იყო და, ერთს დღეს თუ ხელს არ გაიქნევდა, მისი ცოლ-შვილი მშიერი უნდა დარჩენილიყო. ახლა რაღა ქნას? სამკალი არავისა აქვს და სათოხნი. პურის ჭამისათვისაც კი აღარავინ იშველიებდა! ყველას თავისი თავი გას-

ჭირებოდა. მაგრამ ეს არ აკმარა ბედმა ზალიკოს. ლექსო, ეს „ოჯახის დედაბოძი“ ლექსო, სალდათად წაიყვანეს. მერე რა დროს! მაშინ, როდესაც „დანა ყელთანა ჰქონდა მიბჯენილი!

— ვაი, რა უდრო-უდროოდ ჩამომაცალეს მარჯვენა! ვამბობდი — ერთ-ერთი სახლში დავტრიალდებით, მეორე ან ქალაქისკენ წავა, ან ლეკში, ეგებ ერთი-ორი გროში ვიშოვოთ-მეთქი, და, დახე, დახე, რა მოგვვიდა! ვის მივატანო? რა წყალში ჩავვარდე? წავიდე საითმე სამუშაოდ, აქ ცოლ-შვილი ვის ანაბარას დავტოვო? მერე მაშინ, როცა მუჭაზე დაყრა არა აქვთ რა! ან ხელი როგორ მოვაწვდინო იქიდან, ან ხმა? კაცს ჯანი მთელი ჰქონდეს, მკლავში — ძალა, მუხლში — ღონე და შინ ცოლ-შვილი კი მშიერი ეხოცებოდეს! გაგონილა?! არა, არა! ყველაფერი მინახავს, ყველაფერი. ერთი წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა ჩემს ი.ავზე თორემ სხვაფრივ ყველა ტანჯვა გამომივლია და ესეთი კი არასდროს. ოჰ, ღმერთო! რად აიღე ჩვენზე ხელი? რად გაგვიწყვიტე ვარცლში სეფისკვერი?..

ასე მოთქვამდა გულდაკოდილი, გულხელდაკრეფილი ზალიკო და მიაპყრობდა ცრემლიან თვალებს სახლის პირდაპირ პატარა მთის წვერზე აშენებულ ეკლესიას.

შემოესმოდა ზალიკოს ამ დროს ტირილი პატარებისა, რომელნიც შეჰღნაოდნენ დედას და სთხოვდნენ პურს. თითქოს ლახვარი დაუტარეს ზალიკოს გულ-ღვიძლსაო, ისე დაეპრანჭებოდა ხოლმე სახე, დაამტვრებდა თვალებს პატარებსა, მაგრამ ისევ მალე მოარიდებდა პირსა და მოჰყვებოდა ჩუმად ქვითინსა. რასაკვირველია, არც მარიამი იყო ამ დროს მოსვენებაში. მდევივით დედაკაცი, რომელზედაც მეზობლები იტყოდნენ ხოლმე — კაი ვაქკაცს შეეჭიდებაო, — ჩამოლხვა, თვალები ჩაუცვივდა და ოდესღაც ღაჟღაჟა ლოყებს სიყვითლე გადაეფარა. დარდისაგან გონება დაუჩლუნგდა და მკვირცხლი, ყველაფერში მოაზრებული მარიამი, ახლა ძლივს-ღა დალახლახებდა დანით ხელში და ბოხჩით იღლიაში სოფლის ორღობეებსა და ბაღჩებში ჭინჭარ-მხალ-ხაჭიჭორას საკრეფად და ამგვარად, ორი-სამის დღის მშივრები, უმარილო წყალში მოთუთქული ბალახით იბრუნებდნენ სულს. თანდათან ამისთანა კვების საღსარიც ილეოდა და დიდით პატარამდე მოჩვენებას დაემსგავსნენ. საწყალმა ზალიკომ მხოლოდ ეხლა გამოიმეტა თავისი ერთადერთი ოთხფეხი, პატარა ხბო, ორ მანეთად მიჰყიდა მედუქნე ივანეს. შვილივით გაზარდა ზალიკომ ეს ხბო და მომავალში დიდი იმედი ჰქონდა მისი, ისევე შესტრფოდა თითქმის, როგორც თავის ღვიძლ შვილს ვანოს. თვით ცაცასა და ვანოს ამ ხბოს გაყიდვით მოსწყდათ გულიდან უსაყვარლესი ამხანაგი და ისეც ნაღვლიანი მათი გული მწარედ მოიწამლა. ოჰ, რა ხუჭუჭი ბალანი ჰქონდა! რა ალერსიანი თვალები, რა საყელუ-

რით იყო მორთული მისი კისერი! როგორ გვილოკავდა ხელებს სიყვა-ჩრულის ნიშნადაო!

მედუქნე ივანემ წაიყვანა მათი „კუდვარდა!“ მაგრამ ამ ორის მანე-თით რა მანძილი უნდა გაევლოთ ზალიკოს ცოლ-შვილს! დუქნის კა-რებზევე უკანვე მისცა ივანეს ეს ფული და სამაგიეროდ ნახევარი კოდი პური გამოართვა. ეს დღესა ჰყოფნოდა, ხვალა, ხვალზევითა, ერთი კვირა, მერე? მერე ისევ ან შიმშილით დავიხოცებით, ან მხალ-ხაჭი-ჭორ-ღოლოცოფა გადაგვიტანსო. დიდხანს ებრძოდა ზალიკო ამ აზრს: წავიდე თუ არა ქალაქისაკენაო. და ახლა კი გადაწყვიტა, მაგრამ მაინც გული სხვას ეუბნებოდა: სად მიხვალ, რომ მიხვალ? — ეუბნებოდა ერთი გული, — შენს სოფელში სიკვდილი გერჩივნოსო. ტკბილი ყო-ფილა სული, ტკბილი! ბოლოს მაინც მიატოვა ზალიკომ თავისი კოპწია ქოხი, საყვარელი სოფელი და მეზობლის ქირაზე მიმავალ ურმით ქა-ლაქში ჩამოვიდა ცოლ-შვილით; მაგრამ სწორედ აქა ჰპოვა ზალიკომ ის, რასაც სოფლიდან გამოექცა. რკინიგზაზე, საცა ის მუშაობდა, ორთქლის მატარებელმა იმსხვერპლა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისი, რომ დღეს ვანო და ცაცა სამათხოვროდ დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა; ესევე იყო მი-ზეზი, რომ ამდენ დარდ-ბოროტისაგან ისეც ჯანგატეხილი მარიამი ლოგინად ჩავარდა.

— რა უნდათ, ვანო, იმ ბიჭებს ჩვენგან? — ჰკითხა ვანოს ცაცამ, როდესაც ისინი შედგნენ და დაინახეს, რომ ბიჭი აღარ მისდევდა.

— ისა, ცაცა ,რომ ნუ მათხოვრობთო.

— მაშ, რა ვქამოთ, რომ არ ვითხოვოთ? არა, მაგისთვის არა. განა დედამ მოგვატყუა, რომ გვითხრა: წადით, შვილებო, ითხოვეთ, ღვთის-ნიერი კაცი არსად არ დაილევა, ლუკმა პურს მოგაწვდიანო? — ჰკითხა კვლავ ცაცამ.

— რა ვიცი, — უპასუხა ვანომ, — ჩვენ კი ვერაფერი ვიშოვეთ-რა და...

— იქნება მაგათ ასე ჰგონიათ, რომ ტყუილად ვთხოულობთ?

— როგორ თუ ტყუილად? — დაეკითხა თავის მხრივ ვანო.

— ისე რომ, გახსოვს მე, შენა და ნენე რომ „მათხოვრობიას“ ვთა-მაშობდით ხოლმე?

— მაშინ, ცაცა, ეხუმრობდით, ეხლა კი მართლა ვთხოულობთ, მა-შინ რად გვინდოდა, რომ გვეთხოვნა: მამა ცოცხალი გვყვანდა და დე-დაც ავად არ იყო.

ორივენი ჩააფიქრა ამ მოგონებამ, მერე შეხედეს ერთმანეთსა და ცრემლებით აემღვრათ თვალები.

— საწყალი დედა! — წარმოსთქვა ცაცამ ტირილმორეული ხმით: — წუხელის გამომეღვიძა და ისეთი კვნესოდა, ისეთი, რომ ჰა! მერე რა-

ღაც ლაპარაკი დაიწყო. მამას ელაპარაკებოდა; ასე ეგონა მამა ისევ ცოცხალიაო; მე შემეშინდა და საბანში გავეხვიე.

— სიცხეში იქნებოდა, ცაცა, შარშან შენც რომ ავად იყავ, ძილში რაღაცეებს ლაპარაკობდი. გუშინ და დღეს არა უკამია რა, წამო ჩქარა, ვიშოვოთ რამე და წავუღოთ! — ცრემლების წმენდით სთქვა ვანომ.

— არა, ვანო, დილას ვკითხე: დედი, ხომ არა გშიან მეთქი, და არაო, წყალი კი ბევრი, ბევრი დალია, — უპასუხა ცაცამ.

— როგორ არ ეშივება. წამო, წავიდეთ, როდემდის უნდა ვიდგეთ აქა!

— აბა, საით წავიდეთ? — დაეკითხა ცაცა.

— აგერ იმ ქუჩას დავყვეთ, — სთქვა ვანომ და გაიწოდა ხელი ერთ ვიწრო ქუჩისაკენ. ორივენი გავიდნენ იმ ქუჩაზე და გაჩერდნენ ერთი სახლის წინა. ჰხედავენ: ცაცას ტოლა ქალი შემჯდარა ფანჯარაზე, მარჯვნივ მოუსვამს ერთი მუქა ძაღლი, პატარა ფინია, მარცხნივ — ბოხვერა კატა, — რომელნიც რძეში ჩამტვრეულს პურს შეექცევიან. ვანომ ერთი ჩაახველა, პატარა ქალბატონმა გადმოიხედა ძირს და დაუწყო ამაყად ყურება, თითქოს ეუბნება: მე გიშერაცა მყავს და ციცუნიაცა, ჰხედავთ, ვაძლობ რძითაო! მერე მიუტია გიშერა, რათა ეჩვენებინა მათთვის მისი უნარი, გიშერამ უფრო დაიწკმუტუნა, ვიდრე დაჰყეფა.

— წამო აქეთ, წამო, ძაღლმა არ დაგვგლიჯოს! — გამოსწია ხელით შეშინებულმა ცაცამ ვანოსა.

— ნუ გეშინიან, ცაცა, ფანჯარას ხომ ვერ გამოამტვრევს? — მიუგო ვანომ და შემდეგ დარცხვენით მიჰმართა პატარა ქალბატონს: — გვაჩუქე რამე, ობლები ვართ!

— დედა შინ ავადა გვყავს! — დაუმატა ცაცამ, მაგრამ პატარა ქალბატონს არც კი გაუგონია მათი სიტყვები. ის იცინოდა, უხაროდა გიშერას ყეფა და უფრო ასისიანებდა. ამ დროს მეორე ოთახიდან გამოვიდა შუახნის ქალი, ძილისაგან თვალებშეშუპებული. ეტყობოდა, მოსვენება დაეფრთხოთ მისთვის. ქალმა სამდურავით მიჰმართა პატარა ქალბატონს, რომელიც ტაშის ცემით ახალისებდა გიშერას.

— არა გრცხვენიან, ნინიჩკა, რა ხმაურობაა? „მამაშა“ და „პაპაშა“ გამოაღვიძე!

— მერე რა, რა ჩემი ბრალია? — იცრუა ნინიჩკამ. — აგერ იმათ ააყეფეს გიშერა!

— აბა, ვინა? — ჰკითხა ქალმა.

— აგერ, გადიხედე, ფანჯარას ქვეშ ვინა დგანან? — უპასუხა ნინიჩკამ და თანაც ვანოსა და ცაცაზე მიუთითა. ქალმა გადიხედა და მართლაც ჩვენი მათხოვრები დაინახა, რომელნიც ელოდებოდნენ: ან

ახლა გადმოყოფენ მოწყალე ხელს, ან ახლაო, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, მოწყალე ხელის მაგიერ გადმოეყუდა თმააბურძგვნილი თავი განრისხებული თვალებით.

— ჰაი, თქვე მხეცებო, მხეცის შვილებო, როგორ გაბედეთ ამისთანა თავხედობა? თქვე ქუჩა-ქუჩა მათრეველებო! დაიკარგენით აქედან, თორემ დავუძახებ ბიჭებს და სულ კისერში ცემით გაგარეკვინებთ!

ვანომ და ცაცამ განაბეს სული და ცივად მოშორდნენ იმ სახლს. მიდიან თავჩაღუნულები, გულდაწყვეტილები. უცებ უკანიდან მოესმათ სიცილ-ხარხარი. შიიხედეს და დაინახეს ორი ყმაწვილი და ორი ქალი. მათ ცაცასა და ვანოს ახლო გაუარეს, მაგრამ ბედნიერებას დაებრმავებინა მათი თვალები და ცაცასა და ვანოს საამოწყალოდ გაწვდილი ხელი ვერ შეხიშნეს. იქავ, რამდენსამე ნაბიჯის სიახლოვეს, ეკლესია იყო, და ჩვენი პატარები მივიდნენ და მიეყუდნენ მის გალავანს უმედოდ. სხვა დროს უშოვიათ ცოტა რამ მაინცა და დღეს კი სრულებით ბედი არა სწყალობთ. იდგნენ პირმოკუმულები, ხმაგაკმედილები, ორივენი ფიქრმა წაიღო, ვინ იცის, რა ბალღამი სწიწკნიდა მათ ნორჩ გულს! მალი-მალ დაეპრანჭებოდათ სახე და ისეთს ამოიოხრებდნენ, თითქო ქვა ედვათ გულში და მის ამოგდებას ცდილობენო.

უცებ ჰაერში გაიზრიალა მედგარმა ხმამ. ვანო და ცაცა შეკრთნენ, ეს საღამოს ლოცვის ნიშანი იყო. ზარის რეკა იწვევდა ქრისტიანთ ტაძარში სალოცავად. აგერ ერთი ქურქოსანი გადმოხტა კიდეც ეტლიდან, მიბრუნდა აღმოსავლეთისაკენ და რამდენჯერმე დაიწერა პირჯვარი, მერე გაემართა ტაძრისაკენ. ვანომ გადადგა მისკენ რამდენიმე ნაბიჯი და ხელი გაუწოდა მოწყალებისათვის. ქურქოსანმა შუბლი შეიკრა, ჩასისხლიანებული თვალები გადმოაბრიალა და ჯოხი, რომელსაც აქნობამდის მიათრევდა, ახლა ხელში მოიმარჯვა, „წყეულები გზასაც აღარ აძლევენ მლოცველებს!“ — წაიბუტბუტა მან და შევიდა ტაძარში.

ვანო ჯვლავ აეყუდა კედელს ცაცას გვერდით და ორივენი კარგა ხანს იყვნენ გაჩუმებულნი. სიცივემ აიტანა მალე ორივენი. მალიმალ იორთქლებდნენ ხელებზე და ნახევრად ტიტველა ფეხებს გაყინულ თოვლზე აფხაკუნებდნენ. ხმის ამოღება ვერც ერთს ვერ გაებედნა, თითქოს თვით იყვნენ მიზეზნი თვისის უბედურებისაო. სუსხიანმა ნიავმა მათი პირისახე ჯერ ააწითლა, მერე გაალურჯა. მათს ლოყებზე აქნობამდის შეუმჩნეველი ბუსუსები ახლა ყალყზე შედგა. კბილებმა ძაგძაგი დაუწყეს. თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდათ სიცივის სიმწარითა.

აგერ ერთი ცრემლი ცაცას თვალებიდან თოვლს დაეცა, მას მოჰყვა მეორე, მესამე, ახლა კი ვეღარ შეიკავა თავი ცაცამ და ქვითინი დაიწყო. ვანოს, რომლის თვალებიდანაც არანაკლებ გადმოდიოდა ცრემლი,

უნდოდა შეეყენებინა უკვე ყელში მობჯენილი გმინვა, მაგრამ ვეღარ დასძლია და ტირილითვე თანაუგრძნო დას. ტირიან ორივენი, ცრემლებიც თითქო ეშურებიან ჩქარა შეუერთდნენ ცივ ჰაერს და მოგორავენ ლოყებზე შეუწყვეტლივ. ვანომ ერთს წუთს, როგორც იყო, შეიმაგრა თავი, წაავლო ცაცას მკლავებზე ხელები და მუდარა დაუწყო:

— სუ, ცაცა, ნუ ტირი, შენი ჰირიმე, გოგო, დაჩუმდი...

ცაცას უფრო ამოუჯდა გული. ვანოს უნდოდა რითიმე ენუგეშებინა ცაცა, მაგრამ რო ვერა მოიგონა რა, თვითონაც ისევ ტირილი დაიწყო. მუშებს სამუშაო აეშვათ და ფეხაკრეფით მოდიოდნენ. ვანოსა და ცაცას ახლოს გამოიარეს. ერთი მათგანი, რომელსაც, როგორც ემჩანდა სიარულზე, ფეხი უნდა სტკიებოდა, ხანხალით მიეყუდა მათ ახლოს და, რა გაიგონა ბავშვების ტირილი, დაეკითხა:

— რათა ტირით, პატარებო?

პასუხი არ იყო.

— გცემათ, ვინმემ? — კვლავ ჰკითხა მუშამ. მისი ალერსიანი კილო იამა ცაცასა და ვანოს. იმისთანა თვალებით შეხედეს მუშას, რომ აშკარად ეუბნებოდნენ: გვკითხე, კიდევ გვკითხე რამე, გვიამა შენი ლაპარაკიო. იმანაც, თითქოს მიხვდაო, ხელი გადაუსვა ვანოს თავზე და კვლავ ჰკითხა ტირილის მიზეზი. ვანომ ახლა კი უამბო თავიანთი უბედურება.

— ღმერთო, ღმერთო მოწყალეო! — ამოიოხრა მუშამ და თავი ჩაჰკიდა.

ლოცვა უკვე გათავებულიყო, ხალხი გარეთ გამოვიდა. მუშამ ხანხალით გასწია მათკენ. მოიხადა ქუდი და თან მობუზულ ბავშვებზე ანიშნებდა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. „ოჰ, რამ გაუქვავა ამ ხალხს გული!“ — წარმოსთქვა კვნესით მუშამ და კვლავ აეყუდა ვანოს გვერდით. ცოტა ხანს შემდეგ ჩაიყო ჯიბეში ხელი, რაღაც ძონძი ამოიღო და ჩხრეკა დაუწყო; მერე გაიქნია და უიმედოდ გადახედა ბავშვებს.

— ამაშიაც არა გდია რა, ამ ტიალში! — მწარედ წაიდუდუნა მან და ჩაჭყუნა დახუხულის ხელებით ძონძი ისევ ჯიბეში. ახლა ისე ეს ბავშვები არ იტანჯებოდნენ, როგორც ეს მუშა, რომელსაც უნდოდა ენუგეშებინა ისინი, მაგრამ ქისამ უმტყუნა.

— წადით, წადით შინ, დედასთან! — უთხრა გულდაწყვეტილმა მუშამ და ხანხალით გაუდგა თავის გზას.

ცაცა და ვანო ისევ მარტონი დარჩნენ. ტირილმა სევდა შეუმსუბუქა; შიმშილი გადაუვარდათ, მაგრამ დედასთან მაინც ხელცარიელთ არ უნდოდათ მისვლა.

— კიდევ ვიაროთ, ცაცა, ეგებ ვიშოვოთ რამე! — უთხრა ვანომ.

— წავიდეთ, — უპასუხა ცაცამ და ჩვენი მგზავრები მეორე ქუჩას მიეფარნენ.

შებინდდა... ქუჩაში ფარნები აანთეს. ზოგმა დუქანს ნახევრად დარაბები აუყარა, ზოგი კი ისევ გაჭიოდა და აქებდა თვისის საქონლის ღირსებას. ერთი დუქნიდან თარის წკრიალი გამოდიოდა, იქ ტვინის ნიშადურს უკვე ციხე აეღო, რადგანაც ერთმანეთში ურევდნენ: „შენ რა გინდა, მე რომ ვლოთობ, ძმობილო“... „სიცივე ვერას დაგვაკლებს, თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს“... აგერ სამთ ხელგადახვეულთ შეაჯახუნეს ტრაქტირის კარები, საიდანაც ხშირი ორთქლი გამოვარდა და ჰაერში გაიბნა ზლაზვნითა.

აგერ კიდევ ორნი გაჩერებულან შუა ქუჩაში და, დილით ერთმანეთის მტერნი, ძმად იფიცებიან ახლა, თუმცა ენა აღარ ემორჩილებათ და ფეხებსაც ძლივსღა იმორჩილებენ. მეორე უფრო განათებულს ქუჩაზე, ერთი სახლის კარებთან, დიდი ფაცაფუცია. მარდად შერბიან და გამორბიან მოსამსახურენი. ქალბატონი და ბატონი სადღაც ემზადებიან. დიდი ხანია, რაც ეტლი უცდით. ამ დროს ორი პატარა არსება გამოვიდა ქუჩის ცერიდან და ეტლისაკენ მიიმართნენ. ეს ვანო იყო თავისი დით. ვანომ ქუდი მოიხადა და მიჰმართა მეეტლეს.

— გვაჩუქე რამე, აგრემც ღმერთი შეგეწევათ.

მეეტლემ გვერდზე გადმოიხედა და, რა დაინახა სამოწყალოდ გამოწვდილი ხელი, დაეკითხა:

— რაღა დროს საშოვარზე სიარულია ამ შუაღამისას?

— რა ვქნათ, რომ შუადღეს აქეთ დავდივართ და ვერა ვიშოვეთ რა.

— რატომ დილიდანვე არ გამოსულხართ? — კვლავ დაეკითხა ვანოს მეეტლე.

— დედა შინ ავად არის და თავი ვერ დავანებეთ, — უპასუხა ვანომ.

— მამა არა გყავთ? — ჰკითხა კიდევ მეეტლემ და ფანი ხელი წაიღო ჯიბისაკენ.

— არა, — უპასუხა ნაღვლიანის ხმით ცაცამ.

— ახლო მოდი, — უთხრა მეეტლემ ვანოს და ჩაუგდო გამოწვდილ ხელში შაური, თანაც დაატანა: — აქ მოიცადეთ, საცაა ქალბატონი გამოვა და გაჩუქებთ რასმე.

ვანო და ცაცამ არ იცოდნენ, როგორ გადაეხადათ ამ კეთილ კაცისათვის მადლობა. მაგრამ მათი თვალები აშკარად ამბობდა იმას, რაც მათს გაუწყრთნელს ენას ვერ გამოეთქვა. საწყლები ვერ იშვნევდნენ ახლადდაწყებულს ხელობას და მათხოვრის ლაპარაკი ჯერ არ შეესწავლათ. დიდხანს არ მოუხდათ აქ მოცდა: კარები გაიღო და ქალბატონი გამობრძანდა, რომელსაც უკან ბატონი მოსდევდა.

ქალბატონმა კაბის სწორებაში წინ დაიხედა და თვალი მოჰკრა პაწია ძაღ ლს.

— უი, დამიდგა თვალები, — ისე შეჰკივლა, გეგონებოდათ, დიდი რამ უბედურება მოხდაო, — აგერ, აგერ შენი გამგონი ბიჭები! რამდენჯერ გთხოვე, ესენი დაითხოვე, სხვები დაიჭირე-მეთქი და არა, არ იქნა, შენ ყურიც არ შეიბერტყე! ერთი ბეწო ხათრი არა გაქვს ჩემი! ეჰ, უბედური ვარ, უბედური!

— საკვირველია, ღმერთმანი, აბა, რა გატირებს, ქალო! მაშ ვილასი ხათრი მაქვს, თუ არა შენი?

ქალბატონი თავისას იმეორებდა: — უბედური ვარ, უბედურიო!

განრისხებული ბატონი მოსამსახურეებს მიუბრუნდა:

— თქვენ ჭამის მეტი არა ხართ რა! არა, ეს ერთი პაწია ძაღლი ვერ შეგინახავთ? ნაბრძანები არა გქონდათ, გარეთ ნუ გამოუშვებთო! იცოდეთ, ამ თვის ჯამაგირს შუაზე გაგიყოფთ! — და განკარგულების შემდეგ, რომ ძაღლი შინ შეეყვანათ, გაეთბოთ, ეჭმიათ, მოესვენებინათ, გაუყარა თავის სიცოცხლეს მკლავში ხელი და ეტლს მიუახლოვდნენ.

— ესენი რას გაჩერებულან აქ? — იკითხა ქალბატონმა, როდესაც ვანო და ცაცა შენიშნა ეტლის გვერდით.

— მოწყალებას თხოულობენ, — მიუგო მეეტლემ.

— დაიკარგენით აქედან, მოწყალებას კი ნუ თხოულობენ, შრომით იშოვონ ლუკმა, მაგრამ რომ ზარმაცნი და მატანტალანი არიან! უშრომოდ არავის არ მოსდის, ჩვენ თუ გვაქვს, კიდეცა ვშრომობთ! — და აქ შეხედა თავის ვაუბატონს, რომელმაც სახის მეტყველებით აგრძნობინა, შენი ნათქვამი ხალასი ჭეშმარიტებაო.

ეტლი დაიძრა თეატრისაკენ.

— დრამა „ორი ობოლი“ ვნახოთ რა იქნება, სათაური კი მაგდენი არაფერია! ჰა, შენ რას იტყვი, ჩემო იულია? — ისეთი კილოთი დაეკითხა ვაუბატონი თავის იულიას, თითქოს ემუდარება: შენი ჭირიმე, აქ მაინც მელაპარაკე, თუ თეატრში ხმას არ გამცემო, მაგრამ მის იულიას არც კი გაუგონია მისი ლაპარაკი, ის უკვე თეატრში იყო, ანტრაქტზე, ფიქრით, და იმ ყმაწვილს, რომელზედაც გული შეჰვარდნოდა, ტკბილად ემუსაიფებოდა. მართლაც, ამ დროს რომ მისთვის შეგეხედათ ახლოდან, შეატყობდით, უკვე „როლში იყო შესული“, ლოყები ასწითლებოდა, თვალები ხან მაცდურად ეხუჭებოდა, ხან აღგზნებული ტრფობის ნაპერწკლებს ისვროდა; ტუჩები უთრთოლავდა. დღესაც, როგორც ყოველთვის, ეს ქალბატონი დიდხანს იდგა სარკის წინა და ვარჯიშობდა, როგორ დავიჭირო თავი, როგორ მოვიხმარო თვალები, რომ მოჯნურს გულს ისარი გავუწონო ტრფობისაო. ახლა უყურეთ, როგორ

თავბრუ დაჰხვიოს იმ ყმაწვილს, რომელიც უეჭველად „პრედლოჟენიეს“ გაუკეთებდა, ქმრიანი რომ არ ყოფილიყო.

ვანომ ზიზღით თვალები გააყოლა ეტლს და მერე ცაცას მიუბრუნდა:

— წამო, ცაცა, ამ შაურისა პური ვიყიდოთ და შინ წავიდეთ, ახლა თხოვნის დროც აღარ არის, დაღამდა.

— არა, მაშ... ისეთი მეშინია, რომ ჰა? გახსოვს, ცოფიანმა ძაღლმა თინა რომ დაგლიჯა? — სთქვა ცაცამ და აქეთ-იქით მიიხედა შეშინებულმა.

— ცოფიან ძაღლს რა უნდა აქ, ქალაქია, განა სოფელია რა? — ასე ლაპარაკით მივიდნენ პურის მცხობელთან, იყიდეს შაურის პური და გაეშურნენ შინისკენ. მიისწრაფიან ხმაამოუღებლივ და მხოლოდ იმასღა ფიქრობენ: როგორ გავახარებთ დედას, პურს რომ მივუტანთო. მაგრამ უცებ შედგნენ და თითქმის ერთხმად წამოიძახეს:

— გზა კი არ აგვერიოს და...

— მართლა, ეს ქუჩა სრულებით არ მენიშნება, აბა, ჩვენი სახლი საით უნდა იყოს? — დაეკითხა ცაცა ვანოს.

— აბა, რა ვიცი, აგერ ხიდი, მგონი იმ მხარეს არის და ჩვენ ხომ ხიდზე უნდა გავიაროთ?

— არა, ვანო, იქით კი არა, აქეთ უნდა იყოს ხიდი, — მიუგო ცაცამ და გაიწოდა ხელი, — მაგრამ რომელ გზით გავალთ იმ მხარეს? ეს წყეული ქუჩები სულ ერთმანეთს ჰგვანან.

— ვკითხოთ ვისმე, — სთქვა ვანომ.

— ვკითხოთ, მაგრამ რუსული რომ არ ვიცით?! — უპასუხა სასოწარკვეთილებით ცაცამ.

— ჩოხიანი გამოივლის ვინმე და იმას ვკითხოთ.

— ჰო, ჩოხიანი ქართველი იქნება!

მათ ბედზე, მართლაც ვიღაც ჩოხიანმა გამოიარა.

— ხიდი, არ იცი, საით არი? — დაეკითხა ვანო.

— რომელი ხიდი?

— აი, მოაჯირი არა აქვს, ის ხიდი.

— არ ვიცი, ძამია, აქ სულ მოაჯირიანი ხიდებია. რად გინდა ხიდი?

— სახლისაკენ გზა ვეღარ გაგვიგვნია და, თუ ხიდი ვიპოვეთ, მერე მივაგნებთ, — მიუგო ვანომ.

— რომელი ხიდი გენდომებათ თქვენ: კუკიისა, ვერისა, ავლაბრისა?

— არ ვიცი სახელი, — კვლავ მიუგო ვანომ ჩოხიანს, რომელმაც არხეინად განაგრძო თავისი გზა.

ექვსი თვე იყო, რაც ვანო და ცაცა ქალაქში ცხოვრობდნენ და მხოლოდ ერთი ქუჩა იცოდნენ, ისიც, იმიტომ, რომ ამ ქუჩაზე დადიოდნენ მამასთან იქ, საცა მუშაობდა სიცოცხლეში. თვითონ ვერ გადიოდნენ ქალაქში, რადგანაც დედა აფრთხილებდა, ეტლმა არ გაგეყლიტოთო და მას კიდევ სადა ჰქონდა იმდენი მოცლა, რომ ისინი ეტარებინა. იმიტომ მოხდა. რომ დღეს ასე უცებ აერიათ გზა.

— მაშ, რა ვქნათ, ვანო? — დაეკითხა უიმედოდ გულდაწყვეტილი ცაცა.

— ვიაროთ, როგორმე მივაგნებთ ხიდს და მერე ხომ მალე ვიპოვით სახლსაც.

— კარგი, — მიუგო ცაცამ, — ჩქარა კი ვიაროთ, თორემ დედა ძაან იწუხებს.

გაუდგნენ გზას. ერთი ქუჩიდან მეორეში გადადიან, მეორიდან მესამეში, ხან ერთსა და იმავე ქუჩაზე რამდენჯერმე უხდებათ გავლა, მაგრამ ვერ ამჩნევენ. ერთი სიტყვით, დაებნათ გზა და მაინც მიდიან, მიისწრაფვიან დაუსვენებლივ.

შუაღამე გადასული იყო. ქუჩებში ხმაურობა აღარ ისმოდა, მხოლოდ ხანდახან ასასი თუ დაახველებდა სადმე მაღაზიის წინ მიწოლილი. თოვლი ნელ-ნელა ჰბარდნიდა არემარეს. ამ დროს ორი პატარა არსება გამოჩნდა ელექტრონით განათებულ ქუჩაზე. შედგნენ, რაღაც ითათბირეს, ნერე მიიმართნენ იქავ მაღაზიისაკენ და ჩაიჩოქეს კედლის ძირას საფარქვეშ.

— ასე ვიყოთ, — წარმოსთქვა ერთმა მათგანმა. — ცოტა შევისვენოთ და მერე წავიდეთ ისევ.

— ჰო, ჰო! — ამაღამ თუ დედასთან არ მივედით, არ იქნება! — მიუგო მეორემ აკანკალებულის ხმით.

რასაკვირველია, მიხვდებოდით, ვინ იყვნენ ეს მოსაუბრენი. ცაცა და ვანო დიდხანს ისხდნენ გაჩუმებულნი. დაღლილებს ძილი ერეოდათ. ძილს უმაგრდებოდნენ, მაგრამ, თავისდა უნებურად, მძიმე-მძიმედ იშლებოდნენ ცივს ქვაზე. ბოლოს მოიკრუნჩხეს ტანი, გადახვიეს ერთმანეთს მკლავები და წუთს შემდეგ ხვრინვა ამოუშვეს. სძინავთ... მაგრამ ვაი ამისთანა ძილს: ხან ერთი შეხტება და წამოიძახებს „ვაი, ვიშ“, ხან მეორე. როგორც იყო, დამშვიდდნენ და საზარელი სიზმრების მაგიერ, ახლა სასიამოვნო ეჯარებოდათ; ჰხედავდნენ ვითომ სოფელში არიან. საღამოა. თავიანთ ქოხ წინ „ცხენაობას“ თამაშობენ. გარბიან და გამორბიან, ხან ერთის ცხენი გაასწრობს, ხან მეორისა; უხარიანთ, იცინიან, იცინიან! აგერ მათი დედა, რომელმაც შეჭამადით კოქობი შემოდგა ცეცხლზე, მოდგა კარებზე და ეუბნება: „გეყოფათ, შვილებო, თამაშობა, ცოტა ხანს ჯოხები დაჰყარეთ და „ცივ-ცივადან“ წყალი გადმოარბეი-

ნეთ, მამათქვენი მოვა დაღლილი და ცივი წყალი ეამება“. ისინი შეცვივდნენ სახლში ჭურჭლებისათვის.

— ეს კოკურა მე უნდა წავიღო! — შეეცილა ცაცა ვანოს.

— არა, ცაცა, შენ ვერ მოერევი, გასტეხამ. მაგას მე ავიკიდებ!

— დიახ, დიახ, ვერ დავძრამ! შენ კი დასძრამ და მე კი ვერა? — თავმომწონედ უპასუხა ცაცამ. როგორც იყო, მოშველდნენ. მიდიან წყალზე; „ბროლიაც“ თან დაედევნათ. ბოსტნის გვერდზე ჩაიარეს. აქ დედამ ერთი კვალი დაუთმო, ბევრი რამ დათესეს ვანომა და ცაცამ ამ კვალში, აგერ იმათ მზესუქვერეტას როგორ ამოუყვია თავი; პირდაპირ ამათ უყურებს! აგერ აკაკის ხესთანაც მივიდნენ.

— ცაცა, — უთხრა ვანომ, — შარშან ხომ აგერ იქითა ტოტზე გვება საქანელა, წელს აქეთ ჩამოვაბათ, ეს ტოტი სჯობია.

— არა, ვანო, — მიუგო ისეთი კილოთი ცაცამ, თითქო დიდი მცოდნეაო, — ისევ ისა სჯობია!

აი ორღობეშიაც ჩავიდნენ, აქ ცაცა მიუბრუნდა ვანოს:

— ვანო, გახსოვს, დედამ რომ „ქადა-ქადა“ გაგვაქცევინა?

— როგორ არ მახსოვს, — მიუგო ვანომ. — მე აიმ კუნლის ძირში დავაწყე.

— მე კიდევ აექ, სწორედ აქ იყო ი ასკილის ტოტი, რომელზედაც ავასხი ყველი, ერბო, ქადა, — სთქვა ცაცამ.

მიდიან ასე ლაპარაკით. ყოველ საგნის დანახვაზე აგონდებათ რამ შემთხვევა. ყოველს ხესთან, ქვასთან, კედლის ნანგრევთან უეპველად რამ ერთობა აქვთ ორთავეს. აი, წყალზედაც მივიდნენ. ეცილებიან ერთმანეთს — არა მე უნდა ავავსო წინ, არა მეო. აავსეს ორთავ და ჰერი შინისკენ, ვინ წინა და ვინ უკანა! „ნელათ, შვილო, ნელათ, ჭურჭელი არ დაამტვრიოთ“, — უძახით დედა, რომელსაც ხელში ცოცხი უჭირავს და ეზოს აკრიალებს. მიცვივდნენ ქასქასით ეზოში. მამა მოსულიყო, გული გადაეღეღნა და შუბლზე ოფლს იწმენდავდა. ორთავ მიურბენინეს მამას წყალი; ორთავეს უნდათ თავისი მიტანილი წყალი დაალევინონ. მამაც არც ერთს არ იმდურებს, ორივეს ჭურჭლიდან სვამს. მთვარეც ამოვიდა. დედამ ვახშამი გამოიტანა. მოუსხდნენ ხონჩას. მოიდგეს ჯამები და გულიანად შეექცევიან. ვანო თავის „ბროლიას“ არ ივიწყებს, ცაცა თავის ღრუტუნა „მაშკას“. ერთს ლუკმას თვითონ შესჭამენ, მეორეს იმათ მიაწვდიან, პირში შესცქერიან და თან იცინიან, ხარხარებენ. დედ-მამაზე ადრე გაათავეს ჭამა, დედამ ქვეშაგები გამოიტანა და ეზოში გაშალა. ბავშვები გაგორდნენ ქვეშაგებზე, მაგრამ არ ეძინებათ. „ბროლია“ და განაყოფიანთ „ცუგია“ ერთმანეთს ეთამაშებიან. თვითონ იცინიან, ტლინკებს ისვრიან, სცემენ ერთ-

მანეთს ფეხებსა. როგორც იყო, ძილმა ოჯობა ცელქებს. სძინავთ ყველას. მთვარემაც აიმაღლაურა და ბედნიერ ოჯახს პირდაპირ დაა-შუქა თავისი მკრთალი ნათელი. ამისთანა სიზმრებში არიან ვანო და ცაცა. თოვლი კი თანდათან ძლიერდებოდა და თეთრი საბანი მალე გადაჰხურა. ქარი გულსაკლავის ხმით ნანას ეუბნებოდა მძინარეთა.

უცებ ზემო სართულში მოისმა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი. ეს ამბავი თეატრში იყო. სცენაზე „ორი ობოლის“ წარმოდგენა იყო და მაყურებელნი ტაშითა და „ვაშა“-ს ძახილით მსახიობთ ასაჩუქრებდნენ. ბევრ მაყურებელს მოულბო გული სცენაზე წარმოდგენილმა დრამამ და ორი ობლის უბედურებამ ბევრს მოჰგვარა თვალზე ცრემლი. „ოჰ, საწყალები!“ — იძახიან ერთნი; „ოჰ, რა უბედურებაა!“ — იძახიან მეორენი.

თვით იმ ქალბატონს, რომელმაც ვანოსა და ცაცას „ზარმაცები“ უწოდა, ყველაზე ძლიერ ჩამოსდიოდა ცრემლები, ყველაზე მეტსა წუხდა, და „კავალერს“ რომ არ დაეგურგურებინა, როგორც პაწია ბალღი უგურგურებს ხოლმე წითელ ვაშლს, რომელიც წუთის შემ-დეგ პირში უნდა გააქანოს, უეჭველად ისტერიკა დაემართებოდა.

აგერ მოვიდა ერთი ობოლთაგანი წყლის პირას, საცაა გადავარ-დება, თავის დასახრჩობად! მსახიობმა ისეთის ხელოვნებით წარ-მოადგინა ეს სურათი, რომ მაყურებელთ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, სკამებიდან წამოიწიეს და წესიერების დარღვევისა რომ არ შეეშინე-ბოდათ, სცენაზედაც კი გადაიკრებოდნენ.

მესამე დღეს გაზეთში გამოჭიმული იყო მეთაური წერილი და ქე-ბითა და დიღებით იხსენიებდნენ მსახიობთ; მკვერმეტყველებით იყო აგრეთვე აღწერილი ეფექტი წარმოდგენისა. ამავე გაზეთში, ახალ ამ-ბავთა შორის, მოთავსებული იყო შემდეგი: „გუშინ X-ის ქუჩაზე, თეატრის ქვემო სართულის კედელთან, იპოვეს ქალ-ვაჟი ერთმანეთს გადახვეულნი, პაწია პარკით; როგორც ემჩნეოდათ, მათხოვარნი უნდა ყოფილიყვნენ. უბედურნი გარეთ დარჩენილიყვნენ და თოვლს და-ეხრჩო. ამავე ღამეს ძალათუბნის ერთს ქოხში გარდაიცვალა უპატრო-ნო ქალი, რომელსაც შემდეგი მოწმობა აღმოაჩნდა: „მე, სოფელ ყო-რეთის მამასახლისი, ვაძლევ ამ მოწმობას ამავე სოფლის მცხოვრებელს ზალიკო სახრიშვილს თავის მეუღლე მარიამითურთ და მცირეწლოვანის ქალ-ვაჟითურთ, რათა ჩემი მხრიდან არაფერი დაბრკოლება არა აქვთ ქალაქში ყოფნისა სამუშაოდ ერთის წლის ვადით, რომელზედაც ხელს ვაწერ. ს. ყორეთის მამასახლისი ივანე ჭაჭუნაშვილი 189...“ როგორც აღმოჩნდა, ორი ზემოხსენებული თოვლში გაყინული ყმაწვილი ამ დედაკაცის ყოფილა. ასე დაიღუპა უბედური ოჯახი სულ ერთია-ნად!“ — დასძენდა გულშემატკივარი მოამბე გაზეთისა.

პირველი ჯამაგირი

— აბა, მარდად, ბიჭებო, მარდად! დღეს შაბათია!

— ბერე, რომ შაბათია?

— ისა რომ შინ გველოდებიან, გარეთაც გვიცდიან!

— ვინ, ვინ გელოდება შინ გელა?

— შინ კი ცრა, და გარეთ კი, ჰო!

— ჰაი, თუ უნდა გაუკრას საქეიფოდ!

— ეგ ბიჭმა იცის!

ასე საუბრობდნენ სტამბაში ასოთამწყობნი და თან უჯრა-უჯრად დაყოფილ ანბანს თითებით ჰკენკავდნენ; ზოგი უკვე აწყობილი ასოებისაგან შემდგარ სტრიქონის სვეტებთან ფუსფუსებდა, ზოგიც საბეჭდავ მანქანას უტრიალებდა.

— მეც მიმელიან! — წარმოსთქვა დინჯად პატარა გოგიმ და ისეთი კილოთი წარმოსთქვა, თითქოს მართლაც რამდენიმე კაცი შეკრებილა და დამზადებულა გოგის დასახვედრადაო.

— ხა, ხა, ხა, ხა! — დააყარეს სიცილი უფროსმა მუშებმა.

— არა, კაი რამესაც-კი გელიან, აი! — გაეხმაურა ერთი მათგანი.

— მიხვიდე თუ არა, დედაშენს უთხარ — სარკეში ჩაგახედოს! — დაუმატა მეორემ.

— ბებიაშენს-კი უთხარ, ცხვირზე ცოცხი ჩამოგისვას! — დასცინა კიდევ ვიღაცამ გოგის და კვლავ ასტყდა სიცილ-ხარხარი.

მართლაც და გოგის შინ მიელოდნენ მისი ქვრივი დედა და მოხუცი ბებია, მაგრამ ამხანაგები პატარა გოგის ამისათვის ხომ არ დასცინოდნენ! არა, ეს ექვსი დღეა, რაც პატარა გოგიმ სტამბაში მუშაობა დაიწყო და მისი ნამდვილი სახე მხოლოდ დილით თუ გამოჩნდებოდა ხოლმე.

— ვინ დაგბანა პირი, გოგი? — გაეხმაურებოდნენ უფროსი ამხანაგები დილა-ადრიანად სტამბაში მოსულ გოგის.

— ბებიამ! — უპასუხებდა გოგის მაგიერ სხვა ვინმე ამხანაგთაგანი.

— ვინ დაგხურა ქუდი უკუღმა, გოგი! — შეეკითხებოდა ახლა მეორე.

— გოვიმ, — შეეპასუხებოდა ისევ სხვა ვინმე გოგის მაგიერ.

მართლაც და გოგის, რომელიც ფაციფუცით და ჩქარა-ჩქარა გამოეშურებოდა ხოლმე დილა-ადრიან სტამბისაკენ, ხშირად უკუღმა ეხურა ქუდი. რაც შეეხება სახეს, დილის ათი საათის შემდეგ თვითონაც ველარ იცნობდა თავის თავს: შუბლზე შავი საბეჭდავი საღებავი, ცხვირზე — წითელი, ლოყებზე ლურჯი და მთლად სახეზე-კი ერთმანეთში არეული სხვადასხვა ფერი.

ჰოდა აბა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო გოგი, რომ ეს ასე არ მომხდარიყო? მაგრამ როგორ შეიძლებოდა, რომ ცხვირი არ მოეწმინდა, ნიკაპი არ მოეფხანა, თმა არ გადაექოჩრა, ლოყებზე ხელი არ მოესვა; და ხელები-კი, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო, მაინც საღებავში ჰქონდა მოსვრილი.

მეორეც ესა: უფროსი ამხანაგები არ აჩერებდნენ ერთ რომელიმე საქმეზე; ხან იქ მიუთითებდნენ, ხან აქეთ მიატრიალებდნენ, ხან რას მოატანინებდნენ და ხან რას. გოგის-კი რა გულით უნდოდა, რომ უფროსი მუშებივით ერთხელ მაინც გამოჭიმულიყო ასოების უჯრებთან და ნამდვილ საქმეზე ემუშავნა, ე. ი. ამოეწყო ასოები, შეედგინა სიტყვები, სიტყვებიდან კი სტრიქონები და სტრიქონები კი სვეტებად შეეკრა, რომ მეორე დღეს გაზეთში თავისი ნამუშევარი, თავისი აწყობილი წაეკითხა და ეთქვა: აი მუშა გოგი, რომელმაც ეს გაზეთი ამოაწყოო.

„რა ვქნა, თითქოს ბოროტი ხალხი არ უნდა იყოს, თითქოს კეთილი ხალხია ჩემი უფროსი ამხანაგები და რად დამცინიან? რად არ მაკეთებინებენ, რაც მე მინდა?“ — ასე ფიქრობდა ორ-სამ დღეს გოგი, მაგრამ, როდესაც ერთხელ ჩუმად მიეპარა ასოს უჯრებს და სცადა სიტყვის ამოწყობა, როდესაც პირველ ასოსთან მიტანილი მეორე ასო თითებში გაუძვრა და მესამე ასოს უჯრა ველარც-კი იპოვა სად იყო, მაშინ-კი მიხვდა, რომ ამხანაგები არა სტყუოდნენ, რომ ასოთაწყობა არც ისე ადვილი იყო, როგორც მას ეგონა და მის შესწავლას დრო და დაკვირვება უნდოდა.

რაც შეეხება დაცინვას, თვითონ უფრო გულიანად გადაიხარხარა, როდესაც ერთხელ ბაზარში რისთვისღაც გაგზავნეს და მაღაზიის დიდ შუშაში ჩაიხედა.

არა, ახლა აღარ სწყინდა ყველა ეს გოგის, მაგრამ შაბათს-კი ისიც მოუთმენლად ელოდა.

არა ნაკლებ მოლოდინში იყვნენ მისი ბებია და დედა, და მარტო შაბათ საღამოს კი არა, არამედ ყოველდღე, რომ მალე დაენახათ მშვიდობით დაბრუნებული გოგი.

„მანქანაში არ მოჰყვეს, ქუჩაზე არაფერმა გადაუაროს, არა იწყინოს-რა“, — ფიქრობდნენ ისინი და ცალი თვალი კარებისკენ ეჭირათ.

— გოგი, ჰა გოგი! რა უნდა იყიდო შენი პირველი ჯამაგირით? — გამოეხმაურა კიდევ ერთი ასოთამწყობთაგანი, რომ რითიმე სიჩუმე დაერღვია.

— ბურნუთი! — მიუგო კიდევ გოგის მაგიერ სხვა მუშამ.

— ბურნუთი — ბებიას; თავისთვის რაღა?

— თავისთვის — კამფეტები!

პირველი მართლაც რომ ჭკუაში მოუვიდა გოგის, მხოლოდ მეორე-კი ეწყინა.

„არა, ბავშვი ხომ არა ვარ, რომ კამფეტები ვიყიდო, ჰა?“ — ფიქრობდა გოგი და თან ყურს უგდებდა ამხანაგების თათბირს.

— თავისთვის — კამფეტებს, ბებიასთვის — ბურნუთს; მერე ჩვენთვის რაღას?

— თქვენთვის კიდევ ჯოხს! — უპასუხა მოსწრებულად გოგიმ და ასტყდა სტამბაში სიცილ-ხარხარი.

„შაბაში“, ესე იგი მუშაობის შეწყვეტის დრო, უკვე მოტანებული იყო; საცაა გოგი შინისკენ გაეშურებოდა, და თუმცა ისიც მთელი დღე იმაზე ფიქრობდა, რა ეყიდა, ან ეყიდა რამე თუ არა თავისი ჯამაგირით, მაგრამ ჯერაც ვერ გადაეწყვიტა. „ბაზარზე რომ გავიარ, იქ ვნახავ“, — გაიფიქრა გოგიმ და ამით დაიმშვიდა გული.

„ვუუ — ვუუუ!“ — მოისმა ამ დროს ქარხნის საყვირის ხმა; მას მიჰყვნენ ქალაქის სხვა ქარხნის საყვირებიც და მალე ქუჩაზე გამოიფანტნენ მუშები. ჩვენი გოგიც იმათთან ერთად სტამბიდან გამოგოგდა, მაგრამ მის შუბლს ფიქრის ბეჭედი ესვა. საცაა შინ უნდა მისულიყო, და არ იცოდა, ეყიდა რამე თუ არა თავისი პირველი ჯამაგირით.

— ეეე, რა კარგი ქულაჯაა, და! — შეჩერდა გოგი ერთი მაღაზიის წინ და დააღო პირი: — ჩემს ბებიას სულ სცივა...

ვერც-კი მოასწრო გოგიმ ფიქრის დათავება, რომ უცებ მოესმა მრისხანე ხმა:

— შენ, ეი, ყბაღია, მოშორდი აქედან, ნუ ჩამოეფარე შუშებს! — შეუტია ნოქარმა გაჯავრებით.

გოგი ერთ წამს შეკრთა, რადგან არ მოელოდა ამისთანა ბრწყინვალე მაღაზიიდან სიბრიყვეს, მაგრამ შემდეგ-კი გული მოიმაგრა.

— ყბაღია... და არც რა იცი, ოხერს ჰგონია, რომ ფული არ მაქვს! — შეუტია გოგიმაც, მაგრამ მარდად-კი მოშორდა მაღაზიას.

— კაი ქულაჯა კი იყო, აი! — ფიქრობდა გოგი, მაგრამ მისი ყურადღება ახლა ფეხსაცმელების მაღაზიამ მიიპყრო.

— ეჰე, ამეებსაც არა უჭირს-რა?!.. დედას ხომ არა აქვს ფეხსაცმელები... — ჩაიჩურჩულა გოგიმ და მიეწება თვალებით მშვენიერ კოხტა ფეხსაცმელებს.

— რაო, პატარავ, ფეხსაცმელები ხომ არ გინდა იყიდო? — შეეკითხა ნოქარი ღიმილით.

— მინდა! — უპასუხა გოგიმ.

— მერე ფული გაქვს?

— მაქვს!

— რამდენი?

— სამი აბაზი! — მიუგო გოგიმ და ნოქრის სიცილ-ხარხარზე ჯიბისაკენ წაღებული ხელი ჯიბის პირზე გაუჩერდა.

— წადი, ჩემო კარგო, და ხურმა იყიდე, — ურჩია დაცინვით ნოქარმა.

გოგიმ მას ალმაცერად შეხედა და მოშორდა. „არა, მართლაც და მე მომატყუებენ — იფიქრა გოგიმ, — ჩემს დღეში პურის მეტი არა მიყიდია-რა... ბურნუთის ფასიც არ ვიცი". — ფიქრობდა გოგი გზადაგზა და თან ნაცნობი მეწვრილმანის დუქანს დაუახლოვდა.

— ბებიასთვის შაურიანი ბურნუთი! — უთხრა მან თამამად მედუქნეს და სპილენძის შაურიანი ძალაზე დაჰკრა დაზგას.

— ვა, ბებია მართასთვის? ისეთი ბურნუთი გაგატანო, ისეთი, რომ სულ ცხიკინ-ცხიკინი დაიწყებინოს! სადა ყოფილხარ, გოგი? — შეეკითხა მედუქნე, როდესაც ნაქები ბურნუთი გადაუდვა გოგის.

— სტაამბაში! — გააგრძელა გოგიმ ამაყი კილოთი.

— რისთვის?

— ვმუშაობდი! — ასევე გაუგრძელა პასუხი გოგიმ მედუქნეს და შინისკენ გაეშურა.

უკვე კარგად შებინდებული იყო, როდესაც გოგი ეზოში შევიდა.

— სად იყავ აქნობამდე, გენაცვალე შვილო! რატო დაიგვიანე? — შეეკითხნენ ერთად გოგის დედაცა და ბებიაც.

— ბაზარში შემიგვიანდა! — მიუგო დინჯი კილოთი გოგიმ.

— რისთვის, გენაცვალე, რისთვის?

— რა ვიცი რისთვის: ცოტა რამ გვინდა? აი, შენ სულ გცივა; დედასაც ფეხსაცმელები არა აქვს...

— მერე? — ჰკითხა კიდევ პირზე ღიმმოსულმა დედამ გოგის.

— მერე და... ბებიას ბურნუთი ვუყიდე! — უპასუხა გოგიმ და თავისი სიტყვის დასადასტურებლად ბურნუთი ჯიბიდან ამოიღო.

— უჰ, უჰ, რა ბურნუთია! მერე რამდენი ხანია აღარ მომიწევია... — მოსთქვამდა ბებია და ჩქარ-ჩქარა გადაჰქონდა ორი თითით ამოღებული ბურნუთი ერთი ნესტოდან მეორეში.

— აი ესეც ჯამაგირი! — ამოიღო გოგიმ დანარჩენი ფული და შეაზე დააწყო.

— უი, შენ კი გენაცვალოს დედაშენი, ჩემო კარგო; პირველი ჯამაგირი! პირველი ჯამაგირი! — მოსთქვამდა გოგის დედა და თან გულში იკრავდა თავის პატარა მუშას.

— ცხიკ! ცხიკ! — დაიხმაურა ბებიას ცხვირმაც. — ორი ცხვირი კარგადა მაქვს დაცდილი, შვილო; ჯამაგირს მალე მოგიმატებენ! — მიუალერსა ბებიამაც და თან ცხვირს აქეთ-იქით. იგრეხდა, რომ ორზე მეტი აღარ დაეცემინებინა.

— პი-პი-პი-რველი, — ცხიკ! ჯა-ჯა-ჯა-რი, — ცხიკ-ცხიკ-ცხიკ... რი... ცხიკ.. — აღარ აცლიდა მაინც ბებიას ცხვირი ლაპარაკს.

— ერიჰა, ბები, რომ ემაგრე მიმატონ ჯამაგირი, სად წავა?.. — გადაიხარხარა გულიანად ბებიას ცხვირზე :გოგიმ.

— პირველი ჯამაგირი! პირველი ჯამაგირი! — მოსთქვამდა სიხარულით თვალებზე ცრემლებმომდგარი გოგის დედა.

— პი-პი-პი — ცხიკ! ცხიკ! — ჯა-ჯა-ჯა — ცხიკ! — რიიი...—ცხარდებოდა თანდათან ბებიას ბურნუთი.

— პირველი ჯამაგირი! პირველი ჯამაგირი! — იმეორებდა ბებიას მაგივრადაც გოგის დედა და მაგრად იკრავდა თავის პატარა მუშას. გულში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ხალხური ხიტყვიერება

ორი მზე . 3
დიდ სტალინს 4
კოლმეურნის სიმღერა . 5
როგორც აყვავდა ქალაქი . 6
ზეზვა 7
აფრასიონ მერკვილაძე . 7
კიდევაც დაიზრდებიან . 8
მოჯამაგირე 8
გლეხის შვილი . . 9
საბრალო დედაბერი 9
ხალხური სიმღერა . 10
ორმოში ფეტვი ჩავყარე 11
კურდღლის სიზმარი . 11
მელა 11
დათვის სიზმარი 12
ამირანი 13
ნაცარქექია . 26
წიქარა . 28
რწყილი და ჭიანჭველა . 33
ანდაზები 37
გამოცანები 38

ქართული კლასიკური ლიტერატურა და რევოლუციამდელი მწერლობა

შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი (ბიოგრაფია) 41

ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი
ტარიელისაგან თავის ამბის მბობა ავთანდილთანა 41
წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა (შემოკლებით) 45

ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (ბიოგრაფია) 47

ძალა ერთობისა . . . 47
უტკბესი და უმწარესი . 47
მეფე და მხატვარი 48
ამაო სიმდიდრე . . . 48
ორმოში ჩაგდებული მეფე 48

დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი (ბიოგრაფია) 49

სწავლა მოსწავლეთა 49

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე (ბიოგრაფია) 51

გაზაფხული 51
ნანა 51

ბაზალეთის ტბა 53
რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან (ნაწყვეტი) . 53
სარჩობელაზედ (პატარა ამბავი) 57
ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი (საახალწლო მოთხრობა) . 70

აკაკი წერეთელი (ბიოგრაფია) 75

ქართული ანბანი . 75
ყმაწვილი და პეპელა . 77
ვაშლი და შაქარა 78
გაზაფხული . 78
განთიადი . 79
სიზმარი . 79
ნათელას სიმღერა 80
სულიკო 81
ციცინათელა 82
პატარა ტარიელი (საყმაწვილო მოთხრობა) . 84

რაფიელ ერისთავი (ბიოგრაფია) 93

ფიპატიკება სასწავლებელში . 93
სამშობლო ხევსურისა . . . 94
მერცხალი 95
ზამთარი (ყმაწვილის მოგონება) . 95
გაზაფხული . 96
რთველი . 96
ღამის მეხრე . . . 97
ჯერ შრომა, მერე ხტომა 98

იაკობ გოგებაშვილი (ბიოგრაფია) 99

ჩვენი სოფელი . . 99
ვანო და ფრინველები . 101
სირცხვილის აშორება . 102
თავის გაწირვა . . . 103
სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს 104
ნამი . . . 105
სამასი თავდადებული გლეხი . 106
ცხრა ძმანი ხერხეულიძენი 107
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი 108
ჩიტის ბუდის ფასი . 113
იავნანამ რა ჰქმნა? . 114

გიორგი ქოჩაკიძე—ჭალადიდელი (ბიოგრაფია) . 129

მოგონება . . 129
ფაცხა (შემოკლებით) . . 131
სიმღერა გარდახვეწილისა . 131

ალექსანდრე ყაზბეგი (ბიოგრაფია) . 133

მტრედი 133
ნამწყემსარის მოგონებანი (ნაწყვეტი) 139
მეფის რაში (ზღაპარი) . 148

სოფრომ მგალობლიშვილი (ბიოგრაფია) . 163

ყაყიტას ქურდი . . 163
სიყმაწვილის მოგონებანი 169

ნიკოლოზ მოურავი (ბიოგრაფია) 185

ვედრება პატარა გლეხისა . 185
ყინვა და პატარა მოწაფე . 186
ქაჯანა . . . 188
პაწია მეგობრები 203

ეკატერინე გაბაშვილი (ბიოგრაფია) . 229

ღვინია გადაიჩეხა 230
მაგდანას ლურჯა 236
თინას ლეკური . 244
სწავლის გულისათვის 250

იოსებ დავითაშვილი (ბიოგრაფია) . 261

ჯუჯილი 262
გლეხის ბიჭის ვედრება 262
სიმღერა 262
ზამთარი 263
ნინო . 263

ეგნატე ნინოშვილი (ბიოგრაფია) . 265

პალიასტომის ტბა 266

ვაჟა-ფშაველა (ბიოგრაფია) . 281

არწივი . 281
სიმღერა . . . 282
მხედართა ძველი სიმღერა . 283
ია და ლუსუმა 284
ანნა-ბულბული . . . 284
შვლის ნუკრის ნაამბობი 287
ია . 293
ქუჩი . . 295
ჩხიკვთა ქორწილი 298
ბუნების მგოსნები 305
სათაგური 315

შ ი ო მ ღ ვ ი მ ე ლ ი (ბიოგრაფია) 329

გამოშშკიდობება მერცხლისა . 330
ზაფხული . 330
ზამთარი . 331
ჩიტი მზეწვია . 331
შოშია . . 332
პირველი გაზაფხული . 333
პაწია მერცხალი . 333
ია . 333
ყაყაჩო . 334
ბაჭია 334
ყვავილი 235
ობოლი . . 336
დედა კაბას უ:ერავდა 337
ნაბია და წკიპა . 337
ერთი ხორბლის თავგადასავალი 338

ც ა ხ ე ლ ი—პ ა რ მ ე ნ თ ვ ა ლ ჭ რ ე ლ ი ძ ე (ბიოგრაფია) . 341

მარინე . . 341
საბრალო ბაბუა . 343

შ ი ო ა რ ა გ ვ ი ს პ ი რ ე ლ ი (ბიოგრაფია) . 349

მოგონება (ყმაწვილის ცხოვრებიდან) 350
„ჩემო შკინდავ“
„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“ 361

დ უ ტ უ მ ე გ რ ე ლ ი (ბიოგრაფია) . 383

საყვარელი სამშობლო 383
გაზ ;ფხული და საპყრობელი . 383
ქინაქინა 385

თ ე დ ო რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი (ბიოგრაფია) 391

ფითრი . 392
სვავი 401
ია ის ამბავი 408
მონადირე . 411
გაზაფხულის სუნი 418

ი რ ო დ ი ო ნ ე ვ დ ო შ ვ ი ლ ი (ბიოგრაფია) 423

გაზაფხული . 424
დედა და ვანიკო . 424
ზნიდორზე . . . 424
ორი ობოლი (ამბავი) . 425
პირველი ;ამაგირი . . 438

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემოდ.	ქვემოდ.		
3	7		შენ მაინც შემოგვცინევი	შენ მაინც შემოგვცინევი,
4	3		თქვენთა სხივთ ჩამაქრობელი	თქვენთა სხივთ ჩამაქრობელი.
11	16		ცალი გვერდი ცეცხლმა დაბწვა, ცალი ერბოს ცხებამაო.	ცალი გვერდი ცეცხლზე იწვის, ცალი ერბოს ალზედაო.
51	17		მხოლოდ პირველად დაიბეჭდა	ხოლო პირველად დაიბეჭდა
75	15		სულსან-საბა	სულხან-საბა
99	—	9	ხოლო 1876 წელს მისი „დედა-ენა“	ხოლო 1876 წელს გამოვიდა მისი „დედა-ენა“
265	3		ჩიქვეთში	ჩოჩხათში
338	—	8	ბადიშებს	ბადიმებს